

სენჯი ქილაია

••

მეოცე საუკუნის
ქართული
მწერლობა

••

ნაწილი პირველი

საბჭოთა მწერალი
19 თბილისი 56

წინასიტყვაობის მაგიერ

XX საუკუნის ქართული მწერლობის განხილვა გათვალისწინებულია ორ წიგნად. პირველ წიგნში შესულია XX საუკუნის ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციამდელი ქართული მწერლობის ზოგადი მიმოხილვა და მონოგრაფიები: ეგნატე ნინოშვილი, იროდიონ ევლოშვილი, შიო არაგვისპირელი, დავით კლდიაშვილი, ჭოღა ღომთათიძე, ვასილ ბარნოვი, ანასტასია ერისთავ-ხოშტარია, ნოე ჩხიკვაძე. მეორე წიგნში შევა მონოგრაფიები ქართული საბჭოთა მწერლობის გამორჩენილი წარმომადგენლების შესახებ.

პირველ წიგნში მოთავსებული წერილების ერთი ნაწილი პირველად იბეჭდება, ნაწილი კი დაბეჭდილი იყო. წინათ გამოქვეყნებული წერილები საფუძვლიანად გადავამუშავეთ და წიგნის საერთო ხასიათს შევუფარდეთ.

ეს შრომა, როგორც პირველი ცდა, როდი იქნება დაზღვეული ნაკლებვანებათაგან. მაინც ვფიქრობთ, იგი ერთგვარ დახმარებას გაუწევს მწერლობით დაინტერესებულ ჩვენს ახადგაზრდობას.

ამ იმედით ვაქვეყნებთ პირველ წიგნს, ამავე რწმენით გავაგრძელებთ მუშაობას მეორე წიგნზე.

ავტორი

შ ე ს ა ვ ა ლ ი

მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის ისტორიაში XX საუკუნე განსაკუთრებული ისტორიული მოვლენების შუქით არის გაბრწყინებული. მისი გზა სამმა დიდმა რევოლუციამ განაპირობა. (ჩვენ მხედველობაში გვაქვს 1905 წლის და 1917 წლის თებერვლისა და ოქტომბრის რევოლუციები). მეოცე საუკუნის რევოლუციურმა ეპოქამ ახალ ხმაზე ააწყო, მებრძოლი პროლეტარიატის სამსახურში ჩააყენა ის, რაც მოწინავე და რევოლუციური იყო მთელ ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში. ჩვენი საუკუნის ყოველმა დიდმა მხატვარმა თავისი დამოკიდებულება, თავისი მხატვრული პოზიცია მკვეთრად გამოავლინა ამ ისტორიული რევოლუციებისადმი. სხვა საკითხია, ეს პოზიცია რამდენად სწორად იყო ყოველთვის წარმოდგენილი ამა თუ იმ მწერლის შემოქმედებაში. მთავარი ის არის, რომ ზემოხსენებულმა ისტორიულმა მოვლენებმა განსაზღვრეს XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ძირითადი ტენდენცია და გზა. ეს გზა სრულიად ახალი იყო. ამ გზით შექმნა ჩვენმა საუკუნემ სავსებით ახალი ტიპის მწერლობა, საბჭოთა მწერლობა, რომელიც წინა ეპოქების კლასიკური ქართული მწერლობის ბუნებრივი განვითარებაა. ამავე დროს, იგი XX საუკუნის ლიტერატურის ისტორიის ორგანული ნაწილია. საბჭოთა მწერლობამ გააღრმავა კლასიკური მწერლობის საუკეთესო მიღწევები. მან დიდი კლასიკური მწერლობის უდიდესი მონაპოვარი—ჰუმანიზმი, პატრიოტიზმი, დემოკრატიზმი, ხალხურობა, თუ სხვა მოწინავე რევოლუციური და დემოკრატიული იდეები ახალ საფეხურზე აიყვანა. ახალ სოციალისტურ ლიტერატურაში ახლებური ჟღერა მიეცა ყოველ მოწინავე და პროგრესულ აზრს.

ამ გარემოების მიხედვით XX საუკუნის ქართულ მწერლობას ჩვენ ორ ხანად ვყოფთ: XX საუკუნის ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე მწერლობად და საბჭოთა მწერლობად.

ქართულმა საბჭოთა მწერლობამ საკმაოდ რთული გზა განვლო. XX საუკუნის ქართულ მწერლობაში მას წინ უსწრებდა ერთგვარი შემზადების, ანუ აღრინდელი პერიოდი. ამის მიხედვით სრულიად ბუნებრივად ისმება საკითხი მონახულ იქნეს სათავეები, საიდანაც მომდინარეობს XX საუკუნის საბჭოთა პერიოდის ლიტერატურა. ვიდრე ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მიერ გადახნულ ნიადაგზე შეიქმნებოდა ხელსაყრელი პირობები საბჭოთა ლიტერატურის განვითარებისათვის, სოციალისტური რეალიზმის ჩამოყალიბებას თან სდევდა საკმაოდ ჭრელი ლიტერატურული ცხოვრება.

XX საუკუნის ქართული მწერლობა თავისი ჩამოყალიბებისა და განვითარების პირველ სათავეს XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან ღებულობს. მისი ჩამოყალიბების ისტორია უშუალოდ დაკავშირებულია მუშათა კლასის რევოლუციური მოძრაობის განვითარების, რევოლუციური მარქსიზმის გავრცელების, მარქსისტული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების წარმოშობის ისტორიასთან. ასე იყო რუსეთში, ასეთივე მდგომარეობა გვექონდა ჩვენშიაც.

ლიტერატურა, როგორც ზედნაშენური კატეგორია, მკაფიოდ ასახავს საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიული ხასიათის მოვლენებს. მარქსიზმს მიაჩნია, რომ საზოგადოებრივი ურთიერთობა, საწარმოო ძალები განსაზღვრავენ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებას, ასევე განაპირობებენ ლიტერატურის განვითარების გზასაც. მაგრამ მხატვრული ლიტერატურის სპეციფიკური ბუნება ისაა, რომ ეს განპირობება თავისებურად აისახება მასში. როგორიც არ უნდა იყოს ლიტერატურის სპეციფიკა, საბოლოო ანგარიშში საზოგადოებრივი მოვლენები და ფაქტები გამოიხატებიან მხატვრულ ლიტერატურაში. ამით აიხსნება მისი დიდი იდეური ძალა და აღმზრდელობითი მნიშვნელობა. XX საუ-

კუნის ქართული მწერლობის განვითარება ძირითადად განაპირობა იმ საზოგადოებრივმა მოვლენებმა და ფაქტებმა, იმ კლასობრივმა ურთიერთობამ და დამოკიდებულებამ, რაც საქართველოში სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარებისა და სამრეწველო პროლეტარიატის ჩამოყალიბების პროცესთან არის დაკავშირებული.

სამრეწველო კაპიტალიზმს მოჰყვა სამრეწველო პროლეტარიატის ჩამოყალიბება და განვითარება. ისტორიის ასპარეზზე გამოვიდა ყველაზე უფრო რევოლუციური კლასი, რომელიც თანდათანობით იზრდებოდა რიცხოვნობრივად, იწრთობოდა პოლიტიკური შეგნებით და რომელსაც თანაუგრძობდა ყველა პროგრესული და რევოლუციური, თავისუფლებისათვის მებრძოლი ძალა.

მშრალი ციფრები ყველაზე ნაკლებ ეგუება მხატვრული ლიტერატურის მოვლენებისა და კატეგორიების ახსნას, სამაგიეროდ, ისინი დიდად გვეხმარებიან გავერკვეთ საზოგადოებრივი ცხოვრების ეკონომიურ პროცესებში, ავხსნათ ეკონომიურ სფეროში მომხდარი გარდატეხის ხარისხი და ტემპი, ავხსნათ ის მოვლენები, რომლებიც საფუძვლად უდევს საბოლოოდ ლიტერატურის განვითარებას.

90-იანი წლებიდან საქართველოში ქალაქის მოსახლეობა სამჯერ და ოთხჯერ უფრო სწრაფი ტემპით მრავლდება, ვიდრე სოფლის მოსახლეობა. ასე მაგალითად, თუ თბილისში 1865 წელს მოსახლეობის რაოდენობა უდრიდა 76.770-ს, 1898 წელს ეს ციფრი 272.000-მდე გაიზარდა. ამგვარად, თბილისის მოსახლეობა ამ პერიოდისათვის თითქმის ოთხჯერ მეტი იყო, ვიდრე ბატონყმობის გაუქმების წინა წლებში. თბილისის მოსახლეობის ზრდასთან ერთად იზრდება სამრეწველო ცენტრების—ქუთაისის, ბათუმის, ფოთის მოსახლეობაც. ასე მაგალითად, თუ ქუთაისის მოსახლეობა ბატონყმობის გაუქმების წლებში არ აღემატებოდა 11.000-ს., 900-იანი წლებისათვის იგი 45.000-მდე გაიზარდა; თუ ფოთის მოსახლეობა 1865 წელს უდრიდა 1.039-ს, ამ დროისათვის იგი ავიდა 19.000-მდე, ბათუმისა კი—15.000-დან 34.000-მდე. ასე შეიცვალა ქალაქის მოსახ-

ლეობა და სახე. ეს ფაქტი დაკავშირებული იყო ჩვენს ცხოვრებაში მომხდარ ღრმა ეკონომიურ ცვლილებებთან. ქალაქის ასეთი სწრაფი ტემპით განვითარებას, მოსახლეობის რიცხოვრებად ზრდას ხელი შეუწყო ბატონყმობის გაუქმებამ, რის გამოც გლეხკაცობამ იურიდიული თავისუფლება მოიპოვა, მას უკვე თავისი ნებით შეეძლო აერჩია საცხოვრებელი და სამუშაო ადგილი.

რასაკვირველია, ბატონყმობა მხოლოდ ფორმალურად გაუქმდა, გლეხი ფაქტიურად კვლავ მემამულეთა ხელში რჩებოდა. XIX საუკუნის ცნობილი პუბლიცისტი ნ. ნიკოლაძე სამართლიანად შენიშნავდა: „გლეხთა განთავისუფლება საქართველოში იმით დამთავრდა, რომ მთავრობამ ყმა გლეხებს სახელწოდება შეუცვალა და უწოდა დროებით ვალდებული გლეხები“. ამავე გარემოებაზე მიუთითებდა მეორე პუბლიცისტი—ნ. ხიზანიშვილი: „იქ, სადაც გლეხი დროებით ვალდებულია თავის ბატონისა, კანონის წინაშე, თანასწორობას უფრო თეორიული მნიშვნელობა აქვს, ვიდრე პრაქტიკული“. ეს ასე იყო, მაგრამ ის მცირედი ფორმალური თავისუფლება, რომელიც გლეხმა მოიპოვა, უფლებას აძლევდა მას შედარებით თავისუფლად აერჩია თავისი საცხოვრებელი ადგილი. გლეხკაცობის მძიმე ეკონომიური მდგომარეობა კი მაინც ძალაში რჩებოდა, გაჭირვება და სიღატაკე კვლავ მძიმე ტვირთად აწვა მას და ეს მძიმე სოციალური ხვედრი აიძულებდა მოენახა თავის გადარჩენის გზა, შიმშილისა და წყურვილისაგან თავის დაღწევის საშუალება. ყოველივე ამის გამო 900-იანი წლებისათვის აშკარა ხდება ღარიბი გლეხკაცობის ლტოლვილება ქალაქისაკენ. ამავე პერიოდში თვალსაჩინოდ იზრდება საქართველოს ქალაქებში მრეწველობა, ფაბრიკა-ქარხნების რიცხვი და ამის კვალობაზე, მუშათა კლასის რიცხვი. ასე მაგალითად, თუ 1875 წელს მაშინდელ თბილისის გუბერნიაში 492 სარეწაო, პრიმიტიული ხასიათის ფაბრიკა იყო, 1898 წლისათვის სარეწაოების, ფაბრიკა-ქარხნების რიცხვი 3.899-მდე გაიზარდა. ამის შესაბამისად იზრდება მუშების რაოდენობა თბილისში. თუ 1875 წლის აღრიცხვის მიხედვით თბილისის გუბერნიის ფაბრიკა-ქარხ-

ნებში მომუშავე მუშების რიცხვი უდრიდა 3.682-ს, 1898 წლისათვის ეს სტატისტიკური მაჩვენებელი, არსებული აღრიცხვით, გაიზარდა 11.300-მდე. თუ ქუთაისის გუბერნიაში 1875 წელს სულ იყო 29 პრიმიტიული სარეწაო და ფაბრიკა 351 მუშით, 900-იანი წლებისათვის ქუთაისის გუბერნიაში აღრიცხულია 502 ფაბრიკა-ქარხანა 4.252 მუშით. ეს სტატისტიკური მონაცემები, უბრალო მშრალი რიცხვები, იმის მაჩვენებელია, თუ რა სწრაფი ტემპით ვითარდებოდა სამრეწველო კაპიტალისტური ცხოვრების წესი და როგორ იზრდებოდა ამის მიხედვით კაპიტალიზმის მესაფლავე პროლეტარიატის რაოდენობა საქართველოში.

კაპიტალისტური ცხოვრების დამკვიდრების ტემპს ხელი შეუწყო რკინიგზის გაყვანამ საქართველოში. 1871 წელს დაიწყო პირველი დიდი მაგისტრალის—თბილისი-ფოთის რკინიგზის გაყვანა, 1883 წელს კი თბილისი შავი ზღვის მეორე ნავსადგურს—ბათუმს დაუკავშირდა; 1895 წელს თბილისი რკინიგზის მაგისტრალით ბაქოს შეუერთდა. სწორედ ამ წლებში სწრაფი ტემპით ვითარდება საქართველოში ტყიბულის ქვანახშირის და ქიათურის მარგანეცის ამოღება და მისი ექსპლოატაცია. საქართველო კაპიტალისტური ცხოვრების მძლავრ ფერხულში ჩაება; მრეწველობით, ტრანსპორტით და სხვა საშუალებებით მსოფლიო კაპიტალისტურ ქვეყნებს დაუკავშირდა.

კაპიტალიზმის განვითარების ამ პროცესს ამიერკავკასია-სა და, კერძოდ საქართველოში, ვ. ი. ლენინი შემდეგნაირად ახასიათებდა:

„... თანდათან იღვენებოდა ადგილობრივი საუკუნეობრივი „შინამრეწველური“ სარეწები, რომლებიც ეცემოდნენ მოსკოვიდან შემოტანილი ფაბრიკატების კონკურენციის გამო. ეცემოდა იარაღის ძველებური წარმოება ტულიდან და ბელგიიდან შემოტანილ ნაწარმთა კონკურენციის გამო, ეცემოდა რკინის შინამრეწველური დამუშავება შემოტანილი რუსული პროდუქტის კონკურენციის გამო, აგრეთვე სპილენძის, ოქრო-ვერცხლის, თიხის, ქონისა და სოდის, ტყავის და სხვ. შინამრეწველური დამუშავება; ყველა ეს პროდუქტი უფრო

იაფად მზადდებოდა რუსეთის ფაბრიკებში, რომლებიც კავკასიაში გზავნიდნენ თავის ნაწარმს. ეცემოდა რქის დამუშავება ყანწად საქართველოში ფეოდალური წყობილებისა და მისი ისტორიული ნაღიმების დაცემის გამო, ეცემოდა ქუდის სარეწი აზიური კოსტუმის ევროპიულით შეცვლის გამო, ეცემოდა რუმბებისა და ქვევრების წარმოება ადგილობრივი ღვინისათვის, რომელიც პირველად გამოჰქონდათ გასაყიდად (რაც იწვევდა მეკასრეობის განვითარებას) და რომელიც თავის მხრივ იპყრობდა რუსეთის ბაზარს. ამრიგად, რუსეთის კაპიტალიზმი კავკასიას ითრევდა საქონლის მსოფლიო ბრუნვაში, ანიველირებდა მის ადგილობრივ თავისებურებებს— ძველებური პატრიარქალური კარჩაკეტილობის ნაშთს, — ჰქმნიდა ბაზარს თავისი ფაბრიკებისათვის. ქვეყანა, რეფორმის შემდგომი ხანის დასაწყისში ოდნავ დასახლებული ან დასახლებული მთიელებით, რომლებიც მსოფლიო მეურნეობიდან და ისტორიიდანაც კი განზე იდგნენ, თანდათან ნავთის მრეწველთა, ღვინის ვაჭართა, ხორბლისა და თამბაქოს მეფაბრიკეთა ქვეყნად იქცეოდა, და ბატონი კუპონი დაუნდობლად ხდიდა ამაყ მთიელს პოეტურ ეროვნულ კოსტუმს და ევროპული ლაქის კოსტუმით მოსავდა მას“.*

ბატონყმობის გაუქმებამ და კაპიტალიზმის წარმოშობამ საქართველოში შექმნა ის შინაგანი კავშირი, რომელმაც ქართველი ერის ცალკეული ნაწილები ერთ მთელად შეაკავშირა.

ყოველივე ამან არსებითად შეცვალა საქართველოს ფეოდალური ყოფა, იგი კაპიტალისტური განვითარების რელსებზე შეაყენა. პროლეტარიატის რიცხოვრივ ზრდას, მის ჩამოყალიბებას თან მოჰყვა პროლეტარიატის პოლიტიკური და კლასობრივი შეგნების განვითარება და ჩამოყალიბება. რუსეთის მუშათა კლასის მაგალითის მიხედვით, რუსეთიდან საქართველოში გადმოსახლებული რევოლუციონერების კეთილშობილური გავლენით, რუსეთსა და საზღვარგარეთ განათლებამიღებული ინტელიგენციის მცირე ჯგუფი სათავეში უდგება რევოლუციური მუშათა კლასის, პროლეტარიატის ბრძო-

* ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 3, გვ. 703—704.

ლას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. როგორც ცნობილია, მარქსიზმის გავრცელება საქართველოში, მისი პირველი ოფიციალური აღიარება 90-იან წლებში მოხდა. მოყოლებული 90-იანი წლებიდან, ამ მარქსისტული ჯგუფის პროგრესული წარმომადგენლები არაღეგალურად იკრიბებოდნენ ხან თბილისში, ხან ზესტაფონში (ქიათურის მარგანეცის კანტორაში), ხან სხვაგან, ე. ი. იმ ადგილებში, სადაც მუშათა კლასი ფეხს იკიდებდა და მტკიცდებოდა. ამ არაღეგალური ჯგუფის ოფიციალური გამოცხადება, მისი საჯარო აღიარება ჟურნალ „კვალის“ დაარსებასა და მოღვაწეობას დაუკავშირდა. „კვალის“ გარშემო თავმოყრილმა ჯგუფმა თავისი არსებობა საჯაროდ ამცნო ქვეყანას 1894 წლის 12 მაისს ნინოშვილის დასაფლავების დღეს. როგორც ეს ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, მესამე დასი არ ყოფილა ერთი მთლიანი ორგანიზაცია. მესამე დასის უმრავლესობა, რომელსაც ორიენტაცია დასავლეთისაკენ ჰქონდა, წარმოადგენდა ოპორტუნისტულ მიმდინარეობას, ლეგალურ მარქსისტებს. ამ დასის უმცირესობას ლენინურ-ისკრული მიმდინარეობა წარმოადგენდა, რომელიც უფრო გვიან უერთდება მესამე დასის ჯგუფს. ამ ჯგუფმა რუსეთის რევოლუციური პროლეტარიატის მაგალითის მიხედვით სცადა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები გადაეყვანა მუშათა მოძრაობის ფართო პოლიტიკურ-რევოლუციურ რელსებზე, მოემზადებინა ნიადაგი თვითმპყრობელობის დასამხობად მიმართული პოლიტიკური მოძრაობისათვის. მართლაც, 900-იან წლებში საქართველოში უკვე გაჩაღდა პოლიტიკური მოძრაობა. 900-იან წლებში უკვე მოხდა საქართველოს პროლეტარიატის რევოლუციური ძალების პირველი მოსინჯვა, პირველი საბრძოლო დემონსტრაცია, მიმართული თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ. 1898 წელს გაიფიცნენ თბილისის რკინიგზის სახელმძღვანელო მუშები. 1900 წელს ფართო პოლიტიკური დემონსტრაცია და გაფიცვები მოეწყო ტრამვაის მუშებში, ადელხანოვის ტყავის ქარხანაში, ბოზარჯიანცის ფაბრიკაში და თბილისის სხვა მსხვილ საწარმოო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში. ამ წელს 500-მდე მუშა შეიკრიბა ქალაქგარეთ,

მლაშე ტბის რაიონში. დემონსტრანტ მუშებს მარქსის და ენგელსის პორტრეტები მოჰქონდათ. საქართველოს მუშათა კლასი იწყებს შეგნებულ პოლიტიკურ ცხოვრებას. სულ სხვა რევოლუციური სული დატრიალდა მუშათა წრეებში. რევოლუციურმა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ მოძრაობაში მოიყვანა მთელი ჩვენი რევოლუციური ძალები და მიმართა ისინი მეფის თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ. ასე გაიარა მუშათა კლასმა თავისი განვითარების მეტად საინტერესო და რთული რევოლუციური გზა.

ამგვარად, საქართველოს რევოლუციური მუშათა კლასის შეგნებული ბრძოლა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ — რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა მოძრაობის გავლენით — თანდათანობით აღმავლობის გზით მიიმართებოდა. ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარმა დიდმა სოციალურმა ცვლილებებმა არსებითად შეცვალეს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების სახე.

ამ დიდი მასშტაბის სოციალურმა, ეკონომიურმა, პოლიტიკურმა და რევოლუციურმა გარდატეხამ თავისი გამოხატულება ჰპოვა საზოგადოებრივ აზროვნებაში. არ შეიძლება ამ მოვლენებს თავისი გამოხატულება არ ეპოვა ჩვენს მხატვრულ ლიტერატურაშიც. მართლაც, ვინც დააკვირდება 90-იანი—900-იანი წლების ქართულ მხატვრულ ლიტერატურას, ადვილად შენიშნავს ამ დიდ გარდატეხას.

90 იანი წლებიდან სამწერლო ასპარეზზე გამოდიან ახალი ჯგუფის მწერლები, რომელთაც შემდეგ მესამე დასის მწერლები უწოდეს. მწერლების ამ ჯგუფის ლიტერატურული ინტერესები მტკიცედ უკავშირდებოდა რევოლუციური მუშათა კლასის ბრძოლას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ეს მწერლები ახალ მოტივებს, ახალ იდეებს, ახალ განწყობილებას მოიტანენ ჩვენს მწერლობაში, — იდეებსა და შეხედულებებს, რომლებიც დაკავშირებულია მუშათა კლასის რევოლუციურ ბრძოლასთან. მწერლების ეს ჯგუფი ღარიბი გლეხკაცობისა და მუშათა კლასის ცხოვრების მხატვრულ სახეებში გამოსახვის გზით პირველად ჩვენს სინამდვილეში მთელი სისრულით შეეცდება ლიტერატურის საგნად აქციოს

კლასთა ბრძოლის გამწვავებული ფორმები, რაც საქართველოში სამრეწველო კაპიტალიზმის ეპოქაში გვექონდა. ეს მწერლები: ნინოშვილი, ევდოშვილი, ლომთათიძე, ლალიონი, არაგვისპირელი, ჩხიკვაძე, ავითარებენ რა კლასიკური მწერლობის დიდ ტრადიციებს, თავიანთ ნიქსა და ძალას რევოლუციური მშრომელი ხალხის, მუშათა კლასის სამსახურში ჩააყენებენ. მათს შემოქმედებაში ვრცლად პოულობს გამოხატულებას 900-იან წლების საზოგადოებრივი ცხოვრება. მწერლების ეს ჯგუფი იბრძვის ყოველგვარი დრომოკმულისა და გარდასულის წინააღმდეგ. მესამე დასის მწერლები მარქსიზმის დებულების გამოყენებით ცდილობენ ჩვენს ცხოვრებაში მომხდარი დიდი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ამბების არსი განუმარტონ და დაუხასიათონ ხალხს. ისინი უმთავრესად თავს იყრიან „კვალის“ გარშემო. ეს თაობა კამათს იწყებს „ივერიის“ მწერლების დასთან. კამათისა და დავის საგანია: არსებობს თუ არა ჩვენში კაპიტალიზმი და პროლეტარიატი? ვის ეკუთვნის მომავალი? ეროვნული საკითხი და კლასთა ბრძოლა, რა გზით მიიმართება ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება, რა ძალა და ლოგიკა წარმართავს ამ განვითარებას? იბეჭდება მთელი რიგი პუბლიცისტური ხასიათის წერილები, რომლებიც მიზნად ისახავენ ძველი და ახალი თაობის ურთიერთობის, დამოკიდებულების, ცხოვრების მიერ დაყენებული ახალი კითხვების გარკვევას. აქ უნდა მოვიხსენიოთ ე. ნინოშვილის პუბლიცისტური წერილი „ძველი და ახალ ქერქში“ (1893 წ.), ს. ჯიბლაძის— „კვალი და მესამე დასის მწერლობა“ (1895 წ.), ს. წულუკიძის— „ახალი ტიპი ჩვენს ცხოვრებაში“ („მომამბე“, 1895 წ.). ამგვარი წერილები იბეჭდება მეტწილად „მომამბესა“ და „კვალში“. ამ წერილებში გამოყენებულია მარქსიზმის დებულებები და მიყენებულია ისინი ჩვენი საზოგადოებრივი განვითარების კონკრეტული პირობებისადმი. აქ არის ცდა გაირკვეს ჩვენი ცხოვრების ახალი პერიოდის ხასიათი, სამრეწველო კაპიტალიზმსა და სამრეწველო პროლეტარიატს შორის გაჩაღებული ბრძოლის კლასობრივი არსი. წერილების მიზანია მარქსიზმის დებულებათა პოპულარიზაცია.

ლიტერატურის წინაშე უფრო მწვავედ და მძაფრად დგება ის საკითხებიც, რომლებიც 60-იანი წლების მწერლებმა დააყენეს, — დგება ეს საკითხები ახალ ვითარებასთან შეფარდებით. თავის მხრივ ახალმა გართულებულმა ცხოვრებამ წამოკრა ახალი კითხვები, რომლებიც მოითხოვდა მწერლობისაგან პასუხის გაცემას. როგორც ცნობილია, 60-იანი წლების მწერლობის ძირითადი პრობლემებია ნაციონალურ-საგანმათავისუფლო საკითხი და სოციალური თემა. ამ პერიოდის ქართულმა ლიტერატურამ მწვავედ დააყენა ბატონყმობის მძიმე ინსტიტუტის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი და მას სათანადო პასუხიც გასცა. 90-იანი წლებისათვის ეს მთავარი სოციალური პრობლემა სხვა სახეს იღებს. ახლა დგება ძველი, ფეოდალური ნარჩენებისა და ახლად წარმოშობილი კაპიტალისტური ყოფის მიერ გამოწვეული სოციალური ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი. სახელდობრ წამოიჭრა სოციალური პრობლემები: დამოკიდებულება მემამულესა და გლეხს შორის, კულაკსა და ღარიბ გლეხობას შორის, სოფლის მევახშეებსა და გლეხკაცობას შორის, დამოკიდებულება კაპიტალისტური წარმოების მეპატრონესა და მუშას შორის, ბრძოლა ექსპლოატაციისა და ჩაგვრის წინააღმდეგ. ამის შესაბამისად, ლიტერატურაში გამოჩნდა მუშათა სახეები. ს. წულუკიძე წერდა: „თანამედროვე ეკონომიური ცხოვრების ღვიძლი შვილია მწარმოებელი მუშა და კაპიტალისტი. ამასთან ერთად, არ გამქრალა „ნაშთი ძველი დიდებისა“ — ფეოდალიზმის წარმომადგენლებისა. დღევანდელი ჩვენი საზოგადოების კლასიკური ბრძოლის დასკვნა ისეთია, რომ გამარჯვება კაპიტალიზმის წარმოებას ეკუთვნის. ... თუმცა მისი უარყოფითი მოვლენები არ უნდა იქნეს მიჩქმალული“. სწორედ ამიტომ ახალმა დრომ მწერლობის წინაშე დააყენა მრავალი ახალი საკითხი, რომლებიც პასუხის გაცემას მოითხოვდნენ. ეს საკითხები აღელვებდათ არა მხოლოდ ახალი თაობის მწერლებს, მესამე დასელებს, არამედ ძველი თაობის წარმომადგენლებსაც, რომლებიც მაშინ ინტენსიურ შემოქმედებითს მუშაობას ეწეოდნენ.

90-იან—900-იანი წლების ქართული ლიტერატურა, ისე

როგორც ამ პერიოდის რუსული ლიტერატურა, მეტად რთული ხასიათისაა; აქ პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსული ახალი დასის მწერლები — მესამე დასის მწერლები, რომლებმაც მიზნად დაისახეს მარქსიზმის პრინციპების გამოყენებით ასახონ ახალი საზოგადოებრივი ცხოვრება. ეს იყო შედარებით ახალი ტიპის მწერლობა, რომელიც აგრძელებდა XIX საუკუნის დიდი კლასიკური მწერლობის ტრადიციებს და, ამასთანავე, ჰქმნიდა ახალ საფეხურს ჩვენს ლიტერატურაში.

მეორე მხრივ, ამ პერიოდში აგრძელებდნენ ინტენსიურ ლიტერატურულ მოღვაწეობას სახელმძღვანელო სამოციანელები — ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი და მათთან ერთად ვაჟა ფშაველა და ა. ყაზბეგი. ამ ახალ ხანაშიაც, 900-იანი წლების ამ გართულეზულ საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც, კლასიკური მწერლობის სახელოვანი მედროშეები კვლავ პროგრესულ როლს ასრულებდნენ, ზემოხსენებული მწერლები კვლავ მოწინავე პოზიციებზე იდგნენ. საქმე ისაა, რომ მეფის რუსეთის შავზნელ პირობებში 900-იანი წლების ქართული სინამდვილისათვის ჩვენი ხალხის ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლა ისევ და ისევ პირველხარისხოვან კითხვად რჩებოდა. 60-იანელთა შეუპოვარ ბრძოლას ხალხთა განთავისუფლებისათვის, ნაციონალური მებრძოლი მოტივებით აჟღერებულ მათს ნაწერებს დიდი პროგრესული მნიშველობა ჰქონდა, ისინი ზრდიდნენ ხალხს თვითმპყრობელობასთან, მეფის რუსეთთან შეურიგებლობის ინტერესებით. მათი მხატვრული ქმნილებანი მიმართული იყო ეროვნული, კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ. როგორც ცნობილია, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას მხარს უჭერს მარქსიზმ-ლენინიზმი. როდესაც ილიას თაობის მოღვაწეობას ვაფასებთ ამ პერიოდში, ეს გარემოება არ უნდა დაგვავიწყდეს და მაშინ ნათელი გახდება, რამდენად გაუმართლებელი იყო მესამე დასის პუბლიცისტების, კერძოდ ჟორდანიასა და მახარაძის თავდასხმა ჩვენი მწერლობის ამ სახელოვან წარმომადგენლებზე; მათ არ ესმოდათ სამოციანელების მოწინავე როლი და მნიშვნელობა ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ამრიგად, 90—900-იანი წლების ქართულ ლიტერატურაში ი. ქავკავაძის, ა. წერეთლის, შემდეგ — ა. ყაზბეგისა და ვაჟა ფშაველას მოღვაწეობას უდიდესი პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა. ეს მწერლები ხალხის სულიერ ცხოვრებას კვლავ წარმართავდნენ კოლონიალური ჩაგვრისა და უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლის სულისკვეთებით. ამიტომ სავსებით გასაგებია, რომ ამ პერიოდის ქართულ ლიტერატურაში მათ არა მარტო მოპოებული ავტორიტეტით, არაჩვეულებრივ მოქმედი ლიტერატურული ცხოვრებით ეკუთვნოდათ წამყვანი და წარმმართველი ადგილი.

მაშინდელი ლიტერატურული ცხოვრების მნიშვნელოვან ჯგუფს წარმოადგენდნენ ე. წ. ხალხოსნები.

90-იან წლებიდან, მას შემდეგ, რაც ჩვენში რევოლუციური მარქსიზმი გავრცელებასა და თავის მომხრეებს პოულობს, ხალხოსნური ლიტერატურული ჯგუფის იდეური დეგრადაცია სავსებით აშკარა გახდა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ დაუამციროთ მათი როლი 80-იანი წლების ქართულ ლიტერატურაში. მიუხედავად იდეური შეცდომებისა, მწერალთა ამ ჯგუფმა გარკვეული კვალი დასტოვა ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში, ოღონდ 90-იანი წლების შემდეგ, მარქსიზმის შემდეგ, ხალხოსნების იდეური შეცდომები კიდევ უფრო აშკარა შემადგერხებელ ძალად იქცა. ხალხოსნური მიმართულების წარმომადგენლები (ს. მგალობლიშვილი, ნ. ლომოური, ე. გაბაშვილი, ნ. ხიზანიშვილი, სტ. ჭრელაშვილი) ქადაგებდნენ ე. წ. თემურ, გლეხურ სოციალიზმს. რევოლუციის მამოძრავებელ ძალად მათ გლეხობა მიაჩნდათ, უარყოფდნენ კაპიტალიზმს და მის მესაფლავე პროლეტარიატს. ამ იდეების ქადაგება მარქსიზმის ეპოქაში მიუღებელი და მავნე იყო. მესამე დასის პუბლიცისტებმა გააფთრებული ბრძოლა გაუმართეს ხალხოსნების მცდარ შეხედულებებს. ისინი, წინააღმდეგ ხალხოსნებისა, ამტკიცებდნენ, რომ კაპიტალიზმი ფაქტია ჩვენს ცხოვრებაში, მისი უარყოფა ჩვენზე როდია დამოკიდებული, ახლა ამოცანა ის არის, რომ კაპიტალიზმს — ახალ სოციალურ-ეკონომიურ ფორმაციას — ბრძოლა გაუმართონ. ვის შეუძლია აწარმოოს ეს ბრძოლა?

რევოლუციურ პროლეტარიატს,—უპასუხებდნენ მარქსისტები:—პროლეტარიატს, რომელიც სათავეში ჩაუდგება დაჩაგრულ კლასს. ამგვარად, წინააღმდეგ ხალხოსნებისა, მესამე დასელები ამტკიცებდნენ, რომ თავისუფლებისათვის, სოციალიზმისათვის ბრძოლაში მოწინავე ძალას წარმოადგენს სწორედ ეს რევოლუციური მუშათა კლასი, რომელიც გაიყოლიებს რევოლუციურ გლეხობას თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. მუშათა კლასი უფრო შეგნებულია, მომავალი მას ეკუთვნის, იზრდება რიცხობრივად და იწრთობა პოლიტიკურად. მესამე დასის მწერლები ამ პოზიციის დაცვაში ამარცხებენ ხალხოსნებსა და მარქსიზმის წინააღმდეგ მებრძოლ სხვა ჯგუფებსაც.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ გ. წერეთლის მოღვაწეობა.

გ. წერეთელმა თავისი თავი, ნიკოლაძესთან ერთად, მეორე დასის წარმომადგენლად აღიარა და ამით უნდოდა გამოიჯნოდა ი. ჭავჭავაძის თაობის „პირველ დასს“. უდავოა, რომ გ. წერეთელი და ნ. ნიკოლაძე 60-იანი წლების სახელოვან პლეადას განეკუთვნებოდნენ. ისიც უდავოა, რომ ისინი გვერდში ედგნენ ილიას თაობას „საქართველოს მოამბის“ გარშემო. მაგრამ 80-იანი წლებიდან სამოციანელთა თაობას შინაგანი რღვევა დაეტყო: გ. წერეთელმა და ნ. ნიკოლაძემ უფრო მემარცხენე პოზიციები დაიჭირეს, 900-იანი წლებში კი კაპიტალიზმის აუცილებლობის აღიარებითა და ამ სინამდვილის მხატვრულ ნაწარმოებებში გამოხატვით ეს პოზიციები უფრო განამტკიცეს. ამდენად, მათ ჰქონდათ გარკვეული საფუძველი სამოციანელებისაგან განსხვავებული თვალსაზრისის გამომხატველი დასი ეძებნათ. ამ პერიოდში გ. წერეთელი ცდილობდა საერთო ენა მოენახა მესამე დასთან, მაგრამ გამოიჩქვა, რომ იგი მარქსიზმის პოზიციებისაგან შორს იდგა და, მიუხედავად თავისი სიმპათიებისა, ფაქტიურად მესამე დასისაგან განცალკევებული აღმოჩნდა.

ამრიგად, გ. წერეთელს ამ დროს ილიასა და, საერთოდ, სამოციანელებისაგან განსხვავებული პოზიცია ეჭირა. 70-იანი წლებიდან მოყოლებული გ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძესთან ერთად (როგორც ეს სამართლიანად აქვს შენიშნული ს. ხუნ-
2. ს. ჭილაია

დაძეს), ბურჟუაზიულ-რადიკალურ შეხედულებებს იზიარებს. ამ პოზიციებიდან სცადა გ. წერეთელმა საერთო ნიადაგი მოესინჯა მესამე დასთან, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მესამე დასი, ლეგალური მარქსიზმის პოზიციებზე იდგა. მაგრამ გ. წერეთელი მალე დარწმუნდა, რომ არსებითად მესამე დასის მარქსიზმსა და ნაციონალურ-ბურჟუაზიულ შეხედულებებს შორის დიდი ზღვარია.

ამ პერიოდის ლიტერატურულ ჯგუფებს შორის მკვეთრად განსხვავებული პოზიცია ჰქონდათ „მესამე დასის“ მწერლებს, რომელთა თვალსაზრისი სავსებით ეფარდებოდა იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების სულისკვეთებას; ამ დასის იდეური მიზანდასახულება მარქსიზმიდან გამოდიოდა, რევოლუციური მუშათა კლასის ცხოვრებას უკავშირდებოდა. ეს თაობა არ იყო დაზღვეული წვრილბურჟუაზიული მსოფლმხედველობის გავლენებისაგან, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, იმდროინდელ ქართულ ლიტერატურაში იგი ყველაზე მჭიდროდ იყო დაკავშირებული რევოლუციურ მუშათა კლასთან. ამ თაობამ მხატვრული მწერლობა მუშათა კლასის რევოლუციურ სამსახურში ჩააყენა. განსაკუთრებით მკვეთრად ამ თაობის როლი 1905 წლის რევოლუციის ქარიშხლიან დღეებში გამომჟღავნდა. მისი მხატვრული პრინციპების გამომუშავებაში დიდი როლი შეასრულა სოციალისტური რეალიზმის ფუძემდებელმა მ. გორკიმ.

როგორც ცნობილია, XIX საუკუნის ქართულმა ლიტერატურამ რუსული მწერლობის კეთილმყოფელი გავლენა განიცადა. რუსეთის რევოლუციური დემოკრატიული მწერლების—ბელინსკის, გერცენის, დობროლუბოვის, ჩერნიშევსკისა და სხვათა მოწინავე იდეებზე აღზრდილ ქართულ სამოციანელებს არა ერთგზის აღუნიშნავთ ეს გარემოება და, საერთოდ, რუსული მწერლობის სხვა ვარსკვლავების — პუშკინის, ლერმონტოვის, ტოლსტოის, ჩეხოვის იდეური და მხატვრული გავლენა ქართულ ლიტერატურაზე. განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო 90-იანი წლების ქართულ ლიტერატურაზე მ. გორკის გავლენა. მ. გორკის ნაწარმოებები უხვად იბეჭდებოდა ქართულ პერიოდულ პრესაში. 1902 წელს ქართულ

უნაზე გამოვიდა მ. გორკის მოთხრობების კრებული, რომელიც მოწინავე ქართულმა საზოგადოებამ აღტაცებით მიიღო. ამ გამოცემის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: „ამდენი გატაცებული მკითხველი, ამდენი თაყვანისმცემელი ასე მოკლე დროში არც ერთ რუს მწერალს არ მოუპოვებიაო“. მ. გორკის მეგრძოლ მოწოდებას — „დაე უფრო მძაფრად დაიგრილოს ქარიშხალმა“ ფართოდ გამოეხმაურა მაშინდელი ქართული მწერლობა. ირ. ევლოშვილის მეგრძოლ სიტყვებში — „უკვე აღდგა ქარიშხალი განთიადის მოციქული“ პირდაპირ მოჩანდა ის ღრმა იდეური სიახლოვე, რომელიც ამ ახალი დასის მწერლობას აკავშირებდა მ. გორკის სახელთან. რაც უფრო ახლოვდებოდა 1905 წლის რევოლუციის დღეები, მით უფრო ძლიერდებოდა რევოლუციურ-დემოკრატიული მწერლობის მეგრძოლი ხმა. რევოლუციის ბოზოქარ დღეებში ბურჟუაზიისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში აღაფრთოვანებდა ამბოხებულ რევოლუციურ ხალხს ირ. ევლოშვილის სკოლის მეგრძოლი ლექსები, რომლებსაც ტრიბუნიდან, მოედნებზე, ქუჩებში, კრებებზე წარმოთქვამდნენ დემონსტრანტი მუშები. არც ის იყო შემთხვევითი, რომ მ. გორკის სახელგანთქმული ლექსი „მზე ამოდის და მზე ჩადის“, რომელიც ამოღებულია მისი პიესიდან „ფსკერზე“, უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა ქართველ რევოლუციურ მუშებშიაც, როგორც ეს სამართლიანად აქვს აღნიშნული ლ. ასათიანს. ამ ლექსის თარგმანი ეკუთვნოდა პოეტ ევლოშვილს:

მზე ამოდის და მზე ჩადის,
 ჩემ ციხეს კი ბნელი ფარავს,
 დღე და ღამე ყარაულნი
 სდარაჯობენ ჩემს ფანჯარას.
 როგორც გსურდეთ, მიდარაჯეთ,
 არა ვფიქრობ მე გაქცევას,
 თუმც კი მინდა, მაგრამ ვიცი,
 ვერ დავამტვრევ ამ რკინის ჯაჭვს.
 ეხ, ბორკილო, რკინის ხუნდო,
 შენ ხარ ჩემი ყარაული,
 ვერ დავამტვრევ, ვერ დავამსხვრევ,
 დაავადდა ჩემი გული.

ჩვენი მწერლობის პროგრესული და მოწინავე ძალა მხარს უჭერდა, ემხრობოდა ხალხის რევოლუციურ-საგანმათავისუფლო მოძრაობას. ამ ფაქტის საილუსტრაციოდ საკმარისი იქნება მოვიგონოთ აკ. წერეთლისა და ვაჟა ფშაველას ლექსები, მიმართული ხალხთა ამ საბრძოლო ყიეინისადმი, 1905 წლის რევოლუციისადმი. ეპოქის ხასიათმა, მუშათა კლასის საბრძოლო გზამ გაიყოლია ყოველივე მოწინავე და რევოლუციური, რაც კი იყო ჩვენს ლიტერატურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. რევოლუციური მოძრაობის გამომსახველ ქართულ ლიტერატურას სათავეში ედგა მესამე დასის მწერლობა, ამიტომ ვთვლით ჩვენ ამ თაობას იმდროინდელი ქართული ლიტერატურის ძირითად ლიტერატურულ თაობად.

მრავალმხრივია და მრავალფეროვანი ამ პერიოდის ქართული მწერლობის თემატიკა. ვინც კრიტიკული თვლით შეხედავს მაშინდელ ქართულ ლიტერატურას, ადვილად შეამჩნევს, რომ იმდროინდელ მწერლობას, ერთი მხრით, განსაზღვრავს XIX საუკუნის ქართული კლასიკური მწერლობის მოწინავე ტრადიციები, მისი სოციალური, ეროვნული პროგრესული შეხედულებები, მეორე მხრით, პროლეტარიატის სახელთან დაკავშირებული სოციალისტური ლიტერატურის ნოვატორული მოტივები და იდეები.

როგორც დავრწმუნდით, 90-იანი წლებიდან საქართველოს მოქმედი სოციალური ძალები ძირეულად შეიცვალნენ. ბრძოლის ასპარეზზე გამოვიდა კაპიტალიზმის მესაფლავე პროლეტარიატი. საზოგადოებრივი ცხოვრების გზას კლასთა ბრძოლის ლოგიკა წარმართავდა. ცხოვრებაში მომხდარი ეს ცვლილებები ფართოდ შეიქრა ლიტერატურაში. მხატვრულ ნაწარმოებებში გამოჩნდნენ კაპიტალიზმის წარმომადგენლები, ისინი, ვინც სხვისი ექსპლოატაციით, ვაჭრობის გზით მდიდრდება და სახელს იხვევს. სინამდვილის ეს მხარე აისახა ამ პერიოდის ქართულ ლიტერატურაში. საკმარისია აქ მოვიგონოთ: გ. წერეთლის „პირველი ნაბიჯი“, ე. ნინოშვილის „სიმონა“, ლალიონის „ფირალი დავლაძე“, შ. არაგვისპირელის „ჩემი ბრალი არ არის, ღმერთო“, ქ. ლომთა-

თიძის „დასაფლავება“, ან. ერისთავ-ხოშტარიას „მოლიპულ გზაზე“ და სხვა, რათა დავრწმუნდეთ, რომ ლიტერატურაში გამოსახულია კაპიტალისტური ცხოვრების დამკვიდრების გზა სოფლად და ქალაქად, ამ ახალი დროის ბატონების ბრძოლა ძველ წოდებათა წინააღმდეგ და ლარიბი გლეხაკობის არაადამიანური ექსპლოატაცია, ჩაგვრა და დამონება. თავადაზნაურობა საუკუნეობით მოპოვებულ პრივილეგიებს, წოდებრივ უპირატესობას თანდათან კარგავს, მის ადგილს იჭერენ კაპიტალიზმის წარმომადგენლები. გავიხსენოთ ლალიონის „ფირალი დავლაძე“. ყოფილი გლეხის შვილი, ახლა ვაჭრობით გამდიდრებული ნიკო საერთო პატივისცემით სარგებლობს, სოფლად მოხვედრილი „ქალაქელი ბურჟუა“ დაპატიჟეს როგორც საპატიო სტუმარი, ნიკოს და სტუმრებს შორის ასეთი დიალოგი იმართება: „ერთი მოყვარე კაცი მყავს ბათუმში, თუ იცნობ, ივლიანე მძეს, ნეტაი რას შობა.—დაეკითხა ნიკოს ერთი სტუმართაგანი.

— რა უჭირს, ქია კარგათ,—მიუგო ნიკომ.

— მაგინი რეიზა არ იქნებიან კარგათ, თუ ღმერთი გწამს! ფული მაგენს არ აკლია, თეთრი და საქონელი, რა ენატრებიან ღვთის გაჩენილი,—დაიწყო სამსონმა.

— ეხლანდელ დროში ფული ვისაცა აქვს, კაციც იგია,—დაემოწმა მასპინძელს მეორე სტუმარი.

— ოჲო, ცარიელი ფულიც აფერი არაა, თუ კაცი თვითონ არ ვარგა, და პაწია განათლება არ ახლავს! — შენიშნა მესამემ.

— ნეუქელი შენ უფულოდ გააკეთებ რასმე, კაი განათლებულიც რო იყო? — თავმომწონედ დაიწყო ნიკომ. — შეძლება თუ გაქ, განათლებულიც მაშინ ხარ, რავეა, რას უძახი შენ განათლებას? იგი კაცი კას სვამს, კას ჭამს, კარგად აცვია და ახურავს, მტერს რიგიანად დაუხვდება და მოყვარეს. ერთი სიტყვით განათლებული ცხოვრება აქ, ფული რომ არ ქონდეს ამას ხომ ვერც ერთს ვერ იზამს? ბევრი ვიცი მე იმისთანა კაცი, რომ განათლებულად მოაქ თავი და მქადი ქე ენატრება.

— აბა მე გეტყვი შენ,—დაიწყო ივანემ ათრთოლებულის ზმით:—კაცი თუ ჩამომავლობით ჯალაბია, იმას ვერც ფული

მოარჯულებს და ვერც ვერაფერი. კისრამდი ოქროში რომ ჩასვა იმისთანაი კაცი, მაინც თავის ზნეს არ შეიშლის!

— კი მარა, ამ ცარიელმა, გაფხევილმა აზნაურიშვილობამ რა მოუტანა ვინმეს? ვინ უყურებს ახლა ჩამომავლობას? რამდენია იმისთანა აზნაური რომ მკადს არ წაუტეხს კაცი, ორი კაპეიკიზა ცოლ-შვილს დააწინდრებს. კაი ხანია წვევიდა უწინდელი დროი! ახლა კაცი იგია, ვინც თითონ ვარგა, ვისაც რამე გააჩნია, მარტუბი აზნაურიშვილობა სულ აფერი არაა, იგი ტყუილად არ თქვას ვინმემ! — ცხარობდა ნიკო“.

ნიკოს კარგად აქვს შეგნებული თავისი უპირატესობა და ძალა. ეს უპირატესობა მას ახალმა კაპიტალისტურმა ყოფამ მიანიჭა. ლალიონმა მხატვრულად განაზოგადა ეს ფაქტი. ა. წულუკიძემ ზემოთ მოყვანილ დიალოგს ასეთი კომენტარები გაუკეთა: „ის, რაც პუბლიცისტ-ეკონომისტებს მრავალი კვლევა-ძიებით დაუსაბუთებია, ნიკომ მოკლედ და მარტივად გამოთქვა. ამ სიტყვებშია მთელი ჩვენი დღევანდელი ცხოვრების შინაარსი. წოდებრივი დანაწილების უარყოფა, კარჩაკეტილი, პატრიარქალური ცხოვრების საუკუნო მოსვენება და მის ნაცვლად კლასიური დაყოფა ჩვენი საზოგადოებისა. საერთაშორისო ვაჭრობა-მრეწველობის ფეხის შედგმა ჩვენს სამფლობელოში, აი რა არის ჩვენი თანამედროვე ეკონომიური ცხოვრების დედაარსი“.

კაპიტალიზმის განვითარებამ ეკონომიური საფუძველი გამოაცალა არისტოკრატიულ წოდებას, თავადაზნაურობას, პრივილეგიური კლასის როლი ახლა თვითონ მიითვისა. ბურჟუაზიამ თავადაზნაურობას ასე გამოაცალა ხელიდან საუკუნეობით მოპოებული წოდებრივი უპირატესობა. კაპიტალიზმმა არა მარტო დაამარცხა ფეოდალიზმი და ხელთ იგდო ეკონომიური დოვლათი, არამედ თავისი წოდებრივი უფლებების გამტკიცებასაც შეუდგა. ყველაზე უფრო მძიმედ კაპიტალიზმის ეს მყვლფეული ექსპლოატატორული ბუნება გლახკაცობას დააწვა. კაპიტალიზმის ყვლეფის ობიექტი, პირველ ყოვლისა, მუშათა კლასი და გლახკაცობა იყო. სოფლად კაპიტალიზმი, კულაკური ზედაფენის სახით გლახკაცო-

ბის ხარჯზე არსებობდა, მისი მჩაგვრელი ძალა ხდებოდა. ეს პროცესი აისახა ნინოშვილის „სიმონაში“, შ. არაგვისპირელის მოთხრობაში „ჩემი ბრალი არ არის, ღმერთო“ და სხვ. არაგვისპირელმა ხაზი გაუსვა იმ საყოველთაო ფაქტს, რომ კაპიტალიზმი ისეთივე მძარცველი და გაბატონებული კლასია, როგორც წინათაც ჰყავდა გლეხკაცობას ბატონების სახით. შეიცვალა ფორმა ჩაგვრისა, შინაარსი კი იგივე დარჩა. ეს დებულება ასეთ განზოგადებულად წარმოგვიდგინა არაგვისპირელმა ერთ რემარკაში: მოთხრობაში „ჩემი ბრალი არ არის, ღმერთო“. ავტორი ისაკა ჭამიაშვილისაგან გაძარცვულ შრომიშვილს ეუბნება:

„საწყალო შრომიშვილო, როგორც ვხედავ, შენ ბედი არ გაგიღიმებს!.. რამდენი საუკუნეა, რაც შენ მონათ ხარ და შენი სარჩო-საბადებელი სხვას მიაქვს. წინათ თუ ლუარსაბები, რევაზები და არჩილები გაცლიდნენ ხელიდან შენ საცხოვრებელს, ეხლა ისაკები გიხდებიან ბატონად და... ეს საწყალო შრომიშვილო, როდემდის უნდა ითმინო“.

ასე გამოისახა ქართულმა მწერლობამ ის მძაფრი კლასობრივი ბრძოლა, რომელსაც ადგილი ჰქონდა კაპიტალიზმის დამკვიდრების შედეგად ჩვენს სინამდვილეში. ეს ხანა მშრომელ ხალხისათვის სხვამხრივადაც გართულებული ეპოქა იყო. თუ, ერთი მხრით, ახლად მოვლენილი ბურჟუაზიული ყოფის აღამიანები ტყავს აცლიდნენ გლეხკაცობას, მეორე მხრით, მშრომელი ხალხის მჩაგვრელ ძალად კვლავ რჩებოდნენ ფეოდალიზმის ნაშთები. ამას ემატებოდა ცარიზმის მოხელეთა არაადამიანური დამოკიდებულება გლეხკაცობისადმი. არც ეს კითხვა დაუტოვებია ქართულ ლიტერატურას პასუხის გაუცემლად.

თავადაზნაურობის სულთამხუთაობა გამოიხატა ე. ნინოშვილის „სოფლის გმირებში“, „ქრისტიანეში“, ლალიონის „ბეჟუკას ხვედრში“ და სხვ. მექრთამე რუსი მოხელეების მზაკვრული მძარცველური სახეები მკვეთრად გამოჩნდნენ ნინოშვილის „მოსე მწერალში“, ა. ერისთავ-ხოშტარიას „კომისიაში“, შ. არაგვისპირელის მოთხრობაში „ესაა ჩვენი ცხოვრება!“ და სხვ.

ამ პერიოდის ქართულმა ლიტერატურამ მხატვრულად განაზოგადა და გვიჩვენა, თუ როგორ ბადებდნენ ხალხში უსამართლობა და ჩაგვრა პროტესტის გრძნობას, როგორ იქცეოდა ეს გრძნობა სახალხო აღშფოთებად, რაც იმედსა და პერსპექტივას აღძრავდა მილიონობით დაჩაგრულთა გულში. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ნინოშვილის „სიმონა“, ჯ. ლომთათიძის „აქრეთ სინათლე, აქრეთ, მე მაინც ავანთებ მას“, ლალიონის „თინა“, ა. ერისთავ-ხოშტარიას „ბედის ტრიალი“ და სხვა მრავალი.

ქართულ კლასიკურ მწერლობასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული ნაციონალურ-საგანმათავისუფლებლო მოძრაობა. უფრო მეტიც, XIX საუკუნის სინამდვილეში ამ მოძრაობას მწერლობა ედგა სათავეში. ქართველი ხალხის დუხჭირ სოციალურ ყოფას მძიმე ტვირთად ემატებოდა ეროვნული ჩაგვრა. ამ გარემოებამ აშკარა მწვავე ხასიათი მიიღო რევოლუციის აღმავლობის წლებში. ცარისტული რუსეთი მშრომელ ხალხთა ჯალათად და მტანჯველად გამოდიოდა. კოლონიალური პოლიტიკის საშინელება ყველაზე უფრო მწვავედ ატყდებოდა თავზე მშრომელ ხალხს. ცარისტულმა მეფის რუსეთმა სცადა გამოეყენებინა ეროვნული მტრობა და შუღლი პროლეტარული რევოლუციური ბრძოლისა და სახალხო-საგანმათავისუფლებლო მოძრაობათა წინააღმდეგ.

900-იანი წლების ქართულ მწერლობას არ უგულვებელუყვია ქართველი ხალხის ეროვნული ბრძოლა თავისუფლები-სათვის, მხედველობიდან არ გამოორჩენია ნაციონალურ-საგან-მათავისუფლებლო მოძრაობის გაღვივება რევოლუციის აღმავლობის წლებში. ამ წლებშიაც ზრდიდა ჩვენი მწერლობა ქართველ ხალხს პატრიოტიზმის იდეებით. ამ მხრივაა საინტერესო არაგვისპირელის ნოველები: „მიწა“, „ჩემი სამშობლო ჩემი გულია“. ამავე საკითხს მიუძღვნა ჯ. ლომთათიძემ თავისი მოთხრობა „უბის წიგნიდან“. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მესამე დასის მწერლებმა სცადეს თავისებური სიახლე შეეტანათ ნაციონალური საკითხის გადაწყვეტაში. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ჯ. ლომთათიძის ზემოდასახელებული მოთხრობა, სადაც ავტორი გავვიმარტავს, რომ „ქართველთა

მთელი ისტორია არის ბრძოლა თავდაცვისათვის; ჩვენ თავს ვიცავდით მაკედონელის ლაშქრისაგან, ვებრძოდით მურვან ყრუს, ჩინგისხანს, შაჰაბაზს, ალა მამად ხანს, ლანგ თემურს, ოსმალოსა და სხვა დამპყრობელებს. ასევე ვებრძოდით ჩვენ შინაურ მტერს, თავადაზნაურობას და სამღვდლოებას, ყველა იმას, ვისაც უნდოდა მშრომელი ხალხის მოსპობა“. ჟოლას აზრით, ეს ბრძოლა ახლაც გრძელდება. ამ ბრძოლაში ქართველი ხალხი გაიმარჯვებს, რადგან იგი თავის ბედს უკავშირებს სხვა ერის დაჩაგრულთა ბედს. ქართველი ხალხის მეგობარია ყველა სხვა ხალხის დაჩაგრული ნაწილი. ამ ერთობამ, ხალხთა შორის ძმურმა, ინტერნაციონალურმა კავშირმა უნდა გადაწყვიტოს ხალხების მომავალი თავისუფლების ბედი. ეს იყო შედარებით ახალი შტრიხი, რომელიც შეიტანა ახალმა თაობამ ამ რთული საკითხის გადაწყვეტაში.

იმდროინდელი ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი თემა იყო იმ ახალი ტიპის ინტელიგენციის გამოსახვა, რომელიც 900-იან წლებში ჩაისახა და რომელმაც თავისი ბედი მშრომელ ხალხს დაუკავშირა. მუშათა და გლეხთა წრიდან გამოსული ეს რევოლუციური ინტელიგენტები ხალხის ინტერესებისათვის დაუცხრომელი მებრძოლები არიან. მოვიგონოთ ნინოშვილის სპირიდონ მცირიშვილი („ჩვენი ქვეყნის რაინდი“), ლალიონის ვიქტორ აგიაშვილი („თინა“), ჯ. ლომთათიძის ჯეირან ვარდოსანიძე („სახრჩობელას წინაშე“), სანდრო და ვანო („მატლი“).

იმდროინდელი ქართული მწერლობისათვის დამახასიათებელი დემოკრატიზმი წარმოადგენდა ქართული კლასიკური მწერლობის ჰუმანიზმისა და დემოკრატიზმის ახალ საფეხურს. ამასთან დაკავშირებით ახლებურად დაისვა ქართულ ლიტერატურაში ხელოვნების დანიშნულების საკითხი. ახალი დასის მწერლობამ ახალ საფეხურზე აიყვანა ი. ჭავჭავაძის სკოლის მიერ დამუშავებული რეალისტური კონცეფცია, მას თავისებური სოციალური შინაარსი გამოუძებნა. ახალი თაობის აზრით, მწერლობა უნდა ემსახურებოდეს არა ზოგადად ხალხს, არამედ კერძოდ მშრომელ ხალხს, მუშათა კლასს (მოვიგონოთ ევდოშვილის „მუზა და მუშა“).

ამ პერიოდის ქართული ლიტერატურის მთავარი მონაპოვარი მაინც ის არის, რომ მთელი სისრულით გამოჩნდნენ მუშათა კლასის წარმომადგენლები, პროლეტარიატის მებრძოლი სახეები. მწერლობაში მთელი ხმით გაისმა რევოლუციისათვის თავდადებულ ადამიანთა მომავლის რწმენით გამოთბარი ხმა. თუ მანამდის ჩვენს ლიტერატურაში მუშა წარმოდგენილი იყო მხოლოდ აღწერითი სახით, შებრალებისა და მოწყალების თვალთ—ახალმა მწერლობამ მუშათა კლასი აჩვენა როგორც მომავალი ცხოვრების ბატონ-პატრონი, თავისი ბედის მკედელი, რომელსაც შესწევს ძალა და უნარი ძირს დასცეს კაპიტალისტური ცხოვრების მმართველობის წესი, მიწაზე დაანარცხოს თვითმპყრობელობის ტახტი. ამ პერიოდის ქართული ლიტერატურა, მწვავედ ამხილებდა რა ბურჟუაზიულ ცხოვრებას, სიყვარულით ხატავდა უსამართლობის წინააღმდეგ შეგნებული მებრძოლი მუშის სახეს (მოვიგონოთ ევდოშვილის „სალამო ქალაქში“, „მუზა და მუშა“, ლალიონის „შემთხვევა“, „ესაა ჩვენი ბედნიერი დღე“, არაგვისპირელის „მოვიდა მოგვი აღმოსავლეთით“ და სხვ.). ეს თაობა აჩვენებდა არა მარტო მუშათა კლასსა და კაპიტალიზმს შორის გაჩაღებულ შეურიგებელ ბრძოლას, არამედ ასახავდა იმ გზასაც, რომელსაც უნდა ეხსნა შრომა ექსპლოატატორებისაგან. ეს გზა არის გზა ბრძოლისა, რევოლუციისა (ევდოშვილის „მეგობრებს“, „სიმღერა“, არაგვისპირელის „სამარცხვინო ბოძთან“, ლომთათიძის „სახრჩობელას წინაშე“ და სხვ.).

ახალი დასის მწერლების ნაწერებს წითელ ზოლად გასდევს კლასობრივი ბრძოლის პრინციპი, მათი აზრით, კლასების მორიგება არაფითარ ძალას არ შეუძლია, მათ შორის, არც ეროვნულ დროშას. მიმავალსა და მომავალს შორის, ძველსა და ახალს შორის გააფთრებულ ბრძოლაში წამყვანი როლი ეკუთვნის რევოლუციურ მუშათა კლასს. მართალია, ეს პრინციპი ყოველთვის არ არის თანმიმდევრულად დაცული ახალდასელთა შემოქმედებაში, მაგრამ მაინც ფაქტია, რომ აქ აქცენტი ყოველთვის კლასთა ბრძოლაზეა, ღარიბი გლეხკაცობისა და მუშათა კლასის შეურიგებელ ბრძოლაზეა. მიუ-

ხედავად შეცდომებისა და სუსტი მხარეებისა, ისინი გაჰყვნენ რევოლუციური მუშათა კლასის ბრძოლის გზას და შეეცადნენ მისი ინტერესების გამოხატვას მხატვრული სიტყვის საშუალებებით. ასე დადგა ამ პერიოდის ქართული მწერლობის ცენტრში რევოლუციური მშრომელი ხალხის ცხოვრება. ეს თემა თანდათანობით 900-იან წლებში, განსაკუთრებით 1905 წლის რევოლუციის ქარბუქიან დღეებში წამყვან და ცენტრალურ თემად იქცევა.

ამგვარად, 90—900-იანი წლების ქართული ლიტერატურა კლასიკური ქართული მწერლობის, მასში გამოხატული პატრიოტიზმის, ჰუმანიზმის, დემოკრატიზმის მოწინავე ტრადიციების უშუალო და პირდაპირი განვითარებაა. მაგრამ იგი არ არის XIX საუკუნის ქართული მწერლობის უბრალო გაგრძელება. ეს არის ერთგვარი დიალექტიკური პროცესი ძველისაგან ახლის გამოყოფისა და, როგორც ასეთი, იგი მოიცავს მთელ რიგ ახალ მომენტებს, ახალ თვისებებს, რომლებიც მანამდელი ქართული მწერლობისათვის არ ყოფილა დამახასიათებელი. ეს ახალი გარემოება უშუალოდ უკავშირდება ამ პერიოდში სამოქმედო ასპარეზზე გამოსულ რევოლუციურ მუშათა კლასს.

* * *

ქართული მწერლობის ამ ახალთაობის, რევოლუციური მუშათა კლასის მწერლობის სახე ყველაზე უფრო სრულყოფილად 1905 წლის რევოლუციის ქარბუქიან წლებში გამოჩნდა. 1905 წლის რევოლუცია უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა იყო მაშინდელი რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამ რევოლუციამ მტკიცე საფუძველი ჩაუყარა რუსეთის ტერიტორიაზე მოსახლე მთელი ჩაგრული ხალხების ერთიან რევოლუციურ ფრონტს ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელსაც სათავეში გმირული პროლეტარიატი ჩაუდგა. როგორც სამართლიანად აღნიშნა დიდმა ლენინმა, ეს იყო 1917 წლის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გენერალური რეპეტიცია. ამ რევოლუ-

ციამ მებრძოლი პოლიტიკური ცხოვრებისა და ბრძოლის ჩაუქრობელი ცეცხლით გაანათა საზოგადოებრივი მოძრაობის მთელი ისტორია, ბრძოლაში ჩააბა მილიონობით მუშა და გლეხი, მოწინავე ინტელიგენცია. ჩვენი ხალხის გამათავისუფლებელ მოძრაობაში ეს პირველი დიდი საეტაპო მოძრაობა მოქმედებაში მოიყვანს მთელ ჩვენს მოწინავე პროგრესულ ძალებსა და საშუალებებს.

1905 წლის რევოლუცია გახდა ფრიად სერიოზული სკოლა ხალხის პოლიტიკური აღზრდისა. მან კეთილმყოფელი გავლენა მოახდინა მხატვრულ ლიტერატურაზედაც. ქართული მხატვრული მწერლობა, მისი პროგრესული წარმომადგენლები რევოლუციის ქარბუქიან დღეებში გვერდში ამოუდგნენ ხალხს ცარიზმის წინააღმდეგ გააფთრებულ ბრძოლაში. საბრძოლო ლექსებითა და მოწოდებებით აღაგზნებდა ხალხს ქართული რევოლუციური პოეზია. მთელი ჩვენი მწერლობა რევოლუციურმა საბრძოლო ხმამ და განწყობილებამ მოიცვა. ამ საბრძოლო განწყობილებამ ყველაზე მკვეთრად თავი იჩინა ევდოშვილის პოეზიაში. ევდოშვილი იყო ამ რევოლუციური საბრძოლო ლირიკის მეთაური, საბრძოლო პოეზიის ერთი მთავარი მესიტყვე. რევოლუციის ქარბუქიან დღეებში მოწოდებად გაისმოდა ევდოშვილის მებრძოლი ხმა.

გავშალოთ წითელი დროშა,
წინ, წინ გავსწიოთ მტერზედა,
მას უყვარს თავისუფლება,
ვინც მიდის ბრძოლის ველზედა.

ევდოშვილის პოეზიაში მტკიცედ გამოიხატა რწმენის, მშრომელი ხალხის გამარჯვების, შეერთებული ძალის უძლეელობის იდეა. ევდოშვილს სწამდა, რომ ხალხის განთავისუფლების საქმე მხოლოდ რევოლუციური ბრძოლის გზით შეიძლება. და როდესაც მან თვალით იხილა საბრძოლველად ამხედრებული ხალხი, მთელი გულწრფელობით მიესალმა თავისუფლებისათვის მებრძოლ პროლეტარიატს, მგზნებარებით უმღერა რევოლუციის ქარიშხალს:

წითელი დროშა გავშალოთ,
საქვეყნოდ ავაფრიალოთ,

გავიდეთ ბარკადებზე
ხანჯალი დავატრიალოთ,
შეეფიცოთ, ძმებო, ერთმანეთს
რომ არ ვუმტყუნებთ ბრძოლაში,
არცა ვინ უკან დაიხვეს,
ტყვიის წვიმის ქვეშ სროლაში.

ი.რ. ევდოშვილის ამ საბრძოლო ყიჟინას ხმას უერთებდა იმ პერიოდის ახალგაზრდა რევოლუციონერთა მთელი თაობა. ჩვენს ქურნალ-გაზეთებში 1905—1908 წლებში უხვად იბეჭდებოდა ნ. ჩხიკვაძის, ვ. რუხაძის, გ. ქუჩიშვილის, შ. დადიანის, დ. თურდოსპირელის, ნ. ზომლეთელის, იასამანის ბ. ახოსპირელის, პ. ირეთელის, დ. მეგრელის, ს. გოშაძის, ლ. ახოზაძის, ი. ეკალაძის, ი. მკედლიშვილის, ს. ფაშალიშვილის, ე. ჯორჯიკიას, აზიანის, შ. მღვიმელის, დ. თომიშვილი, ბაბილინას და სხვათა ლექსები. მათში მეტნაკლებად გამოხატული იყო 1905 წლის რევოლუციით შექმნილი საბრძოლო განწყობილება.

მე-20 საუკუნის რევოლუციური ეპოქა, კერძოდ, 1905 წლის რევოლუცია ისეთი დიდი მასშტაბისა იყო, რომ მას თავისი ხარკი გადაუხადა ამ პერიოდის ყოველმა ლიტერატურულმა ჯგუფმა, ეს იქნება ნ.ო-იან წლების ეროვნულ-საგანმათავისუფლებლო მიმართულების მწერლობა, ხალხოსნები თუ დეკადანსის ისეთი მწერლობა, რომელიც კვლავ ძველ საქართველოს მისტიროდა. ჩვენ მხედველობაში გვაქვს კოტე მაყაშვილის ამ პერიოდის რევოლუციური ლექსები.

მე-20 საუკუნის რევოლუციის გავლენას ვხედავთ ჩვენ იმ დემოკრატიული მწერლების ერთ ნაკადშიაც, რომლებიც დრამატურგიის დარგში მუშაობდნენ უმთავრესად. ესენია ტ. რამიშვილი, ი. გედევანიშვილი, ია ეკალაძე, ნ. შიუკაშვილი. მათი პიესების მთავარი გმირები არიან დემოკრატიული წრის დაბალი ფენა, რევოლუციონერები, რომლებიც უსამართლობისა და ჩაგვრის წინააღმდეგ იბრძვიან.

1905 წლის რევოლუციას ახალ თაობასთან ერთად დიდი გულმხურვალეობით გამოეხმაურნენ ჩვენი სახელმძღვანელო კლასიკოსებიც. აქ განსაკუთრებით აღსანიშნავია აკ. წერეთლის დამსახურება.

ჩვენმა დიდმა კლასიკოსმა გულწრფელად უმღერა 1905 წლის რევოლუციას. ამ სახალხო მოძრაობას უძღვნა მან ლექსები— „თქვენი ქირიმე“, „ნატვრა“, „გაზაფხული“, „ძირს“, „სიტყვა“, „რჩევა“, „ჩემი რწმენა“ და სხვ., ამ რევოლუცი-
აში დაინახა სახელმძღვანელო პოეტმა ხალხის განთავისუფ-
ლების იმედი, აღტაცებით შეეგება უსამართლობის, თვით-
მპყრობელობის ტახტის დასამხობად ამხედრებულ ხალხს. სა-
ხალხო მოძრაობაში მუშა ხალხის მოწინავე როლიც შენიშნა:

აღსდქ, ყოველი მხრის მუშავ,
გაიღვიძე, პროლეტარო,
ჩვენვე უნდა მოვუპოვოთ
ჩვენს თავს აწ დრო სანეტარო.

რევოლუციის მიერ გამოღვიძებული ხალხის ძალა მტკი-
ცედ ირწმუნა და იწამა ქალარა პოეტმა:

გამოიღვიძა ხალხმა მძინარმა,
რომ მოიპოვოს თავისუფლება,
სიტყვის, მწერლობის, კრება-ერთობის,
და აასრულოს საერთო ნება.
შრომა ხალხისა, შეერთებული,
ძალთა ძალია სტიქიონური,
ვერ შეაჩერებს მას ვერაფერი,
გინდ ბრძანებაცა იყოს მეფური.

ხალხის საბრძოლო ყიჟინას გულწრფელად ეხმაურებოდა
პოეტის მომწოდებელი სიტყვები:

ძირს, ძირს მთავრობა უსამართლო,
ველარ ვიტანთ გასაკვირსო,
ყოველ მხრივ გვეძახიან,
ძირს მთავრობა, აწ კი ძირსო.

თვითმპყრობელობის დასამხობად აღგზნებულ ხალხს აკ.
წერეთელმა მისთვის ჩვეული მაღალი ოსტატობითა და რევო-
ლუციის სიყვარულით გამსჭვალული არა ერთი და ორი შე-
სანიშნავი ლექსი უძღვნა. ამასთან ერთად აკ. წერეთელმა
რევოლუციის ქარბუქიან დღეებში თარგმნა საერთაშორისო
მუშათა კლასის რევოლუციური ჰიმნი ინტერნაციონალი. აი
ეს ლექსიც:

ინტერნაციონალი (მარსელიოზას ხმაზე)

აღსდგე, ყოველი მხრის მუშა!
გაიღვიძე, პროლეტარო,
ჩვენვე უნდა მოვუპოვოთ
ჩვენ თავს აწ დრო სანეტარო.
უნდა მტერი დავამარცხოთ,
ძალმომრევი, უსაძართლო,
რა გვაქვს მასთან ჩვენ საერთო,
საპირფერო ან სამადლო?
ეს იქნება საბოლოო შეტაკება...
მწარე ომი,
და თუ ვძლიეთ, ჩვენთან ერთად
გაიხარებს ყველა ტომი...
ეს ლა მხოლოდ დაგვრჩენია,
ამით ვფიქრობთ თავის დახსნას,
გაუმარჯოს მშიერ მუშას,
მის მკლავსა და მის მარჯვენას.
სხვა სუყველა ტყუილია:
ლმერთი, მეფე, ვინმე გმირი,
ძალა არის შეერთება,
ერთი ლხინი, ერთი ჭირი.
მსხვერპლი უნდა დიად საქმეს,
კავშირი და შეერთება.
საბერველს რომ დაუბერვენ,
რკინა მაშინ ფოლადდება.
ჩვენც დაუბეროთ, თავს ნუ ვზოგავთ,
საბოლოო მწარე ომი,
მხოლოდ ჩვენის გამარჯვებით
გაიხარებს ყველა ტომი.
მოცლილ ხალხის მუქთახორას
ამ ქვეყნად რომ დაწანწალებს,
ნამუშევარს ტაცებს ლარიბს
და უკიდებს გულში ალებს.
უნდა დავცეთ თავზე მენი,
გაურჯელად ვინც ნეტარებს,
გაუმარჯოს მხოლოდ შრომას,
მუშებსა და პროლეტარებს,
ყოველი მხრის მუშა ხალხი
დროა შევკრბეთ, ნუ გაქვთ შიში,
უნდა მედგრად მივიტანოთ
იმ ჩვენს მტრებზე იერიში.

ეს იქნება საბოლოო
მშრომელ ხალხის მწარე ომი,
ეს დაგვისხნის მხოლოდ და მით
გაიხარებს ყველა ტომი.“

აკაკის მიერ თარგმნილი „ინტერნაციონალის“ ტექსტი გამოქვეყნდა 1906 წელს ცნობილი ქართველი მსახიობის კოტე მესხის მიერ დაარსებულ ყოველდღიურ გაზეთში—„პატარა გაზეთი“. ამ ტექსტის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით გაზეთი აკრძალეს, მისი რედაქტორისა და „ინტერნაციონალის“ მთარგმნელის აკ. წერეთლის წინააღმდეგ კი აღძრულ იქნა სასამართლო საქმე. მაგრამ ამ ლექსს ვერც აკრძალვამ, ვერც მუქარამ ვერ გადაუღობა გზა ხალხისაკენ. იგი ზუსტად ეფარდებოდა ხალხის რევოლუციურ საბრძოლო სულისკვეთებას, გამოხატავდა მებრძოლი მუშებისა და გლეხების მიზანსწრაფვას, ხალხი იზეპირებდა უბრწყინვალესი პოეტის მიერ თარგმნილ სტრიქონებს და, მასში გამოხატული საბრძოლო განწყობილებით აღფრთოვანებული, გამირულად იბრძოდა ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ.

აკ. წერეთელთან ერთად 1905 წლის რევოლუციის ქარბუქიან დღეებში ვაჟა ფშაველაც გვერდში ამოუდგა ამბოხებულ ხალხს და თავისი მაღალი პოეტური მომწოდებელი სტრიქონებით აღაგზნებდა მას.

ამგვარად, 1905 წლის რევოლუციურმა ეპოქამ თავისი მებრძოლი სული მწერლობაშიაც შეიტანა. ამ ეპოქის ქართველი მწერლობის მოწინავე ძალა მკიდროდ დაუკავშირდა რევოლუციურ მუშათა კლასსა და გლეხობას. ასე გაერთიანდნენ რევოლუციის სამსახურში ხალხისა და მწერლობის ინტერესები. რევოლუციურ მუშათა კლასსა და გლეხობას ჰყავდა თავისი მეგობარი და თანამებრძოლი მხატვრულ მწერლობაში.

1905 წლის რევოლუციის ქარბუქიან დღეებში გამოვიდა ლენინის გენიალური შრომა „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“. ამ შრომაში ვლადიმერ ილიას ძე ლენინმა პირველად წამოაყენა და დაასაბუთა ლიტერატურის პარტიულობის პრინციპი. ლენინი პარტიული ორგანიზაციებისაგან მოითხოვდა „მთელ ამ მუშაობას (ლაპარაკია ლიტე-

რატურული ორგანიზაციების მუშაობაზე, ს. კ.) თვალყური უნდა ადევნოს ორგანიზებულმა სოციალისტურმა პროლეტარიატმა, მან უნდა გაუწიოს კონტროლი ყველაფერ ამას. მთელ ამ მუშაობაში უკლებლივ, უნდა შეიტანოს ცოცხალი. პროლეტარული საქმის ცოცხალი ნაკადი, და ამრიგად ყოველგვარი ნიადაგი გამოაცალოს ძველთაძველ, ნახევრად ობლომოვისებურ, ნახევრად ჩარჩულ რუსულ პრინციპს: მწერალი თავისთვის წერს, მკითხველი თავისთვის კითხულობს“.

* * *

1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ ლიტერატურაში, ისე როგორც მთელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. ცარიზმმა ბურჟუაზიასთან ბლოკის გზით მოახერხა პირველი რევოლუციის ჩახშობა. გამარჯვებული რეაქცია სდევნიდა. ყოველივე მოწინავე და პროგრესულ აზრს, „მათრახისა და სახრჩობელას მთავრობა“ სასტიკად უსწორდებოდა რევოლუციურ ძალებს. ცარიზმის სისხლიანმა რეპრესიებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააქარბა, რეაქციის რეჟიმი მთელი გაბოროტებით დაატყდა თავს მშრომელ ხალხს.

„ზერელე მეთვალყურეს შეიძლებოდა მოჩვენებოდა, რომ რევოლუციების ეპოქა სამუდამოდ ჩაბარდა წარსულს, რომ დადგა პრუსიის ყაიდაზე რუსეთის „კონსტიტუციური“ განვითარების პერიოდი. ლიკვიდატორ-მენშევიკები ამას აშკარად გაიძახოდნენ და სტოლიპინური ლეგალური მუშათა პარტიის შექმნის საქიროებას ქადაგებდნენ.“ (ი. სტალინი, თხზულებანი. ტ. 5, გვ. 141—142).

სტოლიპინის რეჟიმის ზეიმი მწარედ იგემა საქართველოს ხალხმაც. ცარიზმის რეპრესიებმა დიდი ზიანი მიაყენა რევოლუციის მოწინავე ძალებს.

კონტრრევოლუციის შეტევა მწვავედ შეეხო ინტელიგენციის ფრონტსაც. რეაქციის ძალების ამ სასტიკ შემოტევას როდი გაუძლეს რევოლუციის წლებში არსებულმა პარტიებმა. რეაქციის პერიოდში აშკარად გამოჩნდა მენშევიზმის 3. სერგი ჭილაია

წვრილბურთუაზიული ხასიათი. მენშევიკებმა ხელი აიღეს რევოლუციაზე, დაიწყეს მარქსიზმის გადასინჯვა და რევიზია. ერთადერთი პარტია, რომელმაც ამ შაებნელ ეპოქაში ბოლომდე გაუძლო განსაცდელს და თანმიმდევრულად დაიცვა მარქსიზმი ყოველგვარი გაყალბებისაგან, ბოლშევიკების პარტია იყო. წვრილბურთუაზიული პარტიების ინტელიგენტური წრის დაბნეულობა და რღვევა მკაფიოდ გამოჩნდა რეაქციის წლებში.

1905 წლის რევოლუციის დამარცხებამ რევოლუციის თანამგზავრთა წრეში რღვევა გამოიწვია, კერძოდ, გაძლიერდა დაცემულობის განწყობილებანი ინტელიგენციაში. თანამგზავრები რეაქციის დღეებში თანდათანობით ჩამოშორდნენ პარტიას. ზოგი მათგანი რევოლუციის მტრების ბანაკში გადავიდა, ნაწილი კი ლეგალური საშუალებით ცდილობდა სახელი გაეტეხა პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლისათვის. ისინი შორდებოდნენ რევოლუციას და ურიგდებოდნენ ცარიზმს.

აღსანიშნავია, რომ ეს მერყეობანი გამოვლინდა ამ პერიოდის მწერლობაშიც. სწორედ ამ პერიოდში იჩენს თავს ლიტერატურაში მოდური დეკადენტური იშემები, რომლებიც რეალიზმის წინააღმდეგ გამოდიოდნენ, ხობტას ასხამდნენ სქესობრივ გარყვნილებას, აღვირახსნილობას და ბოჰემას.

ასეთი იყო ის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ატმოსფერო, რომელიც შავი ბურჟუსით ჩამოაწვა რევოლუციის მიერ გაცისკროვნებულ ცას. რეაქციის გავლენა შეეხო ქართულ ლიტერატურასაც. სევდიანი განწყობილებანი, მისტიკური მოტივები, ყოველგვარი დეკადენტური მოდეები ფართო გავრცელებას პოულობენ იმდროინდელ ჩვენს მწერლობაში. ეს განწყობილებანი დაეუფლა რევოლუციური მწერლების იმ ახალ დასსაც, რომელიც 1905 წლის რევოლუციის ქარბუქიან დღეებში მებრძოლი ხალხის მტკიცე ყავარჯენი იყო ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ. წანა პლანზე წამოიწია სუბიექტური ლირიკის საწყისები. პიროვნული უკმაყოფილებისა და სევდის მოტივები ფართო გავრცელებას პოულობს ევდოშვილის სკოლის მწერლებშიც. იწყება ახალმოდური სკოლების შექმნა.

ამ პერიოდის ლიტერატურულ პრესაში ფართოდ იკიდებს ფეხს უცხოეთის და რუსული სიმბოლისტური, დეკადენტური სკოლების ხოტბა და პროპაგანდა. ედგარ პოს, მეტერლინგის, ბოდლერის, არტურ რემბოს, ვერლენის, ბალმონტის, ბლოკისა და სხვათა ხოტბას თან სდევს გატაცება მათი იდეური პოზიციითა და გადაფასება და უარყოფა კლასიკური და, განსაკუთრებით, რევოლუციურ-დემოკრატიული სკოლის პრინციპებისა. ეს „მოდური მოძრაობა“ თავდება 1916 წელს ცისფერყანწილების სიმბოლისტური სკოლის ჩამოყალიბებით.

ასეთია ამ პერიოდის ლიტერატურული სახე ერთი თვალის გადავლევით.

მაგრამ ეს დახასიათება არ არის სრული. ჯერ ერთი, უნდა შევნიშნოთ, რომ იმდროინდელი ყველა მწერალი სევდიან, მისტიკურ განწყობილებას თვითმიზნური ლიტერატურული პრინციპებით როდი ასაბუთებს. ბევრი მათგანი, და, განსაკუთრებით, მესამე დასის მწერლები სევდის, ცრემლის, მწუხარების განწყობილებათა გამოხატულების მიზეზს რევოლუციის დამარცხებას უკავშირებს, სოციალურ-საზოგადოებრივ ახსნას აძლევს. ეს გარემოება ისე ნათლად და გარკვევით არის გამოხატული მათ ნაწერებში, რომ ჩვენ უფლება არა გვაქვს არ განვასხვაოთ ეს სევდიანი სტრიქონები სიმბოლისტური სკოლის თვითმიზნური მისტიციზმისაგან. სიმბოლისტების სევდას საფუძვლად ედო მათი „ფილოსოფიური“ თეორია, საზოგადოდ, ამქვეყნიური ცხოვრების უარყოფა, მასთან დაპირისპირებით იდეალურ სამყაროდ საიქიოს გამოცხადების აზრი. სიმბოლისტების მისტიკური თეორია ანტიხალხური, ანტიდემოკრატიული იყო, მათგან განსხვავებით მესამე დასელების მწერლების ირ. ევლოშვილის, შიო არაგვისპირელის, კოლა ლომთათიძის, ლალიონის, ნ. ჩხიკვაძის, ვ. რუხაძის, გ. ქუჩიშვილის და სხვათა სევდიან განწყობილებას მეტწილად სოციალურ-საზოგადოებრივი ახსნა ჰქონდა. მართალია, მესამე დასელთა შემოქმედებაშია ციფრძნობა დეკადენტური მოდების მანე გავლენა, მაგრამ ისინი ცდილობდნენ ბოლომდე დარჩენილიყვნენ სოციალური სანოქალაქო ლირიკის ერთგულნი და ამ მხრივ

გამიჯნოდნენ ანტირევალისტურ დეკადენტურ სკოლებს. რეაქციის ეპოქის საზოგადოებრივი და სულიერი ცხოვრების საერთო მოდუნება თავის გამოხატულებას, რასაკვირველია, პოულობს მესამე დასელთა შემოქმედებაშიც. რეაქციის მძიმე წლების საზოგადოებრივი ვითარება სევდიანად აკენესებდა ამ თაობათა იმ სახელოვან ჯგუფს, რომელმაც რევოლუციის ქარბუქიან დღეებში განსაკუთრებით გაითქვა სახელი. რევოლუციის ნიჭიერი ტრიბუნი ირ. ევდოშვილი ასე მოთქვამდა:

ბნელა, არა ჩანს ცაზე ვარსკვლავი,
ამოდ ვეძებ ღრუბლებში მთვარეს.
მინდა ფიქრები, შავი ფიქრები
გადავივიწყო, მივცე სამარეს!
მაგრამ ამოდ, ვით გველი მკერდზე,
გულში სისინებს მწარე ნაღველი
და ამ წყვილიაღში მოწამლულ ნექტრით
მჩხვლეტავს და მიშლის გულდამწველ ფიქრებს.
ღამეა. ბნელა. მესმის ხმა გმირთა,
ხმა მეგობრების ჩამტყნარ ბაგესი,
და ხელში მითრთის, ხელში კანკალებს
მახვილი სისხლში ამონალესი.

ასეთია ამ ლექსში („გმირთა საფლავებს“) გამოხატული სევდიანი განწყობილება. ირ. ევდოშვილი სევდიანი განწყობილების, მწუხარების გამომხატველი ფიქრების მიზეზს სამართლიანად მიაწერს რეაქციის საზოგადოებრივი ცხოვრების საერთო ხასიათს. იგი კარგად ხედავს, რომ „შეპყრობილი და ბორკილგაყრილია“ არა მარტო თვითონ, როგორც პოეტი და მოქალაქე, არამედ ამგვარი პოლიტიკური უსამართლობის მსხვერპლი გამხდარა თვით მისი სამშობლო. სულთამხუთავი რეაქციის პარპაშით გულდათუთქული პოეტი ასე მიმართავდა უფლებააყრილ თავის სამშობლოს:

რით მოგეშველო, მონათ ქვეყანავ,
მე თვითონ ხელ-ფეხს მადევს ბორკილი,
ოხ, როდის დავწყვეტ ჯაჭვს მონობისას,
შენც შეპყრობილი, მეც შეპყრობილი.

ასე ძლიერადაა დაკავშირებული პოეტი თავის სამშობლოსთან, მის საზოგადოებრივ ცხოვრებასთან. ამ სინამდვილით აღელ-

ვებული პოეტი სევდიანად მოთქვამდა თავის ბედზე, ხალხის ბედზე, სამშობლოს ბედზე. ანალოგიურ განწყობილებას ვპოულობთ ევლოშვილის სკოლის ცნობილი წარმომადგენლის გიორგი ქუჩიშვილის პოეზიაშიც. პოეტი ხედავს, რომ გარშემო ტირილი და მოთქმა გამეფებულა. ბუნებაც მწარედ გოდებს ადამიანის უნუგეშო ბედზე. გულმოკლული პოეტი კითხულობს: „მთის ნიავე ვის ტირის, ვის დაქვეითინებსო“, და უპასუხებს: „ცხარე ომში დახოცილებს, უანგარო ხალხის შვილებსო“.

ხალხის ეს სახალხო უბედურება გულს უღრღნის პოეტს. მისი ჩანგიც მწარედ დასტირის უთანასწორო ბრძოლაში დამარცხებულ ხალხის ბედს. იგი გულწრფელად ამბობს:

და მას შემდეგ ანატირი
დაქვეითინებ გმირთ სამარეს,
ეს არის ჩემი სევდა-ჰირი
ამას შევკვნესი არე-მარეს.

მსგავს განწყობილებათა გამოხატულებაა ირ. ევლოშვილის სკოლის მეორე პოეტის თურდოსპირელის ლექსებშიაც. მოგუსმინოთ მას:

თვალწინ მიდგა ცხოვრების გული,-
უმანკო სისხლით უხვად მორწყული,
ვთვლი, ვანგარიშობ შეწირულ მსხვერპლსა
და მწარედ, მწარედ მიკვნესის გული.

ამგვარად, მესამე დასელთა წარმომადგენლების სევდიან და მისტიკურ განწყობილებას ჩვენ ვერ შევეუდარებთ ამ პერიოდის დეკადენტური, სიმბოლისტური სკოლების სევდასა და მისტიკას. მათ სხვადასხვა იდეური საფუძველი აქვთ, სხვადასხვა პრინციპი ამოძრავებთ. ამის მიხედვით სავსებით განსხვავებულია სევდიან განწყობილებათა სულიერი საფუძველი. მესამე დასელთა ცრემლნარევი სევდიანი განწყობილების მიზეზი რევოლუციის დამარცხებაა, რეაქციის წლებით გამოწვეული უკუღმართობა და უბედურებაა. მათი სევდა საზოგადოებრივი ხასიათისაა. ეს ასეა, მაგრამ მაინც ფაქტია, რომ რეაქციის წლებში მეტად ჭარბად წამოიწია წინ სევ-

დიანი და მისტიკური მოტივები ამ თაობის შემოქმედებაში. ერთგვარი დომინანტური მდგომარეობა მოიპოვა უიმედობის, სევდის, ცრემლის, უსასოების განწყობილებამ. ევდოშვილის, ლომთათიძის, არაგვისპირელის, ლალიონის შემოქმედებაში მკაფიოდ იჩინეს თავი დაცემულობის, დაღლილობის განწყობილებებმა. იგივე განწყობილებები მკაფიოდ გამოიხატა ამ პერიოდში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსულ ახალგაზრდა თაობის შემოქმედებაში. სანდრო შანშიაშვილი, იმდროინდელი ახალგაზრდა თაობის ერთ-ერთი ნიჭიერი პოეტი, რომელმაც თავისი პირველი ლექსები 1905 წლის რევოლუციას მიუძღვნა, 1908 წ. დაბეჭდილ ლექსში — „წყნარი სოფელი“ გულმოკლული შესჩივის სოფლის გაუტანლობას, უსიხარულო დღეებს, რომელთაც ხელი ააღებინეს მას იფიქროს ხალხის, სოფლის მომავალზე. მარტოობის საწამლავი შეჰპარვია მის პოეზიას:

მას შემდეგ დავგმე სოფელი,
სულსა შესძულდა ადამიანი,
დღეს მარტოა ჩემსა სიმღერას,
ცაში ვლალადებ ხმანადვლიანი.

ამ პერიოდის ახალგაზრდა თაობის მეორე ნიჭიერი წარმომადგენელი — იოსებ გრიშაშვილი ასე გვიხატავდა თავის მისტიკურ მისწრაფებებს:

არ მსურს შუქი,
ველტივ ჯოჯოხეთს,
მიყვარს სიბნელე,
თვალთა სისველე,
კავშნის ღელე,
მიყვარს ცრემლები,
თაყვანს ვცემ ნალველს.

უიმედობის განწყობილებაა დამახასიათებელი გ. ქუჩიშვილისთვისაც. ლექსში „საფლავზე“, რომელიც დაბეჭდილია 1909 წელს, ვკითხულობთ:

სიმებს ჩამოვკარ ხელი მთრთოლვარე,
ნალვლიან ჰანგით ავახშაურე,
ირგვლივ მოვდევი ხმა მგლოვიარე,
და ცრემლთ ნაკადი მდელოს ვაფრქვიე.

დამიჯენა გული, მომიკვდა რწმენა...
მიყუჩდა გრძნობა, გაქრა ღიმილი.
არ მსურს სიცოცხლე შხამ-გესლიანი,
მსურს სიკვდილი, მხოლოდ სიკვდილი.

ამგვარად, რეაქციის ეპოქამ თავისი დაღი დაასო მწერ-
ლობის ამ მოწინავე ფრთას, სევდისა და უიმედობის ბურუს-
ში გაახვია. მაგრამ, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს,
რომ რეაქციის შავბნელმა ძალებმა ვერ მოახერხეს ჩაეკლათ
ლიტერატურაში იმედისა და პერსპექტივის, ბრძოლისა და
გამარჯვების განწყობილებანი, სევდის, უიმედობის გამომხატ-
ველ ლექსებთან ერთად, ზემოაღნიშნული პოეტების შემოქ-
მედებაში გვხვდება ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც აქლე-
რებულთა ხალხის საბრძოლო სულისკვეთებით. იმ შავბნელ
დროში რევოლუციის ტრიბუნი ევდოშვილი კვლავ იმედით
წერდა:

კვლავ დაგვიდგება დრო და კენესა გადაიქცევა
მძაფრ ქარიშხლად, შეინანიებს მტერი უკმეხი.
ზიხლი და შური, ერთმანეთში შეერთებული,
მას სამუდამოდ დაეცემა, როგორც რომ მეხი.

ანალოგიური განწყობილებაა გამოხატული გ. ქუჩიშვილის
ლექსებშიაც. პოეტი ოპტიმისტური ხმით ლაღადებდა, მტკი-
ცე გადაწყვეტილებით ამბობდა:

არა, არა ვარ ჩვეული
სიმხდალის ცრემლის დენასა,
რაც დღემდის მწამდა, იგი მწამს,
ვერვინ შემიცვლის რწმენასა.
დიდი ხანია, რაც ვიძმე
ხალხის ჭირი და ვაება.
ერთია ჩვენი მიზანი:
ვახსნათ ტყვედ ქმნილი ღვთაება.

იმედით შეჰყურებდა მომავალს პოეტი ს. შანშიაშვილიც:

განთიადის მოლოდინში იცრემლება ბნელი ღამე,
ცა განათდა... შემოუსრა
ღამის ბინდი და წყვილიადი.
ვაშა, ვაშა, გიზაროდეთ განთიადი, განთიადი.

რწმენის, ხალხის გამარჯვების, თავისუფლების დღეების
მოსვლის იმედია გამოხატული გ. ტაბიძის ერთ-ერთ იმდრო-
ინდელ საუკეთესო ლექსში:

შორს ჩვენგან ღამის წყვილიაღი,
შორს, შორს, ბურუსო გრძნეულო,
თვალის ამხვევად შექმნილო
და ბორკილებად ქცეულო.
ჩვენ მზე გვსურს..
ხალხო, შეერთდით,
ხევით ასწიეს მზე, ხევით,
მის აღდგომასთან მნათობის
სხივებად გადავიქცევით.

მსგავს განწყობილებათა გამოხატულებას ვპოულობთ ჩვენ
იოსებ გრიშაშვილის, ალ. აბაშელისა და სხვათა შემოქმედე-
ბაში.

ოპტიმისტური ხმები გაისმოდა ისეთი პოეტების შემოქ-
მედებაშიც, რომელთა სახელები ლიტერატურის ისტორიას
არ შერჩენია. ასე მაგალითად: 1909 წელს ჟურნალ „ჩვენი
კვალის“ ერთ-ერთ ნომერში დაბეჭდილია ლექსი „მეგობ-
რებს“; სადაც ვკითხულობთ:

ის პირველი ტალღა იყო,
და პირველი ნიაღვარი,
რომ გარეცხა არე-მარე
გადალახა მთა და ბარი...
მეგობრებო, იმ ტალღაზე
ჩვენი ნავი აცურდება,
მანამდე კი გულს ნუ იტეხთ,
აგერ, წუთიც ახლოვდება.

ეს სტრიქონები ეკუთვნის ვინმე სირიაჩკონელს. ისინი ჩვენ
მოვიტანეთ იმის საბუთად, რომ რეაქციის პერიოდის ქარ-
თულ მწერლობას მძლავრად ასაზრდოებდა მომავლისა და
იმედის რწმენა, რეაქციამ ვერ მოახერხა ლიტერატურაში
ჩაექრო მებრძოლი განწყობილება, რომელიც 1905 წლის რე-
ვოლუციამ დაბადა ჩვენს ლიტერატურაში. ამ გარემოებით
აიხსნება ის ფაქტიც, რომ რეაქციის წლებში გააფთრებული
ბრძოლა წარმოებდა რევოლუციური რეალისტური მწერლო-

ბის ფრთასა და ანტიდემოკრატიულ დეკადენტურ სკოლებს შორის. მაშინდელი მოწინავე პრესა, მთელი ჩვენი პროგრესული სამწერლო ინტელიგენცია იბრძოდა ლიტერატურაში გამოხატული მისტიკური, ანტირეალისტური მოტივების წინააღმდეგ.

დამახასიათებელია ერთი ფაქტი. ზემოთ ითქვა, რომ ევდოშვილის მებრძოლ სკოლას ერთგვარი დაქვეითება დაეტყობო რეაქციის წლებში. თვით ირ. ევდოშვილმა, რომელსაც ასე მაღლა ეჭირა რევოლუციის პოეტის დროშა, რეაქციის წლებში თავისებური ხარკი მისცა უიმედობისა და უპერსპექტივობის მოტივებს. პოეტის ეს მერყეობა, ეს უკანდახევა საზიანო იყო რევოლუციური მწერლობის პოზიციებისათვის. ამიტომ იყო, რომ თვით ამ ჯგუფმა ამხილა ევდოშვილის მერყეობა. ჟურნალში „ჩვენი კვალი“ 1908 წელს დაიბეჭდა ლექსი სათაურით: „მოგონება“. ლექსს მიწერილი აქვს: ირ. ევდოშვილის ხსოვნას. ავტორი ხაზს უსვამს იმ დამახაზურებას, რომელიც ევდოშვილს მიუძღვის ჩვენი ხალხის წინაშე, რევოლუციის წინაშე. „ვით შეშვენის ხალხის შვილს, ხალხის შობილს, შეტრფოდით მშრომელ ხალხს, მისი კვნესა მიგაჩნდა შენს კვნესად და მაშვრალთა და ჩაგრულთა გულში აღვივებდი ბრძოლისა და გამარჯვების რწმენას. რევოლუციის ქარბუქიან დღეებში, როცა „მტარვალთ წაიჩოქეს ხალხის წინ და ვეშაპმა დაქრილივით დაიგმინა, შენ აღფრთოვანებით უმღერე ხალხის გმირულ ბრძოლას. შენ იყავი რევოლუციის ტრიბუნი, ახლა კი, ახლა, ოდეს სულს გვიხუთავს ეს შავბნელი რეაქცია, როცა ხალხის მონაქმედი დაემხო და დააქცია, რად დაივიწყეო შენ შენი მოწოდება, რათ შეწყვიტო სიმთა ჟღერა საიმედომ შენმე ჰანგმა“. ეს დამახასიათებელი ფაქტია: რევოლუციური პოეზიის მეთაურს— ევდოშვილს სევდიანი განწყობილების გამო ასე მკაცრად უსაყვედურებდა მისივე ბანაკის რევოლუციური მწერლობა. მეორე მხრით, ამ პერიოდის ანტიხალხური ბანაკი უქებდა ირ. ევდოშვილს ამ უკანდახევას: „ჩვენი პოეტი ბ-ნი ევდოშვილი, ერთ დროს პარტიული ცალმხრივობით შეკრულ-შეზოქილი, ჩვენდა სასიხარულოდ და მისი ტალანტის სასარ-

გებლოდ, დიდი ხანია განთავისუფლდა ასე ცალმხრივობისა-
გან და დღეს თავისუფლად აქლერებს თავის ჩანგსო“. ამ
ფაქტში მთელი სისრულით ჩანს ის ორი საწინააღმდეგო ბა-
ნაკი, ის ორი საწინააღმდეგო პოზიცია, რომლებიც ერთმან-
ნეთს ებრძოდნენ რეაქციის წლებში. ყოველი მოწინავე აზრი
რევოლუციას ემხრობოდა, ხალხის განთავისუფლებისთვის
იბრძოდა. ლიტერატურაში რევოლუციურსა და ანტიხალხურ
მიმდინარეობათა შორის ბრძოლა არ წყდებოდა. ამ პერიოდის
სოციალ-დემოკრატიული, რევოლუციურად განწყობილი
პრესა და ლიტერატორები უკან დაუხევლად იბრძოდნენ
ყოველგვარი დეკადენტური მოდების წინააღმდეგ. „თანამედ-
როვე აზრი“ წერდა: „პოეზია საშინლად დაეცა და გახრწნი-
ლების გზას დაადგა. დეკადენტობა, მოდერნიზმი და ფუტუ-
რიზმი, აი რა სახით მოგვევლინა ჩვენ ლიტერატურულ
ზნეთა და ტრადიციების დაცემა და გარყვნა, საერთოდ
მთელს რუსეთში და კერძოდ ჩვენშიაც. ეს ლიტერატუ-
რა მჭიდროდ დაკავშირებულია რეაქციის გამარჯვებასთან.
ისინი ბნელი ძალების ღვიძლი შვილები არიან და ამავე ძა-
ლებს ემსახურებიან და გუნდრუკს უკმევენ. მაგრამ იმათი
დღესასწაული და ვაკხანალია დიდხანს არ გაგრძელდება,
მზე კვლავ ამოვა და ნათელი გაიმარჯვებს.“

რეაქციის პერიოდის საზოგადოებრივმა და პოლიტიკურ-
მა ვითარებამ ქართულ ლიტერატურაში გამოიწვია ინტელი-
გენციის ბურჟუაზიული ფრთის გააქტივება. ეს გარემოება
შეიქნა დეკადენტურ-სიმბოლისტური სკოლების წარმოშობის
ერთგვარი საფუძველი.

დეკადენტურ მიმდინარეობას პირველად ფართოდ გაუ-
ლო კარი ეურნალმა „ფასკუნჯმა“ (1908—9 წ.). აქ დაიბეჭ-
და პირველად ედგარ პოს „შავი ყორანი“ — თარგმნილი
ს. შანშიაშვილის მიერ. ამას მოჰყვა სიმბოლისტურ-დეკადენ-
ტური სკოლის პოეტების ლექსების გადმოღება ქართულად
და ამ პოეტების ხოტბა-დიდება. განმეორდა ის, რაც საერ-
თოდ სიმბოლიზმის ისტორიას ახასიათებდა პირველ ხანებ-
ში. ცნობილია, რომ სიმბოლისტებმა საფრანგეთში, სადაც
აღორძინდა და წარმოიშვა პირველად ეს სკოლა, თავიანთი

მოღვაწეობა ედგარ პოს თარგმანებითა და, კერძოდ, „შავი
 ყორანის“ პროპაგანდით დაიწყო. იგივე განმეორდა რუსეთ-
 ში. ასევე მოხდა ჩვენშიც. რეაქციის წლების ლიტერატურ-
 რულ ჟურნალ-გაზეთებს შორის „ფასკუნჯის“ შემდეგ უფრო
 ძლიერად სიმბოლისტურ სკოლას თავისი ხარკი მიუძღვნა
 ჟურნალმა „ოქროს ვერძმა“ (1913 წ.). ეს „წმიდა ლიტერა-
 ტურული“ ჟურნალი, როგორც რედაქცია იცხადებდა, მიზ-
 ნად ისახავდა ახალი ცხოვრებისათვის ბრძოლას, ფორმისა-
 თვის ბრძოლის საფარველით ის ფართოდ უღებდა კარებს
 სიმბოლიზმს. ამავე ჟურნალში პირველად გამოჩნდა დეკა-
 დენტური პროზა. ამ გზას გაჰყვა ჩვენი დროის ცნობილი მწე-
 რალი ს. კლდიაშვილიც, ამ მხრივ დამახასიათებელია მისი
 რამდენიმე მინიატურა. ერთ მინიატურაში, რომელსაც ჰქვია
 „იყავ მარტო“, ვკითხულობთ: „იყავით მარტო, თუ გსურთ
 ამაღლდეთ და გარემოს მწიკვლმა და ტალახმა არ გააბინ-
 ძუროს თქვენი სიმშვენიერე... ვისაც გსურთ და გსურდეთ
 ამაღლდეთ და მზეს გაუტოლდეთ, იყავით მარტო... ვისაც
 გსურთ სიდიადე და გრძნეულობა, ჩაღრმავდით თქვენს სულ-
 ში და იყავით მარტო. სიდიადე თქვენი მოიპოვეთ მიწისაგან
 განშორებით. სიდიადეს შენ შექმნი სულის სიღრმეში, მო-
 იორებული დღის ავადმყოფ სინათლეს, ვისაც გსურთ შვება
 შპოვოთ, იყავით მარტო.“ ეს აზრი. ამოღებულია ტიპიური
 სიმბოლისტური დეკლარაციებიდან, მანიფესტებიდან. სიმბო-
 ლისტები მუდამ ამტკიცებდნენ, რომ პოეზიის, საზოგადოდ
 მწერლობის, საგანი არის პირადი მე, ჩაღრმავება საკუთარ
 სულში, საკუთარი ცხოვრების შესწავლა და ამის მიხედვით
 საკუთარ თავზე განცდა სიყვარულისა, ტანჯვისა, სიგიჟისა,
 სიმახინჯისა... ქართულ ლიტერატურაში ეს დებულებები და
 მოსაზრებანი, გადმოღებული უცხოური დეკადენტური მწერ-
 ლებისაგან, თავისებურად ეფარებოდა რეაქციის შავბნელი
 ეპოქის სულიერ განწყობილებას, მარტოობის მოტივებს,
 რასაც ფართო გავრცელება ჰქონდა ინტელიგენციის მერყევე
 ნაწილში. ჟურნალ „ფასკუნჯში“ და „ოქროს ვერძში“, იმ-
 დროინდელ სხვა ჟურნალებშიაც გამოთქმულმა ამ დეკადენ-
 ტურმა ცალკეულმა დებულებებმა და დეკლარაციებმა ნია-

დაგი შეუმზადეს საქართველოში სიმბოლისტური სკოლის წარმოშობას.

პირველი სიმბოლისტური სკოლა საქართველოში „ცისფერყანწელების“ ჯგუფი იყო. ცისფერყანწელებმა 1916 წელს გამოსცეს თავიანთი ჟურნალის „ცისფერი ყანწების“ პირველი ნომერი. იგი იხსნება პაოლო იაშვილის წერილით, — „პირველი თქმა“, რომელიც მოწოდებაა საქართველოს მგოსნების, ყველა მეოცნებისა და ქართველი ხალხის მიმართ. აქ ვრცლად არის გადმოცემული მიზნები და ამოცანები, რომლებიც ამ სკოლას ამოქმედებდნენ. წერილში ვკითხულობთ: „ისმინეთ ყველამ ჩვენი ქადაგება, მრავლის სასიკვდილოდ გავჩნდით ჩვენ ბინძურ მზით გამთბარ ქვეყანაში, სადაც ხალხმა დაკარგა შევენება სითამამისა. საქართველოს ლანდურ არსებას მოვევლინეთ ჩვენ ახალი სხივმოსილებით და ოცნებადაკარგულ ხალხს ვასწავლით გაწმენდილ გზას მომავლის ცისფერ ტაძრისაკენ... პირველი თქმა ჩვენი არის შხამური, იგი აღუღებულ ფოლადივით დასწვავს თქვენს გულს, უწმინდესი ხელოვანის მტერნო, თქვენ, ვისაც არ გწამს ხელოვანის მეფობა და მისი მაღალი ტახტის წინაშე არ აღიარებს სამუდამო ქვეშევრდომობას. სასიხარულო განახლება არის ჩვენში... გვწამს ყოველგვარი ორგია. ვადიდებთ დამსხვრევის მშვენიერებას, უარყოფთ წარსულს როგორც მზით განათებულს, ისე ღამეში შეწუხებულს. წარსულის ოქროს გვირგვინებს გამოვტაცეთ ძვირფასი მარგალიტები და გადავისროლეთ დავიწყების ზღვაში. ჩვენ გვინდა, რომ საქართველო გადაიქცეს უსაზღვრო, მეოცნებე ქალაქად, სადაც ცოცხალი ქუჩების ხმაურობა შეცვლის ყვავილოვანი ველების ზურმუხტობას... საქართველოს შემდეგ უწმინდესი ქვეყანა არის პარიზი. ადიდე, ხალხო, ეს ჩვენი მრისხანე ქალაქი, სადაც გიჟური გატაცებით ჯამბაზობდნენ ჩვენი ლოთი ძმები ვერლენი და ბოდლერი, მალარმე—სიტყვების მესაიდუმლე, და არტურ რემბო, სიამაყით მთვრალი დაწყევლილი ქაბუჯი“. ეს საკმაოდ ბუნდოვანი დებულებები ნასესხები იყო ფრანგი და რუსი სიმბოლისტების ანალოგიური დეკლარაციებიდან. საერთოდ, ბუნდოვანება და-

მახასიათებელი იყო არა მარტო მათი ლექსებისათვის, არამედ წერილებისთვისაც. მაგრამ, როგორადაც ბუნდოვანი არ უნდა იყოს ეს დეკლარაცია, მაინც ნათელია, რომ ცისფერყანწელები აცხადებენ პრეტენზიის შექმნან ახალი სკოლა, რომელიც იქნება წარსულის სკოლების უარყოფა და რომელსაც ექნება უშუალო კავშირი ფრანგი სიმბოლისტების, მათი „ლოთი ძმების“ თეორიებთან. ამავე ჟურნალის ერთ წერილში, რომელიც ეკუთვნის ტიციან ტაბიძეს, („ცისფერი ყანწები“), ვკითხულობთ: „ერთ ჩემ წერილში ვწერდი, რომ ჩვენში სიმბოლისტს ღამეც არ გაუთევია მეთქი. მე ამას ახლაც ვიმეორებ... მხოლოდ ახლა იწყება ხაზების გახსნა. მხოლოდ დღეს ხდება ეს შეჯგუფება. მართალია, ჯერ კიდევ ბინდია, მაგრამ ეს ბინდი საგარიჟრაჟოა“. წერილის ავტორი დასასრულ კითხულობს: „არის ნიადაგი ჩვენში სიმბოლიზმისათვის? ქართველ ხალხში ცხოვრობს უკვდავი აქტიორული სული, იმას უნდა მუდამ სხვა იყოს, იმას უყვარს თეატრალიზაცია ცხოვრების. რატომ იღებება ქართველი ქალი? ესეც ხომ მოდის ბრალი არ არის. ამას ჩვენში ხომ დიდი ისტორია აქვს. მიზეზი აქაც იგივეა. ეს აქტიორობა და თეატრალიზაციაა ცხოვრების. ეს ბუნება შეუსწავლელია ჯერ სრულიად. ქართველ ხალხს უყვარს ნიღაბი, სიმბოლიზმი სწორედ ფილოსოფიაა ამ ნიღბის, და ამიტომ სიმბოლიზმი ჩვენში აუცილებელია. ჩვენში მზადაა ნიადაგი მოდერნიზმისათვის“. ასე განმარტავდნენ ცისფერყანწელები სიმბოლიზმის ქართულ ნიადაგს და მის აუცილებლობას. სიმბოლიზმისა, რომელიც ევროპაში იყო ბურჟუაზიული კულტურის დეკადანსის, კაპიტალიზმის სიკვდილის მაუწყებელი განწყობილებით გამოწვეული შიშის, მერყეობისა და ცხოვრების უარყოფის მქადაგებელი ლიტერატურული სკოლა. ჩვენში კი ეს სკოლა შესაფერ ნიადაგს ვერ პოულობდა, იგი უცხოეთიდან მოტანილი ლიტერატურული მოძრაობა იყო. ამას არც ყანწელები ფარავდნენ. სიმბოლიზმი ჩვენში რომ უცხოეთიდან მოდის, ამაში არაფერი საფრთხე არ არისო, აცხადებენ ისინი. ცისფერყანწელები გამოვიდნენ ქართული ლექსისა და მთელი ქართული მწერლობის განახლების პრე-

ტენზიით. მათ ბრძოლა გამოუცხადეს ქართული რეალისტური სკოლის პრინციპებს, განსაკუთრებით მიზანში ამოიღეს 60-იანი წლების რეალისტური სკოლა. უფრო მწვავე ხასიათი ამ ბრძოლამ ცისფერყანწელების ჟურნალის მეორე ნომერში მიიღო. ისინი ახლა რიხიანად აცხადებენ, რომ „ცისფერი ყანწებით“ იწყება ახალი პერიოდი ქართულ მწერლობაში. თუ პირველ ნომერში ისინი ფუტურიზმთან საერთოს ნახულობდნენ, ახლა ფუტურიზმს უბადრუკ ლიტერატურულ მოძრაობად და ხულიგნობად აცხადებენ. მათ წინაშე ამჟამად უფრო მწვავედ დგას: მონახონ ქართულ მწერლობაში თავიანთი წინაპრები. ისინი უყოყმანოდ აცხადებენ, რომ ქართული მწერლობა იწყება რუსთაველით, თავდება ბესიკით, და ამ ხაზის უშუალო გამგრძელებლები ყანწელები არიან. ისინი რუსთაველსა და ბესიკს ვერლენისა და ბოდლერის წინამორბედად თვლიდნენ. ერთგვარ კავშირს ეძიებდნენ ვაჟა ფშაველასთანაც. ამ პოზიციებიდან კი ცისფერყანწელები ბრძოლას უმართავდნენ ი. ჭავჭავაძისა და ა. წერეთლის რეალისტურ სკოლას. მათი მტკიცებით, ქეშმარიტმა მწერლობამ ბესიკამდე მოაღწია, შემდეგ კი ახალმა სკოლამ—ილიასა და აკაკის სახით—დააკნინა ეს ლიტერატურა. ვაჟამ ნაწილობრივ აღადგინა იგი, მაგრამ ნამდვილად ქართული მწერლობის აღდგენა და განახლება ამოცანად დარჩა. ამ ამოცანის გადაწყვეტა ცისფერყანწელების ხვედრი ყოფილა. „ბესიკმა წინდაწინ იწინასწარმეტყველა, რომ „კრახანები“ გააგდებდნენ ქართულ ბალიდან და ეს მალე მოხდა. სრულიად შემთხვევით არ იყო ის, რომ 60-იან წლების თაობათა ომი პოეზიის გარშემო იტყდა. აქ არ არის მარტო თაობათა ბრძოლა, აქ უფრო კულტურათა ბრძოლაა: ძველი ქართულის და ახალი რუსეთის იდეოლოგიებმა ქართულ პოეზიის ყვავილს დაუწყეს შეცვლა რუსულ ხორბლად... ილია ჭავჭავაძე, შეიარაღებული რუსეთის ესთეტიკის დამრღვევი არგუმენტებით (ესთეტიკის დამრღვევთა, ვამბობ, რადგან ბელინსკი უკვე ცნობილია, როგორც კანონიერი მამა „უზრდელი ბიჭის“ პისარევის. რამდენად დამახასიათებელია ამისათვის ის ციტატა ბელინსკიდან, ილია ჭავჭავაძემ? რომ

თავის ისტორიულ წერილს წინ მიუძღვნა, სადაც ბელინსკი ჯავრობს იმაზე, რომ ლიტერატურა „ბალად“ იქცა, სადაც ხელთათმნიანი კავალრები (ცეკვავენ“) გამოდის ბრძოლის დამწყებად. ერთი ხმა არ ყოფილა შემდეგ მოდგმაში დამარცხებულთა დასაცავად. სამუდამოდ გადაწყვეტილად ისმის საკითხი. გრ. ორბელიანის აღელვება აქ ყველაზე უფრო გასაგებია, იმაში აიმღვრა კონსერვატორი ქართველი და ქართველი პოეტი. ილია ჭავჭავაძის მოკამათე ქალი კნ. ბარბარე ჯორჯაძისა ვერ იდგა იმ სიმაღლეზე, რომ დაეცვა თავისი პოზიცია. მის პოეტურ ფასს ისიც ამტკიცებს, რომ მისი ლექსები დიდი ხანია უკვე დავიწყებას მიეცნენ და ღარჩა მარტო ოჯახის სამზარეულო. მაგრამ რამდენი სიმართლე იყო ამ შინ გაზრდილ კულინარ ქალის „ანბანთა თეორეტიკაში“, ასე სასაცილოდ რომ აიგდო ილიამ. იყო გამარჯვება სრული თერგდალეულთა, მაგრამ ეს იყო დამარცხება მთელი შემდეგი ხელოვნებისა. ამ დღიდან ამოიშალა ქართულ პოეზიაში ძველი სული. ამ ცრუ რუსთაველებმა და ლიბერალებმა მწერლობა გაიხადეს სამიტინგო ძალად და პოეზია გაზეთად. რუსთაველისა და ბესიკის პოეზიის თვითმიზნობას იმათ უპასუხეს ცნობილი ფორმულებით. ი. ჭავჭავაძემ სამუდამოდ დასწყველა ფრინველთ გარეგანი და ტკბილი ხმები. აკ. წერეთელი ათას ხერხს იტოვებდა პოეტის დანიშნულებაზე: პოეტი მისთვის ხან უზრუნველი პეპელა იყო, ხან გარემოების საყვირი. აკ. წერეთელმა გარემოების საყვირით ძალიან ბევრი იყვირა, ყველა ეს ლექსები ბანკის ოპოზიციაზე და ადვოკატობაზე დარჩება როგორც პოლიტიკური საყვირის არანიჭიერი ნიმუშები... ჩვენ უარს არ ეყოფთ მესამოციანეთა მწერლების საზოგადო დამსახურებაზე, მაგრამ იმათ სამაგიეროდ არა აქვთ ესთეტიური დამსახურება, თავიანთი გაადვილებული ორთოგრაფიით იმათ დამარხეს ქართული ლექსი“. ასე მოურიდებლად ილაშქრებდნენ ისინი ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დიდი წარმომადგენლების— ი. ჭავჭავაძისა და აკ. წერეთლის წინააღმდეგ. აქ აშკარად ჩანს, რომ „ცისფერი ყანწები“ ფრანგული და რუსული სიმბოლისტური თეორიების ერთგულნი, იცავენ

თეორიას — „ხელოვნება ხელოვნებისათვის“, ბრძოლას უცხადებენ რეალისტურ ხელოვნებას. ეს ნაცნობი ხერხი იყო. ანალოგიური ხერხებით სცადეს რუსმა სიმბოლისტებმა დიდი სამოციანელების სახელის გატეხა. უნდა ითქვას, რომ ცოტა ვნება როდი მოუტანა ამ სკოლამ ჩვენს მწერლობას სიმბოლისტური თეორიებით, ლოთობის, სიმახინჯის, თვითმკვლელობის კულტითა და ორგიზებით.

ყანწელებმა სცადეს ყურადღება მიეპყროთ ლექსის გარეგანი ფორმითაც. ისინი მთელი კლასიკური ქართული მწერლობის გადაფასებას მოითხოვდნენ. მაგრამ ქართული ლექსის კულტურის განახლების საქმეში უპირველესად ყოვლისა დიდი როლი მხოლოდ იმათ შეასრულეს, ვინც ქართულ კლასიკურ პოეზიას ეყრდნობოდა და მისი განვითარებას ახდენდა. ჩვენ მხედველობაში გვაქვს გ. ტაბიძის პოეზია და შემდეგ თვით „ყანწელები“, როცა მათ თავი დააღწიეს სიმბოლიზმის მავნე არტახებს.

ჟურნალ „ცისფერი ყანწების“ მხოლოდ ორი ნომერი გამოვიდა. პირველს აწერია: „ქუთაისი, გაზაფხული, ჩვივ“, მეორეს „ქუთაისის ზამთარი, შივ“. რიცხვების ასოებით გამოხატვის არქაული წესი კი მათ სპირდებოდათ თავიანთი „ორიგინალობის“ დასამტკიცებლად. მოდად იქცა დეკადენტური პოეზიის ჯამბაზური ხერხები, სიმბოლისტური ფუტურისტული ჩხირკედელაობა. ასე მაგალითად, 1919 წელს გამოცემულ ჟურნალ „თებერვალში“ ასეა წარმოდგენილი ჟურნალის შინაარსი და მისამართები: პირველი სიტყვა — კრწანისის ველი, კოტე რატიშვილი. თებერვალი... ფიქრის გორა. ოსკარ უალდის კეთილისმომქმედი. ლონდონი და ა. შ. ამ ჟურნალის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: „ჩვენი უცნაური ჟურნალი, ეჭვს გარეშეა, ბევრს დაცივნის ღიმილს მოგვრის სახეზე, მაგრამ ეს გარემოება ჩვენ ოდნავადაც არ გვაშინებს. ჩვენ შეიძლება ახალი არაფერი შევიტანოთ დღევანდელი აღრევის ლიტერატურაში, მაგრამ ერთი მცირე ნიმუში ჩვენც შევიქნებით. არავინ იფიქროს, თითქოს ამ გამოსვლით ჩვენ გვსურდეს სახელის მოხვეჭა, სრულიადაც არა. ეს გამოსვლა თვით დღევანდელი გარემოების წყალობაა. ამი-

ტომ გაბედულად ვდგამთ ნაბიჯს და დეე ვისაც პირზე და-
ცივნის ღიმილი მოუვა, დახუროს და ნულარ წაიკითხავს შიგ
ამოკრილ სალიტერატურო ნაწარმოებს... შეიძლება ეს წარ-
წერები ისევე ცივი და ქრუანტელის მომგვრელი იყოს, რო-
გორც თვით სათაური, როგორც მიმდინარე თვე, მაგრამ
გამოგიმქლავნებთ ჩვენს საიდუმლოს და გეტყვით: ჩვენს რე-
დაქციას, რომლის ბინადრობა თვით თანამშრომლებმაც არ
იციან, აზრად აქვთ მომავალ თვითეულ თვეში თვისდა მი-
ხედვით სახელი გამოუცვალოს ქურნალს და თებერვლის
შემდეგ დაერქვას მარტი, მერე აპრილი, შემდეგ მაისი და
სხვ. გვწამს, როგორც სახელი, ისე მისი შინაარსი შეიცვ-
ლება. თებერვალს გვცევა, მაისში და თიბათვეში ხომ გავთ-
ბებით და თებერვალში ჩვენი შემოქმედება გაყინულია, გა-
ზაფხულზე ხომ ისიც გაიშლება იისფრად. მაშ მივენდოთ
დროს“.

ეს პრეტენზიული წინასიტყვაობა გამომხატველი იყო იმ
სულიერი განწყობილებისა, რომელიც დასადგურებული იყო
მოდებით გატაცებულ მწერალთა ერთ ჯგუფში.

ლიტერატურის დაკნინება, მისი წარმართვა დეკადენ-
ტურ-სიმბოლისტურ უცხოურ ლიტერატურულ მიმდინარეო-
ბათა მიერ გადამღერებული შაბლონის გზით განსაკუთრე-
ბით თვალსაჩინო გახდა მსოფლიო ომისა და მენშევიკების
ბატონობის წლებში. შემდეგ სიმბოლიზმის პოზიციები თან-
მიმდევრულად დაიცვა ცისფერყანწელების ისეთმა ქურნალებ-
მა როგორიც იყო „მეოცნებე ნიამორები“ (1918—23 წ.წ.)
და, „შვილდოსანი“ (1920 წ.). ამ ქურნალებში უხვად გა-
მოქვეყნდა სიმბოლისტური ხასიათის წერილები და ლექსები.
მის გარშემო თავმოყრილი მწერლები: პ. იაშვილი, ტ. ტა-
ბიძე, ვ. გაფრინდაშვილი, კ. ნადირაძე, ს. ცირეკიძე, ს. კლდი-
აშვილი, გ. ლეონიძე, შ. აფხაიძე და სხვ. (რომლებიც შემ-
დეგ, ჩვენს დროში, მოწინავე საბჭოთა მწერლები გახდნენ),
მეტ-ნაკლებად სიმბოლიზმის პრინციპების თავდადებული
დამცველები იყვნენ.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ მენშევიკების ბატონო-
ბის წლებში ჩვენს ლიტერატურაში აშკარად შეინიშ-

ნება დაკნინებისა და დაცემის ის ხაზი, რომელმაც თავი იჩინა რეაქციის წლებში. რეაქციისა და მსოფლიო ომის უიმედო განწყობილებანი „მენშევიკების სამოთხემ“ უფრო გააღრმავა. ცხოვრების უარყოფის, საზოგადოებისაგან გამოთიშვის განწყობილებანი ფართო გავრცელებას პოულობს ამ პერიოდის ქართულ ლიტერატურაში. ამ მხრივ დამახასიათებელია 1919 წ. „თეატრსა და ცხოვრებაში“ დაბეჭდილი ილო მოსაშვილის ლექსი „სევდა ყოფნაზე“:

სიცოცხლე მარად მხოლოდ იყო ამაოება,
ბედის სიავეს არ აქვს კიდე, არა აქვს საზღვარი,
ყველას თანაბრად მიაქროლებს ცივი დროება,
ვით ქარი ფოთოლს და მივდივართ როგორც სიზმარი.

უსასოებისა და უპერსპექტივობის განწყობილებანი იმდროინდელ ოფიციალურ ეურნალ-გაზეთებშიაც მკვეთრად პოულობს თავის გამოხატულებას. ასეთები იყვნენ „ცისარტყელა“ და „საქართველო“. ისიც უნდა ითქვას, რომ მაშინდელი მოწინავე მწერლობა ამხილებდა, მკაცრად აკრიტიკებდა თანამედროვე სინამდვილეს. ზოგიერთი მწერალი გულის მოკვლელი სტრიქონებით გამოხატავდა თავის დამოკიდებულებას შექმნილ ვითარებასთან. თუ ზოგიერთი პირველად ქებით იხსენიებდა „ერთობის“ საქმის გამარჯვებას, მალევე რწმუნდებოდა მენშევიკური ხელისუფლების უბადრუკობაში. დამახასიათებელია 1920 წ. ეურნალ „ბუნება და ხელოვნებაში“ დაბეჭდილი ლექსი გ. ქუჩიშვილისა.

აი ეს ლექსი:

გული მომიკლეს, მომიკლეს გული,
ველარ ვილზინო, ველარ ვიმღერო,
მომძმეთა ხელით მკერდგაისრული,
ფვართხალებ, როგორც დაჭრილი წერო,
ფვართხალებ, ვიწვევ, ვცდილობ აფრენას,
ძირს ვენარცხები, მემსხვრევა ფრთები,
სისხლი თქრიალით მიმატებს დენას,
ფრინველი ცისა მიწას ვაკვდები.

ეს სტრიქონები საკმაოდ მკვეთრად ახასიათებს საქართველოს მენშევიკების „სამოთხეს“.

ასე ამგვარად, ამ პერიოდის ქართული ლიტერატურა ხასიათდებოდა. სევდის განწყობილებითა და მოტივებით, სიმბოლისტურ-დეკადენტური სკოლის პრინციპების გაღრმავებით. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სიმბოლისტური სკოლის წინააღმდეგ ბრძოლა მაინც არ დამცხრალა. ერთ-ერთ ლიტერატურულ წერილში ვკითხულობთ: „ჩვენში სიმბოლისტური მიმართულება ჯამბაზობის უკიდურეს განვითარებას წარმოადგენს. აზრის, იდეის არარაობა, გაუგებარი სიტყვების სიჭარბე, უცნაური თავის ქება, განდიდების მანია და მეტი იეროგლიფებით წერა და ბოდვა.“ ეს წერილი სავსებით სწორად ამხილებდა სიმბოლისტური სკოლის ხასიათსა და ბუნებას.

ასეთი იყო, დაახლოებით, ამ პერიოდის ქართული მწერლობის საერთო სურათი. მაგრამ ეს დახასიათება სრული არ იქნება, თუ არ მივუთითებთ კიდევ ერთ გარემოებაზე.

როგორც უკვე ვთქვით, რეაქციის, პირველი მსოფლიო ომისა და მენშევიზმის ბატონობის წლები ქართულ მწერლობაში აღინიშნა ბურჟუაზიულ-დეკადენტური და წვრილბურჟუაზიული ლიტერატურული მიმართულებების აღმოცენებითა და გააქტივებით. მაგრამ იმდროინდელ ქართულ მწერლობაში სავსებით როდი აღმოფხვრილა რეალისტური და რევოლუციურ-დემოკრატიული ტრადიციები. ირ. ევდოშვილის, ნ. ჩხიკვაძის, გ. ქუჩიშვილის, გ. ტაბიძის, ს. შანშიაშვილის, ა. აბაშელის საუკეთესო ლექსები, ლ. ქიაჩელის რომანი „ტარიელ გოლუა“, შ. დადიანის პიესები „მღვიმეში“, „როს ნადიმობდნენ“, „გუშინდელნი“, შ. არაგვისპირელის რომანი „გაბზარული გული“, ჭ. ლომთათიძის „სახრჩობელას წინაშე“, ვ. ბარნოვის მოთხრობები და სხვანი მოასწავებდნენ კრიტიკული რეალიზმის საუკეთესო ტრადიციების განგრძობასა და განვითარებას. რევოლუციამდელ ქართულ მწერლობაში ამ მოწინავე რეალისტური და რევოლუციური პრინციპების განვითარებას დიდად უწყობდა ხელს, ერთი მხრით, ის საუკეთესო ტრადიცია, რომელიც გააჩნდა ჩვენს ლიტერატურას ქართული კლასიკური მწერლობის სახით და, მეორე მხრით, სოციალისტური ლიტერატურის ფუძემდებ-

ლის, დიდი რუსი მწერლის მაქსიმ გორკის ახალი შემოქმედებითი იდეების ცხოველმყოფელი გავლენა. ამრიგად, რევოლუციურ-დემოკრატიული ლიტერატურის სკოლა ანტირეალისტურ მიმდინარეობებთან გააფთრებულ ბრძოლაში ინარჩუნებდა და ამტკიცებდა თავის პრინციპებს. ასე მოიტანა ამ სკოლამ ქართული მწერლობის დიდი რეალისტური ტრადიციები საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე. ამ ტრადიციების გამოყენებით გაიზარდა და განმტკიცდა შემდეგ ჩვენში ქართული საბჭოთა მწერლობა.

ერთ-ერთ უაღრესად მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა ამ დროს ქართული პროლეტარული მწერლობის პირველი თაობის გამოსვლა სალიტერატურო სარბიელზე. ამ თაობამ დასაბამი მისცა ჩვენში პროლეტარულ ლიტერატურულ მოძრაობას, რომელიც შემდეგ—საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებიდანვე—დიდი საბჭოთა ლიტერატურისათვის ბრძოლის მეთაური გახდა.

ეგნატე ნინოშვილი

ეგნატე ნინოშვილი XIX საუკუნისა და XX საუკუნის მიჯნაზე დგას. იგი, ერთი მხრით, ამთავრებს XIX საუკუნის დიდი ქართული კლასიკური პროზის გზას და, მეორე მხრით, იწყებს, საფუძველს უყრის 900-იანი წლების დემოკრატიულ მწერლობას ახალი იდეებითა და ხალხური მოტივებით. ე. ნინოშვილის ეს ახალი ტიპის მგზნებარე, დემოკრატიული, პროგრესული შეხედულებები სათავეს პოულობდა მარქსიზმში. იგი ერთი პირველთაგანი გაეცნო მარქსიზმის იდეებს და არა მარტო გაიზიარა ეს იდეები, არამედ ამ მოწინავე რევოლუციური შეხედულებების მქადაგებელი თაობის — „მესამე დასის“ ერთ-ერთი ორგანიზატორი გახდა.

როგორც ცნობილია, პირველი მარქსისტული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია საქართველოში „მესამე დასი“ იყო. ე. ნინოშვილი კი ამ დასის მონაწილე ერთ-ერთი პირველი ქართველი მწერალია. ნინოშვილის როლი ამ მხრივ მაშინვე იქნა გახაზული ქართულ პრესაში. გაზეთი „კვალი“ 1897 წლის თავის მოწინავე წერილში წერდა: „1890 წლიდან დაჰბერა კვლავ ახალმა პროგრესულმა სიომ. ქართულ ლიტერატურაში გამოჩნდა არაჩვეულებრივი მიმართულების თითო-ოროლა ახალგაზრდა, რომელმაც თავი იჩინა „კვალში“ 1893 წ. თავისებური პროგრამით. ესენი არიან ეკონომიური მატერიალიზმის თეორიის მიმდევარნი. ამ დასის მეთაურად სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში უნდა ჩაითვალოს ნინოშვილი...“ ე. ნინოშვილმა ამ პირველი ქართული მარქსისტული, სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის მოღვაწეობაში დადებითი როლი ითამაშა, თავისი ხანმოკლე ცხოვრების პერიოდში ვერ მოასწრო გამხდარიყო ჩამოყალიბებ-

ული რევოლუციურ-მარქსისტული მსოფლმხედველობის მწერალი. მიუხედავად ამისა, ნინოშვილმა საინტერესო შემოქმედებითი ევოლუციის გზა გაიარა. მისი შემოქმედება მშრომელი ხალხის, გლეხკაცობის ცხოვრების თემებით დაიწყო და ბოლოს მუშათა კლასის, რევოლუციური პროლეტარიატის ცხოვრებისა და შეუპოვარი ბრძოლის გამოსახვას მოჰკიდა ხელი. ამგვარად, ხანმოკლე, მაგრამ საკმაოდ რთული შემოქმედებითი გზა გაიარა ნინოშვილმა. ამ მხრივ არის იგი ოთხმოცდაათიანი წლების ქართულ ლიტერატურაში ფრიად საყურადღებო მოვლენა. ამ გზაზე გახდა ე. ნინოშვილი მეთაური ოთხმოცდაათიანი წლების მესამე დასის ახალი ლიტერატურული თაობისა.

ოთხმოცდაათიანი წლებიდან როგორც რუსეთში, ისე ჩვენში იწყება ახალი ხანა, ახალი ეპოქა, სამრეწველო კაპიტალიზმის აღმავლობის ეპოქა. სამრეწველო კაპიტალიზმს მოჰყვა სამრეწველო პროლეტარიატის ჩამოყალიბება და განვითარება. ისტორიის ასპარეზზე გამოვიდა ყველაზე უფრო რევოლუციური კლასი — პროლეტარიატი. იგი თანდათანობით იზრდება რიცხობრივად და იწრთობა პოლიტიკური შეგნებითაც.

ოთხმოცდაათიანი წლებიდან სწრაფი ტემპით იზრდება საქართველოში ქალაქური ცხოვრება. ქალაქი სოფელთან შედარებით სამჯერ და ხშირად ოთხჯერ უფრო სწრაფი ტემპით მრავლდება, ვიდრე სოფლის მოსახლეობა. კაპიტალისტური ქალაქური ცხოვრების განვითარებას, მის ინტენსიურ ზრდას ხელი შეუწყო ბატონყმობის გაუქმებამ. მართალია, ბატონყმობა მხოლოდ ფორმალურად გაუქმდა, ფაქტიურად გლეხი კვლავ ყოფილი ბატონის, მემამულის ხელში დარჩა, მაგრამ ის „მცირე პირადი თავისუფლება“, რომელიც გლეხობამ მოიპოვა, უფლებას აძლევდა მას თავისუფლად აერჩია თავისი საცხოვრებელი ადგილი; ყველაზე უფრო ღარიბი და დატაკი გლეხი, რომელსაც სოფლად არაფერი გააჩნია, ქალაქისაკენ მიეშურება და აქ ეწყობა ფაბრიკა-ქარხნებში. საქართველოს სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრება ოთხმოცდაათიანი წლებიდან კაპიტალისტური ცხოვრე-

ბის ყაიდაზე გაიმართა. ე. ნინოშვილი თავად შენიშნავდა: „ეხლა სხვა დრო დადგა. დრო ვაქრობა-მრეწველობისა: ყველა ხალხი და ერი დღეს ვაქრობა-მრეწველობის ასპარეზზე სცდილობს გაიმარჯვოს. თოფ-იარაღის მაგივრად ეხლა ბირჟა მოქმედობს“. ამ გარემოებამ არსებითად შეცვალა საქართველოს საზოგადოებრივი ყოფის ხასიათი.

ე. ნინოშვილი მომსწრე იყო მთელი ამ ისტორიული პროცესისა. ბატონყმობის გადავარდნის შემდეგდროინდელი სოფლის ცხოვრებას, სოფლად მოქმედ ყოველ სოციალურ ძალას, მშრომელი გლეხკაცობის მძიმე სოციალურ ყოფას ნინოშვილი ზედმიწევნით კარგად იცნობდა. ასევე იგი თავის ცხოვრების მიწურულში თბილისისა და ბათუმის მუშათა წრეში (სადაც თვითონაც იყო რიგითი მუშა) გაეცნო რევოლუციური-მუშათა კლასის ცხოვრებასაც, თუმცა ე. ნინოშვილის შემოქმედებაში რევოლუციურ მუშათა კლასის სახეები ვერ გამოვლინდა მთელი სისრულით, მისი უდროოდ გარდაცვალების გამო. ჩვენს ლიტერატურაში ნინოშვილი ძირითადად ოთხმოციანი-ოთხმოცდაათიანი წლების სოფლის გლეხკაცის უმწეო მდგომარეობის ყოფითი თემებით განისაზღვრა. უნდა ითქვას, რომ თემატიკის ამ ფარგლებშიაც საკმაოდ მკვეთრად გამოჩნდა ნინოშვილის, როგორც ახალი ტიპის რევოლუციურ-დემოკრატიული მწერლის, მსოფლმხედველობა.

ნინოშვილის მხატვრული შემოქმედების ცენტრში მოქცეულია კლასთა ბრძოლის თემა: კლასობრივი ბრძოლის პრინციპი არის ამოსავალი პრინციპი ნინოშვილისათვის. ამ თვალსაზრისით ხატავს ის სოფლის ხალხის ცხოვრებას. მისი ნაწერებისათვის დამახასიათებელია მებრძოლი სტილი. ნინოშვილის ნაწერების ერთგვარი პუბლიცისტური ხასიათიც აქედან წარმოდგება. და ეს არ არის შემთხვევითი: ე. ნინოშვილის რევოლუციურ მებრძოლ ბუნებას ყველაზე უფრო სწორედ ეს თვისება შეეფარდებოდა. ამ გარემოებაზე თვითონ ნინოშვილი მიუთითებს. იგი აღფრთოვანებული მიმართავდა ანასტასია წერეთელს: „ძლიერ მესიამოვნა, რომ ჩემი

სტატია დაიბეჭდა, ჩემი მოთხოვნების დაბეჭდვისათვის მე არასდროს არ ავჩქარებულვარ, სტატიების დაბეჭდვა კი ყოველთვის მიჩქარება, ყოველთვის ბავშვივით მიძგერს გული, მინამ ჩემს სტატიას დაბეჭდილს დავინახავდე. როცა მოთხოვნას ვსწერ, სრულიად დამშვიდებული ვარ, სტატიის წერის დროს კი ჩემი გული ღელავს, თითქო ვილაცას პირადად ვებრძოდე, ვეჩხუბებოდე; მოთხოვნებში მე ვცდილობ შეძლებისდა გვარად დავხატო ჩვენი ხალხის ბნელი მხარე და წყლულები, სტატიებით კი ვებრძვი იმათ, ვინც თავიანთი ცრუ აზრებით ხელს უშლიან ყველას, ვინც კი ზრუნავს ხალხის წყლულის განკურნვაზე. ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, რომ ეს უკანასკნელი (სტატიები) უფრო საყურადღებოა ჩემთვის.“ აქ საგულისხმოა ის გარემოება, რომ ნინოშვილი თავისი მოღვაწეობის უმთავრეს პრინციპად ხალხის წყლულების განკურნებას სახავს და ასე გვევლინება იგი ხალხის ინტერესებისათვის მებრძოლი მწერლის როლში. ამითვე აიხსნება ის გარემოება, რომ ნინოშვილი მწერლობას უყურებდა, როგორც ცხოვრების გარდაქმნის, ადამიანების აღზრდის, კლასობრივი შეგნების გამომუშავების მძლავრ იარაღს. ნინოშვილი მწერლობას საზოგადოებრივ ფუნქციას აკუთნებდა. უფრო მეტიც, ნინოშვილის რეალიზმი ამ მხრივ უფრო შორს მიდის. მისი აზრით, მწერლობის ამოცანაა არა ემსახურო ცხოვრებას უბრალოდ, არამედ ამ უვარგისი ცხოვრების წინააღმდეგ იბრძოლო. ამ ბრძოლაში ნინოშვილი გამოდიოდა როგორც მშრომელი ხალხის, მისი დაბეჩავებული ნაწილის ინტერესების მეთაური. „მწერლობა უნდა ასახავდეს – წერს ე. ნინოშვილი—ცხოვრების სინამდვილეს, მწერლობა მიზნად უნდა ისახავდეს მშრომელი მასის დაბეჩავებული მდგომარეობის სინამდვილით აღწერას“. აქ საგანგებოდ ხაზგასმულია დაბეჩავებულ მშრომელთა ინტერესების დაცვის აუცილებლობა. ნინოშვილს აქცენტი მშრომელზე, დაბეჩავებულზე გადააქვს. და, ამრიგად, ტენდენციურ კლასობრივ საფუძვლებს უძებნის მწერლობის რეალისტურ პრინციპს. დამახასიათებელია, რომ ე. ნინოშვილი ამავე კლასობრივ პრინციპს ეყრდნობა, როდესაც ხაზს უსვამს ტიპიურობის

საკითხს. „ჩემის ფიქრით, მოთხრობის მწერალმა შემთხვევითი ფაქტი არასოდეს არ უნდა აიღოს თავის მოთხრობების დედააზრად. ყოველთვის საზოგადოებრივი პრინციპი უნდა ისახებოდეს მოთხრობებში“. ამ შემთხვევაშიაც ე. ნინოშვილი საგანგებოდ გახაზავს მწერლობის საზოგადოებრივ ხასიათსა და მოვალეობას.

ე. ნინოშვილი თანმიმდევრულად იცავდა თავის შემოქმედებაში ამ მეტრძოლ რეალისტურ სტილს. სოციალური სიმძლავრე, პუბლიცისტური სტილი, რევოლუციური სულისკვეთება დამახასიათებელია ე. ნინოშვილის ნაწერებისათვის. მწერალი მუდამ მშრომელ ხალხში ტრიალებდა. სწორედ ამით აიხსნება ისიც, რომ ნინოშვილის მოთხრობების სიუჟეტი უმთავრესად, როგორც ეს აღნიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში, აღებულია არსებული სინამდვილიდან. მაგრამ ეს კონკრეტული ფაქტი უაღრესად განზოგადებულია. საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ „მოსე მწერალი“. როგორც ცნობილია, ნინოშვილმა ამ მოთხრობის თემად არსებული, ცხოვრებაში მომხდარი ფაქტი აირჩია. მოთხრობაში გადმოცემული ფაქტი, გურიის რეალური სინამდვილიდან აღებული, ნაცნობი იყო ნინოშვილის თანამედროვეთათვის. ამ ფაქტის გამო აღძრული საქმის გარჩევის დროს, გაზეთ „ივერიის“ კორესპონდენტის დამოწმებით, ე. ნინოშვილის მოთხრობა „მოსე მწერალს“—ამ პროტოტიპების უტყუარ დოკუმენტს სასამართლოს წევრები და თვით დამსწრე ხალხი ეცნობოდნენ, კითხულობდნენ, მხოლოდ „ვექილმა ეს თხზულება ბრალდებულების სიმართლის საბუთად წარადგინა“ თურმე. აქედან სავსებით გასაგებია, თუ რამდენად ახლო იდგა ნინოშვილის „მოსე მწერალის“ შინაარსი სინამდვილესთან. მოსე მწერალი მეფის რუსეთის ყალბისმქნელი, მექრთამე მოხელის ტიპიური გამომხატველია, მეფის ბიუროკრატიული აპარატის გაიძვერობის, ცბიერებისა და ვერაგობის განსახიერებაა. მისი გაიძვერობის მსხვერპლი გახდა ღარიბი გლეხის უნათლოშვილების ოჯახი. ამ სახის დახატვით ნინოშვილმა ამხილა მეფის სახელმწიფო მოხელეთა ბნელი საქმიანობა და დამღუპველი

გავლენა ხალხის ცხოვრებაზე. გ. წერეთელი წერდა: „მოსე მწერალი“ შესანიშნავი ხელოვნებითი ნაწარმოებია, ცხოვრების სინამდვილე ზედმიწევნით არის შიგ აღმოხატული. თვით „მოსე მწერალი“ ახალი ტიპია ჩვენს სიტყვა-კაზმულ ლიტერატურაში, სრული რეალური თვისებით გამოყვანილი“. ე. ნინოშვილისათვის დამახასიათებელია რეალური ფაქტის ასეთი განზოგადება. ამავე გარემოებით აიხსნება ის, რომ ხშირად ე. ნინოშვილის პუბლიცისტური წერილების, კორესპონდენციებისა და მოთხრობის სიუჟეტები ერთი და იგივეა. უკეთ რომ ვთქვათ, კორესპონდენციების შინაარსი ნინოშვილს შემდეგ გამოყენებული აქვს თავისი მოთხრობების სიუჟეტად. ამ მხრივ საკმარისია დავასახელოთ ნინოშვილის კორესპონდენცია „საბაასო“ და შემდეგ მისი მოთხრობები: „სიმონა“ და „განკიცხული ოჯახი“. ე. ნინოშვილის მიზანი ორსავე შემთხვევაში ერთი იყო: ბრძოლა უსამართლობის წინააღმდეგ, საზოგადოებრივი ცხოვრების, მშრომელი ხალხის შემაფერხებელი მოვლენების წინააღმდეგ. ამ მიზნით იყენებდა ის კორესპონდენციებსაც, პუბლიცისტიკასაც და ბელეტრის ტიკასაც.

ე. ნინოშვილი მახვილად სვამდა კლასთა ბრძოლის საკითხს. ვინ იტყვის, რომ ჩვენს მწერლობაში ეს კითხვა მანამდე არ ყოფილიყოს დაყენებული. პირიქით, ნინოშვილი ერთგვარად მეცხრამეტე საუკუნის სოციალური მოთხრობების მდიდარი ტრადიციიდან გამოდის. ოღონდ ნინოშვილის სიახლე აქ იმაში გამოიხატა, რომ მწერალი არსებით, გადამწყვეტ საკითხად კლასობრივ საკითხს მიიჩნევდა. უფრო მეტიც, ნინოშვილის შემოქმედების მთელი ატმოსფეროს, მის სამწერლო პოზიციას კლასობრივი თვალსაზრისი განსაზღვრავდა. ასეთი გამწვავება კლასობრივი, სოციალური საკითხებისა იყო ის ახალი, რაც თავისებურ ჟღერას აძლევდა ნინოშვილის ნაწერებს. მართალია, აქაც არ შეიძლება გადაჭარბებულად იქნეს შეფასებული ნინოშვილის დამსახურება, როგორც ეს, სამწუხაროდ, ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად ხდება ხოლმე. საქმე ისაა, რომ ე. ნინოშვილმა კლასობრივი ბრძოლის ეს პრინციპი ვერ მიიყვანა, უფრო სწო-

რად რომ ვთქვათ, ვერ მოასწრო მიეყვანა, პროლეტარიატის დიქტატურის საკითხამდე. ნინოშვილის კლასობრივი ბრძოლის იდეა არ არის ამალღებული პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის მარქსისტულ გაგებამდე, პროლეტარული რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის აუცილებლობის აღიარებამდე. აქ დაახლოებით იგივე განმეორდა, ოლონდ სხვა ვითარებაში, რაც ჩერნიშევსკის მიმართ. „ჩერნიშევსკიმ—წერდა ლენინი—ვერ შესძლო, უკეთ რომ ვთქვათ, მას რუსეთის ცხოვრების ჩამორჩენილობის გამო, არ შეეძლო მარქსის, ენგელსის დიალექტიკური მატერიალიზმის სიმადლეზე ასულიყო“. ლენინის ეს კლასიკური მითითება თავისუფლად შეგვიძლია გამოვიყენოთ ნინოშვილის მიმართაც. ე. ნინოშვილი, თავისი ხანმოკლე სიცოცხლის გამო, მესამე დასის, პირველი ლეგალური ჯგუფის იდეებს შორს ვერ გასცილდა. მართალია, ნინოშვილი გაეცნო მარქსიზმს, მიემხრო ამ ახალ მოძღვრებას, ამ გზით იგი ხალხოსნების პოზიციას შორს გასცილდა, მაგრამ ვერ ამალღდა რევოლუციური მარქსიზმის მტკიცე პოზიციებამდე. ამავე გარემოებით უნდა ავხსნათ ის ფაქტიც, რომ ნინოშვილის მოთხოვნებისთვის უცხოა რევოლუციური კოლექტიური ბრძოლის გზა. ინდივიდუალური ბედის ძიება და სტიქიური პროტესტი არის უმთავრეს შემთხვევაში გამოსავალ გზად მიჩნეული. ამის გამო ილუპებიან ისინი უთანასწორო ბრძოლაში, ამის გამო ასეთი ძლიერი სევდის მომგვრელია მათი უნუგეშო ბედი. მიუხედავად ამისა, ნინოშვილმა ისეთი მამხილებელი ძალით დახატა იმდროინდელი შავბნელი სინამდვილე, რომ მის ყოველ ნაწარმოებს უადრესად გამარგოლუციონერებელი ძალა ჰქონდა მინიჭებული.

* * *

ე. ნინოშვილის მსოფლმხედველობის გამოსარკვევად დიდი მნიშვნელობა აქვს უკანასკნელ წლებში დაწერილ მის ერთ პუბლიცისტურ წერილს—„ძველი დავა ახალ ქერქში“. ე. ნინოშვილი აქ ანალიზს უკეთებს მეცხრამეტე საუკუნის საქარ-

თველოს საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიას და არკვევს ოთხმოცდაათიანი წლების თაობათა შორის უთანხმოების ძირითად მიზეზს. ნინოშვილის აზრით, „ძველსა და ახალ თაობას შორის დავის იწვევს ძველი თაობის ჩამორჩენილობა“. ასე მოხდა ეს სამოციანი წლებში, ასე განმეორდა ოთხმოცდაათიანი წლებშიც, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ უკანასკნელ დროს სამოციანი წლების ახალი თაობა ძველ თაობათა როლში მოგვევლინაო. ამასთან დაკავშირებით ე. ნინოშვილი, ახასიათებს რა ოთხმოცდაათიანი წლების საზოგადოებრივი განვითარების გზას, ამ პერიოდის მთავარ მოვლენად კაპიტალიზმსა და მრეწველობას მიიჩნევს. მისი აზრით, კაცობრიობის ცხოვრება ისე არ გაუმჯობესდება, თუ არსებულ პოლიტიკურსა და სოციალურ-ეკონომიურ ყოფაში ძირითადი ცვლილება არ მოხდა. ეს ცვლილებები ახლა კაპიტალიზმის გზით მიდის. მაგრამ კაპიტალიზმს, ნინოშვილის აზრით, დიდ პროგრესთან ერთად უბედურებაც მოაქვს. „საუკეთესო პოლიტიკო-ეკონომებმა მეცნიერულად ისტორიული ფაქტებით დაამტკიცეს, რომ იქ, სადაც კაპიტალიზმი და მრეწველობა ეხლანდელი ეკონომიური და სოციალური წყობილებით ფეხს გაიდგამს, ერის ერთი ნაწილი ლატაკდება და ვარდება მეორე ნაწილის ხელში ეკონომიურ მონადო“, ამბობს იგი და იქვე უმატებს: „მერე რაში გამოადგება ერთი ნაწილის სიმდიდრე მეორე ნაწილს, პროლეტარებს, რომლებიც აქა-იქ ქუჩებზე სიმშვილით იხოცებიან იმ დროს, როცა რომელიმე მდიდარი ლორდი ან ბურჟუა დღიურად თუმნობით ხარჯავს თვისი ძალის სარჩენად“. ინგლისის მაგალითზე ნინოშვილი ხაზს უსვამს კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელ მძარცველურ ბუნებას. მიუხედავად ამისა, ნინოშვილი სცნობს, რომ იგი აუცილებელი საფეხურია ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიისათვის, „კაპიტალიზმი და მრეწველობა ისეთი მდინარეა, რომ თუნდაც კიდევ ძლიერ მოინდომოთ მისი შეფერხება, ვერ შეაყენებთ და უნდა მოგახსენოთ, არც სასურველია მისი შეყენება, არა თუ საქართველოსთვის, არც ერთ ქვეყნისათვის“. ასე სცილდება ნინოშვილი ხალხოსნებისა და მისი წინა დროის მსოფლმხედ-

ველობას. ე. ნინოშვილი ამ პუბლიცისტურ სტატიაში ცდილობს გამოიყენოს ჩერნიშევსკის, კარლ მარქსისა და სხვათა მოსაზრებანი საზოგადოების, ფორმაციების, კლასების დასახასიათებლად. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ აქ ნინოშვილი კლასობრივი ბრძოლის გაგებაში ვერ სცილდება მესამე დასის ლეგალური ფრთის იდეებს. ამიტომ, არ უნდა იყოს შემთხვევითი, როცა იგი წერს: „მე იმას მოგახსენებთ, რომ ყოველი განათლებული კაცი, ყოველი ინტელიგენტი, რომელსაც მართლა გული შესტიკვა თავისი ქვეყნის ავკარგიანობაზე და ბედ-იღბალზე, ამ თავითვე უნდა ცდილობდეს. რომ სიმდიდრეში და წარმატებაში წილი ედოს არა ერთ რომელიმე ნაწილს ერისას, არამედ მთელს ერს, გამოუკლებლად და თანასწორად. უამისოდ ერის წარმატებას წარმატება არ ეთქმის“. აქ უთუოდ მოჩანს საერთო ნიადაგისა და საერთო ეროვნული მოქმედების ლეგალურ-მარქსისტული ჯგუფის თეორიის აშკარა კვალი. ამ გარემოების გამო მიგვაჩნია რომ ნინოშვილი თავისი შეხედულებებით მესამე დასის იდეების პირველ საფეხურზე დარჩა. სხვანაირად არც შეიძლებოდა: ე. ნინოშვილი საქართველოში მარქსიზმის გავრცელების პირველ წლების, სწორედ ლეგალური მარქსიზმის წლებისა მოღვაწეა.

* * *

ე. ნინოშვილი არა მარტო სამწერლო სტილით, არამედ ბიოგრაფიითაც თავისებური და ახალი მოვლენა იყო ქართულ ლიტერატურაში.

ე. ნინოშვილი (ინგოროყვა) დაიბადა 1859 წლის დეკემბერს სოფ. ჩირგვეთში (გურია) ღარიბი გლეხის, თომა ინგოროყვას ოჯახში. ეგნატე ექვსი წლისა იყო, როცა დედა გარდაეცვალა. დედით დაობლებულ ბავშვს სათუთი და ფაქაზი მზრუნველობა გაუწია მამიდა ნინომ. ამ კეთილი აღამიანის ინიციატივით 7 თუ 8 წლის ნაზი და სუსტი აგებულების ეგნატეს წერა-კითხვა დააწყებინეს. თვით ნინოშვილი ასე აღწერს ბავშვის ცხოვრების ამ მღელვარე მომენტს: „შვი-

დი თუ რვა წლის ვიქნებოდი, როცა ჩემმა მამიდამ ერთ დილას წამიყვანა მდინარესთან, ჩამადგმევინა ფეხი წყალში და დამაწყებინა ქალღმრთის ნაგლეჯზე კარანდაშით დაწერილი „ან“, „ბან“-ის კითხვა. (ეს ანბანი მამაჩემმა მოიტანა, წინა დღით ერთს აზნაურიშვილს დაეწერა მისი თხოვნით)“. მამიდა ნინოს მიერ სწავლისადმი აღძრული სიყვარული პატარა ეგნატეს არასოდეს განელებია. დიდი ამაგი დასდო ნინომ თავის ძმისწულს. ეგნატეს გულმხურვალედ უყვარდა მამიდა და ამიტომაც თავის სამწერლო ფსევდონიმში მისი სახელი გამოიყენა: „ნინოშვილი“.

8 წლის ეგნატე მეზობელ მღვდლის ოჯახში მიაბარეს, მაგრამ აქ „სასიკეთო“ ვერა ჰპოვა რა ბავშვის გონებამ. „მხედრული წერა-კითხვა თვითონ მღვდელმა არ იცოდაო“, იკონებს ნინოშვილი. რამდენიმე თვის შემდეგ ეგნატე ბიძამისმა—ალექსიმ ფოთში წაიყვანა და მიაბარა ამ მღვდლის ძმისწულს, ხე-ტყის ვაჭარს. აქ ბავშვი პირველი დღიდანვე სამზარეულოში შეაგდეს და მჭადის ცხობა დააკისრეს. ასე მოსწყვიტეს იგი თავის საყვარელ საქმეს—სწავლას.

1871 წელს ბიძა ალექსიმ ინახულა ძმისწული. როცა იგი ბავშვის აუტანელ მდგომარეობას გაეცნო, თან წაიყვანა სოფელში და 12 წლის ეგნატე მიაბარეს სოფლის სასწავლებელში. ეგნატე სწავლისათვის მხოლოდ მაშინ იცლიდა, როცა მუშაობას და შინაური საქონლის მოვლას მორჩებოდა. მიუხედავად ასეთი პირობებისა, მან მაინც განსაკუთრებული ნიჭი გამოიჩინა სწავლაში და გამოცდებისათვის მოემზადა.

1876 წელს ეგნატე ნინოშვილი ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში მოეწყო. იგი პირველად მოსამზადებელი კლასის მეორე განყოფილებაში მიიღეს. ოზურგეთში ნინოშვილი სიღარიბესა და უდიდეს გაჭირვებაში იმყოფებოდა. ცხოვრობდა უფანჯრო, ფარღალალა ფიცრულ სახლში. დღიურ საზრდოს სოფლიდან ზურგით ეზიდებოდა. გაკვეთილს „ფიჩხის შუქზე“ ამზადებდა. მიუხედავად ამისა, ისეთი მუყაითობა გამოიჩინა სწავლაში, რომ სულ ცოტა ხანში წლიური გამოცდები წარმატებით ჩააბარა და პირდაპირ მეორე კლასში გადაიყვანეს. ნინოშვილი სამაგალითო მოწაფედ ითვლებოდა

და ყველას ყურადღების იპყრობდა. დემოკრატიულად განწყობილი მასწავლებლის—ივანე ლიაძის ხელმძღვანელობით ეგნატე ძალიან ბევრს კითხულობდა და სწავლობდა; კითხულობდა მთავრობისაგან აკრძალულ წიგნებსაც. ბეჯითი, ნიქიერი და ნაკითხი მოსწავლის—ნინოშვილის გარშემო თავს იყრიდნენ მეფის მთავრობის აუტანელი რეჟიმის წინააღმდეგ პროტესტანტულად განწყობილი მოწინავე ამხანაგები, რომელთა შორის სილიბისტრო ჯიბლაძეც იყო. ამ ჯგუფმა მასწავლებელ ლიაძის მეთაურობით ბრძოლა გამოუცხადა ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში გამეფებულ კონსერვატიზმს, რომელსაც სათავეში ედგა რეაქციონერი დეკანოზი სიმონ ქიქოძე. ლიაძე დამარცხდა, მოხსნილი იქნა სასწავლებლიდან, ნინოშვილი კი, რომლის მეთაურობით მოეწყო მოწაფეთა გაფიცვა, გარიცხეს სკოლიდან ე. წ. „მგლის ბილეთით“. როგორც ივანე ლიაძე შენიშნავს თავის მოგონებაში, „ინგოროყვა ბუნტის მოთავედ და სულის ჩამდგმელად ჩათვალეს, და ამიტომაც იგი სასწავლებლიდან შეუბრალებლად გააძევეს და მოუსპეს მას, ნიქიერ ახალგაზრდას, სწავლის გაგრძელების საშუალება“. „ოზურგეთის უსამართლობამ“ წაართვა ნინოშვილს სწავლის უფლება.

„სამოქალაქო კლასში თხოვნა მივეცი, ნიმილეთ მეთქი, მაგრამ დეკანოზის მოქმედებით არც იქ მიმიღეს. შემდეგ ვცდილობდი პროგრამის გავლას მეოთხე კლასიან მოწაფეებთან, მეტადრე ს. ჯიბლაძესთან, მაგრამ რაკი ეს შეიტყო დეკანოზმა, მოწაფეებს გამორიცხვას ვილა ჩივა—ციმბირში გაგზავნას დაემუქრა“, წერს ნინოშვილი. ე. ნინოშვილის ყოველგვარმა ცდამ, დაბრუნებოდა ოზურგეთის რომელიმე სასწავლებელს და დაესრულებინა კურსი, ამაოდ ჩაიარა. ამის შემდეგ იწყება ე. ნინოშვილის მოუსვენარი ცხოვრება: ლუკმაპურისა და სამსახურის ძებნას შეაღია მან თავისი ცხოვრების საუკეთესო დრო. 1879 წელს ე. ნინოშვილი სახალხო სკოლის მასწავლებლის თანამდებობაზე გამოცდას აბარებს ქ. ქუთაისში. ესეც იმის წყალობით მოხერხდა, რომ მას ჰქონდა სოფლის მამასახლისისაგან მიღებული შინაური სწავლის მოწმობა (ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლიდან მიღებუ-

ლი „მგლის ბილეთი“ კი მას უკრძალავდა სხვა სასწავლებელში შესვლის უფლებას). ამავე წელს ინიშნება იგი მასწავლებლად თავისი სოფლის სკოლაში. აქ მან თითქმის ორი წელი დაჰყო. „1881 წ. მარტში დავანებე თავი მასწავლებლობას და ვეძებდი რამე საქმეს იმ დროს ახლათ დაწყებულ ბათომის რკინის გზაზე: მინდოდა ფული შემეგროვებინა და ხელახლად სწავლას შევდგომოდიო“, — წერს ნინოშვილი ერთ-ერთ წერილში. მაგრამ ხელმოკლეობის გამო სწავლის გაგრძელებას ვერ ახერხებს და იძულებულია კვლავ სამსახური დაიწყოს. ერთ ხანს ტელეგრაფისტად მუშაობს, 1884 წელს თბილისში ჩამოდის და ასოთანწყობადაა კერძო სტამბაში, სადაც „ხარჯის ფულად“ 7 კაპიკს აძლევდნენ დღეში. 1885 წელს ის კვლავ თავის სოფელში ბრუნდება. 1886 წელს 6 თვე დაჰყო სოფლით მწერლად. ეს თანამდებობა სრულიად შეუფერებლად მიაჩნდა ნინოშვილს თავისი მოწოდებისათვის.

ნინოშვილის დაუცხრომელი სურვილია განათლების მიღება. ამ მიზნით, მეგობრების დახმარებით, იგი მართლაც ახერხებს საზღვარგარეთ გამგზავრებას. 1886 წლის ნოემბერში ნინოშვილი მიემგზავრება საფრანგეთში, ქ. მონპელიეში. იგი დიდი მონდომებით დაეწაფა სწავლას. ერთ წელიწადში იგი ბიძას სწერდა: „ჯერ კიდევ ვემზადები, უნივერსიტეტში არ შევსულვარ ჯერჯერობით, რადგან დიდი მომზადება უნდა შესასვლელად, მომავალი ოქტომბრის თვეში შევალ უნივერსიტეტში. ფრანციული თითქმის გვარიანად შევისწავლე, ლექციების გაგება შემიძლია. სხვა ენები — ნემეცური, ინგლისური და იტალიური ჯერჯერობით ძლიერ ცოტა ვიცი“. ხელმოკლეობის გამო ნინოშვილი საფრანგეთში დიდხანს ვერ დარჩა. სულ რამდენიმე თვის შემდეგ ნაღვლიანად სწერდა ბიძას: „აქ დარჩენა ჩემი არ შეიძლება; სიღარიბის მიზეზით, რამენაირად უნდა დავბრუნდე საქართველოში, შინ, მაგრამ უფულოთ ეგეც არ შეიძლება, ძალიან კრიტიკული მდგომარეობაა ჩემი მდგომარეობა. ჩვენში რომ იტყვიან, წინ წყალი, უკან მეწყერიო, ისეა სწორეთ“. ე. ნინოშვილი იქ ყოფნას დიდ მნიშვნელობას აძლევდა. იწერებოდა: „ოხ, რომ იცოდე აქაური განათლების ამბავი! აქ რომ ვისწავლოთ,

ჩენი თვალები ისე განათდება, რომ მტერს მტრად გვაცნობებს და მოყვარეს — მოყვრად. ეხლა ჯერ ვერცერთსა ვერ ვხედავთ! სიბნელის ფარდა გვახვევია თავზე“. მაგრამ ნინოშვილმა ვერ გაუძლო შიმშილსა და გაქირვებას და იძულებული შეიქნა რამდენიმე თვის შემდეგ სამშობლოში დაბრუნებულიყო (1887 წლის მარტში).

საქართველოში დაბრუნების შემდეგ ე. ნინოშვილმა ერთი წელი მდივნად იმსახურა თავად გრიგოლ გურიელთან. ამ დიდი ფეოდალის ოჯახში ინახებოდა ძველი საგვარეულო ხელნაწერები და ბიბლიოთეკა. აქვე იყო დაცული 1841 წლის გურიის აჯანყების მასალები. ე. ნინოშვილი გაეცნო და შეისწავლა ეს ისტორიული დოკუმენტები, ზოგი რამ აქედან გამოიყენა თავის ცნობილ რომანში — „ჯანყი გურიისში“, რომელზედაც მუშაობა უკვე დაწყებული ჰქონდა. მატერიალურად მისი მდგომარეობა კვლავ მძიმე იყო. „მე ჯერჯერობით კიდევ გრიგოლ გურიელთან ვიმყოფები — წერს ნინოშვილი — და შეეყურებ უკბილო პირში, იქნება გალოკილი ძვალი გავარდეს მეთქი, ჯამაგირი თვიურათ თითო თუმანი მაქვს, მაგრამ ეგ ხარჯათ არ მყოფნის და ამიტომ თანდათან ვალები მემატება. მომავალი ჩემი ჩემთვისაც ამოცანაა, არ ვიცი, თუ რა საქმეს დავადგები, როცა ეს ასი წლის ყმაწვილი გრიგოლ წაბრძანდება „წიალსა აბრაამისასა“ თან თუ წაყვები, თორემ სხვა გზა ჯერჯერობით არა ჩანს“, წერდა ცხოვრებისაგან გაწამებული ნინოშვილი.

1888 წლის ნოემბერში ე. ნინოშვილი თავს ანებებს გურიელთან მდივნობას. 1889 წელს (ოქტომბერში) მიემგზავრება ბათუმში, სადაც, გიორგი წერეთლის დამოწმებით, ეწეოდა მძიმე ფიზიკურ შრომას: ჯერ იყო და ნავსადგურში მუშაობდა მტვირთავად, ფიცრებს ეზიდებოდა ზურგით, თან ნავთის ყუთების ქარხანაში მუშაობდა, შემდეგ — როტმილდის ქარხანაში შავ მუშად, 1889 წელს ბათუმში ზამთარი მეტად ცუდი, ქარიან-წვიმიანი იყო. დაცვეთილ საზაფხულო ტანსაცმელში მორთული ეგნატე უნდა ამდგარიყო დილის 4 საათზე, ამ საშინელ ამინდში გაეგლო კარგა დიდი მანძილი და მისულიყო ქარხანაში. ზოგჯერ კარი დაკეტილი დაუხვ-

5. ს. კილაია

დებოდა და გარეთ უნდა ეცადა. ბათუმის პერიოდი განსაკუთრებული ხანაა ნინოშვილის ბიოგრაფიაში. აქ დაუახლოვდა და გაეცნო ის რევოლუციური პროლეტარიატის ყოფა-ცხოვრებას.

1890 წლიდან ე. ნინოშვილი ზესტაფონში მუშაობს ნ. ლოლბერიძის მარგანეცის კანტორაში. აქაც ცუდ პირობებში უხდება მას მუშაობა. ამის გამო ე. ნინოშვილი შენიშნავს: „მე მგონია, ჩემი ჯანი და სიმრთელე დავლუპე ბათუმში და ამ კანტორაში მუშაობითო“. მართლაც, ბათუმში და ზესტაფონში ფიზიკურმა შრომამ დიდი ზიანი მიაყენა ნინოშვილის ისედაც სუსტ ორგანიზმს. მას კლექის აშკარა ნიშნები გამოაჩნდა. 1891 წელს ეგნატე საფილოქსერო დასში იწყებს სამსახურს. ამ დასთან ერთად დაღესტანი და რაქა-ლეჩხუმი მოინარა. აქ მიღებული შთაბეჭდილებებით დაწერა მან ნარკვევი „დაღესტანი“. 1892 წელს ეგნატე ნინოშვილი თბილისში ბრუნდება საცხოვრებლად; ზაქარია ჭიჭინაძესთან, შემდეგ კი მიხა ცხაკაიასთან შეკედლებული — კვლავ გაჭირვებასა და სიღატაკეს უჩივის. ამისდა მიუხედავად, იგი მთელი აღზნებითა და გატაცებით მუშაობს, როგორც მწერალი და როგორც პოლიტიკური, საზოგადო მოღვაწე. ამ დროს მოხდა ე. ნინოშვილისა და სოციალისტური მწერლობის მამამთავრის მაქსიმ გორკის შეხვედრა. დამსწრეთა მოგონებებით, ასეთი დიალოგი გაიმართა მათ შორის:

„გორკი: — ბედნიერი ხარ, ამხანაგო, რომ შენს ნაწერებს იცნობს ხალხი და ასეთი სიყვარული დაგიმსახურებია.

— შენც ასწერე შენი თავგადასავალი, რაც გინახავს და განვიცდია, და მაშინ ნახე, როგორ გაგიცნობენ და შეგიყვარებენ, — მიმართა ე. ნინოშვილმა“. ჭეშმარიტად აღსრულდა ნიჭიერი მწერლის ეს წინაგარძნობა.

1893 წელს ნინოშვილი კვლავ ზესტაფონს დაუბრუნდა. სწორედ აქ 1893 წლის 8 იანვარს მოეწყო „მესამე დასელოთა“ პირველი არალეგალური თათბირი. ასე გახდა იგი არა მარტო მონაწილე, არამედ ერთ-ერთი ორგანიზატორი პირველი მარქსისტული ორგანიზაციისა საქართველოში. ერთი წლის შემ-

დღე ე. ნინოშვილი კვლავ თბილისში ჩამოდის, მაგრამ ავად-
მყოფობამ ისე დარია ხელი, რომ იძულებულია ისევ სოფელს
დაუბრუნდეს. ქლექით დასწეულბული, ცხოვრებისაგან და-
ტანჯული ე. ნინოშვილი გარდაიცვალა თავის სოფელში
1894 წლის 12 მაისს და იქვე დაასაფლავეს.

ე. ნინოშვილის გარდაცვალებამ დიდი გამოხმაურება ჰპო-
ვა საზოგადოებაში. მისი საფლავის გარშემო თავი მოიყარეს
ქართული მწერლობისა და საზოგადო მოღვაწეთა მოწინავე
წარმომადგენლებმა. ამ დღეს მოხდა „მესამე დასის“ პირ-
ველი ოფიციალური გამოცხადება.

* * *

როგორც ვნახეთ, ე. ნინოშვილის მთელი ბიოგრაფია
ძველი უკულმართი ცხოვრებისაგან გამწარებული და დატან-
ჯული ადამიანის ტიპური ისტორიაა. ამიტომ იყო, რომ
ასე მძაფრად განიცდიდა და გრძნობდა ე. ნინოშვილი თა-
ვის გმირთა შეურაცხყოფასა და უუფლებობას, ამიტომ უყ-
ვარდა მას მთელი გულით ცხოვრებისაგან გამწარებული ადა-
მიანები, ამიტომ აღელვებდა ასე მათი ბედი! მწერალი პი-
რად ცხოვრებაში ისევე უბედური და გამწარებული იყო,
როგორც მისი საყვარელი გმირები. ამ დაჩაგრულთა და შე-
ვიწროებულთა ბედზე ფიქრმა ააღებინა ე. ნინოშვილს კა-
ლამი ხელში. სულ სხვაა გარეშე მაყურებლის თვალთ და-
ნახული ქვეყანა და სულ სხვა — უშუალოდ განცდილისა და
ნაგრძნობის გადმოცემა და აღწერა! დიდი ღირსება ნინო-
შვილის, როგორც მწერლისა, ისიც არის, რომ მისი ნაწარ-
მოები გადმოგვცემს, რაც ბავშვობიდანვე გულმა უგრძნო,
თვალმა ნახა და მწერალმა საკუთარ თავზე განიცადა. ნინო-
შვილი უმთავრესად საყვარელი გმირების ბედის მონაწილეა.
იგი არ ფარავდა ამას. როცა ერთ-ერთმა ნაცნობმა ე. ნინო-
შვილს მისწერა, სპირიდონ მცირიშვილი თვით მოთხრობის
ავტორს ჰგავსო, მან უპასუხა: „მართალია, მაგრამ მხოლოდ
გარეგნობით, ისე კი მცირიშვილი უფრო ყოჩაღია ავტორ-
ზე“. თუ აქ ანგარიშს გავუწევთ ავტორულ მოკრძალებას,

მაშინ უდავოა, რომ ნინოშვილი სავსებით იზიარებს მეგობრის აზრს, და ჩვენ უფლება არა გვაქვს ავტორს არ დავუჯეროთ.

ე. ნინოშვილის პირველი ნაწარმოები „სახუმრო ფელეტონი“ გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნდა 1887 წელს, აგვისტოს ნომერში. მის უკანასკნელ ნაწარმოებს („სოფლის გმირები“) 1892 წლის თარიღი აზის. ამგვარად, ნინოშვილის სამწერლო მოღვაწეობის ხანგრძლიობა რალაც ხუთიოდე წლით განისაზღვრება. თუ ამას დაეუმატებთ იმასაც, რომ ჩვენს მწერალს უკუღმართ პირობებში უხდებოდა მუშაობა, მაშინ კიდევ უფრო ნათელი გახდება მისი ნიჭი და შემოქმედებითი ძალა.

დამახასიათებელია ერთი მისი კერძო წერილი. 1892 წელს ნინოშვილი თედო სახოკიას სწერდა: „არ ვფიქრობ, აქ რამეს დაწერა შეიძლებოდეს, თუმცლა კი შენ ძლიერ მირჩევ რამე დავწერო. აბა, წარმოიდგინე, რის დაწერა შეიძლება ასეთ გარემოებაში: ათასნაირი გარყვნილი ხალხით სავსე სამიკიტნოს გვერდზე არის მიკეთებული ბუდესავით ერთი ოთახი, რომელსაც სიგრძე ხუთი არშინი აქვს, სიგანე 1/4 არშინი, სიმაღლე — 3 1/3, იატაკი დამპალი, ოღრო-ჩოღრო. უხეირო, ჭერს ისეთი დვიროები აკრავს, რომ კაცს თავი უწვდება ქვემოდან. ერთი ხელის გულის ოდენა ფანჯარა. ამ კუბო-ოთახს სამიკიტნოსგან აშორებს კარდონივით თხელი ფიცრის კედელი. ღუქნიდან ისე შემოდის მთვრალი ხალხის ყაყანი, ჩხუბი, ლანძღვა და აყალ-მაყალის ხმა, თითქო შიგ, ჩვენთან იყვეს. ასეთი მორთული ჩვენი ოთახი (გახსოვდეს, რომ ამ ოთახში 2 კაცი ვცხოვრობთ) ისეა გავსილი უხეირო სტოლით, უხეირო ლოგინებით, ნიჩბებით, წალკატებით, რალაც ჩვენი ხაბაკ-ხუბაკით, რომ ვერც კი გაინძრევი შიგ. ჯერ სიცხეები არ დაუწყია და სულის შეხუთვას ვგრძნობთ შიგ. რალა იქნება შემდეგ?.. ახლა მოდი და თან იმუშავე, თან წერე ამისთანა მდგომარეობაში! შეიძლება? არ ვფიქრობ?“ უფრო აღრე იგი პეტრე უმიკაშვილს სწერდა: „მე, რასაკვირველია, სრულიადაც არ მაქვს პრეტენზია მაზედ, რომ ჩემს „სიმონაში“ სრულად ყოფილიყო დახატული დღევანდელი გური-

ას ხალხის მდგომარეობა. მე ჯერე ამისათვის საკმაო ძალაც არა მაქვს და მერე კიდევ, თუნდა ძალა მქონდეს, სად შემიძლია დინჯად და ძლიერ დაკვირვებით ვხატო ხალხის ცხოვრება მაშინ, როცა ლუკმა პურისთვის მოუსვენრად იქეთ-აქეთ ვწანწალებ“.

ასეთ მძიმე ეკონომიურ პირობებში მყოფმა ე. ნინოშვილმა ძალიან ცოტა ხანი იცხოვრა. ასეთი მოკლე დრო საზოგადოდ მწერლისათვის მცირეა, მით უმეტეს პროზაიკოსისათვის. მოკლე ხანში ე. ნინოშვილმა ძალიან ბევრის გაკეთება შეძლო. შვიდ წელიწადში ნინოშვილმა დაწერა: „ჯანყი გურიაში“, „უცნაური სენი“, „პალიასტომის ტბა“, „არშეიანი“, „სიმონა“, „კაცია და გუნება“, „ქრისტინე“, „განკიცხული ოჯახი“, „განკარგულება“, „ჩენი ქვეყნის რაინდი“, „მოსე მწერალი“, „სოფლის გმირები“, პუბლიცისტური წერილები: „ძველი დავა ახალ ქერქში“, „უებარი საშუალება საქართველოს გამდიდრებისათვის“, „საბაასო“, „წერილი დაღესტნიდან“ და რამდენიმე ჟორესპონდენცია.

* * *

ე. ნინოშვილის შემოქმედების მთავარი თემა გლეხკაცის ცხოვრება იყო. გურიის მშრომელი გლეხკაცობის მძიმე ცხოვრების ფონზე დახატა ე. ნინოშვილმა რევოლუციამდელი სოფლის ცხოვრების ტიპიური და განზოგადებული სურათები. მწერალი ღრმად იჭრება გლეხკაცის ცხოვრების უაღრესად მწვავე და მძიმე პირობებში. ის უბრალო თანამგრძობელი როდია, არც ისეთი მწერლის ტიპია, რომელიც გლეხის ცხოვრებას მეთვალყურეობს, მის გარემოს აღწერს და თან, ბუნების თუ სხვა სურათების ხილვით აღგზნებული, დამშვიდებით წერს. არა, ნინოშვილი, პირველად ყოვლისა გლეხის მძიმე ყოფის, მისი არაადამიანური შრომის, ცხოვრებისაგან გაწამებული ადამიანის გულისწყრომის, ტანჯვის უშუალო მონაწილე და სწორუპოვარი მხატვარია. ნინოშვილი გაბედულად და დაუნდობლად ამხელს გლეხის მჩაგვრელ ძალებს, მძაფრი რეალისტის ხელით ხატავს გლეხთა დამონების მძიმე სურათებს. გურიის ხალხის ცხოვრების ფონზე

განზოგადებულად წარმოგვიდგენს მწერალი თვითმპყრობელობის დროინდელი მემამულურ-კაპიტალისტური სოფლის გლეხის უუფლებობისა და სიდუხჭირის ტიპიურ სურათებს.

ოთხმოციან წლებში ყველაზე მრავალრიცხოვან დაჩაგრულ ფენას სოფლის გლეხობა შეადგენდა, ნინოშვილმა თავისი სამწერლო კალამი ამ ხალხს დაუკავშირა. მისი წარმოდგენით, სოფელი სოციალურად და კლასობრივად დიფერენცირებულ, ერთმანეთთან დაპირისპირებულ ორ საწინააღმდეგო ბანაკს წარმოადგენს. ერთი მხრით არიან დროიძეები, უქმაძეები, ავსენიძეები, პოლიციის მოხელეები და ეკლესიის მსახურებით, მეორე მხრით—პატიოსანი მშრომლები. ღარიბ-ლატაკი გლეხები, ძალაძეები, უიშვილები, მუნჯაძეები. ნინოშვილმა მძაფრ დაპირისპირებულ კლასობრივ ვითარებაში წარმოადგინა მთელი ჩვენი საზოგადოებრივი ყოფა ამ პერიოდისა.

ნინოშვილის პირველსავე მოთხრობაში — „გოგია უიშვილი“ სრული სიმძაფრით გამოჩნდა უუფლებო, დამცირებული და დაჩაგრული რევოლუციის წინადროინდელი გლეხის დამახასიათებელი სახე. გოგია უიშვილის მთელი ბიოგრაფია ბატონყმობის გადავარდნის შემდეგდროინდელი გლეხის ზოგადი და დამახასიათებელი თავგადასავალია. აქ კარგად ჩანს, თუ როგორ ზედმიწევნით იცნობს ე. ნინოშვილი გურიის საზოგადოებრივ ვითარებას.

როგორც ცნობილია, კაპიტალისტურმა ურთიერთობამ სოფლად მწვავე სოციალური დიფერენციაცია გამოიწვია. გლეხობა ახალი მჩაგვრელის, ჩარჩ-ვაჭრების, ხელში ჩაგარდა. ბატონყმობის ნაშთების, ადგილობრივი პოლიციური აპარატისა და საეკლესიო მსახურთა ჩაგვრას ზედ დაერთო ჩარჩ-კაპიტალისტების მიერ ჩაგვრა. გართულებულმა სოციალ-ეკონომიურმა ვითარებამ სოფლად გლეხკაცობის მეტი გაღატაკება გამოიწვია. სოფელში გამეფებულმა ბოროტმოქმედებამ გლეხკაცობა არა მარტო დასცა ეკონომიურად, არამედ მასში პროტესტისა და წინააღმდეგობის გრძნობა გამოიშუშავა. სწორედ ამით იყო გამოწვეული, რომ ოთხმოციან წლებში გურიაში ფართო ხასიათი მიიღო ფირალობამ

(ყაჩაღობამ). როგორც თვითონ ნინოშვილი მიუთითებდა, „გლახაკობის ყაჩაღობის მიზეზი სოციალური და ადმინისტრაციული წესწყობილება იყო“.

გურიის გლახაკობის ამ მძიმე სოციალური ცხოვრების ზოგადი სურათია დახატული „გოგია უიშვილში“. აქ ყოველი სიტყვა, ყოველი ფრაზა, ყოველი ეპიზოდი, ყოველი სიტუაცია სინამდვილიდანაა აღებული, მძაფრი და მუქი ფერებითაა დახატული. მოთხრობის დასაწყისშივე ვტყობილობთ, რომ სოფელში ეგზეკუცია ჩამოუყენებიათ. თითო კომლზე ეგზეკუციის ხარჯად თითო თუმანი გაუწერიათ. გულის ტკივილით ამცნო ეს ამბავი მარინემ სამუშაოდან დაბრუნებულ ქმარს. აბუჩად აგდებისა და ჩაგვრისაგან გულგამებებული გოგია მწარედ შესჩივის ცასა და ქვეყანას: „ახლა ნადელის ფული, ახლა ხუცის ფული, ახლა ფოშტის ფული. ახლა გზის სამუშაო და რა ვიცი, ათასი ჯანაბა უნდა გადაიაროს ამ ჩვენს ზრუგზე! ამასაც არ დაგვაჯერეს, თქვენში ავკაცები ბუღობსო, ასწიეს შარშან და ეკუციით გააფსეს ჩვენი სოფელი, ახლა კიდევ ეკუციაო, ბარემ ამოგვხადონ სული“. ამ მარტივ გლახურ მსჯელობაში მთელი სისრულით არის დახატული ის მწარე სოციალური უკუღმართობა, რომელსაც განიცდიდა რევოლუციამდელი სოფლის გლახაკობა. მაგრამ არა მარტო გოგიაა ასეთ ბედში, მთელი სოფელი ამ ყოფაშია! ამას საგანგებოდ გახაზავს ნინოშვილი. „მარტო ჩვენ ხომ არა ვართ ასე, ყაზახს ასში ერთს ვერ ნახავ, ჩვენზე უკეთესად იყოსო“, მოაგონებს მარინე ქმარს და ამით ნინოშვილი აზოგადოებს გოგია უიშვილის ბედს. გოგია უიშვილი დატაკი გლახია. მემკვიდრეობით მან ერთი პატარა ფიცრული სახლი, ერთი ნალია, ერთი ფაცხა და შვიდი დღიური საბეგრო ანუ სანადელო მიწა მიიღო. ეს მცირე ქონება სამ ვაჟს შორის გაიყო. პირველად დაბრკოლება არ აშინებდა ცოლ-ქმარს, მაგრამ, რაც დრო გადიოდა, მით უფრო ძნელი ასატანი ხდებოდა ცხოვრების ტვირთი. ხარცივით შრომა, ოფლის ღვრა, კაპანწყვეტა არ შეელოდა გოგია უიშვილს, რადგან მისი ნაშრომი მჩაგვრელებს მიჰქონდათ, მძიმე ცხოვრებამ არა ერთხელ მოანატრა სიკვდილი. ამას ზედ დაერთო

კიდევ ახალი დამცირება და შეურაცხყოფა: ახალი წლის წინა ღამეს გოგიას ნაცვალი და პოლიციელები სახლში მიუხდნენ და, რაც გააჩნდა, წაართვეს, თვითონ ცოლითურთ სოფლის კანცელარიაში წაიყვანეს და საშინლად სცემეს. დამცირებული, შეურაცხყოფილი გოგიას სიტყვები საუკეთესო დახასიათებაა თვითმპყრობელური, ცარისტული რუსეთის სამართლისა: „ჩვენდა ქვეყანაზე სამართალი არ ყოფილა! მომთხარეს, დამაქციეს, გამლახეს, სამართლის კარზე მოვედი, მეგონა, და აქანაი ვარესი მიყვეს! სადა ხარ, სამართალო, ღმერთო, ხატო, რჯულო“. ე. ნინოშვილი ავტორისეული რეპლიკებით განუმარტავს მკითხველს ცხოვრების მძიმე ყოფის იმ ნამდვილ არსს, რომელშიაც მოქცეულია მისი საყვარელი გმირი.

„მართლა და რა ნუგეში შეიძლებოდა გოგიასთვის, როცა ის ცხადად ხედავს თავის მდგომარეობას. მუდამ მოუსვენარი ხარისხით შრომა, ოფლის ღვრა, ჭაპან-ღლეტი და მაინც ცოლ-შვილი შიშველ-ტიტველი, ხშირად მშიერიც; მიწა-მამული მის ბარაზე არსად მოიპოვება, ნაბატონარი საბეგრო მიწის (ნადელის) გარდა, გადასახადი დღითი დღე მატულობს; უფროსი, მებატონე, მღვდელი, მამასახლისი, ასე გასინჯეთ; ნაცვალიც კი მას უწყყრება და იჯაბნებს; სახსარი ცხოვრების გაუმჯობესებისა არსადა სჩანს. ნუთუ არ დალონდება და არ მოსძულდება თავი! მისი ფიქრები, რომლითაც „ოდის“ აშენებას ფიქრობდა, კარგა ხანია, რაც გაყიდა სხვა და სხვა გადასახადის დასაკმაყოფილებლად. გადასახადში წაართვეს მარინეს მზითვი: ნოხი, ფარდაგი, სპილენძის ქვაბი და ის „ქისეიას“ კაბა, რომელიც გოგიამ ჯვარის დაწერის დროს უყიდა მარინეს. რიგიანი საკმლის უქონლობა და უსაცმელობა, ანუ, როგორც თვითონ გოგია ეძახდა, „გლახათ ყოფნა“, ხშირად აჩენდა გოგიას ოჯახში ავადმყოფობას. მეტადრე ერთ ზაფხულში გოგიას ცოლ-შვილს გაუჩნდა სნება და ერთი ბავშვი მოუკლა, სხვები თუმცაღა გადარჩნენ სიკვდილს, მაგრამ ერთი ბავშვი კი დამუხრებულყო ავადმყოფობისაგან და მას შემდეგ ისე მუნჯად დარჩა. აი, ასეთმა უნუგეშო მდგომარეობამ შეაძულა გოგიას სიცო-

ცხლე და ანატრებიანა სიკვდილი; ამიტომ უჩიოდა ის ცას და ქვეყანას“.

„გოგია უიშვილში“ მწერალმა არა მარტო დაბეჩავებული გლეხის სახე დახატა, არამედ მასში მონახა პროტესტის, არსებულის წინააღმდეგ უკმაყოფილების ელემენტებიც. გოგია უიშვილი საჯაროდ ამხელს მჩაგვრელებს და მათ უსამართლო ქცევას. მაგრამ მას არ ყოფნის ძალა, რომ ამ უსამართლობის წინააღმდეგ თანმიმდევრული ბრძოლა აწარმოოს. მისთვის არ არის ცნობილი უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლის გზა და ამიტომაც, გამოუვალ წინააღმდეგობაში მოქცეული, თავის პროტესტანტულ გზას თვითმკვლელობით ამთავრებს.

„გოგია უიშვილში“ ეგნატე ნინოშვილმა გლეხის ცხოვრების მუქად დახატული თავგადასავალი ტრაგიკული კილოთი უაღრესად გაამძაფრა, ამბავს გამომწვევი ხასიათი მისცა. მკითხველი არა მარტო იმსქვალება ღრმა თანაგრძნობით დაჩაგრული გლეხის—გოგიას მიმართ, არამედ მასში იწვევს იმდროს არსებული უსამართლობის წინააღმდეგ პროტესტს, აღშფოთების გრძნობას.

გლეხკაცის ცხოვრების ანალოგიური სურათია დახატული აგრეთვე მოთხრობებში:—„განკარგულება“ და „პალიასტომის ტბა“.

„განკარგულებაში“ მოცემული სურათი გლეხკაცის ცხოვრებისა ისეთივე ტიპიურია და დამახასიათებელი, როგორც ეს წარმოდგენილია „გოგია უიშვილში“. ყოველდღიური ჯაფით მოქანცულ კაცია მუნჯადის ოჯახი' ისეთივე განწყობილებითაა დახატული, როგორც გოგია უიშვილის ოჯახი. სიღარიბისაგან წელმოწყვეტილი კაცია ისევე შესჩივის თავის ბედსა და ღუხქირ ცხოვრებას, როგორც გოგია. 12 წლის მარინეს კაბა „ისე დახეოდა, რომ ბევრგან სხეული უჩნდა. საბრალო ქალი თავის მშობლებთანაც კი სირცხვილით ხელებს იფარებდა ტიტველ სხეულზე. როცა სტუმარს დაინახავდა მარინე, მირბოდა სახლის უკან, რომ დამალულიყო... ორივე ბავშვი კი სულ ტიტველი იყო“. კაციასაც დაფლეთილი პერანგიდან მოუჩანდა მზისგან დამწვარი წითელი კანი. გაუ-

ხარელი კაცია გოგიასავით შესჩიოდა ქვეყანას: „რამდენი რა ღრ ტრიოლებს საწყალი ყაძახის თავზე,—ეუბნებოდა ფიქრებში კაცია თავის თავს,—ცოლ-შვილი დაარჩინე, ფოშტის ფული გადაიხადე, უჩიტლის, მწერლის, გზის სამუშაოზე წადი, სადარაჯოთ წადი. ყველას მორჩილება გაუწიე, ყველას ემსახურე. არა, ძალიან უბედურად არის ყაძახის ცხოვრება მოწყობილი“. გოგიასა და კაცია მუნჯაძის მდგომარეობაშია ივანეც („პალიასტომის ტბა“): „მებატონეს, მღვდელს, ხელმწიფეს, ოჯახს, მტერს, მოყვარეს, ყველას პასუხის გაცემა უნდა. ძნელია მუშის გული“. კაცია მუნჯაძემ კარგად იცის, ვინ არის მისი მჩაგვრელი, მაგრამ მასში პროტესტის, წინააღმდეგობის, გაწევის, ბრძოლის განწყობილება ისე მკვეთრი არ არის, როგორც გოგია უიშვილში. ამ მხრივ გოგია უიშვილსა და კაცია მუნჯაძეზე მაღლა დგას ივანე — „პალიასტომის ტბის“ მთავარი გმირი. ივანემ იცის, რომ ლალატი და ორპირობაა გლეხკაცობის მტერი. გლეხთა გაერთიანების მომხრე ივანე საყვედურით მიმართავს თავის თანამებრძოლებს: „ყაზახმა რომ ერთპირობა იცოდეს და ერთმანეთის ფხარის მიცემა, მაშინ...“ მაშინ დასკვნა ნათელია, რომ გლეხკაცის დაჩაგვრა და აბუჩად აგდება ადვილად არავის შეეძლება“. ასე გამოთქვა ნინოშვილმა კაცური უფლებებისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის აუცილებლობა ივანეს პირით.

გლეხკაცის უფრო მებრძოლი სახეა დახატული „სიმონაში“. სიმონა მებრძოლი გლეხის ღრმად მნიშვნელოვანი სახეა. სიმონამ იცის, რომ ძალას ძალა უნდა დაუპირისპირდეს, რომ მჩაგვრელები სასიკეთოს არაფერს გაიმეტებენ ღარიბებისათვის. თუ უსამართლობისაგან გამწარებულმა გოგიამ თვითმკვლელობის გარდა სხვა გზა ვერ მოძებნა, სიმონამ უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლის გზად ფირალობა ანუ ყაჩაღობა აირჩია. ნინოშვილმა კარგად იცის, რომ „თუ კაცმა თავზე ხელი აიღო, იმაზე საშიში რაღაა ქვეყანაზე“. სიმონას ავტორი გვიხატავს როგორც პატიოსან მშრომელს, როგორც ძალაძეების სახელოვან შთამომავალს. დავითმა უსამართლოდ აითვალწუნა იგი. სიმონამ ამ უსამართლობისა

და ბოროტების მოთავეს სამაგიერო მიუზღო. იგი სამართ-
ლიანად ამბობს: „ერთი მუშა კაცი ვიყავი, გასაქცელეტად მო-
მინდომეს, თავზე ხელი ამალებინეს და ეს არის ნახონ, თუ
კაია თავზე ხელაღებული კაცი“. დროიძემ უდანაშაულო სი-
მონა დააპატიმრებინა, მისმა შვილმა ტიტტიკომ კი ნამუსი
ახადა სიმონას ცოლს — დარიკოს, რის გამოც ამ პატიოსანმა
ქალმა თავი დაიხრჩო. ასე დაღუპეს დავით დროიძემ და მისმა
შვილმა — ტიტტიკომ ძალადების მთელი ოჯახი. ამაყმა და
პატიოსანმა მშრომელმა ძალადემ მოკლა დავითის ორი ვაჟი...
სამაგიეროს გადახდის შეგნებით შთაგონებული სიმონა ძა-
ლადე შურს იძიებს საექვო კომბინაციების გზით გამდიდ-
რებულ დავით დროიძის ოჯახზე.

ნინოშვილმა იცის, რომ რაც უფრო ძლიერია დაწოლა
ჩაგრულების მხრივ, მით უფრო აშკარად გამოხატულია
პროტესტისა და წინააღმდეგობის გრძნობა დაჩაგრულების
მხრივ. პროტესტის ეს გრძნობა ის ძლიერი ძალაა, რომე-
ლიც წალეკავს უსამართლობისა და ბოროტების მეთაურებს.

ასეთია ის განწყობილება, რომელიც ეუფლება მკითხველს
ნინოშვილის იმ მოთხრობების კითხვისას, სადაც სოფლის
სურათებია მოცემული.

* * *

კლასობრივი პრინციპით ხატავს ე. ნინოშვილი არა მარ-
ტო მის თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებას, არამედ
ამ თვალსაზრისით აშუქებს ჩვენი ხალხის ისტორიულ წარ-
სულსაც.

ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესოა რომანი „ჯანყი
გურიაში“. ესაა ძალზე საყურადღებო ისტორიული რომანი
მთელ ქართულ ლიტერატურაში. აქ რეალისტის ხელით
არის დახატული გურიის მასობრივი გლეხური მოძრაობის
მძაფრი ისტორიული სურათი.

რომანი ეხება 1841 წლის გლეხთა აჯანყებას. როგორც
დადასტურებულია ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში, მწე-
რალს ზედმიწევნით შეუსწავლია ეს აჯანყებაც. ფართოდ გა-
მოუყენებია როგორც მისთვის ხელმისაწვდომი ოფიციალური

დოკუმენტები, ისე თანამედროვეთა ნაამბობი, მოგონებები და ფართო მხატვრულ ტილოზე გამოუსახავს გლახური მოძრაობის ეს მნიშვნელოვანი ფაქტები.

რომანის ძირითადი ხასიათი ისტორიულ ჩარჩოებშია მოქცეული. მოქმედი პირები: ჰასან ბეგ თავდგირიძე, ბრუსილოვი, შალიკაშვილი, ნაკაშიძე, დადიანი, წერეთელი, თონიძე და სხვა ისტორიულად ცნობილი პირები—1841 წლის აჯანყების მონაწილენი არიან... მათ ერთგვარად ავსებენ ლიტერატურული გმირები: ბესია, სიმონი, გიორგი, ივანე, კობია და სხვ. მწერალს რომ ისტორიული ფაქტებისათვის მეტი პიძძაფრე მიეცა, ამიტომ ამბავს სასიყვარულო ფონზე შლის. ნაწარმოებში სამი რომანული ხაზია: მანასა და სიმონასი, გიორგისა და გულოსი, ბესიასა და მელანიასი. მთელი ეს სატრფიალო თავგადასავალი ისტორიული ვითარების ფონზეა მოცემული. ამ გმირების პირადი ბედი ოსტატურად არის დაკავშირებული აჯანყების მსვლელობასთან და „სამწუხარო შედეგებთან“. ეს უფრო აძლიერებს და საინტერესოს ხდის აქ მოთხრობილ ამბავს.

ცენტრალური ადგილი „ჯანყი გურიისაში“ უკავია ბატონყმობისა და ცარისტული რუსეთის მიერ დამონებულ გურიის გლახთა მდგომარეობის ასახვას. ეს ძირითადი საკითხი კლასთა ბრძოლის ასპექტითაა გაშუქებული. მთელი ისტორიული ვითარება წოდებათა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა შეჯახების გზით მიიმართება: აჯანყების ძირითადი წამმართველი ძალა გლახკაცობაა.

რომანის დასაწყისში აჯანყების საბაბად მწერალს გამოჰყავს მეფის რუსეთის მიერ პოლიციის შესანახად გაწერილი გადასახადი. ამ გარემოებამ თითქოს გლახობა და თავადაზნაურობა გარეგნულად ერთმანეთთან დააკავშირა, აჯანყების საერთო მიზნით გააერთიანა. მათ უნდოდათ თავიდან ჩამოეშორებია და განედევნა მეფის რუსეთის მმართველობა, მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნულად ჩანდა. არსებითად კი სხვადასხვანაირი ვითარება იყო: გლახობას სურდა თავიდან ჩამოეცილებინა ახალი მჩაგვრელები მეფის რუსეთის მოხელეების სახით. მჩაგვრელთა ეს ახალი ხროვა ზრდიდა ბატონყმო-

ბის ინსტიტუტს და საეკლესიო მსახურთა მძიმე ხარჯებს. თავადაზნაურობის მიზანი იყო, ჩამოშორებოდა მეფის რუსეთს, რათა თვითონ ებატონა გლეხობაზე და აღედგინა ფეოდალური წყობილების მმართველობის ძველი ფორმები. ამგვარად, მეფის რუსეთის წინააღმდეგ უკმაყოფილებას სხვადასხვა კლასობრივი საფუძველი ჰქონდა, მაგრამ პირველ პერიოდში 1941 წლის აჯანყებამ თითქოს გააერთიანა თავადაზნაურობა და გლეხობა. შემდეგ და შემდეგ გლეხკაცობამ უფრო კარგად შეიგნო თავისი კლასობრივი ამოცანები. გიორგის—რომანის ერთ-ერთი მთავარი გმირის შთაგონებით, აჯანყება, პირველ ყოვლისა, ბატონყმობის წინააღმდეგ მიმართა. გიორგი ასე განუმარტავს გლეხებს აჯანყების მიზანს: „ნამდვილი გაუმჯობესება გლეხკაცობის მდგომარეობისა, მხოლოდ მაშინ იქნება, როდესაც ბატონყმობა მოისპობა, მაგრამ ამასთან ესეც უნდა ვსთქვათ, რომ მონობის მოსპობაზე თვითონ გლეხკაცმა უნდა ამოიღოს ხმა“. და მართლაც, გლეხკაცობა ერთსულოვნად დაირაზმა ბესიას გარშემო და საბრძოლო დროშას ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის დამხობა წააწერა. „გლეხების გენერალს“ გვერდში ამოუდგა თავისუფლებისათვის მებრძოლთა მთელი ჯგუფი ათარგიზა თოიძის, როსტომა მეჯიხურეს, პეტრია მჭედლის და სხვათა სახით. ნათელი გახდა აჯანყების მიზანი: „ეხლა კი თითქო მცირეოდენ ნაწილს გარდა ყველამ იცოდა, რომ მათი აჯანყების მიზანი ბატონყმობის დარღვევა და ახლად გამოცხადებულ გადასახადზე უარყოფა იყო... ჯანყის მოთავე საუკეთესო პირები მტკიცედ იდგნენ თავიანთ განზრახვაზე“. ახლა მათ აჯანყებულთა წრეში მზაკვრული ზრახვებით შეპარულ ივანეს მუქარაც არ აშინებთ. სამართლიანი საქმის შეგნებით აღფრთოვანებული აჯანყება აღმავლობის გზით მიიმართება. აჯანყებულში ამარცხებენ მაზრის უფროსის—ბრუსილოვის ჯარებს, მათ დასახმარებლად მოსულ სამეგრელოსა და იმერეთის თავადაზნაურობის ლაშქარს. აჯანყება საბოლოოდ მარცხდება. უთანასწორო ბრძოლაში მეფის თვითმპყრობელობა თავადაზნაურობის დახმარებით ადვილად ჩაახშობს აჯანყებას. გურიის თავადაზნაურობა თავდაპირვე-

ლად აჯანყებულ გლეხობას მიემხრო, ბოლოს კი აჯანყებულე-ბის წინააღმდეგ გაილაშქრა. ე. ნინოშვილი მკაფიოდ გვისუ-რათებს თავადაზნაურობის გამცემლურ როლს ამ აჯანყებაში. ასე დაუპირისპირა მწერალმა ერთმანეთს რეაქციისა და რე-ვოლუციის ბანაკი. სიყვარულით და თანაგრძნობით გამოსა-ხა ხალხის თავისუფლებისათვის მებრძოლთა სახეები, მკვეთ-რად ამხილა თვითმპყრობელობისა და თავადაზნაურობის რეაქციული ძალები, როგორც ხალხის გამაუბედურებელი და დამჩაგრელი ძალა.

ე. ნინოშვილი ქართველი გლეხკაცობის ბრძოლას თვით-მპყრობელობის წინააღმდეგ იზოლირებულად როდი განიხი-ლავს. ამ რომანის დიდი ღირსება ისაა, რომ მწერალი ის-ტორიული სინამდვილის მართებული შეფასებით, რუს ხალ-ხთან კავშირის აუცილებლობას აღიარებს. ამასვე უკავში-რებს ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლის გზას. გიორგი ასე-თი რჩევით მიმართავს აჯანყებულებს: „ჩვენმა ხალხმა რუ-სეთს კი არ უნდა გაუწიოს წინააღმდეგობა, არამედ მონობას, ანუ ბატონყმობას. დიახ, გლეხკაცობის განთავისუფლება, მისი მდგომარეობის გაუმჯობესება უნდა ჰქონდეს მიზნათ აჯანყებას და არა რუსების განდევნა... მაშინ შინაყმები, რომ-ლებიც ასჯერ მეტი არიან თავიანთ ბატონებზე, მტკრად აქ-ცევენ ჩვენი გაუნათლებელი თავადაზნაურობის ამგვარ მოქ-მედებას და ამგვარი მოქმედებით გაგლეჯენ დიდის ხნიდან გაქედილს გლეხკაცობის ყელზე მოხვეულს ჯაქვს“. ადვილად მისახვედრია, რომ ე. ნინოშვილის მიერ ასეთი სიყვარულით გამოხატულ სიტყვებში ნაგულისხმევია არა მეფის რუსეთი, არა თვითმპყრობელობის კოლონიზატორული პოლიტიკის გამ-ტარებელი ცარიისტული რუსეთი, არამედ რუსი ხალხი.

„მე მგონია, ჩვენი ბევრმა კარგად იცის, რომ ჩვენი ქვეყანა რუსეთს ომითა და ძალადობით არა დაუპყრია, არამედ ჩვენი რუსეთთან შეერთება მოხდა ჩვენივე სურვილით. ჩვენი ქვეყანა შეერთდა რუსეთთან იმიტომ, რომ ჩვენი უგუნური არამზადა მთავრებ-მეფეები ურთიერთ შორის ჩხუბისა და ცარცვა-ლღეტის გამო სულიად დაუძლურებული ვიყავით და მოვე-ლოდით, აი დღეს, აი ხვალ აგვიკლებს სპარსი, ოსმალი, ლეკი

და სხვა ბარბაროსი ხალხიო: რა რომ რუსეთს შევეუერთდით, მას შემდეგ ამ მხრივ სრულიად უშიშარნი შევიქენით... რა ვიქნებოდით აქამომდე, რომ რუსეთს ჩვენთვის პატრონობა არ გაეწია! დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ჩვენ ვიქნებოდით მაშინ ბარბაროსი ოსმალების, ანუ ეგეტივე ბარბაროსი სპარსეთის ყურმოჭრილი ყმა, მხოლოდ რუსეთმა დაიხსნა ჩვენი ქვეყანა ამ უბედურებისაგან. ეს ყოველივე უნდა ვიქონიოთ სახეში და ცალმხრივ მსჯელობა აღარ მოგვივა“. გიორგის სახით ე. ნინოშვილმა დაგვიხატა რევოლუციური, პროგრესული ინტელიგენტის საინტეროსო სახე. ის კარგად ერკვევა, როგორც სოციალურ ისე პოლიტიკურ საკითხებში. აჯანყებულების ამ იდეური მეთაურის აზრით მშრომელთა განთავისუფლების საქმე თვით გლეხკაცობის საქმეა და მთავარ სოციალურ ძალად მას სწორედ გლეხკაცობა მიაჩნია. და ეს სავესებით სწორია. ორმოციან წლებში არ არსებობდა სხვა ძალა, გლეხკაცობის გარდა, რომელსაც შეეძლო მშრომელთა განთავისუფლების წამყვანი ძალა ყოფილიყო. დამახასიათებელია, რომ გიორგის პოლიტიკური პროგრამა დემოკრატიული მმართველობის სისტემას ითვალისწინებს. იგი ამბაკო შალიკაშვილთან საუბარში ასეთ აზრს ავითარებს: „თუ კი სასწაული მოხდება და ჩვენი გლეხკაცობა თავადაზნაურობას და რუსებს მოერევა, მერე რესპუბლიკური მმართველობა დავაარსოთ, ე. ი. აღმოვარჩიოთ პატიოსანი და ჭკვიანი კაცები და რამდენიმე წლის ვადით მივანდოთ ხალხის მმართვეა, შემდეგ როცა ამათ მინდობილებას ვადა შეუსრულდება, სხვები ამოვირჩიოთ. ამათ შემდეგ კიდევ სხვები და ასე იქნება შემდეგშიაც“. ასეთია გიორგის პოლიტიკური პროგრამა. ამის მიხედვით სრულიად ბუნებრივად ისმება საკითხი შეიძლებოდა ორმოციანი წლების გურიას ინტელიგენტის ასეთი ჩამოყალიბებული მოწინავე, პროგრესული, რევოლუციურ-დემოკრატიული მოაზროვნე ჰყოლოდა? როგორ ეს ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, ძნელია, ასეთი რამ წარმოვიდგინოთ, მაგრამ ხომ შეიძლებოდა ამ შემთხვევაში ე. ნინოშვილს სცოდნოდა 1832 წლის შეთქმულების ისტორია და გამოეყენებინა ამ შეთქმულებაში მონაწილე დემოკრატიულად მოაზროვნე ინტელი-

გენტთა სახეები. ამიტომ, ჩვენი აზრით, უფრო სამართლიანი იქნება ვიგულისხმოთ, რომ ნინოშვილმა ისტორიული წარსულის ამგვარი წარმომადგენლების სახეში მისი დროის მოწინავე ინტელიგენტის შეხედულებანიც გააერთიანა და ასე გაანათა ახალი იდეების შუქით ორმოციანი წლების ინტელიგენტის შეხედულებანი.

რომანში გადაშლილია სახალხო ბრძოლის ვრცელი სურათი. ხალხის მასობრივი ბრძოლის მონუმენტალური სურათია დიხატული 1841 წლის ისტორიული აჯანყების ფონზე. თუ, ერთი მხრით, აჯანყებულთა იდეურ ხელმძღვანელად მწერალმა გიორგი დაგვიხატა, მეორე მხრით, ამ იდეების პრაქტიკული განხორციელებისათვის მებრძოლი მეთაურის როლში გლეხის წრიდან გამოსული ბესია წარმოგვიდგინა. ბესია უხსნის ხალხს საქმის ვითარებას, განუმარტავს აჯანყების მიზანს: იგი ივანესა და კოზიას წინააღმდეგ ბრძოლაში ახერხებს მთელი ყრილობის გადმოყვანას მის მხარეზე. ამ ძალით ბესია გლეხებს წარმართავს მებატონეებისა და მშრომელი ხალხის სხვა მჩაგვრელების წინააღმდეგ. ბესია ბოლომდე რჩება ხალხის თავისუფლებისათვის მებრძოლი გმირის როლში. მას მუხანათურად კლავენ რეაქციის აგენტები. აზნაური ივანე და მისი შინაყმა კოზია ვერაგულად იმეტებენ ბესიას. რეაქციის ბანაკი ზეიმობს იოლად მოგებულ გამარჯვებას. „აი გლეხების გენერალი მოუკლავთ, აჰა, შენ გვართმევდი ყმებს? არ გერჩია შენი ბატონისათვის გემსახურებია და ცოცხალი ყოფილიყავი?“ ასე მიმართავს მას თავადი დათა. ნინოშვილი სავსებით სწორად უსვამს ხაზს იმ კლასობრივ წინააღმდეგობას, რომელიც არსებობდა თავადაზნაურობასა და გლეხობას შორის. ბესია, რომელმაც ნათლად შეიგნო თავისი კლასობრივი ინტერესები, თავადაზნაურობის და ბატონყმობის წინააღმდეგ აჯანყებს ხალხს. თავადაზნაურობა მიეკედლება მეფის რუსეთის მოხელეებს და მათთან შეკრავს ზავს. ასე ნათლად წარმოადგენს ე. ნინოშვილი კლასობრივი ბრძოლის ლოგიკის ნამდვილ არსს და ამ პრინციპის საფუძველზე ხატავს 1841 წლის გლეხური მოძრაობის მთელ ისტორიას. სწორედ ეს აქვს მხედველობაში ნინოშვილს, რო-

დესაც გიორგის ათქმევინებს: „დღეს რუსეთშიაც ძლიერ გაცხარებული ლაპარაკი და მოქმედებაა მონობის დარღვევის და გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის; საუკეთესო კაცები ამის მუშაკნი და მომხრენი არიან. იმედია, რომ ადრე თუ გვიან აღსრულებული იქნება ეგ სამართლიანი წადილი, ესე იგი რუსეთშიაც მიენიჭება გლეხკაცობას თავისუფლება. რა თქმა უნდა, რომ მაშინ ჩვენ გლეხკაცობსაც ეშველება და გადაეღება კისრიდგან მონობის უღელი. ამის შემყურადე უნდა ვიყვეთ, თორემ მეტი რა გზა გვაქვს... ჩვენი გლეხკაცობა უნდა იყვეს შეწყურადე რუსეთისა და უნდა მოელოდეს იმავე ბედს, რასაც რუსეთის გლეხკაცობა. ვინიცობაა რუსეთში გლეხკაცობამ ნებაყოფლობით ვერა-რა გამოიტანოს და აჯანყდეს, მაშინ, რა თქმა უნდა, ჩვენი გლეხკაცობაც ვერ გაჩერდება გულხელდაკრეფილი. მიხედავს რუსეთის მაგალითს და იომებს თავისუფლების მოსაპოვებლად“.

რომანში 1841 წლის აჯანყება დახატულია, როგორც ეროვნულ-სოციალური მოძრაობა, უპირატესად, როგორც სოციალური მოძრაობა. ეროვნული მოძრაობა სოციალურ მოძრაობასა და მორჩილებული.

„ჯანყი გურიაში“ ე. ნინოშვილის ერთი პირველი ნაწარმოებთაგანია. იგი დათარიღებულია 1888—89 წლით. დაიბეჭდა ავტორის სიკვდილის შემდეგ „კვალში“.

* * *

ეგნატე ნინოშვილს მაშინ მოუხდა სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა, როდესაც საქართველოში მეურნეობის კაპიტალისტური ფორმა აღმავლობის გზით მიდიოდა. მწერალს ეს მოვლენები არ გამოჰპარვია. მან კარგად შენიშნა კაპიტალისტური ურთიერთობის შექრა სოფლად და ამის შედეგად კულაკობის, როგორც კაპიტალისტური ცხოვრების პირმშოს, აღმოცენება. ყველაზე უფრო დამთავრებული სახით ეს სოციალური პროცესი დახატულია „სიმონაში“. ნინოშვილმა კარგად იცის, რომ კაპიტალისტური ცხოვრება მწვავედ დააწვა სოფლის ხალხს. ახალმა გართულებულმა ცხოვრებამ

6. ს. კილაია

უფრო მძიმე გახადა გლეხის მდგომარეობა. და ამ გართულებული ცხოვრების შედეგად „მამულის პატრონებმა ლალასაც და ბაეს მოუმატეს, გლეხობას შრომა, სიღატაკე და გადასახადი დღითი-დღე ემატებოდა“.

ახალი სოფლის კაპიტალისტური, კულაკური ცხოვრების სურათი სწორედ „სიმონაშია“ მოცემული. დავით დროიძე ფულმა აქცია ყოვლისშემძლე კაცად. ყველა მისი შემყურეა, შიში, რიდი, პატივისცემა და მოკრძალება დაიმსახურა მან ფულის, სიმდიდრის მეოხებით. არც ერთ სოფლის მებატონეს არ ჰქონია ისეთი გავლენა, როგორც დავით დროიძემ მოიპოვა. ფულით გაამაყებული ტიტოკო ასე მიმართავს თავის ძმას: „კაცო, ძალა თქვენ გაქვს, ფული თქვენ გაქვს და მაინც კი ერთი დასწეულელებული დედაბრის უნდა გეშინოდნენ და ცრუობა უნდა იფიქროთ მისი შიშით... რა ოხრად გინდათ ეს შეძლება და ფულები, თუ კი დედაბერიც თქვენ შეგაშინებთ, ის კი არა, კრინტის დაძვრას ვერ უნდა გიბედავდნენ მეზობლები“. ასე მსჯელობს დავით დროიძის შვილი ტიტოკო. სიმდიდრით გათავხედებული დროიძე ფეხქვეშ თელავს სიმონას ოჯახს.

დავით დროიძეს სამართლიანად ეძახიან სოფლის პატარა მეფეს. მამასახლისი და ბოქაული, მომრიგებელი მოსამართლე თუ მაზრის უფროსი ერთნაირი პატივისცემით ეპყრობიან დავითს და ყოველ მის მოთხოვნას უყოყმანოდ ასრულებენ. მწერალი არა მარტო გადმოგვცემს დავით დროიძის გამდიდრების ისტორიას, არამედ აჩვენებს დროიძეებს, როგორც ხალხის უბედურების, ჩაგვრისა და დამცირების მიზეზს. დროიძეებმა გააუბედურეს ძალაძეების ოჯახი. ამ მხრივ როდი ჩამორჩებიან ისინი ძველებური ყაიდის ბატონებს. პატიოსან მშრომელ კაცს სიმონას, რომელმაც არ მოინდომა დროიძეების ყურმოჭრილი მონა ყოფილიყო, თავიდან ჩამოიცილებენ ცილისწამების გზით. მწერალი ხსნის ამ კონფლიქტის ნამდვილ კლასობრივ აზრს. დროიძეებისა და ძალაძეების მორიგება არავითარ ძალას არ შეუძლია იმიტომ, რომ ისინი კლასობრივად მოწინააღმდეგე ინტერესების წარმომადგენლები არიან. ნინოშვილი სწორედ ამ კლასობრივი კონტრასტების გზით ხატავს დავით დროიძისა და სიმონა

ძალადის ურთიერთობას. კლასობრივი პრინციპის ერთგული მწერალი ბოლომდე შეურიგებელი რჩება კაპიტალიზმის წარმომადგენლის — დავით დროიძის მიმართ, ისევე როგორც ფეოდალური ყოფის წარმომადგენლების მიმართ. არც ზნეობრივი აღვირახსნილობით ჩამორჩებიან კაპიტალიზმის წარმომადგენლები თავად-აზნაურების ნაშვიერებს. ტიტტიკოს მორალი ტარიელის ან იასონის მორალის მსგავსია. სიმონას ლამაზი მეუღლე ისევე გააუბედურა და მსხვერპლად შეიწირა ტიტტიკომ, როგორც ტარიელმა დესპინე, ან იასონ უქმაძემ — ქრისტინე.

ე. ნინოშვილი კარგად იცნობდა კაპიტალიზმის შავ ლაქებს, ბურჟუაზიული ცხოვრების სიმახინჯეს. ამ ცხოვრების გამხრწნელმა გავლენამ დააყენა ქრისტინე ზნეობრივი ამორალიზმის გზაზე. უკანონო შვილის დედა ქრისტინე სოფლისა და მშობლების დაყვედრებას გამოექცა. მას ეგონა ქალაქში ჰპოვებდა შეებას. მაგრამ აქ მორალური გახრწნილების მორევში მოექცა. ბურჟუაზიულმა ქალაქმა ჯერ მორალური ღირსება ახადა ქრისტინეს, მერე იყო და ფიზიკურადაც დაღუპა იგი. ბურჟუაზიული ცხოვრების ამორალიზმისა და გარყვნილების დაღი აზის კოტესაც („არ-შიყნი“), რომელმაც ვარდო და მისი ოჯახი შეიწირა. ამგვარად, ნინოშვილმა ძლიერად გამოსახა ბურჟუაზიული ყოფის ამორალიზმი.

* * *

ე. ნინოშვილი, როგორც მშრომელთა ინტერესებისათვის მებრძოლი მწერალი კარგად ხედავდა, რომ გლეხკაცობის სულთამხუთავად და დამჩაგვრელ ძალად კვლავ რჩებოდნენ ძველი ფეოდალური ყოფის წარმომადგენლები. კაპიტალისტური ცხოვრების შედეგად შექმნილმა გართულებულმა პირობებმა მადა გაუხსნა თავადაზნაურობას, ამის მიხედვით მათ გააორკეცეს გლეხკაცობის ყვლეფა. თავადაზნაურული ყოფის წარმომადგენლები დახატა, ე. ნინოშვილმა მოთხრობებში: „ჩვენი ქვეყნის რაინდი“ და „სოფლის გმირები“.

ყველა ეს ტარიელ მკლავაძეები, იასონ უქმაძეები, მანუჩარ არწივაძეები... საზოგადოების ხორცმეტი, მანვე ადამიანები არიან. თავისი ბიოგრაფიითაც ტარიელი, იასონი და მანუჩარი ერთმანეთის მსგავსი არიან—მანუჩარ არწივაძე გიმნაზიის პირველი კლასიდანვე დაითხოვეს მასწავლებლის გალახვისათვის... „მასწავლებლები მუდამ უჩიოდნენ იასონს უმორჩილობასა და სიცელქეს“. ბოლოს „მასწავლებელს სილა გააწნა“. ფუფუნებასა და ნებივრობაში აღზრდილი უქმაძე სკოლიდან დაითხოვეს. ასეთივე ბედი ეწვია ტარიელ მკლავაძესაც.

„ჯერ კიდევ ექვსი წლის ბავშვი იყო ტარიელი, რომ მშობლებმა ხანჯლის ტარება დააწყებინეს. სამაგალითოდ შეენოდა ჩერქეზული ტანისამოსით გამოწყობილ ტარიელს ეს იარაღი. ბავშვის პირობაზე ბექებგანიერი, მეტად საღი, თვალ-ტანადი ტარიელი, ხანჯლით წელზე, იმთავითვე ძველებურ რაინდს მოგაგონებდათ... ბევრ ღირსებასთან ერთად დიდი ნაკლოვანება გამოაჩნდა ტარიელს: სრულიად სუსტი იყო სწავლაში, ასე რომ მისი მშობლები იძულებული შეიქმნენ გამოეყვანათ სკოლიდან, სადაც რამდენიმე წლის წინათ მიაბარეს, იმდენ ხანს სკოლაში ყოფნით ქართული კითხვაც კი ვერ შეისწავლა ტარიელმა...“ ბუნებისაგან დაჯილდოებული თვალტანადობის გამო ქებით იხსენიებდნენ მას თავადები და თანდათან გამედიდურდა. „ამგვარად, ტარიელი ნელ-ნელა შეეჩვია იმ აზრს, რომ მას, როგორც საუკეთესო ქმნილებას, საუკეთესო ადამიანს, სრული უფლება აქვს დატკბეს ამქვეყნად, იგემოს ეს ქვეყანა, თუნდა ამ დატკბობას სხვების სიცოცხლე და ბედნიერებაც შეეწიროს მსხვერპლად. ლტოლვილება დატკბობისა ტარიელისათვის გამოირკვა ორ საგანში: ქალებში და ღვინოში. ეს ორი საგანი შეიქმნა ტარიელისათვის სიცოცხლის მიზნად. ჰქონდა ტარიელს მესამე ლტოლვილებაც. ეს მესამე ლტოლვილება იმაში მდგომარეობდა, რომ ეძებდა შემთხვევას გმირული საქმე ჩაედინა“, რაც ადამიანთა ფიზიკურ შეურაცხყოფაში თუ ჩხუბში გამოიხატებოდა.

ტარიელ მკლავაძე, იასონ უქმაძე ე. ნინოშვილმა წარ-

მოადგინა ახალთან, უკეთესთან ბრძოლაში და კონფლიქტში. ტარიელ მკლავაძის თავგასულობის მსხვერპლი გახდა სპირიდონ მცირიშვილი—ხალხის ეს ერთგული მოქირისუფლე და მისი ინტერესებისათვის თავდადებული მებრძოლი. იასონ უქმაძის, ამ ცბიერი და გაიძვერა აზნაურის, ავბორცობამ იმსხვერპლა გულუბრყვილო გლეხის გოგონა ქრისტინე.

ე. ნინოშვილმა ტარიელ მკლავაძისა და სპირიდონ მცირიშვილის სახით ერთმანეთს დაუპირდაპირა ორი სხვადასხვა კლასობრივი ინტერესის გამომხატველი ტიპი. ტარიელი გარდასული, დრომოკმული, ძველი, ფიზიკური ძლიერების იდეალის კაცია, სპირიდონი კი ახალი, პროგრესული, დემოკრატიული იდეებისათვის, ხალხის ინტერესებისათვის მებრძოლი გმირია. ისინი სრულიად საპირისპირო ტიპები არიან. სპირიდონ მცირიშვილი ხალხის წრიდან გამოსული ინტელიგენტია. იგი მზად არის მთელი განათლება და ცოდნა,—თუ საჭირო იქნება, სიცოცხლეც — უყოყმანოდ ხალხს შესწიროს. ხალხს უყვარს თავისი მასწავლებელი. „ის ხალხის მასწავლებელი იყო, ხალხს ესარჩლებოდა, იღრწოდა მათი წარმატებისათვის“,—ამბობს მწერალი. მისი მიზანია ღირსეული სამსახური გაუწიოს ხალხს და ქვეყანას. მას იტაცებს ხალხისთვის თავგანწირულთა ბრძოლა „რომელთაც ვერ აზინებს ვერც სიმშლილი, ვერც სიცივე, ვერც საპყრობილე, ვერც დაკარგვა, ვერც მარტოობა და ვერც სახრჩობელა“. აი ასეთი ადამიანები გაუხდია მას თავის იდეალად. მისი აზრით, ის ადამიანია პატივისცემი, რომელსაც ხალხის ცხოვრება თავისი ღვაწლით გაუუმჯობესებია. ასეთია სპირიდონის მიზანი. სულ საწინააღმდეგო აზრი ამოძრავებს ტარიელ მკლავაძეს. ტარიელ მკლავაძესა და იასონ უქმაძეს იდეალი როგორც მწერალი ამბობს, გამოხატულია „ქალებში და ღვინოში“. ტარიელი და იასონი ხალხის ხელშემშლელი, დამჩაგვრელი ელემენტებია. ნინოშვილი საგანგებოდ გახაზავს ამ გარემოებას: „ძლიერ აწუხებდა ტარიელის თავგასულობა მის სამშობლო სოფელს, მეტადრე გლეხკაცობას. თითქოს მისი ჰარამხანის კუთვნილება იყოსო, ისე უყუ-

რებდა ტარიელი გლეხკაცების ქალებს“. ასევე იქცევა იასონ უქმაძეც, რომლის უნამუსობის მსხვერპლი გახდა პატიოსანი გოგონა ქრისტინე. ხალხი ებრძვის თავის მჩაგვრელებს. არა ერთხელ სცადა სოფელმა თავიდან ჩამოეცილებინა ტარიელი, მოთმინებიდან გამოსულმა სოფლის გლეხკაცობამ ტარიელს საჩივარი შეუდგინა და წარადგინა, სადაც ჯერ არს. ამ გზით ვითომც სოფლის გლეხკაცობას სურდა ტარიელის თავიდან მოშორება, მაგრამ ტარიელისა და იასონის დამცველთა როლში მეფის პოლიცია გამოდის. ამიტომ გლეხკაცობის ყოველგვარი ბრძოლა მათ წინააღმდეგ ამოაო რჩება. მწერალმა, ტარიელს დაუპირისპირა მშრომელი ხალხის ინტერესებისათვის მებრძოლი სპირიდონ მცირიშვილი. ამ უკანასკნელის ბრძოლა და მოქმედება ტარიელ მკლავადის წინააღმდეგ უალრესად საზოგადოებრივი ხასიათისაა. სპირიდონი გვევლინება არა მხოლოდ პირადი შურისძიებით გაბოროტებულ პიროვნებად, არამედ იგი საზოგადოებისათვის, მისი ინტერესებისათვის მებრძოლი ადამიანია, რომელსაც გადაუწყვეტია თავისი ხალხის მტერი მოსპოს. იმ მომენტში, როდესაც სპირიდონმა გადაწყვიტა ანგარიში მოსთხოვოს თავის დამლუბველს. მან გარკვევით გაიგო ტარიელის სიტყვები ახალი „საგმირო საქმეების“ შესახებ, ტარიელისა, რომელიც „თითქოს იმისთვის არის დაბადებული, რომ ყველა გაქელოს და შეურაცხყოს! თავი მოსწონს კიდეც ამით“. ამ ფაქტით აღშფოთებული სპირიდონ მცირიშვილი უფრო მტკიცედ გადაწყვეტს მოსპოს ეს მავნე ელემენტი და კიდეც ასრულებს ამ განზრახვას.

მოთხრობა „ჩვენი ქვეყნის რაინდის“ სიუჟეტი ამ ორი ძალის, ამ ორი მორალური კატეგორიის მძაფრი დაპირისპირებით იშლება. მწერალმა ღრმა კლასობრივი კომფლიქტის ფონზე გამოსახა ორი ტიპი: ხალხის ინტერესებისათვის დაუცხრომელი მებრძოლი, გონებრივი და ზნეობრივი მაღალი მორალით დაჯილდოებული სპირიდონ მცირიშვილი და ამორალური, პირუტყვეული განზრახვებითა და აღვირახსნილობით ხალხის შემავიწროვებელი, საზოგადოებრივად მავნე ადამიანი, ტარიელ მკლავადე, რომლის ცხოვრების შინაარსი

ლოთობასა და ავხორცობაში გამოიხატება. ეს დაპირისპირება მოცემულია მწვავე კოლიზიებითა და კონფლიქტებით.

ე. ნინოშვილი მთელი თავისი შეგნებითა და კეთილშობილური ცხოვრებით იბრძოდა მშრომელი ხალხის მავნე ძალების წინააღმდეგ. მისი აზრით, მშრომელი ხალხის ცხოვრების ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორი არის გარდასული, ძველი ტრადიციები, რომელსაც ფართოდ გაუდგამს ფეხი გაუნათლებელ და ჩამორჩენილ გლეხკაცობაში.

ტრადიციის მავნე გავლენათა შედეგად მშრომელთა გაუბედურების ფაქტები ასახულია მოთხრობებში: „პარტახი“, „უცნაური სენი“ და „არშიყნი“.

განსაკუთრებით მძიმეა, ნინოშვილის აზრით, მშრომელი ქალის ცხოვრება. ძველი ტრადიციის ფონზე გადმოშლილია „პარტახის“ მთავარი გმირის—ლიზას ტრაგიკული თავგადასავალი. გულის შემზარავად გაისმის მისი სიტყვები თავის მოკვლის წინ: „შევსძულდი, შევსძულდი ყველას! რეზა შეცთიო? რა ვიცი, რეზა შევეცთი! ისე იყო ჩემი საქმე მოწყობილი და შევეცთი! თლათ იგინია დანაშაული ჩემს შეცთომაში! არა ვითამ? აბა მე ვარ? რა ვიცი, ვეფერს გეიგებს კაცი, ესეა მოწყობილი ჩვენი ყოფნა!... ძალიან უბედურათ არის ქალის საქმე! ყაზახის ქალი ნამეტური დაქირულია! ჯერ დედ-მამაა შენი ბატონი და მერე ქმარი! ხმაის ნება არც ერთთან არ გაქ! რომ განწვალონ, მაინც იმათ ხელში უნდა დარჩე, სანამდი ცოცხალი ხარ! აბა სხვაი რა გაგივა? გეიქევეი? რა გამოვიდა მერე? რამდონი გეიქცა, მარა ზოგი დაქერილი მეიყვანეს, ზოგი ქმარმა მოკლა და ზოგი ჭირმა დააღპო. თაობიდან არის ყოლიფერი უხეიროთ მოწყობილი და იგია“.

ასე მკვეთრ ფერებში ხატავს ე. ნინოშვილი ქალის ბედს მძინანი წლების სოფლის მძიმე პირობების ფონზე.

საზოგადოდ, ე. ნინოშვილმა ლირიკული განწყობილებებით დახატა ქალთა სახეები, სიყვარული და თანაგრძნობა არ დააკლო მათს ტრაგიკულ ბედს. მისი გმირი ქალები თითქმის ყველანი (ამ შემთხვევაში გამონაკლისია გაქალაქებული სონია და კიდევ რამდენიმე) დადებითი გმირებია, კეთილი და გულწრფელი განცდის ადამიანები, ოღონდ ცხოვრების უკუ-

ღმართობისაგან განწირულნი: ეს იქნება უსწავლელი, მოტყუებული გლეხის გოგონა ქრისტინე, ძალით გაუპატიურებული დარიკო, დესპინე თუ გულო.

ნინოშვილის ნაწერებისათვის, საზოგადოდ, დამახასიათებელია ტრაგიკული ინტონაციები. ამ სევდიან ინტონაციას ემორჩილება ფერების, საღებავებისა და სიტყვიერი მასალის შერჩევაც. უკუღმართი, შავბნელი სინამდვილის გამოსახვა არა მარტო უთანასწორო ბრძოლაში დაცემულ გმირთა თავგადასავალშია გამომჟღავნებული, არამედ იმ მხატვრულ მასალაშიც, რომელსაც იყენებს მწერალი ამ გმირების ბედის გამოსაძერწად. გმირების სასოწარკვეთას თითქოს ეხამება ბუნების სურათებიც. მოვიგონოთ მოტყუებული ქრისტინეს ლოდინი მდინარის პირას: „დღე იყო ყუჩი, ღრუბლიანი, არემარეს გულის დამამძიმებელი, რაღაც მყუდრო მოწყენილი სახე ედო“. ნინოშვილის გმირების ფსიქოლოგია უბრალო და მარტივია. ისინი მაშინვე ამქლავნებენ თავიანთ ხასიათს, ცხოვრებისა და ბუნებისაგან განებივრებული ადამიანები არ არიან. მათ ხანგრძლივი დაკვირვებისა და რთული მსჯელობისათვის არც სცალიათ და ბევრ მათგანს არცა აქვს ამის უნარი. მათი არითმეტიკა მარტივია, შიათ, წყურიათ, შრომობენ და მაინც მშვიერი არიან, ამიტომ ისინი არსებობისათვის, უფლებებისათვის იბრძვიან და ამ ბრძოლაში იხოცებიან. ამ პერსონაჟებს ცხოვრების დიდი უშუალობა და ბუნებრიობა მისცა ე. ნინოშვილმა, მათი ოცნება და ფიქრი, სევდა და სიხარული მათი სოციალური ბედის გარშემო ტრიალებს. ამ მარტივ ადამიანებს დიდი სულიერი და მაღალი მორალური ცხოვრება აქვთ. ე. ნინოშვილმა ეს აღმოაჩინა, როგორც მხატვარმა. მან ადამიანის სულის ღრმა ცოდნით გამოსახა გოგია უიშვილები, კაცია მუნჯაძეები, სიმონა და დარიკო ძალაძეები და სხვანი და სხვანი. ეს მარტივი სინამდვილე ისეთი უშუალობითა და განცდათა სიწრფელით დახატა მწერალმა, რომ ეს გმირები თავიანთი მარტივი მსჯელობით უფრო გვხიბლავენ, ვიდრე რომელიმე ფილოსოფიური ტრაქტატით და ლოგიკის ფორმულებით:

თავგამოტენილი გმირები. ამ გმირების ცხოვრება დახატა ე. ნინოშვილმა ხალხის გულში დაგროვილი სოციალური ბოღმის დიდი შინაგანი სიმართლითა და გულწრფელობით: გამოსახვის გზით. ე. ნინოშვილის მხატვრული ხერხი არ არის რთული, სამაგიეროდ, იგი უაღრესად გულწრფელია და მართალი. ნინოშვილის ნაწერებისადმი შეუწელებელი ინტერესი აქედან წარმოდგება. დამახასიათებელია ე. ნინოშვილის მკაფიო, ტიპიური სახეები. ეს ტიპები უშუალოდ ცხოვრებიდან აღებული და უაღრესად კოლორიტულია. მწერ-რალს აქვს უნარი ერთბაშად მოძებნოს დამახასიათებელი ტიპისათვის. ყველაფერი ეს იმის წყალობით, რომ ნინოშვილი არ არის სინამდვილის „ნატურალური“ მხატვარი, იგი ცხოვრების უშუალო მონაწილეა და მგზნებარე მებრძოლი. ნაკლებ ყურადღებას უთმობდა ავტორი სიტყვიერ ჩუქჩურ-იმებს, პოეტურ გაზვიადებას. იგი უფრო მებრძოლი პუბ-ლიცისტის სტილის მწერალია. ამ გარემოებამ ერთგვარად ნინოშვილს შეიძლება კიდევაც აენო, მაგრამ მან მაინც ვერ დაჩრდილა სულიერი განწყობილების გამოხატვის ცხოველი ძალა. ისე კი, რომ ე. ნინოშვილს, აქვს უნარი რთული სიუჟეტური და კომპოზიციური ხერხებით გამოსახოს მოვ-ლენა, ჩანს მისი ცნობილი რომანიდან „ჯანყი გურიაში“.

* * *

ეგნატე ნინოშვილმა თავისი ხანმოკლე სამწერლო მოღ-ვაწეობა ხალხის ინტერესებისათვის ბრძოლას შეაღია. მან ახალი ვითარების ფონზე დაგვიხატა მშრომელთა მწვავე ცხოვრება, გაამძაფრა და გაამახვილა კლასთა ურთიერთობის საკითხი. ასე მწვავედ და თანმიმდევრულად, იშვიათად დაუყე-ნებიათ ჩვენს ლიტერატურაში ეს კითხვა. ნინოშვილმა ჩაგ-რულთა ბედი გაიხადა თავისი შემოქმედების თემად, მშრო-მელი ხალხის განთავისუფლებისათვის ბრძოლა მთელი თავი-სი მოღვაწეობის იდეალად მიიჩნია. ოთხმოცდაათიანი წლების ახალი იდეები, დემოკრატიულ-რევოლუციური მოძრაობის

სული იგრძნობა ნინოშვილის ნაწერებში. ამიტომ იყო, როცნ საქართველოში პირველი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების მუშათა წრეების საკითხავ ლიტერატურაში ნინოშვილს უმთავრესი ადგილი ექირა. ამ წრეების ინტერესებისათვის ნინოშვილის გმირების ბედი ახლობელი და ნაცნობი იყო.

ასე დაუკავშირდა ეგნატე ნინოშვილი პირველი რევოლუციური მუშათა კლასის ნაბიჯებს და გახდა მისი საყვარელი მწერალი. და მაინც ნინოშვილის ნაწერების იდეა, მის მოთხრობებში მქროლავი ახალი სული მხოლოდ დასაწყისი იყო იმ დიდი საბრძოლო იდეებისა, რომლებიც შემდეგ გაიშალა საქართველოში. ნინოშვილი დარჩა ამ მოძრაობის პირველ საფეხურზე. სიკვდილმა მას მოუსპო საშუალება დაეკავებინა პროლეტარიატის მებრძოლი მწერლის პოზიციები. მაგრამ მან მოასწრო გაეგო, რომ საქართველოს რევოლუციური ცხოვრების გზა, მუშათა კლასის წარმმართველი როლი გადაწყვეტს მომავალი ბრძოლების ბედს. ამ შეგნებით გამსჭვალულმა სიცოცხლის უკანასკნელ წლებში განიზრახა მხატვრულად აესახა მუშათა კლასის ცხოვრება. დადასტურებულია, რომ მას ბათუმის მუშათა კლასის ცხოვრების თემაზე დაწერილი ჰქონდა ვრცელი რომანი, რომელიც დაიკარგა. ნინოშვილი იყო ერთი პირველ მწერალთაგანი, რომელმაც მარქსიზმის გზა აირჩია და მთელი თავისი სამწერლო ნიჭი მშრომელთა ბედს დაუკავშირა. მშრომელთა ინტერესებმა მიიყვანა იგი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების სათავეებთან. მან გაბედულად გამოარღვია ოთხმოციანი წლების ხალხოსნური იდეების რკალი და პროლეტარიატის ფართო კარიბჭეს მიაშურა. მაგრამ ნინოშვილმა ვერ მოასწრო ნათლად წარმოედგინა პროლეტარიატის რევოლუციური გზა. იგი XX საუკუნის დიადი განთიადის კარებთან დარჩა.

ნინოშვილი თავის ერთ-ერთ საყვარელ გმირს ათქმევინებს: „ის აღამიანია პატივისცემი, რომელსაც ხალხის ცხოვრება თავისი ღვაწლით გაუუმჯობესებიაო“. ნინოშვილის იდეალი იყო სწორედ ასეთი მოწინავე გმირი, თვითონაც ამ იდეალის ძიებას შესწირა მთელი თავისი უმწიკვლო ცხოვრება.

იროდიონ ევლოშვილი

ლიტერატურის ისტორია იცნობს მწერლებს, რომელთა სახელი ერის ცხოვრებაში მომხდარი დიდი ისტორიული ქართვეილების პერიოდს უკავშირდება. მათს ნაწერებში ცხოვრებების განახლებისათვის მებრძოლი ხალხის ხმა ისმის. მწერლების ისტორიაში მათ განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ. მწერალთა ამგვარ კატეგორიას განეკუთნება იროდიონ ევლოშვილი.

მშრომელი ხალხის, მუშათა კლასის ინტერესებითა და დიდი სიყვარულით შთაგონებული შემოვიდა იროდიონ ევლოშვილი ქართულ ლიტერატურაში და თან მორტანა თემატიკური და იდეური სიახლე. „ბედისაგან დაჩაგრულთა“, „მაშვრალთა და ტვირთმძიმეთა“ ცხოვრება, მშრომელთა განთავისუფლებისათვის ბრძოლა გახდა იროდიონ ევლოშვილის შემოქმედების მთავარი წყარო და საგანი.

იროდიონ ევლოშვილის პირველი ლექსი 1892 წელს გამოქვეყნდა. ამ სადებიუტო ლექსს წამძღვარებული აქვს „კაკო ყაჩაღის“ ცნობილი სტრიქონები:

რომ ბედში მყოფი შენ ძმად მიგაჩნდეს,
გვ ვერაფერი სიყვარულია....

ახალი ქართული მწერლობის ფუძემდებლის — ილია ჭავჭავაძის შემოქმედების ეს დევიზი შემთხვევით არ ყოფილა არჩეული იროდიონ ევლოშვილის მიერ.

იროდიონ ევლოშვილმა განავითარა XIX საუკუნის ქართული მწერლობის მოწინავე ტრადიცია, წინ წასწია კლასიკური მწერლობის დემოკრატიული დედაარსი და შემდეგ გახდა მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხკაცობის მხატვრული მესიტყვე.

XIX საუკუნისა და XX საუკუნის მიჯნა ქართველი ხალხის ისტორიაში არის დიდი სოციალური და პოლიტიკური

გარდატეხის ეპოქა. როგორც ზევეითაც აღვნიშნეთ, ბურჟუაზიულ კლასსა და სამრეწველო პროლეტარიატს შორის გამწვავებულმა კლასობრივმა ბრძოლამ არსებითად შეცვალა საქართველოს მანამდელი სოციალური სტრუქტურა, კლასებს შორის დამოკიდებულება. იდეური ბრძოლის ასპარეზზე გამოვიდა ახალი თაობა „მესამე დასის“ სახით, რომელიც წარმოადგენდა პირველ ქართულ მარქსისტულ, სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას. მუშათა კლასის რევოლუციურმა გამანთავისუფლებელმა მოძრაობამ ფართო ხასიათი მიიღო. 90-იანი და 900-იანი წლები საქართველოს მუშათა კლასის მოძრაობის ისტორიაში აღინიშნება რევოლუციური პროლეტარიატის საჯარო გამოსვლებით, მასობრივი დემონსტრაციებით. მუშათა კლასმა არა მარტო ეკონომიური პირობების გაუმჯობესებისათვის დაიწყო ბრძოლა, არამედ პოლიტიკური უფლებებისთვისაც. მუშათა კლასის რევოლუციური აღმავლობის გზა თანდათან მიიმართებოდა რევოლუციის ქარიშხლისაკენ. 1905 წლის რევოლუცია კი იყო პირველი მასობრივი რევოლუციური ქარიშხალი, რომელმაც მძლავრად შეარყია თვითმპყრობელობის ტახტი.

იროდიონ ევდოშვილი, როგორც-პოეტი და მოქალაქე, გვერდში ამოუდგა რევოლუციურ მუშათა კლასს და გაჰყვა მის გზას თავისუფლებისათვის ბრძოლაში. იგი აღაგზნებდა მუშათა კლასს ამ ბრძოლაში, შთააგონებდა მას თავისუფლებისათვის თავდადებას და მოუწოდებდა თვითმპყრობელობის დამხობისაკენ. იროდიონ ევდოშვილი 1905 წლის ქარიშხლიან დღეებში რევოლუციის ტრიბუნი, რევოლუციის გულწრფელი პოეტი იყო. ამით მოიპოვა მან დიდი სიყვარული და პოპულარობა მუშათა კლასში. რევოლუციის გარიჟრაჟზე, პირველი რევოლუციის ქარიშხლიან დღეებში ირ. ევდოშვილის საბრძოლო ლექსებს მღეროდა თავისუფლებისათვის მებრძოლი ქართველი ხალხი; ამ ლექსებს ხშირად წარმოთქვამდნენ ბარეკადებზე, ტრიბუნებზე, კრებებზე. ზოგი მისი ლექსის ცალკეული ადგილები და ფრაზები რევოლუციური პროკლამაციებისა და სააგიტაციო ფურცლების ლექსიკონში შევიდა. იროდიონ ევდოშვილის პოეზია მჭიდროდ დაუკავშირდა რევოლუციური მუშათა კლასის გზას.

ამავე დროს, თვით იროდიონ ევდოშვილის სულიერ და იდეურ ფორმირებაში გადამწყვეტი როლი შეასრულეს ამ ისტორიულმა პროცესებმა. რევოლუციურ მოძრაობასთან უშუალო კავშირში გამოარჩია იგი მისი თაობის მწერალთა რიგებიდან. თუ არა მუშათა მოძრაობა, თუ არა 1905 წლის რევოლუცია, იროდიონ ევდოშვილი შეიძლება უმნიშვნელო პოეტი დარჩენილიყო.

მაგრამ იროდიონ ევდოშვილის მოღვაწეობა გაიშალა არა მარტო ამ რევოლუციურ ეპოქაში, არა მარტო მუშათა კლასის რევოლუციური მოძრაობის აღმავლობის ხანაში, არამედ მას მოღვაწეობა მოუხდა რეაქციის მძვინვარე წლებშიაც.

რეაქციის სუსხიანმა ხანამ თავისი დაღი დაასო. ირ. ევდოშვილის პოეზიას, მის შემოქმედებაში ფართოდ გამოიხატა უკმაყოფილების, სევდის, გულგატეხილობის, დაცემულობის განწყობილებანი. ისიც უნდა ითქვას, რომ ი. ევდოშვილის სევდას ღრმა სოციალურ-პოლიტიკური საფუძველი ჰქონდა. იგი გამოხატავდა რეაქციის ხუნდებში მომწყვდეული ხალხის გოდებას. ამ პერიოდის ევდოშვილის მერყეობას ხელი შეუწყო მისმა წვრილბურჟუაზიულმა მსოფლმხედველობამაც. საერთოდ იროდიონ ევდოშვილის პოეზიის სუსტი მხარე უნდა ვეძიოთ იმ პოზიციაში, რომელსაც იჩენდა იგი, როგორც პოლიტიკური მოღვაწე. ის, როგორც ცნობილია, სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრი იყო, ერთ ხანს ფედერალისტების პარტიას—ამ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ პარტიას—მიეკედლა. იროდიონ ევდოშვილის მოღვაწეობას თან გასდევს ის იდეური მერყეობა და წვრილბურჟუაზიული განწყობილებანი, რაც ამ პარტიისათვის იყო დამახასიათებელი. მართალია, იროდიონ ევდოშვილის პოეზიის პოზიცია შეიკრა, მისი პოეტური ხმა, კლასობრივი ბრძოლისა და რევოლუციური მოძრაობის იდეით ამღერებული, გაიბზარა, მას სევდა და მისტიკა შეეპარა, მაგრამ ევდოშვილს ამ პერიოდშიაც არ უღალატია საბოლოოდ არჩეული გზისათვის.

ლენინი მაქსიმ გორკის შესახებ წერდა: გორკი „უცილობლად უდიდესი წარმომადგენელია პროლეტარული ხელოვნე-

ბისა, რომლისთვისაც მან ბევრი რამ გააკეთა და კიდევ მეტი შეუძლია გააკეთოს... პროლეტარული ხელოვნების დარგში მ. გორკი უდიდესი პლუსია, მიუხედავად იმისა, რომ იგი მახიზს და ოტზოვიზმს თანაუგრძნობს. სოციალ-დემოკრატიული პროლეტარული მოძრაობის განვითარების საქმეში პლატფორმა, რომელიც პარტიაში ანცალკეევებს ოტზოვისტებისა და მახისტების ჯგუფს და სპეციალური ჯგუფური ამოცანის სახით ვითომდა „პროლეტარული“ ხელოვნების განვითარებას აყენებს,— მინუსია, ვინაიდან ამ პლატფორმას დიდი ავტორიტეტის მოღვაწეობაში სურს სწორედ ის განამტკიცოს და გამოიყენოს, რაც მის სუსტ მხარეს წარმოადგენს, რაც უარყოფითი სიდიდედ შედის მის მიერ პროლეტარიატისათვის მოტანილი უდიდეს სარგებლობის ჯამში“*.

მაქსიმ გორკი დიდი ლენინის მეგობრული მზრუნველობით, კომუნისტური პარტიის დახმარებით ახერხებს დასძლიოს თავისი მოღვაწეობის ეს „სუსტი მხარე“, რომელსაც ლენინი აქ აღნიშნავს. რასაკვირველია, სხვანაირ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე, როცა საუბარი ევდოშვილს შეეხება. ამიტომაც უფრო ძლიერად იგრძნობა იროდიონ ევდოშვილის შემოქმედებაში ეს „სუსტი მხარე“.

იროდიონ ევდოშვილის დამსახურება რევოლუციის აღმავლობის წინაშე, 1905 წლის რევოლუციის წინაშე, მუშათა კლასისა და მისი ხელოვნების წინაშე უთუოდ დიდი იყო, მაგრამ ამ დამსახურებაში ევდოშვილის სუსტ მხარეს წარმოადგენდა მისი წვრილბურჟუაზიული მსოფლმხედველობა. ევდოშვილის ერთგვარი მერყეობით, მისი არამტკიცე პოზიციით, განსაკუთრებით რეაქციის პერიოდში, სარგებლობდნენ ნაციონალისტური წვრილბურჟუაზიული პარტიები. ევდოშვილს უქებდნენ სწორედ მისი პოეზიის „სუსტ მხარეს“. რეაქციის პერიოდში, როცა ევდოშვილს დაეტყო ერთგვარი გატაცება აპოლიტიკური თემატიკით, განსაკუთრებით შეაქვს იგი წვრილბურჟუაზიული პარტიების წარმომადგენლებმა, მათი აზრით, თითქოს „ევდოშვილმა დასელთა ჩამოშორების

* ლენინი, ლიტერატურის შესახებ, გვ. 49.

შემდეგ მრავალი ნარნარა ნიმუშები მოგვცა. განსაკუთრებით საინტერესო ევლოშილი 1907 წლიდან არის, როცა ის ეროვნულ მოტივს მიემხრო“ და ა. შ.

სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ როგორც უნდა იყოს მისი პოეზიის ეს წვრილბურჯუაზიული მხარე, როგორადაც უნდა გაეზვიადებინათ იგი ნაციონალისტური პარტიების წარმომადგენლებს, მან ვერ დაჩრდილა ევლოშილის პოეზიის რევოლუციური მხარე. იროდიონ ევლოშილიმა ამ პერიოდშიაც შეინარჩუნა რევოლუციის მებრძოლი პოეტის სახელი.

* * *

რამდენიმე სიტყვა იროდიონ ევლოშილის ბიოგრაფიის შესახებ. იროდიონ ევლოშილი დაიბადა 1873 წელს სოფელ ბოდბისხევში (ქიზიყი). მამამისი ისაქ თადას ძე ხოსიტაშვილი, წარმოშობით გლეხი,—ამ დროს სასულიერო პირი—ბოდბისხევის ეკლესიის დიაკვანი იყო. დედას ევლოკია ერქვა (ამ სახელიდან აწარმოვა შემდეგ ევლოშილიმა თავისი სამწერლო ფსევდონიმი). მის უფროს ძმას ილარიონ ხოსიტაშვილის 1880 წელს პატარა იროდიონი წამოუყვანია თბილისში სწავლის მისაღებად, მაგრამ მალე იძულებული გამხდარა უკან დაებრუნებინა ბავშვი და ის მიუბარებიათ სიღნაღის სამოქალაქო სასწავლებელში, შემდეგ აქედან გადაუყვანიოთ თელავის სასულიერო სასწავლებელში. ამის შემდეგ 1890 წელს იგი შეუყვანიათ თბილისის სასულიერო სემინარიაში. ეს სემინარია ამ დროს „რევოლუციური ახალგაზრდობის ბუდეს წარმოადგენდა“. იროდიონ ევლოშილი აქ დაუახლოვდა ამ ახალგაზრდობას, ამ რევოლუციურ ჯგუფს. ის 1893 წელს გაურიცხავთ სემინარიიდან „არაკეთილსაიმედო პოლიტიკურ შეხედულებათა გამო“. სასულიერო სემინარიიდან დათხოვნის შემდეგ ევლოშილი ერთ ხანს სწავლობდა „თბილისის საქვეითო საიუნკერო სასწავლებელში“. შემდეგ ეწყობა სამსახურში ყუბანის პოლკის ერთ-ერთ ქვეითთა დივიზიაში „ვოლნოპარედელიაიუშჩად“. აქედან ევლოშილი გადაჰყავთ ბაქოს მე-15 ქვეითთა პოლკში, სადაც ლეზბულობს უმცროსი უნტეროფიცირის წოდებას. რამდენიმე

ხნის შემდეგ იროდიონ ევდოშვილი ნამდვილ სამწყობრო სამხედრო სამსახურიდან სათადარიგო ჯარში გადარიცხეს. 1896 წლიდან ის თავს ანებებს სამხედრო საქმეს, იწყებს სამსახურს ბაქოში ნობელის ნავთის საწარმოო კანტორაში და იქ რჩება 1899 წლამდე. იროდიონ ევდოშვილის ცხოვრებაში ბაქოში ყოფნამ დიდი როლი ითამაშა. აქ გაეცნო იგი ბაქოს ნავთის მრეწველობის მუშებს. აქ მან პირველად იგრძნო და შეისრუტა ის ჰაერი, რომლითაც შემდეგ გააცოცხლა მუშათა კლასის წარმომადგენლები თავის შემოქმედებაში. 1899 წელს ევდოშვილი თავის სოფელშია და მაჩხაანის დეპოში მუშაობს. 1900 წელს იგი იქერს სათადარიგო ჯარის პროპორშიკის გამოცდას. 1904 წელს რუსეთ-იაპონიის ომთან დაკავშირებით ევდოშვილი გაიწვიეს სამხედრო სამსახურში და გაამწესეს ასლანდუზის სამარქაფო ბატალიონში. აქ რჩება ის 1905 წლამდე. 1905-1907 წლებში ევდოშვილი უახლოეს და აქტიურ მონაწილეობას იღებს რევოლუციურ მოძრაობაში, გამოდის მუშათა კრებებზე, მონაწილეობს მუშათა გაფიცვებში, დემონსტრაციებში, აწვდის იარაღს მუშებს და მოუწოდებს შეიარაღებული აჯანყებისაკენ, ეწევა საიდუმლო რევოლუციურ პროპაგანდას ჯარისკაცებში. ერთ საიდუმლო ცნობაში ოხრანკის აგენტები ასე ახასიათებდნენ ევდოშვილის მოღვაწეობას ასლანდუზის ბატალიონში. „ასლანდუზის ბატალიონში—ქ. ელისავეტოპოლში სამსახურში მყოფი სათადარიგო პრაპორშიკი იროდიონ ხოსიტოვი (ხოსიტაშვილი)—ქართველი პოეტი, რომელიც წერს ევდოშვილის ფსევდონიმით, აწარმოებს დანაშაულებრივ პროპაგანდას დასახელებულ ბატალიონის ჯარისკაცთა შორის— განსაკუთრებით მკვიდრთა შორის... ბატალიონის თითქმის ყველა ჯარისკაცი იმყოფება ამ პროპაგანდის გავლენის ქვეშ. ამას გარდა, დასახელებული ხოსიტოვი აწვდის სოციალ-დემოკრატიულ იარაღს: ბერდანის თოფებს და ბრაუნინგისა და ნაგანის რევოლვერებს. იარაღს იწერს ქარხნებიდან და იარაღის მალაზიების მეპატრონეთაგან“.*

* შ. ჩხეტია, ისტორიული საბუთები იროდიონ ევდოშვილის შესახებ. გვ. 98.

იროდიონ ევდოშვილი სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის დავალებით ელისავეტოპოლიდან გადაცმული ტანი-სამოსით მოეჭზავრება თბილისში, ცხოვრობს არალეგალურად და ამყარებს კავშირს თბილისისა და ელისავეტოპოლის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს შორის. მეფის ოხრანკას ყურადღებიდან არ გამოჰპარვია ევდოშვილის ეს საქმიანობა. ეანდარმთა როტმისტრი კუციევი 1905 წლის აგვისტოს 21-ს პოლიციას საიდუმლოდ მიმართავს: „ჩემ მიერ საიდუმლო გზით მიღებული ცნობებით ამიერ-კავკასიის რკინიგზის სადგურ აქსტაფიდან 4 ვერსის მოშორებით, ხოლერის ბარაკის შენობაში, ხოლო ზოგჯერ პირდაპირ ბაღებში, ამ ბარაკის მახლობლად, წარმოებს რკინიგზის მუშების, უმთავრესად იმერლებისა და ქართლელების, კრება. პროპაგანდისტად ამ კრებებზე არის რკინიგზის ტექნიკოსი ყიამოვი, რომელმაც ელისავეტოპოლის სადგურის უფროსის ყოფ. თანაშემწესთან უკვე აქსტაფაში გადაყვანილ იაზონ კალოიანთან და ამავე რკინიგზის მეორე ტექნიკოსთან გიორგი როსტომის ძე ბერიძესთან ერთად მოაწყო სოციალ-დემოკრატების ელისავეტოპოლის რაიონული კომიტეტიდან გამოყოფილი ქვეკომიტეტი. უკანასკნელი თათბირები ხდებოდა წინათ ელისავეტოპოლში—ამ რკინიგზის სადგურთან ახლოს სახაზინო შენობაში მცხოვრებ მღვდელ მირიანოვის და აქვე მყოფ ზემოხსენებულ კალოიანის ბაკებზე, ასლანდუზის სამარქაფო ბატალიონის სათადარიგო პროპორშჩიკის იროდიონ ხოსიტოვის, ვითარცა მთავარი ხელმძღვანელის, მონაწილეობით“.*

იროდიონ ევდოშვილი, მუშათა რევოლუციური მოძრაობის აქტიური მონაწილე, რომელიც ბარიკადებზე, მიტინგებზე ამბობდა სიტყვებს, მოუწოდებდა თვითმპყრობელობის ჩამოგდებისაკენ, შეიარაღებული აჯანყებისაკენ, 1908 წელს ფედერალისტების პარტიას მიემხრო. თავადაზნაურულ-ნაციონალისტური კრიტიკა ქებით შეხვდა ევდოშვილის ამ ნაბიჯს. სოციალ-დემოკრატიულმა ბანაკმა დაუზოგველად ამხილა

* შ. ჩხეტია, ისტორიული საბუთები იროდიონ ევდოშვილის შესახებ. გვ. 98.

ევდოშვილის ღალატი (იხ. „ჩვენი კვალი“, 1908 წ. ლექსი „მოგონება—ევდოშვილის ხსოვნას“). 1909 წელს ევდოშვილი როგორც პოლიტიკურად საშიში პიროვნება, გაჩხრიკეს და დააპატიმრეს. გაჩხრიკის დროს მას აღმოაჩნდა ანარქისტ კროპოტკინის წიგნი „პური და თავისუფლება“ და მისი ქართული თარგმანი. ცენზურის მიერ აღკვეთილი ბროშურა „პური და თავისუფლება“ ჟანდარმერიამ გამოიყენა ევდოშვილის საბრალმდებლო საბუთად. ჟანდარმერია დარწმუნდა, რომ ევდოშვილი თავისი პოლიტიკური მრწამსით და მიმართულებით მეფის ხელისუფლებისათვის საშიში და არაკეთილსაიმედო პიროვნება იყო და ამ მოტივით ის ადმინისტრაციული წესით რუსეთის ერთ-ერთ შორეულ გუბერნიაში გადაასახლეს. 1910 წლის ივლისს ევდოშვილი ეტაპით გადაგზავნილ იქნა ვოლოგდის გუბერნატორის განკარგულებაში. საცხოვრებელ ადგილად მას დაუნიშნეს ქალაქი სელვიჩგოდსკი. შემდეგ აქედან გადაყვანილ იქნა ასტრახანის გუბერნიაში, ქალაქ ჩორნი იარში. გადასახლებაში დაჰყო თითქმის ორი წელი. 1913 წელს, როგორც მძიმე ავადმყოფს (ტუბერკულიოზით დაავადებულს), საქართველოში დაბრუნების ნება მისცეს. ერთ ხანს იროდიონ ევდოშვილი თბილისში ცხოვრობდა, როგორც „პოლიტიკურად არასაიმედო პიროვნება“, მეფის რუსეთის საპოლიციო ორგანოების მეთვალყურეობის ქვეშ. ავადმყოფობამ თანდათანობით მწვავე ფორმა მიიღო. 1916 წლის 2 მაისს იროდიონ ევდოშვილი გარდაიცვალა. იგი დასაფლავებულია დიდუბის მწერალთა პანთეონში.

* * *

იროდიონ ევდოშვილის შემოქმედება მრავალფეროვანია. მას თავისი ნიჭი უცდია პროზაში, ლირიკაში, დრამატურგიაში, პუბლიცისტიკაში. ირ. ევდოშვილი, როგორც ლირიკოსი, საკმაოდ შესწავლილი და კარგად ცნობილია ჩვენს ლიტერატურულ კრიტიკაში, მაგრამ სავსებით შეუსწავლელია იგი, როგორც პროზაიკოსი. ამავე დროს კი ირ. ევდოშვილი ძალზე საინტერესო ფიგურაა 90-იანი და 900-იანი

წლების ქართულ პროზაში. ირ. ევდოშვილმა შიო არაგვის-პირელთან და ჭოლა ლომთათიძესთან ერთად, საფუძველი ჩაუყარა ქართულ მწერლობაში პოლიტიკური ხასიათის მინიატურულ პროზას. ამ ფორმის პროზა განსაკუთრებით გავრცელებული იყო 900-იან წლებში. ასეთ ნახევრად ეზოპური ხასიათის მინიატურული ფორმის მოთხრობებში მოქმედ პირებად გამოყვანილი იყვნენ რევოლუციონერები, სოციალური ბედით დაჩაგრულნი, ამავე მინიატურებში მეტ წილად გამოყვანილი იყვნენ არა ადამიანები უშუალოდ, არამედ მცენარეთა და ცხოველთა სამეფოს წარმომადგენლები. ამ გზით მკაცრ ცენზურას თავს აღწევდა ის რევოლუციურ-პროგრესული აზრი, რომელიც ამ მინიატურებს ახასიათებდა.

ევდოშვილის პროზის თემა მრავალმხრივია. მწერლის ძირითად მიზანს აქაც მშრომელი ხალხის ინტერესები განსაზღვრავს. ირ. ევდოშვილის პროზაულ ნაწერებს შორის პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს მოთხრობა „ორი ობოლი“. მოთხრობაში გაშიშვლებულია ის მწვავე კლასობრივი წინააღმდეგობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა სოფლად სოციალისტურ რევოლუციამდე. მოთხრობის მთავარი გმირების—ობოლი ვანოს და ცაცას ბედის ჩვენებით იროდიონ ევდოშვილმა გამოხატა მშრომელთა უნუგეშო ყოფა.

ვანოსა და ცაცას მამა ზალიკა ღარიბი გლეხი იყო, სიღარიბემ აიძულა დაეტოვებინა სოფელი და ქალაქისათვის შეეფარებინა თავი. ზალიკა, ერთ-ერთი ქარხნის მუშა, კაპიტალისტური ცხოვრების მძიმე პირობებში იღუპება. მას რჩება ორი პატარა ბავშვი და ავადმყოფი ცოლი. პატარა ბავშვები იძულებული არიან ზალიკას სიკვდილის შემდეგ მათხოვრობა დაიწყონ. ბავშვები მთელი დღე დაძრწიან ქუჩა-ქუჩა ფეხშიშველნი, არ უშინდებიან ზამთრის სუსხს, თოვლსა და ყინვას, მაგრამ ვერაფერს შოულობენ. ირ. ევდოშვილი ხაზს უსვამს იმ სოციალურ კონტრასტს, რომელსაც ადგილი აქვს კაპიტალისტურ ქალაქში. აი, ერთი ასეთი ეპიზოდი: ცაცა და ვანო გავიდნენ ქუჩაში და გაჩერდნენ ერთი სახლის წინ; ხედავენ: ცაცას ტოლა ქალი შემჯდარა ფანჯარაზე, მარჯვნივ მოუსვამს ერთი მუქა ძაღლი, პატარა

ფინია, მარცხნივ ბოხვერა. კატა, რომელნიც რძეში ჩამტვრეულ პურს შეექცევიან. ვანომ ერთი ჩაახველა. პატარა ქალბატონმა გადმოხედა ძირს და დაუწყო ამაყად ყურება, თითქოს ეუბნება: „მე გიშერაც მყავს და ციცუნიაც, ხედავთ, ვაძღობ რძითაო“, დამშეული ობლები ხელის გაშვერით შესთხოვენ ქალბატონს მოწყალება მიიღოს, მაგრამ მოწყალების ნაცვლად ხმაურობისაგან გამოლოვიძებულმა „მამაშამ და პაპაშამ“ კინწისკვრით გამოიგდეს ბავშვები. ასევე უმასპინძლებდა მათხოვრებს „ერთი ქურქოსანიც“. სამაგიეროდ, ობლებს თანაუგრძნობს მუშა, როდესაც ის, სუსხისაგან გაწითლებული, პატარა ობლებს ნახევრად ტიტველ ფეხებს შენიშნავს, გამოკითხავს მათ ვინაობას და თანაგრძნობით მოეპყრობა. ბავშვებთან ერთად მან მათხოვრობა დაიწყო: „ლოცვა უკვე გათავებულეყო, ხალხი გარეთ გამოვიდა. მუშამ ხანხალით გასწია მათკენ, მოიხადა ქუდი და თან მობუზულ ბავშვებზე ანიშნებდა, მაგრამ ყურადღება არავინ მიაქცია. „ოჰ, რამ გაუქვავა ამ ხალხს გული“, წარმოთქვა კენესით მუშამ და კვლავ აეყუდა ვანოს გვერდით. ცოტახანს შემდეგ ჩაიყო ჯიბეში ხელი, რაღაც ძონძი ამოიღო და ჩხრეკა დაუწყო; მერე გაიქნია თავი და უიმედოდ გადაჰხედა ბავშვებს.

— ამაშიაც არა გდია რა, ამ ტიალში!—მწარედ წაიდუღუნა მან და ჩაქყუნა დახუხულის ხელებით ძონძი ისევ ჯიბეში. ახლა ისე ეს ბავშვები არ იტანჯებოდნენ, როგორც ეს მუშა, რომელსაც უნდოდა ენუგეშებინა ისინი, მაგრამ ქისამ უმტყუნა“.

ევდოშვილი კარგად ამჩნევს იმ სოციალურ სოლიდარობასა და კონტრასტს, რომელსაც ადგილი ჰქონდა ცხოვრებაში. ასევე ევდოშვილს კარგად აქვს ნაჩვენები ბურჟუაზიულ მოჩვენებითს გულშემატკივრობასა და სინამდვილეს შორის არსებული კონტრასტი. ის „ქურქოსანი“ ბურჟუა თავისი ცოლით, რომელმაც არაფერი გაიმეტა პატარა ობლებისათვის, მწერალმა თეატრში გაისტუმრა. სცენაზე ისინი ცხოვრებაში ნახული სურათების მსგავს მოქმედებას უყურებენ. მსახიობებმა წარმოადგინეს „ორი ობოლი“. მაყურებლები

ტაშისა და ვაშას ძახილით ასაჩუქრებენ მსახიობებს. ბევრ მაყურებელს მოჰგეარა ცრემლი სცენაზე წარმოდგენილმა დრამამ. „ქურქოსანს“ და მის ცოლს ყველაზე მეტად ჩამოსდიოდათ ცრემლები, ყველაზე მეტად წუხდნენ მაგრამ, მწერლის აზრით, ეს ცრემლები სიყალბისა და ორპირობის გამოხატულებაა. ის მდიდრები, თითქოს ტირიან, ცრემლსა ღვრიან ობოლთა ბედზე, მაგრამ როცა ცხოვრებაში პირისპირ შეხვდნენ მათ, „კინწისკვრით გაუმასპინძლდნენ“.

საინტერესოა ფინალი. მეორე დღეს გაზეთში ორი ქრონიკა დაიბეჭდა. პირველში ქება-დიდებათ იყო მოხსენებული „ორი ობოლი“, მოწინავე მსახიობების თამაში, მეორე—იმავე ლამეს ყინულისგან გათოშილ ვანოსა და ცაცას გარდაცვალებას იუწყებოდა. ევდოშვილი დიდი დამაჯერებლობით გვიჩვენებს იმ სოციალურ და კლასობრივი კონსტრასტის სურათს, რომელიც ბურჟუაზიულ საზოგადოებაში გვხვდება. ღრმა სიყვარულითა და თანაგრძნობით ხატავს მწერალი ჩაგრული კლასის წარმომადგენლებს, მათს გამოუვალ მდგომარეობას, მათს უნუგეშო ყოფას. სიძულვილს იწვევს ამ მუქთაზორების, სხვის ოფლითა და შრომით გამდიდრებულთა გულქვაობა.

ევდოშვილის მოთხრობების გმირები არიან ულუკმაპურო ლარიბ-ლატაკნი, ტვირთმძიმენი, ბედისაგან დაჩაგრულნი. ეს იქნება ობოლი ვანო და ცაცა, საწყალი ზალიკა, დალაქი მიხა, ბედისაგან განწირული ენოქი, თუ ნავთის სარეწაოში მომუშავე აბდულა, — ყველა ესენი ბედით უბედურნი არიან. ევდოშვილის მოთხრობების თემა ყოველთვის მახვილი სოციალური ხასიათისაა. მწერლის აზრით, სოციალურ უთანასწორობას, სოციალურ ჩაგვრას ზედ ემატება ეროვნული ჩაგვრა. ასეთია აზრი, რომელიც მწერალმა გაატარა „სასუნელ ენოქში“. სასუნელი ენოქი ოსმალ მტაცებლების მსხვერპლი გამხდარა: „მეცა მქონდა ოჯახი, სახლი, კარი, მყავდა ცოლი, ქალიშვილი, ორი ვაჟი, ორივენი მტერს შეაკვდნენ“, — ამბობს სასუნელი ენოქი. — „დედა ზედ დააქრეს თავის გაუპატიურებულ ქალს. მამა? აი, მამა შენს წინ სდგას და არ გიკვირს, რომ მას კიდევ უდგია სული?! არ ვიცი, რა ცოდო მიმიძღვის იმ

უფალთან, რომ მე ცოცხალი დამტოვა. ბევრჯერ ჩაუვარ-
დი მტერს მახვილ ქვეშ, სიკვდილი არ მელირსა. ერთხელ, რო-
დესაც დანგრეულს ტაძარში ღმერთს ვევედრებოდი, უკანიდან
ვიგრძენ, მტრის მახვილმა კისერზე გამიელვა. მე გულშედონე-
ბული ძირს დავეცი და 1894 წელს 25 დეკემბერს ყარსში
რუსის ფურგუნზე დაწოლილი მოვედი გონს. ... ახლა კა-
რისკარ დაეწანწალებ ლუკმა პურის საშოვნელად და რომელს
ქუჩაზე ამომივა სული, ეს სულ ერთია“.

იროდიონ ევლოშვილის მოთხრობები ვერ გაგვიტაცებენ
სიუჟეტური გამოგონების ხერხით, ვერც რომანიული ამბები-
თა და ხლართით. ეს არის პირუთენელი აღწერა იმ კოშმა-
რული სინამდვილისა, რომელშიაც მშრომელი ხალხი, მუშა-
თა კლასი იმყოფებოდა მეფისდროინდელ რუსეთში და მის
ნაციონალურ ოლქებში. აქ თქვენ ნახავთ ულუკმაპუროდ დარ-
ჩენილ ადამიანებს, უუფლებობით დაჩაგრულებს, სახლ-კარ
მიტოვებულებს, ობლებს. ყველა ამათ ცხოვრებას მწერალი
ავგიწერს დიდი სიმართლით და „შელამაზების“ გარეშე. ავი-
ლოთ თუნდაც „შადრევანი“. რა ღრმა აზრია გატარებული
ამ პატარა ესკიზში და მუშის ცხოვრების რარიგ შემადრწუ-
ნებელი სურათია დახატული! აი ერთი დეტალი, რომელშიაც
იროდიონ ევლოშვილი მუშის ცხოვრების სურათს იძლევა:
„ღრუბლიანი, მაგრამ წყნარი დღე იყო. სამეცეცხლურებისა
და სახელოსნოების კომლი, ორთქლთან ერთად ჯანყივით შე-
მოჭხვეოდა ჭაბურღილების კოშკურებს, და ამ ნისლში ბალა-
ხანა შორიდან რაღაც ზღაპრულს ტყეს მოგაგონებდათ. აქა-
იქ ისმოდა ტუმბოების ტკაცანი, ორთქლის ქვაბებისა და
მანქანების ხმაური. ქუჩებში ფაცაფუციტ მოძრაობდნენ შავი,
მაზუთში მოსვრილი, ადამიანის მსგავსი ფიგურები. ჯაგვები
ზედა მანებამდის ეფლობოდა მტვერში. ჰაერი გაჟღენთილი იყო
მაზუთის აირით და რაღაცნაირ განსაკუთრებულ მყარალი-
სუნით, რომელიც ყაზარების ღია კარებიდან და ირგვლივ დაყ-
რილ დამპალი ნაგავიდან მოდიოდა.“ ასეთი მძიმე სურათით
იწყება ეს მოთხრობა. მწერალი შემდეგ აღწერს ერთი მუშის—
აბდულას ცხოვრებას. აბდულას მდგომარეობა მეტად მძიმეა,
მას უნუგეშოდ ეხატება მომავალი. იგი იგონებს წარსულს,

როდესაც მას თავის სახლ-კარი ჰქონდა, ცოლ-შვილთან, ცხოვრობდა, ახლა იგი სიღარიბის გამო სოფელს გამოექცა, აქ დღე-ღამ მუშაობს, მაგრამ შიმშილისა და სიღარიბისათვის თავი ვერ დაუღწევია. და ბოლოს, აბდულა უცებ ამოხეთქილი ნავთის შადრევანის მსხვერპლი ხდება. ამ ეტიუდში ბაქოს მუშათა კლასის ცხოვრების ტიპური სურათია დახატული.

ევდოშვილის პროზა განსაკუთრებულ მახვილ სოციალურ და პოლიტიკურ საკითხებს აშუქებს. უფრო რელიეფურად ეს სიმახვილე გამოხატულია პირველი რევოლუციის პერიოდში დაწერილ ეტიუდებსა და ესკიზებში. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს ევდოშვილის ისეთი მოთხრობები, როგორიცაა „დანგრეული კერპი“, „ციხეში“. „გველების ყორე“ და სხვ.

„გველების ყორე“ სიმბოლური ხასიათის მოთხრობაა. ევდოშვილი აქ ეზოპისეულ ფორმას მიმართავს რევოლუციური აზრის გამოსახატავად. აღწერილია ჭაობი, რომელიც წარმოადგენს ძველი საზოგადოებრივი ცხოვრების სიმბოლოს. ჭაობის ჰაერი წამლავს სოფელს. ხალხი არა ერთხელ აღდგა და მოისურვა ამოშრო ჭაობი, გაეწმინდა ჰაერი; ამ საქმეს ბევრი მსხვერპლი შეეწირა, მაგრამ ჭაობი ისევ ჭაობად დარჩა. და აი, უკანასკნელად ახალგაზრდებმა გადასწყვიტეს ამოაშრონ ჭაობი. ახლა ისინი შეერთებული, დარაზძული ძალით შეუდგნენ ამ საქმეს. ამ ცდამ თავისი შედეგი მოიტანა. ხალხმა ჭაობი ამოაშრო. თავგანწირულ მოძმეთა საფლავზე დააწერეს: „წერაქვემა და ნიჩაბმა დამარხა ტბა, რომელიც საუკუნოების განმავლობაში შხამავდა სოფელს“. ძალამოცემული ხალხი შეუდგა თავისუფალ შრომას თავის საბედნიეროდ. ასეთია ამ მოთხრობის დედააზრი. მოთხრობა დაწერილია 1905 წელს და მას აშკარად აზის რევოლუციური ოპტიმიზმის ბეჭედი.

როგორც ცნობილია, 1905 წლის რევოლუციამ შეარყია მეფის ტახტი, თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხი იმედით შეჰყურებდა თავის მომავალს. ეს ოპტიმისტური განწყობილება ხმამაღლა გაისმის ევდოშვილის შემოქმედებაში.

ევდოშვილის ამ პერიოდის მოთხრობებს შორის უნდა აღი-

ნიშნოს აგრეთვე სატირული ხასიათის „სამი წერილი“. ეს მოთხრობა იმითაა საინტერესო, რომ ავტორი ამხელს და აკრიტიკებს მერყევე ადამიანს, წერილბურჟუაზიული, მეშჩანური განწყობილების ახალგაზრდა ქალს. უიდეობა, უპრინციპობა, მერყეობა, მწარე სარკაზმის საგნად აქცია აქ ევდოშვილმა. მწერალი დასცინის ამ მოთხრობის გმირ ახალგაზრდა ქალს მაროს, რომელიც ერთსა და იმავე დროს სამ წერილს დაწერს და გაუგზავნის სხვადასხვა იდეისა და მებედულების ახალგაზრდებს: ცრუ ლიბერალს, ბურჟუას და რევოლუციონერ ახალგაზრდას. სამივეს თანაბარი მონდომებით ეფიცება გულწრფელობასა და სიყვარულს. ევდოშვილი ამ უპრინციპობას ნიღაბსა ხდის.

ი.რ. ევდოშვილი ავტორია მთელი რიგი სატირული პოლიტიკური ხასიათის ფელეტონებისა, რომლებიც არალეგალური ბოლშევიკური პრესის ფურცლებზე იბეჭდებოდა.

მსგავს ფელეტონებს ბეჭდავდა იგი ქართულ პრესაში: „ივერიაში“, გაზეთ „შრომაში“ და სხვ. ამ ფელეტონებში მხილებულია და გაკიცხული მეფის მოხელეები, რევოლუციის მტრები. მხილებულია აგრეთვე ლიბერალური და კონტრრევოლუციური პარტიები. როგორც ქვემოთ ვნახავთ, ევდოშვილს ეს პრინციპული სიმახვილე, პოლიტიკური ოპტიმიზმი ბოლომდე არ შერჩენია და შემდეგში მის პროზაშიც გამოიხატა გულგატეხილობის განწყობილება.

* * *

როგორც უნდა იყოს იროდიონ ევდოშვილის პროზის ხასიათი და ღირსება, მწერლის სახელი მას უმთავრესად მაინც ღირიკამ მოუპოვა. იროდიონ ევდოშვილი გახდა მეთაური, დამწყები მოქალაქეობრივი იდეებით გამსჭვალული მწერლობის იმ ნაკადისა, რომელიც ჩვენში რევოლუციური, მებრძოლი პოეზიის სახელით არის ცნობილი. მან პოეზიას მიზნად დაუსახა მშრომელი ხალხის, მუშათა კლასის ინტერესების სამსახური. ევდოშვილის პოეზიის მთავარი მოტივი, მისი შემოქმედების უმთავრესი საკითხი სწორედ ეს იყო. ჩვენი მწერლის ლექსთა

უმრავლესობის ცენტრალურ საკითხს შეადგენდა კლასთა ბრძოლის იდეა, მშრომელთა ინტერესების დაცვის იდეა. იროდიონ ევლოშვილი თავის პირველსავე ლექსებში გვევლინება. როგორც ჩაგრულთა ინტერესების დამცველი პოეტი.

ევლოშვილი კარგად ხედავს, რომ კაპიტალისტური საზოგადოება გაყოფილია ორ ბანაკად. ერთი მხრით არიან ერთი მუჭა მდიდრები, რომლებიც ფუფუნებასა და განცხრომაში ცხოვრობენ, სხვის ნაშრომს ითვისებენ, მეორე მხრით არიან ლარიბები, რომლებიც დღე-ღამე ოფლსა ღვრიან და მაინც ლარიბ-ლატაკნი არიან, რადგან მათი ნაოფლარი, მათი ნაშრომი, მათ მიერ შექმნილი სიმდიდრე სხვას მიაქვს. ევლოშვილი ამხელს ამ უსამართლობის კლასობრივ არსს.

რას შესცქერ, ძმაო, ფანჯარაში მდიდრის ქულაჯას,
არა ჰგავს განა კონკად ქცეულს შენ ძველ ფარაჯას?
შენ გააკეთე, შენ შეჰქმენი, ძმაო, ეგ ფარჩა,
მაგრამ რალაცა მანქანებით შენ კი არ დაგრჩა!
ის სხვამ წაიღო, შენ გარგუნეს ეს კონკის ძველა,
ასე რათ ხდება?! ჰკითხე შენ თავს მაინც ერთხელა!

ევლოშვილს თავის მოქალაქეობრივ ვალად მიაჩნდა იბრძოლოს ამ უსამართლოდ დაჩაგრულთა უკეთესი მომავლისათვის. დაჩაგრულთა კენესა, უსახლკაროთა ბედი გულს უკლავს პოეტს. იგი მკაცრად აკრიტიკებს იმ „მეგობრებს“, რომელთაც დაივიწყეს ხალხის საქმე, მათი ცხოვრების „ეს წმინდა დევიზი და იდეალი“. განცხრომაში მყოფ „მეგობრებს“ კი არ ახსოვთ დაჩაგრული ხალხი. ამ გადაგვარებულ ადამიანების ნისამართით პოეტი ამბობს:

თავი მიეცი მყუდრო ცხოვრებას
და განცხრომაში ატარებ დროსა...
შენ კედელს შიგნით ტბილად ღიღინებ,
კედელ გარედან ბანს გაძლევს კენესა.

იროდიონ ევლოშვილი კარგად ხედავდა, რომ ბურჟუაზიული ქალაქი მშრომელთა მარჯვენამ შეჰქმნა. ქალაქის გაჩირადღნებული ქუჩები, მისი მდიდარი დარბაზები სპეტაკი მარმარილოს სასახლეები მშრომელთა ხელით აშენებულა. მაგრამ ამ სიმდიდრეში მუშათა კლასს წილი არ უღვეს. ეს

აზრია გამოხატული ლექსში, რომელსაც ჰქვია „სალამო ქალაქში“. „დიდი ქალაქი, ტურფა ქალაქი“ საზეიმოდაა შორთულმოკაზმულია. ამ გარეგნული ბრწყინვალეების იქით ევდოშვილი ამხელს ბურჟუაზიული ქალაქის მთელ სიღამპლეს, უსამართლობას. მშრომელთა ოფლით, სისხლითა და წვალეზით აშენებული ქალაქი მხოლოდ ნალველსა და სევედას ჰგვრის პოეტს:

ჰოი, ქალაქო სამეჯლიშოთა
მუდამ მორთულო და მოკაზმულო,
ვინ ენდოს შენსა აღლევებულ ზღვას,
რომ არ ატირო, არ უორგულო!
ჰკითხე შენს სპეტაკ მარმარილოებს,
რამდენი ცრემლი იქ დაცემულა
და იმ დარბაზსა ფარდებ დაშეებულს,
სოდომივით რომ ჩაფიქრებულა.
ჰკითხე: რა ხდება, რამდენი გვამი
შენ ქუჩებიდან იქ გაყიდულა:
ჰკითხე აკლდამებს შენ ჯურღმულეებში,
რა აწერიათ იმათ აჩრდილებს?!
შრომას, ოფლის ღვრას, სიცივეს, შიმშილს,
შენ ქუჩებზედა ხელგამოწვდილებს?!

იროდიონ ევდოშვილი განსაკუთრებული სიყვარულითა და თანაგრძნობით ხატავს მუშათა კლასის წარმომადგენლებს. ევდოშვილმა თავისი შემოქმედების პირველსავე ნიმუშებში მუშათა ცხოვრების სურათები დახატა. მართალია, ამ პირველი წლების ლექსებში ჯერ კიდევ არა ჩანს კაპიტალიზმის მესაფლავე პროლეტარიატის ტიპიური წარმომადგენელი. მუშა და გლეხი გაურჩეველია თავიანთი ბიოგრაფიით. ამიტომ უფრო სამართლიანი იქნებოდა თუ ვიტყვი, რომ ევდოშვილის შემოქმედების აღრინდელ პერიოდში მუშები ისე არიან წარმოდგენილნი, როგორც მხოლოდ დაჩაგრული მშრომელები. საილუსტრაციოდ ავიღოთ თუნდაც ლექსი „მუშა“. ამ პატარა ლექსში ევდოშვილი იძლევა ტიპიურ ბიოგრაფიას მშრომელისას საზოგადოდ და არა კერძოდ მუშისას. სამაგიეროდ, ქონში დაბადებული მშრომელის თავგადასავალი დიდი სიმართლითა და სიყვარულით აქვს ევდოშვილს დახატული

ამ ლექსში. მუშის ცხოვრება დაბადებიდან სიკვდილამდე მხოლოდ ტანჯვაა:

მე დავიბადე ძველს წნულსა ქოხში,
ლერწამი იყო ჩემი აკვანი,
ზევიდან ჩვარი ძლივსა მფარავდა,
სიცივით კრთოდა შიშველი კანი.

მწუხარება და სევდა თან სდევს მუშის ცხოვრებას. კაპიტალისტური ცხოვრების წესი მძიმე მომავალს უმზადებს მუშას:

წამოვიხარდე, რკინის უღელ ქვეშ
მომახრვეინა ცხოვრებამ ქედი.

დამცირებული და შეურაცხყოფილი, მონური ცხოვრებისაგან ფეხქვეშ გათელილი მუშა ასე იგონებს ბავშვობის გაუხარელ დღეებს:

და ეხლა, როცა ვინმე ბატონსა
უპოხიერებ ოფლით მამულსა,
იგივე ნანა იღუმალი ხმით
მესმის და მიკლავს დამაშვრალ გულსა!

შემდეგ ირ. ევდოშვილი უფრო ახლო ეცნობა წარმოების მუშის ცხოვრებას. მის პოეზიაში შემოდინან პროლეტარიატის წარმომადგენლები. მაგალითად, შეიძლება დავასახელოთ ლექსი „მუშის სიზმარი“. მუშას ღუხჭირი ცხოვრება სიზმარშიაც არ ასვენებს. იგი დღისით გამწარებული ლუკმისათვის იბრძოდა, ახლა შიშველ მიწაზე დიდი ქარხნის ქვემო სარდაფში წევს, ზედ ჩოხის ნაგლეჯი აფარია და შავი სიზმარი ტანჯავს. სიზმარში მას თავისი ცხოვრების ნამდვილი სურათი წარმოუდგება: დათმო თავისი ღარიბი კერა, თავი ქალაქს შეათარა, მაგრამ ვერ აიციდინა სიღარიბე. სოფლად მიტოვებული ცოლ-შვილი შიმშილისაგან იტანჯება: ამ სინამდვილის წარმოდგენა გულს უკლავს მუშას და მას აღმოხდება მწარე გმინვა:

ეს გმინვა იყო, გმინვა წყველის და ვედრებისა,
თუმც არ იცოდა, ვის რას თხოვდა, ვის ემუქრდა.

და ამ ორ გრძნობის: ბრძოლის ნეშტი—ცხარე ცრემლები,
ვით კლდიდან წყარო, თვალებიდან ძირს გადმოჰქროდა.
გამოელვინა, ჯოჯოხეთის იგივე სურათი
კვლავ თვალწინ უდგა და წაიღო საგონებელმა;
ტირის უმწეო, ან ვინა ჰყავს თანამგრძნობელი
და ან რა უთხრას ნესტიანმა ქარხნის კედელმა!

შიმშილი, სილატაკე, მძიმე შრომა, როგორც კაპიტალი-
ზმის აუცილებელი ხვედრი, თან სდევს ევლოშვილის მუშებს.
მუშათა კლასი „მსხვერპლად გაუხდა უსამართლობას“. მათთ-
ვის „ცხოვრება არის თვით ჯოჯოხეთი და სიცოცხლე კი
ტანჯვა და კვნესა“. ევლოშვილის წინაშე სრულიად ბუნებ-
რივად იბადება კითხვა: სად არის გამოსავალი? როგორ უნდა
დააღწიოს თავი ამ მძიმე ხვედრს დაჩაგრულმა ხალხმა?

ერთთა ლაღობა, მეორეთ ტანჯვა,
აი ეს არის ჩვენი ცხოვრება...
ამას უყურო გულდამშვიდებით,
განა ეს ძალუძს ადამიანსა?

კითხულობს პოეტი კატეგორიული ტონით. ევლოშვილი
თავის პირველსავე ლექსებში იძლეოდა პასუხს ამ მძიმე კითხ-
ვაზე. საინტერესოა ერთი ლექსი, რომელსაც ეწოდება „ჩვენ-
ება“. იგი დაწერილია 1895 წელს. ლექსში უკვე მოჩანს ევ-
ლოშვილი, როგორც ბრძოლის პოეტი.

ახალგაზრდა პოეტს ძილში გამოეცხადა „ქალწული ვინ-
მე“. იგი ყურს უგდებს პოეტის გულის კვნესას, მის მწუხარ-
ებას, ხედავს მის ცრემლით ნაბან თვალებს. მოჩვენება
ჰკითხავს ცრემლის მიზეზს. პოეტი უპასუხებს, რომ მას
გულს უკლავს და ტანჯავს ჩაგრულთ ვაება, „მაშვერალ-
თა ბედი“. გაკვირვებული ქალწული ასე მიმართავს ხალხისა-
თვის გაწამებულ ქაბუკს:

ქაბუკო, სცდები! ოხვრა-ტირილი
ვერც შენ რას გარგებს, ვერც ქვეყანასა...
მთას იქით წვიმა, აბა რას არგებს
მთისა გადმოღმა დამწვარ ყანასა?
აღსდექი, ყრმაგო, გადი ბრძოლადა,
უსამართლობას შენ შეეჭიდე

და ტანჯულ ვრსა თვალზე ცრემლები
მით შეუმშრალე და ჩამოწმინდე;
წამოაყენე სულდავრდომილი
და უგულოსა ჩაუდე გული;
აღუგზენ ცრემლი სიყვარულისა,
რომ სხვამ თვისადა სცნოს სხვისი წყლული.

უცხო ასული ჩააგონებს ქაბუქს: უსამართლობასა და ხალხის ტანჯვას შეიძლება ბოლო მოუღოს მხოლოდ მედგარმა ბრძოლამ. ვისაც სურს იყოს ხალხის ნამდვილი მსახური, სწამდეს მისი მომავალი, მას პასუხად მუდამ უნდა ჰქონდეს „უკუღმართ სოფელს ბრძოლა და ბრძოლა“.

* * *

ევდოშვილის შემოქმედებაში ცალკე უნდა აღინიშნოს ლექსების ის ციკლი, რომელშიაც ავტორმა სცადა ლუმპენ-პროლეტარიატის წარმომადგენლების ცხოვრების ჩვენება. ქუჩის ხალხი, კაპიტალისტური ცხოვრების ეს გერები, ყველა ეს უსახლკარონი: ქუჩის მატანტალები, ნამუსახილი ქალები, მათხოვრები და ობლები, ევდოშვილმა დიდი სიყვარულით და თანაგრძნობით დახატა. მწერალს აფიქრებდა მათი ბედი, უნუგეშო ყოფა, დამცირებული ცხოვრება. ამ ხალხის ცხოვრებას უძღვნა მან ისეთი ლექსები, როგორიცაა „მატანტალა“, „განკიცხული“, „მიდის, მიგოგავს“, „ქუჩაზე“ და სხვა.

საზოგადოდ ცნობილია, რომ ქუჩის ხალხი, ე. წ. ლუმპენ-პროლეტარიატი არ წარმოადგენს რევოლუციურ ძალას. იგი ლუკმაპურზე ყიდის თავის მიზანს. რევოლუციური მუშათა კლასი თავის ბრძოლაში უსამართლობის წინააღმდეგ არასოდეს არ ეყრდნობოდა ამ ძალას. მაგრამ ევდოშვილი საკითხს ამ მხრივ არ აყენებს. ევდოშვილი საკითხს სხვა სიბრტყეზე სვამს. მისი აზრით, კაპიტალისტური სისტემა ბადებს ქუჩის ხალხს. იგი ტოვებს უყურადღებოდ გუშინდელ მუშას, ისტუმრებს მას ქუჩაში ბედის ანაბარა. ეს კაპიტალისტური ცხოვრების დამახასიათებელი თვისებაა. აი, იღვთ „მატანტალა“, რომელიც ქუჩა-ქუჩა დაწანწალებს და მათხოვ-

რობს, ან „განკიცხული“, რომელსაც სახეზე აჩნია უზნეობის შავი ლაქები. ესენი დუხჭირმა ცხოვრებამ დააყენა ან გზაზე. ევდოშვილმა იცის, რომ მათ მუქთა ლუკმა არასოდეს არ უქამიათ.

შენ მუქთად ლუკმა არა დროსა არ გიჭამია
და მოწყალების აწ მოთხოვნა შენთვის შხამია.
ნურც გამოელი, უბედურო, თანაგრძობასა.
შენ მატანტალას, აწ არავინ გიხამს ძმობასა.
ოდეს ჰაბუქსა სიცოცხლით სავსეს ჯანლონე გქონდა,
შენ ოფლსა ღვრიდი... და იგი კი სხვა კაცს მიჰქონდა.
სკიმავედი ძარღვებს, ნაოფლიდგან ისლა გრჩებოდა,
რომ ღარიბულად საწყალს კუჭი გამოგვებოდა.

ევდოშვილის ინტერესის საგანი ამ შემთხვევაში მუშათა კლასის ბედია. კაპიტალიზმის სისტემაში ევდოშვილი მატანტალას ბედში მუშის ხეაღინდელ დღეს ხედავს. ამიტომ პოეტის პროტესტი ამ შემთხვევაში, უპირველესად ყოვლისა, მიმართულია ამ ბოროტების კაპიტალისტური სისტემის წინააღმდეგ.

იროდიონ ევდოშვილის მატანტალა, მეძავი, მათხოვარი, ლოთი, ობოლი თუ ქუჩის შეკედლებული სხვა მოქალაქე ბურჟუზიული საზოგადოების მსხვერპლნი არიან. მათს ბიოგრაფიაში პოეტი დაწვრილებით წარმოგვიდგენს გუშინდელი მუშის შრომითს თავადადასავალს, ისინი თავიანთი შრომით, ოფლით, ტანჯვით ეწეოდნენ ცხოვრების მძიმე ჰაპანს. ევდოშვილი ამგვარი ადამიანების ბედს გვიხატავს და ასე ეწევა იმ საზოგადოებრივი ცხოვრების კრიტიკას, რომელიც ბადებს ამ ქუჩის მათხოვრებს, მეძავეებსა და ლოთებს. აი, ლოთი (ლექსი „ლოთი“), რომელიც ახლა თავის დარდსა და ბოღმას ღვინოში კლავს:

გახსოვთ მარჯვენა,
ახალგაზრდა, ეს მუშა ხელი,
მაგრამ შიმშილით
ჩამომდნარი, მიხდილი ფერი.

როგორა გთხოვდათ,
მისთვის შრომის გაგელოთ კარი,

ბევრჯელ, ოპ, ბევრჯელ
ჩამოგკარი მე თქვენი ხარი

მაგრამ ამაოდ...
ისევ ქუჩას ვუბრუნდებოდი,
ჩუმად ვსტიროდი,
ცივ ფილაქანს მე ვეკვრებოდი.

ასეთია ამ ლოთის თავგადასავალი, მასში მკაფიოდ არის
გამოხატული მშრომელი ადამიანის ხვედრი კაპიტალისტური.
საზოგადოების პირობებში. ეს ადამიანი ირონიულად მიმარ-
თავს მათ, ვინც ცხოვრებას ფუფუნებაში ატარებს:

ნუ მაწვდით გროშა,
მე არ მინდა სხვის ლუკმა პური
და ეცადენით
არ დაგაკლდეთ შამპანიური!

ცხოვრებისაგან დაჩაგრულს, ულუკმაპუროდ დარჩენილ მუ-
შას ბოლომდე შერჩენია სიამაყის გრძნობა და ამიტომაც
იგი კატეგორიულად აცხადებს:

ნუ მაწვდით გროშა,
ნუ გგონივართ გლაზა, უწყალო;
მშიერიც ვიყო,
არა მაქვს-რა მე სამოწყალო.

* * *

ირ. ევდოშვილი აქტიური მებრძოლი პოეტის როლში
გვევლინება მთელი რიგი ლექსებით. იგი „გარემოების შეი-
ლად“ თვლის თავის თავს, მაგრამ არ სურს ამ გარემოებას
ბრმად დაემორჩილოს. პოეტი მებრძოლი, აქტიური ადამიანის
იდეალს ხატავს:

მე დროს შვილი ვარ, მაგრამ ურჩი ჩემი მშობლისა,
დავგმე მე მასში, რაც ღირსია კრულვა-გმობისა.

მუშათა კლასის რევოლუციურ აღმავლობასთან ერთად,
საქართველოში მუშათა მოძრაობის გაჩაღებასთან ერთად, ევ-
დოშვილის შემოქმედებაში რწმენისა და ბრძოლის ხმა უფრო
ფოლადდება, მტკიცდება. ევდოშვილისათვის მომავლის რწმე-
ნა არის რევოლუციის რწმენა. მუშათა კლასის, მშრომელი

ხალხის განთავისუფლება რევოლუციის გარეშე წარმოუდგენელია, ევლოშილის აზრით. მუშათა კლასს მხოლოდ ბრძოლითა და სისხლით შეუძლია მოიპოვოს თავისუფლება. ეს აზრია გამოხატული რევოლუციური პოეზიის ერთ-ერთ კლასიკურ ლექსში „მეგობრებს“. ამ ლექსში ევლოშილი იძლევა თავის შეხედულებათა პოეტურ განმარტებას. ევლოშილის რწმენით, სიმართლისა და ძმობის დროშას ქირის ოფლში უნდა გატარება, მედგარი ბრძოლაა საჭირო, რომ გამარჯვებას მიაღწიოს, ამიტომ თავის მეგობრებს იდეალად უსახავს ბრძოლას, შეუდრეკელობას არჩეული მიზნის მისაღწევად.

მეგობრებო, წინ... წინ გასწით,
ნუ შედრკება თქვენი გული,
დე მკერდს სისხლის დაღი აჩნდეს
და შუბლს ოფლის ნაკადული.

იმათ, ვინც ქედს იხრის „კერპის წინაშე“, ვინც ასეთ სამარცხვინო და საზიზღარ საქმეს სჩადის, შეაჩვენებს მომავალი. ეს გზა არ შეშვენის ნამდვილ მებრძოლს. ხალხის მეგობრობის, მუშათა კლასის ინტერესებისათვის მებრძოლის გზა არის გზა ბრძოლისა:

ბრძოლა იყოს ჩვენი ლხინი,
სატრფილოთ გულს იმედი!
მაშ უშიშრათ შევებრძოლოთ
ჩარხუკუღმართ ამ ჩვენ დროსა
და ჩვენ რაზმს წინ წავუძღვაროთ
სიმართლის და ძმობის დროშა!

ასეთივე საბრძოლო განწყობილება გამოხატა ევლოშილმა 1895 წელს გამოქვეყნებულ მეორე ლექსში, რომელსაც ჰქვია „სიმღერა“. პოეტს უყვარს ქარიშხალი—სიმბოლო ბრძოლისა, განახლებული ცხოვრებისა. მას არ აშინებს ქუხილი, პირიქით; მისი საყვარელი ეპითეტი გამხდარა: ქექა, ელვა, ქუხილი, ქარიშხალი. მას იცის, რომ ბრძოლის შემდეგ მზე გამოჩნდება ცაზე, და ეს რწმენა უადვილებს მას ბრძოლის გზას. თამამად აცხადებს პოეტი:

მანც ველით განთიადსა,
არ შედრკება ჩვენი გული,

უკვე ადგა ქარიშხალი
განთიადის მოციქული.

რევოლუციის მოტივი, ბრძოლის მოტივი ევდოშვილის პოეზიაში თანდათანობით მით უფრო ძლიერდებოდა, რაც უფრო ახლოვდებოდა 1905 წლის რევოლუცია. ეს რევოლუციური განწყობილებანი ზენიტს აღწევენ 1905 წლის რევოლუციის ქარიშხლიან წლებში. ირ. ევდოშვილის მეგრძოლი პოეტური სიტყვა განსაკუთრებული მგზნებარებით ამეტყველდა პირველი რევოლუციის მქუხარე დღეებში. ევდოშვილი თვითონ იყო ამ რევოლუციის ერთ-ერთი აქტიური მონაწილეთაგანი. ამ პერიოდში არა მარტო რევოლუციის პოეტია, რევოლუციის ტრიბუნი, არამედ პრაქტიკული მეგრძოლიც, რევოლუციის ჯარისკაცი. ევდოშვილის ამ პერიოდის ლექსები გამსჭვალულია ოპტიმიზმით, მუშათა კლასის გამარჯვების რწმენით. მისი პოეტური ლექსიკონი აღტაცების, რწმენის, გამარჯვების სიტყვებით აივსო. მარტო ლექსების სათაურები—თავისებური სიმბოლოებია რევოლუციის გამარჯვებისა. ესენია: „გაზაფხული“, „განთიადი“, „პირველი სხივი“, „მერცხლის სიმღერა“ და სხვ. გაზაფხული პოეტისათვის არა მხოლოდ გარკვეული დროა, არამედ სოციალური, პოლიტიკური შინაარსის ცნებაა:

გულში, გულში გაზაფხულის
სხივმა დაჭკრა, გაიცინა
და იმედმა ფრთაშესხმულმა
აღმადგინა, აღმაფრინა!
ქარი კენესის, ჩანგი მღერის,
სინარულით თრთოლავს გული.
ეს პირველი სხივი არის:
მეგობრებო, გაზაფხული!

„გაზაფხულის მოლოდინით“ აღფრთოვანებული პოეტი არავითარ მსხვერპლს არ ერიდება. მან იცის, რომ მსხვერპლის გარეშე თავისუფლების მოპოვება შეუძლებელია, მაგრამ ეს სრულებით არ აშინებს პოეტს. იგი აღტაცებით ამბობს:

რა ვუყოთ, თუ კი უმსხვერპლოდ
ღამეს ვერ გაუთენია;

პოეტის სატრფო არის ქარიშხალი, აღზნებული და ბო-
ბოქარი ზღვა, რადგან მან იცის, რომ ხალხის კვენასა და
ტანჯვას ბოლოს მოუღებს რევოლუციის ეს ამოვარდნილი ქა-
რიშხალი. ამიტომ ამ გზაზე მხოლოდ ბედნიერება და სიხა-
რულია. ამ საქმისათვის გაღებული მსხვერპლიც ამაოდ არ
ჩაივლის. პოეტს მტკიცედ სწამს ხალხის მომავალი.

უკანასკნელად შეუტოთ ჯალათსა,
უკანასკნელად დავსცეთ თავხარი,
ვაშა, ვაშა ამ ჩვენს წითელ დროშასა,
გვწამს, გვეღება განთიადის კარი!

ევდოშვილი ამ ხანებში ქმნის ისეთ ლექსებს, როგორცაა
„პირველი სხივი“, „მოლოდინში“, „მეგობრებს“, „მერცხლის
სიმღერა“, „წითელი დროშა გაიშალა“, „გმირს“, „გმირის
საფლავზე“. ამ ლექსებს დემონსტრანტი მუშები მღეროდნენ,
როგორც ბრძოლის ჰიმნს. ევდოშვილი მაშინ არა მარტო
ორიგინალური ლექსებით იყო რევოლუციის ნამდვილი ტრი-
ბუნი, არამედ ამ საქმისათვის იყენებდა თავის მიერ ნათარგმნ
ნაწარმოებებსაც. იგი არჩევდა საგანგებოდ რევოლუციურ-
მებრძოლი განწყობილებისა და ხასიათის ლექსებს.

ირ. ევდოშვილს განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის
რუსული სასიმღერო რევოლუციური ლექსების გადმოქარ-
თულების საქმეში. მან თითქმის ყველა რევოლუციური სიმ-
ღერა თარგმნა. ევდოშვილისათვის თარგმანი ხშირად თავი-
სებური საშუალება იყო ცენზურისათვის გაეპარებინა თვით-
მპყრობელობის საწინააღმდეგო, აშკარა მოწოდებითი რევო-
ლუციური ლექსები. ამ თარგმანებზე ხშირად მიწერილია:
„თარგმანი რუსულიდან“, ხან უბრალოდ — „თარგმანი“, ყოველ-
გვარი პირდაპირი მითითების გარეშე. შემთხვევითი არ არის,
რომ თარგმანებში უფრო თავისუფლად და მოხერხებულად
არის ჩართული რევოლუციური სტრიქონები. ამ მხრივ საინ-
ტერესოა ლექსები „ჩამოდექით“, „გარიბალდის სიმღერა“,
„მუშის სიმღერა“, — სიმღერა განახლებული რუსეთის მუშე-
ბისა, „წითელი დროშა“, „პროლეტართა სიმღერა“ და სხვ.
რევოლუციის ქარიშხლიან დღეებში ძლიერ მოწოდებად გაის-
მოდა ევდოშვილის რევოლუციური ლექსები:

არ გვაშინებს ჩვენ საფლავი,
 არ გვაშინებს ბორკილები,
 შეგვიწირავს ჩვენი თავი,
 რომ სამშობლო ჩვენი იყოს
 ბრწყინვალე და ბედნიერი,
 რომ სამშობლოს მოვაშოროთ
 თქვენისთანა ურცხვი მტერი!
 ვისიც გული სპეტაკია,
 ვისაცა აქვს მკლავში ძალა,
 ვინც სინდისი, წმინდა გრძნობა
 არ გაყიდა, არ გაცვალა;
 ჩვენკენ, ჩვენკენ, მეგობრებო,
 დავიგრგვინოთ ბრძოლის ველზე,
 გვეყო, რაც რო ცრემლი ვღვარეთ
 ციხეებში, ბორკილებზე!

ეს რევოლუციური, მებრძოლი ოპტიმიზმი ანიჭებდა
 ირ. ევდოშვილის ლექსებს დიდი ცხოველმყოფელობისა და
 ემოციური ზეგავლენის წარუხოცელ ძალას.

* * *

იროდიონ ევდოშვილის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი
 ადგილი უჭირავს გლახაკის ცხოვრების თემას. 1905 წლის
 რევოლუციის პერიოდში ირ. ევდოშვილი დიდი ყურადღებით
 ხატავს გლახაკობას, როგორც რევოლუციის ძალას. იგი
 ხედავს, რომ პროლეტარიატს თავის ბრძოლაში თვითმპყრო-
 ბელობის წინააღმდეგ გაჰყვა ღარიბი, დაჩაგრული გლახობაც.
 მასობრივმა მოძრაობამ სოფელიც გამოაღვიძა.

„ქარიშხალი — ეს თვით მასების მოძრაობაა, — წერდა
 ლენინი, — პროლეტარიატი, ერთადერთი ბოლომდე რევოლუ-
 ციური კლასი, ჩაუდგა მათ სათავეში და პირველად დარაზმა
 აშკარა რევოლუციური ბრძოლისათვის მილიონობით გლახი.
 ქარიშხალის აღმა პირველად იგრიალა 1905 წელს“*.

მუშების პოლიტიკურმა გაფიცვებმა მთელი ქვეყანა შეს-
 ძრეს. ქალაქის კვალდაკვალ ფეხზე დგებოდა სოფელი.

* ლენინი, თხზულებანი, ტ. 18, გვ. 19.

გლებთა მოძრაობა სულ უფრო და უფრო ფართოდებოდა რუსეთის ცენტრში, პოვოლოჟიეში, ამიერკავკასიაში, კერძოდ საქართველოში.

იროდიონ ევლოშვილმა 1905 წ. რევოლუციის პერიოდში დაწერილ ლექსებში გლებობა დაგვიხატა, როგორც მოკავშირე ძალა მუშათა კლასისა. ევლოშვილის ლექსებში ხაზგასმულია რევოლუციური ბუნება და ეს დასაბუთებულია იმით, რომ გლებკაცობა, ისევე როგორც მუშათა კლასი, წარმოდგენს დაჩაგრულ კლასს და ეს აიძულებს მას იბრძოლოს დამხაგვრელების წინააღმდეგ. იროდიონ ევლოშვილის ლექსებში „გლების ფიქრები“, „მოჯამაგირე“, „გლები“, „სოფელში“ და „ურმული“ გლებკაცობა წარმოდგენილია, როგორც დაჩაგრული, უუფლებო და რევოლუციურად განწყობილი ძალა.

„გლების ფიქრებში“ ევლოშვილი ხატავს ტიპიურ სურათს გლების თავგადასავლისას. მშრომელ გლებს მუყაითი შრომით საკმაო მოსავალი მოუწყვია, შემოდგომაზე ბელელი ჰქონდა პირსავე და იმედიანად შეჰყურებდა მომავალს, მაგრამ გაუცრუვდა იმედი, პირი აეხსნა ბელელს.

ეს ვალს, ეს ხარჯი მთავრობას,
ეს ეშმაკს, ეს ქაჯს, ეს მღვდელსა!

უსახსროდ დარჩენილი გლები გადაწყვეტს ქალაქს მიაშუროს, მაგრამ ვერც აქ პოულობს გამოსავალს. ღარიბი გლები საბოლოოდ ასკვნის:

არა, ძმავ, ღარიბ გლებკაცსა
აროდეს გაუთენდება.
იმ მუქთამკამელთ უღელი
ისევ კისერზე ედგება.

უფრო შორს მიდის ირ. ევლოშვილის მოჯამაგირე. უუფლებო, ბოგანო მოჯამაგირე დარწმუნდება, რომ მშრომელი ხალხის ხსნა თავისუფლებაშია. თავისუფლების მოპოვება კი მხოლოდ ბრძოლის გზით შეიძლება.

ნებით თუ არას მადლევენ,
ძალა მეც-შემწვეს მკლავშია,
წავალ და შევალ ჩემ ძმების
თავგანწირულთა რაზმშია.

შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ ევლოშვილი ზოგადად კი არ განიხილავს გლეხკაცობას, არამედ მის ლატაკ, ლარიბ, დაჩაგრულ ფენას გვიხატავს. პოეტის აზრით, მძიმე ეკონომიური მდგომარეობას უკავშირდება გლეხის რევოლუციური ბუნება, მისი საბრძოლო გადაწყვეტილება.

კმარა, ან ტყვია არ სამართალი,
მშიერ-ტიტველო შვილო, ნუ სტირი,
ჩაგრული ხალხი აღსდგა, აზვირთდა,
უკვე მეძახის ბრძოლის საყვირი!

რევოლუციის წლებში ირ. ევლოშვილი როგორც პროზაში, ისე პოეზიაშიც მოხერხებულად იყენებს სატირის ელემენტებს. ევლოშვილი მწვავე სატირულ ფორმაში გვიხატავს მეფის უკვე შერყეულ ტახტს და მის უბადრუკ დამცველებს. ევლოშვილი მოხერხებულად ხმარობს სატირას მეფის ერთგულთა გასამართლებლად. ასეთი ხასიათის ლექსებს შორის უნდა აღინიშნოს: „გაეასვენოთ ჩემი ბიძა“, „ბიძაჩემის ქორწინება“. ამ პოლიტიკურად მახვილ, იდეურად გამართულ სატირულ ფელეტონებსა და ლექსებში სამარცხვინო ბოძზეა გაკრული ცარიზმი და მისი მონა-მსახურნი.

* * *

ირ. ევლოშვილის შემოქმედებაში თავისებური ფუნქცია აქვს დაკისრებული ბუნებას. ევლოშვილი ბუნებას, მის ლამაზ პეიზაჟებს არ გვიხატავს, როგორც დამოუკიდებელ საგანს პოეზიისა. ბუნების სურათები, ლამაზი პეიზაჟი მას გამოყენებული აქვს, როგორც საშუალება სოციალური უსამართლობის გამოსააშკარავებლად. ბუნების მშვენიერება, მისი მყუდროება ვერ აყუჩებს უსამართლობის წინააღმდეგ აღძრულ პროტესტის გრძნობას. პირიქით, უფრო ამახვილებს ამ გრძნობას. „მშრომელთა კვნესა“, „მამუკრალთა ოხვრა“ თან სდევს მას ყველგან.

ამ დროს ჩვენ ერთად ვისხედით მტკვრის პირს,
აქ გამოვშორდით ქალაქს მშფოთვარეს,

გამოვეჭეცით ზღვას აღგზნებულსა
და გამოვეშორდით მის არე-მარეს.
აქ არ გვესმოდა მონების კენესა
და ბატონების მათრაბთა ქნევა,
ველარ ვხედავდით ბრძოლის მოედანს,
სადაც მაშვერალთა ოფლი ინთქევა.
ველარ ვხედავდით დანგრეულ ტაძარს,
მასზე აღმართულს არშინს და სასწორს,
გრძნობას, გონებას და ადამიანს
ფულზე გასაყიდს, ფულზე ასაწონს.
მაგრამ, ძვირფასო, ჩვენ თან გამოგვეყვა
მათი აჩრდილი გულს ჩანაკეთილი
და აშ სადამოს, კაეშნის აღმძვრელს,
გადაგვეშალა ორივეს წყლული.

პოეტი ბუნებას იყენებს ხშირად მის საპირისპირო სო-
ციალური კონტრასტის გამოსახატავად. ბუნებაში გამეფე-
ბულ სიმშვენნიერეს და სილამაზეს უპირდაპირებს დაჩაგ-
რულთა ბედს.

გაზაფხულისა გიემეჟმა სხივმა
მთა-ველს ზურმუხტი ზე მოაბნია
და ფირუზი ცა შიგ ჩაახედა,
გაუარშიყდა ვარდს ნაზი ია.
მოირთო ყველა, მაგრამ შენ, ძმაო,
ვერ მოიშორე ეგ კონკის ძველა
და დილით სხივიც თითქოს დაგცინის,
როს ოფლს იწმენდავ შენ ნელა-ნელა.

ბუნება ხშირად რწმენის სიმბოლოდ არის გამოყენებული.
ბუნების გამოღვიძება გაზაფხულის დროს, პოეტს აგონებს
თავისუფლებას, რომლისადმი რწმენას უფრო უორკეცებს
ეს გამოღვიძება. აქაც ანალოგიის საშუალებით არის ბუნება
წარმოდგენილი. მთელ რიგ შემთხვევებში ბუნების მოვლენე-
ბი ევლოშილს მოხერხებულად აქვს გამოყენებული რევოლუ-
ციური განწყობილების და აზრის გამოსახატავად.

* * *

ევლოშილი ხელოვნებას უყურებდა როგორც ერთ-ერთ
უძლიერეს იარაღს ჩაგრულთა განთავისუფლების საქმეში.

იგი ხელოვნებას საზოგადოებრივ, სოციალურ ფუნქციას ანიჭებდა, ევდოშვილისათვის სრულიად მიუღებელია. „ხელოვნება ხელოვნებისათვის“. უფრო მეტი, მას არც პასიური, მარტო პოზიტიური პოეზია სწამს. იგი მებრძოლი პოეზიის პოზიციაზე იდგა. მისი აზრით, პოეტი არა მარტო უნდა აღწერდეს პასიურად სინამდვილეს, არამედ სინამდვილის გარდაქმნის საქმის მებაირალტრეც უნდა იყოს. ღრმა იდეურობა, ხალხურობა ხალხის კეშმარტი სამსახური— ასეთი ინტერესი უნდა გააჩნდეს პოეზიას. მაგრამ ხელოვნება, ევდოშვილის აზრით არა მარტო ზოგადად ხალხის ინტერესს უნდა გამოხატავდეს, არამედ მშრომელი ხალხისა, ჩაგრული ხალხისა. ამ მხრივ ევდოშვილმა განავეითარა ილია ჭავჭავაძის რეალისტური თეორია. ცნობილია, რომ ილია ჭავჭავაძემ ხელოვნებას ხალხის სამსახური დააკისრა. იროდიონ ევდოშვილმა ერთგვარი კლასობრივი პრინციპი შეიტანა ამ რეალისტურ კონცეფციაში. 1895 წელს მან ლექსი უძღვხა რაფიელ ერისთავს, „მხცოვან მგოსანს“. აქ ის რაფიელ ერისთავს აფასებს, როგორც მაშვრალთა მგოსანს. სულ სხვა საკითხია, თუ რამდენად ზუსტია ეს დახასიათება. მთავარი ის არის, რომ იროდიონ ევდოშვილი ხაზს უსვამს: იმ დროს, როდესაც ზოგი ჩვენი მგოსანი „აქებდა ვარდსა, შენატროდა ბულბულსა და ლოცულობდა შავ თვალებზედა“, შენო, მიმართავს იგი რაფიელ ერისთავს, „ტვირთმძიმეთა სვებელი გაიზიარეო“.

იგი შევხო ტვირთმძიმეთ სვესა
და მისი გულის შავსა ფიქრებსა,
პირველმა იმან ბედ-უკუღმართთვის
ხელი ჩამოჭრა ჩანგის სიმებსა;
უპირველესათ იმისი ქნარი
დაჭფარფატებდა მაშვრალთ კერასა,
პირველათ იმან მიაპყრო თვალი
ოფლიან მუშის გულის ძგერასა.

უფრო დასაბუთებულად რეალისტური კონცეპცია ხელოვნებისა-ევდოშვილმა მოგვცა პოემაში „მუზა და მუშა“. ეს პოემა 1905 წლის რევოლუციის ქარიშხლიან დღეებში დაი-

წერა. მასში მძლავრად ეღერს ოპტიმიზმის ხმა. ნაწარმოების ცენტრალურ საკითხს წარმოადგენს ხელოვნებისა და ცხოვრების ურთიერთობის საკითხი, უფრო სწორად, ხელოვნებისა და მუშათა კლასის ურთიერთობის საკითხი, პრობლემა მეტად საინტერესოდ არის დასმული და გადაჭრილი.

პოემის შესავალ ნაწილში მოცემულია კაპიტალისტური სისტემის დახასიათება. გამახვილებულია წინააღმდეგობა შრომასა და კაპიტალს შორის. კონტრასტულად იშლება სურათი: ერთი შრომობს — მეორეს მიაქვს. ერთი — ის, ვინც ქმნის, შიმშილით კვდება, მეორე — ის, ვინც ითვისებს და ართმევს მშრომელს, მეჯლისშია, განცხრომაშია. პოეტი მთელი პირუთვნელობით ხატავს კაპიტალისტური ცხოვრების სურათს:

მუშავ, მონა ხარ შენი ოფლისა
და სათამაშო გასართობელი,
მიწის მასხარა, მასხარა ცისა,
შენ კაცი გქვიან, მაგრამ სადა გაქვს
ადამიანის წმინდა უფლება.
შეხედე შენს მკერდს, რა უყავ ოფლი,
ვისთვის და რისთვის იგი იღვრება?!
აშენებ დარბაზს — სახლი არა გაქვს,
ებრძვი მიწასა — კვდები მშვიერი,
ვისთვის მუშაობს ეგ შენი მკლავი
და რისთვისა სცემს მკერდი ძლიერი?
შეხედე ქალაქს, შეხედე სოფელს,
შენ გააკეთე ეს ქანდაკება,
მას შენი ოფლის ბეჭედი აზის,
მას შენი სული თავზე ევლება!
მაგრამ ვისია? გაქვს შენ იქ წილი?!
სადა გაქვს ბინა, ცხოვრების გერო?

შემდეგ ავტორი კითხულობს: ასეთ ვითარებაში როგორი უნდა იყოს ფუნქცია მუშისა, ხელოვნებისა? ხელოვნების სიმბოლო მუშა გამოეცხადება მუშას, რომ სიმბიარულითა და სიყვარულით დაატკბოს იგი. მუშა „მესტვირეს ოქროს დარბაზებისას“ განუმარტავს ცხოვრების

ნამდვილ აზრს, ჩაახედებს სინამდვილეში. იგი გააცნობს ქუჩის ხალხს, რომელთაც სახეზე აწერია: „მხოლოდ შიმშილი, მხოლოდ შიმშილი“, დაანახებებს ქარხნებს, სარდაფებს, სადაც წელში მოხრილი მილიონები ოხრავენ და შიმშილობენ. სადაც მონებისათვის შემოუვლიათ ირგვლივ ბორკილის რკალი. იქვე კი ქურუმნი და ოქროს კერპები დგანან ამაყად მათრახით ხელში. მუზა შეძრწუნდება ნახული სინამდვილით, „რისთვის და ვისთვის ვაუღერდი სიმებს, ოდეს სიცოცხლე ყოფილა კრული?“ — აღმოხდება მუზას. იგი დასწყევლის სიცრუეს ცისას და გადაწყვეტს ხელი აილოს ჩანგზე. მაგრამ მუშა დაარწმუნებს მუზას, რომ იგი სცდება, — სიმბდალე არის განდევილობაო, ათასების ხმას შეუერთე შენი ჩანგიო, და პოეტი ასკენის:

ათრთოლდა მუზა, რწმენა, იმედი
მას დაუბრუნდა; ათრთოლდა ჩანგი,
და ათი ათას ხმას შეუერთა
მან საბრძოლველად თავისი ჰანგი!
მალლა მიცურავს წითელი დროშა,
მონა ქედს იწვევს, ზვირთი გუგუნებს,
ცა წაგრაგნილა, ცა მოლუშულა,
ძირს დაუბრიათ თავები ღმერთებს!..
ჟღერავს კვლავ ჩანგი, მუზა ამაყად
აკენებს ჰანგებს, ათრთოლებს სიმებს,
მიცურავს დროშა მალლა თამამად
და განთიადიც მასთან იღვიძებს!

„მუზა და მუშა“ წარმოადგენს ევდოშვილის შეხედულებათა გამომხატველ ტიპიურ ნაწარმოებს. მუშათა კლასის ინტერესები, რევოლუციის ინტერესები დაედო საფუძვლად ევდოშვილის შეხედულებას ხელოვნებაზე. ევდოშვილის აზრით, ხელოვნება უნდა ემსახურებოდეს მუშათა კლასს და იბრძოდეს მისი უკეთესი მომავლისათვის. ირ. ევდოშვილი მწერლობას აფასებდა, როგორც იარაღს სოციალური და პოლიტიკური უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლისა.

სამოქალაქო ლირიკის, რევოლუციური პოეზიის მეთაური ქართულ მწერლობაში ირ. ევდოშვილი ფორმის მხრივ არ ყოფილა ნოვატორი. იგი მეტწილად მისდევდა და იცავდა აკაკისა და ილიას მიერ დამკვიდრებულ პოეტურ ფორმას.

ზოგჯერ ილიასთან და აკაკისთან შედარებით გააზარტივა კიდევ პოეტური გამოსახულების ფორმები. იგი მაინც იყო თავისებური ნოვატორი ამ სფეროში. რევოლუციური მუშათა კლასის მხატვარმა, რევოლუციური იდეების მგზნებარე ტრიბუნმა, თავისებური ინტონაცია მისცა ახალ თემას: მებრძოლი პათოსი, მომწოდებელი, რევოლუციური, პათეტიკური კილო და ტონი სრული ფორმით ირ. ევდოშვილმა დაუმკვიდრა ქართულ ლექსს. ინტონაციების სიახლე ამ მიმართულებით უთუოდ იყო ირ. ევდოშვილის პოეზიაში. სწორედ ამ გარემოებამ გახადა იგი მეთაური და დამწყები ახალი პოეტური სკოლისა.

ამიტომ არ შეიძლება ითქვას, რომ იროდიონ ევდოშვილს ფორმის მხრივ არაფერი ახალი არ მოეტანოს ქართულ პოეზიაში. საილუსტრაციოდ ავიღოთ ირ. ევდოშვილის ცნობილი ლექსი „მეგობრებს“:

მეგობრებო, წინ... წინ გასწით,
 ნუ შედრკება თქვენი გული,
 დე მკერდს სისხლის დალი აჩნდეს,
 და შუბლს ოფლის ნაკადული.
 წინ, წინ მედგრათ შევებრძოლოთ,
 ჩარბჯულმართ ამ ჩვენ დროსა,
 ჭირის ოფლში გავატაროთ
 სიმართლის და ძმობის დროშა!
 დე, ჩვენ ტოლთ, უგვანო შვილთ,
 კერპის წინ ხარონ ქედი,
 ფუ, იმ ვაყვაცს, ვინც ინატროს,
 მათი სვე და მათი ბედი!
 დე, ისევ მათ ავარჯიშონ
 საქვემძრომით მკლავი, ენა,
 სხვა აკენესონ და ამ კენესით
 თვით იპოვონ შვება, ლხენა...
 მომავალი იმათ თვის ხვედრს
 წარმოუძღენის, დასდებს მსჯავრსა
 შეაჩვენებს იმათ საფლავს,
 სამარცხვინოს, სახიზლარსა.
 მეგობრებო, ჩვენ ნუ გვინდა
 ამნაირი სვე და ბედი,
 ბრძოლა იყოს ჩვენი ლხენა,
 სატრფიალო გულს იმედი.

მაშ უშიშრად შევებრძოლოთ
ჩარხუკულმართ ამ ჩვენ დროსა
და ჩვენ რაზმს წინ წავუძღვაროთ
სიმართლის და ძმობის დროშა

ვინც ამ ლექსს დააკვირდება, ადვილად შეამჩნევს, რომ აქ ყურადღება გადატანილია მოწოდებითი ხასიათის ფრაზებზე, სიტყვები, ლექსის ინტონაცია და მთელი მისი მხატვრული ფაქტურა ამ მიზანს ემსახურება. საგანგებოდ შერჩეულია სიტყვები და ფრაზები „მეგობრებო წინ, წინ გასწით“, „დე მკერდს სისხლის დაღი აჩნდეს“, „ბრძოლა იყოს ჩვენი ლხენა“, „მაშ უშიშრათ შევებრძოლოთ“, „ჩვენ რაზმს წინ წავუძღვაროთ სიმართლის და ბრძოლის დროშა“, გაკიცხვის, შეჩვენების გამომხატველი სიტყვები და ძახილის ნიშნები და სხვა ამგვარი მოწოდებითი სიტყვები, ფრაზები და მიმართვები ქმნიან იმ საბრძოლო განწყობილებას, რევოლუციურ სულისკვეთებას, რომლის აღძვრას მიზნად ისახავს პოეტი. სწორედ ეს მოწოდებითი, სატრიბუნო, პათეტიკური ტონი და ინტონაცია შემოიტანა ქართულ მწერლობაში ირ. ევდოშვილმა. რევოლუციური მუშათა კლასის საბრძოლო ყიჟინას შეუფარდა ლექსის მებრძოლი სული, ინტონაცია და მთელი მხატვრული ფაქტურა. ეს იყო ევდოშვილის დამსახურება. ეს საბრძოლო ინტონაცია აიტაცა შემდეგ მთელმა დემოკრატიულმა სკოლამ, ევდოშვილის სკოლამ. ამის გამოხატულება გვაქვს ჩვენ ნ. ჩხიკვაძის, გ. ქუჩიშვილის, ვ. რუხაძის, ნაწილობრივ ა. აბაშელისა და სხვათა შემოქმედებაში.

* * *

იროდიონ ევდოშვილი არ ყოფილა ყოველთვის თანამიმდევარი რევოლუციური განწყობილების- პოეტი. ერთგვარი მერყეობა, წვრილბურჟუაზიული უიდეობა ახასიათებს მის შემოქმედებას. ეს წვრილბურჟუაზიული მერყეობა უფრო მკვეთრად დაეტყო მის შემოქმედებას რეაქციის პერიოდში. რეაქციის ეპოქამ თავისი დაღი დაასვა ევდოშვილის პოეზიას.

იროდიონ ევდოშვილის პოეზიაში რეაქციის წლებში უიმე-

დო. განწყობილება უფრო მკვეთრ გამოხატულებას პოუ-
ლობს, ვიდრე ოდესმე. მაგრამ ევლოშვილის შემოქმედებაში
ეს განწყობილება მაინც არ ყოფილა პირველი და დამახა-
სიათებელი მარტო ამ პერიოდისათვის. მერყეობა, უიმედო
განწყობილება და სევდა ჩვენ გვაქვს ევლოშვილის ადრინდელ
პერიოდშიაც. ასე, მაგალითად, იროდიონ ევლოშვილი 1900
წელს გამოქვეყნებულ ლექსში, რომელსაც ჰქვია „უკანასკნელი
ცრემლები“, ამჟღავნებს სევდის, უიმედობის, უპერსპექტი-
ვობის განწყობილებას. პოეტს „მეგობრობს მხოლოდ სევდის
ნიავი“. ცხოვრებიდან გარიყული მწარედ მოთქვამს:

ჩაჰკნა ყვაველი ოხერ წალკოტში,
ჩაქრა კანდელი, ქვითინებს გული, „
ზამთრის სუფარამ გათოზა მდელი,
დამისუდარა ტურფა ზაფხული!
ჰოი, ოცნებავ აყვავებულო,
თაიგული ხარ შხამგესლიანი.
ტკბილის ალერსით მომტაცე გული
და გამიშალე გზა ეკლიანი!
აჰა, გვირგვინი შენის ტრფობისა:
მოკლული სული, მოღლილი მკლავი.
დღეს—ხვალის ფიქრი, ბრძოლა და ბრძოლა
და იმედისა შავი საფლავი!

ასეთივე განწყობილებაა გამოხატული უფრო მოგვიანო
პერიოდის ლექსშიც. 1904 წელს დაწერილ ლექსში ევლოშვი-
ლი თვლის, რომ ამ ქვეყნად სამუდამოა მხოლოდ ნალღველი.
ზამთარს შეცვლის გაზაფხული, დღეს—ლამე, მაგრამ ნალღვე-
ლი კი სამუდამოა.

დიალ.—ლამეს დღე ისევ მოჰყვება,
მზე გაბადრული ისევ ამოვა,
ლამეს დღე შესცვლის, დილას—სალამო,
მხოლოდ ნალღველი სამუდამოა!

ამგვარი განწყობილებანი არ იყო უცხო ევლოშვილის
პოეზიისათვის. ასე რომ, რეაქციის ეპოქის შემდეგ ევლოშვი-
ლის პოეზიის სევდიანი განწყობილება არ შეიძლება მარტო
ამ პერიოდის დამახასიათებლად ჩაითვალოს. ოღონდ ის კია,
რომ რეაქციის ეპოქამ ხელი შეუწყო ამგვარი მოტივების

წინ წამოწევას. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ჩვენ ევლოშილის შემოქმედების ორ რაღაც სავსებით განცალკევებულ პერიოდზე ვილაპარაკოთ.

რეაქციის პერიოდში ევლოშილი კარგავს წონასწორობას, უიმედობასა და იმედს შორის მერყეობს, ეს მერყეობა ყველაზე კარგად გამოხატულია ლექსში „სარკმელთან“. პოეტი დაჰყურებს ბორკილებგაყრილ სამშობლოს და მას ასეთი მერყევი გრძნობა იპყრობს:

ხან შემოვუვლი ამხანაგთ საფლავს,
ვკარგავ სათვალავს, მაინც ვთვლი მსხვერპლებს.
ვამბობ, თ ღმერთო, შურის ძიება
როდის იქექებს, როდის იელვებს!
ხან კი ლაჩრულად უკან ვბრუნდები,
სატრფოს გულისას მივკვივ-მივსტირი.
აწმყო მადუწებს, მომავლის ფასათ
იმედს მიჩლუნვებს წარსული კირი!

ხანდახან პოეტს სურს შეებრძოლოს მყუდროებასა და უძრავობას. პოეტი მოიღალა სევდაში, მას ბრძოლა სწყურია და აი როგორ მიმართავს ხომალდს:

გასწი, თამამად ზვირთთ კამარის ქვეშ,
სად ქარიშხალი დაჰლმუის უფსკრულს!

მერყეობა პოეტს ხშირად უსასოებამდე, პესიმისტურ განწყობილებამდე მიიყვანს:

ნაღვლიანი ღიღინი
საფლავში ცოცხალ-მკვდრებისა,
ღიღინი ჩაკვდა... ჩხარუნი
მოისმის ბორკილებისა!

ასეთი მდგომარეობით გულმოკლული პოეტი მწარედ მოსთქვამს. მას სევდა და უსასოება იპყრობს. უიმედობის განწყობილებაა გამოხატული ლექსში „ღამის წყვილიაღში“. თუ ირ. ევლოშილს რევოლუციის დღეებში ქარიშხალი იტაცებდა, თუ მისი ლექსების სტრიქონებში ისმოდა ქექა-ქუხილი, ბრძოლა, ახლა, რეაქციის სუსტიან დღეებში, მისი ნაწერების ლექსიკონი ხშირად ივსება ასეთი ეპითეტებით: კუბუ, სა-

საფლაო, წყვდიადი და სხვა მისთანანი, პოეტს უყვარს სა-
საფლაო, იგი გამბძლარა მისი სატრფო.

მიყვარს საფლავი: ჩემი სატრფოა,
იქ ჩავასვენე მე სიყვარული,
იქ არის ჩემი წმინდათა წმინდა,
ჩემი ედემი და გაზაფხული
აქა დგას კუბო, ჩემი საუნჯე,
მე მას ვეხვევი, ვვალერსები,
მისი ერთგული, მისი დარაჯი,
მახე ვლოცულობ, თავზე ვეველები.

ევდოშვილისათვის რევოლუციის დღეები წარსულად იქცა.
საიმედოს ის მომავალში არაფერს ხედავს. პოეტი იგონებს
ამ ბრწყინვალე წარსულს და ამაოდ თვლის სიყმაწვილის
ტკბილ სიზმარს. უსასოებას და სევდას შეუპყრია პოეტი:

როგორ მიყვარდა... ახლა კი ჩასკვნა,
გადიშალა ის განთიადზე.
მოკვდა ოცნება და ღამის ბინდში
წავიღე ოხერ და ტლუ საფლავზე,
იქ დავისვენე, იქ არის გული...
მიდის სიცოცხლე, სისინებს ქარი.
აჰ, რათ ვიტანჯე, რისთვის მიყვარდა,
სიყმაწვილისა ტკბილი სიზმარი.

პოეტის სტუმარია მწუხრის აჩრდილი. ჩამკვანარა და გა-
ძარცულა ყველაფერი. მტარვალის ხელმა დააქკნო გაზაფხუ-
ლის ყვავილი. იყო დრო, როდესაც ღამაზად ჰყვოდა ეს
ყვავილი. გაწბილებული პოეტი ამაოდ მოსთქვამს. ასეთია
აზრი ლექსისა, რომელსაც ჰქვია „აჩრდილი“. ამგვარი უიმე-
დო განწყობილების გამომხატველი ლექსები ევდოშვილის შე-
მოქმედებაში ბევრი გვხვდება რეაქციის პერიოდში. მაგრამ
არ იქნება სამართლიანი რომ გვეთქვა, თითქოს ევდოშვილის
შემოქმედება რეაქციის პერიოდში მუშათა მოძრაობის გარე-
შე იდგეს, რომ იგი საეცებით შორდება რევოლუციურ ძა-
ლებს და მთლიანად გადადის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ
ბანაკში. არა, მიუხედავად მერყეობისა, გულგატეხილობისა და
სევდა-ნალღელისა, იგი საბოლოოდ არ დალატობს მებრძო-
ლისა და რევოლუციის პოეტის გზას. 1908 წელს, რეაქციის

მძვინვარე დროს, დაწერილ ლექსში— „გასწი, იარე ეკლიანრ. გზით“, პოეტი თავის მოწოდებად სახვეს ხალხის სამსახურს. ხალხის შვილს, მასთან საერთო მიზნით შეკრულს, არ უნდა ემინოდესო ეკლიანი გზის და ბოლომდე, ვიდრე დაეცემოდეს მკერდგანგმირული, უნდა იბრძოლოსო ხალხის საქმისთვის. იგი წერს:

ძმავ, მეგობარო, უსახლ-უკარო,
შენი ცხოვრება სავსეა ტანჯვით,
მაგრამ გახსოვდეს შენ მხოლოდ ხალხი,
მისთვის იარე ეკლიანის გზით!
დე, ავ ენებმა გარს გისრიალონ,
გისისინებდნენ ასპიტ გველივით,
ვიდრე გაქვს ღონე, დაჩაგრულთათვის
ატარე დროშა ეკლიანის გზით!
და როცა ჯანი დაგისუსტდება,
ძირს დაეცემი მკერდგანგმირული,
„ჩემთვის ვიდოდა ეკლიანი გზით“,
დაიქვითინებს ხალხისა გული!

ასეთივე აზრია გატარებული 1909 წელს დაწერილ ლექსში „ახალო წელო“, პოეტი, რომელსაც ესმის ბორკილთ ჩხარუნი, ხალხის ქვითინი, არ უშინდება ამ წყევლიადს და ტყვეობაშიც ისევ ძველ სიმღერას ამბობს:

საით ძმობილო?—იქით, საითაც
კიდევ მოგელით მამული შვილებს,
ჩვენ ვივლით ასე მუდამ სიმღერით,
ვიდრე მთა-ბარი არ გაიღვიძებს.

ლექსში „მონას“ პოეტი იგონებს გაზაფხულის დიად დროს, დაჩაგრულთა სამაისო ღიმილს, იმ დროს, როცა შეირყა ბატონთა ტახტი და რეაქციის ძალები შიშით თრთოდნენ ხალხის წინაშე. მართალია, ახლა შეიცვალა მდგომარეობა, კვლავ კვენესის ხალხი, კვლავ მჩაგვრელების ბრჭყალებში მოექცა იგი, მაგრამ პოეტი იმედს არ კარგავს:

კვლავ დაგიდგება დრო და კენესა გადაიქცევა
მძაფრ ქარიშხალად, შეინანებს მტერი უკმენი,
ზიზლი და შური ერთმანეთში შეერთებული
მას სამუდამოთ დაეცემა, როგორც რომ მეხი!

იგი არ კარგავს იმედს. სამშობლოდან გაძევების წუთებში, გადასახლებაში ეტაპით გაგზავნილი პოეტი რწმენით შეწყურებს მომავალს.

მივდივარ, ბორკილს მივაჩხარუნებ,
მაგრამ თან მიმდევს მასთან იმედი;
მწამს, საბოლოოდ რომ ხალხს უპყრია
თავისი ხვედრი, თავისი ბედი!

გადასახლებაში მყოფი ირ. ევლოშვილი ბედს არ ურიგდება და გაქცევაზე ოცნებობს, რომ სამშობლოში დაბრუნებული კვლავ მტერს შეებრძოლოს. ევლოშვილი ბოლომდე დარჩა თვითმპყრობელობის ტახტთან შეურიგებელი პოეტი. ზემონათქვამიდან ის დასკვნა შეიძლება გავაკეთოთ, რომ ირ. ევლოშვილის შემოქმედება რეაქციის პერიოდში არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც საბოლოოდ გაქცევა რევოლუციის ინტერესებისაგან. ასევე არ იქნებოდა სამართლიანი ირ. ევლოშვილის შემოქმედება მექანიკურად გაგვემიჯნა ორ დამოუკიდებელ პერიოდად. პირველი პერიოდისათვის გვეწოდებინა რევოლუციური, მეორისათვის—არარევოლუციური. ასეთი მექანიკური გათიშვა ევლოშვილის შემოქმედებაში არ მომხდარა. ირ. ევლოშვილის შემოქმედების ახლო გაცნობა გვარწმუნებს, რომ ევლოშვილი წვრილბურჟუაზიული მსოფლმხედველობის მწერალია და ამ გარემოების გამო, რევოლუციის გარიჟრაჟზე, 1905 წლის რევოლუციის ქარიშხლის დღეებში, მის პოეზიაში დომინანტური მდგომარეობა მოიპოვებრძოლისა და რევოლუციის მოტივმა. რეაქციის ეპოქაში კი წინ წამოვიდა უიმედო განწყობილება, მაგრამ ისე, როგორც პირველ პერიოდში მისთვის უცხო არ იყო სევდიანი განწყობილება, ასევე მისთვის მეორე პერიოდში დამახასიათებელია რევოლუციური განწყობილება, ბრძოლის მოტივები.

ირ. ევლოშვილი ერთ თავის ადრინდელ ლექსში წერდა:

გფიქრობ: ვინ იცის რამდენს ჩვენგანს
სიძნელე გზისა
ძალას მოუკლავს, შეაფერხებს
და დასცემს ძირსა;
გფიქრობ: რამდენი წაიჩოქებს

გკლიან გზაზე
და ვინ აიტანს წამების ჯვარს
მუნ გოლგოთაზე!

ქეშმარიტად, ირ. ევლოშვილს თავისი რთული, წინააღმდეგობით აღსავსე და მეტად საინტერესო შემოქმედების გზაზე „ჰქონდა სიძნელე გზისა“, შეფერხება, მერყეობა, მაგრამ იგი ვერ გატეხა და ვერ დასცა ძირს ამ წინააღმდეგობამ. რევოლუციის აღმავლობით აღფრთოვანებულმა, 1905 წლის ქარიშხლიან დღეებით შთაგონებულმა იწამა გამარჯვება ხალხისა და ამ რწმენით აღაგზნებდა იგი მილიონთა გულებს. რეაქციის მძვინვარე ხანამ იგი ერთგვარად „წააჩოქა ეკლზიან გზაზე“, მაგრამ ვერ წაართვა მას საბოლოოდ რწმენა არჩეული გზისა. მისი ჯანსაღი, რევოლუციური პოეზიის ნაკადი შევიდა ჩვენს პოეზიაში, როგორც ახალი სიტყვა ქართულ ლიტერატურაში. ევლოშვილის გზას ქართულ პოეზიაში გაუჩნდნენ მიმდევრები. იგი შეიქმნა სათავე ახალი სალიტერატურო სკოლისა. აქედან გამოვიდნენ შემდეგ ისეთი ცნობილი პოეტები, როგორიც იყვნენ: ნოე ჩხიკვაძე, გიორგი ქუჩიშვილი, ვარლამ რუხაძე.

შიო არაგვისპირელი

(შიო ღედაბრიშვილი)

შიო არაგვისპირელი დიდებით შემოვიდა მრავალსაუკუნოვან ქართულ ლიტერატურაში. იშვიათად ღირსებია ჩვენში ახალგაზრდა მწერალს ისეთი დიდი ყურადღება, რაც წილად ხვდა შიო არაგვისპირელს. აკაკი წერეთელი ალტაცებით წერდა:

„ადრეც მითქვამს და ახლაც ვიმეორებ, რომ ახალ მწერლობაში ყველაზე უფრო საყურადღებოა არაგვისპირელი მისი ფსიქოლოგიური ეტიუდებით. მისი ზეგავლენით და მიმბაძველობით ბევრი სწერს, თითქმის სკოლა შექმნა“. * ჩვენმა ლიტერატურულმა საზოგადოებამ აკაკის აზრი გაიზიარა. კიტა აბაშიძემ სრულიად ახალგაზრდა მწერალს შიო არაგვისპირელს „ახალი თაობის საყვარელი მწერალი“ უწოდა. არაგვისპირელი სულ მოკლე ხანში გახდა პოპულარული მწერალი.

რა იყო ამის მიზეზი?

შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრამდე ქართულ ლიტერატურაში ჰეგემონია განუყოფლად პოეზიას ეკუთვნოდა; შაირი წარმოადგენდა წამყვან დარგს ძველ ქართულ მწერლობაში. მიუხედავად ამისა, ქართული ლიტერატურის უძველესი ისტორია იცნობს პროზის საინტერესო ოსტატებს, მე-10 საუკუნისათვის ჩვენ უკვე გვაქვს პროზის ისეთი შედეგები, როგორიც არის გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“. ფეოდალური ეპოქის მწერლობაში პროზა საბოლოოდ გაიმართა „ვისრა-

* აკაკის თვითი კრებული, 1898 წ., № 11, გვ. 51.

მიანისა“ და „ამირან ღირეჯანიანის“ ავტორების ხელში, ხოლო იგი უმაღლეს საფეხურზე აიყვანა სულხან-საბა ორბელიანმა. „სიბრძნე სიცრუისა“ ძველი მწერლობის პროზის შედევრს წარმოადგენს.

ძველმა მწერლობამ შექმნა პროზის მდიდარი ტრადიცია. ახალმა პროზამ (მე-19 საუკუნის პროზამ) ეს მდიდარი მემკვიდრეობა მიიღო.

ძველი პროზიდან ახალ პროზამდე * იყო ერთგვარი ხარვეზი. ამ ხარვეზის შევსება ქურნალში „ციცკარმა“ დაიწყო. ქურნალ „ციცკარის“ თანამშრომლები იწყებენ ქართული პროზის რესტავრაციას. პირველად ახალ მწერლობაში პროზის ტრადიციას ანახლებენ გრ. რჩეულიშვილი, დ. ქონქაძე, ლ. არდაზიანი და სხვ. ეს იყო ნიადაგის პირველი მოსინჯვა, პირველი გადადგმული ნაბიჯი ახალ პროზაში.

და მაინც ილია ჭავჭავაძემ ჩაუყარა საფუძველი და მოუძებნა მტკიცე ნიადაგი ახალ ქართულ პროზას. ილია მე-19 საუკუნის ქართული პროზის ახალი სათავეა. ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი იყვნენ ქართული ლიტერატურის უდიდესი რეფორმატორები.

ილიასთან და აკაკისთან ერთად ალექსანდრე ყაზბეგმა, ვაჟა ფშაველამ, გ. წერეთელმა, დავით კლდიაშვილმა და ეგნატე ნინოშვილმა შექმნეს კლასიკური ეპოქა ქართული პროზისა. მათ მოახდინეს ძველი სალიტერატურო ენის პოეტური ხერხების თუ ფორმების ძირითადი გადახალისება.

ქართული მწერლობის შემდგომი განვითარება მისდევდა ილიასა და აკაკის მიერ გაკვალულ გზას და მთელი საუკუნის განმავლობაში არავის უცდია ქართული პროზის „ახალი ხაზით“ წარმართვა. პირველად შ. არაგვისპირელმა დააყენა ეს ამოცანა თავის წინაშე.

ილიასა და აკაკის შემდეგ ქართული პროზის დიდი რეფორმატორი შიო არაგვისპირელი იყო.

* „ძველი პროზა“ და „ახალი პროზა“ პირობითი მცნებებია: „ძველ პროზად“ ვგულისხმობთ მე-19 საუკუნემდეგ პროზას, „ახალ პროზად“ — მე-19 საუკუნის პროზას.

შედევები, რომლებსაც არაგვისპირელმა მიაღწია, მეტად დიდი. მან მოგვცა ქართულ მწერლობაში ჯერაც მიუღწეველი ნიმუშები ნოველის, ეტიუდის, ესკიზისა და, საერთოდ, მცირე ფორმის თხრობითი ნაწარმოებისა.

არაგვისპირელის მომხიბლავი, პოეტური ფერადებით შექმნილი ფსიქოლოგიური ნოველა აღებდა ახალ კარებს ქართულ მწერლობაში.

შიო არაგვისპირელი მეტად მოხდენილად და ნიჭიერად იყენებს ნოველას. ახალი ქართული პროზის ტრადიციულ გზას—ფართო მხატვრულ ტილოებს მან გვერდით დაუყენა მოკლე და მკაცრი კომპოზიციით შეკრული ფსიქოლოგიური ნოველა, ფსიქოლოგიური ეტიუდი, სადაც მკაფიო, მოკლე პოეტური მეტყველება ყველაფერს აცოცხლებს.

ამ მხრივ ახალი მოვლენა იყო არაგვისპირელის პროზა. და ამ გარემოებამ მიაკუთვნა შიო არაგვისპირელი ქართულ სახელოვან მწერალთა წყებას.

ქართული მწერლობისაგან მიღებული დიდი ტრადიცია შიო არაგვისპირელმა გააგრძელა და მას ორიგინალური და ინდივიდუალური ხმა შემატა. შიო არაგვისპირელი მისმა ფსიქოლოგიურმა ნოველებმა და ეტიუდებმა გამოარჩიეს, როგორც უბრწყინვალესი ოსტატი მცირე ფორმის პროზისა.

უთუოდ ამას გრძნობდა აკაკი წერეთელი, როდესაც იგი შიო არაგვისპირელს ახალი სკოლის მეთაურად თვლიდა.

შიო არაგვისპირელი არა მარტო ფორმით იყო ახალი საფეხური ქართულ პროზაში, არამედ თემატიკითა და იდეითაც. შიო არაგვისპირელი 900-იან წლებში გამოჩნდა როგორც პროგრესული იდეების მქადაგებელი. მან კარგად შენიშნა და მოხერხებულად გაგვაცნო ჩვენს ყოფაში დამკვიდრებული ახალი სინამდვილე. არაგვისპირელის ნოველებსა და ეტიუდებში მკაფიოდ გამოჩნდნენ ბურჟუაზიულ-ქალაქური ცხოვრების შავი ლაქები, კაპიტალისტური საზოგადოების უარყოფითი შედეგები. ქართული ლირიკული პროზის განუმეორებელმა ნიქმა ჭოლა ლომთათიძემ ყველაზე კარგად შენიშნა ეს. ჭოლა აფასებდა არაგვისპირელის თემატიკურ სიახლეს. ამ მხრივ საინტერესოა ჭოლას ნოველა „უბედური“.

ქოლა ლომთათიძე, დიდად აფასებს რა არაგვისპირელის ნოველას „ჩემი სამშობლო ჩემი გულია“, მხურვალედ თანაუგრძნობს მის მიერ აქ ახალი კუთხით დაყენებულ საკითხს.

„როცა ეს მოთხრობა დაიბეჭდა,—წერს ქოლა,—გაწყურენ: „ეს ცილისწამებაა, ეს როგორ შეიძლებაო“. ერთი კრიტიკოსი წერდა: „მე ღრმათ მრწამს ქართველი ქალი ასეთი არ არისო“. ნეტარ არიან მორწმუნენი, მაგრამ... ვთქვათ გულახდით, ნუთუ არაგვისპირელმა სიმართლე არ თქვა ამ მოთხრობაში?“ *

მართლაცდა, შ. არაგვისპირელის მიერ აქ საკითხი საესებით ახალი თვალთახედვით იყო გაშუქებული.

შიო არაგვისპირელის ძალა, როგორც მწერლისა, იმაში გამოიხატა, რომ იგი თავისი ეპოქის ყველაზე მტკივნეულ საკითხებს შეეხო. ის, რაც აფიქრებდა და აღელვებდა 90-900-იანი წლების მოწინავე ქართულ აზროვნებას, გამოხატულებას პოულობდა არაგვისპირელის ნაწერებში; გამოსახულების საშუალებად კი არჩეული იყო სრულიად ახალი ლიტერატურული ფორმა—ფსიქოლოგიური ნოველა.

შ. არაგვისპირელმა ასახა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ახალი მოვლენები, დახატა ახალი ცხოვრების გმირები „თავიანთი დიდი და მცირე დარდით“, პატარა თუ დიდი სიხარულით, ისე რომ „ამგვარი დასურათება მოვლენისა, ცხოვრების ამგვარი სიმწარის დანახვა ჩვენს ლიტერატურაში ახალი რამ იყო, რასაც უნდა მიეჭკია მკითხველი საზოგადოების ყურადღება, მით უმეტეს, რომ ზგი ახალი ნიჭიერის მწერლის მადლიანის კალმით იყო დახატული“. **

შიო არაგვისპირელი ადამიანებსა და მათთან დაკავშირებულ მოვლენებს გვიხატავს რეალისტური ფერებით, მაგრამ თუ აქედან ხშირად „პესიმისტური განწყობილება გამოსჰქვივის, ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ თვით ამ მოვლენების მდგომარეობაში“; ამის მიზეზია, რომ ჩვენი საზოგადოებრივი ყოფა თავად ისეთი იყო, რაგვარადაც ის მწერალს აქვს წარმოდ-

* ქოლა ლომთათიძე, მოთხრობები, ტ. II, გვ. 160.

** კ. აბაშიძე, ეტიუდები, ტ. II, გვ. 353.

გენილი და ის, რომ შიო არაგვისპირელი წვრილბურჯუაზი-
ული მსოფლმხედველობის მწერალია.

შ. არაგვისპირელის მოთხრობებში მეტწილად გამოყვანი-
ლი არიან წვრილბურჯუაზიული ინტელიგენციის წარმომად-
გენლები. ბურჯუაზიული საზოგადოებრივი ცხოვრების კა-
ლაპოტიდან ამოგდებული, მერყევი, უნიადაგო პიროვნებანი
არაგვისპირელის მოთხრობის მთავარი პერსონაჟებია, ისინი
მოკლებული არიან მტკიცე საყრდენს საზოგადოებრივ ცხოვ-
რებაში, არ უკავიათ გარკვეული და საკმაოდ უზრუნველ-
ყოფილი ადგილი ამქვეყნად. არაგვისპირელის გმირების უმრავ-
ლესობა ბურჯუაზიული სინამდვილისაგან საფუძველ შერყე-
ული, წონასწორობა დაკარგული, განმარტოებული დგას
კაპიტალისტური საზოგადოების საშინელი განაჩენის წინაშე.

შიო არაგვისპირელი ხან დაღვრემილი, სევდიანი თვალე-
ბით გამოიყურება თავისი ნაწარმოებებიდან, ხან კიდევ „არ-
წივის თვალს უსწორებს“ ჩვენს სინამდვილეს. მის ნაწერებში
არის „ერთგვარი ლელვა, შინაგანი სულიერი ბორჯვა, მერ-
ყეობა და შიში“. ზოგჯერ წყვილიად მოუცავს მწერლის ფიქ-
რები, ზოგჯერ კიდევ მომავლის იმედი, გამარჯვების მოლო-
დინით გამოწვეული სიხარული ისმის მის ნაწერებში. ძალიან
ხშირად ეს იმედი ბრძოლის ენით აღანთებს მის გმირებს.
ეს მსოფლმხედველობითი ორმაგობა სწორედ შიო არაგვის-
პირელის წვრილბურჯუაზიული ბუნებით აიხსნება. მიუთითებ-
და რა წვრილი ბურჯუაზიის ორმაგ ბუნებაზე, მარქსი წერ-
და: „წვრილი ბურჯუაზია შედგება „ერთი მხრისაგან“ და
„მეორე მხრისაგანაც“, ასეთია იგი თავის ეკონომიურ ინტე-
რესებში და ამიტომ ასეთივეა თავის პოლიტიკაში, თავის
რელიგიურ, მეცნიერულ და მხატვრულ შეხედულებებში.
ასეთია იგი თავის მორალში და ასეთია საერთოდ ყვე-
ლაფერში, და თუ ამავე დროს იგი... არის კიდევ ენამა-
ხვილი კაცი, იგი მალე ისწავლის თავის საკუთარი წინააღ-
მდეგობით თამაშს და მისგან გამოჰკრის დროის მიხედვით
ზოგჯერ სახიფათო, ზოგჯერ ლამაზ პარადოქსებს“. * ასე-

*. კ. მარქსი, ფილოსოფიის სილატაკე, გვ. 59, ქართული გამოცემა.

თივე აზრისა იყო წვრილბურჯუაზიულ იდეოლოგიებზე ლენინი. მარქსიზმის კლასიკოსების ეს განსაზღვრანი მთლიანად უდგება შიო არაგვისპირელის მსოფლმხედველობრივ ბუნებას.

შიო არაგვისპირელი გარდამავალი ეპოქის მწერალია. მერყევი სულიერი განწყობილება ხშირად თან სდევს ასეთ ეპოქას.

* * *

შიო არაგვისპირელი დაიბადა 1867 წელს, 4 დეკემბერს სოფ. ქარისხევში (დუშეთის რაიონი). მამა—ზაქარია დედაბრიშვილი სოფლის ღარიბი მღვდელი იყო. ხელმოკლე ზაქარიას უჭირდა ძალზე დიდი ოჯახის (ზაქარია დედაბრიშვილს 8 შვილი ჰყავდა) შენახვა. შიო არაგვისპირელმა ბავშვობა სოფელში, მთიელთა შორის გაატარა. 8 წლის შიო, მის უფროს ძმასთან ერთად, მიაბარეს დუშეთის სასულიერო სასწავლებელში, შიო არაგვისპირელი 10 წლისა იყო, როდესაც მამა გარდაეცვალა. ისედაც ხელმოკლე ოჯახისათვის ზაქარიას დაკარგვა მეტად მძიმე იყო. შიო არაგვისპირელმა მთელი თავისი ცხოვრება გაჰკირვებასა და სიღარიბეში გაატარა. მძიმე ოჯახური მდგომარეობის მიუხედავად, შიო არაგვისპირელი თავს არ ანებებს სწავლას. 1877 წელს იგი შედის თბილისის სასულიერო სასწავლებელში. 1883 წელს 16 წლის შიო ამთავრებს თბილისის სასულიერო სასწავლებელს და ეწყობა თბილისის სასულიერო სემინარიაში. სასულიერო სასწავლებელსა და სემინარიაში მეტად აუტანელი რეჟიმი იყო. აქ შიო არაგვისპირელს „მშობლიურ მფარველად“ მოეგლინენ ბარნოვი და ჯანაშვილი. „თბილისში ისეთი მასწავლებელი მხედა,—წერს შიო არაგვისპირელი,—რომელმაც მშობლიურად შემეყვარა სწავლა. ეს მასწავლებელი გახლდათ ჯერ ვ. ბარნოვი, შემდეგ მ. ჯანაშვილი“. სემინარიაში შიო არაგვისპირელი დაუახლოვდა მოწინავე, რევოლუციურად განწყობილ ახალგაზრდობას. VI კლასის მსმენელი

შიო არაგვისპირელი „მავნე მიმართულებისათვის“ სემინარიიდან გარიცხულ იქნა; შიომ დიდი წვალების შემდეგ ძლივს მოახერხა აღედგინათ იგი მოსწავლის უფლებებში. სემინარია შიო არაგვისპირელმა 1889 წელს დაამთავრა. სემინარიის დამთავრების შემდეგ იგი ერთ ხანს რკინიგზის კანტორაში მსახურობდა. უმაღლესი განათლების მისაღებად ის 1809 წელს მიემგზავრება ვარშავაში და იქ ეწყობა საბეითლო ინსტიტუტში. ვარშავაში ყოფნამ და სწავლამ გაათავართოვა ახალგაზრდა არაგვისპირელის ცოდნა და აზროვნება. პირველად აქ იგრძნო მან მწვავედ თავის უუფლებო სამშობლოს ბედი. „სამშობლოს სიყვარული ვარშავაში სიგიჟემდის მომივიდაო“, — წერს შიო. 1893 წელს ვარშავაში მოსწავლე ქართველი სტუდენტები აარსებენ „საქართველოს განთავისუფლების ლიგას“. ამ საქმეში აქტიურ მონაწილეობას იღებს შიო არაგვისპირელი. მეფის რუსეთის პოლიცია მიაგნებს ამ ორგანიზაციას და აპატიმრებენ ორგანიზაციის წევრებს, მათ შორის შიო არაგვისპირელსაც. შიოს ჯერ ვარშავის ციხეში მოათავსებენ, შემდეგ ქუთაისის საპატიმროში გადმოგზავნიან. არაგვისპირელი ციხეში 9 თვე იჯდა. დაპატიმრების წინ შიო არაგვისპირელი გაჩხრიკეს, ბევრი ხელნაწერი თან წაიღეს და სამუდამოდ დაუკარგეს მწერალს. პატიმრობიდან გამოსვლის შემდეგ შიო კვლავ დაუბრუნდა ვარშავას და 1895 წელს დაამთავრა ვარშავის საბეითლო ინსტიტუტი. საბეითლო ინსტიტუტის დამთავრებისთანავე იგი საქართველოში ბრუნდება და სამსახურს იწყებს. შიო არაგვისპირელი სიკვდილამდე ემსახურებოდა თავის ხალხს, როგორც მწერალი და როგორც ბეითალი ექიმი.

შიო არაგვისპირელი გარდაიცვალა 1926 წლის 2 იანვარს. მისი გარდაცვალების გამო გაზეთ „კომუნისტში“ ვ. კოტეტიშვილი წერდა: „სულიერ საიდუმლოებას წარმოადგენდა მისი უკანასკნელი წამები: შიოს წყურის წერა, გულიც ერჩის. დიად, გულიც ერჩის. მიუჯდება მაგიდას. ზის კარგა ხანს ჩუმად და ბოლოს მისი კალამი ხატავს მხოლოდ სამ სიტყვას, თავი აღარ მუშაობს. წამოდგება, უნდა კარში გაიაროს და შუა კიბეზე თავთან ერთად გულიც შესწყვეტს მუშაობას“...

შიო არაგვისპირელი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა მაშინ, როდესაც საქართველოში საზოგადოებრივი ცხოვრების ძველი ფორმები ძირეულად ინგრეოდა. კაპიტალიზმის აღმავლობის შედეგად ცხოვრების დინამიკა სწრაფად შეიცვალა. „თავადაზნაურულ საქართველოს კონსერვატიული ცხოვრება თანდათან კაპიტალიზმის მანქანურმა ყოფამ შეცვალა“.

ეს სრულიად ახალი პერიოდი იყო. არაგვისპირელი ამ პერიოდში იწყებს სამწერლო მოღვაწეობას (შიო არაგვისპირელის უადრესი ნაწარმოები დათარიღებულია 1889 წლით).

90-იანი წლებიდან სამოქმედო ასპარეზზე გამოდიან მწერლები, რომელთაც მხატვრულ ტილოზე გადააქვთ ახალი ეპოქის საკითხები. სამრეწველო კაპიტალიზმის ეპოქაში ლიტერატურის მთავარ საგნად იქცა კლასთა ბრძოლის საკითხი. ეს საკითხი ძირითადად შუქდება მუშათა კლასისა და გლეხობის მდგომარეობის ასახვისა და მათი ინტერესების დაცვის თვალსაზრისით.

საშა წულუკიძე, ახასიათებდა რა ამ პერიოდის მწერლობას და იცავდა რა მას დაუსაბუთებელი ბრალდებისაგან, წერდა: „ამ ბოლო დროს ხშირად გაისმის სამღურავი ჩვენს მწერლობაზე; მას დაწვრილმანებას, დაკნინებას, უშინაარსობას სწამებენ...“

გაკვრით ვიტყვი მხოლოდ, რომ ეს ბრალდება სიმართლეს მოკლებულია, მას არავითარი ფაქტიური დამტკიცება თან არ სდევს, იგი მხოლოდ საგნის უცოდინარობის მიზეზია და არა მეცნიერული კრიტიკის დასკვნა; იგი მხოლოდ თავისებური სიმპათიითა და ანტიპათიით ხელმძღვანელობს და არა ცხოვრების და მწერლობის შინაარსით, მათი შედარებით და აწონ-დაწონით. აბა გადაფურცლეთ ჩვენი ჟურნალ-გაზეთები, თუ დინჯ მიუდგომელ ცნობიერ კრიტიკას იპოვით. ყველგან და ყოველთვის საზოგადო ფრაზებს ამოიკითხავთ: ჩვენი მწერლობა დაეცა. ის აჩრდილიც აღარ არის თავის წინაპარისაო და სხვა. განა ეს ასეა? მოვიგონოთ უკანასკნელი წლების მოთხრობები ე. ნინოშვილის, მელანიასი, დ. ერისთავისა,

დ. კლდიაშვილისა, შ. არაგვისპირელისა და სხვათა, გავიხსენოთ, რა სინამდვილით და ზოგი ხელოვნურად ხატავს ცხოვრების სურათებს, რა სიმარტივით და ნათლად აღნიშნავს დიდ მნიშვნელოვან ფაქტს. ხშირად, თუ რომელიმე მოთხრობის დაფასება გვიჭირს, ამის მიზეზი თვით ჩვენ მიერ ცხოვრების უცოდინარობაა*.

ამგვარად არაგვისპირელის ეპოქა სრულიად ახალი პერიოდია საქართველოს ისტორიაში. ამ ეპოქის მწერლებისათვის ძირითად თემას წარმოადგენს მუშათა კლასისა და გლეხობის მდგომარეობის აღწერა.

90-900-იან წლებში მძიმე და აუტანელი გახდა მშრომელთა მდგომარეობა. ბატონყმობისაგან ფორმალურად განთავისუფლებული გლეხობა მრავალგზის ჩაგვრის ობიექტი გახდა. რეფორმამ გლეხობას მხოლოდ პირადი „თავისუფლება“ მინიჭა, ეკონომიურად კი ის კვლავ მიჯაჭვული იყო მემამულეთა მიწებზე. მემამულე გლეხს აიძულებდა უაღრესად მძიმე პირობებში აეღო იჯარით მიწა. ბატონყმური მეურნეობის ნაშთები, დიდძალი გადასახადები, მთავრობის მოხელეთა შენახვის ხარჯები იწვევდნენ გლეხთა მასების გაჩანაგებასა და გაღატაკებას.

კაპიტალიზმის განვითარებამ, რომელიც ამ პერიოდში განსაკუთრებით ჩქარი ნაბიჯით წავიდა წინ, ეკონომიური საფუძველები გამოაცალა თავადაზნაურობას, ეს უკანასკნელი კი უარეს სულთამხუთავად მოევიდნა გლეხობას, ვიდრე ოდესმე. გლეხობის ერთი ფენა სრულიად გაღატაკდა, მისი ნაწილი ქალაქისაკენ გაემართა და პროლეტარიატის რიგებს შეუერთდა, ხოლო ყველაზე შეძლებული გლეხობიდან (რაც სოფლად გლეხობის მცირე ნაწილს შეადგენდა), კულაკური ზედაფენა, სოფლის ბურჟუაზია გამოიყო; გლეხობის ეს ფენა მდიდრდებოდა ღარიბი და საშუალო გლეხობის ხარჯზე.

ამგვარად, ღარიბი გლეხობა თავადაზნაურობის, სოფლის ბურჟუაზიისა და მთავრობის ჩაგვრის ობიექტი გახდა. ამ გარემოებამ გლეხობაში უკმაყოფილება და პროტესტი გა-

* ს. წულუკიძე, თხზულებანი, „ახალი ტიპი ჩვენს ცხოვრებაში“.

მოიწვია. არსებული უსამართლობის მიმართ საპროტესტო განწყობილება თანდათანობით გადაიზარდა რევოლუციურ ბრძოლაში.

შ. არაგვისპირელი კარგად იცნობდა გლეხკაცის ცხოვრებას და იმ მდგომარეობასაც, რაც 90-900-იან წლებში შეიქმნა სოფლად. შ. არაგვისპირელმა ნიქიერად ასახა აუტანელი მდგომარეობა გლეხკაცისა და გვაჩვენა ის რევოლუციური განწყობილებაც, რომელმაც მოიცვა სოფლის ღარიბი გლეხობა 900-იან წლებში. „მისი სიმპატიები ყოველთვის დაჩაგრულთა მხარეზე იყო და არასოდეს არ დაუზოგნია საღებავი, რომ ემხილებინა ბატონყმობის საზიზღარი ნაშთები. ახალ ფეხადგმული ჩარჩობის ეგოიზმი და ჩინოვნიკობის კარიერიზმი; ის მოუწოდებდა ქართველ ხალხს პატიოსან შრომისაკენ და თავისუფლების სიყვარულისაკენ.*

მუშებსა და გლეხებს მეფის რუსეთში არავითარი პოლიტიკური უფლებები არ ჰქონდათ. მეფის თვითმპყრობელობა ხალხის უბოროტესი მტერი იყო.

90-იანი წლების მწერლებს და მათ შორის შიო არაგვისპირელს მხედველობიდან არ გამოუშვიათ ის პოლიტიკა, რომელსაც ატარებდა ცარიზმი კოლონიური ქვეყნების მიმართ. ქართველი ხალხის ეროვნული უუფლებობა აფიქრებდა შიო არაგვისპირელს და ამ ფაქტს მან შესაფერისი გამოხატულება მისცა.

შიო არაგვისპირელის სამწერლო გამოსვლას წინ უსწრებდა ქართველი „ნაროდნიკების“ მოღვაწეობა. ქართველი ხალხოსნები, ისევე როგორც რუსი ნაროდნიკები, შეცდომით სთვლიდნენ, რომ რუსეთში მთავარ რევოლუციურ ძალას წარმოადგენს გლეხობა, რომ მეფისა და მემამულეების ძალაუფლების დამხობა შეიძლება გლეხური „ბუნტის“ გზით. აიღე-ალებდნენ რა გლეხობას, მიაჩნდათ რა ის მთავარ რევოლუციურ ძალად, ნაროდნიკები უარყოფდნენ კაპიტალიზმის განვითარებას რუსეთში და არ აფასებდნენ მუშათა კლასის როლს. ქართველი ხალხოსნები, მსგავსად რუსი ხალხოსნები-

* ტიცთან ტაბიძე, შიო არაგვისპირელი.

სა, მხოლოდ გლახობაში ხედავდნენ რევოლუციურ ძალას, ხოტბას ასხამდნენ და აიღიალებდნენ გლახობას. ეს იყო 70—80-იანი წლები. ეს პერიოდი წინ უსწრებდა არაგვისპირელს.

90-იანი წლებისთვის ხალხოსნური მიმართულება უკვე დაშლის გზას დაადგა. გამოვიდა ახალი იდეებით აღჭურვილი „მესამე დასი“, საქართველოში მარქსიზმის პირველი მედროშე.

შიო არაგვისპირელმა განიცადა, ერთი მხრით, ხალხოსნური მოძრაობის გავლენა (90-იანი წლები), მეორე მხრით კი, მის შემოქმედებას ემჩნევა „მესამე დასის“ იდეების გავლენაც.

* * *

კაპიტალიზმისა და მისი მესაფლავის პროლეტარიატის დამკვიდრებას ჩვენს სინამდვილეში თავისი გამოხატულება უნდა ეპოვნა ლიტერატურაშიც. ეს უნდა გამომჟღავნებულიყო არა მარტო მის იდეურ, შინაარსობრივ ხასიათში, არამედ, ერთგვარად, მისი გამოხატვის ფორმებში.

რევოლუციური ტემპი და რიტმი ცვლიდა ჩვენს მდორე ფეოდალურ ყოფას და ეს ანგარიშის გაწევას მოითხოვდა მწერლისაგანაც.

შიო არაგვისპირელმა პირველად სცადა ამ მომენტის გათვალისწინება. შიო არაგვისპირელი კარგად იყენებდა მინიატურულ თხრობითს ქანრს.

საზოგადოდ, მინიატურული ქანრი თხრობისა ძლიერ გავრცელებული ფორმა იყო 1905-სა და მის მომდევნო რეაქციის წლებში.

ამას თავის მიზეზი ჰქონდა.

რეაქციის სასტიკ პირობებში, როდესაც მეფის რეჟიმი ყოველგვარ პროგრესულ და რევოლუციურ აზრს სდევნიდა და სამართლიანი აზრის წინააღმდეგ სახრჩობელა იყო ამართული, საჭირო შეიქმნა ეზოპეს ენა, ალეგორიული ფორმა მოწინავე რევოლუციური იდეების გადმოსაცემად და გასავრცელებლად.

მცირე ლექსიკური მოცულობის მასალაში დიდი და ღრმა იდეის მოცემა გარეგნულად ალევგორიულ, სიმბოლურ ფორმაში— ასეთი იყო ამოცანა, რომელიც იღვა მოწინავე მწერლის წინაშე რეაქციის პერიოდში. რევოლუციურ-პროგრესიულ იდეას ეზოპეს ენა ფარავდა მეფის ცენზურის თვალში. აქედან ცხადია, რომ ერთი ძირითადი დამახასიათებელი თვისება ამ პერიოდის მინიატურებისა იყო პოლიტიკური სიმახვილე, იდეური აქტუალობა; რევოლუციურ-დემოკრატიულმა მწერლებმა ამ ჟანრს მტკიცედ მოჰკიდეს ხელი. საკმარისია აქ დავასახელოთ იროდიონ ევლოშვილისა და ჯოლა ლომთათიძის საუკეთესო მინიატურული ნაწარმოებნი. ევლოშვილის „გველების ყორე“, „დანგრეული კერპი“, ჯოლას „აქრეთ სინათლე, აქრეთ, მე მაინც ავანთებ მას“ და სხვ. როდესაც ევლოშვილისა და ჯოლას პროზის ამ საუკეთესო ნიმუშებს ვკითხულობთ, ვგრძნობთ, თუ რა ძლიერი, მახვილი და მოხერხებული ლიტერატურული ფორმა იყო მინიატურული თხრობითი ჟანრი ასეთ პოლიტიკურ ვითარებაში.

შიო არაგვისპირელის მინიატურებსაც აქვს ის პოლიტიკური სიმახვილე, რომელიც დამახასიათებელია იროდიონ ევლოშვილისა და ჯოლას დასახელებულ ნაწარმოებებისათვის. ამ მხრივ საინტერესოა შიო არაგვისპირელის ეტიუდი „სამარცხენო ბოძან“.

ამ ნაწარმოებით არაგვისპირელი გვაძლევს ჩამოხრჩობა მისჯილი პოლიტიკური მოღვაწის სულიერ განწყობილებას. უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლი რევოლუციონერის შეუდრეკელი ხასიათია დახატული ამ ეტიუდის გმირ ჩიტა გუთნიაშვილის სახით.

გათენებისას, როდესაც ქვეყნის სულდგმულნი დღის სინათლის შესაგებებლად ემზადებიან, ქალაქის განაპირას „ჩიტა გუთნიაშვილი მიჰყუდებოდა სამარცხენო ბოძს და თავდავიწყებით, აღგზნებით ცას შესცქეროდა... იმის წინ კი რამდენიმე თოფებიანი სალდათი, უფროსი სალდათებისა, ბრალმდებელი, მკურნალი და მოძღვარი სდგანან... სამარცხენო ბოძის გვერდით მიწას პირი დაუღია... თითქოს ამბობდეს: მხოლოდ ერთს მივიღებო...“

ბრალმდებელმა განაჩენი წაიკითხა, მკურნალმა დაასკვნა,— განაჩენის აღსრულებაში მოყვანას არა დაუშლის რაო; მხოლოდ მოძღვარი ჯვარით წარსდგა მის წინ და ლოცვები წაუკითხა“.

ჩიტა მხოლოდ ახლა გამოერკვა, „ყველა...“ უნებურად გაიფიქრა ჩიტამ... „ახლა იღვიძებს სამხიარულოდ... მეც გამაღვიძეს მხოლოდ იმისათვის, რომ სამუდამოდ დამაშორონ“...

რევოლუციონერი მაინც არ დრკება სასტიკი განაჩენის წინაშე. მღვდლის თხოვნაზე: „შვილო, შეინანიე შენი ცოდვანი და გაგიაღვილდება უფლისა ჩვენისა წინაშე წარდგომა“. ჩიტა პირისპირ მიახლის: „თუ რამ ჩავიდინე, მხოლოდ ამაჲ ჩამადენინეს, მე კი...“ და დასახერხებულად გამზადებულმა გუთნიანიშვილმა თავის უკანასკნელი სურვილი ხმამაღლა ამცნო ხალხს.

„მაშ, ძმებო,—ხმამაღლივ მიმართა იქ მდგომთ:—მოდიოთ და ერთად წავიდეთ, მეც თქვენ გვერდში ამოგიდგებით და იარაღით ხელში ხალხის მტერს დავეცნეთ...“

ასეთია ამ საინტერესო ეტიუდის ძირითადი აზრი. ამ ნაწარმოებს ასეთ შენიშვნას უკეთებს თ. ს. (თედო სახოკია,— ს. ჯ.): „ეს მოთხრობა დაიბეჭდა ყოველკვირეულ გაზეთ „მზეში“ (1908 წ. ოქტომბრის 6-ის ნომერში). შიო არაგვისპირელს თავის ხელით აქვს მიწერილი გაზეთიდან ამონაჭერზე: „ეს დაწერილია ჯორჯიაშვილის დახვრეტის დროს; ამის გამო გაზეთი დახურეს“.

დასახელებული ეტიუდის მსგავსი მოწინავე იდეების შემცველი სხვა ნაწარმოებიც აქვს არაგვისპირელს. ასეთ ნაწარმოებად შეგვიძლია დავასახელოთ „საშინელება“.

რეაქციის სუსხიანი წლებია აღწერილი არაგვისპირელის დასახელებულ ნაწარმოებში. უდანაშაულო მიხა ამ ნაწარმოების მთავარი გმირია. მიხა „ქიანკველასაც კი ფეხს მოარიდებს, რომ არ გაჰყლიტოს.“ ამ კაცს თოფი ხელში აუღია, და ახლა „სისხლის მსმელი ყაჩაღის“ სახელი აქვს გავარდნილი. ეს „დიდებული ღმობიერებით აღვისილი“ გმირი მოუთხრობს თავის თავგადასაყალს ამ ნაწარმოების მეორე

გმირს, ცხოვრებაში ჩახედულ სანდროს. იმდენად შემადრწუნებელია ამ „უბრალო“ ადამიანის ბიოგრაფია. რომ მისი გავლენით, ძლიერი შთაბეჭდილებით სანდრო ავად გახდებოდა და მას ექიმი ძლივს მოაბრუნებს.

რა იყო მიხას ბიოგრაფიაში ისეთი საშინელი, რომელმაც ასეთ მდგომარეობამდე მიიყვანა სანდრო? მწერლის აზრით, ამ „საშინელებათა“ მთელი მიზეზი არსებული ხელისუფლების უსამართლო მოქმედებაში უნდა ვეძიოთ. აქ, მართლაც, თქვენ გრძნობთ რეაქციის სუსხიანი დღეების მწარე სინამდვილეს, როდესაც დაქერა, გასამართლება და ჩამოხრჩობა... ან გზაში მოკვლა — „ჩვეულებრივი“ ამბავი იყო.

„განა უსამართლობად არ მიგაჩნიათ?... — განაგრძო ჩემმა ვეფხვმა: — ვინც მოხვდებათ, დაიქერენ... წაიყვანენ, გზაში მოკლავენ სხვადასხვა მიზეზების გამო, ან თუ სამართლის კარამდის მიიყვანოს, სახრჩობელას ვერ აცდება...“

„ეგ უსამართლობა წარმავალია...“ განაგრძო ალექსიმ. — დამერწმუნე, ჩქარა სამართალი გაიმარჯვებს“.

შიო არაგვისპირელი მოხერხებულად შიფრავს დიდი პოლიტიკური შინაარსის ამბავს, ძალიან ხშირად აზრს მრავალწერტილებით ამთავრებს, და ასე ოსტატურად, „უბრალო“ შემთხვევის ფონზე შლის რეაქციის შავბნელი ეპოქის მთელ საშინელებას.

ალეგორიული ხასიათისაა შიო არაგვისპირელის „მიჯაჭული ამირანი“. უდიდესი პოეტური ოსტატობით არის შესრულებული ეს ნაწარმოები. ცნობილ ხალხურ თქმულებათზე ავტორი მოხერხებულად შლის პოლიტიკურ თემას, 1905 წლის რევოლუციისა და მისი დამარცხების მიზეზების შესახებ. თავისუფლების სიმბოლოდ აქ წარმოდგენილია უცხო ფრინველი და ამირანი.

ავმა სულმა ამირანი პალოზე მიაჯაჭვა მარჯვენა ფეხითა და მარცხენა ხელით. ამირანი იბრძვის თავის ისაშვებად. ახმაურდა არემარე, გაზაფხულის სუნით გაიჟლინთა ჰაერიც. „რაც დრო გადის და ამირანი მედგრად მუშაობს, პალო თანდათან უფრო ლაყლაყებს, ამოძრობაზეა. ოჰ, ნეტარება... ამირანი ამოაძრობს პალოს, შემუხსრავს ფეხის ბორკილსაც და უფსკრულში გადაუძახებს.

„მაშინ...“

„მაშინ განთავისუფლებული ამირანი ააყვავებს ქვეყანას... მაშინ დადგება დაუსრულებელი ბედნიერება“. პალოზე უცხო ფრინველი წამოსკუპდება და მოსთქვამს თავის ჰანგებს, თავისუფლების დიდებას. ფინიაც ეხვეწება ამირანს დროზე გაინძრეს და სამოძრაოს პალო, მაგრამ ამირანს არ ეწმის ფინიას მუდარა, მან დაიგვიანა, ამით ისარგებლა ავმა სულმა და პალო უფრო ძლიერად ჩაარქო.

„ჯერ განთიადი არ გათავებულყო, რო უკვე შემოღამდა და გაზაფხულის მაგივრად ზამთრის სუნით გაიჟლინთა ჰაერი...“ ამირანი გამოერკვა და მიხვდა, რომ შეცდომა ჩაიდინა.

მწერალი იმედს მაინც არ კარგავს. „ამირანი ისევ აპირებს მხნედ შეუდგეს თავის განთავისუფლებას და, მგონი, ისეთი შეუწყნარებელი შეცდომა კვლავ აღარ ჩაიდინოს...“

შიო არაგვისპირელს სჯერა, რომ რეაქციის სუსხიანი დღეები ვერ ჩაკლავს გაზაფხულს, თავისუფლების მხე მალე ამოვა. ამ რწმენას ამოიკითხავდა ყველა ამ ალეგორიული ხასიათის ეტიუდში და, ამდენად, მას უდიდესი რევოლუციური მნიშვნელობა ჰქონდა იმ შავბნელ ეპოქაში.

ასეთივე ალეგორიული ხასიათისაა შიო არაგვისპირელის—„... და აჰა, მოვიდა მოგვი აღმოსავლეთით“, რომელსაც მწერალი ზღაპარს უწოდებს. გარეგნულად ზღაპრის ფორმაში მოცემულია პოლიტიკური ხასიათის მახვილი შინაარსი.

ამ ზღაპრის დედააზრი მოკლედ ასეთია:

იყო მეფე ძლიერი და მდიდარი. მეფის წინაშე ძრწოდნენ ქვეშევრდომნი; უმოწყალოდ იჩაგრებოდა ერი, მონანი მრისხანე მეფისა. გაღატაკდა ერი. ამ მდგომარეობაში მშრომელ ხალხს მოეწვინა მოგვი, რომელმაც იქადაგა:

„... უგუნურო სოფელო...—აღიმაღლა ხმა მოგვმა მოსულმა აღმოსავლეთით, როდესაც მიმოვლო სოფლები...—ხსნა შენ ხელთ არის... გაანებე თავი ვედრებასა და მუხლმოდრეკით სიარულს... გაანძრიე ხელი, ფეხი და ამოქოლე ჭაობი იგი, რომელიც ტყლირპს გისიებს, გაძინებს და სისხლს გიშხამავს...“

... და გაუგონა სოფელმა მოგესა მოსულსა აღმოსავლეთით და მიესია ქაობს... ბევრგან ამოქოლა, ამოაშრო ქაობი და, აჰა სასწაულთ მოქმედება!.. უეცრივ აყვავდა სოფელი... ერს დაუცხრა ტყლირპი, გაეწმინდა სისხლი, სუფთა ჰაერით მორწყული... და იგემა ერმა თავისუფალ ჰაერით სუნთქვა და მედგრად გული ამოდრავდა საბრძოლველად... მხოლოდ ქაობიდან გამორიყული გველ-ბაყაყი ასისინდ-აყიყინდა.

„—ქვეყანა ილუპება, ქვეყანაო“..

დაიკირეს მოგვი და მეფეს წარუდგინეს. მეფე პირისპირ ამხილა მოგვმა: თქვენ სასახლეს ნიადაგი მორღვეული აქვს დღეს თუ ხვალ იგი დაინგრევა და თქვენც დაილუპებითო. მეფე განრისხდა. უნდოდა სიკვდილით დაესაჯა „ეშმაკეული იგი“, მაგრამ ის ხელიდან გაუსხლტა მეფის მსახურთ.

„ერის ცრემლმა და სისხლმა მორწყო დედამიწა. ამოქოლილ ქაობებში ჩანაკადულდა ერის სისხლი და ცრემლი და დაფარა ლოდი... გველ-ბაყაყს გაუხარდა სინოტიოთი ავსება... ჩაყურყუმელავდა შიგ... ეძებდა თავის ბუდეს, მაგრამ უმანკოთა წმინდა ცრემლმა და სისხლმა ძლიერის ტალღით შორსა ჰტყორცნა.“

— გველ-ბაყაყი იმისთვის არის გველ-ბაყაყი, რომ ყოველ გარემოებაში და ყოველ ჰაერში თუ ფუფუნებით არა, მაინც რიჯიანად მოიმაძღროს კუჭი...“

ხალხი დამარცხდა, მაგრამ ეს დამარცხება დროებითი იყო. ხალხი და მეფეც „ყველგან ჰგრძნობდა მოგვის იქ ყოფნას და მის ფეხის ხმას...“

საინტერესოა ამ ზღაპრის ფინალი.

„აქ უნდა შევწყვიტო ზღაპარიო...“—სთქვა ნაქურმიშვილმა და მეც ძალაუნებურად უნდა შევწყვიტო... თუ ოდესმე განაგრძო თავის ზღაპარი ნაქურმიშვილმა აღმოსავლეთით მოსულ მოგვზე, მეც მოგიტხრობთ...“

ეს ნაწარმოები დათარიღებულია 1908 წლის 13 მაისით. ეს იყო რეაქციის სუსხიანი პერიოდი, ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, „დაწყველილი ეამი ეზოპური სიტყვებისა, ლიტერატურული მონობისა, მონური ენისა, იდეური ყმობისა“,

როდესაც „ყოველი ცოცხალი და ახალი იხრჩობოდა“. * ასეთ პირობებში მწერალს პირდაპირ და აშკარად არ შეეძლო ეთქვა თავისი სიტყვა რევოლუციის შესახებ და ამიტომ ის იძულებული იყო ზღაპრის ფორმაში, შეკუმშულად, მრავალწერტილის ქვეშ გამოემქლავნებინა თავისი უკმაყოფილება რეაქციის მიმართ, ჩაენერგა ხალხისათვის მომავლის რწმენა, თავისუფლების გამარჯვების იდეა. ამ ალეგორიული ფორმითაც ხალხისთვის გასაგები იყო მწერლის განწყობილება.

პოლიტიკურ-ალეგორიული ხასიათისაა არაგვისპირელის „მაცდურიც“. შეიძლებოდა სხვა მაგალითების მოყვანაც, მაგრამ საილუსტრაციოდ ესეც საკმარისია. ფაქტები ნათლად მიუთითებენ არაგვისპირელის რევოლუციურ განწყობილებაზე დასახელებულ ნაწარმოებებში.

შიო არაგვისპირელი 900-იან წლებში, რევოლუციური აღმავლობის წლებში, მიემხრო რევოლუციას და ეს რევოლუციური განწყობილება მწერლობაშიც გამომქლავნდა. პერიოდულად, 1900-1908 წლებში დაწერილ მინიატურულ ნაწარმოებებში შიო არაგვისპირელი ძირითადად მახვილად სვამს პოლიტიკურ საკითხებს, რევოლუციის საკითხებს. არაგვისპირელის შემოქმედება ამ პერიოდში რევოლუციის სამსახურში ჩადგა, იგი რევოლუციურ-დემოკრატიული მწერლის გზას დაადგა.

მაგრამ შიო არაგვისპირელი მოღვაწეობის მთელ მანძილზე ვერ შერჩა რევოლუციურ-დემოკრატიული მწერლის გზას, რევოლუციური განწყობილებანი ვერ აიყვანა თანამიმდევარი რევოლუციონერის შეგნებამდე.

საზოგადოდ უიმედობის, გულგატეხილობის, მოღლილობისა და სევდის მოტივები მკაფიოდ გამომქლავნდა შიო არაგვისპირელის შემოქმედებაში.

ლიტერატურის ისტორია იცნობს პოეტებს, რომლებიც ცხოვრების მშფოთვარე ტალღების მიღმა იდგნენ, ოლიმპურ სიმშვიდეში თვლემდნენ მაშინ, როდესაც ახლად ამოვარდნილი ქარიშხალი მრისხანედ ემუქრებოდა ჟანგმოდებულ ცხოვრებას.

* ლენინი, პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა.

ლიტერატურის ისტორია ბლომად ითვლის მებრძოლი მწერლების სახელებსაც, რომლებიც თვალს უსწორებდნენ სინამდვილეს, მღელვარე ცხოვრების შუაგულში ტრიალებდნენ, აბობოქრებული სინამდვილის ცენტრში იდგნენ და უშუალო მონაწილეობას იღებდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითადი საკითხების გადაწყვეტაში. მათ ნაწერებში განახლებული ცხოვრების ძლიერი ხმა ისმოდა.

დაბოლოს, ლიტერატურის ისტორიამ იცის ისეთი მწერლებიც, რომლებიც ძნელია გადაჭრით მიაკუთვნო მწერალთა პირველ ან მეორე კატეგორიას. ასეთი მწერლები წვრილბურჟუაზიულ მწერლებად იწოდებიან. მერყევი სულიერი განწყობილებანი, როგორც ეს მარქსმა და ლენინმა გენიალურად განსაზღვრეს, საერთოდ დამახასიათებელია წვრილბურჟუაზიული იდეოლოგიებისათვის.

შიო არაგვისპირელი მწერალთა ამ მესამე ჯგუფს ეკუთვნის.

* * *

შიო არაგვისპირელი ნიჭიერი ნოველისტია. ნოველა პროზის ერთი ურთულესი ფორმათაგანია. თხრობის დიდი ეკონომია, მეტყველების კონდენსაცია, ფაბულის სიმკვეთრე, სიუჟეტის სადა კომპოზიცია, მცირე ლექსიკურ მასალაში დიდი შინაარსის მოცემა—ნოველის აუცილებელი თვისებებია. რაც დამახასიათებელია ნოველისათვის, ის ხშირად ახასიათებს ეტიუდსაც, ესკიზსაც და სურათსაც. ამიტომ ძნელია ზუსტად გამოიჯნო ეს ფორმები ერთი მეორისაგან.

ლიტერატურის თეორიაში, სახელმძღვანელოებში, ენციკლოპედიებში ნოველა განმარტებულია როგორც მცირე ფორმის თხრობითი მხატვრული ნაწარმოების ერთ-ერთი სახე. ნოველას პირველად იტალიაში მოუპოვებია განსაზღვრული მნიშვნელობა. მე-13 საუკუნის იტალია იცნობს პატარა მოთხრობების კრებულს *Gento novelle antiche*. ნოველა, როგორც ლიტერატურული ჟანრი, დაამკვიდრა და განამტკიცა მწერლობაში ბოკაჩომ. ბოკაჩოს „დეკამერონი“ ნოველები-აგან შედგება. „დეკამერონის“ გადათარგმნასა და გავრცე-

ლებასთან დაკავშირებით ვრცელდებოდა ეს ქანრი სხვა ქვეყნებშიც.

ამგვარად, ნოველას საკმაოდ დიდი ისტორიული წარსული აქვს; მაგრამ მისი ლიტერატურული სათავე ძველ საბერძნეთამდე მაინც ვერ აღწევს. ნოველა უფრო ახალგაზრდაა, ვიდრე ეპოსის ან ლირიკის რომელიმე სხვა დარგი, ოღონდ ერთი პირობით: თუ ქანრების ისტორიას ოფიციალურ ლიტერატურულ ფორმათა ისტორიით განვსაზღვრავდით, თუ არა და, სხვა მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ ნოველის ფორმა ადრე გვხვდება ხალხურ შემოქმედებაში, ვიდრე მას ბოკაჩო მოუპოვებდა ოფიციალურ ლიტერატურულ ფორმას. „დეკამერონის“ ავტორმა ხალხური თქმულებებიდან „ისესხა“ ნოველის ფორმა, დაუმკვიდრა მას ლიტერატურაში. მოქალაქეობრივი უფლება და უჩვენა განვითარების გზა.

ნოველა ხალხური შემოქმედებიდან იღებს სათავეს. ეს რომ ასეა, ამას ჩვენი ქვეყნის მაგალითიც უნდა ამტკიცებდეს. საბა-სულხან ორბელიანის იგავ-არაკები უთუოდ არის თხრობის მცირე ფორმის შესანიშნავი ნიმუშები. ცნობილია, რომ სულხან-საბა ორბელიანს თავისი იგავ-არაკების სიუჟეტად ხალხური თქმულებები გამოუყენებია. ამას ამტკიცებს ძველ ხალხურ შემოქმედებაში შემონახული ზოგიერთი იგავ-არაკი. ალბათ საბა-სულხან ორბელიანი ასევე იყენებდა იმ დროს ხალხში გავრცელებულ თხრობათა მცირე ფორმასაც—ნოველასაც. ეს პრობლემაა, მისი უტყუარად დამტკიცება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც იმ პერიოდის ხალხური შემოქმედების ნიმუშები იქნება აღდგენილი.

როგორც ვთქვით, ნოველის განმარტების დროს ამ ცნების ქვეშ გულისხმობენ პატარა ფორმის თხრობითს ნაწარმოებს. ეს განმარტება არსებითად სწორია, მაგრამ სრული არ არის.

ნოველას, როგორც ფორმას, იყენებენ სხვადასხვა ეპოქისა და სხვადასხვა მიმართულების მწერლები: რომანტიკოსები, რეალისტები, სიმბოლისტები და სხვანი. ასე, მაგალითად, განა შეიძლება ერთი იდეური პოზიცია ჰქონდეთ ბო-

კაჩოს, მოპასანის, ჩეხოვისა და გორკის, არაგვისპირელისა და ს. ცირეკიძის ნოველებს? რასაკვირველია, დასახელებულ ნოველისტებს შორის დიდი იდეური სხვაობაა.

იმ გარემოებიდან, რომ ამ ქანოს იყენებს სხვადასხვა ეპოქა, სხვადასხვა კლასის მწერალი, ის გამომდინარეობს, რომ სხვადასხვა ეპოქისა და სხვადასხვა იდეური პოზიციის მწერლის ნოველაში სხვადასხვაგვარია ადამიანის ხასიათის გამოსახვის პრინციპი. ნაწარმოების იდეა. ფორმის მხრივ კი ამგვარი განსხვავება არ არის.

ნოველა, ისევე როგორც ყოველი ლიტერატურული ფორმა, ისევე როგორც რომანი, მოთხრობა, პოემა ემსახურება სხვადასხვა იდეურ შინაარსს, სოციალური ხასიათის მოვლენებს. ნოველის შეკუმშულ ფორმაში მოცემულია საზოგადოებრივი ურთიერთობის დამახასიათებელი მხარე, მაგრამ ნოველის კომპოზიცია არ ითმენს საზოგადოებრივი ცხოვრების სურათის ფართო გაშლას. ნოველაში გმირის ცხოვრების ერთი რომელიმე ხასიათი, მომენტი (მხარე) არის აღებული და ეს მოცემულია შეკუმშული სახით.

საზოგადოდ ესა თუ ის ეპიკური ქანრი ფაბულისა და სიუჟეტის ურთიერთობის წესრიგზე მოყვანისაგან წარმოდგება და სხვაობაც ამის მიხედვით მყარდება. ნოველა სიუჟეტური ნაწარმოებია. მაგრამ იმის გამო, რომ აქ ერთი ეპიზოდური მოვლენაა აღებული, მისი ერთი დამახასიათებელი მხარე — სიუჟეტიც შედარებით მარტივია. სიტუაციების რკალი, ცალკეული ინტრიგები და ეპიზოდები, სხვადასხვა ხასიათის შექმნა აქ პირდაპირ და შეკუმშული სახით არის მოცემული. აქედან წარმოდგება ნოველის ერთი აუცილებელი თვისებაც: სიტუაციის ერთიანობა, სიუჟეტის განსაზღვრულობა და ეპიზოდურობა, მოულოდნელი ფინალი.

ნოველისტების ძირითადი მიზანია ერთიანი, მკვეთრი ხასიათის შექმნა, ამიტომ ნოველის პერსონაჟები იმთავითვე განსაზღვრულია მათი შინაგანი ბუნებით.

ნოველა ვერ იძლევა რომანისა და მოთხრობის მსგავსად პერსონაჟების ხასიათის ზრდას, მათს განვითარებას. იგი გვაძლევს „მზა პერსონაჟებს“, რომელნიც მაშინვე ამქლავნებენ

თავიანთ ხასიათს. ნოველაში ნაჩვენებია გმირი თავისი გამ-
ხადებული ბუნებით, იმგვარად, როგორც არის თავად ის,
მაგრამ არ არის ახსნილი, თუ საიდან და როგორ დაიბადა.
მასში ეს ხასიათი, როგორ ჩამოყალიბდა იგი. ნოველის
ხასიათი ვერ ითმენს სიუჟეტის, ასევე ხასიათის, ფართოდ
გაშლას. აქედან წარმოდგება ნოველისათვის სიტყვიერ მასა-
ლათა შეკუმშვის საჭიროება.

თუ ნოველის შესახებ ყველა ზემოთქმულს გავითვალისწი-
ნებთ, მაშინ შეიძლება მივიღოთ შემდეგი განმარტება: ნოველა
არის მცირე ფორმის ეპიკური ჟანრი, რომელშიც ასახულია
ცალკე კონკრეტული რომელიმე საინტერესო მხარე მოვლენისა,
მოულოდნელი ფინალით და ორიგინალური გადაწყვეტით.

შიო არაგვისპირელის შემოქმედება ლიტერატურულ-ფორ-
მალური ძიებით დაიწყო. ეძებდა რა ახალ ფორმას, შიო არა-
გვისპირელი, მოპასანისა და ჩეხოვის მსგავსად, ძირითადად
ნოველას მიმართავდა. მისი შემოქმედებითი სტიქია ნოველის
ფორმაში ვლინდება.

შიო არაგვისპირელი თავის ნაწერებში ცდილობდა გად-
მოეცა მოვლენის რომელიმე ერთი მხარე, მრავალფეროვანი
სინამდვილე არაგვისპირელის აპერცეფციაში დაშლილია ცალ-
კე ეპიზოდებად. მწერალს აინტერესებს საგნის ცალკეული
ელემენტი. არაგვისპირელისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა
აქვს მოთხრობაში საგნის თუ მოვლენის დამახასიათებელ
ეპიზოდს, ფოკუსში მოქცეულ შემთხვევებს. ამითაა გამოწვე-
ული, რომ არაგვისპირელს შესაძლებლობა აქვს მოთხრობის
მცირე ფორმაში „ჩაატოს ამბავი“.

არაგვისპირელის მოთხრობა მცირე მოცულობისაა. თუ
მხატვრული სიტყვის ისეთი გამოჩენილი წარმომადგენლები,
როგორც იყვნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გიორგი
წერეთელი, ალექსანდრე ყაზბეგი, თავიანთ ნაწარმოებებში
იძლეოდნენ ფართო, მრავალწახნაგოვან სინამდვილეს, ამ სი-
ნამდვილეში მოქმედი ადამიანების დაწვრილებითს დახასია-
თებას, შიო არაგვისპირელი იქცევა პირიქით; მინიატურული
ჟანრი მოთხრობისა, რომელიც არაგვისპირელმა აირჩია, აი-
ძულებს მას მოთავსდეს განსაზღვრულ ფარგლებში: მინიატურ-

რული ფორმა თხრობისა არაგვისპირელს უკარნახებს ყურადღება გადაიტანოს მომენტზე, ცალკე შემთხვევაზე, რომელსაც მწერალი აღწერს.

შიო არაგვისპირელის ნაწარმოებებში მომხიბლავ ეფექტს ქმნის ერთი ძირითადი ფსიქოლოგიური სულისკვეთება, რომელიც აღებული აქვს მწერალს. ეს სულის კვეთება ხასიათი ფსიქოლოგიაში, გმირის შინაგან ბუნებაში მოძებნილია იმთავითვე, ასე რომ აქ „ძიებას“ ადგილი არა აქვს. ესეც აძლევს არაგვისპირელს შესაძლებლობას მცირე ფორმაში დიდი „ამბავი ჩაატოს“.

შიო არაგვისპირელის ნოველებში მცირეა მოქმედ პირთა რიცხვი: ნოველებში ორი სამი პერსონაჟია წარმოდგენილი. აქაც, იმის ნაცვლად, რომ მოგვცეს ამ მცირერიცხოვან პერსონაჟთა ვრცელი დახასიათება, ე. წ. ბიოგრაფია ადამიანებისა, იგი იღებს გმირის ცხოვრების ერთ რომელიმე მომენტს, ერთ შტრიხს, პერსონაჟის მთლიანი ცხოვრების ერთ ნატეხს და ამის მიხედვით მოგვითხრობს.

აქედან წარმოდგება არაგვისპირელის ნაწარმოებთა სიტყვიერი მასალის უაღრესი ეკონომია. აქ ყოველი სიტყვა თითქოს მათემატიკური წესით წინასწარ გამოანგარიშებულია და არაფრის გამოკლება ან მიმატება არ შეიძლება. ცხადია, ამ მიზნის მისაღწევად ენის ღრმა ცოდნა და დახვეწილი სტილი იყო საჭირო.

როგორც ვთქვით, შიო არაგვისპირელის ნაწარმოებთა მიზანია აღძრას მკითხველში გარკვეული სულისკვეთება, ისე რომ მკითხველმა სინამდვილეში ეძიოს ამის მიზეზები. ნაწარმოებში ასეთი ობიექტური მიზეზები მხოლოდ იგულისხმება. არაგვისპირელი აჩვენებს გმირების შინაგან მდგომარეობას მოცემულ მომენტში, მაგრამ არ ახდენს ამ მდგომარეობის ანალიზს. არაგვისპირელისათვის ანალიზის, მსჯელობის მომენტი გამორიცხებულია. აღწერილი ფაქტით იგი იძლევა პერსონაჟის განცდას, მაგრამ არაგვისპირელს უკვე არ აინტერესებს, როგორ ჩამოყალიბდნენ ეს განცდანი.

ყოველივე ამის გამო შიო არაგვისპირელის ნაწარმოებნი შეკუმშული შინაარსისანი არიან, შექმნილი უდიდესი მხატ-

ერული ქედადობით, მდიდარი ემოციებითა და სახეებით, რასაც არაგვისპირელი აღწევს ყოფის, ოჯახის, ურთიერთობისა და ადამიანის ფსიქოლოგიის ღრმა ცოდნით.

არაგვისპირელის ნოველები, შეეხებიან რა მოვლენათა ცალკე ეპიზოდებს, არ მოგვითხრობენ რა პერსონაჟის მრავალმხრივ ხასიათზე, ვითარდებიან სწორხაზობრივად, სწრაფად, ყოველგვარი გადახვევებისაგან თავისუფლად. აქედან წარმოდგება არაგვისპირელის ნაწარმოებთა ძლიერი დინამიკურობა, პერსონაჟის, დიალოგის, პეიზაჟის და კომპოზიციის სხვა ელემენტების თავისებურება.

ამრიგად, შიო არაგვისპირელის პატარა მოთხრობებში დაცულია ნოველისათვის დამახასიათებელი ძირითადი მოთხოვნილებანი: სიუჟეტის სიმკვეთრე, მასალათა ქედადობა, მოქმედ პირთა სიმცირე, პერსონაჟების ერთი ტიპიური ხასიათისათვის ხაზგასმა, თხრობის მცირე ეპიზოდური ფორმა და სხვა.

ასეთია არაგვისპირელის „პატარა მოთხრობების“ ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები. ამ ნიშნებს არაგვისპირელი ზუსტად იცავს.

საილუსტრაციოდ შევჩერდეთ რამდენიმე ნაწარმოებზე:

გოგია მეწისქვილე გულხელდაკრეფილი მივიდა წისქვილის ქვასთან და ალას კვირისტავებით მიეყრდნო, გულდასმით გამოჩხრიკა წისქვილის ყველა კუთხე, დაათვალიერა სასიმიინდე კოდი, კასრი და ხოკრი, მაგრამ ამაოდ. „რას ეძებდა გოგია ასე მოუსვენრად? ფქვილს, ფქვილს და ფქვილს“.

გუშინ უკანასკნელი ნახევარი თეფში ფქვილი ხმიადად გამოაცხო და გუშინვე შექამა. მას აქეთ მშიერია და ვერსად იშოვა ერთი ბეწო ფქვილი, „რომ დამშეული კუჭი გაიძლოს“.

იმედდაკარგული გოგია წარსულის მოგონებამ გაიტაცა. ესმის გოგიას: დატვირთული ურემი ქრიალით მოადგა კარს, აგერ ტომრების შემოტანას უშველა და მინდის აღება დაიწყო, და მერე რამდენ მინდს იღებს! ისმის წისქვილის სარეკელას საყვარელი ხმა. გოგია ისე გაიტაცა მირაჟმა, რომ წისქვილში შემოსული კაცი ვერ შეაჩნია. მერე მათ შორის ასეთი დიალოგი იმართება:

„ — ჰა!.. საფეკვაფი მოიტანე?!

— ჰო...

— გვიან მოგერგება ჯერი—სხვაგან წაიღე, ვერა ხედავ: რამოდენა საფეკვაფია აქ“.

წარსულის მოგონება ასე დამაჯერებელ ფაქტად იქცა გოგონასათვის. იგი გამოფხიზლდება და ეს ყველაფერი მოჩვენებად იქცევა. ყველაფერი ეს ლამაზი მირაჟი იყო წარსულისა. სინამდვილეში კი მას ხელთ შერჩა ნაცნობი კაცი ნახევარი კოდი ფქვილით. გოგონა ვერ იღებს ამ ნახევარ კოდის მინდს: სირცხვილით როგორ სთხოვოს მინდი ნახევარ კოდი ხორბლის გამოფქვაში.

ახმაურდა წისქვილი. გოგიამ ველარ გაუძლო სარეკელის საყვარელ ხმას და გარეთ გავარდა. მაგრამ გარეთ შიმშილი აღარ აყენებს; შიმშილი და სირცხვილი ებრძვის გოგონაში ერთმანეთს. ბოლოს შიმშილი თავისას გაიტანს და გოგონა შემოვა წისქვილში, რომ ცოტა ფქვილი სთხოვოს მოხუცს.

„ის თავს წაადგა ბუხრის პირას მწოლარეს და დაიწყო აკანკალებულის ხმით:

— შენი ჰირიმე, გეგე...“

მაგრამ ნახა, გეგეს ჩასძინებოდა და ახლა განზრახვა იმით შესცვალა, რომ ჩუმად მოეპარა ერთი თეფში ფქვილი, შეასრულა კიდეც ეს განზრახვა. როდესაც მოპარულ თეფშ ფქვილს დახედა, ეცოტავა და გადაწყვიტა, მოეკლა გეგე და ფქვილი სულ წაეღო. და აი, „თვალეზანთებული და ნაჯახმართული თავს წაადგა მძინარეს... რომ ამ დროს იღუმაღმა ხმამ ჩასჩურჩულა ყურში: „აბა, შენი ჰირიმე გოგი. დროით დააბრუნე, თორემ შინ სახლობა სიმშლით მიწივის“.

ამ ხმაზე გოგიას მკლავი მოუღუნდა და ნაჯახის მაგივრად, ფეხი ოდნავ წაჭკრა თავში.

— აღე, ჩამოვიდა...—ფეხის წაკვრასთან ერთად აღელვებული ხმით დასძახა ზევიდან და საჩქაროდ გარეთ გავარდა“.

ასეთია შინაარსი „აღე, ჩამოვიდას“, რომელსაც ნოველის ყველა ნიშანი აქვს.

აქ ჩვენ განგებ შევჩერდით ვრცლად ამ ნოველის შინაარსზე.

დასახელებული ნოველის სიუჟეტი მარტივია, აღებულია ერთი მომენტი—მეწისქვილე გოგიას ფსიქოლოგიური განცდა ფქვილის უქონლობით გამოწვეული შიმშილის გამო—ეს ერთი.

მეორე, სიტყვიერი მასალა უაღრესად შეკუმშულია, აქ არც ერთი ზედმეტი აღვლილი არაა. ასეთია ამ ნოველის ლექსიკა.

მესამე, ნოველის პერსონაჟების რაოდენობა მინიმუმამდეა დაყვანილი, სულ ორი მოქმედი პირია აქ: გოგია და გეგე; პერსონაჟები მოცემულია არა მთელი თავიანთი თავგადასავალით, არამედ ნაჩვენებია მათი ცხოვრების ერთი მომენტი, მაგრამ არ არის მოცემული ამ მდგომარეობის ანალიზი, ე. ი. გმირები მოცემული არიან თავიანთი განცდებით, მაგრამ, საიდან გაუჩნდათ ეს განცდები—ახსნილი არ არის.

მეოთხე, მოვლენა თავისი ხასიათით ეპიზოდურია. ლოგიკურად ვითარდება რა აღებული ფაქტი, იგი თავისუფალია ყოველგვარი ლირიკული გადახვევებისაგან.

ამგვარად, „ადე, ჩამოვიდა“ ნოველად, მას ნოველის ყველა დამახასიათებელი ნიშანი აქვს.

ასეთივეა არაგვისპირელის სხვა ნაწარმოებებიც: „მომილოცნია ახალი წელი“, „უცნაურია, უცნაური“, „ციცინათელა“, „შემუსვრილი სამი ცნება“, „ადამიანი“, „ეჰ, ჯანდაბას ჩემი თავი და ტანი“, „ხითხითებს და ხითხითებს“ და სხვა.

საილუსტრაციოდ შევჩერდეთ კიდევ ერთ მათგანზე. ესაა „მომილოცნია ახალი წელი“.

ამ ნაწარმოების თემად აღებულია როსკიპი ქალის ბედი. შიო არაგვისპირელს ქუჩის ქალის ხვედრი აღწერილი აქვს სულ ოთხიოდე გვერდზე. მაგრამ ისე დამაჯერებლადაა მოცემული ეს, რომ ვერც ერთი სქელტანიანი წიგნი როსკიპი ქალის შესახებ ამაზე სრულ სურათს ვერ მოგვცემდა*. მაგრამ საქმე ისაა, რომ ამ ქალის ბედი აქ მოცემულია არა

* შართალი არ არის კ. აბაშიძე, როდესაც წერს: „აბრეშუმის ცხვირსახოცი“ და „მომილოცნია ახალი წელი“ ტიპიური ჩომანტიკული თხზულებებია“ (ეტიუდები, ტომი II, გვ. 253).

მთლიანად, არამედ აღებულია მისი ცხოვრების ერთი „ნაგ-
ლეჯი“.

„ხვალ ახალი წელიწადია, — ამბობს მთლად ჩამომხმარი და
წელში მოხრილი დედაბერი“. სანამ ახალგაზრდა იყო ეს ქა-
ლი, „საკუთარი ხორცი“ ვაჭრობდა და ამით იოლად მი-
დიოდა, ახლა კი სილამაზე გაჰქრა და შემოსავალიც მოაკლდა.
დაუძლურებული დედაბერი არავის უნდა. იგი სჯის თავის
ბედს და უბედურების მიზეზს სამართლიანად ეძებს თავისი
შინაგანი ბუნების გარეთ: არსებულმა ყოფამ აიძულა ის სა-
კუთარი „ხორცის გაყიდვა“ დაეწყო. „მსრისეს, მტანჯეს,
ვიდრემდის ჩემი სახე ხიბლავდათ, და ეხლა კი, როგორც უხ-
მარი ნივთი, ამ სოროში ჩამომიძახეს“. ასეთია განაჩენი კა-
პიტალისტური საზოგადოებისა. ნახევრად გიჟს, ალქაჯად
ქცეულ დედაბერ შურისძიების გრძნობა იპყრობს. იგი ხე-
დავს, რომ „ხალხი“, რომლის მსხვერპლი გახდა იგი, ქეი-
ფით ხვდება ახალ წელს, მას კი ლუკმა პური ვერ უშოვნია,
გამხმარი კუჭი რომ გამოიძლოს. ცხოვრებით დატანჯული
დედაბერი ცეცხლს მისცემს ერთ სახლს, საიდანაც „როია-
ლის გრიალი და ხმაურობა მოისმოდა და თვითონაც შიგ
შევიარდება“. ასეთია ამ საინტერესო ფსიქოლოგიური ეტიუ-
დის შინაარსი.

აქ მინიატურული თხრობის ყველა წესი დაცულია. შიო
არაგვისპირელი იძლევა როსკიპი ქალის ფსიქიკურ განცდას
ყოველგვარი ბიოგრაფიის გარეშე. გმირი აღებულია იმგვარად,
როგორც თვითონ არის იგი დანახვის მომენტში.

აღწერილია გმირის ცხოვრების ერთი ნაგლეჯი, მაგრამ
ეს ერთი მომენტი ისე ძლიერად არის ფსიქოლოგიურად და-
ხატული, რომ აქ მართლაც მთელი სისრულით ვგრძნობთ
ქუჩის ქალის უნუგეშო ხვედრს. შიო არაგვისპირელი არ იძ-
ლევა ახსნას იმ მიზეზებისას, რომლებიც წარმოშობენ ქუჩის
ხალხს, მაგრამ ამ მიზეზის ლოგიკურად ახსნას თვითონ მკი-
თხველი აღწევს. ეს კი არაგვისპირელის სტილის დამახასია-
თებელ ძირითად ნიშანთაგანია.

ისე როგორც პირველ ნოველაში, აქაც, ამ ეტიუდშიაც,
დაცულია თხრობის მცირე ფორმების ყველა ნიშანი. თხრო-

ზის მცირე ფორმა, ერთი მომენტი ადამიანის ცხოვრებისა. სიტყვიერ მასალათა უაღრესი ეკონომია, მოქმედ გმირთა სიმცირე და ნოველის სხვა თვისებანი ზუსტად არის დაცული ამ ნაწარმოებშიც.

შიო არაგვისპირელმა, პირველმა ჩვენს მწერლობაში, ააღორძინა და განამტკიცა სრული ფორმით პროზის ურთულესი ფორმა — ნოველა და ეტიუდი. შიო არაგვისპირელი ძირითადად ნოველებისა და ფსიქოლოგიური ეტიუდების მწერალია. საგულისხმოა, რომ მისი ნაწერები, რომლებსაც იგი ხშირად „მოთხრობას“ აწერს, არსებითად ნოველებს წარმოადგენენ. ამ მხრივ მეტად საინტერესოა შიო არაგვისპირელის „დიდი-დედა მარიამი და ხატაურა“. ამ ნაწარმოებს არაგვისპირელი მოთხრობას უწოდებს, არსებითად კი ის ნოველაა.

„დაქვრივებული დედაბერი დიდი-დედა მარიამი“ ოჯახში მარტოკაა. მიუხედავად ქალიშვილის თხოვნისა, რომ მასთან გადავიდეს საცხოვრებლად, დედაბერი არ ტოვებს საკუთარ კერას. დედაბერს მარტოობის სევდას უქარვებს კატა—ხატაურა. დიდი-დედა მარიამმა საკუთარ შვილივით შეიყვარა ხატაურა. სტუმრად მოსულ შვილიშვილი მას ურჩევს გადაადგოს კატა და მოაშოროს ოჯახს სიბინძურის ბუდე. დედაბერი დაუჯერებს შვილიშვილს და დიდი გულისტკივილით შორს, მტკვრის პირად ტოვებს ხატაურას. შინ დაბრუნებული მარიამი მთელი სიმძიმით განიცდის მარტოობას და შიშის გრძნობა შეიპყრობს. დიდედა მარიამი დაუყოვნებლივ მოძებნის თავის საყვარელ ხატაურას, კვლავ იგრძნობს მის სიყვარულს და სიკვდილამდე არ იშორებს მას. კატისადმი დედაბრის გადაქარბებული სიყვარული ექვს ბადებს სოფელში. მარიამს კუდიანობას სწამებენ. სოფელი და ნათესაობა თვალს არიდებს დედაბერს და იგი უთვისტომოდ კვდება.

აქ არაგვისპირელის მინიატურული მოთხრობებისათვის დამახასიათებელ ნიშნებთან გვაქვს საქმე და ჩვენ ეს „მოთხრობა“ ამიტომაც მიგვაჩნია ნოველად.

ამ ნაწარმოებს აქვს ნოველის შემდეგი ნიშნები:

1) ზოცემულია გმირის ცხოვრების ერთი მომენტი: ადამია-

ნის მარტოობის განცდა, მაგრამ ისე, რომ აქ დიდდება მარიაშის მთელი თავგადასავალი არ არის მოთხრობილი. აღებულია მხოლოდ მისი ცხოვრების ერთი მომენტი;

2) ნაწარმოების სიუჟეტი უალრესად მარტივია; მოცემულია ერთი რკალი ყოველგვარი სიუჟეტური ხლართებისა და კვანძების გარეშე;

3) უალრესად შეკუმშულია სიტყვიერი მასალა;

4) მინიმუმამდეა დაყვანილი პერსონაჟების რიცხვი: სულ სამი მოქმედი პირია გამოყვანილი;

5) ნოველა ვითარდება სწორხაზობრივად, იგი თავისუფალია მეორეული მომენტისაგან.

მეტად საინტერესოდ არის მოცემული ამ ნაწარმოებში ადამიანის განცდა. იშვიათი სიზუსტით აღწევს მწერალი მარტოობის გრძნობის ფსიქოლოგიის მოცემას.

„ხუთი წლის განძავლობაში, რაც მარტოდ-მარტო დარჩა (დიდება მარიაში, — ს. ჭ.) მის სახლში მხოლოდ კატის კნავილი, ხატაურას კნავილი გაისმოდა. შეეჩვია იმის კნავილს, არად აგდებდა კნავილსა და მხოლოდ ახლა იგრძნო, რომ ხატაურას კნავილი იმის სიცოცხლის ნაწილს შეადგენდა, რის დაკარგვაც მხოლოდ ახლა ემწვავა, საგრძნობიერო გახდა...“

უეცრივ სიჩუმემ ყურებში ჩასჩურჩულა და სხეულის ყოველს ნაწილში დაურბინა.

მოხუცებული შეჟრჟოლდა, შეეშინდა მარტოობისა და მუხლმოდრეკილი ხმამაღლივ ღმერთს შეევედრა: „თავები მაინც აამოძრავეო“, რომ თავის ხმით ქოხი აეხმაურებინა, და ყურები სცქვიტა, თითქოს თავის ვედრების შესრულებას მოელოდდა; მაგრამ ხატაურას კნავილით გაფანტული თავები მაგრე სწრაფად არ დაუბრუნდებოდნენ..“

ისევე სიჩუმე გამოეხმაურა. კიდევ გააჟრჟოლა, საჩქაროდ ლოგინში თრთოლვით ჩაწვა, საბანი თავ-პირზე წაიხურა და თვლებზე, ყურებში ცერების დაცმით თითები მიიჭირა. ჰფიქრობდა, ამ საშუალებით განედევნი სიჩუმესაო, მაგრამ ცერა თითებს ქვეშ, ყურის სიღრმეში უჩურჩულებდა, თითქოს უეცრივ დაცმით იქ ჩაჯუჭკვილიყო სიჩუმე. მაგრამ ამავე დროს

თვალეზწინ წყვიდიადით მოცული სივრცე გადქეიმა, რომელშიაც ბრქყვიინავი წერტილები გზა-დაბნეულივით დასრიალობდნენ, დაცურავდნენ. მოხუცს ბრქყვიალა წერტილების სრიალ-ცურვა თითქოს მოეწონა, რომ ყურებიდან ცერა თითები გამოიძრო, რის შემდეგ შუილი დაეწყო ყურებში, თითქოს მდინარე შუისო, და თვალებიდან კი თითები არ მოიშორა...

წამს გაიტაცა ამ წერტილების მოძრაობამ და სრულებით აღარა ეყურება-რა. ჰხედავს მოხუცი, როგორ ამოჩნდება წერტილი სადღაც შორს, ჯერ კიდევ ოდნავ გაარღვევს თავის მბეჭუტავი. შუქით წყვიდადს. ჩქარა სხვა წერტილები დაიწყებს ბრქყვიალს; ჯერ ოდნავ ამოძრავდება, ოდნავ მოცურავს, არღვევს წყვიდადს, გზაში მაგრევე ამოძრავებული წერტილი ჰხვდება, ნელად, უჩუმრად წყვილდებიან, უჩინრადვე ერთდებიან; მოხუცი გაფაციცებით აღევნებს თვალყურს, ახლა შუილიც კი აღარ ესმის. მხოლოდ ამ სურათმა ჩანთქა მისი გონება. წერტილი თანდათან უმატებს სიჩქარეს. მოხუცი ხან ზევით სწევს თავს და ხან ქვევით, იმის მიხედვით, თუ ბრქყვიალა წერტილი უეცრივ, ელვაზე უმაღ უეცრივ მოსწყდებოდა, გასრიალდებოდა და ისევ უეცრივ შესდგებოდა იქ, სადაც მრავალი იმისთანა წერტილები ჯგუფად ოდნავის მოძრაობით ირეოდნენ. აქ კი მოხუცი სხვა წერტილებში ველარ არჩევდა ახლად შეერთებულს.

მოხუცებულისათვის რომ ამ წამს თვალი გედევნებინათ, უეჭველად შეამჩნევდით, თუ იგი როგორ უძრავად იწვა; თითქმის სუნთქვასაც ვერ შეამჩნევდით; მხოლოდ იმის შუბლის წარბებიდან დაწყებული კუნთების მოძრაობით-ღა იგრძნობდით, რომ იგი ცოცხალია. წერტილის მოძრაობას ასდევდნენ მისი შუბლის კუნთების მოძრაობაც, კუნთებიც აგრეთვე სწრაფად, როგორც წერტილები, ხან ზევით აიკმუქნებოდნენ და ხან კიდევ ქვევით...

როცა ერთს წერტილს მიიყვანდა საზოგადო ბანაკამდის და აპრევიდა ბანაკში მოძრავ წერტილებში, ახლა სხვა წერტილი აბეჭუტდებოდა, იმასაც კიდევ მიიყვანდა ზევით, ან კიდევ ქვევით ბანაკში და ხელმეორედ დაუწყებდა ახლად აბეჭუტებულს წერტილს დევნას.

აგერ, სადღაც, შორს, წყვილიადის კიდეს, ოდნავ აბეჭუტ-
და წერტილი. სწრაფ მისი თვალის მხედველობა იმ წერტილს
ჩააშტერდა. ამოძრავდა სხვა წერტილებივით. შორი გზა ჰქონ-
და ამ წერტილს ბანაკამდის, გზა და გზა ბევრი სხვა წერ-
ტილები აბეჭუტდნენ, უერთდებოდნენ, დიდდებოდა. თანდა-
თან წერტილის სახე დაჰკარგა და ბრჭყვიალა ბურთს დაემს-
გავსა. მოძრაობა მაინც არ მოჰმატებია. ბურთი სხვა წერ-
ტილებს შეჰხვდა, გაგრძელდა, ყურებივითაც მიახსდა წერ-
ტილები; იმან სახე იცვალა... და... ღმერთო, ეს რა არის.
მოხუცებულმა სული გაკმინდა, სუნთქვა შეიყენა. ეშინოდა,
ოდნავის მოძრაობითაც არ შეეჩერებინა ამ სანახავის თან-
დათანობითი ცვლილება...

მოძრავი წერტილები თავისას არ იშლიდნენ, სწრაფად
უერთდებოდნენ ერთმანეთს და... ღმერთო, ღმერთო, ეს
ხომ ხატაურაა. აგერ არ კი მოცურავს... მოდის თავისებუ-
რად: ზნექით და კუდის ქნევით... სიარულს აუჩქარა, პირიც
დააღო, უნდა დაიქნავლოს... ბალანი აებურძგნა, თვალები
უფრო დააჰკიტა და მოსწყდა ადგილიდან... წერტილებივით
ისიც უეცრივ ისარივით გამოსრილდა და პირდაპირ თავ-
პირში შეებნა...

— ღმერთო, ღმერთო... — მადლობა შესწირა ლოგინში
წამომჯდარმა მოხუცმა, რომ მშვიდობით გადარჩა და სული
არ ამოხდა.

გული ჯერ ისევ აჩქარებით უცემდა. თვალი მიავლ-მოავლ-
ლო გარეშემოს და ისევ ის სურათი წარმოუდგა მღრჩო-
ლავ ლამპრის შუქზე...

— იმ პირ-შავმა როგორ გამაბრეყვა, — წაიბუტბუტა ცო-
ტა ჩაფიქრების შემდეგ, — კატა რაზე დამალუბინა... — და საც-
ვლების ამარა გარეთ გავიდა“.

ასე საინტერესოდ ახერხებს შიო არაგვისპირელი ადამიანის
ფსიქოლოგიის გადმოცემას. და ჩვენც განგებ მოვიყვანეთ
ასეთი ვრცელი ამონაწერი, რომ გვეჩვენებინა ის დიდი ნიჭი
და შეკუმშული თხრობის ძალა, რომელიც აქვს არაგვისპი-
რელს ადამიანის განცდებისა და ფსიქოლოგიური მდგომარეობის
დასახატავად. ძლიერი ფსიქოლოგიზმი დამახასიათებელი
ნიშანია არაგვისპირელის ნოველებისათვის.

შიო არაგვისპირელის „მოთხრობების“ არსებითი ანალიზი ნათლად დაგვარწმუნებს, რომ ეს „მოთხრობები“ ნოველებია. ამ მხრივ საყურადღებოა „გიულიც“. „გიული“ ძირითადად ნოველის სტილით არის დაწერილი. ნაწარმოების ძირითადი თემაა გიულის უიმედო, განწირული სიყვარული. რომელიც საბედისწეროდ თავდება.

ახალგაზრდა გიულის მეორე ცოლად მიათხოვებენ შეძლებულ, მაგრამ ბებერ თათარს ალიას: რამდენადაც დაცლილია ბებერი ალი ვნებისაგან, იმდენად მოუსვენარია მისი სურვილები და სიყვარული გიულისადმი. სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა ქალს შეუყვარდება მოჯამაგირე მიტრო. ალიას შეილი ქერბალაი გაიგებს მიტროსა და გიულის ფარული სიყვარულის ამბავს. ქერბალაი მეგობრობას შეპირდება მიტროს და ამით გამოსტყუებს ამ სიყვარულის საიდუმლოებას. ბოლოს იგი მეგობარს ლალატობს და ამ ლალატის მსხვერპლი ხდება გიულიც და ქერბალაიც. საბოლოოდ განწირულია მიტროც.

უიმედო და განწირულია სიყვარულის ბოლო. ასეთია ამ უაღრესად საინტერესო ნაწარმოების აზრი. მას, როგორც „დიდი-დედა მარიამსა და ხატაურას“, ნოველის ზემოთ ნაჩვენები საერთო ნიშანი აქვს.

ყველაფერი ეს იმას გვიმტკიცებს, რომ არაგვისპირელი-სათვის ძირითადი იყო ეპიკური ჟანრის მცირე ფორმები. არაგვისპირელის შემოქმედებითი სტიქია ნოველის ფორმაში გამოვლინდა სრული სახით. ამ გარემოებაზე თავის ღროზე მიუთითა ილია ქავკავაძის გაზეთმა „ივერია“:

„არაგვისპირელის ნაწერების თავისებურ თვისებას ის შეადგენს, რომ მისი მოთხრობის საგანი მუდამ ცხოვრების რაიმე ღრმა საკითხის დასურათებაა და არა თვით ცხოვრების აქტიურ მოქმედებათა, ე. ი. აღამიანთა ტიპებისა. მას აინტერესებს უფრო პრობლემა, ვიდრე სიუჟეტის ხლართი“.*

* * *

არაგვისპირელი თემატიკურად მრავალფეროვანი მწერალია. იგი შეეხო თავისი ეპოქის ყველა მტკივნეულ საკითხს.

*. ივერია, 1901 წ., №20.

ამ მრავალფეროვანი თემატიკიდან ჩვენ გვინდა გამოვყოთ ძირითადი საკითხები.

პირველი, რომელსაც შიო არაგვისპირელის შემოქმედებაში ცენტრალური ადგილი უჭირავს, არის ადამიანის რაობისა და საზოგადოებასთან მისი დამოკიდებულების საკითხი.

მეორე საკითხი არსებითად პირველიდან გამოდის, მაგრამ იგი მაინც დამოუკიდებელ გაშუქებას ღებულობს არაგვისპირელის ნაწერებში. საკითხთა ამგვარ ჯგუფს განეკუთვნება სიყვარულის ცნებასთან დაკავშირებული მოტივები, შიო არაგვისპირელის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გლეხკაცის საკითხს. მისი შემოქმედების ერთ-ერთი ძირითადი თემა იყო გლეხკაცის უუფლებო და დაბეჩავებული მდგომარეობის ასახვა.

შიო არაგვისპირელის თემატიკაში „ეროვნული თვითშეგნების“ საკითხმა თვალსაჩინო ადგილი დაიკავა.

არაგვისპირელის ნაწერებში მკვეთრად გამოჩნდა „ქუჩის ხალხი“, კაპიტალისტური ცხოვრების ეს „უქანონო შვილები“. „ქუჩის ხალხის“ ხვედრი მრავალგზის აფიქრებდა არაგვისპირელს.

ზოგადად ასეთი სქემით წარმოგვიდგება არაგვისპირელის შემოქმედების თემატიკა.

* * *

ადამიანისა და საზოგადოების ურთიერთდამოკიდებულების საკითხი იყო შიო არაგვისპირელის „შემოქმედების სათავე და პიროვნული სევდიანობის ძირითადი მიზეზიც“.

მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში აზროვნების უდიდეს ტიტანებს მუდამ აფიქრებდათ პიროვნების ბედი, ადამიანის ადგილი სამყაროში. ცნობილ მწერლებს არა ერთგზის უცდიათ „მოეხსნათ ეს საიდუმლოება“, განესაზღვრათ ადამიანის დანიშნულება და განეხილათ მისი ადგილი.

შიო არაგვისპირელიც უფიქრდება ამ საკითხს. მან ადამიანის „ბედის“, მისი რაობის საკითხი გახადა თავისი ფსიქოლოგიურ-ფილოსოფიური ეტიუდებისა და ნოველების ძი-

რითად საგნად. რა არის ადამიანი, რა უფლებანი და რა შესაძლებლობანი აქვს მას, როგორია მისი ხვედრი, რა დამოკიდებულებაა ადამიანსა და საზოგადოებას შორის? აი რა კითხვები აწუხებდა არაგვისპირელს. მწერალი მათზე პასუხს იძლევა. ადამიანი მთელი თავისი სიძლიერითა და სისუსტით, სიმშვენიერითა და სიმახინჯით არაგვისპირელს აღწერილი აქვს. ადამიანის გონება თავისუფლებისა და ბედნიერების დაუცხრომელი მძიებელია, სინამდვილეში კი ადამიანთა უმრავლესობას წართმეული აქვს ეს თავისუფლება და ბედნიერება. კაცობრიობის ეს უმრავლესობა სხვის მორჩილებასა და მონობაში, სილატაკეში ატარებს ცხოვრების დღეებს. ასეთ წინააღმდეგობრივ ხლართშია მოქცეული არაგვისპირელის თანამედროვე ადამიანი.

შიო არაგვისპირელს სურს ადამიანი უფრო ძლიერი და კმაყოფილი იყოს თავისი ხვედრისა, ვიდრე არის, ამიტომ მას ასეთი კითხვა ესახება: როგორ შეიძლება ადამიანმა მიაღწიოს ბედნიერებას, „იყოს თავისი ხვედრის კმაყოფილი?“ და აი, აქ თავს იჩენს მეორე საკითხი: როგორ უნდა მოწესრიგდეს ურთიერთობა პიროვნებასა და საზოგადოებას შორის?

არაგვისპირელის აზრით, საზოგადოებრივი ცხოვრება მახინჯია და ამან თავის მხრივ პიროვნებაც დაასახიჩრა, რის შედეგადაც ადამიანი იქცა მატყუარა, თვალთმაქც და მკეცხარა არსებად.

შიო არაგვისპირელის დამსახურება ის არის, რომ მან შენიშნა და კარგად დაახასიათა კონფლიქტი პიროვნებასა და საზოგადოებას შორის. მაგრამ მწერალმა მეტწილად ვერ მოგვცა პიროვნებასა და საზოგადოებას შორის არსებული კონფლიქტის პერსპექტივაში განკვეთა, ვერ დაგვანახა, რა ქმნის, რა იწვევს საზოგადოებასა და პიროვნებას შორის კონფლიქტს, როგორია მისგან თავის დაღწევის გზები. ეს კარგად არ ესმოდა არაგვისპირელს. ვერ მისცა რა სწორი ახსნა იმ მიზეზებს, რომლებმაც გამოიწვიეს ეს მოვლენები— ბურჟუაზიული საზოგადოების მანკიერებანი, კონფლიქტი პიროვნებისა და საზოგადოების—მას ხელში შერჩა უპერსპექ-

ტივო ადამიანები, ამიტომ არაგვისპირელის ნაწარმოებთა კითხვის დროს, უმეტეს შემთხვევაში, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ავტორს ადამიანის ღირსებისა და შეგნების საფუძვლად მისი პირადი კმაყოფილება თუ უკმაყოფილება მიაჩნდეს. არაგვისპირელის გმირებს აკლიათ ენერგიული აქტივობა და მეტადი საზოგადოებრივი მიზანდასახულობა.

არაგვისპირელის გმირებს აქვთ შეგნება, აღენთონ საზოგადოებრივი უსამართლობის წინააღმდეგ, გასწიონ მისი სიტყვიერი კრიტიკა. მაგრამ მათ არა აქვთ ყოველთვის ნათელი, ზუსტი, სინამდვილის ცოდნაზე დამყარებული გამოკვლევის უნარი და მოქმედების ძალა. ისინი მომხიბლავად მეტყველებენ, მაგრამ მეტწილად უკვალოდ ქრებიან, ამჩნევენ თავისი ეპოქის ნაკლოვანებებს, მაგრამ მოკლებულნი არიან უნარს, გაარღვიონ ეს საზოგადოებრივი ჭაობი, გადალახონ მისი საზღვრები და პერსპექტივაში დაინახონ მომავლის ძალები. მათ არა აქვთ უნარი, მონახონ საზოგადოებრივი ძალა, რომელთან ერთად შეიძლება იბრძოლონ საზოგადოების უკეთესი მერმისისათვის. ეს წვრილბურჯუაზიული უპერსპექტივობა თან ახლავს არაგვისპირელის ნაწერებს.

როგორც აღვნიშნეთ, შიო არაგვისპირელს, მსოფლიოს ცნობილი მწერლების მსგავსად, აწუხებდა კითხვა: „რა არის ადამიანი?“ ამ კითხვის გამორკვევას არა ერთი და ორი შესანიშნავი ნაწარმოები უძღვნა არაგვისპირელმა. მათ შორის მის ეტიუდს „შემუსვრილ სამ ცნებას“ ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს.

ახალგაზრდა სეფისწულს, რომლისთვისაც სამეფო ტახტია გამზადებული, ნადირობის დროს ერთი უცნობი მოხუცი გადაეყრება. „თუმცა კი სახის გამომეტყველებაზე შეატყო უცნობ კაცს შეშლილობა“, მან მაინც ჰკითხა, „ვინა ხარ?“.

„— ადამიანი...— იყო პასუხი შეშლილისა...“

— სულელო, ადამიანისა რა გაქვს,— ღიმილით შეეკითხა სეფისწული.

— ხიპ... — სისულელე... — ღრეკით უპასუხა შეშლილმა“.

მოსვენებას არ აძლევს სეფისწულს ეს უცნაური პასუხი შეშლილისა. მას სურს „განმარტება თავის არსებისა“.

„ერთი თვეა მის გონებას თავს არ ანებებს ერთი და იგივე კითხვა. არც დღე და არც ღამე მოსვენებას არ აძლევს, განმარტება სურს ამ კითხვისა. უნდა შეიგნოს, თითქოს კიდევაც სწვდება გონება მისი, შორს, შორს იხატება მისი ახსნა, განმარტება; შორით უღიმის, აგერ კიდევაც ფრთოვანდება სიხარულით მისი არსება. უნდა დაიძახოს: ახლა კი გამოვარკვიეო...“

მაგრამ იღუმალებით მოსილი კითხვა მაინც ამოუხსნელი რჩება სეფისწულისათვის.

„შეუძლებელია, ადამიანი ცხოვრობდეს და კი არ იცოდეს, რას წარმოადგენს, რა ადგილი უჭირავს სხვა ცხოველთა, მცენარეთა და სხვათა შორის... და ახალგაზრდა ქაბუკი გადასწყვეტს გაიგოს „რალა ადამიანი?“ სეფისწულმა დასტოვა სამეფო ტახტი და ოცდაათი წლის განმავლობაში მინდორველად იხეტიალა, კითხვა კი მაინც ამოუხსნელი დარჩა. ბოლოს სეფისწული გადაეყრება სიცოცხლით აღსავსე ქალს. გამოირკვევა, რომ ეს ის ქალია, რომელიც სეფისწულის საცოლედ იყო მიჩნეული. ქალიც გაიგებს, რომ მის წინაშე დგას მოხუცებული კაცი, რომელსაც რამდენიმე წლის წინათ ცნობილი გმირისა და სილამაზით განთქმული ახალგაზრდის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი. ახლა ამ სეფისწულს გულზე მათხოვრის მსგავსად ჰკვდია ქვის ფიცარი, რომელზეც ასეთი უცნაური წარწერაა:

ჰოი, კაცო!

„ნურას დროს ნუ დაეკითხები
შენ თავს: რა არის ადამიანი!“

„ყოველგვარ მოვლენას შენ ცხოვრებაში გულგრილად შეხვდი!“

„მცადე, შენი ცხოვრება მხოლოდ
სიამოვნებით გაატარო!“

სეფისწული ქალს შეხედავს, სინანულით მოიგონებს მღელვარე წარსულს. და თავის „ოცდაათი წლის ნაშრომს“, რომლის შედეგად მას ეს წარწერა შერჩა, მიწაზე დაანარცხებს. ასეთი უპერსპექტივო ფინალი მოსდევს „ადამიანის რაობის“ გარკვევას. მაგრამ არაგვისპირელი აქ მაინც არ ჩერდება. მას სურს ერთგვარი ახსნა მისცეს დასმულ კითხვას და ამის.

ლოგიკურ განვითარებას იგი ადამიანისა და საზოგადოების ურთიერთობის გარკვევამდე მიჰყავს.

ბურჟუაზიულ საზოგადოებაში პიროვნებასა და საზოგადოებას შორის ამოუცხვებელი უფსკრულია, არავის არ აფიქრებს ადამიანის ბედი, „თანამედროვე საზოგადოება“ ძალმომრეობაზე, ექსპლოატაციასზე, ერთმანეთის გაუტანლობაზე აგებული საზოგადოებაა. ერთი მოქმედი პირი სწორად შენიშნავს: „მოღალატეობა, სუსტის განადგურება, ძალმომრეობა და ფეხქვეშ დაგება მე არ შემიძლია. და თუ ასე არ მოიმოქმედე, მაშინ ადგილი არ გაქვს საზოგადოებაში“.

შიო არაგვისპირელს სძულს ძალმომრეობაზე აგებული საზოგადოება. „თანამედროვე საზოგადოება სიძულვილის ღირსია“, შენიშნავს იგი. არაგვისპირელის გმირები ამხელენ და აკრიტიკებენ ასეთი საზოგადოების კლასობრივ ბუნებას, მაგრამ არაგვისპირელთან ერთად მისი გმირებიც უძლურნი არიან, თანმიმდევრულად იბრძოლონ მახინჯი სინამდვილის გარდასაქმნელად, მის მოსასპობად, იბრძოლონ უკეთესი მერმისისათვის. „აი, სწორედ ამ გათახსირებულ დროს უნდა ბრძოლა“ ეს იციან მწერლის გმირებმა, მაგრამ მათ გარკვეული არა აქვთ მომავალი და არც ბრძოლის გზას იცნობენ.

„—ოხ, მომეცით რწმენა მომავლისა და აი ამ მთას მეორე ნაპირს გადავდგამ, თავს შევაკლავ“, სწორედ ეს „რწმენა მომავლისა“ არა ჰქონდათ არც არაგვისპირელსა და არც მის გმირებს.

კოდახევის შესართავთან, პატარა კლდეზე დგას დაღონებული გაბრო (ნოველა „გულციობაში“) და ფიქრობს, თუ როგორია პატარა არსების ბედი: პატარა კლდეს არაგვი ერევა და მის ხსენებას სპობს, მაგრამ თვით არაგვი დიდებულ მტკვარს ერთვის და ამის შემდეგ მისი სახელიც იკარგება და ასე შემდეგ, დაუსრულებლად. ადამიანის ბედიც ამ პატარა არსების ბედსა ჰგავს. ეს გაბრომ თავისი საკუთარი მაგალითით იცის.

„სწრაფად გადაფურცლა მისი ცხოვრების მატრიანე და სანუგეშო ვერა ჰპოვა რა—„რას ელტვი, რისთვის ან ვისთვის სცხოვრობ“. აი, რა კითხვები უტრიალებს გაბროს თავში.

ვისთვის და საზოგადოებისათვის,—ეტყვის მას იდუმალი ხმა, მაგრამ გაბროს მზად აქვს პასუხი.

„—მაშ კარგი, ყური დამიგდე: საზოგადოებამ დაგბადაო, მეუბნები, ეგ ტყუილია. მე, არ ვიცი კია რა განზრახვით, ბუნებამ გამზარდა, ხოლო საზოგადოებამ წამართვა ის, რაც ბუნებამ მომანიჭა. ან კიდევ თუ არ წამართვა, დამიმახინჯა, გამირყვნა და შემილახა.“

პიროვნებას საზოგადოება ისე ეპყრობა, როგორც გულქვა დედინაცვალი. საზოგადოება პიროვნებისაგან ყველაფერს ითხოვს, თვითონ კი არაფერს აძლევს.

„გულქვა, გულცივი, თავის წევრის ფეხის დამქირებელი საზოგადოება მოდის და გეუბნება: „შენ ჩვენი მოძმე ხარ, ესა და ეს ჩვენთვის უნდა გააკეთო... გვანაცვალე ჩვენ, ვინც კი გყავს, ან გაქვს რამე, შენ მოვალე ხარ...“ კარგი, პატიოსანი, თუ მე ვარ მოვალე, პატიუცემულო საზოგადოებავ, შენც მოვალე ხარ; თუ მე შენ გეკუთნი, შენ კიდევ მე უნდა მეკუთნოდე. საზოგადოება მსხვერპლს გთხოვს, ძალას გატანს. შენ-კი დანა გულთან რომ გქონდეს მიტანილი, ხელს გამოგიწვდის საშველად?.. როდის გაუწვდია თავის წევრისათვის ძმურად ხელი, გაუმხნევებია სასოწარკვეთილი, აღუდგენია სულით დაცემული? გეყურება? შენ გეკითხები, შენა, რომ საზოგადოების ვალს თავს მახვევ!“

საზოგადოება ფეხქვეშ თელავს პიროვნებას, ამცირებს მას, სამაგიეროდ, საზოგადოება მას გლოვობს და გლოვობს არა იმიტომ, რომ გული შესტკივა მასზე, არამედ იმიტომ რომ რაღაც სასარგებლო დაჰკარგა პიროვნების დაკარგვით.

„— ხა, ხა, ხა, „გლოვობსო“!.. დიად, გლოვობს, სწუხს, სტირის, მაგრამ აბა ჩაუკვირდი, რას წარმოადგენს ეს გლოვა, ტირილი, მისი ცრემლი? დაკარგულ წევრს გლოვობს თუ თავის თავს, დაკარგული წევრისთვის აფრქვევს ცრემლს თუ თავის თავისათვის? აბა, შენ იყავ მხოლოდ ადამიანი, უჩინარი, თუ შენ გიგლოვოს, ცრემლი აფრქვიოს. იმას ჰგონია, რომ შენის დაკარგვით არა დააკლდება-რა. შენს უბედურებას ვერც კი შეიტყობს. თუ მასხარა ხარ, საზოგადოება გიგლოვს, ცრემლს დააფრქვევს, რადგანაც მოაკლდება შე-

ნი მასხარაობა, ველარ იმხიარულებს შენის მასხარაობით. შენ გიგლოვს, როგორც მასხარას, და არა როგორც წევრს — ადამიანს. მწერალი ხარ, ან სხვა რაიმე ხარ, რითაც შენ საზოგადოებას ამხიარულებ, ასარგებლებ, გიგლოვს, რადგანაც შენის უბედურებით აკლდება მას სიამოვნება, სარგებლობა. შეიგნე, რომ თავისი სიამოვნების შემცირებას გლოვობს და არა დაკარგულ წევრს. მაშ“.

ასეთია ბურჟუაზიული საზოგადოება, რომელსაც ზიზლით იხსენებს არაგვისპირელი. მაგრამ ასე არ იყო წინათ. იყო დრო, როდესაც საზოგადოებას პიროვნების ბედი აინტერესებდა:

„...დავანებოთ თანამედროვე საზოგადოებას თავი. სიძულვილის ღირსია. აბა, ახლა გაიხედ-გამოიხედე: ხედავ, აგერიქ ზედაძნის საბეროს მთის წვერზედ, ქვევით კიდევ ჯვარპატიოსნისას, მცხეთის ტაძრებს. ნანგრევებს და, აი შენს გვერდით „ბებრის ციხეს?“ ვერ ხედავ როგორ გამოკრთიან მთვარის შუქზე? ნუ-თუ შენს სულს და გულს შენი დიდების მოწმენი არას ეუბნებიან? განა ყოველივე ეს შენ წინაპართ არ გაგონებს, როდესაც მათი სიცოცხლე დულდა და გადმოდიოდა ამ მხარეს? განა...“

— კმარა!... ვხედავ, კარგად ვხედავ ჩვენ წინაპართ დიდებას და იმასაც კარგად ვხედავ, რომ ამ დიდებას ჩვენი გათახსირება, არარაობა მოჰყვა, რას წარმოადგენს ის დიდება, რომელსაც შედეგი ასეთი ექნება? ჩვენი არარაობა იმ დიდების შემდეგ უფრო მწვაია, უფრო...“ ამგვარად, წინათ საზოგადოებასა და პიროვნებას შორის კონტაქტი არსებობდა. ახლა, კაპიტალისტური საზოგადოების პირობებში, ეს კონტაქტი მოიშალა და პიროვნების ბედიც ჟნუგეშო გახდა. ასე გაგრძელდება ეს თუ არის ხსნა? გამოჩნდება თუ არა გზა, რომლითაც დააღწევს ადამიანი თავს ამ ჟნუგეშო ყოფას? ეს ამ ნაწარმოებიდან აღარ ჩანს. შ. არაგვისპირელის გმირი ამ კითხვას უპასუხოდ ტოვებს, მაგრამ ის ფაქტი, რომ იგი თავს იხრჩობს, თავისთავად ლაპარაკობს იმაზე, რომ რწმენა მომავლისა აქ არაა.

შიო არაგვისპირელი ამ ნოველაში თანამედროვე კაპიტა-

ლისტური ცხოვრების მანკიერებას უპირდაპირებს წარსული ცხოვრების სურათებს და მასთან შედარებით უპირატესობას წინაპართა გმირულ წარსულს აძლევს; თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ შიო არაგვისპირელი სხვა შემთხვევაში წარსულის იდეალიზაციის წინააღმდეგ გამოდის.

„ჩემთვის ყოველთვის გაუგებარი იყო, როდესაც ადამიანი წარსულზე აღტაცებით ლაპარაკობდა; წარსული უკვე გავლილია, ავი იყო იგი, თუ კარგი, უკვე ჩაპბარდა ქამთავითარებას: იგი უკვე აღარ არსებობს. მხოლოდ აწმყო და მომავალი მრწამსს. წარსული მხოლოდ მომავლის მაჩვენებელი უნდა იყოს, გამამხნევებელი და არა სავალალო. თუ ავი იყო წარსული, უნდა ვეცადოთ მომავალში თავიდან ავიცილინოთ, და თუ კარგი — უკეთესი შევიძინოთ. ორსავე შემთხვევაში ბრძოლა გემართებს და არა ტირილი. როდესაც წარსულზე ადამიანი გოდებს და ვალალობს, მაშინ იგიც ისე დამარხულია, როგორადაც წარსული“... და ასე არაგვისპირელი მუდამ თანამედროვეობის პრობლემებით დაინტერესებული მწერალი იყო. მთავარი საკითხი ნაწარმოებისა უვარგისი აწმყოს წინააღმდეგ ბრძოლა იყო. ამიტომ აწუხებდა მას ასე მწვავედ პიროვნებასა და საზოგადოებას შორის დამოკიდებულების საკითხი.

შიო არაგვისპირელი სხვაგანაც უბრუნდება ამ საკითხს და იმ დასკვნამდე მიდის, რომ კაპიტალისტურმა საზოგადოებამ დააწვრილმანა, „გათახსირა ადამიანი“. ადამიანები ცბიერობენ, ერთმანეთს ატყუებენ. ადამიანმა დაკარგა გულწრფელობა. გულწრფელობა არსად არ არის, მას კაპიტალისტური ქისაცვლის. ბურჟუაზიული საზოგადოება წარმოადგენს „სისაძაგლის მორევს, მისი წვევრები კი საზიზღარნი, ბილწნი და თვალთმაქცნია“, — ეს აზრი არაგვისპირელს განვითარებული აქვს თავის ეტიუდში „გმადლობთ, უფალო, გმადლობთ!“

მწერალს სურს ადამიანის გულწრფელობა სწამდეს.

„მინდა ადამიანის გულწრფელობა მწამდეს!... მაგრამ... რომ ეს გულწრფელობა არსად არის“.

„უფალო, უფალო... ნუთუ აღარავინ დარჩა?! ერთი, ერთი ადამიანი მაინც ვნახო, რომელსაც თავისი თავი არ გაელმერთებინოს და გულწრფელად მოქმედებდეს... ღმერთო...“

მწერალი ეკლესიაში, „ღმერთის ამ წმინდა ტაძარში“ სინჯავს ადამიანის „გულის უფსკრულთა საიდუმლოებას“ და ანალიზს უკეთებს ადამიანთა „გულწრფელ განცდებს“.

აგერ, დედაბერი ყავარჯნით მიუახლოვდა ეკლესიის კარებს. მას თითქოს ღვთის მოსავეი ადამიანის სახელი აქვს მოხვეჭილი.

„პატოსანისა და მართალი ადამიანის ჯილა დიდიხანია საზოგადოებამ თავს დაგადგა... მაშ გიცრუვია, საზოგადოებისათვის თვალები აგხვევია... ღმერთო, რა გაიძვერად უმოქმედნია!... აი, ეხლაც წმინდა ადგილას, შენს წინაშე სცრუობს!.. არ გინდა, მოხუცო, სიბერის დროს მაინც გულწრფელი იყო და ქვეყანას არ ატყუებდე? პირჯვარს იწერ, სიტყვებს გაიძახი და გული-კი. ოი, საით გაგირბის? შედექ, შედექ... ღირსი არა ხარ მანდ... არ გამიგონე და შეხვედი?... შენი სისაძაგლე არ დამავიწყდება, შენ...“

სიბერის დროსაც არ უნდა ადამიანს გულწრფელი იყოს, მით უმეტეს ახალგაზრდობის დროს არ არის იგი ასეთი. გულწრფელი არ არის ცოლი ქმრის მიმართ. აი, აგერ „სათნოებით სავსე მშვენიერი არსება ღმერთს ევედრება, თითქოს უყვარს მას ქმარი, ნამდვილად კი ლალატობს თავის ქმარს“, და ბრაზმორეული მხერალი ხმამალა წყევლის ცბიერს:

„ოი, წყულო თვალთმაქცო!... შედექ, შედექ! სხვისათვისაც გიცემს გული? მოტყუებულო მეუღლე!... აი, შენი გულწრფელი გრძნობა!“...

მაგრამ ასევე ატყუებს ქმარიც ცოლს. „თუ ეს აქ ატყუებს, არც ის დააკლებს იქ. ორსავე ერთმანეთისა სწამთ, ორივე კი ერთმანეთს ატყუებენ. ღირსნი არიან ორივე ერთმანეთისა“...

ატყუებენ ერთმანეთს შეყვარებულებიც, მათ „სათავეში დაიწყეს ცრუობა“. თვით „კეთილი მწყემსიც“ ცრუობს. ამ სურათით გულმოკლული მწერალი უკიდურეს დასკვნამდე მიდის:

„ღმერთო... ვინდა დარჩენილა?! უფალო, შეარყიე ტაძარი, შემუსრე მისი მკვიდრი კედლები, როგორც შიგ მყოფთ შემუსრეს ყოველი ადამიანური გრძნობა და...“

ასეთია ბურჟუაზიული ყოფის გულსაკლავი სურათი.

ამ პირობებში არაგვისპირელმა ვერ გაარკვია ადამიანის მოვალეობა, მისი ადგილი, მწერალმა ვერ განკვირბა მომავალი. არაგვისპირელის გმირებმა კარგად არ იციან, რას უნდა ემსახურონ“, „რა დაისახონ იდეალად“.

„ვერც ერთმა მათგანმა ცოტად თუ ბევრად ვერ დაასურათა თავიანთი მომავალი, ვერ გამოარკვია: თუ რისთვის ითმენდა წარსულში ან ითმენს ეხლა ამოდენა სიდუხჭირეს; რა იქნება და ან რას გააკეთებს მომავალში, როცა ცხოვრების მორევში ჩაერევა. ყოველივე ეს ბინდით იყო მოცული. მარტო ჰგრძნობდნენ, სწამდათ, გონების თვალთ ხედავდნენ შორს, ძალიან შორს რაღაც ბრწყინვალეს. რომელსაც უნდა ემსახურნენ, რაც იდეალად უნდა ჰქონოდათ, მაგრამ იმას კი ვერ მიხვედრილიყვნენ, თუ ეს საგანი რა იყო; ვერ გამოერკვიათ, ღირსი იყო ეს საგანი თუ არა იმისა, რომ იდეალადა დაესახა. მაგოვად გაეხადათ, რომელსაც უნდა ემსახურნენ და სიცოცხლე შესწირონ, რომელიც აწმყოში და მომავალში უნდა აღფრთოვანდეს“.

არაგვისპირელის გმირები ხედავენ არსებულ უსამართლობას, კაპიტალისტური საზოგადოების სიმახინჯეს, მაგრამ როდის „ნოვლება ბოლო ამისთანა ყოფას, ამის გამოცნობა ძნელია“ მათთვის. არაგვისპირელის გმირებს, გარს არტყია კაპიტალისტური ცხოვრების სიცრუე, გაუტანლობა, ეგოიზმი. არაგვისპირელმა მეტად შავი ფერებით დახატა პიროვნებასა და საზოგადოებას შორის არსებული დამოკიდებულება, მწვავედ გააშიშვლა კონფლიქტი მათ შორის. მიუხედავად ამისა, შიო არაგვისპირელი, როგორც რეალისტი მწერალი, ეძებდა რა ადამიანის ადგილსა და დანიშნულებას საზოგადოებაში, ზოგჯერ შემდეგ დასკვნამდის მიდიოდა: მართალია, კაპიტალისტური საზოგადოება წარმოადგენს ჭაობს, რომელიც გარს არტყია ადამიანებს და მუდამ მზად არის თავის მორევში ჩაითრიოს პიროვნება, მაგრამ ადამიანი მაინც ვალდებულია იბრძოდოს „ჭაობის ნაკადულად გარდასაქმნელად“. კერძოდ ეს აზრი აქვს არაგვისპირელს გატარებული თავის საინტერესო ეტიუდში „ციცინათელა“.

გიორგი დაამცირეს, შეურაცხყვეს, მიწასთან გაასწორეს.. საზოგადოებამ მას ზურგი შეაქცია. მიუხედავად ამისა, გიორგი ადამიანის მოვალეობად თვლის იბრძოლოს საზოგადოების უკეთესი მერმისისათვის.

გიორგი თავის ბედს ციცინათელას ადარებს.

„... რა არის ციცინათელა?.. სულ უბრალო, მცირე მწერი და აგერ იგიც, თუმცა ეს სასტიკი ქარი საშინელის სიძლიერით ებრძვის, სცდილობს, თუმცა შეუგნებლად, მის პიროვნების წაშლას, იგი მაინც თავისას არ იშლის... უძალიანდება, ვიდრემდის არ გაშეშდება, არ მოკვდება, ამ ძალის მსხვერპლი არ შეიქმნება და უკანასკნელი სულის ამოხდამდის თავის პიროვნებას, თავის არსებობას ამცნევს ქვეყნიერებას... თავის თვისების წაშლა არ უნდა...“ ციცინათელას მაგალითი კონტრასტის საშუალებად არის გამოყენებული, და ამ ფონზე ნათლად არის გამოკვეთილი ადამიანის მოვალეობა საზოგადოების წინაშე. გიორგისაც შეუგრძენია ეს მოვალეობა. გიორგიც ვალდებულად ხდის თავის თავს იმუშაოს და იბრძოლოს საზოგადოების გარდასაქმნელად.

მოვალედ სთვლის თავის თავს გააკეთოს და არაფერს შეუშინდეს. „დეე, სასტიკი გარემოება, როგორც ციცინათელას, ხელს უშლიდეს, ეწინააღმდეგოს, პიროვნებამ თავის უკანასკნელ სულის ამოხდამდის მოვალეობას არ უნდა გადაუხვიოს და წინ მიდიოდეს შეუდრეკელად...“

მოქუშული ცა ისევ მოქუშულია, სასტიკი ქარი ისევ სასტიკად აკვნესებს არეძარეს, სოფლიდან ისევ მყრალი სუნი მოისმის... მაგრამ გიორგი პირდაპირ სოფლისაკენ ძლიერის ნაბიჯით მიდის... რამაც გამოაქცია, ახლა, იმისაკენ მიდის, რომ თავისი მოვალეობა შეასრულოს, რომ ქაობი ნაკადულად გარდაქმნას, და მის ნაბიჯს არა აფერხებებს-რა. თუმცა ქარიც და სოფლის სუნიც ეწინააღმდეგება... მისი რწმენა ეს არის და უკანასკნელ წუთამდის, როგორც ციცინათელას, ვერა შეაყენებს-რა“.

ასეთი რეალისტური დასკვნა აქვს ამ ნაწარმოებს. და ეს უთუოდ არაგვისპირელის აქტივში შედის, მაგრამ ეს ხაზი

ვერ იქცა არაგვისპირელის შემოქმედების პრინციპად და სწორედ ესაა მისი მსოფლმხედველობის სისუსტეც.

კაპიტალისტურმა საზოგადოებამ ადამიანებს მოუსპონორმალური ცხოვრების პირობები. პიროვნება შთანთქა კაპიტალისტური საზოგადოების უწყესრიგობამ. ადამიანი იქცა ნივთად, რომელიც, როგორც საქონელი, ისე იყიდება.. ადამიანთა ყოფა ცხოველთა ყოფისაგან არაფრით განსხვავდება. გამუდმებული შრომა, სხვის მონობაში ყოფნა, უსიტყვო მორჩილება მოძალადეებისადმი — „ასეთია განაჩენი“, რაც წილად ხვდა მშრომელ ხალხს ექსპლოატაციანზე აგებული საზოგადოების პირობებში.

ალექსი სალახი პირუტყვს დამსგავსებია:

„წელიწადი — თორმეტი თვეა, — ფიქრობს ალექსი სალახი: — და ამ თორმეტ თვეში არც ერთი დღე მოსვენება არა მაქვს... შობა, ახალ-წელიწადი, აღდგომა — ესაც არ მანთავისუფლებს“.

თვითონ ხომ დაკარგა ალექსიმ ადამიანობა და თავისუფლება. ახლა იგი ღმერთს ევედრება, მისი შვილი მაინც ააცდინოს ამ ბედს.

„ჩემმა პატარა ანდრომ მაინც გაიხაროს: გაიხაროს სანამ პატარაა. ის, ვინ იცის, დედას ჩახუტებია და ტკბილად სძინავს...“ — გადაბრუნებით წაილაპარაკა და ანდროს მომავალზე ფიქრს თავი მისცა“.

ალექსი დარწმუნებულია, რომ მის შვილსაც არ აცდება მისი ხვედრი.

სიზმარში ეჩვენება ალექსის: დასაკლავად გამზადებული ძროხა დგას მის წინ. დააკვირდა ძროხას და მასში თავისი თავი იცნო.

„როგორღაც მეცნობა ეს ძროხა... თითქოს მინახავს სადღაც... ღმერთო, მომაგონე, — ძირს ცქერით გაიძახოდა უსიტყვოდ და გონს მოსულიყო... უეცრად შეკრთა, უნდოდა წამოეყვირნა: „ნუთუ მე ძროხა ვარ“, როდესაც წუმპოდან ამომქვერეტ ძროხის ლანდში თავისი ლანდი იცნო. თავი მალა ასწია. აღარ უნდოდა ემზირნა...“ ალექსი სალახის სიზმარი ნამდვილად მისი ცხოვრების გამოხატულება იყო. მწე-

რალმა ალექსის სიზმართ მოგვცა ჩაგრულთა ბედის ნამდვილი სურათი. ადამიანი, მართლაც, უნო პირუტყვისა ჰგავდა იმ სინამდვილეში, რაც შიო არაგვისპირელმა კარგად შენიშნა.

ბურჟუაზიული საზოგადოების პირობებში იქმნებოდა მართობის, უიმედობის, დაცემულობისა და ეგოიზმის განწყობილება. ეს მომენტი უდიდესი დამაჯერებლობითა და ოსტატობით არის გადმოცემული არაგვისპირელის ფსიქოლოგიურ ეტიუდებსა და ნოველებში.

ადამიანი და მისი ბედი კაპიტალისტურ საზოგადოებაში, ბურჟუაზიული ცხოვრების უწესრიგობანი, ამ ყოფის მწარე სინამდვილე, რომელიც უიმედობისა და დაცემულობის განწყობილებას იმუშავებს წვრილბურჟუაზიულ წრეში, — სწორედ აქვს შენიშნული შიო არაგვისპირელს. მწერალი მხოლოდ აღწერს ამ ფაქტს და ფარდასაც აქ უშვებს.

საზოგადოებასა და პიროვნებას შორის შექმნილი ანტაგონიზმი ერთი იმ უმთავრესი საკითხთაგანი იყო, რომელიც ყველაზე მეტად აფიქრებდა შიო არაგვისპირელს. მაგრამ მთელი მისი შემოქმედება ამ მიმართულებით წვრილბურჟუაზიულ პროტესტს არ სცილდებოდა. მომავლის ნათელი პერსპექტივა, კაპიტალისტური საზოგადოების მოსპობის გზები და მის წინააღმდეგ მებრძოლი ძლიერი მუშათა კლასი არაგვისპირელის ნოველებისათვის თითქმის უცნობია.

მიუხედავად იმისა, რომ შიო არაგვისპირელი ეწეოდა კაპიტალისტური საზოგადოების მძაფრ კრიტიკას, მან მაინც ვერ შეძლო მოეცა ექსპლოატატორული საზოგადოების წინააღმდეგ მებრძოლი ძლიერი ნებისყოფის მქონე პიროვნებები. არაგვისპირელის გმირები მეტწილად საზოგადოებისაგან გარიყულნი, იმედდაკარგულნი და სასომიხდილნი არიან, მათ კარგად გარკვეული არა აქვთ მომავალი და არც ბრძოლის ნათელი გზა ესახებათ. შიო არაგვისპირელის წვრილბურჟუაზიული იდეოლოგია ყველაზე სრულად ადამიანების არსების განმარტებისა და საზოგადოებასთან მისი დამოკიდებულების საკითხში გამოიმკლავნდა.

შიო არაგვისპირელი ანალიზს უკეთებს ადამიანის მდგომარეობასა და შესაძლებლობას და იმ დასკვნამდე მიდის, რომ ადამიანი განსაზღვრული არსებაა, ამ განსაზღვრულობაშია ადამიანის სისუსტეც. ეს პრობლემა აინტერესებს მწერალს. ეს მომენტი აქვს აღწერილი არაგვისპირელს ეტიუდში „ბუნების მეფენი“. აქ ავტორი ახდენს ადამიანის ბუნებასთან დაპირისპირებას. ბუნება თვითონაა ბატონი, მას სხვა უფროსი და მბრძანებელი არა ჰყავს. თვითონ ადამიანს სჯერა, რომ იგი მეფეა ბუნებისა. არაგვისპირელს სურს სწორედ ეს თეზა დაარღვიოს.

„ბუნების მეფენი“ ერთად შეყრილან და ქეიფობენ. ღვინისაგან შუბლგახურებული თამადა ტრაბახობს:

„ბუნება!.. დიდებული ბუნება, მისი დიდებული კანონი ადამიანის ხელთ არის!... როგორც ადამიანს სურს, ფიქრობს თამადა და მასთან ერთად მისი მოძმენიც:—ისე დაატრიანებს ბუნების ჩარხს: უნაყოფო ნიადაგს გაანოყიერებს და სადაც ქვისა და რიყის მეტი. არა იყო-რა, იქ მშვენიერად შემკულ მცენარეულობას მოიყვანს, მოაშენებს ცხოველთ და აამოძრავებს ნაკადულს; იქ, სადაც არწივთაც უძნელდებათ მისვლა, ადამიანის გზა მიიტანს და აახმაურებს ბუნებას; სადაც სიმშვენიერეა. სადაც გული სიამით გაიშლება, იქ ადამიანს შეუძლიან სიკვდილი დაბადოს, იგი გაანადგუროს და გააოხროს, თუ კი მისი გონება მოითხოვს. მაშ გაუმარჯოს ადამიანს — ბუნების მეფეს!..“

ერთი შეხედვით, ეს თითქოს ასეა, მაგრამ მწერალი უფრო ღრმად უკვირდება ამ დებულებას და საწინააღმდეგოდ დასკვნამდე მიდის.

„ბუნების მეფენი“ ქეიფის შემდეგ მინდვრად გაისეირნებენ და განაგრძობენ ტრაბახს ადამიანის ყოვლისშემძლეობის შესახებ. მაგრამ უცბად ბუნება მთლად ჩამობნელდება და ადამიანისაგან ბრმა მორჩილებას მოითხოვს.

„... ადამიანო, დასცხრი, დაწყნარდი!...—ყოველის მხრით ეჩურჩულება არემარე: — გეყოფა სიჯიუტე. კმარა, მონახე შენი ბინა და...“

„მაშ კიდევ ჯიუტობ?! აჰა, ჯერ ეს სცადე!...“ — უეცრად გაირღვა ცა ცეცხლის ხაზით დასკვივლა ზევიდან და გრგვინვით განვლო კილით-კიდე.“

გრიგალს წვიმა და თან მსხვილი სეტყვა მოჰყვა. ბუნების მეფენი შეკრთნენ — თავის სორო ახლა მათ სამშობლოზე მეტად უღირდათ. „სამარცხენო მათი კივილით“ იფარებოდა არემარე. დაწყნარდა, დაძმვილდა ყოვლისშემძლე ბუნება, „ბუნების მეფეთ“ გული მიეცათ კვლავ ტრაბახსა და ბაქიაობას მოჰყენენ.

„ერთმანეთს აღარ აცდიდნენ შთაბეჭდილების გამოთქმას. ყველა მათგანი კარგად გრძნობდა, რომ სინამდვილეს არ ამბობდა. ნამდვილი შთაბეჭდილება იფარებოდა, ვერც ერთს მათგანს ვერ გამოეჩინა იმოდენა მოქალაქობრივი ძალა, რომ სინამდვილე ეთქვა, და ყველა მათგანი სცდილობდა, თავისი სიმხდალე და სილაჩრე გაექარწყლებინა...“

არაგვისპირელი ამხელს „ცრუ ტრაბახა“ ადამიანებს, აჩვენებს ადამიანის უმწეობას ბუნების წინაშე.

შიო არაგვისპირელს ამ შესანიშნავი ნაწარმოებისათვის შეიძლებოდა ეპიგრაფად ვაქა ფშაველას ცნობილი სიტყვები წარემძღვარებინა: „ბუნება მბრძანებელია, იგივე მონაა თავისა“. შიო არაგვისპირელი იზიარებს ვაქას ამ დებულებას.

ადამიანი გონიერი და გამჭრიახი ცხოველია. მას ბევრი რამის გაკეთება შეუძლია. ადამიანის გონების ძალით მიღწეულ იქნა სასწაულები, მაგრამ:

„ოხ, რა შესაბრაალისია იგივე მედიდური გონება ადამიანისა ბუნების სიდიადესთან შედარებით... რა სიმცირეს, არა-რაობას და მასხარაობას წარმოადგენს ეს მედიდურობა, ამაყობა ადამიანისა... ხომ საკმარისია სულ ერთი წამით რომ მიფშენიტოს, მიღეწოს ეს ამაყად მომცურავი და ზღვის ტალღების მიმარღვეველი გემი და...“

გაქრა ადამიანის ოცნება, ამაყობა და მედიდურობა... რაღაც მღილი, რაღაც საცოდავი მატლი, რომელსაც ადამიანი ეწოდება... ეწოდება... ე...“

შ. არაგვისპირელი ბუნებას აღიარებს ყოვლისშემძლე ძა-

ლად, რომლის სიღიადესთან შედარებით ადამიანი არარაობას წარმოადგენს. ბუნების ასეთი გაგება ახალი არ იყო ქართული ლიტერატურისათვის. ასეთი შეხედულება ბუნების შესახებ მთელი სისრულით განავითარეს ვაჟა ფშაველამ და ალ. ყაზბეგმა, ოღონდ არაგვისპირელმა ამ მწერლების გაგებას ერთი შტრიხი, ერთი ახალი მომენტი დაუმატა; ეს მომენტი ადამიანსა და ბუნებას შორის არსებულ კავშირს შეეხება.

საქართველოს მშენიერი ბუნება ალ. ყაზბეგმა და ვაჟა ფშაველამ თვალისმომკრელი სილამაზით დახატეს. მათ პოეტური ძალით გაცოცხლებული ბუნების სურათების ფონზე დაგვიხატეს მთიელ ხალხთა ცხოვრება. ვაჟასა და ყაზბეგის გაგებით, ბუნება ადამიანის მეგობარია, მისი ჭირისა და მწუხარების მონაწილეა.

შიო არაგვისპირელის მიერ დახატული ბუნების პოეტური სურათები ხშირად უტოლდება ვაჟას და ყაზბეგის სურათებს. აქაც ისევე თვალწარმტაცი და მომხიბლავია ბუნების პლასტიკური სურათები, როგორც ვაჟასი და ყაზბეგისა, მაგრამ ბუნება სრულიად გულცივია ადამიანის ბედის მიმართ. ბუნების ეს ჯადოსნური ძალები თითქოს ადამიანის წინააღმდეგ ამხედრებულან, მათ არად უღირს ადამიანის მწუხარება და ღზინი: ბუნება ადამიანს ისე ექცევა, როგორც გულქვა დედინაცვალი. იგი გულგრილად უცქერის კაცის ავსა და კარგს. მწერლის ასეთ ტენდენციას ხშირად გრძნობთ შ. არაგვისპირელის ნაწერების კითხვისას. (ამ შემთხვევაში გამოწაკლისია „გაბზარული გული“. ამაზე ქვემოთ). საილუსტრაციოდ საკმარისია დავასახელოთ არაგვისპირელის ეტიუდი „ხა, ხა, ხა, რა სულელი ხარ!“ რათა ნათელი გახდეს არაგვისპირელის სკეპტიციზმი.

ქლექისაგან ფილტვებგამოქმულ ახალგაზრდა ეფრემს, ექიმის დიაგნოზით, ორიოდე წლის სიცოცხლე დარჩენია, ისიც მაშინ, თუ ზედმიწევნით „მყუდროდ“ იცხოვრებს. ეფრემი გადაწყვეტს: უმჯობესია უფრო ნაკლებ ხანს იცხოვრო, ოღონდ სიცოცხლის უკანასკნელი წუთები სიამოვნებაში გაატარაო. ამ გადაწყვეტილებამ მოუსწრაფა მას ისედაც ხანმოკლე სიცოცხლე. სიკვდილის მომენტში მასთან იყვნენ შე-

ყვარებული მარო და ორიოდ მეგობარი. ეფრემის სიკვდი-
ლით გულდათუთქული მეგობარი გარეთ გაეარდება და ზე-
ცას მიაშტერდება. ზეცა ჩვეულებრივად წყნარი და მშვიდი
იყო. მასზე არ უმოქმედია ეფრემის სიკვდილს.

„უმთვარო ცაზე ვარსკვლავები ცელქობდნენ და მი-
ძინებულ დედამიწას თითქოს დასცინოდნენ, რომ სიცოცხლით
არ სარგებლობსო. ეფრემის ამხანაგმა გამოსვლის უმალ ცას
გადაავლო თვალი და, თავისდა უნებურად, წამოიძახა:

— ცავ, შენზე ადამიანის მწუხარება არ მოქმედებს?!

— ხა, ხა, ხა, რა სულელი ხარ!...— ჩამოჰკისკისეს ზეცი-
ვარსკვლავებმა“.

ბუნება ადამიანის ბედის მიმართ ასეთი ცივი და გულ-
ქვაა, და ეს გამონაკლისი შემთხვევა როდია არაგვისპირე-
ლის ნაწერებისათვის. არაგვისპირელის ბუნება თითქმის ყო-
ველთვის ასეთია.

ადამიანსა და ბუნებას შორის არსებული კავშირი სულ
სხვაგვარად წარმოგვიდგინა არაგვისპირელმა, ვიდრე ეს მა-
ნამდე იყო მიღებული ჩვენს მწერლობაში.

* * *

შიო არაგვისპირელი ცდილობს ღრმად ჩაწვდეს „თანამე-
დროვე ადამიანის სულს“, გააშუქოს მისი შინაგანი ბუნება
და გვაჩვენოს იგი თავისი წინააღმდეგობებით, მისწრაფე-
ბებითა და თვისებებით. ამისათვის შიო არაგვისპირელი
ეძებს „ისეთ მასალას“, სადაც მთელი თავისი შინაგანი გან-
ცდებით გამომჟღავნდება ადამიანი, სადაც უფრო ხელშესახე-
ბი და გასაგები გახდება ადამიანის რაობა; ერთ-ერთ ასეთ
„ძირითად მასალად“ შიო არაგვისპირელს სიყვარულის
გრძნობა მიაჩნია, სიყვარული მნიშვნელოვან როლს თამაშობს
ადამიანის ცხოვრებაში. შიო არაგვისპირელისათვის სიყვა-
რული ერთგვარი „ფოკუსია“, სადაც ადამიანის ყველა დამა-
ხასიათებელი თვისება მჟღავნდება. ფსიქოლოგიურად ეს
ყველაზე ფაქიზი და საიდუმლო გრძნობაა ადამიანისა.

სიყვარული „ყველაზე უფრო ძნელი საგანია, რომელიც

გრძნობაზეა დამოკიდებული⁸. ეს იცის არაგვისპირელმა. თუ ეს ძნელი საგანი ახსნილი იქნება, ამით აღამიანთა რაობის გაგებაც გაადვილდება.

სიყვარული ჩვეულებრივი აღამიანური გრძნობაა, აღამიანთან დაკავშირებული ცნებაა. ამიტომ, თუ შიო არაგვისპირელი საზოგადოებისა და პიროვნების დამოკიდებულების განხილვის დროს იმ დასკვნამდის მივიდა, რომ კაპიტალისტურმა სისტემამ მთლიანი აღამიანი დაშალა და დაახურდა, იგი ასევე სრულიად ლოგიკურად უნდა მისულიყო ამ დასკვნამდე სიყვარულის გრძნობის გაგებაშიც.

აღამიანი ზოგადი ცნებაა. ეს ზოგადი იტევს რამდენიმე გრძნობას და უკავშირდება გარკვეულ თვისებებს. აღამიანი ამ თვისებითს კრებადობას წარმოადგენს, მაგრამ რაკი აღამიანი, როგორც მთლიანობა, „მოშლილია“, მისი ნაწილებიც, ცალკეული გრძნობანიც ასეთ მდგომარეობაშია. სათავე ამღვრეულია და ტოტემიც მღვრიენი არიან.

შიო არაგვისპირელის ნოველებში, მსგავსად მოპასანის ნოველებისა, იშვიათად ვხვდებით წმინდა სიყვარულს. კაპიტალისტურმა საზოგადოებამ წაბილწა გულწრფელობა, სიყვარულის „წმინდა ცნება“, დაახურდა სიყვარულის გრძნობა, იგი იქცა ფულისა და ანგარების საქმედ ან თავაწყვეტილ ვნებად.

არაგვისპირელის ნაწარმოებთა უმრავლესობისათვის სიყვარულის პოეტური ზღაპარი იმთავითვე მოხსნილია... სიყალბე, ცბიერება დაჰპატრონებია თანამედროვე აღამიანებს და სიყვარულის გრძნობაც კაპიტალისტურ ბაზარზე იყიდება, როგორც ნივთი.

სიყვარული—ნამდვილი გრძნობის ყალბი სამოსელია. მოაცილეთ ეს სამოსელი და თქვენ ხელში შეგრჩებათ მდაბალი გრძნობა, სქესთა ხორციელი გატაცება. შეყვარებულები ვნებათა ღელვას შეუპყრია, მათ ავადმყოფური სიყვარული ამოძრავებთ.

არაგვისპირელის ასეთ სკეპტიციზმს სიყვარულის გრძნობის მიმართ საყვედურით შეხვდა ჩვენი კრიტიკა.

„სადაა დასაბამი ამდენის უბედურებისა, სადაა მიზეზი ამდენის ტანჯვისა დი სისაძაგლისა. ბ-ნ არაგვისპირელის ნაწერებში მკითხველი ხშირად ხედავს სიყვარულის ისტორიას, შეყვარებულების ურთიერთობის აღერსსა და მათს მინაზებულს ხვეწნა-კოცნას, მაგრამ ეს სურათები მუდამ ბინძურად მიაჩნია მკითხველს ან სრულიად არ ხედება იმის გულს. ამის მიზეზი არ შეგვიძლიან ბ-ნ არაგვისპირელის ნიჭის ნაკლებობას მივაწეროთ, პირიქით, ჩვენ გვჯერა, რომ ვინც ტყესა და ქარს ახერხებს ჩაჰბეროს გამაცხოველებელი სული, ის მით უმეტეს ადვილად მოახერხებს სიყვარულის სცენებით მოახდინოს მკითხველებზედ სინაზისა და სიწორფობის შთაბეჭდილება. და თუ ბ-ნ არაგვისპირელის ნაწერები ასე არ მოქმედებენ, ეს პირდაპირ შედეგია ყალბი უბედურებისა...

სიყვარული იმიტომ არის თავდამავეიწყებელი, რომ უთუოდ წინ უძღვის ბრძოლა ადამიანის არსებობის დამშვიდობიანებისა და მყუდროებისა სიყვარულის ვნებათა ღელვასთან, და მყუდროების დამარცხება, რასაც პოეტები სულსკვეთებას უწოდებენ. ბ-ნი არაგვისპირელი სრულიად ყურადღებას არ აქცევს ამ გარემოებას და ამას მოსდევს მისი შემცდარი აზრი სიყვარულის შესახებ, სიყვარულისა, რომელსაც ის მოწონებისაგან და პირუტყვეული გატაცებისაგან ვერ განასხვავებს, და ის უფერულობა და ბინძურობა, რომლითაც აღბეჭდილია მის ნაწერებში ჩართული სიყვარულის სცენები“.*

ამ კამათში სიმართლე არაგვისპირელის მხარეზე იყო. შიო არაგვისპირელმა მართლაც „პოეტების ტრადიციულ სულსკვეთებას“ დაუპირისპირა სიყვარულის გრძნობის ახალი გაგება. ეს გაგება გამომდინარეობდა არაგვისპირელის ეპოქის სულიდან, ის ეფარდებოდა მაშინდელ ჩვენს ცხოვრებას. არაგვისპირელის მიერ სიყვარულის ამგვარ გაგებაში თვით ცხოვრებამ იჩინა თავი და ეს იყო არაგვისპირელის დამსახურებაც. ეს რომ ასეა, ამას ამტკიცებს ის ფაქტიც,

* ივერია, 1901 წ., № 20.

რომ არაგვისპირელის ნაწერებში ჩვენ გვაქვს საწინააღმდეგო შეხედულება სიყვარულის გრძნობის დახატვაში.

შიო არაგვისპირელის ის ნაწერები, რომელთა თემაც სიყვარულის გრძნობაა, შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს: პირველ ჯგუფს განეკუთვნებიან ის ნაწარმოებნი, სადაც შიო არაგვისპირელი უარყოფს იდეალური, პოეტური სიყვარულის არსებობას კაპიტალისტური საზოგადოების პირობებში; მეორე ჯგუფის ნაწარმოებთ ეკუთვნიან ის ეტიუდები და ნოველები, რომლებიც სიყვარულის წმინდა პოეტურ, ფაქიზ გრძნობაზე მოგვითხრობენ. მაგრამ აქ თემა იშლება ისტორიული წარსულის ფონზე ან მოქმედების ადგილად საქართველოს განაპირა კუთხეა აღებული.

შიო არაგვისპირელის უარყოფითს დამოკიდებულებას იდეალური სიყვარულისადმი, მის სკეპტიკურ განწყობილებას ნათლად გვიხატავს არაგვისპირელის ეტიუდი „წერილის ნაგლეჯი“. არაგვისპირელი ნამდვილი გულახდილობით ამხელს ისეთი იდეალური სიყვარულის სიყალბეს, რომელზედაც მოგვითხრობდნენ პოეტები. ამ ნაწარმოების აზრით, იდეალური სიყვარული ოცნების ნაყოფია. ნამდვილად იგი არ არსებობს და მას ცხოვრებასთან კავშირი არა აქვს.

ახალგაზრდა ვაჟი შეყვარებულ ქალს წერილში გულწრფელად მოუთხრობს თავის გრძნობაზე, იმ გატაცებაზე, რომლის შედეგად მან „სიყვარული გამოუცხადა ქალს“ და ქმრობის პირობა მისცა. აი, ახლა ვაჟი წერილში უკეთებს ანალიზს თავის გრძნობას და იმ დასკვნამდე მიდის, რომ თურმე „ყოველივე ის, რაც უთხრა ვაჟმა თავის გრძნობაზე და ფიცით დაუდასტურა ქალს“, სიყალბე და სიცრუე ყოფილა.

ვაჟი სწერს: „მხოლოდ მაშინ ხარ ჩემი ყველაი, როდესაც გხედავ ან მაგონდები. როდესაც კი შენს მაგივრად სხვასა ვხედავ ან მაგონდება სხვა ქალი, რომლის წინააღმდეგ არა მაქვს-რა, მაშინ... მაპატივე, ჩემო კარგო, შენდამი სიყვარული აღარ არსებობს, შენ აღარ ხარ ჩემი ყველაი, ჩემი ყველაი ის... ის არის, რომელ მშვენიერსაც ვხედავ და რომელი მშვენიერიც ჩემ წინ დგას იმ ჟამად.

ის მიყვარს იმ ქამად, მხოლოდ ის მიყვარს, გაგიტებით მიყვარს ის, და ეს გრძნობა ისეთივე გულწრფელია, როგორც შენდამი, იმაზედაც ისევ იმას ვფიქრობ იმ ქამად“.

მაგრამ თვითონ ვერ აუხსნია, რად ხდება ასე.

„რად მემართება ეს?—არ ვიცი. პირველში ვფიქრობდი, ვითომ ჯერ გამოურკვეველია ჩემი გრძნობა და ამისათვის მემართება ეს. იმის გამო გაგშორდი, რომ გამომერკვია და ჩავკვირვებოდი, მაგრამ, რაც ბევრს ვცდილობ გამორკვევას, უფრო გამოურკვეველად მრჩება და ჩემთვის გაუგებრად რჩება ის იდეალური სიყვარული, რომელსაც პოეტები გვიხატავენ. მე მგონია იმათი ოცნების ნაყოფია ის სიყვარული და ცხოვრებასთან არავითარი კავშირი არა აქვს. ან იქნება მე ვარ ამგვარი ბუნებისა და სხვები-კი არა, ნეტავ მაგრე იყვეს, მაგრამ...“

და შიო არაგვისპირელი იმ დასკვნამდე მიდის, რომ ამ წერილის ნაგლეჯში გამოხატული გრძნობა ზოგადია, დამახასიათებელია ადამიანებისაზვის და ეს არაა კერძო ხასიათის შემთხვევა.

სიყვარულის გრძნობა ნამდვილად ისეთია, როგორც ეს ჯაქს აქვს გადმოცემული:

„ყველამ რომ ასე გულწრფელად ილაპარაკოს, როგორც მე შენ გელაპარაკები, მაშინ, მგონია ყველა ამას იტყოდ...“

ამიტომ, შიო არაგვისპირელის აზრით, იდეალური სიყვარული, რომელსაც ხშირად პოეტები გვიხატავენ, მოგონილი ამბავია, მას ცხოვრებასთან არავითარი კავშირი არა აქვს.

ასე აყალიბებს შიო არაგვისპირელი თავის დამოკიდებულებას სიყვარულისადმი. ეს აზრი აქვს განვითარებული მწერალს სხვა ეტიუდებსა და ნოველებშიც. ამ მხრივ საინტერესოა „უცნაური, უცნაური!“

ამ ნოველას საფუძვლად ბიბლიური ამბავი უძევს: სიყვარულისაგან გარეტიანებული ცრემლმორეული ამნონი—ისრაელთა მეფის დავითის ძე ჩამავალი მზის უკანასკნელ სხივებს უცქერის, ფიქრებში გართული თრთოლვითა და შიშით უმხელს მეგობარს სიყვარულის საიდუმლოს. ამნონს უყვარს

თავისი და (თუმცა დედით სხვადასხვანი ირიან) და რჩევას სთხოვს მეგობარს, როგორ მოინადიროს დის გული. მეგობარმაც გამოუჩინა გზა:

შოიავადმყოფე თავი, ავადმყოფობის დროს თამარი დაიბარე და, თუ ნებით არ დაგყვა, ძალა იხმარეო.

„ავადმყოფი“ ამნონი იბარებს თამარს.

„— თამარ...— ტანის ქრქოლით წამოიძახა ამნონმა და მკლავში ხელი წაავლო...“ არ გაქრა თამარის მუდარამ და „მთლად შემოაფცქვნა კრელი სამოსი, რასაც მეფის ასულნი მყოფნი ქალწულობასა შინა, იცვამდნენ“.

ამნონმა აისრულა მხეცური წადილი და მის თვალწინ გაქრა ის სიყვარულიც, რომელიც უბრალო ხორციელი გატაცება იყო.

„დასცქერის ამნონი და გონს ვერ მოსულა, თუ ის თამარი, რომელიც მის სათაყვანებელ არსებად გარდაქმნილიყო, გვერდით როგორ უწევს ყოველი უბრალო მომაკვდავივით... „ან თამარი კი არის?!“— უეცრად დაეკითხა თავის თავს, უფრო ჩაქინებით დაუწყო მზერა მიძინებულ თამარს...“ და შემდეგ დასკვნამდე მივიდა: „ეს თამარი... არა, არა... ეს მჩვარია, მჩვარი, რომელსაც ვთელავ... ის თამარი მშვენიერება იყო, უმანკოება, მას თაყვანს ვცემდი, მის წინ მუხლს ვიდრეკდი და... ახ! ჰაჰა?..— კიდევ უფრო მწარედ მორთო ქვითინი და თავი მაგრა დააქირა თამარის მკერდს“.

სიყვარულისაგან დაცლილი ამნონი ზიზლით იცილებს თავიდან იმას, ვინც თავდავიწყებამდე უყვარდა.

„— დაიკარგე, დაიკარგე აქედან!... — დაუყვირა ამნონმა და ზიზლით ხელი ჰკრა...— მძულხარ, მძულხარ!... ვილაცა მჩვარი დაგდებულხარ აქ!..“

ასე სარკასტულად ამთავრებს შიო არაგვისპირელი ამ ეტიუდს.

ხშირად სიყვარული ფულზე იყიდება, გულწრფელი გრძნობა სიმდიდრეზე იცვლება. ნამდვილი სიყვარულის იქით ფულით გატენილი ქისა იმალება, ეს: აზრი აქვს გატარებული შიო არაგვისპირელს თავის ნაწარმოებში „სულ ერთია!“

თეკლესა და კიკოს ერთმანეთი უყვართ, მაგრამ თეკლე დაუკვირდება კიკოს მდგომარეობას და გადაწყვეტს, „რას იტყვის საზოგადოება, რომ ამ ლატაკს ცოლად გავყვე“, და ამ მოტივით თეკლე მიიტოვებს სოფლის ღარიბ მასწავლებელს, თუმცა თეკლეს გულწრფელი გრძნობით უყვარს კიკოს. ის ამას არც მამის წინაშე მალავს: „მიყვარს და მაგრე? — ეუბნება მამას თეკლე:—არ ვიცი, ესე შეიძლება ვინმემ კაცი შეიყვაროს, როგორც მე კიკო მიყვარს“. და მაინც თეკლე ტოვებს კიკოს და მიჰყვება „სულელს, უშნოსა და უღამაზო“ თავადიშვილს, რომელსაც დიდძალი ქონება აქვს. თეკლემ გულწრფელი გრძნობა ფულზე გაცვალა.

მდიდარი, მაგრამ სულელი და ლოთი არჩილის მოქმედებით უკმაყოფილო თეკლე თავის დანაშაულს მიხედება, მაგრამ უკვე გვიან არის.

„გონებას დავემორჩილე, წმინდა გრძნობა სიმდიდრეზე, პატივისცემაზე გავცვალე“,—გულწრფელად აღიარებს თეკლე. შიო არაგვისპირელი ამხელს თეკლეს მოქმედებას.

„შენ შელახე ჩემი წმინდა გრძნობა, შენი ადამიანობა სიმდიდრესა და გვარიშვილობას მიყიდე“.

მწერალი ხედავს, რომ „წმინდა გრძნობა“ სიმდიდრეზე იყიდება. კიდევ მეტი: კაპიტალისტურმა საზოგადოებამ ქალი აიძულა საკუთარი სიღამაზე ვაჭრობის საგნად აქციოს.

ორმოცდაათი წლის დავრდომილი როსკიპი ქალი („მომილოცნია ახალი წელი“) თავის უბედურებაში სამართლიანად სდებს ბრალს საზოგადოებას. „მე ვარ დამნაშავე? უმანკო, გამოუცდელ, თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის უთვისტომო ქალს რა უნდა მომეგვარებინა? ყველას ენდობი, ყოველივე სიმართლედ მიგაჩნია, მაგრამ, თურმე ნუ იტყვი, ყოველივე შხამი ყოფილა და მათი მიკარება ადამიანს უწყალოდ სწამლავს... ჩემი გულწრფელი გრძნობა, ჩემი წმინდათა-წმინდა უსინიღისოდ შემილახეს, მიწასთან გამისწორეს, ტალახით შემითხუპნეს და ვაი, სათქმელადაც ძნელია... იქამდე მიმიყვანეს, რომ ჩემ ხორცს, ხორცს ყიდვა დავუწყე, დახელოვნებულ ვაჭარსავით ვფლიდობდი, ვთვალთმაქცობდი: ვებვეოდი იმას, ვინც მძაგდა, ვიცინოდი, ვხარხარებდი“.

ბურჟუაზიული საზოგადოებისაგან გაბოროტებული ქალი აღსავსეა შურისძიების გრძნობით.

„—რატომ არ შემიძლიან, რომ ეხლა ყველა, ყველა გავსრისო, ჩემი დამცირებისათვის სამაგიერო მიეუწყაო?! ნეტავი ეხლა მოვიგდო ვინმე ხელში, რომ ჩემის კბილებით დავგლიჯო, დავფლითო და იმის ტანჯვით დავსტკბე, იმის ვაებაზე ვიკასკასო“.

სიყვარული ვნებაზე აგებული გრძნობაა. მას თან სდევს ორპირობა და სიყალბე. „წრფელ გრძნობას მხოლოდ ოცნება აჯილდოვებს“, პრაქტიკულად ის კაპიტალისტურ საზოგადოებაში არ არსებობს. ადამიანის გრძნობა ცხოველთა გრძნობას დამსგავსებია.

„—ყური დამიგდე: ხომ გინახავს ყოჩთა ბრძოლა დედალი ცხვრისათვის? მე ყოველთვის ყოჩთა ბრძოლას მაგონებს მამაკაცთა სიტყვით თუ საქმით შებრძოლება ქალის წინაშე. ორი მებრძოლი მამაკაცი სცდილობს ერთი მეორის გამასხარავებას, რომ ქალის ყურადღება დაიმსახუროს. ყოჩთა შეხედვით: მაგასვე არ სცდილობენ? თავ-პირს იმტვრევენ, ილახავენ, რომ ერთმა მეორე შორს გააძევოს და თვითონ ხელთ იგდოს დედალი. დედალი ცხვარიც გულის ფანცქალით, ტუჩთა ცმატუნით და ენის სავსავით გამარჯვებულ ყოჩს ქვეშ ეფინება. ქალი?! განა ქალიც მაგავე გრძნობით არ ეგებება მამაკაცსა?“ („სისულელეა“).

შიო არაგვისპირელის აზრით, სიყვარულის გრძნობა დახურდავდა. ამის შედეგად შეყვარებულები ატყუებენ ერთმანეთს, ცბიერობენ ერთმანეთის მიმართ. არსად არა აქვს ამდენ სიცრუეს, სიყალბესა და ორპირობას ადგილი, რამდენსაც სიყვარულის გრძნობაში. ქალიშვილი ატყუებს ვაჟკაცს, ცოლი ცბიერია ქმრის მიმართ და პირიქით.

გულჩინასა და გაიოზს თავდავიწყებით უყვართ ერთმანეთი („მხრებილა ავიჩიჩე“), გაიოზი ოცნებობს ერთგულ ცოლზე.

„ოხ, რა ნეტარებაა, როდესაც გგონია მაინც, რომ შენი არსება მეორეს შეუერთე და ორნი ერთ არსებად ხართ გარდაქმნილნი, რომ „შენ“ „ის“ ხარ და „ის“ კიდევ „შენ“.

გაიოზი იქვის თვალთ უყურებს გულჩინას გულწრფელობას, მაგრამ იქვიანობის საბუთი არა აქვს და აი ეს საბუთიც აღმოჩნდება. გაიოზი გულჩინასაგან შემთხვევით მეორე შეყვარებულთან გაგზავნილ ბარათს მიიღებს (გულჩინა ერთსა და იმავე დროს დაწერს ორ წერილს გაიოზის და მეორე შეყვარებულის მისამართით, კონვერტზე დაწერის დროს კი მისამართები შეეშლება). გამოირკვევა: გულჩინას თურმე სხვა უყვარს, გაიოზი კი სჭირდება როგორც ფარი, ფარდა.

„შენ რომ ქალი იყო“, — სწერს გულჩინა მეორე შეყვარებულს, — „მაშინ დამეთანხმებოდი, რომ ჩვენ დროში კანონიერი ქმარი ქალისათვის აუცილებელია.“

„ქმარი ქალისთვის ფარია, ფარდაა და მეც ამ ფარდას ვეძებ, რომ იმის იქით მე და შენ უშიშრად, მოურიდებლად ვისიყვარულოთ...“

შიო არაგვისპირელი ნიკიერად ხდის გულჩინას „სიყვარულს“ ფარდას და ხაზს უსვამს, რომ სიყვარული იქცა ცბიერებისა და ანგარიშის საქმედ. შეყვარებულები ერთმანეთს ატყუებენ, ზურგს უკან კი ღალატობენ.

„კაცი თუ ქალი, ორნივე ღალატობენ. საქმით თუ არა, განზრახვით მაინც. განზრახვით ღალატი და საქმით ორივე ერთია, ორივე ღალატია და არაფრით განსხვავდება. „რომელი ხედვიდეს დედაკაცსა გულის თქმასა მას, მუნვე იმრუშა...“ საცა ღალატია, იქ ერთობას ადგილი არა აქვს. ვერა, ვერა. კაცი მარტოდ იბადება და მარტოობა, ეულობა სიკვდილამდე თან სდევს. ნეტავი იმას, ვინც ამას გრძნობს, ის ბედნიერია.“

„რა არის ამის მიზეზი? რად არის ადამიანი დევნილი? ვინ დაწყევლა?“

„ვინ? ვინ. ვინღა ვინ, თვითონ... ადამიანი ყოველისფერს მოიმოქმედებს, მაგრამ გულწრფელად კი არაფერს. გულწრფელობა კი ნიადაგია ყოველივე ბედნიერებისა...“

„ცოლი და ქმარი, თუმცა ყოველთვის უმტკიცებენ ერთმანეთს გულწრფელობას, საქმით კი ცბიერობენ, ატყუებენ ერთმანეთს.“

ასეთ ნიჰილისტურ დასკვნას უკეთებს არაგვისპირელი სიყვარულის საკითხს.

ცოლი მთელი სიცოცხლის განმავლობაში ღალატობდა ქმარს, ქმარს კი ის გულწრფელი ეგონა, თავს ევლებოდა, გატაცებითა და თავდავიწყებით უყვარდა. ასე მიდიოდა მათი ცხოვრება და მხოლოდ ცოლის სიკვდილის შემდეგ გაიგო ქმარმა, რომ „ერთგული“ მეუღლე ღალატობდა.

მაშინ როდესაც ტიტუკო ერთადერთი იმედისა და საყვარელი არსების ბათოს ცხედარს გულდაწყვეტილი სტიროდა და თავის მოკვლა გადაეწყვიტა, სწორედ ამ დროს კარები გააღო დამტარებელმა და ტიტუკოს ბათოს სახელზე წერილი გადასცა. გულამღვრეული და ცრემლმორეული ტიტუკო ბათოს ცხედართან ახლოს მიიტანს ამ წერილს და ხმამაღლა დაიწყებს კითხვას:

„მინდა ყოველდღე შენს გვერდით ვიყო, ყოველ წამს შენ გეხვეოდე და შენ მკერდზე ამომდიოდეს სული და შენ კი კვირაში ორი დღე დამინიშნე და ამ ორ დღესაც აღარ მოსდიხარ...“

ისარნაკრავივით შეწყვიტა წერილის კითხვა ტიტუკომ. ბოლოს დახედა და ეწერა: „შენი ვახტანგი“. ტიტუკომ წერილიდან გამოარკვია, რომ მისი „უმანკო“ ცოლი ყოველ ორ დღეს კვირაში ვახტანგთან იყო. ხშირად წერილს უგზავნიდა იგი ბათოს. მაგრამ სიყვარულისაგან გამოლენილებულ ტიტუკოს ერთხელაც არ უფიქრია წაეკითხა წერილი, ან გაეგო ვისგან იყო ის. იგი ენდობოდა ცოლს, ცოლი კი წერილის შინაარს ისე უამბობდა, თითქოს ამხანაგისაგან გამოგზავნილი ბარათი ყოფილიყო. და აი, ახლა, სიკვდილის შემდეგ, გამოირკვა, რომ ბათო სიკვდილამდე ატყუებდა ქმარს. ასეთია აზრი არაგვისპირელის ეტიუდისა „ქარი კი ამ დროს კენესოდა, ზუოდა და გმინავდა“ (ეს ეტიუდი შინაარსით ძალიან ჩამოგავს მოპასანის „ბავშვს“ და „ანდერძს“).

ბურჯუაზიულ საზოგადოებაში ოჯახიც ერთმანეთის გაუტანლობაზე არის აგებული. მუდმივი უსიამოვნება, უკმაყოფილება თან სდევს ცოლქმრობას.

„— ეჰ, ჩემო ელიზბარ, ერთს კი გეტყვი: ყველა ქმარმა, რომ ჩემსავით გულახდით გაიბნოს, იქნება ათასში ხუთიც არ იყოს კმაყოფილი თავისი მეუღლისა“.

ამ უკმაყოფილებების ძირითადი მიზეზი ის არის, რომ ცოლ-ქმარი ერთმანეთის არჩევანს ახდენს „არა სულიერი“ ნათესაობის მიხედვით, არამედ ქონებრივი ცენზით. წრფელი გრძნობა ფულმა შეცვალა.

ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე ანა „ბებრუცუნა“ ქაიხოსროს მიათხოვეს. თავისი ბედით უკმაყოფილო ქალი შესაფერის ახალგაზრდას მოძებნის და მთელი სიცოცხლის მანძილზე ქმარს ატყუებს. ასეთია შინაარსი არაგვისპირელის ეტიუდისა „ხითხითებს და ხითხითებს“.

შიო არაგვისპირელი ღრმა კომიზმით გამსჭვალულ ნოველაში ხატავდა ბურჟუაზიულ-მეშჩანური ყოფისა და ოჯახის სახეს. გარეგნულად ეს კომიზმი, მისი ძლიერი ობიექტურობის გამო, სულის მოუთქმელად აცინებდა მკითხველს მაგრამ ეს არ იყო უღარდელი სიცილი, პირიქით, მის ქვეშ ღრმად სევდის მომგვრელი სინამდვილე იხედებოდა. მთელი ეს კომიზმი ემსახურებოდა ამ საზოგადოებრივი სისტემის უვარგისობის გამოაშკარავებას. თვითონ ავტორს ღრმა სევდას ჰგვრიდა ეს სინამდვილე.

შიო არაგვისპირელის ნაწერებში გრძნობთ, რომ კანონიერი ცოლ-ქმარი ერთმანეთს ღალატობს, მაგრამ ამ ნიადაგზე შექმნილი კომიზმი არ არის მკითხველის გასაცილებლად შექმნილი უბრალო „გამოგონება“. ეს მასობრივი ღალატი იმით აიხსნება, რომ ცოლ-ქმრის შერჩევა არ ხდება ფიზიკური და სულიერი მსგავსების მიხედვით. კაბუკურ გატაცებას, სულიერ ტოლობას ქონებრივი უზრუნველყოფა ცვლის. გულისა და გრძნობის საკითხს კი ქისის საკითხი, რამაც ბურჟუაზიული ოჯახი მოსაწყენი და უშინაარსო გახადა.

როდესაც თქვენ არაგვისპირელის ნოველაში — „ხითხითებს და ხითხითებს“ მომხდარ ინციდენტს ეცნობით, არა მარტო გულიანად იცინით, არამედ გულის სიღრმეში ძლიერ ტკივილად გრძნობთ იმ გარემოების უკანონობას, რომ ქონების გულისათვის ეს ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე ქალი ბებრუხუნა კაცს გაჰყვა.

არაგვისპირელის ნოველებში ცოლი და ქმარი ერთმანეთს

ლალატობს, ისე როგორც მოპასანის ნოველებში, მაგრამ შიო არაგვისპირელი სიყვარულის გრძნობის დახატვაში არ დარჩენილა ბოლომდე ნიჰილისტად. გულწრფელი სიყვარული ძლიერი გრძნობაა. ამ გრძნობას შეუძლია ადამიანი აამალლოს, მომაკვდავი გამოაცოცხლოს, ამ მხრივ საინტერესოა არაგვისპირელის ნოველა „ორი მკურნალი“.

ექიმების დიაგნოზით, ახალგაზრდა შალვა მაისამდე ვერ მიაღწევს, თუ ნიცაში არ წავიდა და არ იმკურნალა. შალვას კი ამის საშუალება არა აქვს და გულბელდაკრეფილი უცდის მაისს, სიკვდილის დროს. სიკვდილის მოლოდინში შალვას შეყვარებული ელიკო გამოეცხადება. გულწრფელი ალერსი და სიყვარული ისე იმოქმედებს შალვაზე, რომ ის სამაისოდ განიკურნება. ასეთია სიყვარულის ყოვლისშემძლეობა.

ასე ძლიერად აქვს წარმოდგენილი დასახელებულ ეტიუდში არაგვისპირელს სიყვარულის ამაღელვებელი ძალა. ამ ეტიუდმა ერთგვარი დავაც კი გამოიწვია იმ დროს პრესაში. აი რა ითქვა მის შესახებ:

„შიო არაგვისპირელის ესკიზს ჩვეულებრივად პირველი ადგილი აქვს დათმობილი და, მართლაც, ეს ახალი ნაწარმოები გარეგანი ფორმით და სილამაზით რამოდენიმედ მოგაგონებთ ხსენებული ავტორის წინანდელ ნაწარმოებს, მხოლოდ მოგაგონებთ, „ორი მკურნალი“ დედააზრით ყალბ საფუძველზეა აშენებული: ასე გამოდის, რომ ქლექით ავადმყოფს ნამდვილი ექიმი კი არ შევლის, არამედ ახალგაზრდა საყვარელი ქალი, თავის გადამეტებული ალერსით. შეიძლება ასეთი შემთხვევა მართლაც მოხდეს სადმე, თუმცა ჩვენ ძალიან ვეჭვობთ, მარა ეს ტიპიურ მოვლენას არ შეადგენს.“

არაგვისპირელი სიყვარულს საერთოდ ამაღელვებელ და ყოვლისშემძლე ბუნებრივ გრძნობად ხატავს, მაგრამ, იმავე დროს ხედავს, რომ „ჩვენს დროში“ ეს გრძნობა დახურდავდა, იგი ანგარებისა და ანგარიშის საქმედ იქცა. ამიტომ შიო არაგვისპირელი გულწრფელი სიყვარულის გრძნობით აღკურვილ ადამიანებს უმთავრესად ხალხის დაბალი ფენებიდან ან „ცივილიზაციის მიერ შეულახავი“ მთიელი ხალხის წრიდან იძლევა.

მეცხვარის შვილს ნინიას და მთიელის ქალს მაროს („ყველა დაჯარგე“) გულწრფელად უყვართ ერთმანეთი. ახალგაზრდა ნინიას მეფის ჯარში წაიყვანენ. ის მოხვედება ქალაქის მავნე გავლენის ქვეშ და მეძაგობაში ჩაეფლობა.

ამ ნოველაში მთიელთა გულწრფელი სიყვარულის მშვენიერი სურათია მოცემული. მთიელების ბუნებრივი, შეუღახავი გრძნობა სიყვარულისა დაპირისპირებულია ქალაქური ყოფის შედეგად დახურდავებულ სიყვარულის გრძნობასთან და ეს ?ომენტი მთიელთა ყოფის ფონზე იშლება. მთიელთა ტრადიციის, მათი უმანკო გრძნობის წარმომადგენელია მთიელი ქალი მარო. ქალაქური ყოფის ფონზე დახატულია ნინიას პორტრეტი. მართალია, იგი წარმოშობით მთიელია, მაგრამ ქალაქური ცხოვრების გავლენის ქვეშ მოექცა და მთიელის ანტიპოდად იქცა. საინტერესოა ნინიასა და მაროს დიალოგი.

საღდათები ნინია და ბარამი რუს ქალებთან ქეიფობენ. მარო, ბიჭის ტანსაცმელში გადაცმული, ხედავს ამას, იგი ველარ ითმენს უნამუსობას.

„—უნამუსო!—წამოიძახა ბაღდა და ფოცხვერით ხანჯალამოღებული გადახტა ნინიასაკენ.

ყმაწვილმა ხელიც ამართა, უნდოდა დაეკრა ქალისათვის, მაგრამ ამ დროს ბარამმა მკლავი დაუჭირა.

— რას სჩადი, ბაღდა?— შეუტია ბარამმა და იქით მიაყენა. ყმაწვილი გატრიალდა, რაკი ხანჯლის დაკვრა ვერ მოასწრო, და ამოღებული ხანჯალი ისევ ქარქაშში ჩააგო.

— ბაღდა, რისთვის გინდოდა მოკვლა?— ჩაეინებით ჰკითხა ნინიამ, როცა ყმაწვილთან მივიდა და ხელი დაუჭირა.

— ხელი უშვი!... შენ წადი, აი, ის უნამუსო ლოშნე!...— ამაყად უპასუხა ყმაწვილმა და ხელი გააშვებინა.

— ბაღდა, ბედისწერამ ხომ არ აგიტანა?!

ნინია რომ ყმაწვილს ელაპარაკებოდა, ბარამი და ნიკოლა ისევ მოუსხდნენ გვერდით ქალებს და სიმღერა დაიწყეს.

— უნამუსოები!— წამოიძახა ყმაწვილმა და გაბრუნდა.

— ბაღდა, ბედისწერამ ხომ არ აგიტანა-მეთქი?! მე ცოტა მეყოფის, მთიული ვარ!

— მთიულია!...—დაცინვის კილოთი წამოიძახა ყმაწვილ-
მა: — შენ მთიული არა ხარ, არა... წადი ლოშნე აი, ის
უნამუსო!“

მარო დარწმუნდა, რომ ნინიას „მთიელობა“ დაუკარგავს,
თავდავიწყებამდე შეყვარებული ქალი ვერ ითმენს ლალატს
და საბედისწერო გადაწყვეტილებამდე მივა.

„ქალი შედგა, გადახედა არაგვის და ტანში ჟრუანტელ-
მა გაურბინა. ცოტა ხნის შემდეგ ცივმა ოფლმა დაასხა და
კანკალმა აიტანა. „სადლა წავიდე, რაისთვის-ღა ვიცოცხ-
ლო?“—წარმოსთქვა ქალმა და ქვითინი მორთო. ქვითინი
ხმით ტირილად გარდააქცია, რასაც არაგვის შუვილი ბანს
აძლევდა. ტიროდა თავის ჯერ გაუშლელს ქალობას, სიცო-
ცხლით გაუმაძღრობას და ესალმებოდა წუთი-სოფელს. „ნი-
ნიავე, ნინიავე!...—წამოიძახა ქალმა, როცა ტირილით გული
იჯერა:—რაისთვის მომკალ? დაიწვი ჩემი ცოდვით... არა!...
არა! ლომისავე, ნუ მისმენ!... ნუ დაჰწონ ნინიას, აცოცხლე
დიღბანს და ბედნიერ ამყოფე!... ნინიავე! ჩემო ყველავე!—არა,
ყველა აღარა მყავს!... ყველაი დავკარგე...“—წამოიძახა ქალმა
და გადაეშვა არაგვში, რომელმაც ხარხარით დაალო პირი
და საჩქაროდ ჩანთქა...“

ასეთი თავაწყვეტილი, ძლიერი სიყვარული მთიელი ქა-
ლისა, ყაზბეგის გარდა, არაგვის მოუცია ჩვენს მწერლობაში.
ასევე ძლიერად არის სიყვარულის გრძნობა გადმოცემული
არაგვისპირელის მეორე ნოველაში „ის“.

სიყვარულის გრძნობა ფაქიზი და საპატივცემულო
გრძნობაა. მისი ძალა და სიდიადე იშვიათი ოსტატობით
აქვს დახატული არაგვისპირელს „გიულში“ და „გაბზარულ
გულში“.

„გაბზარული გული“ მრავალმხრივ საყურადღებო ნაწარ-
მოებია. იგი პირველი ვრცელი რომანია არა მარტო არაგ-
ვისპირელის შემოქმედებაში, არამედ მეოცე საუკუნის 20-
იანი წლებისა მთელ ქართულ ლიტერატურაში.

ამ შეიდკარიან რომანს ავტორმა არაკი უწოდა. მართ-
ლაც, მასში ძლიერია არაკული, ზღაპრული ნაკადი. ავტორ-
მა განგებ გამოიყენა ეს ფორმა, იგი მას საშუალებას აძლევ-

და უფრო მკვეთრად გამოეხატა, ამალღებული და რომანტი-
ზებული სახე მიეცა თავისი ჩანაფიქრისათვის. ავტორის ჩა-
ნაფიქრი კი ის არის, რომ ძლიერი სიყვარული ყოველისშემძ-
ლეა, იგი რალაც ღვთაებრივი ძალაა, რომელიც უბრალო
ხელოსანს ადამიანის ჩვეულებრივი გონებისათვის მიუწვდო-
მელ საიდუმლოებას ამოახსნეინებს.

რომანის მიხედვით, კაცია ბატონის ასული ეთერი ულა-
მაზესი ქალია. იგი ოცნებობს დედოფალი გახდეს და ყოველ
ღამე კაცია ბატონის კოშკიდან გადმომღვარი მთვარეს მი-
მართავდა ნაღვლიანად: „ჰოი მთვარევ, ჩემო ერთგულო,
ყურთ უჩურჩულე ჩემი სახელი, თუ ის სხვაზე ვისმეზე ფიქ-
რობს... გააბი შენი სხივების ქსელი ჩემსა და იმის შორის,
რომ ამოძრავდეს იმისი გული ჩემთვის, ისე როგორც ჩემი
ძგერს იმისთვის!... ჰოი მთვარევ, თუ კი ველირსე ჩემ წა-
დილს და ოდესმე დედოფალი გავხდით... მთვარევ, ჩემო ერთ-
გულო, მაშინ შენ გემონები მთელი სამეფოთი.“ ეთერის
კოშკის პირდაპირ საოქრომქედლო იყო, სადაც მუშაობდა
მოხუცი ოქრომქედელი და მისი ნაშვილები შეგირდი მახ-
არე. მახარე გაიგონებს ეთერის ხმას, ეს ნაზი და რომანტი-
კული ხმა ერთბაშად მოხიბლავს ოქრომქედელ მახარეს,
მთლად დაიმონებს, უცნაურ გრძნობას ჩააწვეთებს. მახარემ
იცის, რომ მასზე დიდად არავის ეყვარება ეთერი. მაგრამ
მან იცის, რომ „მიუწვდომელია ვილაც ხელოსნისათვის ეს
სიმშვენიერე, თუმცა ვინც უნდა იყოს, მახარაზე ძლიერად
არავის ეყვარება ის. და აი, ოქრომქედელი გადაწყვეტს, ეს
უცნაური ხმა, ეს მიუწვდომელი იდეალი ლითონში მოამწყ-
ვდიოს, ეთერის ხმის ოდნავი მსგავსება ლითონში მონახოს“.
თუ ეთერის დამორჩილება მინდა, ჯერ იმის ხმა დავიმორ-
ჩილო და ჩავაქსოვო ლითონში, შემდეგ კი თავისთავად თვი-
თონ ეთერიც ჩემ ხელთ იქნებაო, თვითონ ველარსად წამი-
ვაო. და აი იგი თავის პროფესიას, ცოდნას, გამოცდილე-
ბას, ძალას და ენერგიას, მთელ თავის სიცოცხლეს ამ ოც-
ნებას მოანდომებს. იგი მთლად ამ გრძნობამ დაიპყრო, იგი
დღედაღამ არკვევდა, თუ როგორ მოემწყვდია ეთერის ხმა
ლითონში. ერთი კვირის შემდეგ სძლია ეს განუხორციელე-

ბელი და მიუწვდომელი სიძნელე და ეთერის ხმა ლითონში მოამწყვდია. როდესაც ეთერი კვლავ გადმოდგა თავისი კოშკიდან, რათა მთვარისთვის გადაეცა გულისნადები, სიმღერით თაყვანი ეცა მისთვის და შეეთხოვა გამხდარიყო დედოფალი, ამ დროს მახარემ თავისი საოქრომკვედლოდან ეს უცნაური ზარი აახმაურა. და აი ადამიანი ეთერის ხმას და ბაგის ხმას ერთმანეთისაგან ვერ გაარჩევდა. ეს ეთერის მეორე ხმა იყო, მისი ორეული. როცა ეთერმა ეს ხმა გაიგონა, ჯერ შეეშინდა, ეგონა ქაჯი ემანქებოდა, კანკალმაც აიტანა, შემდეგ კი გადაწყვიტა, ეს მეორე ეთერი ხელთ ჩაეგდო და ამით გაადვილებოდა თავისი ოცნების აღსრულება. ორმაგი ეთერი უფრო ადვილად მიაღწევდა საწადელს—გამხდარიყო დედოფალი.

მახარე თითქოს კმაყოფილია თავისი ხვედრის, მან მიუღწევებს მიაღწია, კაცია ბატონის საოცნებო ქალის ხმა ნივთში გამოამწყვდია, თავის საკუთრებად გაიხადა. და გვიან მიხვდა, რომ ეს მაინც საკმარისი არ ყოფილა, „ეთერის მთლად ჩაბოკვა სდომებია, როცა ეთერმა შეამოწმა ხმის მსგავსება, მახარე აღტაცებაში მოვიდა და ბაგეს აკოცა აღტაცებით, მაგრამ ღამის თევის შემდეგ დარწმუნდა თავის შეცდომაში... თურმე ეთერი მთლად თავის შემადგენლობით სდომებია, და არა ხმა... ეს მუშაობაც კი მხოლოდ ეთერის სიყვარულის ნაყოფი ყოფილა. მხოლოდ ეხლა იგრძნო სიმწვავე სიყვარულისა და ამოაება თავის ოცნებისა.“

ავტორი აქ ხაზს უსვამს, რომ ხელოვანმა მახარემ მიუწვდომელი ადამიანის გონებისათვის მისაწვდომ საგნად აქცია, ულამაზესი ეთერის ხმა ნივთში მოაქცია. მაგრამ ეს მაინც რა ძალისა და ღირსებისა არ უნდა იყოს, მაინც ხელოვნური საგანია, იგი ნაყოფია სიყვარულისა და არა თვით სიყვარული, მახარეს კი თავად სწორედ სიყვარული სურს, ბუნებრივი ადამიანი უნდა, ნამდვილი საგანი გულწრფელი გრძნობისა და არა მისი ნიშანი, არა მისი სიმბოლო. ამიტომ, რასაკვირველია, შეცდომაა, როდესაც ამტკიცებენ, თითქოს შიო არაგვისპირელი, სიმბოლისტების მსგავსად, ხელოვანის მიერ მიღწეულ ოცნებას, ხელოვნურ საგანს მალლა აყენებ-

დეს ბუნებრივზე, რეალურზე, ნამდვილზე. არა, პირიქით, შიო არაგვისპირელი აქ დასცილდა სიმბოლიზმს, აქ მისმა რეალიზმმა ერთხელ კიდევ მთელი სისრულით ხმა აღიმალლა სიმბოლიზმის წინააღმდეგ. ამიტომ იყო, რომ მახარემ მას შემდეგ, რაც თითქოს კაცის გონებისათვის მიუწვდომელი და მოუხერხებელი გააკეთა—ეთერის მსგავსი ხმა და ბაგე შექმნა, მაინც მწვავედ იგრძნო ამოება ამ ხელოვნებით მიღწეული ოცნებისა.

„ეთერი, ეს ხომ იმისთვის მიუწვდომელი არსებაა... ვინ ვილაც საოქრომქედლოს ხელოსანი და ეპოტილება დიდებულ ბატონის ასულს. აღზნებული კოცონი სწორ მოსაზრებისა თანდათანობით იფერფლებოდა... ფერფლი თანდათანობით კაჟდებოდა და გავარვარებულ კოცონს ბოჭავდა, მაგრამ კი ვერ ათბობდა სიყვარულს.“ ეს ჩაუქრობელი გრძნობა სიყვარულისა კვლავ ეძახდა, მოუწოდებდა მახარეს ეთერისაკენ, მაგრამ მან იცოდა, რომ ეს მისთვის მიუწვდომელი იყო და ამიტომ ამ ძვირფასი ნივთის პატრონი მაინც სევდას და მწუხარებას მისცემოდა. მაგრამ მდგომარეობა შეიცვალა სიყვარულმა თავისი გაიტანა. აქ მივყვით ისევ რომანს.

ეთერი, რომელმაც გაიგონა ამ უცნაური ზარის ხმა და შემდეგ გაიგო, რომ ის ოქრომქედელ მახარეს ეკუთვნოდა, გადაწყვეტს ხელთ ჩაიგდოს ეს ნივთი. ეთერს ზარი დედოფლობისთვის სჭირდება. მახარესათვის კი ის ფასდაუდებელია, ამიტომ ვერც კაცია ბატონის მიერ შეძლეულმა დიდმა ფულმა და ოქრომ, ვერც თხოვნამ და მუქარამ ვერ დაათმობია მას ეს ნივთი. კაცია ბატონის წყრომა მუქარაში გადადის.

„— როგორ, ხმა ქურდულად მოამწყვდიე და ახლა იძახი არ გამომირთმევია რაო?—უკვე განრისხებული შეეკითხა ბატონი...“

— ქურდულად?! გამიგონე, ბატონო, ეგ ბრალი... რო გამექურდნა შენი ქალი, მაშინ შენ ქალს ის აღარ ექნებოდა, რასაც მე წამოვიღებდი... მაგრამ შენ მოწმე იყავი, რომ შენ ქალს თავისი ხმა თავისთან აქვს... მაშ... —აღელვებით შეეკითხა ბატონს:—რა საბუთით მაგრე მლანძღავ? აი ეს „ზარი“ შიშისა

თუ საამოსი აქ არის... ამოიღე შენი ქალის ხმა და წაიღე, ლითონი ხომ ჩვენია და ჩვენივე დარჩება“.

ეს ისეთი დიდი საბუთია, რომ კაცია ბატონი, მიუხედავად ეთერის დაქინებისა, ვერც ძალით წაართმევს ამ უცნაურ ზარს. ეთერს კი ზარი დედოფლობისათვის სპირდება. ამიტომ იგი, ხელთ უნდა იგდოს. ეთერი ასე მსჯელობს: „რაკი ის... ჰო, „შიშის ზარი“ ხელთ მექნება...—ფიქრობდა ეთერი,—მეფეს ვესტუმრები და იქ ავამეტყველებ ვრთად, სეფეწული გადირევა, თავზარს დავცემ და ხვეწნასაც დამიწყებს, ჯერ გავნაზღებ... და როცა თვითონ მეფე მობრძანდება და მითხოვს თავის შვილისათვის... მაშინ... ავაწენებ წალკოტს, შიგ ირმის ჯოგს მოვაშინაურებ და სულ დიდებულ ბატონიშვილს ვამწყესინებ.“ ასე ამიტომ არის, რომ ეთერი არაფერს ერიდება იმისთვის, რომ ხელთ იგდოს ეს ზარი. „შიშის ზარის შექმნის საშინელმა სურვილმა შეიპყრო, თითქოს იმის გადედოფლობა მხოლოდ ამ ნივთის წყალობით შეიძლებოდაო, თუ კი ის ჩემ ხელთ არ იქნება, რა უპირატესობა მექნება სხვა ქალების წინ, თუ ისეთი წუნიია“... და აი, ახლა ეთერი გადაწყვეტს მზაკრული გზით მიაღწიოს მიზანს. საიდუმლო გვირაბის მეოხებით იგი დაუნიშნავს მახარეს შეხვედრას და თან სთხოვს მოიტანოს უცნაური ზარი. მართლაც, ერთმანეთს ხედებიან კაცია ბატონის ულამაზესი ასული ეთერი—დედოფლობისთვის მეოცნებე და მისი სილამაზით მოხიბლული ოქრომქედელი მახარე. „პირველი შეხვედრისთანავე მოიხიბლა ეთერი. „ჯერ კიდევ მან სარკმელიდან დაინახა მახარე და უმალ მოიხიბლა იმით... ღმერთო, რანაირად არ გავდა იმათ, რომლებიც მოდიოდნენ და მოდიან და თხოულობენ ეთერს“. პირისპირ შეხვედრამ ყველაფერი შეცვალა. მახარემ, ეთერის სილამაზით მოხიბლულმა, გონება დაკარგა, ასევე არანაკლებ მოხიბლული ეთერი „დაემხო მახარეს... ბევრს ეაღერსა. თმა ხუჭუჭი თავის ბროლის თითებით უვარცხნა, უყივლებდა მახარეს, მაგრამ ამოდ... მახარე უგრძნობლად ეგდო. ბოლოს ეთერი გონს მოვიდა, მოისაზრა წყალი ეხმარნა“. და აი ასე მოაბრუნა ახლა მან მახარე, რომელიც მისთვის უკვე აღარ არის

ვილაც ოქრომქედელი, არამედ სასურველი და საოცნებო დამიანია.

ავტორი ასეთ რემარკას უკეთებს ამ სურათს: „ერთი ესეც იყო, რომ ეთერი განსაზღვრული მიზნით შეხვდა მახარეს. მახარე კი, გატაცებული თავის გრძნობით, ყურმოქრილ მონასებ ემორჩილებოდა ეთერს... მაგრამ ამ ღამეს ეთერსაც შეეშალა ნახტომი. ეთერი, თუმცა განსაზღვრული მიზნით იყო გამოსული, მაგრამ თავის თავის სიმტკიცე ვერ გაზომა. ეს უთუოდ ახალგაზრდობის მიზეზით“. სიყვარულმა თავისი გაიტანა, ახალგაზრდები გულწრფელად გაჰყენენ ამ გატაცებას. მახარეს სიყვარულით ეთერი შებოქილია, თუმცა დედოფლობის ოცნება ძლიერია მასში. და იგი გაყვება ცოლად სეფისწულს. მაგრამ მას იპყრობს ძლიერი სევდა, სევდა სიყვარულისა. როდესაც გადია ფიქრობს, რომ ბედნიერია მისი აღზრდილი, სწორედ მაშინ ხედავს ღრმად დამწუხრებულსა და სევდით შეპყრობილ ეთერს.

„—მაშ რა გადარდებს, შენი ოცნებაა ეს დღე იყო და ახლა მეუბნები, ეგ სრულებით არ მადარდებსო, მაშ რა გადარდებს, ჩემო კარგო? მითხარი... მე სულ გატყობ, რალაც ვაწუხებს, ბარემ მიაგბე და.

— მაშ არ ვიცი, გადი, რა მადარდებს... მხოლოდ ერთი ვიცი, როგორ წავიდე შინ, უკან დაბრუნება მინდა... ამალამვე რომ დავბრუნდე შინ, ო, რა კარგი იქნებოდა“. ეთერს ოცნებით კვლავ მახარე ახსოვდა, მისი ოცნება მახარეზე შორს არ მიდიოდა, მოაგონდა მახარესთან გატარებული დრო, ტანში ჟრუანტელმა დაუარა და მიწვა... იგი ჰპირდება მახარეს, რომ, მართალია, გამოჰყვა ვილაც მხლებლებს და ეძებს დედოფლობას, მაგრამ სულ მალე დაბრუნდება. თითქოს უღალატა მას, მაგრამ არა, არა, „მიგატოვე კი არა... ვახშამი დაგიშადა და, გეფიცები, მეც არ ვიცი, რად დამაგვიანდა. მომიტაცეს მეფის მხლებლებმა და გემუდარები, დამიხსენ“. ეთერი ახლა უკვე მისი სურვილის წინააღმდეგ ბრმად ემორჩილება ბედს და აი, იგი დედოფალი გახდა. ქორწილი გადაიხადეს, მეფე ნადირა დიდ ზეიმს იხდის, ამ საზეიმო დღეს ეთერმა ყველა მოხიბლა, უფრო კი

მახარეს მიერ გაკეთებული უცნაური ზარით, ეს ზარი მეფე ნადირას შიშსა გვრის, ექვს უბადებს. მისი ჩამოშორებაც უნდა თავიდან და აი, გადაუგდო იგი თავის დას მარეხს, ზარი გაიბზარა, გაიბზარა ეთერის გულიც. მახარეს ამ ზარით მოხიბლული მარეხის გულიც გაიბზარა. ახლა მარეხსაც ექვი ეპარება, რომ ალბათ ამ ნივთის პატრონი უთუოდ უყვარდა ეთერს. „შეუძლებელია,—გულის ტკენით წამოიძახა უსიტყვოდ,—რომ ქალმა ისეთი ძლიერი ადამიანი ნახოს და არ ემოხოს“. დიახ, ეთერი დაემონა ამ ძლიერი ადამიანის—მახარეს გრძნობას და მის გონებრივ ძლიერებას, ამ ნივთის შემქმნელ დიდ ხელოვანს, მაგრამ ამ ქორწინებით უღალატა მას, თუმცა სეფისწულისა არ გახდა. ჯერ იყო და ავად გახდა, შემდეგ, ერთი წლით უკან დაბრუნდა, თავის მამის სახლში, თან დაატარებდა პირველი სიყვარულის ნაყოფს, მახარეს შვილს. მეორე მხრით სიყვარულისაგან მოტყუებული და გაწბილებული მახარე, რომელმაც არ იცის ეთერის ამ გრძნობათა რთული ჭიდილის ნამდვილი აზრი, სახლიდან გადაიკარგება, ვიღაც მელორეებს შეეკედლება, შემდეგ ცნობილი მხედარი გახდება. აი, სახელმწიფოს საშიშროება ემუქრება, მეფე ნადირას შემოუთვლია, რომ მტერი საქართველოს აოხრება განუზრახავს, თუ ამ მტრის სამეფოსაგან გამოგზავნილ უცნაურ რაშს არ გახედნის მეფე და უკან არ გაუგზავნისო. კვლავ გამოჩნდება ცნობილი ოქრომკედელი, ახლა კი მხედარი მახარე, გახედნის ამ უცნაურ ცხენს, მეფის კარზე თავის სატრფოს დაეძებს, მაგრამ ვერ პოულობს, სამაგიეროდ, აქ მას მარეხი გადაეყრება და მოხიბლული მარეხი უნუგეშოდ, თავდავიწყებით შეიყვარებს მას. მახარემ გაამთელა გაბზარული ზარი. გადის დრო და საქართველოს ომს უცხადებენ. მახარე კვლავ გმირობას ჩადის, გადაარჩენს სამშობლოს და იხსნის აოხრებისაგან. მეფე ნადირა კი იმალება. ამით სარგებლობს მახარეს ძმადნაფიცი ირემა, რომელიც თავისი თავგადასავალის გამხელის შიშით მახარეს ყოველთვის წინ გამოჰყავს. იგი ხალხს მოუწოდებს და ჩააქოლვინებს მეფე ნადირას. ირემა ასე მიმართავს ხალხს:

„—ხალხო, აი თქვენ წინ დგას ის, ვინც გაქირვების დროს მიგატოვით და თავის თავს უშველა... თქვენ კი მტერს— მიგცათ პირში... ახლა თქვენ იცით, რა სასჯელს მიაყენებთ...— უთხრა ხალხს ირემამ.

მეფე-ნადირა ათრთოლდა ამ სიტყვებზე...

— ჩაეკოლოთ!... — მოისმა ირემას მხლებლებისაგან ერთიანი ხმა...

— ჩაეკოლოთ!... ჩაეკოლოთ!...—ახმაურდა ირემას მხარე.

უეცრივ ქვამ გაიზუზუნა და ნადირ-მეფეს საფეთქელში მოხვდა... ის მაშინვე დედამიწაზე დაემხო...

— რაკი დაიწყეთ, დაათავეთ!...—დაიძახა ირემამ,—ჩაქოლეთ!...

მახარე ხის ძირას იდგა და უსმენდა ირემას... გონს ვერ მოსულიყო, თუ რას ამბობდა... რა იყო იმის გამარჯვება, ან კიდევ იმისი ასეთი ხალხის წინ დამსახურება... „იქნება მართლაც ისეთი რამ ჩაიდინაო“, ფიქრობდა, როდესაც ირემა თავის ღვაწლს აზვიადებდა და მწარეთ იღიმებოდა... მაგრამ მწარე ღიმი სწრაფად აღშფოთების ნასკვებმა შეიპყრეს, როდესაც მეფე-ნადირა დაემხო და ირემამ წამოიძახა: „ჩაქოლეთო!...“

სწრაფად წინ წავარდა და მეფის გვერდით გაჩნდა...

— რას შერებით, უგუნურებო?! — მრისხანეთ დაიყვირა უგულომ...

— ეგაც მიაყოლეთ, ვერა ხედავთ, როგორ ესარჩლება თქვენს დამლუპველს!..—პასუხად მიაძახა ირემამ...

მაგრამ ყველას გაწვდილი ქვა ხელთ შერჩა. მახარემ ნადირ-მეფეს ხელი სტაცა, მაგრამ ის უკვე მკვდარი იყო...

მახარემ შეხედა ირემას... ირემამ თვალი თვალში გაუყარა და წამოიძახა:

— უნდა გიხაროდეს!... ეგაც შენი წყალობაა!..

— გაუმარჯოს ირემას, გაუმარჯოს! — ყვიროდნენ ამ დროს ირემას მეომარნი.

წამს მახარე მზად იყო მიეღრა ირემა, მაგრამ სწრაფად გონს მოვიდა, გული მოეკუმშა და...

სწრაფად გატრიალდა და მეომრებს შეეფარა...

მაშინ კი აქნობამდის მუდმივ მშრალ თვალებს ჩაბარუხის მსგავსად ცრემლი გადმოსკდა და მის გულმა ჯღრიალი გამოიღო, როგორც გაბზარულმა ზარმა, როდესაც ის უნებურად სტყორცნა...“

ამ რამდენადმე ბუნდოვან ფინალში ერთი მაინც ნათელია: ომის გმირი, ხალხის გმირი მახარე იყო, ირემა კი — ტრაბახა, ცრუ, მიმთვისებელი ამ გმირობისა. ის ფაქტი, რომ ირემა მაინც ვერ ახერხებს, ხალხი გაიყოლიოს მახარეს წინააღმდეგ, გვაგრძნობინებს მახარეს კავშირს ხალხთან, მის ერთგულებასა და თავდადებას ხალხისათვის.

მახარეს გმირობის, დიდი პატრიოტიზმის წაგონების წყარო და საგანი სიყვარულია. ამ რომანის ძირითად ფილოსოფიას, მის ძირითად იდეას სიყვარულის გრძნობა განსაზღვრავს. ეთერის სიყვარულია ის ძალა, რომელიც მახარე შეუდარებელ რაინდად, უებარ გმირად და ხალხის საყვარელ პატრიოტად აქცია.

შიო არაგვისპირელმა ამ რომანის მთელ მანძილზე ხაზი გაუსვა სიყვარულის ამ ძლიერ გრძნობას, რომლის რომანტიკულ სამოსელში გამოკვეთა არა მარტო მახარეს, არამედ ეთერის, მეფე ნადირასა და მარეხის ხასიათი. ეს ძალა რომანში რომანტიზებულად და ამალღებულად არის დახატული. ამ მხრივ ყველაზე უფრო საინტერესო სახე მაინც მახარეა. მახარე უფრო მონოლითური, ძლიერი პიროვნებაა. ამ მთლიანობასა და ძლიერებას მას სიყვარულისადმი ერთგულება და თავდადება უქმნის. ის არსად არ დალატობს თავის სპექტაკ გრძნობას, იმ გრძნობას, რომლითაც დაუკავშირა მან თავისი ახალგაზრდობა, თავისი ჭეშმარიტად მაღალი ოსტატობა და ხელოვნება, თავისი მომხიბლავი რომანტიკული სული ქალს—ეთერს. ამ მხრივ უფრო გაბზარულია ეთერის სატრფიალო თავგადასავალი. ერთი მხრით, დედოფლობისთვის მეოცნებე ქალი, მეორე მხრით, მახარეს მიერ მოხიბლული ეთერი თავის სულიერ სამყაროში რყევას განიცდის. რომანტიკული სახე ამ მხრივ ძლიერ გვაგონებს ვ. ბარნოვის „მიმქრალი შარავანდედის“ ასევე რომანტიზებულ, მაგრამ მერყევი ხასიათის თინათინს. ამ სატრფია-

ლო თავგადასავალში ქალთა სახეებს შორის სიყვარულის დაუოკებელი გრძნობით უფრო მთლიანია მარეხი. მარეხმა ჯერ კიდევ ზარის ხმაში იცნო ძლიერი სული მისი შემოქმედისა და ასე შეიყვარა მახარე. შემდეგ კი, პირდაპირ შეხვედრასას, უფრო მოიხიბლა მით, მარეხის სილამაზე და ქალური სინაზე ავტორმა რომანტიზებული ფერებითა და საღებავებით გააცოცხლა.

რომანში ასევე საინტერესოა დახატული სხვა გმირებიც, იქნება ეს კაცია ბატონი, ოქრომჭედელი, გაღია თუ სხვა. რამდენადმე მკრთალია მეფე ნადირას სახე, იგი არ არის მთლიანი პიროვნება, თავისი მიზანსწრაფვითაც არ ახდენს დამთავრებული პიროვნების შთაბეჭდილებას. მასში ბევრი რამ არის გულუბრყვილო, მოუფიქრებელი, იგი თითქოს უფრო მშიშარაა, ვიდრე ეს შეჭფერის ხალხის წინამძღოლ მეფეს. ერთგვარი მთლიანობა ამ მხრივ ირემასაც აკლია. იგი რომანის პირველ ნაწილში გამოდის უფრო მიამიტი, კაცთმოყვარე ადამიანის როლში, მოვიგონოთ მისი დამოკიდებულება მეფე ნადირასთან და მის ოჯახთან, შემდეგ მისი ერთგულება და ამხანაგობა მახარესთან, დაბოლოს, განდიდების მანიით შეპყრობილი ცრუ და ტრამახა ადამიანის როლში.

„გაბზარულ გულში“ რომანტიზებულად არიან დახატული არა მარტო ადამიანები, არამედ თვით ბუნებაც. არაგვისპირელი, როგორც ზემოთ ითქვა, ბუნებას წარმოგვიდგენდა გულცივ დედინაცვლად, რომელსაც ადამიანის ბედი არ აწუხებს. ამ რომანში კი ბუნება გაცოცხლებულია, ვაჟასა და ყაზბეგის მსგავსად, მთელი თავისი მომხიბვლევობით, ადამიანის სულიერი ცხოვრების მონაწილეობითა და თანაგრძნობით. ეს ნაწარმოები თავისებურია კომპოზიციურად შიგ ჩართული რამდენიმე არაკის მიხედვით. ზღაპარი „მებატე მწყემსზე“, მწყემსების მიერ ტყეში მოთხრობილი არაკი და სხვა დამოუკიდებელ ნოველებს წარმოადგენენ. რომანის შვიდი კარი ერთმანეთთან დაკავშირებულია ერთი ძირითადი იდეით — ეთერისა და მახარეს სიყვარულით. აქ მთელი სისრულით გამოჩნდა დიდი მომთხრობელობითი ძალა შიო არაგვისპირელისა, რომელსაც მანამდე ვიცნობდით

როგორც მცირე ფორმის სიტყვიერი ხელოვნების დიდ ოსტატს. ამ რომანს დიდ მიმზიდველობას ანიჭებს ამბავის, დიალოგებისა და თხრობის ის ზღაპრული პრინციპი, ხალხური არაკის პრინციპი, რომელსაც ასე მოხერხებულად და ოსტატურად იყენებს მწერალი. რომანის მთელ მანძილზე გრძნობთ რომანის არაკულ ხასიათს, მაგრამ ვერსად ვერ ნოძებნით ამ რომანის ხალხურ ვარიანტს, რომლისაგანაც პირდაპირ იყოს იგი ნასესხები. არა, აქ რომანის საერთო სულია ზღაპრული, ქართულ არაკს მიმგვანებული, ისე კი აქ გამოყვანილი გმირებიც, აქ მოთხრობილი ამბავიც მთლიანად ავტორის ფახტაზიას მიეწერება.

* * *

შიო არაგვისპირელის შეხედულება სიყვარულზე, მოკლედ რომ ჩამოვაყალიბოთ, ასე წარმოგვიდგება:

ბურჟუაზიულ საზოგადოებაში გულწრფელი სიყვარული არ არსებობს. ამ პირობებში პოეტების მიერ ლამაზად დახატული სიყვარულის გრძნობა ყალბი ილუზიაა. პრაქტიკულად ის ანგარებასა და ჟინიანობაზე აგებული გრძნობაა („წერილის ნაგლეჯი“, „მხრები-ლა ავიჩიჩე“, „ბალლი ყოფილხარ“ და სხვ.).

ქალი სიყვარულის ფარით ატყუებს ქმარს, მოჩვენებითი გულწრფელობით ცბიერობს მის წინაშე. მოაცილეთ სიყვარულს ცბიერების სამოსელი და თქვენ ხელში შეგრჩებათ მატყუარობა და გაუტანლობა, ცოლ-ქმარი საქმით თუ არა, განზრახვით მაინც დალატობს ერთმანეთს („ხითხითებს და ხითხითებს“, „ქარი კი ამ დროს ზუოდა, კენესოდა, გმინავდა“, „მხრები-ლა ავიჩიჩე“ და სხვ.).

ჩვენს დროში დაიკარგა გულწრფელი სიყვარული; წმინდა, ფაქიზი გრძნობა შესცვალა ანგარიშიანობამ და ფულმა. სიყვარულის გრძნობა იქცა ნივთად, რომელიც ბაზარზე იყიდება („სულ ერთია“, „მომილოცნია ახალი წელი“ და სხვ.).

მიუხედავად ამისა, შიო არაგვისპირელი სიყვარულის გაგებაში სკეპტიკოსად მაინც არ დარჩენილა. შიო არაგვისპირელის კონცეფციაში ძლიერად არის წარმოდგენილი სიყვარულის უტკბილესი გრძნობით გამოწვეული თავდავიწყება

და კეთილშობილება. არაგვისპირელის ნაწერების ერთ ჯგუფში სიყვარული მოცემულია, როგორც ადამიანის ერთ-ერთი უძლიერესი და უსპეტაკესი გრძნობა. რომელიც უბრალო ხელოსანს რაინდად აქცევს („გაბზარული გული“), მოჯამაგირეს — უშიშარ გმირად („ის“). მომაკვდავს კი გამკურნებელ ძალად მოველინება („ორი მკურნალი“). შიო არაგვისპირელის მოთხრობებში ისმის შეყვარებულთა ძლიერი გულისცემა და თავშეუკავებელი ცახცახი; მაგრამ დამახასიათებელია ის, რომ არაგვისპირელი სიყვარულის გულწრფელ გრძნობას ხედავს დაბალი ფენის წარმომადგენლებში ან გარდასული ეპოქის ადამიანებში. მის მოთხრობებში უთუოდ იგრძნობა ერთგვარი განსხვავება ქალაქურ თანამედროვე ცხოვრებასა და სოფლის ბუნებრივ იდილიურ ყოფას შორის.

არაგვისპირელის სკეპტიციზმი და ზის მიერ სიყვარულის გრძნობის უარყოფა უმთავრესად ქალაქურ წრეს შეეხება.

შიო არაგვისპირელმა სცადა მოეცა სიყვარულის გრძნობის გაგება კაპიტალისტური საზოგადოების პირობებში. ეს ცდა დამთავრდა მწერლის გამარჯვებით.

* * *

შიო არაგვისპირელი თავის მასწავლებლად თვლიდა საფრანგეთის უბადლო ნოველისტს მოპასანს. ეს რომ შემთხვევითი არ იყო, ამაში გვარწმუნებს შიო არაგვისპირელისა და მოპასანის შემოქმედების ნათესაობა.

საზოგადოდ, ლიტერატურული გავლენა არ უნდა გავიგოთ. როგორც ეპიგონობა. ყოველ მწერალს, რა დიდი შემოქმედიც უნდა იყოს იგი, ჰყავს წინაპრები, ისევე როგორც მიმდევარნი. „მწერალი ზეციდან არ ვარდება“, ის თავისი წინამორბედებისაგან იღებს შემოქმედების სათავეს. შიო არაგვისპირელსაც ჰყავდა ასეთი წინამორბედი. არაგვისპირელის ლიტერატურული შემოქმედება სათავეს იღებს, ერთი მხრით, ქართული პროზის დიდი ტრადიციებიდან, მეორე მხრით, იგი უთუოდ ენათესავენა მოპასანს. ეს ნათესაობა ყველაზე ნათლად ჩანს სიყვარულის გრძნობის გაგებაში.

მოპასანი არ იზიარებს პოეტური იდეალური სიყვარულის არსებობის აზრს, იგი დასცინის ამ თეორიას. სიყვარული მას მიაჩნია წარმავალ გრძნობად, ხორციელ ვნებად, რომელიც ჩქარა აენტება და ასევე ჩქარა ჩაქრება. პრაქტიკული შედეგი სიყვარულისა, მოპასანის აზრით, ყოველთვის ხორციელი ვნებაა და მეტი არაფერი.

„ქალები, — ამბობს მოპასანის ერთი გმირი, — რომელთა აზრი უფრო პოეზიას ეყრდნობოდა, ვიდრე ცხოვრების დაკვირვებას, ამტკიცებდნენ, სიყვარული, ნამდვილი ძალუმი სიყვარული მომაკვდავს მარტოოდენ ერთხელ მოევილინებაო. ეს სიყვარული მეხსა ჰგავს. და ის გული, რომელსაც ეს გრძნობა ერთხელაც არ შეხებია, მერე იმ ზომამდე დაცარიელებული, გამოფიტული, ცეცხლმოდებული რჩება, რომ სხვა არავითარ ძლიერ გრძნობას, თვით ოცნებას არ შეუძლია შიგ ჩაახრჩოსო.“ *

ქალების ამ პოეტურ დებულებას მოპასანი პრაქტიკული კაცის თეორიას უპირისპირებს.

„მე თქვენ მოგახსენებთ, რომ შეიძლება რამდენჯერმე გვიყვარდეს და გვიყვარდეს ჩვენი ღონითა და გულითა. თქვენ მაგალითად მოგყავთ ისეთები, რომელთაც სიყვარულისათვის თავი მოუკლავთ და ამით გნებავთ დაამტკიცოთ ვითომც შეუძლებელი იყოს მეორეჯერ განიმსქვალოს ადამიანი ამ გრძნობითაო. ამის პასუხად აი რა უნდა მოგახსენოთ. ამათ რომ ასეთი სისულელე არ ჩაედინათ, თავი არ მოეკლათ, რაც მათ შესაძლებლობას ართმევდა მეორეჯერ დაბრუნებოდნენ სიყვარულს, ისინი უეჭველად განიკურნებოდნენ: ისევე შეიყვარებდნენ ვისმე და ისე იქნებოდნენ მანამდე, სანამ თავის ღლით არ დაიხოცებოდნენ. შეყვარებულები და ლოთები ერთნი არიან. ვისაც ერთხელ დაუღევია — კიდევ დაღევს. ვისაც ერთხელ ჰყვარებია — კიდევ შეუყვარდება. ეს ტემპერამენტის საქმეა, მეტი არაფერი“.**

* მოპასანი, ჭალის სკამების მწვინელი

** იქვე.

ამრიგად, პოეზიით შექმნილი სიყვარული მოჩვენებაა, უბრალო გატაცებაა. სინამდვილეში სიყვარული „თაყვანის ცემაა სილამაზისა, ავხორცული თაყვანისცემა“. დაბალი ხორციელი გრძნობა ამოძრავებს შეყვარებულებს. მოპასანის ეს აზრი ყველაზე კარგად ჩანს „სიყვარულით“ შეუღლებულების მაგალითზე. მოპასანი აშიშვლებს ცოლ-ქმარს შორის არსებულ „სიყვარულს“ და მის იქით გვიჩვენებს მთელ სისაძაგლეს, ორპირობასა და სიყალბეს.

„ცოლქმრობასა და სიყვარულს საერთო არაფერი აქვს; ცოლს იმიტომ ირთავენ, რომ ოჯახი გაიჩინონ, ხოლო ოჯახებს იმიტომ შეადგენენ ხოლმე, რომ დააარსონ საზოგადოება. ამიტომ საზოგადოებას არ შეუძლია უცოლქმროდ გაძლოს. თუ საზოგადოება ჯაქვია, ოჯახი ცალცალკე რგოლია ამ ჯაქვისა. თუ უნდათ ეს რგოლები ერთიმეორეს მოაკავშირონ, უნდა მოძებნონ ერთმანეთის შესაფერი ლითონები“, — ასე მსჯელობს მოპასანი თავის საუკეთესო ნოველაში, რომელსაც „ოდესღაც“ ქვია, და აქედან იგი მეტად საინტერესო დასკვნას აკეთებს.

ცოლის შერთვა კანონის მოთხოვნისგან, სიყვარული კი ინსტინქტია, რომელიც ხან მარჯვნივ გვეწევა და ხან მარცხნივ.

ადამიანთა ჩვენი ინსტინქტის ასალაგმავად კანონები შექმნა. მაგრამ ინსტინქტი მუდამ ძლიერია, და როდი უნდა ეუბრძონ ხოლმე ამ ინსტინქტს, რადგან თვით ღვთისგან გვაქვს ის მონიკებული, მაშინ როდესაც კანონები ადამიანის გამოგონებულია.

„თუ ცხოვრება სიყვარულით არ გავშიფრეთ, და რაც შეიძლება მეტის სიყვარულით, ჩემო გოგონავ, ისე როგორც ბავშვისათვის მისაცემ წამალში შაქარს ურევენ ხოლმე, მაშინ არავინ ისურვებდა ასეთ ცხოვრებას, ყველა ზურგს შეაქცევდა“.*

ასე საინტერესოდ გადმოსცემს სიყვარულის თეორიას, თუ შეიძლება მას თეორია უწოდოთ, მოპასანი. ეყრდნობიან რა ამ შეხედულებებს, მოპასანის ნოველებში ცოლი და ქმარი თითქმის ყოველთვის ატყუებენ ერთმანეთს. ამის ნიმუშად შეიძლება ავიღოთ ნოველა „ბავშვი“.

* მოპასანი, ოდესღაც.

ხანშესული კაცი ახალგაზრდა ქალს შეირთავს. კაცს თავდავიწყებით უყვარს ახალგაზრდა ცოლი. სიყვარულისაგან გამოლენჩებული ქმარი ბევრჯერ კომიკურ მდგომარეობაში ვარდება. ამ ბედნიერ ყოფაში ოთხმა წელმა განვლო, შვილი კი არა ჰყავთ. ამ ოჯახის დიდი მეგობარია ვინმე დერეტერი. მეხუთე წელს ქალი დაორსულდა. მოხუცი მამის სიხარულს საზღვარი არა აქვს. მაგრამ ტრაგედიაც აქ იკვანძება. ცოლი გადაჰყვება ბავშვს. მამა ზრდის შვილს. თავდავიწყებით უყვარს თავისი „პირმშო“, ასევე სიყვარულით ეალერსება ბავშვს დერეტერი. გადის დრო და გამოირკვევა, რომ ამ ბავშვის ნამდვილი მამაა არა ეს მოხუცი, არამედ დერეტერი. მოხუცი კაცი თავს იხრჩობს. თურმე ეს „სათნოიანი“ ახალგაზრდა ქალი, რომელიც თავდავიწყებით უყვარდა ქმარს, ცბიერი და მატყუარა ყოფილა. იგი ამ ოჯახის მეგობრის ბატონ დერეტერის ხასა იყო. ასეთი ამბავი არ არის უცნაური მოპასანის შემოქმედებისათვის. ცოლი ქმარს ატყუებს, ქმარი ცოლს და ასე დაუსრულებლივ. მიუხედავად ამისა, მოპასანისათვის მაინც არ არის გამორიცხული გულწრფელი სიყვარული, მაგრამ ის ყოველთვის დაბალი წრის ფენებში — ლარიბ ხალხშია. მოპასანი, შიო არაგვისპირელის მსგავსად ერთგვარ სოციალურ საფუძველს უძებნის სიყვარულის გრძნობას. მაგალითად მოპასანს „ჩალის სკამების მწვანელში“ გამოყვანილი ჰყავს ლარიბი კაცის ქალიშვილი, რომელსაც თავდავიწყებით უყვარს მდიდარი კაცი. მისი სიყვარული გულწრფელია და ეოთადერთი, ის ამ გულწრფელი სიყვარულის გრძნობით მოკვდება კიდევ. სიკვდილის წინ მთელ თავის ქონებას უტოვებს იმ ბურჟუას, რომელმაც მას სიცოცხლეში ერთი თბილი სიტყვაც კი არ აღირსა.

მოკლედ რომ ვთქვათ, მოპასანის შემოქმედებაში გვაქვს სიყვარულის ორგვარი გაგება: ნოველების ერთ ჯგუფში სიყვარული მოცემულია როგორც ხორციელი ვნება, წრფელი სიყვარული ფულზე იცვლება; ამის შედეგად ცოლი და ქმარი მუდამ ღალატობენ ერთმანეთს, რაც საფუძველს აძლევს მოპასანის სკეპტიციზმს. მაგრამ, მეორე მხრით, მო-

პასანის ნოველებში გვხვდება წმინდა სიყვარულის ფაქიზი გრძნობა, რომელიც ადამიანს აკეთილშობილებს და ამაღლებს. როგორც ზემოთ ვნახეთ, სიყვარულის ასეთსავე გაგებასთან გვაქვს საქმე შიო არაგვისპირელის შემოქმედებაშიც.

მოპასანის აზრით, თუ „შეყვარებულნი და ლოთნი ერთნი არიან, სიყვარული ტემპერამენტის საქმეა და მეტი არაფერი;“ შიო არაგვისპირელის გაგებით, „სიყვარული მოდაა, ის საზოგადოების აზრს ემორჩილება, ის მეშხანური აზრის გავლენის ქვეშაა“. ამ მხრივ შიო არაგვისპირელსა და მოპასანს შორის საკმაოდ ბევრი რამ არის საერთო.

შიო არაგვისპირელი, ისევე როგორც მოპასანი, მეტნაკლებ „უიღბლო“ სიყვარულზე მოგვითხრობს. ეს თემა აინტერესებდა მას. იგი ტყუილად როდი წერდა: „ყოველი გზა რომში მიგვიყვანსო“, რომაელები ამბობდნენ უწინ; და ჩვენ კიდევ ახლა შეგვიძლია ვთქვათ: ყოველგვარი ბაასი სიყვარულით დამთავრდება...“

არაგვისპირელსა და მოპასანს შორის არსებული მსგავსება უფრო გარეგნულია, ვიდრე არსებითი, მათი შემოქმედებითი ნათესაობა არ უნდა გავიგოთ ეპიგონობად. შიო არაგვისპირელი დამოუკიდებელი ორიგინალური შემოქმედია. მაგრამ ამ ორიგინალობას, ისე როგორც ყოველგვარ ორიგინალობას, ჰქონდა ერთგვარი სათავე.

* * *

შიო არაგვისპირელის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქართველი გლეხკაცის საკითხს. არაგვისპირელს არ დაუზოგავს პოეტური საღებავები, რომ ემხილა გლეხკაცის მჩაგვრელი ძალები. მან პატიოსანი შრომისა და თავისუფლების იდეას არა ერთი და ორი შესანიშნავი ნაწარმოები უძღვნა. თავის რეალისტურ-ფსიქოლოგიურ ნოველებსა და ეტიუდებში შიო არაგვისპირელი იძლეოდა სოციალური უკუღმართობით დაჩაგრულთა აუტანელი ყოფის გულსაკლავ სურათებს, რომლებიც მკითხველებში მჩაგვრელთა მიმართ ზიზღსა და სიძულვილს აღვიძებდნენ. მწერალი

მთელი თავისი კეთილშობილებითა და სიმპათიებით თანა-
უგრძნობდა ხალხს. მას გულს უკლავდა გლეხკაცის უუფლე-
ბო მდგომარეობა.

გლეხი ათასგვარ ჩაგვრისა და უსამართლობის ობიექტია,
მას ყველა ჩაგრავს:

„მაზრის უფროსი, ბოქაული, მათი თანაშემწეები და გა-
დამწერლები, გადამწერლების გადამწერლები და მათი თა-
ნაშემწენი, ასისტანტები, მათი ჩაფრები და მოჩაფრეები, —
ერთი სიტყვით, მაზრის მოხელეების მთელი გუნდი, რომე-
ლიც მრავალზე მრავალშტოიანია, რომ მარტო იმისთვის
არსებობს და მოდის სოფელში, რომ გლეხს თვალეები დაუბ-
ღვიროს, დასკყვილოს და თუ მოისურვა, სილა გასტკიცოს
ან მათრახი გადაუჭიროს; თუ რამ გადასახდელი აქვს, წაარ-
თვას, გააგდოს ბეგარაზე, მიაყენოს გაჭირვება და ყელში
წაუჭიროს და არა იმისთვის, რომ გლეხის საკეთილდღეოდ
აზრუნოს“ („ჩემი ბრალი არ არის, ღმერთო!“).

გლეხი იჩაგრება როგორც მთავრობის მოხელეებისაგან,
ისე ყოფილი აზნაურებისა და თავადებისაგან. „ეხლა ამ
მჩაგვრელების გუნდს ვაჭრებიც მიემატა“. საუკუნეობით
იჩაგრებოდა გლეხი და ასევე იჩაგრებოდა იგი შ. არაგვის-
პირელის დროსაც.

გლეხკაცმა ამ ტანჯვისა და უბედურების მიზეზი იცოდა,
მაგრამ ხშირად იტანდა ხმის ამოუღებლივ:

„გლეხებმა ყოველთვის იციან, ვინ ჰყვლევფავს იმათ, მაგ-
რამ ხმას ვერ იღებენ, და ძალა-უნებურად ხმის ამოუღებლად
წინ უწევებიან ცხვრებივით, რომელთაც დუქარდით შიგ
ძილში პარსავენ“.

ძალიან ხშირად გლეხები იბრძოდნენ უსამართლობის წი-
ნაიღმდეგაც, კლავდნენ თავიანთ მჩაგვრელებს. ასეთი ფაქ-
ტები აღწერილია ქართულ ლიტერატურაში. ამის საუკეთე-
სო მაგალითს წარმოადგენს თვითონ შიო არაგვისპირელის
„ჩემი ბრალი არ არის, ღმერთო!“. გლეხი, დათუა შრომი-
შვილი გამრჯეა. ის დღე და ღამეს შრომაში ატარებს და
მანც მშიერია. მთელი მისი ნაშრომი გადასახადსა და ბე-
გარაში მიდის. ბოლოს კი არც ეს აკმარეს. მისმა მეზობელ-

მა ისაკა კამიაშივილმა, ამ ახალი დროის ბატონმა, ძალადობით წაართვა ერთადერთი იმედი, ოჯახის შემნახველი ვენახი, დათუა შრომიშვილი ვერ იტანს ამდენ ჩაგვრას და კლავს თავის მჩაგვრელს — ისაკა კამიაშივილს. ეს ცალკეული პროტესტი არ არის ორგანიზებულ ბრძოლაში გადაზრდილი განზოგადოებული და ამაღლებული, მაგრამ აქ საინტერესოა ის, რომ მწერალი იძლევა პროტესტანტი გლეხის ტიპს. ასეთ ტიპებს წინათაც იცნობდა ჩვენი ლიტერატურა.

შიო არაგვისპირელი ამჩნევს, რომ გლეხის ნაშრომი უკანონოდ სხვას მიაქვს. ეს იღეა მას მოცემული აქვს მეორე ნოველაშიც „ღმერთო, დაილოცოს შენი სამართალი“.

მალხაზა დღედაღამ მუშაობს, მაგრამ ოჯახი მაინც მშვიერია.

რთველი დადგა. ვენახმა მშვენიერი მოსავლით აანაზღაურა მალხაზას შრომა. მალხაზა ყვითლად გამომღვიე მტევენებს, შეცქერის და ზედ დაკანკალებს. მაგრამ რისთვის?

„ნეტა, რისთვის?! — ბევრჯერ დაჰკითხებია თავის თავს მალხაზა, მაგრამ პასუხის მოცემა კი გასძნელებია... — განა იმისათვის, რომ ბალომ გაიხაროს თავის ცოლ-შვილით?!... მე შავიმუშაო, ჩემი სისხლი შიგ ჩავღვარო ჩემ მამულში და... იმან წაიღოს... ჰმ... მე კი პერანგის ყიდვის ილაჯიც არ მქონდეს, რომ ძველი გამოვიცვალო...“ მწარის ღიმილით წამოიძახებდა ხოლმე მალხაზა, როცა კომბალ-დაბჯენილი ჩაუფიქრდებოდა თავის თავს და შემდეგ ჩამობლენძილ პერანგის გულის პირზედ დაიხედებოდა...“

სოფლის ვაჭარი ბალო ტყავს აძრობს გლეხს.

შიო არაგვისპირელი რეალისტურ ფერებში დიდი ოსტატობით იძლევა გლეხთა დუხჭირ ცხოვრებას. ავტორი ამხელს მთელ საზიზღროებას ბატონყძური ნაშთების, ჩარჩებისა და ჩინოვნიკებისას, რომელთა მსხვერპლი ხდება ღარიბ-ღატაკი გლეხკაცი. შიო არაგვისპირელი იბრძოდა უსამართლობის წინააღმდეგ. მაგრამ მან ვერ მონახა უსამართლობის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის საჭირო გზები. წერილებურეყუაზიული უპერსპექტივობა ამ თემაშიც გამომჟღავნდა.

მიუხედავად იმისა, რომ შიო არაგვისპირელი თემატიკუ-

რად ახლო იდგა ხალხოსნებთან გლახობის საკითხის გაგებაში, ხალხოსნებსა და არაგვისპირელს შორის მაინც არსებითი განსხვავებაა.

ხალხოსნებისათვის სრულიად უცხო იყო ის ძლიერი ფსიქოლოგიზმი და მხატვრული სისრულე, რაც არაგვისპირელის პირველსავე ნაწარმოებში გამოჩნდა. საკმარისია აქ მისი აღრინდელი ნაწარმოები „ესაა ჩვენი ცხოვრება!“ დავასახელოთ. ამ ნაწარმოებში ავტორი დიდი პოეტური ფერადებით, გლახთა მდგომარეობის შინაგან სულიერ განცდათა ღრმა ცოდნით აღწევს სურათის დახატვას. ამ სურათს ძლიერად შლის იგი ნაწარმოების ფინალში.

„თითქო ლომამა და ნიკორამაც იგრძნეს თავიანთი პატრონის უბედურება, იმათაც მოიგრიხეს კისრები და წყლით სავსე თვალები მოწყენით სიმნოს მიაპყრეს და სხვაგნით აღარსაით აღარ იხედებოდნენ; შესწყვიტეს ცოხნა და ხამუშ-ხამუშ ოხვრის მაგივრად ღრმად წამოიფშუვლებდნენ ხოლმე.

მთვარე კი გულგრილად, შეუბრალებლად დასცქერის ზემოდგან და თითქო ეუბნება: — „აი, თქვე საცოდავებო, თქვენა!.. რა ჩაგიკიდნიათ თავები და ჩამოგტირისთ ცხვირპირი?! მაგ ერთი მლილისათვის თქვენ მაგრე იქრუშებით და იწუხებთ თავებ.. მაშ მე რაღა უნდა ვქნა, როდესაც ჩემ თვალწინ უსამართლოდ დახოცილის ხალხის სისხლის მორევები დგება, როდესაც მრავალი ერი სხვის ხელში უსამართლოდ ილუპება და ანთხევს სისხლს?!... ეეჰ, თქვე უბედურებო, თქვენა!“

ამ დროს მთვარე ნაწყვეტს ღრუბელს მოეფარა და მიხუჭა თვალები, თითქოს ამითი უნდა ანიშნოს მეურმეებს, საკმარისია წუხილიო.

— ესაა ჩვენი ცხოვრება!...— წამოიძახა დიდი ხნის სიჩუმის შემდეგ ერთმა მეურმემ და მწარედ ჩაიქნია თავი; რამდენიმე ტყვიასავით ცხელი ცრემლი გადმოუვარდა და სიმნოს. გაყინულ სახეს დაეცა...“

ძლიერი ფსიქოლოგიზმი, დამახასიათებელი არაგვისპირელის ნაწერებისათვის, განასხვავებს მას ხალხოსნებისაგან. მისი ერთი ნაწარმოებიც — „მამას მიწა მივყარეთ“ საკმარისია გაითვალისწინოთ, რომ ეს განსხვავება თვალში გეცეთ.

გლები სოსიკა ხოლერით მოკვდება. არავინ მიეკარება მკვდარს. ცოლი ძლივს იშოვის ორ კაცს, ურმით წაალებინებს ცხედარს და ნახევრად მიაყრიან მიწას ცოლი და შვილი. სახლში დაბრუნებულ ცოლს ემართება ხოლერა და როდესაც ის სიკვდილს უახლოვდება, გარეთ ითხოვს შვილს იმის შიშით, რომ ბავშვსაც არ დაემართოს ხოლერა.

ფსიქოლოგიური მომენტის აღწერისა და გადმოცემის შესრულების თვალსაზრისით პოეტურ შედეგად შეიძლება ჩაითვალოს „მამას მიწა მივაყარეთ“. შეუძლებელია ადამიანმა ეს ნაწარმოები ისე წაიკითხოს, რომ დიდი სინანული არ განიცადოს.

შიო არაგვისპირელი სრულიად სხვა მხრივ აშუქებს გლებკაცის უნუგეშო ყოფას, ვიდრე ხალხოსნები. ხალხოსნებმა წინ წამოსწიეს სოციალური საკითხი და ისე გააშუქეს, რომ ხშირად მის ხარჯზე მხატვრული ოსტატობა დაივიწყეს. არაგვისპირელმა ხალხოსნების ეს ნაკლი დასძლია და ამ ხაზით ამაღლდა იგი მხატვრული სიტყვის დიდი ოსტატის დონემდე.

არა მგონია მართალი იყოს მტკიცება, თითქოს შიო არაგვისპირელის „ახალი წლის ღამე“ ნიკო ლომოურის „ქრისტიანი ლეკების“ გავლენითაა მთლიანად დაწერილი *, და აი რატომ:

შიო არაგვისპირელი „ახალი წლის ღამეში“ იძლევა გლების ფსიქოლოგიურ განცდას, გამოწვეულს სიკვდილის მოახლოებით.

მომაკვდავ გლებს ყველაზე უფრო ის აწუხებს, რომ სიკვდილის შემდეგ შეიძლება მისი ცოლი სხვას გაჰყვეს. ამ გრძნობით აღშფოთებული, საყვარელ ცოლთან უკანასკნელად გადახვეული კვდება. არაგვისპირელს აქ უფრო გლების ფსიქოლოგიური მდგომარეობა აინტერესებს. „ქრისტიანი ლეკების“ თემა კი სულ სხვაა. აქ ლომოურის მიერ ნაჩვენებია, თუ როგორ უმოწყალოდ ჩაგრავენ გლებებს ადმინისტრაცია და სოფლის მოხელეები, და ამ ჩაგვრის წინააღმდეგ ერთგვარი

* შ. რადიანი, ლიტერატურული მემკვიდრეობა.

ყრუ პროტესტი გაისმის: როგორც ვხედავთ, თემა სრულიად სხვადასხვაა.

80-იანი წლების თითქმის ყოველ ქართველ მწერალს აქვს ხალხოსნურ იდეასთან ერთგვარი კავშირი. განა ე. ნინო-შვილის ნაწერებში არ გვხვდება ხალხოსნური იდეები? და ნინოშვილი ხომ ყველაზე რევოლუციურ-დემოკრატიული მიმართულების მწერლად მოჩანს ამ პერიოდში? რით უნდა აფხსნათ ეს? ჩვენი აზრით, ამის მიზეზი თვით ეპოქის ხასიათში უნდა ვეძიოთ, ამ ეპოქაში ხდებოდა ხალხოსნური იდეების ლიკვიდაცია და მარქსიზმის დამკვიდრება, მაგრამ ჯერ კიდევ რევოლუციური მარქსიზმის პოზიციები არ იყო განმტკიცებული. ამიტომ უფრო სამართლიანი იქნება, თუ ვილაპარაკებთ შ. არაგვისპირელზე 80—90-იანი წლების მწერლობის ხასიათის ზოგადი გავლენის კი არა, კერძო ხალხოსნური გავლენის შესახებ. ეს რომ ასეა, ამას გვიმტკიცებს ახლახან აღმოჩენილი უცნობი კომედია შიო არაგვისპირელისა „კოკა ყოველთვის წყალს ვერ ზიდავს“. ეს კომედია მრავალმხრივ საინტერესოა. ამიტომ მასზე ცოტა ვრცლად უნდა შევჩერდეთ.

* * *

შიო არაგვისპირელის სახელით დღემდის ჩვენს ლიტერატურაში ცნობილი იყო მხოლოდ ერთი პიესა „შიო თავადი“, მას მიაწერდნენ აგრეთვე ორ კომედიას, მაგრამ მათ დაკარგულად თვლიდნენ.

1926 წელს შიო არაგვისპირელის გარდაცვალების გამო დაწერილ წერილში მისი უახლოესი მეგობარი და ბიბლიოგრაფი თ. სახოკია წერდა:

„მწერლობა შიომ დაიწყო კომედიებით. სემინარიის გათავებისას მან დაწერა ორი კომედია. სათაურები არც ერთის მახსოვს და არც მეორესი. ერთის შინაარსი კი იყო სასაცილოდ აგდება მაშინ დიდ მონღოლში მყოფი ტურნირებისა, მაშინდელი ქალები რომ ატარებდნენ. ეს პიესა აბაშიძეს გადავეცი, ვასომ არ ვიცი, წაიკითხა თუ არა, მაგრამ

ის კი ვიცი, რომ არც სცენაზე არ დადგმულა და თვით პიესაც დაიკარგა“. * ნამდვილად კი „დაკარგული პიესა“, რომელზედაც თ. სახოკია მოგვითხრობს, საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაშია დაცული.** აქედან გადმოიბეჭდა იგი შ. არაგვისპირელის თხზულებათა სრული კრებულის II ტომში. რომ ეს პიესა დაკარგულად მიჩნეული კომედიია, ამას ორი რამ ამტკიცებს:

1. პიესა აკინძულია და გარეკანზე ასეთი წარწერა აქვს: „თედო. შიგ წერილია“. ჩანს, ავტორს გამზადებული პიესა გამოუგზავნია თედო სახოკიასათვის წერილით. თედოს ის წაუკითხავს და ალბათ ისიც ამ შთაბეჭდილებით წერდა, რომ პიესის შინაარსი იყო სასაცილოდ აგდება მაშინ დიდ მოდაში მყოფი ტურნირებისაო. მართლაც, პიესაში ეს მომენტი გადმოცემულია (მეორე მოქმედება), ხოლო მისი თემა არსებითად სხვაა, უფრო საინტერესო და რთული, ვიდრე მოდების საკითხი.

2. პიესის ტექსტში (მესამე მოქმედების დასაწყისი) არის წარწერა: „ვასო“ (იგულისხმება ვასო აბაშიძე, რომლისათვისაც გადაუცია ეს პიესა თედო სახოკიას,—ს. ჯ.) ხელნაწერს შიგადაშიგ კითხვის ნიშნები აქვს დასმული სხვა ხელით და შემდეგ ამის მიხედვით უსწორებიათ. ალბათ იგი დასადგმელად მზადდებოდა.

პიესას აქვს თარიღი—„1889 წელს, 19 აპრილს“. აქედან ჩანს, რომ ავტორს ეს პიესა ჯერ კიდევ სემინარიაში ყოფნის დროს დაუწერია. იგი შიო არაგვისპირელის დღემდე ცნობილ ნაწარმოებთა შორის ყველაზე ადრინდელია; ამდენად იგი ჯერჯერობით უნდა მივიჩნიოთ შიო არაგვისპირელის სადებიუტო ნაწარმოებად.

ეს კომედია ჩვენი ინტელიგენციის ყოფითს ფონზე იშლება. იგი უმთავრესად ეხება 80-იანი წლების მაღალი წოდებისა და ჩვენში ახლად გაჩენილი ინტელიგენციის ცხოვრებასა და მიმართულებას. ერთი მხრით, მოცემულია ზნედაცემული

* დროშა, № 3, 1926 წ.

** ხელნაწერი, № 1202.

და აღვირახსნილი მოქმედება გადაშენების გზაზე დამდგარი მალალი წოდების წარმომადგენლის—გიორგი ბეროშვილისა, რომელიც შემდეგნაირად მსჯელობს: „ქალის დანიშნულება მაშ მეტი რა არის, თუ არა იმისი კოცნა და ხვევნა? ქალი იმ მიზნით არის გაჩენილი, რომ კაცის მოთხოვნილება დააკმაყოფილოს, იმის სურვილი აასრულოს. ახლა ბევრს ჩმახავენ ქალების უფლებაზე, თუმცა მეც კი ვამბობ საზოგადოებაში ამის სასარგებლოდ, რომ უვიცად არ მიცნან, მაგრამ მე იმათი უფლებისა სრულებით არა მწამს რა. იმათი საქმე თბილ ლოგინში წოლაა და გადაგორ-გადმოგორვა, რითაც უფრო მიიზიდავენ კაცებს, აუნთებენ გრძნობას და... მაშ რაში გამოდგებიან: იმათი არც ტყავი ვარგა და არც ხორცი“.*

შიო არაგვისპირელი დიდი დამაჯერებლობითა და ოსტატობით აღწევს იმას, რომ გიორგის სახით განაზოგადოს დეგრადაციის გზაზე დამდგარი ფეოდალური არისტოკრატის გონებრივი და ზნეობრივი დაცემულობა.

გიორგის სახით არაგვისპირელი წარმოგვიდგენს საზოგადოებისათვის მავნე, ხორცმეტ პიროვნებას, რომელიც თავისი აღვირახსნილი მოქმედებით ზიანს აყენებს მშრომელ ხალხს.

მეორე მხრით, პიესაში ფეოდალური წოდების წარმომადგენელს უპირისპირდება მშრომელთა წრიდან გამოსული ინტელიგენტის სრულიად ახალი ტიპი—სიკო, რომელიც თავის მთელ გამოცდილებას მშრომელი ხალხის ბედნიერებას სწირავს; იგი ებრძვის უსამართლობას, იცავს მშრომელებს მჩაგვრელებისა და მოძალადეებისაგან. სიკო სახლში მიუყარდება გიორგის და მისგან ანგარიშს ითხოვს იმ უნამუსო მოქმედებისათვის, რომლის მსხვერპლი გახდა გლეხი სოსიკას ქალი.

„ერთადერთი ქალი გაუუპატივრეთ, შეურაცხყეთ თქვენნი ფლიდის ენის საშუალებით და ახლა ყურსაც აღარ იბერტყავთ, თანაც კიდევ აშინებთ: „თუ ხმა ამოგიღიათ, ლუკმა პურს გაგიწყვეტო“ მაგით თქვენ იმას ვერ შეაშინებთ, მე

* კოკა ყოველთვის წყალს ვერ ზიდავს.

ვიქნები იმის წინამძღვარი და იცოდეთ, გარყვნილო კაცო, კაცო კი არა, არაკაცო, რომ შენ ცუდათ წაგივა საქმე“.

სიკო ამხელს თავადაზნაურობის ზნედაცემულობას. თავადებს გვარიშვილობით მოაქვთ თავი. სიკო კი სწორედ თავადიშვილობაში ხედავს მათი ზნეობრივი გახრწნილობის მიზეზს.

„ამის მიზეზი თქვენი ზნეობრივი დაცემულობაა, ხოლო ზნეობრივ დაცემულობის მიზეზი თქვენი ფუფუნებაა, თქვენი ბილწური ცხოვრება, სწორედ რომ თქვენი თავადიშვილური...“

თქვენა ბრძანებთ, „თავადიშვილი ვარო“, დიახ, თქვენ თავადიშვილი ბრძანდებით, მაგას გამეორება აღარ უნდა, მეც კარგად ვიცი, ვიცი აგრეთვე, რომ თქვენ ნასწავლი ხართ, მაგრამ ეგ მაინც ვერაფერს გიშველით; ეგ მაინც კაცობას ვერ მოგანიჭებთ. თავადიშვილობა კაცობას არ შეადგენს, ეგ გარეგანი წამოსასახამია. როგორც ბრწყინვალე სამოსელი ვერ მიანიჭებს კაცს კაცობას, აგრეთვე თავადიშვილობა. სანატრელია ჩემთვის სულითაც თავადიშვილი იყოთ, როგორც ხორციითა ხართ. ხოლო რაც შეეხება სწავლას, ვერც იმას უხეირნია თქვენს თავში. სწავლას რომ თქვენზე გავლენა მოეხდინა, მაშინ ეს ამბავი აღარ მოხდებოდა. იქნება კიდევაც კარგი სწავლა მიგიღიათ, მაგრამ სწავლა ორნაირად მოხმარდება: შეიძლება კარგი მიმართულება მისცეთ და ისიც შეიძლება, რომ ცუდად გამოიყენოთ. შგონია ბოლო უფრო გეკუთვნით თქვენ“.*

აქ საინტერესოა სიკოს დამოკიდებულება სწავლისადმი. სიკოს შეხედულება, ხალხოსნების შეხედულებასთან შედარებით, უფრო რადიკალურია.

სიკოს სახით ავტორმა მოგვცა ინტელიგენტის ახალი ტიპი, რომელიც ჩვენში 90-იან წლებში გაჩნდა რუსეთის საზოგადოებრივი აზროვნების ზეგავლენით. ამ ინტელიგენტის სახე ჯერ კიდევ მსოფლმხედველობრივად ჩამოყალიბებული არ იყო.

ხალხოსნების რწმენით, მარტო განათლებას შეუძლია შე-

* იქვე.

ცვალოს „ცხოვრების ფერი“, საზოგადოების გარდაქმნა კრიტიკულად მოაზროვნეთა გონებაზეა დამოკიდებული. შიო არაგვისპირელის დამოკიდებულება სწავლისადმი არსებითად სხვაგვარია. მართალია, იგი თავისუფალი არაა ხალხოსნური იდეოლოგიისაგან, მაგრამ, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, ზოგი მომენტით არაგვისპირელის შეხედულება ხალხოსნების შეხედულებისაგან უეჭველად განსხვავდება. ეს კარგად ჩანს ამ ნაწარმოებში.

პიესაში გამოყვანილია ქართველი ქალის საუკეთესო ტიპი—ნინო. სიკოს გავლენით ნინო არსებითად შეიცვლის ცხოვრების გზას, იგი გახდება ხალხის ნამდვილი მეგობარი და მასწავლებელი. ქალის ამ სახეში არაგვისპირელი იძლევა ქართველი ქალის ახალ ტიპს. შიო არაგვისპირელმა თავისი დამოკიდებულება სწავლისადმი ამ ქალს გამოათქმევინა.

„ეს რა საცოდაობაა!..—ამბობს ნინო, როდესაც იგი წიგნს წაიკითხავს,—ნუთუ კაცობრიობა ისე დაბლა სდგას, რომ ამისთანა საცოდაობას თვალს არიდებს? სად არის ცივილიზაცია, სად გაქრა იგი?! ნუთუ ჩვენი ნაქები საუკუნე ასე ცივად უცქერის რამდენიმე მილიონი ხალხის ტანჯვასა და ვაებას? მე საცოდავს მეგონა, მარტო ჩემ სამშობლოში იტანჯება ხალხი, რადგანაც მასში ჯერ განათლებას ღრმად არ გაუდგამს ფესვები და იმედი მქონდა: როცა განათლება გავრცელდება, ხალხის ტანჯვაც მოისპობა, მაგრამ სულ ამოაყოფილა ჩემი იმედი. განათლებას, როგორც აქ სწერს ავტორი; მეცნიერების ჩქარის ნაბიჯით წინმსვლელობას და ამის წყალობით სხედასხვა იარაღების მოგონებას სარგებლობის მაგიერ ზარალი მოაქვს ღარიბ მოღვაწე ხალხისათვის. მაშ ჩემი შეხედულება განათლებაზე უსაფუძვლო ყოფილა. რა ექნა? რატომ არ ეთანხმება ჩემი შეხედულება ამ წიგნისას?! მე რაც უფრო ვუკვირდები ცხოვრებას, მით უფრო ვრწმუნდები, რომ მარტო განათლებას შეუძლია შეცვალოს ჩვენი ცხოვრების ფერი...“*.

ნინო, უკეთებს რა იხალისს თავის შეხედულებას, სხვა

* იქვე.

ცოცხალი ფაქტებით აჩვენებს სწავლა-განათლების ცხოველ-
მყოფელ ძალას და გამოთქვამს რწმენას, რომ თუ სწავლა-
განათლება ღრმად დაეუფლება ხალხს, მაშინ ცხოვრებაც გა-
უმჯობესდება. მაგრამ ნინო აქ არ ჩერდება, იგი სწავლა-
განათლებას უკავშირებს საზოგადოებრივ სისტემას. ეკონო-
მიურ ცხოვრებას, და იმის მიზეზს, რომ განათლებას მშრო-
მელი ხალხისათვის ჯერ კიდევ არ მოაქვს ბედნიერება, არ-
სებულ წესწყობილებაში ხედავს.

„— განათლება კი არაა, აწინდელი წესწყობილებაა იმის
მიზეზი, რომ მეცნიერების წყალობით მოგონილ იარაღებს
ზარალი მოაქვთო მოღვაწე ხალხისათვის. მართლაც, რა-
ნაირად შეიცვალა არისტოკრატიის ცხოვრება. რა იყო წი-
ნათ, ვიდრე მეცნიერება ძლივს სულდგმულობდა და რა
არის ახლა? თავის მანქანობრივი ძალა მეცნიერებამ გამოი-
ჩინა მდიდარი ხალხის ცხოვრებაზე. ამის გაუმჯობესებაზე,
რადგანაც ცხოვრება ისე დაყენებულია, რომ მეცნიერების
ძალა მდიდართ ცხოვრების გაუმჯობესებაზე იხარჯვის.
ღარიბები იღწვიან, იტანჯვიან, აწარმოებენ სხვადასხვა ია-
ღებს, მეცნიერების წყალობით მოგონილს, მაგრამ იმათი
ნამუშევრით მდიდარნი ივსებენ ჯიბეებს; ღარიბები ხელცა-
რიელები რჩებიან; ამის გამო ისინი მოკლებულნი არიან განათ-
ლებას, რომელსაც უფულოდ ვერ შეიძენს კაცი ახლანდელ
დროში; და აბა მუშა იმდენს სად შეიძენს, რომ განათლე-
ბაზე იზრუნოს, როდესაც ხანდისხან დღიურ ლუკმასაც მოკ-
ლებულია. მაშ მეცნიერება კი არ ყოფილა აქ დანაშავე,
აწინდელი წესწყობილებაა მიზეზი ვაებისა და ვარამისა. და
თუ განათლება გავრცელდა და ყველას კუთვნილებად გახდა,
მაშინ, მგონია, წესწყობილებაც შეიცვლება და ცხოვრებაც
გაუმჯობესდება“.

საინტერესოა შიო არაგვისპირელის შეხედულება აგრეთ-
ვე ადამიანისა და გარემოს ურთიერთ დამოკიდებულებაზე.

„ღიად, ღიად კაცი გარემოების შედეგია, მაგრამ ისევ
ის გარემოება აძლევს კაცს თავის წინააღმდეგ იარაღს. იმ
იარაღით ჩვენ შეგვიძლია დავიმონავოთ გარემოება და ჩვენს
ნებაზე ვატაროთ; შეგვიძლია ამ იარაღით როგორც მკედელ-

მა გადაეკეთოთ გარემოება. კაცი თავის კეთილდღეობის მჭედელია. თუ კაცი ამ ძალას არ ავარჯიშებს და დაიხშობს თავისში, სხვადასხვა არა შესაწყნარებელი საბუთებით, მაგ: „მე ლმერთმა ესეთი გამაჩინა, რა ექნა მე, როგორ ვეომო ამისთანა გარემოებას, მე ძალა არა მაქვს“ და სხვადასხვა, ის კაცი კი არა, ჩვარია, რომელიც შეგიძლიან გინდ სანაგვეზე გადააგდო, გინდ სამეფო სახლში შეაგდო, გინდა დაადაბლო, გინდა აამაღლო. გარემოება მოქმედებს კაცზე, კაცი კი გარემოებაზე. ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ წინმსვლელობა კაცობრიობის კეთილისდღეობისა არ იქნებოდა“.

ეს მომენტი სრულიად ახალი შტრიხია არაგვისპირელის შემოქმედებაში, რაც ჩვენს მწერალს არსებითად განასხვავებს ხალხოსნებისაგან.

თემითა და ზოგიერთი დეტალით არაგვისპირელის ამ პიესას ჩამოჰგავს ნინოშვილის ნაწერები, საერთოდ, და „ჩვენი ქვეყნის რაინდი“, კერძოდ. ტარიელ მკლავაძისა და იასონ უქმაძის სახე ძალიან გვაგონებს გიორგის სახეს, სპირიდონ მცირიშვილისა—სიკოს სახეს, ნინოს სახეს კი—დესპინე. ეს გარემოება არ შეიძლება გავლენით ავხსნათ, ჯერ-ერთი, იმიტომაც, რომ ეს პიესა არ დაბეჭდილა. ეს მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ ჩვენი სინამდვილე იყო სწორედ ასეთი და ორივემ—არაგვისპირელმა და ნინოშვილმა—დამოუკიდებლად შენიშნა ეს გარემოება და სხვადასხვა კუთხით გააცოცხლა იგი მხატვრულად. აქ ყველაზე უფრო საინტერესო ისაა, რომ ამ ნაწარმოებების მიხედვით მსოფლმხედველობრივად, იდეოლოგიურად შიო არაგვისპირელი ახლოდგას ნინოშვილთან.

* * *

მე-19 საუკუნის ქართული მწერლობისათვის ერთ-ერთ ძირითად საკითხს წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბედი. ეს თემა „წყველა-კრულვიან“ კითხვად რჩებოდა შიო არაგვისპირელის დროსაც. ეროვნულ საკითხს არაგვისპირელმა ორი ნოველა უძღვნა: „მიწაა!“ და „ჩემი სამშობლო ჩემი გულია“.

სიკვდილის პირზე მისულ ავადმყოფს, მთიელ ბერას. ციმბირში აგზავნიან. როდესაც ანანურის გზაზე გამოატარეს, ბერამ აიღო ერთი მუქა მიწა, რომელსაც საკუთარ თავზე უფრო უფროთხილდებოდა და ასე ინახავდა სასოებით ცხვირსახოცში გამოხვეულს, რომ სიკვდილის წინ უცხო ქვეყანაში გულზე დაეყარა თავისი სამშობლოს მიწა. გზაზე უფროსის ბრძანებით გაჩხრიკეს ტუსალები, მათ შორის ბერაც. ბერას ცხვირსახოცში გამოხვეული მიწა აღმოაჩნდება:

„— ეს რა არის?— ცოტა სიჩუმის შემდეგ დაეკითხა უფროსი ბერას.

— მიწაა!..

— რა მიწა?

— ჩემი ქვეყნის მიწა. ანანურს რომ ამოვიარე, იქიდან წამოვიღე; ჩემი სოფელი იქავეა.

— მერე რად გინდა?!

— მე. შენი კენესამე, ამ ქვეყანაში მოგვედები. გული ამას მეუბნება. მინდა სიკვდილის წინად გულზე დავიყარო. რომ ჩემი ქვეყნის მიწა თან ჩამეყვეს,—ბერამ თითქმის ცრემლმორეულმა უპასუხა და ლმობიერად დაუწყო მზერა უფროსს.“

უფროსი უბრძანებს ბერას, გადაყაროს მიწა. ბერა ვერ იმეტებს სამშობლოს მიწას, რის გამო გაწყვეტა ერაგო მომაკვდავს წილად. სანამდის გონება არ დაჰკარგა, მიწა მაინც ხელიდან არ გაუშვია. გონებადაკარგულ ბერას მისი თანამემამულე ტუსალი გივარგი გამოსტაცებს ხელიდან ცხვირსახოცს და უფროსის თვალის ასახვევად გულ-მკერდზე დააყრის მიწას. როცა ცოტათი გონს მოვა ბერა, მიწა მოაგონდება... „ხელი გულზე მოისო... უბეში ჩაიყო და მიწა შეაგროვა“. სიკვდილის წინ გულში ჩაიკრა მუქით შეგროვილი მიწა და ისე განუტევა სული. როდესაც ამ ნაწარმოებს ვკითხულობთ, მართლაც ვგრძნობთ სამშობლოსადმი მთიელის თავდავიწყებულ სიყვარულს. სამშობლოს სიყვარულით ანთებული ადამიანის განცდა აქ ერთი მუქა მიწის სიყვარულშია გამოხატული განზოგადებულად და ამაღლებულად. ამაზე დიდი განცდითა და სასოებით სამშობლოს სიყვარულის დახატვა შეუძლებელია.

არაგვისპირელმა იშვიათი დამაჯერებლობით შეძლო გადმოეცა მთიელის სიყვარული სამშობლოსადმი. არანაკლები მღელვარებითა და სულის ტკივილებით არის შესრულებული მისი მეორე ნოველა. მწერლის აზრით, მთას შეუნარჩუნებია სამშობლოს გულწრფელი სიყვარული, ბარად კი ქართველების ნაწილს უკვე დაუკარგავს „ეროვნული თვითშეგნება“. გადაგვარებულა ქართველ ქალთა ერთი ნაწილიც. ასეთია თემა ნაწარმოებისა, რომელსაც ჰქვია „ჩემი სამშობლო ჩემი გულია“.

ქართველ ქალს წარსულში სამშობლოსათვის თავგანწირვის არა ერთი სახელოვანი ფურცელი ჩაუწერია საქართველოს ისტორიაში, აწმყოში კი გადაგვარებულია ამგვარი ქალების ერთი ნაწილი. მაროს პოლონელი ახალგაზრდა ზდისი უყვარს.. არც პოლონელი ახალგაზრდაა გულცივი ლამაზი ქალის მიმართ, მაგრამ ვერ ბედავს თანაგრძნობის ხელი გაუწოდოს მაროს იმის შიშით, რომ ქართველი ქალი სამშობლოს არ გასცვლის „უცხო მხარეზე“ და ცოლად არ გაჰყვება პოლონელს. მაგრამ პოლონელის მოსაზრება სწორი არ აღმოჩნდა. ქართველმა ქალმა თვითონვე მისცა წინადადება წაიყვანოს ცოლად.

„— ჩემი სამშობლო ჩემი გულია და სადაც მე ვიქნები, სამშობლოც იქ იქნება, — აღგზნებით წამოიძახა და თავისი მართლვარე ტუჩები ჩემს ტუჩებს შეახო“.

პოლონელ ზდისლავ პშივალსკის პირით ავტორი გადაგვარებულ ქართველ ქალს უპირისპირებს პოლონელ ქალს.

„ჩვენი ქალები, — სწერს ზდისი ქართველ ამხანაგს, — სულ სხვას იძახიან ამ შემთხვევაში: „ჩემი გული ჩემი სამშობლოსია და თუ ჩემი სამშობლო არ იქნება, ნურც ჩემი გული იქნება“... აი, ჩვენი ქალების წმინდათა წმინდა და თავიანთ გულს კიდევაც ანაცვლებენ სამშობლოს...“

მწერალი, უკეთებს რა ანალიზს ქართველთა ეროვნულ შეგნებას, იმ დასკვნამდე მიდის, რომ ცარისტული რუსეთის პოლიტიკის წყალობით ქართული ენაც კი დავიწყებას ეძლევა; ზოგი ქართველი არ კადრულობს „დედა ენაზე ილაპარაკოს“; სასწავლებლიდან, დაწესებულებიდან განდევნილია ჩვენი დედა ენა. ავტორი ხაზს უსვამს ამ ფაქტს.

ავტორს გულს უკლავს, რომ ქართველი ერის ერთ ნაწილში დაკარგულია ეროვნული თვითშეგნება. მთელი მისი პროტესტი მიმართულია ამ გადაგვარებულ ქართველთა წინააღმდეგადადრებით რა არაგვისპირელის ამ ორ ნოველას ერთმანეთს („მიწა!“ და „ჩემი სამშობლო ჩემი გულია“), გრძნობთ, თუ რაოდენი განსხვავებაა მათ გმირებს შორის: კეთილშობილ, სამშობლოს პატრიოტ მთიელ ბერასა და გადაგვარებულ, მე-შჩანური აზროვნების ქალს—მაროს შორის.

სიტყვის ოსტატმა შიო არაგვისპირელმა დიდების შარავანდელით შემოსა სამშობლო მიწის წმინდა სიყვარულის გრძნობით შთაგონებული, მგზნებარე პატრიოტი მთიელი ბერა. სამშობლოსადმი მხურვალე სიყვარულით აღგზნებულ სიტყვებში გააცოცხლა შ. არაგვისპირელმა მთიელ ბერას გმირული ამბავი და ამით საუკუნეებს შეუნახა მგზნებარე პატრიოტის მომაჯადოებელი სახე. მკითხველი პატივისცემისა და სიყვარულის გრძნობით ინსქვალდება მთიელ ბერას გმირული საქმით და გრძნობს, ღრმად განიცდის, თუ რა თავდადებით უყვარდათ ჩვენს წინაპრებს თავიანთი მიწა, თუ როგორ სათუთად ინახავდნენ ისინი სამშობლოს სიყვარულს და როგორ ვაჟკაცურად ეწირებოდნენ მსხვერპლად მშობლიური ქვეყნის კეთილდღეობას.



შიო არაგვისპირელის შემოქმედებაში გავლენა საზოგადოდ ქართული მწერლობისა, მისი მოწინავე ტრადიციების გაგრძელების თვალსაზრისით, უთუოდ მოჩანს. ეს გავლენა რელიეფურად გამოჩეკავენდა გლეხკაცის საკითხისა და ეროვნული თემის მიმართულებით. ამ თემების დამუშავებაში მწერალს ჰქონდა ლიტერატურული ტრადიცია და ჰყავდა წინამორბედნი. ასეთ წინამორბედებად ჩვენ მიგვაჩნია გლეხკაცის საკითხის დამუშავებაში 60-იანი წლების მოღვაწენი და ხალხოსნები; ხოლო, რაც შეეხება ეროვნულ თემას, მას ჩვენს მწერლობაში ხელშესახები ტრადიცია შორეული საუკუნეებიდან ჰქონდა. მაგრამ შიო არაგვისპირელის შემოქმედებაში

ამ თემების გაშუქება არ შეიძლება ცალკე 60-იანი წლების ან ხალხოსანი მწერლების პირდაპირი გავლენით აიხსნას. შიო არაგვისპირელს ამ მწერლებთან თემატიკა აახლოებს. მაგრამ იგი ამავე მწერლებისაგან განსხვავდება როგორც თემატიკით, ისე ენარისა და წერის მანერის თვალსაზრისით. შიო არაგვისპირელი უთუოდ ეყრდნობოდა ქართული ლიტერატურის ტრადიციას, იღებდა რა მისგან შემოქმედებითს სათავეს. ამავე დროს, მან თავის მხრივ შექმნა ქართული პროზის ახალი სათავე, ახალი სკოლა. ამ სკოლიდან გამოდიან დეკანოზიშვილი, ხუსკივაძე და სხვები. ეს უკანასკნელნი ხელს ჰკიდებდნენ იმ თემას, რომელსაც ამუშავებდა არაგვისპირელი, გამოჰყავდათ თავიანთ თხზულებებში ისეთი ტიპები, როგორიც უკვე გამოყვანილი ჰყავდა შიო არაგვისპირელს; ისინი პირდაპირ და უშუალოდ სარგებლობდნენ მხატვრული შემოქმედების იმ ხერხებით, რომელთა აღმოჩენა არაგვისპირელის ოსტატობის შედეგია (დასათაურება, ფსიქოლოგიურ ნოველის ენარი და სხვა). ამ გარემოებაზე მიუთითა აკაკი წერეთელმა. იგივე გარემოება ჰქონდა მხედველობაში ა. ხახანაშვილს, როდესაც წერდა: „შ. დედაბრიშვილის მიმართულელებამ წარმოშვა ორი მწერალი: ანდრია დეკანოზიშვილი და თ. ხუსკივაძე. პირველი მთლიანად და მეორე რამდენიმე მოთხრობით ბაძავენ ფსიქოლოგიურ მოთხრობებს შ. დედაბრიშვილისას. ამავე მიმართულელებამ ვ. ბარნოვის ზოგიერთ ნაწარმოებზედაც იქონია გავლენა. დეკანოზიშვილი და ხუსკივაძე თვით სათაურის აღნიშვნაშიაც კი ცდილობენ დედაბრიშვილის განმეორებას. პირველის „პეპელა“ და სხვა, მეორის „ვერა, ვერ მოვესწრები“, „მეც დედა ვარ“, „ეგ არის შენი სიყვარული“ და სხვა, აგებული არიან ზემოთ განხილულის ანალიზის მიხედვით.“ *

მართლაც, შიო არაგვისპირელის პირდაპირი გავლენა მოჩანს დასახელებული მწერლების ნაწარმოებებზე: არაგვისპირელის ნაწერებს თემატიკურად, წერის მანერითა და სათაურითაც ჩამოჰგავს ხუსკივაძისა და დეკანოზიშვილის

* ა. ხახანაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია, გვ. 193-194.

ნაწარმოებნი. აქ საკმარისია დავასახელოთ თ. ხუსკივაძის „დრო გამოიცვალა“ ეს ნაწარმოები თემატიკური მეტაფორაზაა არაგვისპირელის „არ გვინდა არა“-სი. ყოველივე ეს ამტკიცებს, რომ შიო არაგვისპირელის გავლენა მის თანამედროვე მწერლებზე მეტად თვალსაჩინო იყო.

შ. არაგვისპირელმა დასათაურების სრულიად ახალი სახე შეიმუშავა. მისი ნოველები და ეტიუდები სათაურებშივე ამჟღავნებენ განწყობილებას, იმთავითვე იძლევიან წარმოდგენას ნაწარმოების ხასიათსა და შინაარსზე. სათაურები ნაწარმოებიდან ამოღებული ხაზგასმული სიტყვებია, სიტყვები, რომლებიც ნაწარმოების აზრს არკვევენ. სათაური შეკუმშული ფაბულაა თითქოს. აქცენტი აქ აზრზეა გადატანილი და სათაურიც ამ განწყობილებისათვის ამზადებს მკითხველს: „ჩემი სამშობლო ჩემი გულია“, „ესაა ჩვენი ცხოვრება!“, „ბაღლი ყოფილხარ“, „ადე, ჩამოვიდა“, „ჩემი ბრალი არ არის, ღმერთო!“ და სხვ.

შიო არაგვისპირელი დასათაურების დიდი ორიგინალური ოსტატია. ამ მიმართულებით მან თვალსაჩინო გავლენა მოახდინა ქართულ პროზაზე.

თუ ყველაფერს ამას მხედველობაში მივიღებთ, მაშინ გასაგები გახდება ის ორიგინალობა და დამოუკიდებლობა, რაც შიო არაგვისპირელს აბაღია და რაც მას განსაკუთრებულ ადგილს განუკუთვნებს ქართული მწერლობის განვითარების ისტორიაში.

დავით კლდიაშვილი

დავით კლდიაშვილი ეკუთვნის ისეთ მწერალთა რიცხვს, რომლებიც მუდამ უკვდავი იქნებიან ლიტერატურის ისტორიაში. ამგვარ მწერალთა სახელის გახსენება ერთბაშად აცოცხლებს ჩვენს წარმოდგენაში იმ მხატვრულ სამყაროს, იმ გმირებს, რომლებიც მათ შეუქმნიათ. ასე გგონიათ, თქვენ თვითონ შეხვედრიხართ მათ მიერ აცოცხლებულ ადამიანებს, მათი წუხილის თუ სიხარულის მოწმე ყოფილხართ, მათი სამდურავი სოფლისა თუ ტრაბახი გარდასული დიდების შესახებ საკუთარი ყურით მოგისმენიათ. დ. კლდიაშვილის მხატვრულ შემოქმედებას დიდი ტაქტით, ოსტატობით გადაყვართ ისტორიულ წარსულში. მან შექმნა დაუვიწყარი, მარად ცოცხალი სახეები ხელმოკლე შემოდგომის აზნაურებისა, შექმნა ისეთი ძალით და კოლორიტით, რომ საკმარისია გაიგონოთ დავით კლდიაშვილის სახელი, რომ ერთბაშად მოგაგონდეთ ეს ადამიანები. თქვენ თითქოს საკუთარი თვალთ ხედავთ ყველასაგან გაწბილებულ, ჯორზე გადამჯდარ შუამავალს, ბედის მომდურავ სოლომონ მორბელაძეს, საკუთარი დედინაცვლის მაძებარ საცოდავ პლატონს, რომელსაც აზნაურული თავმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად მეზობლებისაგან ნათხოვარი ზურგადატყავებული ჯაგლაგა ცხენი წინ გაუგდია და თვითონ ფეხით მისდევს მას. დ. კლდიაშვილის დიდი მხატვრული ნიჭი და ძალა დაკნინებულთა წოდების სახასიათო თვისებათა კოლორიტულ გამოხატვაში გამომქლავდა. ამიტომაც ალ. წულუკიძემ დავით კლდიაშვილს ყოფა-ცხოვრების „ნიჭიერი მწერალი“ უწოდა.

დ. კლდიაშვილმა იმერეთის აზნაურთა ყოფის გამოხატვისათვის ორიგინალური ფორმა გამონახა, დიდ სისადავეს

და უბრალოებას მიაღწია, რაც მხოლოდ რჩეულთათვის არის დამახასიათებელი. სწორედ ამ გზით მან დამსახურებულად მოიპოვა საპატიო ადგილი მე-19 საუკუნის მხატვრული სიტყვის უდიდესი ოსტატების გვერდით. დ. კლდიაშვილის მოთხრობებში მოხდა გასაოცარი შერწყმა ორიგინალური მხატვრული ფორმისა და მასალისა. მწერალმა უაღრესად გამკვირვალე და ნათელ იუმორისტულ ფორმაში გამოხატა ცხოვრება დაკნინებული აზნაურებისა, დიდი მწერლის ნიჭით გაანათა ამ ადამიანების ცხოვრების მწუხრი, მათი ნამცეცა სულიერი სამყარო.

დ. კლდიაშვილის სამწერლო მოღვაწეობა ნათელი დადასტურება იყო 900 იანი წლების ქართული მწერლობის რეალისტური ნაკადის ძლიერებისა. 900-სა და მის მომდევნო წლებში ნაციონალისტურად განწყობილი კრიტიკოსებისა და ლეგალური მარქსისტების მეოხებით ქართულ ლიტერატურაში ერთხანს ბოგინობდა შემცდარი აზრი, თითქოს ქართული მწერლობა დაქვეითდა, იგი აჩრდილსაც აღარ წარმოადგენდა 60-იან წლების დიდი ქართული მწერლობისაო. კიტა აბაშიძე და მისი თანამოაზრენი ფიქრობდნენ, რომ ქართულ მწერლობას ამ დაქვეითებიდან, ამ ჩიხიდან გამოიყვანს დასავლეთ ევროპასთან გაცნობა და მისი „გზით სიარული“. ამრიგად, ნაციონალისტი კრიტიკოსები პირდაპირ მოითხოვდნენ დიდი კლასიკური ქართული მწერლობის ტრადიციების შეცვლას ბურჟუაზიულ-დეკადენტური მწერლობის მოდური ტრადიციებით. ამის წინააღმდეგ მკაცრად გაილაშქრა საქართველოში მარქსისტული ლიტერატურათმცოდნეობის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა ალ. წულუჟიძემ. იგი წერდა: „ქართულ ლიტერატურასა და საზოგადოებაში დამკვიდრდა აზრი, რომ ჩვენი ბელეტრისტიკა დაწვრილმანდა, დაკარგა თავისი ძალა; ჩვენმა მესამოცეწლიანელებმა თითქოს დაამთავრეს მხატვრული ლიტერატურის განვითარება და რომ ჩვენ ვეღარ დავიბრუნებთ იმ ძველ კარგ დროს, რომ ჩვენ თითქოს განწირული ვართ ვიკითხოთ უშინაარსო, უგვანო, ზოგჯერ მავნე მოთხრობები—ერთი სიტყვით, ემჩნევა გაუარესება, რეგრესი ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

განა ეს ასეა? რა შეგვიძლია ჩვენ მოვთხოვოთ ბელეტრისტს? მხოლოდ სინამდვილის სწორად გამოხატვა ცოცხალ, მხატვრულ ფორმაში, ხომ? ასეთ მოთხოვნას თუ წაუყენებთ 90-იანი წლების ბელეტრისტებს, ჩვენ წარმოგვიდგება სრულიად სხვა სურათი. გადაიკითხეთ ეგ. ნინოშვილის შინაარსიანი მოთხრობები. განა ცხოვრებიდან არ არიან ამოკრეფილნი „ჩვენი დროის რაინდის“, „მოსე მწერალის“, „სიმონას“, „გოგია უიშვილის“ და სხვათა ტიპები? თუ გნებავთ ჩვენი საზოგადოების მაჯისცემის გაგება, აიღეთ 1895 წლის „მოამბე“ № 4-5, სადაც თქვენ ნახავთ ლალიონის მოთხრობას „ფირალი დავლაძე“; იმავე ჟურნალში მოთავსებულია დ. ერისთავის „ვინ არის დამნაშავე“, დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“, რომელიც ბრწყინვალე ფსიქოლოგიური გამოხატულებაა ჩვენი მარტივი, მაგრამ ფრიად მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ ურთიერთობისა სოფლად“.

აღ. წულუკიძემ „სამანიშვილის დედინაცვალის“ ავტორს ბრწყინვალე ფსიქოლოგიური მხატვარი უწოდა. განიხილავდა რა ამ მწერლის შემოქმედების თავისებურებას, კერძოდ „სამანიშვილის დედინაცვალს“, ა. წულუკიძე აღნიშნავდა: „ამ ნაწარმოების ღირსებას შეადგენს სინამდვილის ეს სწორი ასახვა ლიტერატურაში. დ. კლდიაშვილმა შესძლო გაჩანაგებული აზნაურის ფსიქოლოგიური მდგომარეობის ოსტატურად გადმოცემა. მან გვიჩვენა, რომ ამ წოდებას, რაკი მან დაჰკარგა თავისი ეკონომიური სიძლიერე, მარტო იურიდიული პრივილეგიებით არ შეუძლია გაუძლოს უღმობელი ეკონომიური ბრძოლის შემოტევას. ახალი ცხოვრება ახალ ძალას მოითხოვს მისგან“.

აღ. წულუკიძე, აზოგადოებს რა დ. კლდიაშვილის რეალისტური წერის თვისებებს, აღნიშნავს, რომ მწერალს ჰქონდა ცხოვრებაზე დაკვირვების განსაკუთრებული უნარი. „დ. კლდიაშვილი სოფლური ცხოვრების კარგი მცოდნეა და ყველა მისი მოთხრობები ამ სფეროდან მახვილი დაკვირვებით ბრწყინავენ“, ასკვნიდა ალ. წულუკიძე.

დ. კლდიაშვილი ხატავდა ცხოვრების ნამდვილ სურათებს. მას უმრავლეს შემთხვევაში „თვალით ნახული“, გაგონილი,

ნამბობი, თუ მოყოლილი“ ამბები აქვს გამოყენებული თავისი მოთხრობების თემად. ამ გარემოებას დ. კლდიაშვილი „მემუარებში“ საგანგებოდ აღნიშნავს: „კვანძი, ძარღვი მოთხრობის (იგულისხმება „სამანიშვილის დედინაცვალი“) მოცემულია იმ საუბრებით, რომელიც მქონდა ხოლმე ჩემს სიმამრთან,—პაველ მაჭავარიანთან. მისი ოჯახი მუდამ სავსე იყო სტუმრებით; მოხუცი, ახალგაზრდა ყმაწვილები თავს იყრიდნენ მის ოჯახში. ვის არ ნახავდი აქ, რას არ გაიგონებდი. ცხოვრების გასაცნობად საკმარისი იყო აქ მოქცეულიყავით რამდენიმე ხნით“. ამავე გარემოებაზე მიუთითებს მწერალი სერგო კლდიაშვილი. იგი წერს: „აზნაურები და თავადები—შეძლებულნი, ღარიბნი, გალატაკებულნი—მთელი ეს ქარავანი ტიპებისა, რომელიც ასე ცოცხლად გადმოგვცოდავითმა, უმეტეს შემთხვევაში დანახულია პაველს ოჯახში“. დ. კლდიაშვილი კარგად იცნობდა იმ სამყაროს, იმ ადამიანებს, რომელთა შესახებ იგი წერდა, მის მხატვრულ პრინციპს კი რეალიზმი წარმოადგენდა. დ. კლდიაშვილი კატეგორიულად აცხადებდა: „სინამდვილე, რომელსაც გადაუხვევლად ვემსახურებოდი ჩემი მწერლობის განმავლობაში, იყო ჩემი სამწერლო პრინციპიო.“

დ. კლდიაშვილის დიდი ღირსება ისაა, რომ იგი სტატიკურად, ფოტოგრაფიულად კი არ აღწერდა სინამდვილეს, არამედ ქმნიდა სინთეზურ, განზოგადებულ სახეს იმ ადამიანებისას, რომლებიც მას ცხოვრებაში დაუნახავს. ყოველი კონკრეტული მოვლენა თუ პიროვნება დიდი შემოქმედის ხელში აღწევდა მაღალ მხატვრულ განზოგადებასა და დასრულებას. ნახატის დიდი ბუნებრიობა და წარმოსახვის სპეციფიკური ფორმა ანიჭებდა დ. კლდიაშვილის ნაწერებს მაღალ ღირსებას.

დ. კლდიაშვილმა ოქტომბრის რევოლუციის წინა პერიოდის მხატვრულ მწერლობაში გააგრძელა და ახალი დიდება მოუპოვა ქართული კლასიკური პროზის იმ დიდ ტრადიციას რომელიც მე-19 საუკუნის სამოციანელებმა დაამკვიდრეს. დ. კლდიაშვილი შეურიგებლად ებრძოდა ყოველგვარ დეკადენტურ ტენდენციას მწერლობაში. იგი იყო თანმიმდევარი

15. ს. კილაია

225

დამცველი კლასიკური რეალიზმისა. ამ გარემოებას ერთხელ კიდევ უნდა გავუსვათ ხაზი, რომ ნათელი იყოს ის დიდი როლი, რომელიც დავით კლდიაშვილის რეალიზმმა შეასრულა ოქტომბრის რევოლუციის წინა პერიოდის ქართულ მწერლობაში ანტირეალისტური, დეკადენტური მიმართულების წინააღმდეგ ბრძოლაში.

* * *

დავით კლდიაშვილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში ცნობილია უმთავრესად როგორც იმერეთის გალატაკებულ აზნაურთა ყოფის ამსახველი მწერალი. პოპულარული მწერლის სახელი მან, უპირველეს ყოველისა, იმერეთის აზნაურთა ცხოვრების ამსახველი სურათების დახატვით მოიპოვა. დავით კლდიაშვილი მაშინ მოვიდა ქართულ ლიტერატურაში, როცა ოდესღაც ბრწყინვალე არისტოკრატია — თავადაზნაურობა დაქვეითებისა და დაკნინების გზაზე შედგა. სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარების შედეგად 90-იან წლებისათვის ხელმოკლეობა, უნიადაგობა და ჩამოქვეითება იმერეთის ისედაც ხელმოკლე აზნაურებისა უფრო აშკარა გახდა. ახლა მათ ისტორიულ ბრწყინვალეობას მხოლოდ და მხოლოდ ამ კლასის ტრადიციული სიამაყის გრძნობა ამშვენებდა. ტრადიციულად შერჩენილ აზნაურულ სიამაყესა და მათ ნივთიერ შესაძლებლობას შორის აშკარა კონფლიქტი იყო. დ. კლდიაშვილმა ეს კარგად შენიშნა და მოხდენილად გამოიყენა როგორც იუმორის მასალა. დავით კლდიაშვილი გვიხატავდა, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ: „იმ კუდაბზიკა აზნაურებს, რომლებსაც არაფერი გააჩნიათ და მაინც თავის გემოვნებას და უწინდელ ამაყობას არ ივიწყებენ“ („სოლომონ მორბელაძე“).

ისტორიულად თავადაზნაურობის ნივთიერ წყაროს მიწა წარმოადგენდა. მიწის საკუთრება ის საშუალება იყო, რომლის წყალობითაც თავადაზნაურობამ მოიპოვა დიდი და ყოვლისშემძლე პრივილეგიები. ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ ბურჟუაზიულმა ცხოვრებამ ახალი მოთხოვნილებები წამოაყენა თავადაზნაურობის წინაშე. თავადაზნაურობა აპყვა ბურჟუა-

ზიული ცხოვრების მოდას, ხელი მიჰყო გაშლილ ცხოვრებას. ამას კი სკირდებოდა აუარებელი ფული. ერთადერთი შემოსავალი წყარო, რითაც თავადაზნაურობას შეეძლო ფული ემოვნა და ჩაბმულიყო ბურჟუაზიული ცხოვრების ორომტრიალში, მიწა იყო. და აი, თავადაზნაურობამ იწყო მიწების გაყიდვა და დაგირავება. ამ გზით თანდათანობით გამოეცალა ამ კლასს ეკონომიური საფუძველი, ეკონომიური დოვლათი—მიწა.

თავად-აზნაურების დოვლათის მეორე ბურჯი იყო ყმა, ეს მუქთა მშრომელი ძალა. ბატონყმობის გაუქმების შემდეგ თავადაზნაურობამ დაჰკარგა მუქთა მშრომელი ძალა. ამგვარად, მას ხელიდან გამოეცალა, ერთი მხრით, ეკონომიური ნიადაგი—მიწის სახით, მეორე მხრით, მუქთა მშრომელი ძალა—ყმის სახით. თავად-აზნაურთა გაღარიბება ვერ შეაჩერა მთავრობის ღონისძიებებმა (ბანკების დაარსება, დახმარება)*. ამგვარად, 90-იან წლებში, ე. ი. მაშინ, როცა დავით კლდიაშვილი საწწერლო ასპარეზზე გამოვიდა, თავად-აზნაურობა უკვე უფსკრულის პირას იდგა, მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი ისმებოდა. კლდიაშვილის აზნაურები ახლა მხოლოდ ფიზიკური არსებობის შენარჩუნებაზე ფიქრობდნენ. დ. კლდიაშვილის ძალა, როგორც რეალისტი მწერლისა, იმაში მდგომარეობს, რომ მან იმერეთის აზნაურებს ნამდვილი რეალური სახე შეუნარჩუნა, ისინი ტიპიურ სურათებში დაგვიხატა. კლდიაშვილი ამას უმთავრესად იმით აღწევდა, რომ კარგად იცნობდა სამყაროს, რის შესახებაც წერდა. დ. კლდიაშვილი იმერეთის აზნაურთა წრეში აღიზარდა, აქ გაატარა მან თავისი ბავშვობის წლები, აქ ნახა მან ის სურათები, რომლებიც შემდეგ ასე ნიჭიერად დაგვიხატა თავის ნაწარმოებებში. სერგო კლდიაშვილი სწორად შენიშნავს, რომ „დ. კლდიაშვილმა ბავშვობიდან შეისრუტა ის ჰაერი, რომლითაც სუნთქავდნენ მისი გმირები შემდეგ და მისმა გულმა მაშინვე იგრძნო ის, რაც შემდეგ მისმა გმირებმა განიცადესო“. ამიტომაც დავით კლდიაშვილის ბიოგრა-

* შ. რადიანი, მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურა.

უიის გაცნობას ერთგვარი მნიშვნელობა ექნება მისი პერსონაჟების ხასიათის ასახსნელად და გასაგებად.

* * *

დ. კლდიაშვილი დაიბადა 1862 წელს სოფელ სიმონეთში (თერჯოლის რაიონი), ქუთაისის მახლობლად. მან ბავშვობის წლები სოფლად გაატარა, მეტწილად დედულეთში. მეშუარეობაში იგი განსაკუთრებული სიყვარულით აღწერს დედის—კესარიას მშობლების ოჯახს. დ. კლდიაშვილის დედა, აზნაური ნ. ლოლობერიძის ასული, თავისი დროის შესაფერისად განათლებული და ქართული მწერლობის მცოდნე იყო. დავითს წერა-კითხვა დედის ხელმძღვანელობით დაუწყია. დ. კლდიაშვილის ბაბუა, დედის მხრით. ნიკო ლოლობერიძე შეძლებული იმერელი აზნაური ყოფილა. მწერალი ლოლობერიძის ოჯახს ასე გვიხატავს:

„დიდ, ფართოდ გაშლილ ეზოს ერთ მხარეს იდგა დიდი ორსართულიანი სახლი. ქვედა სართული იყო ქვითკირის, ზედა კი ფართო აივნისანი, ხის. როშორებით იდგა დიდი, გრძელი, ისლით დახურული სამზარეულო. მის გვერდით საქონლის სადგომი, შემდეგ თავლა, სახარჯო სიმინდისათვის პატარა ხულა, ამას მიყვებოდა საქათმე, საბატე, სალორე; იქით თორნე, მარანი და სანადირო ძაღლების სახლი; განაპირას იდგა ორ-ორ სართულიანი ხულა, მუდამ სავსე სიმინდით, ლომით, პურით და ფეტვით: ეზოს შორეულ კუნძულში მოზრდილი შენობა—კამეჩების სადგომი. ეზოს გადაღმა მოკრულ წაბლარში—სათხებო და ცხვრის ფარეხი. აქაურობა პირდაპირ ბაზარს ჰგავდა. ყოველ ამას, აქ მოთავსებულ ქონებას, რასაკვირველია, ბევრი მომვლელი ხელი ეპირებოდა და ასეც იყო, —სამზარეულოში აუარებელი მოსამსახურე ხალხი ფუსფუსებდა და ტრიალებდა“. როგორ გვაგონებს ეს გარემო ილია ჭავჭავაძის მიერ აღწერილ ლუარსაბ თათქარიძის კარ-მიდამოს. ნიკო ლოლობერიძე ტიპური, ძველებური მდიდარი მებატონე იყო. მაგრამ ეს სიმდიდრე დიდხანს არც ლოლობერიძეებს შერჩათ. შეძლებული აზნაური ჩამოქვეითდა, „იცვალა ფერი ოჯახმა“. „ძველ

ოჯახსაც უმძიმდებოდა თავის შენახვა, კიდევ ერთგვარად უძლებდა ახალ-ახალ მოთხოვნილებებს, სანამ ცოცხალი იყო დაუღალავი ოჯახის ნამდვილი მუშა, ბიცოლაჩემი. მისი სიკვდილის შემდეგ არავინ აღმოჩნდა მისებური მომკმედი, მოსაქნარე და შეძლებულმა მდიდრად ნამყოფმა ოჯახმა იცვალა ფერი, ჩამოქვეითდა და უკან-უკან მისრიალებდა“. ამ ოჯახის მთელი სიმდიდრე გადავიდა სესელია მოურავის ხელში, რომელსაც დავით კლდიაშვილი ასე ახასიათებს: „კაცი ეშმაკი, გაიძვერა, მოქარგული ენით მოლაპარაკე, რისი წყალობითაც მოხუცებული ხელში ყავდა ჩაქერილი, მისი რჩევის დამჯერი და გამგონი იყო ბაბუა. ცუდლუტი, მოხერხებული მოურავი კი ამით სარგებლობდა, სტყუებდა ბატონს, რაც ეპრიანებოდა. ამ გამონაცინცქლავით მან იყიდა წყალტუბოს მახლობლად მშვენიერი მალლობი ადგილი, ამართა ზედ სამი სახლი და გამართა ზედ მდიდრული ოჯახი. მოხუცებაში ის ისე ირჯებოდა, როგორც მისი ნაბატონარი,— იჯდა გრძელტარიანი ჩიბუხით ხელში და იმსახურებდა შვილებსა და რძლებს“. დავით კლდიაშვილი თავად იყო მოწმე, თუ როგორ დაკნინდა და დაეცა ერთ ღროს შეძლებული აზნაურის ოჯახი. ამ ოჯახის ისტორიაში მთელი სისრულით ჩანს ის ბედი, რომელიც ერგო აზნაურების წოდებას, და ეს ისტორიული სინამდვილე ასახა შემდეგ დ. კლდიაშვილმა თავის შემოკმედებაში.

დავით კლდიაშვილისათვის ასევე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მამისეულ სახლს სიმონეთში. ბაბუა, მამის მხრიდან, ღარიბი აზნაური ყოფილა, იმდენად ღარიბი, რომ მას თავისი უფროსი შვილი სამსონი, დავით კლდიაშვილის მამა, შვილობილად მიუცია მეზობელი გლეხისათვის—დათუა გიორგაძისათვის. ამ გლეხის წყალობით ერთგვარი განათლება მიუღია სამსონ კლდიაშვილს, დაუმთავრებია ორკლასიანი სასწავლებელი. შემდეგ ის ქუთაისის სამაზრო სამმართველოში ყოფილა გადამწერლად და ამ სამსახურებრივი მდგომარეობის წყალობით გამხდარა მდიდარი აზნაურის სიძე. თუ, ერთი მხრით, დავით კლდიაშვილს მდიდარი მასალა მისცა იმერეთის ხელმოკლე აზნაურების ცხოვრებამ, რომელ-

თა წრეში ტრიალებდა იგი, მეორე მხრით, ის აქვე გაეცნო გლეხების, ყოფილი ყმების ცხოვრებას და გულით შეიყვარა ეს „ნამდვილად კაცთმოყვარე ადამიანები“. „მათი წყალობით ჩემი გულიც ადამიანის სიყვარულს ეჩვეოდა და სწავლობდაო“, წერდა მწერალი. დ. კლდიაშვილმა თავისი ბავშვობის დღეები უმთავრესად ამ მდაბიო ხალხში გაატარა. „საყვარელი სამყოფი ჩემთვისაც და სხვა ბავშვებისათვისაც,—წერდა იგი,—იყო სამზარეულო სახლი, სადაც... აუარებელი ხალხი ფუსფუსებდა. მიყვარდა აქ ყოფნა, აქ შუა ცეცხლის პირას მოყაყანე ხალხში გარევა. რა ზღაპარს, რა არაკს, რა ამბავს, ხუმრობას არ გავიგონებდი ხოლმე, ვუჯექი მუხლებზე ხან ერთს, ხან მეორეს და ვუსმენდი ამით დაუსრულებელ ლაპარაკს“.

განსაკუთრებით დიდ შთაბეჭდილებას პატარა დავითზე ახდენდნენ ეს ყმა-გლეხები. მან შეიყვარა ეს ბედისაგან გაწბილებული ადამიანები. ზოგი მათგანი ნაყიდი იყო, როგორც საქონელი, როგორც „გურული ქალი, გურიაში ნაყიდი“ ან „ნაყმევი სიმონა აშოლტია“.

დ. კლდიაშვილი არა ერთხელ ხაზგასმით აღნიშნავს, ადამიანის პატივისცემა და სიყვარული მე ვისწავლე მათგან, ამ ყმა-გლეხებისაგანო.

დავით კლდიაშვილი შვიდი წლისა ყოფილა, როცა ის ქუთაისში წაუყვანიათ და ერთი რუსის ოჯახში მიუბარებიათ რუსული ენის შესასწავლად. პატარა ბავშვი ვერ შეეჩვია ამ გარემოს და აქედან კიდევ გაიქცა, მაგრამ შემდეგ კვლავ დაუბრუნეს ამ კეთილი რუსი ექიმის ოჯახს. ამის შემდეგ იგი მიუბარებიათ გიმნაზიაში მოსამზადებლად. დ. კლდიაშვილი 9 წლისა იყო, როცა მამამისს გადაუწყვეტია მისი გაგზავნა რუსეთში. ამ დროს, როგორც წესი, ქუთაისის და თბილისის გუბერნიებიდან რუსეთში იგზავნებოდა ორმოც-ორმოცი ბავშვი სამხედრო განათლების მისაღებად სახელმწიფო ხარჯზე. ხელმოკლე თავადაზნაურობა სიამოვნებით გზავნიდა თავის შვილებს ამ უფასო სასწავლებელში. 1872 წელს დ. კლდიაშვილი, სხვა ორმოცდაორ ბავშვთან ერთად, იგზავნება კიევის სამხედრო გიმნაზიაში. როგორც

დ. კლდიაშვილი იგონებდა შემდეგ, ეს სასწავლებელი ექვსს დაუმთავრებია. აქედან სამი მთლიანად გარუსებული ყოფილა, დანარჩენი სამიდან მე ერთმა ვიცოდი ქართული წერა და ორს კი ლაპარაკი შეძლო, ამბობს დავითი. ესეც იმისი წყალობით, რომ კიევში მას უშუალო ხელმძღვანელისა და დამრიგებლის როლში გამოუჩნდა ცნობილი ქართველი მწერალი ნიკო ლომოური. მან დააწყებინა დავითს ქართული მწერლობის შესწავლა, ჩაუნერგა მწერლობის დიდი სიყვარული. დ. კლდიაშვილი დიდი პატივისცემით იგონებს იმ ამაგს, რაც ნ. ლომოურმა დასდო მომავალ მწერალს.

1880 წელს დავით კლდიაშვილმა წარჩინებით დაამთავრა კიევის სამხედრო გიმნაზია და გაიგზავნა მოსკოვის სამხედრო სასწავლებელში. მოსკოვის სამხედრო სასწავლებელს სათავეში ედგა რეაქციონერი მწერალი სამხეალოვი. სასწავლებელში გამეფებული იყო რეაქტიული მონარქიის წესები. დ. კლდიაშვილმა მწვავედ განიცადა ამ რეჟიმის სისასტიკე. 1882 წელს დაამთავრა მოსკოვის სამხედრო სასწავლებელი და ამავე წელს სამხედრო სამსახურში გაამწესეს ბათუმში. დ. კლდიაშვილი აქ 1882 წლიდან 1908 წლამდე რჩება. ამ პერიოდის ბათუმი ის-ის იყო გამოდიოდა კაპიტალიზმის განვითარების გზაზე. დავით კლდიაშვილის თვალწინ გაიზარდა და ჩამოყალიბდა ბათუმი ბურჟუაზიულ ქალაქად. ბათუმი იყო არა მარტო ბურჟუაზიული ქალაქი, იგი გახდა მუშათა რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცენტრი, განსაკუთრებით 900-იან წლებში. დავით კლდიაშვილისათვის არ იყო უცნობი ეს რევოლუციური მოძრაობა. მაგრამ თავისი შეხედულებებითა და იდეებით იგი რევოლუციური მარქსისტული ჯგუფის გარეშე იდგა. დავით კლდიაშვილი აქ ივანე მესხთან და გრიგოლ ვოლსკისთან ერთად შეადგენდა იმ წრეს, რომელიც პატრიოტული, ეროვნული იდეებით იყო დაინტერესებული და გატაცებული. მათ მიერ დაარსებულ საკრებულოს გარშემო დაირაზმა ბათუმის მთელი მოწინავე ინტელიგენცია. ამ საკრებულოს ხშირი სტუმრები იყვნენ თბილისელი მწერლები და ხელოვნების მოღვაწენი: ალ. ყაზბეგი, ლ. მესხიშვილი, ვ. აბაშიძე,

ნ. გაბუნია. დ. კლდიაშვილისა და მის გარშემო თავმოყრილი ქართველი მწერლების საქმიანობაში მოჩანს თანმიმდევრული პატრიოტული გატაცება იმ ეროვნულ-კულტურული საქმით, რომელსაც საფუძველი ილია ჭავჭავაძემ ჩაუყარა.

კლდიაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ბათუმის პერიოდთან რამდენიმე საინტერესო მომენტი შეიძლება მოვიგონოთ. ბათუმში ამ დროს გამოდიოდა რუსული გაზეთი „ჩერნომორსკი ვესტნიკი“, რომელსაც რედაქტორობდა ვილაც შავრაზმელი პალმი. ეს გაზეთი ყოველივე ქართულის მოწინააღმდეგე და მტერი იყო. გათამამებული პალმი იქამდე მივიდა, რომ ერთ-ერთ წერილში აუგად მოიხსენია ქართველობა და მისი ისტორია. დ. კლდიაშვილმა ამის გამო დუელში გამოიწვია ეს შავრაზმელი. შეშინებული პალმი იძულებული გახდა ბოდიში მოეხადა. ეს საქმე გახმაურდა, რაც აშკარა დამარცხება იყო შავრაზმელი რეაქციონერებისა. 1892 წელს დ. კლდიაშვილი დაუმეგობრდა პავლე მაქავარიანის ოჯახს. შემდეგ ცოლად შეირთო მისი ქალიშვილი. სიმამრის ოჯახში თავს იყრიდნენ სხვადასხვა მიმართულების ადამიანები. მწერალი მათ ხშირად ხვდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ კლდიაშვილი შორს იდგა მარქსისტულ-რევოლუციური ორგანიზაციისაგან, მან ერთგვარი მოქალაქეობრივი ვალი ბათუმის რევოლუციური მუშების წინაშე მაინც მოიხადა. ერთ-ერთი დემონსტრაციის დროს, სამხედრო ჯგუფის იმ ნაწილს, რომელსაც დ. კლდიაშვილი მეთაურობდა, დაევალა გაეფანტა დემონსტრანტი მუშები და, თუ საჭირო იქნებოდა, იარაღი გამოეყენებინა მათ წინააღმდეგ. დ. კლდიაშვილმა ააცდინა ბათუმის მუშათა კლასი პოლიციის მიერ გათვალისწინებულ სისხლის ღვრას. თუ ამას დავუმატებთ დავით კლდიაშვილის გამოქომაგებას ქართველებისადმი და „ჩერნომორსკი ვესტნიკის“ რედაქტორის, შავრაზმელი პალმის წინააღმდეგ დ. კლდიაშვილის გამოსვლას, მაშინ ნათელი გახდება, თუ რამდენად „ერთგული“ სამხედრო პირი იყო საქართველოს გულწრფელი პატრიოტი დ. კლდიაშვილი მეფის რუსეთისა. გაითვალისწინა რა მისი ეს პროგრესული, პატრიოტული მოღვაწეობის

საშიშროება, მეფის მთავრობამ იგი 1908 წელს სამხედრო სამსახურიდან დაითხოვა. 1908 წელს დ. კლდიაშვილი მუშაობას იწყებს ქ. ქუთაისში, შემდეგ კიათურის შავი ქვის მრეწველობის სამმართველოში. 1915 წელს პირველ მსოფლიო ომთან დაკავშირებით დ. კლდიაშვილი მობილიზაციით გაიწვიეს ოსმალეთის ფრონტზე. დ. კლდიაშვილი აქაც გამოესარჩლა თურქეთში გადასახლებულ ქანებს, რის გამოც მას საველე სასამართლო მოელოდა, მაგრამ 1917 წლის რევოლუციამ მოუსწრო და იგი ბრუნდება თავის სოფელში უკვე ჯანგატეხილი და დაავადებული.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დავითი ისევ დაუბრუნდა თავის საყვარელ საქმეს—მწერლობას, ახალგაზრდული ენერგიითა და ენთუზიაზმით მოჰკიდა ხელი მემუარებისა და მოთხრობების წერას. 1926 წელს, ვასილ ბარნოვთან ერთად, სახელმძღვანელო დიდი რეალისტი ქართველ საბჭოთა მწერლებს მოუწოდებდა, ფართოდ აესახათ ახალი ცხოვრება—საბჭოთა ყოფა.

1930 წელს საბჭოთა მწერლობამ დიდი ზემოთ აღნიშნა დ. კლდიაშვილის სალიტერატურო მოღვაწეობის 50 წლისთავი, ამასთან დაკავშირებით მას მიენიჭა სახალხო მწერლის წოდება. დავითმა მადლობა გადაუხადა საბჭოთა მთავრობას ამ დაფასებისათვის. ეს იყო დ. კლდიაშვილის უკანასკნელი საჯარო გამოსათხოვარი სიტყვა. 1931 წელს გარდაიცვალა იგი სოფელ სიმონეთში. დ. კლდიაშვილი სიმონეთიდან თბილისში გადმოასვენეს და მთაწმინდის პანთეონში დაკრძალეს ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის გვერდით.

* * *

დ. კლდიაშვილს სამწერლო კალამი ჯერ კიდევ კიევის გიმნაზიის მოსწავლეს უცდია. „მეორე კლასში ვიყავი,—წერს ის,—მოთხრობა რომ დავწერე რუსულად, რადგან ქართული დავიწყებული მქონდა. რამ დამაწერია, სრულიად აღარ მახსოვს. მახსოვს კი, რომ მოთხრობის გმირი სისხლში ცურავდა, მარჯვნივ და მარცხნივ კლავდა ყოველ შემ-

ხედრს. ნაწარმოები ხელში ჩაუვარდა აღმზრდელს (კლასის დამრიგებელს), რომელმაც წაიკითხა და სიცილით მითხრა— ძალიან გეტყობა აზიელობა! ამდენი სისხლის დაღვრა გაგოგონია? დაანებე თავი სისულელეებს“. მაგრამ დ. კლდიაშვილი თავის შინაგან მოწოდებას, რომელიც მას მწერლობის საპასუხისმგებლო და საპატიო საქმისკენ ეძახდა, არ ტოვებს. მოსკოვში სამხედრო სასწავლებელში ყოფნის დროს მან თარგმნა ნიკო ლომოურის მოთხრობა „ალი“. საქართველოში დაბრუნების შემდეგ ვასო აბაშიძის ჟურნალ „თეატრში“, 1885 წ. დაიბეჭდა დ. კლდიაშვილის რამდენიმე თარგმანი ფრანგული და გერმანული ლიტერატურიდან. ხოლო მისი პირველი ორიგინალური ნაწარმოები გამოქვეყნდა 1893 წელს ჟურნალ „მოამბეში“. ეს იყო მოთხრობა „შერი-სხვა“. მოთხრობის თემად დ. კლდიაშვილმა აიღო სოფლის გაუნათლებელი ჩამორჩენილი ცხოვრება. ამ მოთხრობის მთავარი გმირი გლეხი კაცია საგუნაშვილი დ. კლდიაშვილმა დაგვ ხატა, როგორც კერძო მესაკუთრე, ცრუმორწმუნე გლეხი. დ. კლდიაშვილმა მისთვის დამახასიათებელი ფსიქოლოგიური სიმართლით მოახერხა დაეხატა ჭანჭოგადებული ხასიათი სოფლის შეუგნებელი გლეხისა და ამის მიხედვით ეჭვინებინა რევოლუციამდელი სოფლის ცხოვრების მართალი სურათი. ერთი მხრით, საკუთრების ინსტინქტით. დამახინჯებული, მეორე მხრით, ეკლესიის, ღმერთის მორჩილი და მოშიშარი გლეხი მეტად მძაფრ ფსიქოლოგიურ ვითარებაში დახატა მწერალმა: ჯიუტი, კერძო მესაკუთრე ღარიბი გლეხი საკუთარი სახლ-კარის იქით არ იხედება. მან იცის, რომ არავინ არის მისი დამცველი და მოამაგე. ამიტომაც ასე მსჯელობს იგი: „მე კი ჩემსას არავის დავანებებ... რაში დაუთმო სოფელს ჩემი ადგილი — და მე მშიერი დავრჩე?“ კაცია საგუნაშვილს როდესაც საზოგადოების სახელს უხსენებდნენ, იგი ასე უპასუხებდა: „საზოგადოებისათვის კი არა, ის კიდევ... მიტქვამს—არ დაგიტომობთ, მორჩა, გათავდა.., სოფელი ფეხებზე მკიდია,—გაჯავრებით წამოიძახა კაცია“. მწერალი სავსებით სამართლიანად გაუხვამს ხაზს იმ წინააღმდეგობას, რომელიც რევოლუციამდელ საზოგადოებასა და

პიროვნებას შორის არსებობდა. მწერალმა თანმიმდევრულად განავითარა კაცია საგუნაშვილში კერძო მესაკუთრე გლეხის ხასიათი, მაგრამ, ამავე დროს, აჩვენა მისი განსაზღვრულობა და ჩამორჩენილობა. როდესაც კაციას „მოერივენ“, რაკი იგი ვერაფერს გახდა სასამართლოს გზით, „მაგაზე უკეთეს მოსამართლეს“ მიანდო საქმე. ეს მოსამართლე წმინდა გიორგია. მასში იმდენად ძლიერია რწმენა ხატისადმი, რომ ამქვეყნიური ცხოვრების ყველაზე მაღალ მოსამართლედ ხატი მიაჩნია. კაცია მას მიმართავს, დაიფაროს ყოველგვარი ჩაგვრისაგან. გადის დღეები, თვეები, მაგრამ ხატის სამართალი არსად ჩანს. ჯიუტ, კერძო მესაკუთრე გლეხ კაცია საგუნაშვილს უკვე არ ყოფნის მოთმინება. და აი, ახლა მოხუცებული კაცია, ანდრიას გარდა, „წმინდა გიორგისაც ემდუროდა“. იგი ვერაფერ საქმეს ხელს ვერ ჰკიდებდა. აღარაფერი ახსოვდა კაციას იმის მეტი, რომ ის დაეკადნა ანდრიას წმინდანის შემწეობით ჯავრს ამოვიყრიო, მაგრამ ვერც ეს აასრულა და „თვით წმინდანმაც“ არავითარი ყურადღება არ მიაქცია მას.

„ჯერ კიდევ არა ჰქონდა მღვდელს გათავებული ვედრების სიტყვა, რომ მოშორებით მდგარი კაცია საგუნაშვილი წამოიქრა წინ, მისწი-მოსწია დაჩოქილი ხალხი და ერთ წამს წმ. გიორგის ხატთან გაჩნდა.

— ესნის ახლა ვითომ მაგას რამე?.. ძალი ვიყავი მე, ჩემი რომ არაფერი შეისმინა მაგან?!—საშინელის ხმით წამოიძახა აცახცახებულმა ბებერმა კაცმა.

ეს ისე სწრაფად, ერთი თვალის დახამხამებაში მოხდა, რომ ვერაფერ ვერ მოასწრო მოხუცებულის შეჩერება. მღვდელი გაფითრებული, გონება დაკარგულივით მისჩერებოდა განრისხებულ მოხუცს.

— რას ამბობ, შე შეჩვენებულო?—მიაძახეს აქეთ-იქიდან კაციას. ვილაცამ ხელიც ჰკრა; კაცია წაბარბაცდა, მაგრამ არ წაქცეულა.

— კაცია, გაგიჟდი?

— ჰკუაზე შეიშალე?—უყვიროდნენ გარშემო.

— რა ქნა ამ შეჩვენებულმა!... უმაგალითო საქმე არ ჩაიდინა?!—ამბობდნენ გაოცებული მაყურებელნი.

— ოაო, რა თქვა?—კითხულობდნენ მოშორებით მდგომნი.

— წმ. გიორგის ხატი ჰგმო...—იყო პასუხი.

— კაცია საგუნაშვილმა ხატი ჰგმო!... კაციამ ხატი ჰგმო!—ისმოდა ყველგან და ამ ამბავმა ელვისავეით შემოირბინა იქაურობა.

— რატომ ქნა მაგ შეჩვენებულმა ეგ ამბავი?—კითხულობდნენ ზოგიერთნი.

— ანდრია ქურაშვილი ყავდა გადაცემული და რატომ წმ. გიორგიმ არ დასაჯაო!“

კაცია საგუნაშვილმა, რომელსაც ასე ღმად სწამდა და სჯეროდა წმინდა გიორგისა, დაგმო ხატი, ექვი შეიტანა მის ძალაში, მაგრამ გონებაშეზღუდულ გლეხს არ ყოფნის შეგნება, რომ ბოლომდე იდგეს ამ პოზიციაზე. კაცია საგუნაშვილს შემდეგ სანანებლად გაუხდება თავისი საქციელი, ცრუმორწმუნე გლეხს ღვთის შიში იპყრობს. საკვირველად გამოიცვალა იგი, „უწყინარ შეშლილს დაემსგავსა“. და ბოლოს, როცა, ლოგინად ჩავარდნილი, სიკვდილის პირზე მისული მღვდელს მოუყვანეს საზიარებლად, ეს ვეება დეეკაცი ბავშვივით ატირდა სიტყვამოუთქმელად, უმაგალითო საქციელი ჩაიდინა და ამ საქციელის მოგონებამ, რომლის გამოსწორებაც, შეუგნებელი გლეხის აზრით, შეუძლებელი იყო, ძალ-ღონეც გამოუღია და სულიც დალია.

ამ მოთხრობაში მთელი სისრულით დახატულია რევოლუციამდელი სოფლის ჩამორჩენილობა, და არა მარტო კაცია საგუნაშვილი ცახცახებს ხატის ძალის წინაშე და ჰგმობს თავის საქციელს, არამედ მთელ მის მეზობლებს და სოფელს აშინებს კაციას გადადგმული ნაბიჯი. „ვერ ვიტყვით.—ამბობდნენ მეზობლები:—ღმერთს ვაწყენინებთ, რომ მის მგმობელი ვიტყვით.—და ამიტომაც მიცვალეებულ კაციას სასაფლაოზე მხოლოდ ცოლ-შვილი მიჰყვა და ესენიც მხოლოდ მის უბედურ ბედზე გაჩენას დასტიროდნენ“. ასე ხატავს მწერალი რევოლუციამდელი სოფლის სურათს.

ანალოგიური სურათია დახატული მეორე მოთხრობაში, რომელსაც მწერალმა „მსხვერპლი“ უწოდა. სოფლის ჩამორჩენილობის, გაუნათლებლობის, გონებაზეზღუდულობისა და მავნე ტრადიციის მსხვერპლი ხდება არა მარტო ამ მოთხრობის ნთავარი გმირი მარინე. არამედ მთელი ოჯახი. დავით კლდიაშვილი კარგად ხედავს, რომ გაქირვებულია სოფლის ხალხის ცხოვრება, მათ სოციალურ უბედურებას ზედ ემატება სოფლური ჩამორჩენილობა, უმეცრება, ცრუმორწმუნობა. „მსხვერპლში“ კლდიაშვილმა მთელი სისრულით აჩვენა რევოლუციამდელი ჩამორჩენილი, ცრუმორწმუნე სოფელი. აქ დახატული გმირები კრთიან და ცახცახებენ კუდიანი ქალისა და ეშმაკის შიშით. ახალგაზრდა გლეხის ქალიშვილს მარინეს ქვრივ ფეფენას შვილზე — სიკოზე გაათხოვებენ. გამარჯე და ოჯახის მუყაითი ფეფენა, რომელსაც წმიდათა წმიდად მიუჩნევია ოჯახი, შიშით შესცქერის ახალგაზრდა ლამაზ რძალს. ამ შიშს ის აძლიერებს, რომ ამ ბოლო დროს ოჯახს შეეჩვია აზნაური დავითი. ამის გამო ფეფენა არ აძლევს უფლებას ახალგაზრდა მარინეს ჩაიცივას, დაიხუროს და ხალხში გაიაროს. ქალი ვერ იტანს დედამთილისაგან შევიწროებას. ერთხელ ამის გამო ის სახლიდან გაიქცა. დედამთილი ბოლოს და ბოლოს მოახერხებს რძალი თავის სურვილს დაუმორჩილოს. ეს კი ხალხს საბაბს მისცემს ილაპარაკოს, რომ კუდიანმა ფეფენამ მოახერხა დაემორჩილებინა რძალიო, და ახლა ხალხს უფრო მარინესი ერიდებოდა, ვიდრე ფეფენასი. მისი სახელით ბავშვებს აშინებენ. მაგრამ არა მარტო ხალხს სჯერა, რომ მარინე კუდიანია, არამედ თვითონ მარინესაც. მას სჯერა, რომ სული მიჰყიდა კუდიან დედამთილს. როდესაც მას ეკითხება საიქიოში ნამყოფი ვასილი, გაქვს კავშირი თუ არა კუდიანობასთანო, მაქვსო, ძლივს გასაგონი ხმით უპასუხებს მარინე და ჰყვება, თუ როგორ მიჰყიდა თავისი სული დედამთილს.

„— ერთხელ ვენახში დავინალე, დავწეკი ბჟოლის ძირში... მიმძინებოდა,— მოუყვა მარინე.— უეცრად რაღაც შავი უშველებელი დამეტაკა, გამომალვიდა, წამავლო ხელი და ცაში ამიყვანა ისე მაღლა, რომ თავბრუ დამესხა, დაბლა

რომ გადმოვიხედე... „ღამნებდიო,—მიტხრა იმან,—და ჩემი ნება აასრულეო, თორემ ახლავე აქედან ხელს გაგიშვებ და მიწას დაგახეთქებო“. შემეშინდა, ავეკანკალდი... ვუთხარი, კი ბატონო-თქვა,—აბა გახსოვდეს ეგ შენი სიტყვა... მე ხუმრობა არ ვიციო... ჩავაჩერდი, ვინ შელაპარაკებოდა, მინდოდა შემეტყო... იმ შავ მოჩვენებაში ჩემი დედამთილი ვიცანი. მე უფრო შემეშინდა კიდევ და ხვეწნა დაუწყე—ოლონდ ნუ მომკლავ და შენი მორჩილი ვიქნები-თქვა. არც ხმას გავცემ ვისმე უშენოდ, არც არსად წავალ შენდა დაუკითხავად-თქვა... ოლონდ მიწაზე დამიშვი-თქვა... ისევ თვალეზზედ წამომეთარა რალაცა, გონება დამეკარგა... აზრზე რომ მოვედი, ისევ იმ ადგილას ვიწეკი. სადაც მიმძინებოდა...

— კიდევ?

— ნიგოზზე შემომესწრო...

— ჰმ!

— ნიგოზს ვსხლავდი... უეცრად თვალეზზე წამომეთარა შავად... რეტი დამესხა, მეგონა გადმოვარდი ეს არი-თქვა... ბრკყალები ჩამასო კაბაში... მალლა... სულ მალლა ამიყვანა!.. გადმოგაგდებო... აქედან გაისვრიო... ნიგეზის წვეროზე წამოეცობიო, თუ არ შემომიდექიო... კუდიანი გახდიო... შემეშინდა, სული შემიხუთდა... მორჩილი ვიქნები-თქვა, ვუთხარი... ნუ მომკლავ-თქვა, შეევეხვეწე...

— ვინ იყო? ვინ გელაპარაკებოდა მაგრე? იცანი?

— ვიცანი.—მარინემ ღრმად ამოიხვნეშა...

— ვინ იცანი?

— სული მეხუთება!... დედა, მიშველე!... ოჰ, მიშველე, დედა!—ატირდა მარინე, დედისკენ პირი ქნა და ღონემიხდილი კისერზე ჩამოეკიდა.

— ნუ გეშინია, შვილო, ნუ გეშინია, შენ დაგენაცვლოს შენი დედა! რა იყო. შვილო? რა დაგემართა, შვილო, შვილო?! — შექნა ყვირილი ესმამ, შვილის უსიცოცხლო სახე რომ დაინახა, როცა მას პირზე თავსაფარი აიხადა.

— ვინ შეიცანი, ვინ?—არ ეშვებოდა მაინც ვასილი, რომელიც ყურში ჩასძახოდა გრძნობადაკარგულ ქალს.

— დედამთილი!—ძლივს გასაგონი ხმით თქვა და მკვლარივით ხელებ და კისერმოსხლეტილი მიილუშა ესმას კალთაში“.

ასე ტიპიურად ხატავს მწერალი ფსიქოლოგიურ სურათს, გვიჩვენებს მარინეს ჩამორჩენილობას. აქ არა მარტო მარინეა ცრუმორწმუნოების ტყვე და მსხვერპლი, არამედ მთელი ის წრე, რომელიც მას არტყია. დავით კლდიაშვილმა დამაჯერებლობითა და სისრულით დახატა ცრუმორწმუნოების სიბნელეში მყოფი სოფელი. მიუხედავად იმისა, რომ აქ დახატული სურათი მეტისმეტად ბნელია, იგი მართალია. „მსხვერპლის“ შესახებ ჟურნალ „მომამბის“ რედაქტორმა ჟუონიამ დავით კლდიაშვილს წერილი გაუგზავნა. „მოთხრობისათვის დიდ მადლობას იწერებოდა,—წერს დავით კლდიაშვილი,—და თან იმასაც წერდა, რომ ნაწერები ხშირად მეტად შავ-ბნელიაო, მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებსო და უმატებდა: ნუთუ მართლა ასეთი სიბნელით არის მოცული სოფლის ცხოვრებაო; საჭიროა უფრო შენელება სურათის. ეს რჩევა მიუღებელი დარჩა ჩემგან, ის კი არა, ვნანობდი, რომ ბევრი რამ გამომრჩა აჩქარების გამო“. კლდიაშვილის ეს მოთხრობა საინტერესოა არა მარტო თემატიკურად, არამედ საინტერესოა, როგორც ოსტატობის დასრულებული ნიმუში. მოთხრობაში ყურადღებას იპყრობს ქალის ტიპი ფეფენა. იგი გამრჯე და მშრომელი ქალია, მტერი უსაქმურობისა და უმოქმედობისა, ერთგვარად იღია ჭაგქავადის ოთარაანთ ქვრივს წააგავს—ისეთივე მამხილებელია, როგორც ოთარაანთ ქვრივი იყო. იგი აზნაურს ასე მიმართავს: „საქმე კი არ გამომღევია თქვენსავით... თქვენთან ვილაყლაყო“. როგორ გვაგონებს ეს სიტყვები პრინციპული, მკაცრი ხასიათის ოთარაანთ ქვრივს!

აი როგორ ახასიათებს მწერალი ამ ქალს: „ამ ცოტათი წელში მოხრილ დედაკაცში რაღაც ძალა იყო დამალული, ამას გრძნობდა ყოველივე ადამიანი მისი დანახვისთანავე; მისი შეხედულება გაგრძნობინებდათ, რომ იგი სხვა დედაკაცს არ წააგავდა, რომ მასში სულ სხვანაირი ხასიათი იყო დაფარული; მისი კუშტი გამობედულება სხვანაირად მოქმე-

დებდა ყველაზე, ვინც მას მიუახლოვდებოდა. ამას ზედ ერთვოდა მისი განმარტოებულად ყოფნა, მეზობლებთან მიუკარებლობა, ყოველივე ეს იყო მიზეზი, რომ სოფლად კუდიანობას სწამებდნენ, ყველას მისი ეშინოდა და ყველა მას ერიდებოდა“. მწერალი თანაგრძნობით გვიხატავს ბნელი ცხოვრების მსხვერპლს ფეფენას. ფეფენა ბუნებით კეთილი და მშრომელი ქალია, მაგრამ ძველმა ცხოვრებამ, სოფლის სიბნელემ დატანჯა, მერე კი მსხვერპლადაც შეიწირა. ის ისევე მსხვერპლია ამ ბნელი ცხოვრებისა, როგორც მარინე. ხალხის მჩაგვრელი ძალა აქ სიბნელეა, უცოდინარობა და გაუხათლებლობა. ცხოვრების ამ ბნელ მხარეს ებრძვის სწორედ მწერალი.

დ. კლდიაშვილის ამ პირველ ორ მოთხრობაში უკვე გამოჩნდა საინტერესო მხატვარი, პროზის ნიჭიერი ოსტატი. ამ მოთხრობებში შექმნილი ხასიათები იმდენად განზოგადებული და ამალღებულია, რომ მისი ავტორი ამ დებიუტს თამამად შეჰყავდა დიდი კლასიკური მწერლობის კარებში, მართალია, დ. კლდიაშვილი ამ მოთხრობებში თემატიკურად აგრძელებდა ილია ჭავჭავაძისა და მისი მომდევნო თაობის სოციალურ თემატიკას, მაგრამ წერის თავისებური მანერა და ორიგინალობა უკვე ნათლად იყო გამოვლინებული. ამისდა მიუხედავად, უნდა ითქვას, რომ დ. კლდიაშვილის დიდი ორიგინალობა და ნოვატორობა ქართულ პროზაში გამოვლინდა იმერეთის აზნაურობის ყოფაცხოვრებითი სურათების ხატვაში.

* * *

დ. კლდიაშვილის შემოდგომის აზნაურები თითქმის ერთნაირად არიან გალატაკებულნი, დაკნინებულნი და უბადრუკნი. ერთნაირად, ვამბობთ იმიტომ, რომ დ. კლდიაშვილის მოთხრობებში გვხვდება ზოგი აზნაური, რომელთაც, როგორც მწერალი ამბობს, რაღაც მანქანებით კიდევ შერჩენიათ ქონებრივი მდგომარეობა. ისინი ერთმანეთის მსგავსად განიცდიან ცხოვრების ბუდიდან ამოვარდნილი ადამიანების მწა-

რე ხვედრს, წოდებრივ დაქვეითებასა და დაკნინებას. მწერალი ოსტატურად გვიხატავს იმ უფსკრულს, რომელიც არსებობს, ერთი მხრით, მათ ეკონომიურ შესაძლებლობას და, მეორე მხრით, მათ აზნაურულ ამპარტავნობას შორის. დაკნინებული აზნაურის ცხოვრება დ. კლდიაშვილმა ქართული ლიტერატურისათვის მანამდე უჩვეულო იუმორის ფორმით დახატა. მართალია, ქართულ ლიტერატურას ჰქონდა ერთგვარი ტრადიცია დაკნინებული თავადაზნაურობის ყოფა-ცხოვრების ასახვისა, მაგრამ ამ სფეროში არავის მიუღწევია ისეთ მხატვრულ სისრულემდე და სრულყოფამდე, როგორც ეს დ. კლდიაშვილმა მოახერხა. დ. კლდიაშვილმა აქ მოიპოვა საკუთარი ხმა და შეიმუშავა ორიგინალური ინტონაცია.

დავით კლდიაშვილმა, ჭეშმარიტმა რეალისტმა მწერალმა, იმერეთის დაკნინებული აზნაურის ცხოვრების ტიპიური სურათი პირველად გამოხატა მოთხრობაში „სოლომონ მორბელაძე“. სოლომონ მორბელაძე, მოთხრობის მთავარი მოქმედი პირი, დავით კლდიაშვილმა წარმოგვიდგინა ხელმოკლე, ღარიბ აზნაურად; სოლომონ მორბელაძე მხოლოდ ფიზიკური არსებობის შენარჩუნებას ცდილობდა. ამისათვის მას შედარებით იოლი გზა აურჩევია—მაჰანკლობის გზა. ამ გზით შოულობს ის ცხოვრების სახსარს. ის ერთგვარად კიდევ ტრაბახობს ამის გამო: „—მალე, მალე გაგისტუმრებ... მალე მოვიშორებ თავიდან შენს ვალს...“—ეუბნება სოლომონ მევალეს, — „ცოტა ფეხის გადადგმა შემეზარა, თვარა ფულს ვერ ვიშოვნიდი მე?! მართლა ისე დაგლახაკავეებული კი არა ვარ, ზოგიერთი აზნაოუშვილი რომ გინახავს... უფულობას რომ შეუშინებია, ცხვირები ჩამოუშვიათ და არ იციან, რა ქნან...“ ნამდვილად კი სოლომონ მორბელაძე ფრიად დაგლახაკებული და ხელმოკლეა. ამას თვითონაც არ მალავს: „— ჩემს შეილს, ჩემო პლატონ, უშველებელი კალამი უჭირავს ხელში... ისე მშვენივრად ურტყამს მიწას, მოგეწონება, რომ უყურო... არ ეკადრება, მართალია, თოხი აზნაოუშვილს, მაგრამ მეტი გზა არაა, თვითონაც იცი!“ სოლომონ მორბელაძეს კარგად ესმის, რომ მის კეთილშობილებას ნიადაგი გამოეცალა.

„დრომ ასე მოიტანა“, და ეს კლასიცი ჩამოქვეითდა. დავით კლდიაშვილი სოლომონ მორბელაძის თავგადასავალის ფონზე ხატავს აზნაურთა გადაშენების, მათი ეკონომიური დაკნინების ნათელ სურათს, მათი იმედისა და ოცნების მსხვრევას. სოლომონ მორბელაძე ხშირად თავის თავსაც ემდურის იმის გამო, რომ მის ხელობას—მაქანკლობას დიდი გასავალი არა აქვს. უჭირს ხალხს. ქალის გათხოვება პრობლემა გამხდარა იმიტომ, რომ ამ საქმეს მზითევი სჭირია, მზითევი გამხდარა ცოლქმრობის საზომი. სოლომონი ამგვარი გარიგების შუამავალია. და აი ათასგვარ ხერხს მიმართავს სოლომონ მორბელაძე, ტყაეში ძვრება, მოხერხებასა და გაქნილობას არ აკლებს საქმეს, მაგრამ მაინც არაფერი გამოდის. „მაქანკლობით ვშოულობ ცოტ-ცოტას, თითო-ოროლა გროშს... და ნამეტანი ტყუილები რომ შემერიოს, ვილა მენდობა?...“ ამბობს ის, მაგრამ მაინც იძულებულია, როგორც მაქანკალი, ტყუილის გზას დაადგეს. სოლომონ მორბელაძე ქაიხოსრო ქათამაძის ვაჟს ნიკოს ურიგებს ბესარიონ საქარაძის ქალიშვილს ელპიტეს; როგორც ბესარიონი, ისე ქაიხოსრო ცდილობენ ეს საქმე თავის სასარგებლოდ გადაწყვიტონ. სოლომონ მორბელაძე იძულებულია ორივეს ანგარიში გაუწიოს და ამ გზაზე ტყუილების ქსელში გაებას. ქაიხოსროს ატყუებს ბესარიონი და ორივენი, ბესარიონიცა და ქაიხოსროც—სოლომონ მორბელაძეს. ბესარიონი იძულებულია ამ გზას დაადგეს იმიტომ, რომ ხელმოკლეა. „მიჭირს, სოლომონ, მიჭირს, ძალიან მიჭირს, ვერ წარმოიდგენ... ნამეტან გლახა დროში ვცხოვრობთ. მე რომ მარტო მიჭირდეს, არაფერი, და ყველას, ყველას რომ გვიჭირს, სად უნდა წავიდეთ, ვისთან მივიდეთ, ვის შევეხვეწოთ მოხმარება?!“ და ამიტომაც სთხოვს ის სოლომონ მორბელაძეს, მისი მხარი დაიჭიროს, შეიბრალოს, არ გასწიროს:

„— შემიბრალებთ... კაცი შემიბრალებთ... კაცი, კაცი!.. მწარე გულით მონდომებული ვიყავი, ყველგან ვეძიე, მარა თელათ ვერ მოვუყარე ფულს თავი... ამას გეხვეწებით და გემუდარებით, ქვეყანაში ნუ გამომაქენებთ, ნუ შემარცხვენთ... ქალს ნუ მიმიტოვებთ... შე კურთხეულის შვილო, არ

ვიცი, რა დრო მოგვესწრო, რა საცოდაობაში ვართ ერთიანად ჩავარდნილი? ყველას, თელათ აზნაურობას რა გასაქირის დღე გვადგია, რა შავი დღე შემოგვესწრო?.. სამზითო ფული კი არა, ლუკმა პურს ძლივსძლივს ვშოულობთ, წლიური სარჩო სანახევროდ აღარა გვაქვს... ამისთან იმისთანა უღმერთობაც შემოვიდა, რომ სანამ ფულით ჯიბას არ გაუტენი, ქალს აღარავინ თხოულობს... სად იშოვოს ჩემისთანა აზნოუშვილმა ხუთასი და ექვსასი მანეთი... კაი, გაცყიდე მიწა, შევივიწროვე საქმე, ერთი მოვიშორე, როგორც იქნა; მეორეს და მესამეს რაღა უყოს კაცმა?... ფიქრობ, ფიქრობ, მარა არაფერი გამოდის... ქალი კი ხანში შედის და, თუ დროზე ვერ უჩვენე გზა, შემოგაბერდება ხელში და მერე ხელსაც არავინ მოჰკიდებს. დაგედვა შეილის ცოდვა... ღმერთს ვფიცავარ, იმისთანა გარემოებაში ვართ, რომ ისევ ის ჯობია, კაცი ოჯახს რომ არ მოეკიდოს!... ღმერთს ვფიცავარ. აბა რანაირია ახლა ჩემი მდგომარეობა!.. კაციც ხომ უარესი შეიქმნა, რომ ერთმანეთის შებრალება აღარ იციან... ბიჭო, თუ კაი კაცი ვარ, სამოყვროდ გინდებვარ, რაღაზე მძარცვავ და მგლეჯავ?... ამაზედ მეტი უკუღმართობა იქნება?! ღმერთმანი ცოდვაც არაა, რომ ამისთანაში კაციც მოატყუო, თუ კი რამე გაეწყობა“.

სოლომონ მორბელაძე იძულებულია ტყუილების ხლართში გააბას ქაიხოსრო, მაგრამ საბოლოოდ ყველაზე უფრო მოტყუებული და გაწბილებული თვითონ დარჩება. ეს გაქნილი მაჰანკალი თვითონვე გაება მის მიერ მოქსოვილ ტყუილების ბადეში. სოლომონ მორბელაძე კარგად ხედავს, რომ მიზეზი მთელი ამ უბედურებისა მშვიერი აზნაურის ნამდვილი მდგომარეობაა. ხელობისაგან, პროფესიისაგან გაწბილებული აზნაური სოლომონ მორბელაძე სწყევლის თავის ბედს, თავის ხელობას, თავის გაჩენას: „—ღმერთმა დასწყევლოს, ღმერთმა!—თავისთვის ლაპარაკობდა სასოწარკვეთილებაში მყოფი უიღბლო მაშვალი.—ღმერთმაც დასწყევლოს ამნაირი გაძალღებული ცხოვრებაც... მშვიერ, გაღატაკებულ კაცს რაღა უნდა ენდო კაცი? პატიოსნებაც დავიწყებულია და სვინდისიც! ცოდვათაც აღარ მიაჩნია, თუკი რაიმე წაგლლიტა, წაგაფცქვენა,

მოგატყუა, გაგაცუცურაქა! ყოლიფერი დავიწყებული აქვს ან ოხერი გაფშიკებული კუქის გამოისობით. დასწყევლა ღმერთმა ხელმოკლე აზნაურის უსაშველო გაძაღლებული ცხოვრება. რითი გამოაქვთ თავი, მეტი გზა რომ არა აქვთ? ტყუილი, ტყუილი, ყოველ ნაბიჯზე ტყუილი და უპირულობა! რა გამოვიდა ორი თვის ჩემი წანწალიდან? მოვატყუეთ, მომატყუეს და ერთი მოტყუებული ხვალ ან ზეგ კარზე მომადგება კიდევ. საშველი თუ მაინც მოგვეცემა როდისმე, რომ კაცური ცხოვრება გვეღირსოს?”

შეუძლებელია კაცმა წარმოიდგინოს ამაზე უფრო გულწრფელი და მართალი აღსარება იმ მდგომარეობისა, რომელშიც ქართველი ხელმოკლე აზნაურობა მოექცა 900-იან წლებში. დ. კლდიაშვილი ცხოვრების, ეპოქის ხასიათის ცოდნით ხატავს ხელმოკლე აზნაურთა ბედს, მათს გამოუვალ მდგომარეობას, მათს განწირულებას.

დავით კლდიაშვილმა, როგორც რეალისტმა მწერალმა, მთელი სიმძაფრით წარმოადგინა ის სინამდვილე, რომელმაც წარმოშვა აზნაურობის განწირულობა, აქედან წარმომდგარი მისი უნუგეშო ბედიც. მიუხედავად ამისა, მაინც სასაცილოა ის მდგომარეობა, რომელშიაც სოლომონ მორბელაძე და მის ბედში მყოფი აზნაურები ჩაეარდნენ, და კლდიაშვილიც ამას იყენებს, როგორც მასალას იუმორისათვის. თავის მეგობრისადმი მიწერილ ერთ-ერთ წერილში (1907 წ.) დავით კლდიაშვილი აღნიშნავდა: „ბევრ მკითხველს უცინია ჩემი მოთხრობის წაკითხვაზე, მე კი, მათი დამწერი, გეფიცებით, არა ერთხელ გულამღვრეული მოვშორებივარ მაგიდას და ზედ მიტოვებულ ნაწერს. მე მუდამ იმას ვცდილობდი, რაც შეიძლება უტყუარი მასალა მიმეწვდინა საზოგადოებისათვის, რომ მასაც ეგრძნო ის უნუგეშობა და უიმედობა, რომელიც გარს გვახვევია“.

დავით კლდიაშვილის მეორე მოთხრობის „სამანიშვილის დედინაცვალის“ მთავარი პერსონაჟები ასევე შემოდგომის აზნაურები არიან, იმერეთის ხელმოკლე აზნაურები. მიუხედავად იმისა, რომ თემატიკურად აქ იგივე წრეა, დ. კლდიაშვილმა მოახერხა მოეცა აზნაურების განსხვავებული ტიპები.

ამ მოთხრობის მთავარი პერსონაჟებია პლატონი და მისი მამა ბეკინა სამანიშვილები. ბეკინა, „რასაკვირველია, ლარიბი აზნაური იყო, გვარიანი ლარიბიც, ბეკინას კი თავისი თავი მდიდრებში მიჰქონდა“. „ერთობ გადაპრანქული აზნაური იყო ჩვენი ბეკინა“, — ამ რამდენიმე სიტყვაში ზედმიწევნით ზუსტად არის დახატული ბეკინას ტიპი. ბეკინას ძველებური აზნაურული სიამაყე და კულდაბზიკობა მთელი სისრულით დაუცავს. იგი წარსულის ფანტაზიით, ძველის წარმოდგენით ცხოვრობს, აზნაურიშვილობით ამაყობს, ცხოვრებას ძველებურად შეჰყურებს. ბეკინა არ იცნობს ახალ ვითარებას. გართულებული ახალი ცხოვრების შედეგად ნიადაგის რყევა მას თითქოს არ უგრძნია. ნამდვილად კი ბეკინას კულდაბზიკობას, თავმოწონებას ნიადაგი გამოცლილი აქვს. ეს უნიადაგობა უფრო აქვს შეგნებული მის შვილს პლატონს და ამიტომაც იგი შიშით შეჰყურებს ხვალინდელ დღეს. პლატონი მწვავედ განიცდის ახალი ცხოვრების შეტევას და გრძნობს, რომ მომიჯალი კარგს არ უქადის. ბეკინასაგან განსხვავებით, ის უფრო დაკვირვებულია. ამიტომაც ასე გაშმაგებით ებლაუქება იმას, რაც აქვს. რამდენადაც პლატონის საკუთარ ზურგზე გადადის ახალი ცხოვრების სიმძიმე, მისივე მეზობელი გლეხებივით მიწას თოხნის, არავითარ შრომას არ ერიდება, მაგრამ ოჯახს მაინც სიღატაკისა და გაჭირვების აჩრდილი დასტრიალებს. ამიტომაც მწვავედ იგრძნობს ის შექმნილი ვითარების სიმწვავეს. ბეკინას ჰქონდა წარსული. ეს წარსული მას ძალაში ეგულება და აწმყოში ამით ცხოვრობს. პლატონისათვის უცნობია წარსული, აწმყო კი მისი მძიმეა და სევდის მომგვრელი. ამ ნიადაგზე შლის მწერალი ნაწარმოების სიუჟეტს. ჰარმაგი მოხუცი ბეკინა განიზრახავს მეორე ცოლის შერთვას, პლატონს მამის ეს განზრახვა შიშსა ჰგვრის და აშფოთებს, რადგან შეიძლება ბეკინას შვილი ეყოლოს და, ამგვარად, პლატონს მისი მცირე ქონების მოზიარე გაუჩნდება.

ბეკინამ ერთ დღეს კაცი მიუგზავნა პლატონს და გამოუცხადა თავისი სურვილი ცოლის თხოვისა:

„— მლუპავ, მამა? — მივიდა იგი ბეკინასთან, — მლუპავ?

დანას მიყრი ყელში?.. რატომ მიმეტებ, შენი ჰირიმე?!—
ძლივს წარმოსთქვა პლატონმა და ხმაჩაწყვეტილმა უნუგე-
შოდ ხელები გაშალა.

— გლუპავ?! რათა, შვილო, რათა?! შენისთანა შვილი
უნდა დაღუპოს მამამ?!
.

— აბა რაა?—და ისევ სიტყვა გაუშრა პლატონს.

— კარგი თუ გიყვარდე, კარგი!—მხიარულად შესძახა
ბეკინამ.—შე კარგო კაცო, მე ერთი ბებრუხანა მოვათრიო,
შენ რატომ უნდა დაიღუპო, შვილო?... რა დაგლუპავს, თუ
გიყვარდე?

— შვილი გეყოლება...

— ხა, ხა, ხა!—გადიხარხარა ბეკინამ და სიტყვა გააწყ-
ვეტინა პლატონს.—შვილი გეყოლებაო... ხა, ხა, ხა! რალა
დროს ჩემი შვილია, შე კაცო!? ხა, ხა, ხა!

— მამა... შენ ნუ მომიკვდები, სიკვდილის მსგავს საქმეს
მიპირებ...“

ბეკინას გაჯიუტებას ვერაფერი უყო პლატონმა. ამ მხრივ
საქმე წაგებული იყო გამოუბრუნებლად. ახლა საჭირო იყო
ისეთი რამ ხერხის ხმარება, რომ ბეკინას გულის წადილის
ასრულებასთან პლატონი იმედიანად ყოფილიყო, რომ თავი-
სი მიწის ორიოდ ნაფლეთი მთლად შერჩენოდა და დღე-
საც მის გასაძღომად არა საკმარისი ლუკმა ორად არ გაყო-
ფოდა. და რომ მამაც დააკმაყოფილოს და თვითონაც
იმედიანად იყოს, იგი გადაწყვეტს თავად იკისროს მაქანკ-
ლობა და გაურიგოს ისეთი ქალი, რომელიც ორნაქმარევი
და უშვილო იყოს. დიდი წანწალის, მოგზაურობის შემდეგ,
რასაც კომიკურ სიტუაციებში აღწერს მწერალი, კიდევ
მონახა ამნაირი ქალი, მაგრამ ბედმა აქაც უმტყუნა. დედინაც-
ვალი დაორსულდა. აუხდა პლატონს ის მწარე სიზმარი,
რომელიც მან რამდენიმე დღის წინ ნახა. მაგრამ პლატონს
ჯერ კიდევ იმედი აქვს, რადგან ცოლმა ასე აუხსნა სიზმარი,
რომ მის დედინაცვალს მუცელი მოეშლებოდა. მაგრამ ხანი
გადიოდა, საზარელი არსება ზრდაში შედიოდა. მერე გადა-
წყვეტს დედინაცვალს მუცელი ძალით მოაშლეგინოს. ერთ
დღეს გაშმაგებული პლატონი ის იყო მუცელში წიხლის ჩა-

ცემას უპირებდა ელენეს, რომ ბეკინამ ხელი ჰკრა. წიხლი ასცდა ელენეს, მხოლოდ მჩატედ მოხვდა ხელზე. პლატონი უცბად მოტრიალდა და ისევ უნდა ჩაეკრა მეორედ წიხლი. რომ ბეკინამ ხელი წაავლო გამხეცებულ შვილს. როცა ამ გზითაც ვერაფერს გახდა, იმასლა ნატრობდა, გოგო მაინც ეყოლოსო. მაგრამ არც აქ გაუქრა ბედმა პლატონს. ბეკინას ვაჟიშვილი შეეძინა და პლატონის მცირე ქონება შუაზე გაიყო. ასე ტრაგიკულია ამ პატარა ადამიანის ბედი. ასეთი მუქია მთელი ეს სურათი. მწერლის არ იყოს, „სწორედ შეეცოდებოდა კაცს პლატონი, რომ თვითონ ამბავი სასაცილო არ ყოფილიყო“.

მიუხედავად იმისა, რომ პლატონი, ბეკინასაგან განსხვავებით, კარგად გრძნობს უნიადაგობას და განწირულობას, იგი მაინც არ არის განთავისუფლებული აზნაურული კუდაბზიკობისაგან. მაგალითისათვის ავიღოთ ის სურათი, როდესაც პლატონ სამანიშვილი დედინაცვლის საძებნად მიემგზავრება. მას, როგორც ხელმოკლე აზნაურს, საკუთარი ცხენი არა ჰყავს და მეზობელს გაძვალტყავებულ ცხენს სთხოვს.

ძნელია კაცმა წარმოიდგინოს უფრო კომიკური სურათი, ვიდრე არის ის სცენა, რომელსაც მწერალი ხატავს. ესაა სცენა მეზობლისაგან ნათხოვარი ცხენით სამანიშვილის მოგზაურობისა. როდესაც პლატონმა ეს ზურგგადამძვრალი ცხენი მოიყვანა, ასეთი საუბარი გაიმართა ცოლსა და ქმარს შორის:

„— ამაზე შეჯდომა რავე შეგიძლია? — უთხრა მელანომ. პლატონმა რომ ცხენს უნაგირი შეადგა, ცხენმა სულ კანკალი დაიწყო.“

— აბა ფეხით ვის მივადგე, შე ქალო?!

— კი, მარა სულ არ მოგჯება ამ საცოდავს ზურგი?

— ფეხფეხა მივეყები, ბატონო ფეხფეხა მივეყები. სირცხვილისათვის მიმყავს, თუ არა... შენ მე მოსართავი მომეცი და ამის ჯავრი ნუ გაქვს! აი ამოგივარდა პატრონი! — მიძახა პლატონმა, მოსართავს რომ ხელი მოკიდა, — მეიტა მელანო, ჩხინკი იქნება რამე: ენა არ ქონებია აბზინდს... მეიტა, ნალე, თუ ქალი ხარ...

დაამაგრა მოსართავი ჩხინკით პლატონმა, დაიხურა ქული,

გადიგდო ბეჭებზე ყაბალახი. მოიხსნა თავისი თედობაძობუსკული რაში და თითქმის წაათრია უგულოდ მიმყოლი ცხენი ჭიშკრისაკენ.

სწორედ ამევე დროს აივანზე გამოვიდა ახალუხის ამარა ბეკინა და რა დაინახა მიმავალი შვილი, გადასძახა:

— მიხვალ, პლატონ?

— მივდივარ. ბატონო, მივდივარ, რაეარც ხედავ!— მიუგო პლატონმა.

— აჰა ჰე, შენ იცი, ღმერთმა კეთილად გამგზავროს!— მიატანა სიტყვა ბეკინამ.

პლატონმა გადაიარა ეზო, გავიდა ჭიშკარში და მალე ორლობეში მიმავალი, გზას იქით-აქეთ მიმყოლ ხეებში მიიმალა.

— ე ბედაური ვის გამოართვა, მელანო ჩემო?— მიმართა ბეკინამ ჭიშკრიდან უკან გამობრუნებულ რძალს... არ დოუვარდეს გზაში, შე ქალო,— გაიცინა მოხუცებულმა.

— სხვის შესახედავად წაიყვანა, ბატონო, სასირცხვილსანამუსოდ, თუ არა სხვებრ რას არგია*.

ასეთი იუმორით ხატავს მწერალი აზნაურების კუდაბზიკობის სურათს. მსუბუქი იუმორი ნაწარმოებს ბოლომდე გასდევს. ეს ჩანს ყველა სურათში— იქნება ეს სცენა გზად მიმავალი პლატონისა და ვილაც გაქნილი ვეჭილის ივანე გვერდევანიძის შეხვედრისა, კირილე მიმინოშვილისა და პლატონის ქეიფისა თუ მოგზაურობის სხვა სურათები. და ყველგან ამ კომიკურ სიტუაციებში მხილებულია კუდაბზიკა და ხელმოკლე აზნაურის განწირულობა, დახატული უხვი საღებავებით.

ამ ნაწარმოებში მოცემულია რამდენიმე ტიპი. ბეკინასა და პლატონის გარდა, პირველ ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს კირილე მიმინოშვილი. კირილე ტიპიური აზნაურია, რომელსაც რაღაც მანქანებით ქონება კიდევ შერჩენია. იგი მთელ თავის ცხოვრებას ქეიფსა და აყალმაყალში ატარებს. ამ მოქეიფე, შფოთის თავმა და უქნარა აზნაურმა მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო უწყინარი პლატონიც. კირილე მიმინოშვილი თავისებური პროტოტიპია ტარიელ მკლავაძისა.

დავით კლდიაშვილმა მისი სახით დაგვიხატა უსაქმური აზნაურის ტიპი. ასევე საინტერესოა არისტო ქვაშავიძე. ეშმაკი, მატყუარა, ქლესა აზნაური წარმოგვიდგინა მწერალმა არისტოს სახით. დამახასიათებელია, რომ ამ ხელმოკლე, დაკნინებული აზნაურების გვერდით დ. კლდიაშვილმა მოგვცა შეძლებული აზნაურის რამდენიმე სახე, რომელთა შესახებ მწერალი ამბობს: „სალობერიძე ერთი იმ აზნაურთაგანი იყო, რომელთაც რაღაც მანქანებით დღეს კიდევ შერჩენიათ იმდენი მამული, რომ შეუძლიათ რიგიანად იცხოვრონ და გაუჭირვებლად გაუძღვნენ თავიანთ ოჯახს“. მაგრამ ეს მაინც არ არის დამახასიათებელი, ტიპიური დ. კლდიაშვილის გმირთა გაღერებაში; ტიპიური ჩვენი მწერლის სამყაროსათვის ხელმოკლე, დამშეულ აზნაურთა ქარავანია.

დ. კლდიაშვილის შემოქმედებაში ერთგვარი დასკვნითი ნაწარმოებია მოთხრობა „ქამუშაძის გაქირვება“. ოტია ქამუშაძე, ამ მოთხრობის მთავარი გმირი, მშრომელი კაცია. მეზობელი გლეხებისაგან ის არაფრით არ განსხვავდება. მას ხელში თოხი უჭირავს და დღე და ღამე შრომობს როგორც გლეხი. მაგრამ ეს შრომაც არ შეელის მას; იმდენად მცირე მიწა აქვს, რომ მუყაითი შრომითაც, მძიმე ჯაფითაც ვერ ახერხებს ოჯახის შენახვას. დ. კლდიაშვილი ამ ფონზე სვამს პრობლემას, თუ როგორია ბედი იმ აზნაურისა, რომელსაც ცხოვრების გზად შრომა აურჩევია და მაინც თავი ვერ დაუღწევია სიღატაკისა და შიმშილისათვის. დ. კლდიაშვილის აზრით, ამგვარ აზნაურს შიმშილი ქალაქისაკენ მიერეკება. მწერალმა თავისი გმირი ოტია ქამუშაძე ქალაქში წაიყვანა და, რომ უფრო სრულყოფილი გაეხადა საბუთიანობა ამ მიზეზებისა, დაგვიხატა გამოუვალი, მძიმე მდგომარეობა, რომელიც არა მარტო ოტიას ოჯახის, არამედ მთელი სოფლის, მთელი იმერეთის აზნაურობის ხვედრია. დ. კლდიაშვილი მთელი რიგი დეტალებით ავსებს აზნაურთა ხელმოკლეობისა და სიღარიბის სურათს. აქ ნაჩვენებია, თუ რა სანატრელი გახდომიათ აზნაურებს, მაგალითად, ეკალაზოგ აზნაურს კარგად დაგეშილი ძაღლი არჩენს,—ვის კვერცხს მოსტაცებს, ვის ქათამს, ვის კეციდან მკადას და ამით უმას-

პინძლდება გაფხეკილ პატრონს—აზნაურს! ეს ამბები სიცილის მომგვრელია, მაგრამ რეალისტის ხელით ისე კოლორიტულადაა გადმოცემული, რომ დეტალებში ჩანს გაძვალტყავებული აზნაურის ცხოვრების უსუსურობაც და განწირულობაც.

მოთხრობაში ქამუშადის ოჯახის ისტორიაა გადმოცემული. ოტია ქამუშადის დედა ეკვირინე ტიპიური აზნაურია. ის, ისევე როგორც ბეკინა, წარსულის მოგონებით ცხოვრობს. როდესაც ამ ღარიბი აზნაურის ოჯახში ქალაქელი ქალი სონია მოხვდება, ეკვირინე რძალს იმით ამშვიდებს, რომ წარსულის სურათებს უხატავს. კულაბზიკა დედაბერი ტრაბახში მალავს თავის სიღარიბეს: „ყოლიფერი საკმაო გაქვთ, შვილო, გული მხიარულად იქონიე, შვილო, სხვა არაფრის დარდი ნუ გექნება, ყოლიფერია ღვთის მადლით, სხვას ზოგიერთს ამის ნახევარიც არ მოეძებნებათ. თქვენ ვერ შეგედრებათ“. მწერალი ამ სიტყვებს უმატებს: „მოხუცებულის სიტყვები ახლა უსიამოვნოდ ხვდებოდა სონიას გულს; ატყობდა აშკარად გაბერვით ლაპარაკს, სწყინდა, რადგან ამაში ხედავდა დედამთილის განზრახვას, მოეტყუებინა იგი. ნამდვილად კი ეკვირინეს ღრმად სწამდა თავის ოჯახის კეთილმყოფელობა და ახლა მხოლოდ ნატრულობდა ეგვერ რწმენა ჩაენერგა რძლის გულშიაც“. ეკვირინეს მეცადინეობა ამაოა. სონია დარწმუნდა, რომ მათი მდგომარეობა გამოუვალაია. ამას გრძნობს მისი ქმარი ოტიაც. სონია, ქალაქელი ქალი, მწერალმა შემოიყვანა გალატაკებული აზნაურის ოჯახში და უფრო მკვეთრად გვაგრძნობინა აზნაურული გარემოს დაკნინება და უბადრუკობა. ისეთი შემადრწუნებელია ეს სინამდვილე, რომ სონიას ერთბაშად იპყრობს შიში და სასოწარკვეთილება. იგი მწვავედ შეიგრძნობს სილატაკისა და გაჭირვების სიმწარეს. ეკვირინეს ტრაბახისგანაც ის შთაბეჭდილება მიიღო, რომ ეს ხალხი მხოლოდ წარსულის მოგონებით ცოცხლობს, ახლა კი ყველაფერს უმწეობის, სილატაკის, გაჭირვების დაღი აზის; ეკვირინესა და მის მსგავს აზნაურთა ამპარტავნობას ნიადაგი გამოცლილი აქვს. რაც დრო გადის, მით უფრო მწვავედ შეიპყრო სონია სევდამ და მწუხარებამ. მას გულის სიღრმიდან აღმოხდება:

„რისი იმედითაა? რა აქვთ კიდევ საიმედო?“ შეშინებულნი სონია უფრო ახლოს ეცნობა სოფელს, მეზობლებს, ოჯახს, მან საკუთარი თვალით ნახა, თუ როგორ მოკვდა შიმშილისაგან მისი მეზობელი, საკუთარი ყურით მოისმინა, თუ რა სანატრელი გამხდარა სიკვდილი დამშეული და გალატაკებული აზნაურისათვის. გაჭირვება და მწუხარება სდევს მის ოჯახსაც. აგერ ზაფხული მოვიდა და სიმინდი აღარა აქვთ. ოჯახმა ძლივს დააღწია თავი შიმშილს. ისიც ვაჟის ნათლის სიმონ სამადაძის წყალობით. მაგრამ ეს დახმარებაც ვერ უშველის ხელმოკლე აზნაურის ოჯახს. ქამუშაძეებს სახელმწიფო გადასახადი ვერ გადაუხდია. ბოქაული სასიმინდე ბელელს, რომელშიაც უკანასკნელი საზრდოა დარჩენილი, დაუქეტავს. ამ სინამდვილით აღშფოთებული სონია გადაჭრით მიმართავს ქმარს: „ოტია, ჩენი აქ დარჩენა სიკვდილია, ოტია, სიკვდილია, ოტია... ჩვენ უნდა წავიდეთ, უნდა გავშორდეთ აქაურობას, ოტია, უთუოდ. უსათუოდ, ოტია.“ ასე მწვავედ აყენებს მწერალი ქამუშაძეებისათვის სოფლიდან თავის დაღწევის აუცილებლობას. ამ სინამდვილეში მკაცრად ჩაახედა სონიამ ქმარი—ოტია, რომელსაც უძნელდება სოფლის დათმობა. ბოლოს და ბოლოს ოტიაც დარწმუნდება, რომ სხვა გამოსავალი არ არის. იგი იძულებულია სონიას მიერ დასახულ გზას დაადგეს. ოტიასათვის ძნელი იყო ეს გადაწყვეტილება—სოფლის, ოჯახის, მშობლიური კერის მიტოვება. იგი ასეთი აღსარებით წარდგება დედის წინაშე.

„— თავს ველარ ვრჩენულობთ, დედა! თავს ველარ ვრჩენულობთ!... წელში ვწყდებით მუშაობით, მარა არა გამოდის რა... უქმად მიდის ყოველივე მეცადინობა!... ჯაფას ნაყოფი არა აქვს!... ვეწვალებით მხოლოდ... საბოლოოს ვილა იბობს, გასაძლომს ველარ ვშოულობთ!... ყველა გამწარებულია, შიმშილისაგან გონებაარეული!... აქ აღარაფერი სიკეთეა... ათასნაირი გაჭირვებისა და უბედურების მეტი!... ეგებ იქ მაინც ეშველოს კაცს!.. ბევრი იქით იწევა... ქე შოულობენ რაღაცას, თავს ირჩენენ... აქაურობას რომ მივაჩერდე, რა გამოდის გაჯახიერების მეტი! იქ მაინც ვცდი თავს!

თუ დავიღუპები, სულ ერთია, აქაც ხომ მეტი ხეირი არ მომელის; ეს გადაწყვეტილია, დედი, გადაწყვეტილი!“

დ. კლდიაშვილს შემოდგომის აზნაურთა წარმომადგენელი, რომლის წინაშეც ფიზიკური არსებობის შენარჩუნების საკითხი დგება და რომელსაც შრომა აურჩევია არსებობის საშუალებად, ქალაქში მიჰყავს. მაგრამ ეს სრულებით იმას არ ნიშნავს, რომ დავით კლდიაშვილი ამ მოთხრობის მიხედვით თითქოს ქალაქს უფრო სიმპათიით უყურებდეს, ვიდრე სოფელს, რომ აქ ერთგვარი უპირატესობის საკითხი იდგეს. არა, მოთხრობაში ამგვარი ტენდენცია არა ჩანს. პირიქით, დავით კლდიაშვილი ამ მოთხრობაში იძლევა ქალაქს თავშეფარებულ ადამიანთა რამდენიმე უარყოფითს სახეს. პორფირე ბიაშვილი, ყოფილი აზნაური, სოფლიდან ქალაქში გაქცეული, აქ დახატულია, როგორც ორპირი, მატყუარა, ტრაბახა და მექრთამე, რომელიც ათასგვარი კომბინაციითა და მაქინაციებით ტყავს აძრობს ხალხს. იგი ხან კანცელარიის მოხელის, ხან ვეჟილობის გზით პოულობს „გამოსარჩენ“ საქმეს. ასევე უარყოფითად არის დახატული მეორე ქალიქელი ტიპი ბეგლარ კინჭარაძე, სონიას ძმა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მწერლის წინაშე მწვავედ დგას პრობლემა აზნაურის გადარჩენისა და ის, როგორც რეალისტი მწერალი, კარგად ხედავს, რომ სოფლის პირობები არ აძლევს აზნაურს ამის საშუალებას. „სინათლეზე უფრო ნათლად შეიქნა მისთვის, რომ მარტო მიწა; ის მიწა, რომელზედაც იგი იდგა, ვერასგზით მას ვერ დააკმაყოფილებდა, რომ მისი შეჩერება მხოლოდ სამუდამოდ დაღუპავდა მასაც, მის ცოლშვილსაც და მომავალსაც,“ ათქმევინებს ის ოტია ქამუშაძეს. ავტორის აზრით, „მისუსტებულ სოფელთან შედარებით უფრო ღონიერია ქალაქი“. ამის მიხედვით დავით კლდიაშვილმა ბუნებრივად მიაცილა თავისი გმირი ქალაქამდე, მაგრამ შემდეგ არ გვიჩვენა, თუ რა ბედი ეწვია მას ქალაქში. და ეს მაშინ, როდესაც დ. კლდიაშვილი კარგად იცნობდა ქალაქის ცხოვრებას. მწერალმა თავისი შეგნებული ცხოვრების უდიდესი ნაწილი ქალაქად გაატარა. მის თვალწინ იქცა ბათუმი სამრეწველო ქალაქად. მიუხედავად ამისა, დ. კლდია-

შვილს „უჭირს არჩევანი“. თავის მემუარებში მწერალი შენიშნავს: „ცხოვრების მიერ შექმნილი პირობები ხელს უწყობდა მიწასთან გაშორების ქადაგებას და სოფლებიდან აუარებელი ხალხი მოდიოდა ქალაქებისაკენ, უკეთეს ცხოვრების მოსაძებნად“. მაგრამ ამ მხრივ არ იყო ერთიანი აზრობა: „ერთნი ხსნას მიწასთან განშორებაში ხედავდნენ, მეორენი კი ირწმუნებოდნენ, რომ მიწასთან განშორება და ჩვენი დაღუპვა ერთი იქნებოდა“.

მწერალი კარგად ხედავდა, რომ არა მარტო ქალაქად წარმოიშენენ მდიდარი და ღარიბი, ბურჟუაზია და პროლეტარიატი, არამედ კლასობრივი დიფერენციაციის პროცესი მიმდინარეობს სოფლადაც. გაჩნდა სოფლის ბურჟუაზია. დ. კლდიაშვილმა „ქამუშაძის გაჭირვებაში“ შეძლებული, განდიდრებული გლეხი დაგვიხატა სამადაძის სახით, სამადაძეს შვილი მოანათვლინა აზნაურმა ოტიამ. ეკვირინე კიდევ ამტკიცებდა, რომ ის, მართალია, გლეხია, მაგრამ ჩვეულებრივს აზნაურს როდი ჩამოუვარდებო. თვითონ სამადაძე უპირატესობას გრძნობს აზნაურთა წინაშე. ის ამყად მიმართავს ხელმოკლე აზნაურს: „ყაზახი ვარ! — შეყვირა მან წელში გამართულმა, — ყაზახი ვარ, მარა შენისთანა შემოდგომის აზნაურიშვილს კიდევ ვჯობივარ... შენისთანა შემოდგომის აზნაურისა რა მცოდნია?“ „შემოდგომის აზნაური“ აქ შემთხვევით ნახმარი გამოთქმა როდია. მწერალმა ღრმა სოციალური მნიშვნელობა მიანიჭა ამ ფრაზას. ამით გამოხატულია სოციალური დიფერენციაციის ის აზრი, რომელიც არკვევს დაკნინებას და დაცემას აზნაურობისა, ხოლო მეორე მხრივ სოფლის ბურჟუაზიის — კულაკობის წარმოშობას. ამით განსაზღვრა სრული განწირულება და დროგასულობა აზნაურთა წოდებისა.

იმერეთის აზნაურობის ამსახველ ნაწარმოებთა ციკლში შედის აგრეთვე მოთხრობა „როსტომ მანველიძე“. ამ პატარა ესკიზს დავით კლდიაშვილი ერთგვარი მსჯელობისა და ანალიზის გზით წარმართავს. ამიტომ აკლია მას კლდიაშვილისათვის დამახასიათებელი იუმორის ძალა. აქ მოთხრობილია ბუდიდან ამოვარდნილი, „ყველაზე გულგატეხილი და

ყველაზე გულდაწყვეტილი“ აზნაურის ცხოვრების ისტორია. როსტომ მანველიძე, ნაწარმოების მთავარი გმირი, ერთ დროს თავმომწონე ცნობილი აზნაურის შთამომავალი იყო. ამ გვარის დიდება გაქრა, „ცხოვრება თავისას შვრებოდა“, გადაქაჩულ აზნაურებს უკან და უკან სწევდა, დღედაღღე გაჰკირვებას უმატებდა. გულადობისათვის იუნკრის ჩინით დაჯილდოებულ როსტომს „კეთილშობილება და მასთან შეკავშირებული სხვადასხვა უფლებანი უკანასკნელ ხანამდის განუყრელ და განუშორებელ საკუთრებად მიაჩნდა როსტომს“, მაგრამ შემდეგ ისე ჩამოქვეითდა, რომ არა ერთხელ უთქვამს, „გაგვაგლეხკაცონ ბარემ დალოცვილებმაო“. მწერალი თავის მხრივ უმატებს: „ალბათ, ვერ ამჩნევდა როსტომი, თორემ რაც ყველაზე უარესი იყო, ის ემართებოდა—მისი ოჯახი ნიავდებოდა, ცივდებოდა და ინგროდა“. ახლა ყველასაგან მიტოვებულია როსტომი, იგი ქალიშვილებმა და ცოლმაც მიატოვეს. როსტომს შერჩა ერთგული ყმა დათა. „მისით უდგია“ მას ჯერ კიდევ სული. ცხოვრების ბუდიდან ამოვარდნილი აზნაურის ბედს ასე გვიხასიათებს მწერალი: „ასეთ ცხოვრებას ატარებს დღეს საწყალი როსტომ მანველიძე, ...რომელსაც აღარც ოჯახისა, აღარც ცოლის ამბავს კითხულობს, აღარც შვილებისას, კარგად არიან, ავად არიან, ვისთან არიან, თხოვდებიან, თუ ისევ ქალიშვილობაში ბერდებიან“. ეს ესკიზი ცხოვრების ბუდიდან ამოვარდნილ იმერელ აზნაურთა ყოფის ტიპიური სურათია.

აზნაურთა დაკნინების სურათია გამოხატული მოთხრობა „ბაკულას ღორებში“. აქ მძაფრი სატირული სურათია დახატული ღორებთან მეომარი ხელმოკლე აზნაურის შეფოთისა და ჩხუბის აღწერის სახით.

დ. კლდიაშვილმა მოგვცა აზნაურების ერთიმეორისაგან მკვეთრად განსხვავებული სახეები. მის ნაწარმოებებში ჩვენ ვხვდებით აზნაურის ისეთ ნაშიერს, რომელიც მთელ თავის ცხოვრებასა და ენერჯიას ღვინოსა და სკანდალებში ფლანგავს (კირილე მიმინოშვილი, აბესალომ სალამიძე). ზოგი აზნაური ხელმოკლეობის გამო „გლეხობის პროფესიასაც“ არ ერიდება (პლატონ სამანიშვილი, სოლომონ მორბელაძის

შვილი და სხვ.), აზნაურების უმრავლესობა განწირულია, უპერსპექტივოა, მათი ყოველგვარი ცდა ამაოა (სოლომონ მორბელაძე, პლატონ სამანიშვილი და სხვ.) დ. კლდიაშვილ-მა დაგვიხატა „სიცოცხლის უნარიანი“ აზნაურიც — ოტია ქამუშაძე. მან „ფაქტიურად უარი თქვა თავის წოდებრივ პრივილეგიებზე, მას შრომით სურს წაართვას ბუნებას საარსებო საშუალებანი, მაგრამ „შიმშილისაგან“ დევნილი გარბის ქალაქში. უკანასკნელი ტიპი უფრო სიცოცხლეუნარიანია და მისი ცხოვრება ხდება სერიოზული დაკვირვებისა და კვლევის საგნად“.* დ. კლდიაშვილის გმირთა გალერეიას მაინც აერთიანებს ერთი ფსიქოლოგიური სულისკვეთება — აზნაურული კუდაბზიკობა.

მართალია, დავით კლდიაშვილის შემოქმედების ცენტრალურ თემას იმერეთის დაქვეითებული აზნაურობის ცხოვრება შეადგენდა, მაგრამ მწერალი თავისი შემოქმედების გზაზე როდი ივიწყებდა გლეხობის ცხოვრების, მისი ჩამორჩენილობისა და გაუნათლებლობის, უმეცრობის სურათების ჩვენებას, გლეხკაცთა ცხოვრების შემადგერხებელ მოვლენათა მხილებას. ასე, მაგალითად, 1903 წელს კლდიაშვილი წერს მოთხრობას — „მიქელა“. თემატიკურად ეს მოთხრობა „შერისხვისა“ და „მსხვერპლის“ გაგრძელებაა. „მიქელაში“ დახატულია ღვთის „უზენაესი ნების“ მორჩილი, ცრუმორწმუნე ადამიანი.

მიქელამ სულ მოკლე ხნის განმავლობაში მიწას მიაბარა სამი ვაჟი ცოლშვილიანად. მრავალრიცხოვანი ოჯახიდან შერჩა მხოლოდ ორი შვილიშვილი და დაქვრივებული რძალი. მიქელა ითმენს და ღვთის ნებით ხსნის ყველაფერ ამას. უმეცარი ადამიანის შეგნება ამაზე შორს ვერ მიდის. „და ცოცხლად მყოფი ორი შვილიშვილი ღვთისაგან საჩუქრად ჰქონდა მიჩნეული და მზად იყო დავეიწყნა უბედურება“. მაგრამ კვლავ დაერღვა მას, უზენაესის ნებით, ოჯახი, სასიკვდილო სარეცელზე ჰყავს უფროსი შვილიშვილი სპირიდონი. ახლა მიქელა მთელ იმედს უმცროს შვილიშვილზე ამყარებს. ამის გამო ის სპირიდონს ცალკე ქოხში მოათავ-

* ალ. წულუკიძე, თბუღლებანი, გვ. 74.

სებს და სახლს ფუძეს გამოუტყელის. ბოლოს სპირიდონს დამით მოვარდნილი ნიაღვარი წაიღებს. მაგრამ მიქელა, ამოწყვეტის შიშით შეპყრობილი, ამასაც იტანს, ოღონდ მისი უკანასკნელი შვილიშვილი შერჩეს. დავით კლდიაშვილმა არაჩვეულებრივი სიძლიერით დახატა ადამიანის მძაფრი ტრაგედია, ოჯახის გადაშენების შიშით გამოწვეული.

ცალკე უნდა გამოიყოს დავით კლდიაშვილის მოთხრობა „წრფელი გული“, რომელსაც დიდაქტიკური ხასიათი აქვს, და ეს გარემოება უთუოდ უკარგავს მოთხრობას ერთგვარ სიმძაფრეს.

მოთხრობის დედააზრი იმაში მდგომარეობს, რომ დაასაბუთოს „ყოველი ქალი, თუ კი ნამდვილ, ქეშმარიტ თავმოყვარეობითაა აღტურვილი, თუ მას ღრმადა აქვს ჩანერგილი პატიოსნება, სინდისი, მის გულს ვერ დაიმონავენებს დროებით გამოწვეული ვნებათა ღელვა, უღირსი გრძნობა“. ახალგაზრდა ბაბოს, რომელსაც ქმარიცა ჰყავს და შვილებიც, გაიტაცებს ახალგაზრდა კაცი, ოჯახის მეგობარი ვლადიმერ ბრელიშვილი. „ქურდულად, მისდაუნებურად ესტუმრა ეს უსიამოვნო სტუმარი, ის გრძნობა, რომელსაც სიყვარულს უძახიან და რომლის ნამდვილი სახელი კი ვნებაა“. ბაბოს ჰყავს მეგობარი გიგო და ის შეიტყობს მის საიდუმლოს და გაკიცხავს ამ საქციელისათვის. გიგო უკითხავს მას ბურჯეს რომანს — „სიცრუეს“, სადაც სუზანას რენე, ბებერი საყვარლის სურათზე დაახლევიანებს ცხვირს, როცა დარწმუნდება სუზანას გარყვნილებაში. გიგოს დახმარებით ქალი იოკებს ვნებას და მასში იმარჯვებს ქართველი დედა. დავით კლდიაშვილი აქ დედის მოვალეობას უპირისპირებს სიყვარულის გრძნობას, სიყვარულისა, რომელიც მწერალს ვნებათა ღელვიდ მიაჩნია და ქალის ნამდვილ მოწოდებასაც ოჯახისა და ქმრის ერთგულებაში ხედავს.

* * *

დ. კლდიაშვილმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული დრამატურგიის ისტორიაშიც. მისი ყოფაცხოვრებითი კომედიები დღესაც ინარჩუნებენ თავიანთ მნიშვნელობას, გვაცნობენ რევოლუციის წინაღობის დღე

ცხოვრებას ძველი იმერეთის ყოფითი სურათების ოსტატური გამოხატვით.

დ. კლდიაშვილი იუმორის ბუნებრივი გრძნობით, დაკნინებული, ცხოვრების ბუდიდან ამოვარდნილი აზნაურის მხილებით ქმნის საინტერესო კომიკურ სიტუაციებს, მძაფრ მოქმედებას. დ. კლდიაშვილის „დარისპანის გასაჰირი“, „ირინეს ბედნიერება“, „უბედურება“ ამჟღავნებენ დრამატული სიტუაციების ხატვის შესანიშნავ უნარსა და ძალას.

დ. კლდიაშვილი სამი პიესის ავტორია. თითოეულ ამ პიესაში სრულიად განსხვავებული მოქმედებებისა და სიუჟეტის თავისებური განვითარებაა. ყველაზე უფრო დამახასიათებელი დ. კლდიაშვილის წერის მანერისათვის მაინც „დარისპანის გასაჰირია“. ჩვენი აზრით, დ. კლდიაშვილმა აქ შესანიშნავად გამოიყენა ყოფა-ცხოვრების კომიკური სურათების ხატვის ხერხი, რომლითაც ასე ბრწყინავენ მისი მოთხრობები. ხელმოკლე აზნაურს დარისპანს პრობლემად გახდომია ქალიშვილის გათხოვება. პიესის იმბავიც ეს არის. ამის იქით მოჩანს ხელმოკლე აზნაურის უნიადაგობით გამოწვეული განწირულება. დარისპანს ოჯახიდან ოჯახში, ნათესავიდან ნათესავებში დაჰყავს უფროსი ქალიშვილი — კაროჟნა, მის ქებასა და სასიძოს ძებნას გადაჰყვება და მიზანს მაინც ვერ მიაღწია. რაც დარისპანს უჭირს, იგივე აწუხებს პელაგიასაც: „ოხერ გაჰირებულს სამი გასათხოვარი სახლში მიზის და მთხოვნელი კაცი არსად სჩანს“. იგი გულწრფელად სთხოვს მართას: „რას დავეძებ ვინ იქნება, სახლში სიძედ შემომიყვანე და გაჰირებისაგან მიხსნი“. დავით კლდიაშვილი ცხოვრების ამ მართალ დეტალს — აზნაურის ხელმოკლეობას — შესანიშნავად იყენებს პიესაში. მოქმედებას ამძაფრებს ამ სერიოზული მდგომარეობით გამოწვეული დეტალის კომიკური ფორმა. კომიკურისათვის კი მწერალს მასალას აძლევს აზნაურის კუდაბზიკობა და ის სიამაყე, რომელსაც ნიადაგი გამოცლილი აქვს და რომლის გამო აზნაურთა წოდება სასაცილო გამხდარა.

დ. კლდიაშვილის პიესებისათვის დამახასიათებელია დიდი სიტყვიერი, ლექსიკური ჰედადობა და სიმკვრივე, მო-

კვეთილი დიალოგები და, რაც მთავარია, ზომიერი იუმორის ფორმა, რომლითაც გამოიჩვენებენ მისი პიესები. გარეგნული ეფექტი, სანახაობითი სამკაულები არა სჭირდება დ. კლდიაშვილს. იგი ამ ხერხს არც მიმართავს. პიესის ძალა ეფუძნება ხასიათის კოლორიტულ გამოხატვას. ამგვარ კოლორიტს პიესაში ქმნის საყოფაცხოვრებო დეტალი, აზნაურული მარტივი ხასიათი. ხელმოკლეობით გამოწვეული შინაგანი ღელვა და მოჩვენებითი, გარეგნული, აზნაურული კუდაბზიკობა. მოვიგონოთ დარისპანის საუბარი პელაგიასთან და შემდეგ მომდევნო სურათი, სადაც მხილებულია ცრუ და ტრახახა დარისპანი. აზნაურის ამგვარად გამოხატვამ დ. კლდიაშვილს დიდი პოპულარობა მოუპოვა პროზისა და დრამატურგიის ქანრშიაც. დ. კლდიაშვილის იუმორის მამხილებელმა ძალამ, აზნაურული ყოფის გამოსახვის ორიგინალურმა სტილმა თავი იჩინა „დარისპანის გასაქირში“.

სხვა პლანისა და ფორმისაა დ. კლდიაშვილის მეორე პიესა „ირინეს ბედნიერება“.

„ირინეს ბედნიერებაში“ დავით კლდიაშვილმა აზნაურთა წარმომადგენლები გამოიყვანა მთავარ მოქმედ პირებად. აქაც დ. კლდიაშვილის ნაცნობი პერსონაჟები გვხვდებიან. პიესა ირინეს დრამას გვიხატავს. პიესის მთავარი პერსონაჟია აბესალომ სალამთაძე, იგი წარმოდგენილია მოჩხუბარი და მოქეიფე აზნაურის როლში. თავისი ქცევითა და მორალით გვაგონებს ტარიელ მკლავაძეს. მისთვის ყველაფრის საზომი პირადი გრძნობაა. მას მოეწონა ირინე და როგორ შეიძლება, მისი სურვილი არ ასრულდეს. „ვიღაც ჩანჩქრა როდამიშვილის გულისათვის ყოველივე სიამოვნება უნდა მოვიკლოთ... როდამიშვილის გულის ამბავი რაში მეკითხება, როცა აქ გენია ტრიალებს და ჩაქრობას ითხოვს. როდამიშვილი რა ჩემი ფეხებია...“ როგორ გვაგონებს ეს ტარიელ მკლავაძის მსჯელობას. ან ავიღოთ ასეთი დიალოგი:

„ა ბ ე ს ა ლ ო მ — ბიკოს... ხა, ხა, ხა!... ძალიან გულზე არ ყოფილა! ერთი ახლოს დამანახვეთ; ვინ ბრძანდება ეს გულუშიშარი რაინდი! (დგება და როდამიშვილისაყენ მიდის. ვიქტორი არ უშვებს).“

ვიქტორ — აბესალო. რა არის ახლა ეს? რა არის?..

როდამიშ. — ტყუილა იქაჩებით... თქვენი არავის ეშინია, ამაზე დარწმუნებული ბრძანდებოდეთ!

ვიქტორ — პავლე, არ გრცხვენია (ყველანი აირვეიან) სირცხვილია, ყმაწვილებო, სირცხვილია, სხვა არაფერი!

აბესალომ — (იწვევს) ბატონო, შემახედვიეთ მხოლოდ... ახლოს შემახედვიეთ ამ უცნაური კაცისათვის... მეტს არაფერს გთხოვთ... ვიცნო ერთი მაინც!

როდამიშ. — შევარცხვინე შენთან დამრიდებელი...

ვიქტორ — (იქით მიეკაჩება როდამიშვილს, აბესალომი სხვა ყმაწვილებშია, ყველანი შეწუხებულნი არიან) პავლე, კქუაზე მოდი, ყმაწვილო! ამას მოველით შენგან?

როდამიშ. — შემაშინა მაგისმა შეხედვამ, თუ რა ჰგონია?! (ვიქტორს გაჰყავს).

აბესალომ — ძალიან არ იქაჩებოდა!... მიყვარს გულადი კაცი! სიცოცხლეა!“

აბესალომმა შეირთო თუ არა ირინე, სულ მალე გული აიცრუა და ექვი შეიტანა მის პატიოსნებაში. აბესალომი საკუთარი საზომით აფასებს ყველაფერს. კარგად ახასიათებს მას ბედისაგან გაწბილებული ირინე: „უწმინდურო, ჩემს გულში რა უნდა ნახო შენ? შენსავით ბილწი გგონია ყველა? პატიოსნება თავათ რომ არა გაქვს, სხვაში რაფერ დაგანახებს შენი გაფუჭებულობა, შენი სიგლახე“.

პიესის მეორე პერსონაჟი ფილიპე ბარბაქაძე ტიპიური აზნაურია, იგი ყველაფერს აზნაურის თვალთ ზომავს და აფასებს. იგი ტრადიციის კაცია, რომელსაც უპირატესობა მიუკუთვნებია წოდებრივი და ქონებრივი მდგომარეობისათვის. ფილიპე წარსულთ ცხვრობს. ერთ მშვენიერ დღეს გადაწყვეტს თავისი ქალიშვილი ირინე მიათხოვოს ლოთსა და უქნარა აბესალომს. ფილიპესათვის წარმოუდგენელია, რომ ანგარიში გაუწიოს ქალის პირად გრძნობას, მის ნებასურვილს, არჩევანს. ირინე კეთილშობილი, გულკეთილი და ნაზი ქალია, ოჯახისა და ქმრის ერთგული, ბედთან შერიგებული. მწერლის აზრით, იგი გულუბრყვილო რწმენისა და ტრადიციის მსხვერპლი გახდა.

დავით კლდიაშვილის სახელით ცნობილია მესამე პიესა,

რომელსაც ჰქვია „უბედურება“. ავტორმა მიზნად დაისახა: ეჩვენებინა სოფლის ცხოვრების სურათები. მწერლის აზრით, სოფლის ხალხის ხელმოკლეობას, სიღარიბესა და გაჭირვებას ზედ ემატება ცრუმორწმუნოება, რომელიც ღუპავს ხალხს. „გაჭირვება თან სდევს ყველას“, როგორც მწერალი ამბობს, მაგრამ ამ გაჭირვებულ ცხოვრებას უფრო აღუბჭირებს ის უბედურება, რომელიც ხალხის გაუნათლებლობისაგან, ცრუმორწმუნეობისაგან წარმოდგება. აქ აღწერილი მთელი უბედურება ხალხში გავრცელებულ ცრუმორწმუნეობაზეა დამყარებული. ნაწარმოების გმირი გლეხი—ანტონა ავად გახდება. ცრუმორწმუნეებს სჯერათ, რომ, თუ მას გამოულოცავენ, მორჩება. მაგრამ ასევე სჯერათ, რომ გამოლოცვის შემდეგ ეს ავადმყოფობა ვილაც სხვას უნდა ესტუმროს. ამიტომ საითაც პირს იზამს გამომლოცავი ტუფია, უბედურებაც იქით წავა. და აი, ამის გამო გლეხებს შორის იმართება ხელჩართული ბრძოლა, რასაც რამდენიმე კაცი ეწირება მსხვერპლიდ. სერგო კლდიაშვილი ამ პიესის გამო წერს: „ეს პიესა („უბედურება“) რომ დაამთავრა (დ. კლდიაშვილმა. ს. ჭ.) მეუბნება მეორე დღეს: შენი ქირიმე გადამიწერე: მთხოვეს, უნდა გავუგზავნო. უხალისოდ ვწერდი. მომეწონა „უბედურების“ დასასრულში ის ადგილი, როცა ქობიდან ქალი გადასალოცად გამოდის. გადაწერილი გადავიკითხეთ. უეცრად მოწყენილს ვხედავთ.—იყოს, ჯერ არ გავგზავნი... ჩემი პირველი მოთხრობა ანთებული სანთლებით დავიწყე, ოცდახუთი წლის შემდეგ ეს უკანასკნელი პიესაც ანთებული სანთლებით თავდება. ისეა, თითქოს გათავდა ყველაფერი... იყოს, ჯერ არ გავგზავნი“.

აშგვარად, დავით კლდიაშვილის შემოქმედება თემატიკურად ორი გზით მიიმართებოდა. ერთი მხრით, მწერალი იძლეოდა სოფლის ცხოვრების, გლეხის ყოფის შევხედვლ სურათებს, გვიხატავდა რევოლუციამდელი სოფლის ცხოვრებას. მთელი თავისი გაჭირვებით, ჩამორჩენილობითა და გაუნათლებლობით. მეორე მხრით, დავით კლდიაშვილი აღწერდა იმერეთის ხელმოკლე აზნაურების ცხოვრებას. ჩვენი მწერალი აზნაურობას გვიხატავდა ამ წოდებისათვის დამახასიათებელი

უბადრუკობით, ხელმოკლეობით, უმწეობით ისე, როგორადაც მიმდინარეობდა ნამდვილად ამ აზნაურთა ცხოვრება 900-იან წლებში. მწერალი სინამდვილეს არსად დალატობდა, კრიტიკულად ეკიდებოდა და აფასებდა შექმნილ ვითარებას და მთელი დაუნდობლობით ააშკარავებდა აზნაურთა წოდების განწირულებას. დ. კლდიაშვილმა კარგად იცოდა, რომ აზნაურებს ჰქონდათ წარსული, ისინი წარსულში დიდებულნი და გამორჩეულნი იყვნენ. დიდი რეალისტი უმეტეს შემთხვევაში სრულ უპერსპექტივო მდგომარეობაში ხატავდა მათ დღევანდელ დღეს. სოლომონ მორბელაძე, ბეკინა და პლატონ სამანიშვილები, არისტო ქვაშავიძე, დარისპან ქარსიძე, თუ ბესარიონ საკარაძე სრულიად განწირულნი არიან, ისტორიის მდინარეება მათ წალეკვით ემუქრება. წყალწალებულები ხავსს ეკიდებიან. ისტორიის განაჩენი დაუნდობლად ანადგურებს მათ. მწერალს ეცოდება ეს განწირული ადამიანები და მაინც კლდიაშვილი არსად არ დალატობს რეალიზმს.

* * *

დავით კლდიაშვილმა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კვლავ განაახლა ლიტერატურული მოღვაწეობა, რომელიც მას 1914 წლიდან შეწყვეტილი ჰქონდა. ამ დროს მან დაწერა ცნობილი „მემშარები“, სადაც მოცემულია ბევრი საინტერესო ფურცელი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიიდან და დახატულია ქართველი საზოგადო მოღვაწეების მრავალი საინტერესო პორტრეტი. გარდა ამისა, მან დაწერა ორი პატარა მოთხრობა, რომლებიც 1924-26 წლებში დაიბეჭდა. ესაა „შუა ცეცხლის პირას“ და „კიმოთე მეშველიძე“. ამ ნაწარმოებებში გამომჟღავნებულია კლდიაშვილის მისწრაფება, ალღო აუღოს ახალ დროს, გულწრფელად გაიგოს იგი და გადმოსცეს მხატვრულ ფორმებში. დავით კლდიაშვილი კლასიკური ქართული მწერლობის შესანიშნავი წარმომადგენელია. მწერალი, რომელიც ცნობილია დემოკრატიული, პროგრესული იდეებით, არ შეიძლება და სხვანაირად მოქცეულიყო. ჩვენი ბელეტრისტის

რწმენა მომავლს, თავისუფლების საქმის გამარჯვებისა მთელი სისრულით ჯერ კიდევ 1910 წელს დაწერილ ნაწარმოებშია გამომქლავებული. ამ მოთხრობას ეწოდება „მშობლის ნუგეში“. დედას, რომელსაც შვილი მოუკლეს, მაინც სჯერა რევოლუციის საქმის გამარჯვებისა და, როდესაც ეს მოხუცი ქალი დაემხო შვილის სურათის წინაშე, მოესმის ნუგეშად და იმედად შვილის ხმა:

„ნუ სწუხარ, დედიკო, ნუ სწუხარ! მართალია, ქვეყანაზე ადამიანი კიდევ ბევრ უბედურებას განიცდის, ბევრ სიმწარეს შეხვდება, მართალია, დღეს ადამიანი ადამიანს კიდევ მტრულად უხვდება, მაგრამ ბედნიერების დღე მაინც არ ასცდება მას, მიუხედავად ყოველივე დაბრკოლებისა... კი, დედიკო, ბედნიერება მოვა ქვეყნად, მოვა! ბნელ ღამეს შესცვლის ნათელი დღე... ეს კანონია ბუნებისა და ვერავითარი ძალა, ვერაფერი მას ვერ მოშლის, ვერ შეცვლის და ყოველივე ცდა ამის საწინააღმდეგოდ სამწუხარო უჯუნურებაა.“ ეს გამარჯვების რწმენის შთამაგონებელი სიტყვებია. თავისუფლების საქმისათვის ბრძოლაში გმირულად დაღუპული შვილის სიყვარულს, მისი ხსოვნის უკვდავყოფას დედა ხედავს თავისუფლების გამარჯვებაში, სამშობლოს განთავისუფლებაში. ტანჯვისა და მონობისაგან განთავისუფლებისათვის იღვრებოდა კაცობრიობის უკეთეს შვილთა სისხლი. ამ წმიდათა წმიდა საქმისათვის ბრძოლას შეეწირა ამ ნაწარმოების გმირის, ელენეს, შვილიც. და მას სწამს, რომ ყველაზე დიდი ჯილდო დედისთვის, მისი შვილის ხსოვნის უკვდავყოფისათვის იქნება გამარჯვება იმ საქმისა, რომელსაც შეეწირა მსხვერპლად თავისი შვილი. თავისუფლების, ამ სამართლიანი საქმის გამარჯვების იმედითა და რწმენით შეჰყურებს ელენე მომავალს. ამ გზისკენ გვეძახდა დავით კლდიაშვილიც თავისი უკვდავი შემოქმედებით. როდესაც საკუთარი თვალით ნახა და გულით განიცადა განთავისუფლებული საბჭოთა ქართველი ხალხის ზეიმი, დ. კლდიაშვილი მისთვის დამახასიათებელი გულწრფელობით მიესალმა ახალ დროს და, მიუხედავად მოხუცებულობისა, ახალი ენერგიით ჩაება შემოქმედებითს მუშაობაში.

ამაშიაც გამომქლავნდა დიდი პატრიოტის დიდი გულწრფელობა...

ჭოლა ლომთათიძე

ჭოლა ლომთათიძე მე-20 საუკუნის რევოლუციამდელი ქართული მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენელია. მისი მღელვარე ლირიკული პროზა ორიგინალური ნოვლებია ქართულ ლიტერატურაში. ჭოლას პირველი მოთხრობა 1901 წელს დაიბეჭდა. ეს ის დროა, როდესაც საქართველოს მუშათა კლასს სათავეში ჩაუდგა სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და მოძრაობაში მოიყვანა მთელი ჩვენი პროგრესიული ძალა.

ჭოლა ლომთათიძის შეგნებული ცხოვრება, ისე როგორც მთელი მისი მოთხრობების საუკეთესო ნაწილი, დაკავშირებულია მუშათა კლასის რევოლუციურ მოძრაობასთან. ჭოლა ლომთათიძემ ღრმად განიცადა ის სიხარული, რომელიც მუშათა კლასის პირველ საბრძოლო ნათლობასთან, 1905 წლის რევოლუციის აღმავლობის ხანასთან იყო დაკავშირებული. ჭოლა ლომთათიძეს რომანტიკოსის უბადლო სიყვარულით იტაცებდა პირველი რევოლუციის ქარიშხლის გრანდიოზულობა. თავად იგი ერთი აქტიურ მონაწილეთაგანი იყო რევოლუციის გამჩალებელთა რიგებისა. ჭოლამ ასევე მწარედ განიცადა ის სოციალური და პიროვნული სევდა, რომელიც უკანდახევის პერიოდს ახასიათებდა, „მას შემდეგ, რაც ჩვენ 1905 წლის რევოლუციაში დამარცხებული აღმოვჩნდით“. თვითმპყრობელობის საპყრობილეს ტუსაღს ჭოლა ლომთათიძეს თავად გადახდა ის დამცირება და შეურაცხყოფა, რაც რეაქციის პერიოდის რევოლუციონერს თან სდევდა, „ღირსება ახდისა და კანონს გარეშე დაყენებულს“. მეფის მოხელეთა „ყიზილბაშების ხელით“ არა ერთხელ შეულახეს და შეუბღალეს ჭოლას ის, რაც მას წმიდათა წმიდად მიაჩნდა.

ჭოლამ იცის, „რამ მხდალნი ვერ დაისაკუთრებენ ქვეყა-

ნას“, „უსაზღვროა, გაუმადლარი, დაუზოგავი გრძნობა შურის-
ძიებისა, წყურვილი სისხლისა და სამაგიეროს გადახდისა“.
ქოლას შემოქმედებას ამგვარი „წყურვილი“ თან გასდევს,
როგორც მისი შემოქმედების ერთი მოწინავე მხარე. მაგ-
რამ, მეორე მხრით, ის, ერთგვარად მოღლილი, „გამტყდა-
რი“ გრძნობს, რომ „უმწეოა, იარაღაყრილი. დამცირებული“.

„ღიახ, როცა უნდათ, აგვიხვევენ პირს, ხელებს შეგვიკრა-
ვენ და მათი მურტალი ხელებით გცემენ, რამდენიც უნდათ,
როგორც ძაღლს, გაგათრევენ და კარცელში ჩაგანწყვდევენ
შეურაცხყოფილსა და დამდაბლებულს, ღიახ, მათი მურტალი
ხელებით გცემენ შენ პირახვეულსა და ხელებგაკრულს, გაგი-
ხსნიან გულს და შიგ გულში ჩაგაფურთხებენ, გაგიხსნიან გულ-
სა და მათი ბინძური ხელებით ჩაგიყრიან შიგ სიბინძურეს...
ღიახ, ყველაფერს ჩადიან.“ ამგვარ პირობეში ქოლას იპყრობს
„სევდა! სევდა! სევდა! საზიზლარი, აუტანელი სევდა, რო-
მელსაც თმის ბალანიც კი გრძნობს, როგორც ლალატს საყ-
ვარელი ადამიანისა, ისე იკბინება შიგ გულში, როგორც
განწირულება, ისე აღუნებს ყველაფერს, ღონეს მართმევს...“

ქოლა ლომთათიძის შემოქმედების სუსტი მხარე, ისე
როგორც ევლოშილისა, უნდა ვეძიოთ მის ინტელიგენტურ,
წვრილბურჟუაზიულ ბუნებაში. ქოლას შემოქმედება, შეხე-
დულებათა რთული კომპლექსია. ქ. ლომთათიძე ხან დაუცხ-
რომელი პროტესტანტია, უსამართლობისა და ჩაგვრის წი-
ნაალმდეგ თავდადებული მებრძოლი, რომელიც არაფრის
წინაშე ქედს არ იხრის, ხან კიდევ მეოცნებე, სევდიანი
ადამიანი, რომელიც შეხედულებათა გადაფასებას ახდენს
და წინაალმდეგობათა ქსელში ეხვევა. ქოლა ლომთათიძე ხში-
რად საპირისპირო განწყობილებათა წარმომადგენლად გვევ-
ლინება. ეს წინაალმდეგობა რეაქციის პერიოდის ინტელიგენ-
ციის ერთი ნაწილისათვის დამახასიათებელი წინაალმდე-
გობაა.

* * *

ქოლა ლომთათიძე დაიბადა 1878 წელს სოფელ მეწიეთ-
ში (გურია). მამამისი ბიბონ ლომთათიძე გლეხი იყო. დედა,

ერიოდინე, აზნაურ ქაიხოსრო ნიკოლაშვილის ასული, ქოლას დედა ადრე მოუყვდა, 9 წლის ბავშვმა მწარედ განიცადა დედის გარდაცვალება. შემდეგში ქოლა არა ერთხელ დიდი სიყვარულითა და ღრმა ლირიზმით იგონებს იმ მძიმე განცდას, რომელიც დედის გარდაცვალების გამო პატარა ყმაწვილის გულმა იგრძნო.

პირველად ქოლა ბასილეთის ორკლასიან სკოლაში მიუბარებიათ. ამ სასწავლებლის დასრულების შემდეგ იგი შედის ოზურგეთის სამოქალაქო სკოლაში, მაგრამ უსახსრობის გამო იძულებულია მალე თავი დაანებოს სწავლას. ხელმოკლე ქოლა ლომთათიძე ხიდისთავის ბიბლიოთეკაში იწყებს მუშაობას. აქ მას საშუალება ეძლევა ხელი მიჰყოს თვითგანათლების საქმეს. 1896 წელს ქოლა შედის ქუთაისის სამეურნეო სკოლაში. აქ ის მხურვალე მონაწილეობას იღებს მიხაკხაკიას მეთაურობით დაარსებულ მოწაფეთა წრეში. ამ ჯგუფის ინიციატივით მოწყობილ მოწაფეთა გაფიცვის გამო ქოლა, როგორც ერთი აქტიური მონაწილეთაგანი, სკოლიდან დაითხოვეს. 1897 წელს ის იმავე ტიპის სასწავლებელში სწავლის გასაგრძელებლად მიემგზავრება ქალაქ ხარკოვში, მაგრამ ქოლას აქაც მოწაფეთა საიდუმლო კრებაში მონაწილეობის გამო მეფის პოლიცია ეტაპით გზავნის ოზურგეთის მაზრის უფროსის განკარგულებაში. ერთ ხანს ის სოფელში რჩება. 1900 წელს თბილისში ჩამოდის და აი აქ პირველად სკდის თავის ნიქს მწერლობაში. ეს ცდა მწერლის გამარჯვებით დამთავრდა. რედაქციამ მიიღო ქოლას პირველი ნაწერები, თუმცა ერთგვარი გაცხარება და შელაპარაკება მოუხდა რედაქციის თანამშრომლებთან. საზოგადოდ, ქოლა მეტად თავმოყვარე, ფიცხი, დაუდგრომელი და შეუპოვარი ხასიათისა იყო.

1901 წელს იბეჭდება ქოლას მოთხრობები „დავითი“ და „ცხოვრების გულიდან“. პირველი — ქურნალ „მომამბეში“, მეორე — „ცნობის ფურცელში“. 1903 წლიდან იგი მუდმივად თანამშრომლობს ქურნალ „კვალში“. ამავე წლიდან ის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ერთ-ერთი აქტიური წევრი ხდება. 1904 წელს სოციალ-დემოკრატიული მუ-

შათა პარტიის დავალებით იგი მუშაობს ფოთში და აწყობს მუშათა ორგანიზაციებს. 1905 წელს ქოლას, რევოლუციის აღ-ში გახვეულს, გურიაში ვხედავთ. 1906 წელს გურიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მუშათა ორგანიზაცია ქოლას ირჩევს და ზზანის სტოკჰოლმის პარტიულ ყრილობაზე დელეგატად. ქოლა სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მეუ-მცირესეთა – მენშევიკთა ფრაქციაში მუშაობს. 1907 წელს მას ირჩევენ მეორე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად. სა-თათბიროს დათხოვნასთან ერთად, როგორც სოციალ-დემო-კრატიული მუშათა პარტიის დეპუტატს, აპატიმრებენ, გაასა-მართლებენ და მიუსჯიან ხუთი წლის კატორღას. მაგრამ, როგორც ტუბერკულოზით დაავადებულს, კატორღას შეუ-ცვლიან პატიმრობით. და აქედან იწყება ქოლას ჯოჯოხეთუ-რი ცხოვრება. მან მაშინდელი რუსეთის იმპერიის ბევრი ციხე-საპყრობილე შემოიარა. იგი ხან პეტერბურგის საპყრო-ბილეშია, ხან მოსკოვის, სევასტოპოლის, ხარკოვის, თბილი-სის, ახალციხისა, ბათუმის... პროტესტანტ, დაუდგრო-მელ, შემართულ, მოუსვენარ, დაულალავ ქოლას ყველგან ებრძვიან და ისიც იბრძვის. უთანასწორო ბრძოლაში მოქან-ცული, ჯანით სუსტი და ქლეჩით ავადმყოფი, 1912 წელს, უკვე ფიზიკურად გატეხილი, მძიმედ დაავადებული, მოათავ-სეს სარატოვის დავრდომილთა თავშესაფარში. აქ გარდაი-ცვალა იგი 1915 წელს, 4 ნოემბერს. ქოლას ცხედარი სარა-ტოვიდან თბილისში გადმოასვენეს და დაასაფლავეს კუკიის სასაფლაოზე.

* * *

ქოლა ლომთათიძე სამწერლო ასპარეზზე ნინოშვილის გმირის, სპირიდონ მცირიშვილის, ფსევდონიმით გამოვიდა. ეს არ იყო შემთხვევითი ფაქტი. ქოლა ლომთათიძე შემოქ-მედების თემითა და განწყობილებებით მჭიდროდ უკავშირ-დება ნინოშვილს და ერთგვარად აგრძელებს იმ სოციალურ მოტივს, რომელიც ნინოშვილმა შემოიტანა ქართულ ლიტე-რატურაში.

ქოლა ლომთათიძის შემოქმედება, მისი სამწერლო მუშაობა, ქრონოლოგიურად შეიძლება ორ ნაწილად გავეყოთ. პირველი—1901 წლიდან 1904 წლამდე, მეორე—1907 წლიდან 1915 წლამდე; 1904 წლიდან ვიდრე 1907 წლამდე ქოლა იმდენად გატაცებულია რევოლუციური მუშაობით, მთელ თავის დროსა და ენერჯიას, მთელ თავის სიცოცხლეს ისე უანგაროდ უმორჩილებს რევოლუციას, რომ წერისათვის დროს ვერ პოულობს.

ქოლას შემოქმედების ადრინდელი ხანის დამახასიათებელია სოციალური საკითხი. მეორე პერიოდისათვის კი უმთავრესი თემა მისი შემოქმედებისა არის მეფის საპყრობილის ცხოვრების სურათები. უნდა აღინიშნოს, რომ სატუსაღო ცხოვრების სურათები ჩვენ გვხვდება ქოლას ადრინდელ ნაწარმოებებშიაც, კერძოდ, მოთხრობა „სიცრუეში“. ასევე: მეორე პერიოდშიაც ქოლა, საპყრობილის სურათების გარდა, „მის მიღმა ცხოვრების“ სურათებსაც აღწერს. იგი დაინტერესებულია ისეთი საკითხითაც, როგორც არის ეროვნული საკითხი („უბის წიგნიდან“). ამიტომაც ზემოაღნიშნული დაყოფა უფრო ქრონოლოგიურია, ვიდრე თემატიკური.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქოლა ლომთათიძემ, როგორც ეს ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, ადრინდელი პერიოდის შემოქმედებაში განიცადა გავლენა ქართველი მწერლების, კერძოდ, მესამე დასის მწერლებისა: ნინოშვილის („დავითი“), ევდოშვილის („კვლავ ფიქრი, ფიქრი“) და შიო არაგვისპირელისა („სიცრუე“). მაგრამ ქოლას ორიგინალობა, მისი სტილი, ლირიკული პროზის ნიჭი უკვე გამომჟღავნებულია ერთგვარად ამ პირველსავე ნაწარმოებებში. ეს გავლენა უმთავრესად აიხსნება იმ საერთო იდეური მსოფლმხედველობით, რომლითაც უკავშირდებოდა ქოლა მესამე დასის მწერლებს. და მაინც ქოლას ეს ადრინდელი ნაწარმოებები ერთგვარი მოსამზადებელი საფეხურია დიდი ტრადიციის მქონე ქართულ მწერლობაში საკუთარი ადგილის მოსაპოვებლად. ამ ადრინდელ ნაწარმოებიდან ყურადღებას იმსახურებს „დავითი“.

„დავითი“ მძაფრი სოციალური მოთხრობაა. აქ აღწერი-

ლია 60 წლის მოხუც დავითის თავგადასავალი. „არსებობი-
სათვის ბრძოლას იგი ერთი სკოლის ბაღში გადმოუგდია
დარაჯად“. მისი ცხოვრების სახსარს წარმოადგენს ის 7 მა-
ნეთი, რომელსაც აქ ღებულობს. იგი „იმისთვისაც მადლო-
ბას სწირავს ღმერთს, რომ მთლად უადგილოდ არ დასტო-
ვა და სამათხოვროდ არ გააწვდევინა შრომისათვის გაჩენი-
ნილი ხელები!“ „ახლანდელ დროში“ „ძარღვიანი ყაჩახები“,
როგორც დავითი ამბობს, „ვერ შოულობენ ადგილს, თვარა
მას ვინ რას მიაშავებს“. ლუკმაპურისათვის ბრძოლაში ის
„ჩუმად და უსიტყვოდ“ იტანს ყოველგვარ ტანჯვას, შეურა-
ცხყოფას და დამცირებას. ამ უუფლებო ადამიანის შეხედუ-
ლებანი და მსჯელობანი პრიმიტიულია, ჩამორჩენილი. მას
არა აქვს პროტესტის უნარი, თითქოს ადამიანის ნდობაც
დაუკარგავს და თავის სოციალურ ვარაშს ბუნებას ანდობს.
„სხვაგან, ჩვენი უსიტყვო დავითი აქ, ამ ადგილას ფიქრობს
(ბაღში), აქ იგონებს თავის წარსულს, ვინ იცის, იქნება ისეთ-
სავე უფერულსა და ბნელს, როგორც მისი აწმყო და მო-
მავალია; ანდობს მას თავის დარდებს, სრული დარწმუნებუ-
ლი, რომ ის, თუ არ შეიბრალებს, არ დასცინებს მაინც, ამ
ადგილმა შეიძლება იცოდეს დავითის ჩუმი წყევა „დელეტო-
რისადმი“, ამანვე შეიძლება იცოდეს მისი გმობა საზოგადო-
ებისა, რომელმაც ასე უღმერთოდ მოიძულა ის, მაგრამ ჯერ
არ ამხელს საიდუმლოს, არაფერს ამბობს არც დასაცველად
და არც გასამტყუნებლად...“ მწერალი, გულდადარდიანე-
ბული უმატებს: „და განა ისე დაეხშო ადამიანს გული,
რომ მისი სათქმელი უსულო საგანმა სთქვას?!“

დავითი პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას—და-
რაჯობს სკოლის ბაღს და საფუტკრეს. ასე მიდის მისი უფე-
რული დღეები. მაგრამ ბოლოს იგი დირექტორსა და სკო-
ლის მასწავლებლებს შორის ატეხილი ინტრიგის მსხვერპლი
ხდება და სრულიად უდანაშაულოდ ისჯება.

ქოლა გვიხატავს თვინიერ, ბედის მორჩილ, დაჩაგრულ
დარაჯს; იგი ბრმად ემორჩილება „კანონს“.

„სულ ერთია,—გაიფიქრა მან,—ამალამ შობა ღამეა, ყვე-
ლა შინ არის—ქურდიც და კაი კაციც! მაინც ვის რა ჯან-
268

დაბად უნდა საშობოთ ხეი! ძალი არ გამეიგდება კარში, რალა მინდამინც ამალამ მუა ქურდი... ეჰ, რა უქირდენ ამელამ ჩემდა გევეში. ჩივიენ—ამას ვინცხა „დეცეპლინაა“. იგი თხოულობსო. დიდი ფთხილი კაცი კია იგი დეცეპლინაა თუ რაცხა, ყველას მისი ეშინია! უჩენიკებს, სალდათებს, დელეხტორსაც იმის სახელი აქ სულ პირში!... ვაი, სულო, რა დიდი კაცია ვინცხაა, ნეტე მისი დედ-მამას!“

განა ასე არ ფიქრობდა და არ მსჯელობდა კაცია მუნჯადე, ნინოშვილის „განკარგულების“ გმირი? დავითისათვის უცნობია ბრძოლის, პროტესტის გზა, ისე როგორც კაცია მუნჯადისათვის. იგი, საკუთარ ბედთან შერიგებული, აქტივობას მოკლებული გმირია. დავითს იმედი მხოლოდ ღმერთზე დაუწყარებია. მწერალი გვიჩვენებს ამ აზრის მთელ უსაფუძვლობას. და აი მაშინ, როდესაც დავითი მაცხოვარს შესთხოვს იხსნას იგი და მიანიჭოს ბედნიერება, ღონემიხდილი და დაუძლურებული ეცემა და კვდება, გაწბილებული ღმერთისაგან, მაცხოვრისაგან და ადამიანებისაგანაც. კოლა ხაზს უსვამს, რომ ამგვარ მონურ ქედის მოხრას უსამართლობის წინაშე მხოლოდ ასეთი ბოლო შეიძლება ჰქონდეს. მეორე მხრით, კოლამ ამავე მოთხრობაშიაც შენიშნა, რომ ყველა როდი ემორჩილება ასე ბრმად თავის ბედს. უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლის კლასობრივი შეგნებით დახატა მან ფინალში ეპიზოდურად, მაგრამ გადამწყვეტი მნიშვნელობით მუშები. ეს შედარებით ახალი შტრიხი იყო ქართულ მწერლობაში. საინტერესოა, რომ კოლა მწარე ირონიით ხატავს აგრეთვე მშიშარა და ქლესა ინტელიგენტს. როდესაც მოწაფე მუშას მიემხრობა და უსამართლობის წინააღმდეგ ხმას აღიმალლებს, მასწავლებელი ასე მიმართავს მას:

„— ტს! არ გაბედო მეორეჯერ ჩემთან ეგენი!—წაულაპარაკა მასწავლებელმა მოწაფეს,—ყველა, რაც სიმართლეა, არ ითქმება! პოლიტიკაა საქირო!“

ამ პერიოდში კოლა ლომთათიძისათვის დამახასიათებელია სოციალური საკითხების გამახვილება, უსამართლობისა და ჩაგვრის წინააღმდეგ ამხედრება. ამ მხრივ საინტერესოა მოთხრობა „დასათლავება“. ეს პატარა ესკიზი მძაფრ სურათს

გვიშლის. ნაცრისფერ ჯორზე შემჯდარი ჯამულეთის გამოჩენა სოფელში და მისი მუქარა „მალე მიშოვე ფული, თუ არა...“, ყველას შიშსა ჰგვრის. მათ კარგად იციან, რასაც ნიშნავს ეს სიტყვა: „თუ არა“. ამ სიტყვაში ჩამალული იყო ბოქაული, ოჯახის აწიოკება, ტირილი, შინშილი...

მწერალი რამდენსამე სტრიქონში იძლევა ჯამულეთის გამდიდრების ისტორიას, რის წყალობითაც მან გავლენა და უფლება მოიპოვა:

„...და „ღმერთიც სწყალობდა ჯამულეთს“, როგორც სოფელში ჰმობდნენ, ის ოდესღაც გაცვეთილი, სხვასავით მშვიერი და ძვალტყავა, ეხლა დიდი სიმდიდრის, მშვენიერი ოჯახისა და, ასე გასინჯეთ, მშვენიერი ცოლის პატრონიც კი შეიქმნა, ვინაიდან სიმდიდრე ისე ვაქრობს ადამიანით, როგორც ძროხის ხორციით და სხვა ასეთი ხორაგოულობით. მისი ორსართულიანი, წითლად გადახურული სახლი ჯერ კიდევ შორიდან იპყრობდა გამველელის ყურადღებას და არა ერთსა და ორს აუძრავდა გულში შურს, ხოლო მისმა სიმდიდრემ ერთი-ორად იმატა მას შემდეგ, რაც ქალაქში გადაიტანა თავისი მოქმედება და შავი ზღვის ერთ-ერთი ქალაქის ნავთსადგური იჯარით აიღო“.

სოფელს სძულს ხალხის მჩაგვრელი ჯამულეთი, და აი იგი მოკვდა და ხალხს ფერხული გაუშართავს. მაგრამ მწერალს ეს არ ამშვიდებს. ერთი მჩაგვრელი მოკვდა, მაგრამ ათი და მრავალი დარჩა, საჭიროა დაინგრეს თვითონ ის სისტემა, რომელიც ბადებს ამ უსამართლობას, ჩაგვრას. მწერალს გულს უკლავს უფლებააყრილი, მონობაში მყოფი სამშობლოს ეროვნული და სოციალური ბედი. მამულის სიყვარულით აღტაცებულ მწერალს თვალწინ წარმოუდგება კურტნიანი სამშობლო.

„კურტანი! ეს ხომ შენი უნაგირია, სამშობლო მხარე! არსებობა შენი—ეს ხომ ამ კურტანსქვეშ წოლაა და ბრძოლა ამ კურტანთან, ბრძოლა გაუთავებელი, უღმერთო, მაგრამ დაუბოლოვებელი. კი და აი, ჯამულეთიც, ჩემი მეზობელი, შენი შვილი ჯამულეთი, წინამძღვარი გამხდარა შენის კურტანისა!... დაფიქრდი ამაზე, ჩემო სამშობლოვ, და იქნება მითხრა განაჩენი!“

მწერალი უფიქრდება სამშობლოს პოლიტიკურ და სოციალურ ბედს. იგი ხედავს, რომ მისი სამშობლო მონაა სხვისი, გარეშე ძალის, მეფის თვითმპყრობლობისა. ასევე მონაა ის თავისივე თანამემამულის—ჯამულეთისა, რომლის „სიმდიდრე ისე ვაჭრობს ადამიანით, როგორც ძროხის ხორცი“... სამშობლოს სოციალური და ეროვნული მონობის მძიმე უღელი ადგას. მთავარია ამ უღლის გადაგდება, ხალხის განთავისუფლება ჩაგვრისაგან. ასეთია ის აზრი, რომელიც მწერალს გატარებული აქვს ამ პატარა ესკიზში.

ამ აღრინდელ ესკიზში უკვე მოცემულია იმ თეზისის პირველი ელემენტი, რომლის უფრო სრულყოფილი გაშლა-განვითარება ქოლამ მოთხრობა „უბის წიგნაკში“ მოგვცა.

ქოლას წამს, რომ მშრომელი ხალხის იბუჩად აგდება ბადებს, ზრდის ხალხში პროტესტის, წინააღმდეგობის გრძნობას. ეს იქცევა სახალხო აღშფოთებად, რომელიც წალეკავს უსამართლობას. მძიმე ცხოვრება აიძულებს ხალხს იბრძოლოს უკეთესი მერმისისათვის. ასეთია არსებობის ლოგიკა. ეს აზრია გატარებული ქოლას ეტიუდში „მატილი“. ძალას გულჩვილობა ვერ დაუდგება წინ, ეს კარგად იცის ქოლამ.

„— ტირილით და ვიშით ისე ვერას გააწყობ, როგორც ჩვენს ბატონებთან ვერ დაამტკიცებ, რომ ეს გვკვირია და არა ის, რასაც ისინი გვაწოდებენ. მაგის წინააღმდეგ ბრძოლაა საჭირო, რადგანაც საწინააღმდეგო საგანი ძალას წარმოადგენს და ძალა და გულჩვილობა ხომ ვერ დაუდგება ერთმანეთს?“

ქოლას აზრით, თავისუფლების საქმის ბოლომდე ერთგული, ქეშმარიტი, შეუღრეკელი მებრძოლი იბადება მშრომელთა და მშვიერთა წრიდან, სიგამძღრე, გამძღარი მუცელი დამონებულის სულს ბადებს. კაპიტალისტები ფულით და სიმდიდრით ახერხებენ მოისყიდონ ადამიანები, „დაჰკვიანება, აი მტერი კაცობრიობისა“. კაცის დაჩუმიება რომ უნდათ, იმას სადილად პატიჟობენ. ეს არის უმაღლესი ფილოსოფია „დაჰკვიანებულთა ზნეობრივი შეხედულებისა“. ამიტომ, ქოლას აზრით, ხამღვილი თანამედევარი მებრძოლი მშრომელთა ირმიაა, მშვიერთა არმია.

„თუ კი გსურს, რომ რაიმე გააკეთო, თუ კი გსურს, რომ სიკვდილამდე სიკვდილის გემო არ იწვნო—კუჭი ცარიელი უნდა გქონდეს. კუჭის სიმაძღრე, აი სად არის ძალის თავი ჩამარხული, აი რას უნდა ერიდოს თანამედროვე მებრძოლი. მგელი ორწილ გაბედული და ღონიერი მაშინ არის, როდესაც შია, კუჭი უნდა იყოს ცარიელი. სამაგიეროდ გული, გული უნდა ასაზრდოვო, გული უნდა ერთი ვეებერთელა ქურა იყოს, სადაც ცეცხლი მუდმივ უნდა გუზგუზებდეს, და აი მაშინ, დარწმუნებული იყავი, რომ შენი გასროლილი ტყვია მიზანს არ ასცდება. ის ისეთი საიმედოა, როგორც დედის სიყვარული და ისეთი მძლე, როგორც უკვდავება, შენ, რასაკვირველია, გაგიგონია სოფელში: „დაიცა, დაცოლ-შვილდება და დაქკვიანდება!“ და მერე იცი, რას ნიშნავს ეს „დაქკვიანება“! ეს არის—არც მეტი და არც ნაკლები—სულის სიკვდილი, „დაქკვიანდება“ ეს წელკავია ჩვენი, ეს ისეთი მათრახია, რომელიც სოფლურად რომ ვთქვათ, ღღინს ართმევს, არაქათს უღვეს კაცობრიობას“.

პროფესიული რევოლუციონერების ცხოვრებას, მწერლის აზრით, თან სდევს გაჭირვება და ტანჯვა. ნამდვილი რევოლუციონერი ის არის, ვინც იტანს ამ მკაცრ გამოცდას. „ბრძოლა და იმედი, აი რა დევიზი უნდა დაისახოს რევოლუციონერმა თავის ცხოვრების გზად“. რევოლუციონერის ეს შეგნება მტკიცედ არის დაკავშირებული უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლასთან.

მომავლის ოპტიმისტური განწყობილება დახატა .ქოლამ პატარა ესკიზში, რომელსაც ჰქვია „აქრე სინათლე, აქრე, მე მაინც ავანთებ მას“. ეს ნაწარმოები შთაგონებულია თავისუფლების გამარჯვების იდეით. ამ სიმბოლურ ესკიზში ერთმანეთს უპირისპირდება ორი ძალა: სიბნელის ღმერთი და სინათლის გენიოსი. სიბნელის ღმერთი ღარიბი ხალხის ქოხმახებში ანთებულ ღამპებს ემტერება. ყოველღამე ჩამოივლის და აქრობს მას და ხალხი სიბნელეში ცხოვრობს. სინათლის გენიოსი ჩააგონებს მათ შეაგროვონ ეს პატარა სანათურები, შეერთებულ სინათლეს ვერ ჩააქრობს სიბნელის ღმერთი. ხალხი ასე მოიქცევა და სინათლე იმარჯვებს. აქ

სიმბოლურად გამოხატულია სიბნელის ღმერთის სახით რეაქციის, ბნელეთის ძალები, სინათლის გენიოსის სახით — რევოლუციის ძალები, რომლებიც იმარჯვებენ. ეს აზრი იმდენად მკვეთრი და ნათელი იყო ამ ესკიზის სიმბოლურ ხასიათშიაც, რომ, როდესაც იგი ქოლა ლომთათიძემ წარუდგინა ჟურნალ „კვალს“, ცენზურამ არ გაუშვა. 1903 წელს ეს ესკიზი კვლავ ააწყო „კვალის“ რედაქციამ, მაგრამ ცენზურამ იგი ხელახლა აკრძალა. იგი მხოლოდ ჩვენს დროში (1929 წელს) დაიბეჭდა ჟურნალ „მნათობში“.

ქოლა ლომთათიძის აღრინდელ ნაწარმოებებში ხშირად გვხვდება „ზღვის ქება“. იგი რომანტიკოსი მებრძოლის გულით ეტრფის ზღვას, უყვარს მისი ლელვა, მისი ხმაური. მწერალს ზღვა ცხოვრების განახლების სიმბოლოდ ეხატება. მას უყვარს ტალღა, „ძმობილისა, და თანამოაზრის ხმა ესმის მის გრგვინვაში“.

იმ დროს „ჩემი გულიც იღვიძებს, — წერს მწერალი, — ღონეს იკრებს, გაბედული ხდება, მოხოვს ერთი დავიყვირო, რომ ცა და ქვეყანა შეეძრა, ყველაფერი უვარგისი და ცუდი შეგყარო ერთად და მერმე, მივცე რა წყალს, გადავლექო ისინი ცხოვრებიდან“.*

იროდიონ ევლოშვილის მსგავსად, ქოლა ლომთათიძის შემოქმედების ამ პერიოდისათვის დამახასიათებელია საბრძოლო განწყობილებანი. ამ განწყობილებათა გამოსახატავად ის ეძებს შესაფერის თემას, სიტყვებს და კიდევაც პოულობს მათ.

ქოლა ლომთათიძის აღრინდელ ნაწარმოებებში გვხვდება კაპიტალისტური ცხოვრების გერების, ქუჩის ხალხის ცხოვრების აღწერაც. ქოლა ლომთათიძეს აფიქრებს ამ აღმნიშვნების ბედი. თავის პირველსავე დებიუტში — „ცხოვრების გულიდან“ მწერალმა ქუჩის ხალხის ცხოვრების მეტად მწვავე და მართალი სურათი დახატა.

„— რა გინდა ჩემგან, ჩემო დაო, — დაარღვია სიჩუმე ონოფრემ.

— რა მინდა? რა მინდა, ღმერთი მინდა, ღმერთი! — დაიძახა ქალმა: — დიახ, ღმერთი მინდა!... შენ მე უღმერთო და-

* ქ. ლომთათიძე, მოთხრობები, ტ. 1, გვ. 30.

მიძახე და აი მე შენ გკითხავ—არის კი ჩემთვის ღმერთი? ან თუ გამაჩინა, რათ მიმატოვა... შენ მეუბნები:—რათ არ გრცხვენია ან ღმერთის, ან კაცისო... მე კი მგონია, რომ ყველას ჩემი რცხვენია და კიდევ იმიტომ ვერ მივაგენი,—მემალებიან! გინახავს განა შენ ის ძვალტყავა ადამიანი, შიმშილს რომ ეძახიან? გაგიგონია რა ენაზე ლაპარაკობს ის? მე დედა ვარ, ლოთი ქმრისაგან მიტოვებული!... შენ, პატიოსანო ბატონო, როდის იყო, რომ შევილების საზრდო გამომიგზავნე, როდის იყო, რომ ზომები მიიღე—არ გავრყენილიყავი! და შენ მეუბნები: „ღმერთი, ღმერთიო!“ შენ, შენ უნდა გრცხვენოდეს ღმერთის და არა მე... მე შევილებს ვარჩენ!

სწორედ ანგელოზი იყო, ქალბატონებო, იმ დროს ის დედაკაცი. ჩემი შიშიც უტბად გაჰქრა და—ცოდვა გამოტეხილი სჯობია—თქვენი მონა წაეპარა მას და ერთი პატარა, მაგრამ მხურვალე კოცნა მოჰპარა ღმერთის მაძებარ ადამიანს.

— უიმე!—ერთხმად წამოიძახეს ქალებმა და გაწითლებულმა ერთმანეთს შეხედეს“.

ქოლა ლომთათიძე ქუჩის ქალს აქ სიმპათიითა და თანაგრძნობით ხატავს. მასში მწერალი ხედავს კაპიტალიზმის მსხვერპლს.

ადრინდელი პერიოდის მოთხრობებს შორის საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მოთხრობა „სიცრუე“. აქ პირველად გაიღვებებს სატრუსალოს ცხოვრების სურათები, რომლებიც შემდეგ ქოლას შემოქმედების ძირითად თემად იქცევა. საპურობილე აღუმართავთ სამართლიანი აზრის წინაშე. მაგრამ არა მარტო ციხის საკანში გამომწყვდეული ადამიანები გრძნობენ თავს „საპურობილეში“, არამედ ყველა დაჩაგრულიც. მეფის თვითმპყრობელობა ხალხთა საპურობილეს წარძოადგენს: „განა ქვეყნიერებაც იგივე საპურობილე არ არის,—წერს ქოლა,— და ადამიანები იგივე მცველები არ არიან ამ ვეებერთელა საპურობილის, რომ სიმართლესა და ქეშმარიტებას ფეხი არ დაადგმევინონ ზედ?“ ტრუსაღს არ აშინებს მძიმე ცხოვრების გზა. მან იცის, რომ „სწორედ იმას ატუ-

საღებენ, ვისაც თავისუფლება უყვარს“. ასეთია მეფის „კანონი“. ამიტომ ის მოუწოდებს თავის მეგობრებს:

„— წავიდეთ, წავიდეთ წინ. ნუ გეშინია! არ შეირცხვინო თავი, არ შეშინდე! ლაჩრებს რა უნდა წინ? ლაჩრები ყოველთვის უკან არიან! შენ კი წინ ხარ—შენ არ ხარ ლაჩარი. მაშ, გავწიოთ წინ!—და ჩვენც მივდიოდით, მივდიოდით, მაგრამ ახლა მარტო აღარ ვიყავი, ეხლა ჩემთან ერთად მიდიოდა ათასი სხვა, ახლა ათასნაირი ხმა მესმოდა, ათასნაირი იმედი სხვადასხვა ენაზე“.

მოთხრობაში გვხვდება ასეთი პათეტიკური სიტყვები, მაგრამ ნაწარმოების ძირითადი ხაზი ამ გზით არ ვითარდება. აქ აქცენტი გადატანილია უიმედო სიყვარულზე. მოთხრობის ერთ-ერთი გმირი ლევანი მოუთმენლად ელის სატრფოსაგან პასუხს. ციხეში გამომწვევდელი მიჯნური დაივიწყა მარომ, თუ კვლავ გულწრფელად უყვარს იგი? და აი, სიკვდილის პირზე მისული ლევანი რამდენიმე სიტყვისაგან შემდგარ მოკლე ბარათს ღებულობს: „ძლიერ ვნანობ, მაგრამ ჩემი სიყვარული უბრალო გატაცება გამოდგა და გთხოვ დამივიწყო“. მომაკვდავ ლევანს მეგობარი, რომელიც ასევე შეყვარებულია, ბარათის ნამდვილ შინაარსს არ უმხელს. იგი გადააკეთებს წერილს და სიყვარულის აღსავეს სიტყვებით აფერადებს მოღალატე მიჯნურის ამ გულცივ სტრიქონებს. მაგრამ შემდეგ თავად ნანობს.

მწერლის აზრით, ცბიერება და მოტყუება, სიცრუე და გაუტანლობა თან სდევს სიყვარულის გრძნობას.

* * *

როგორც არ უნდა იყოს კოლა ლომთათიძის შემოქმედების ამ ადრინდელი პერიოდის ნაწერების ღირსება, მაინც კოლა, როგორც ნამდვილი ოსტატი ლირიკული პროზისა, როგორც ღრმა ფსიქოლოგი ადამიანის განცდებისა, გამოაჩინა იმ პროზამ, რომელიც დაკავშირებულია ავტორის პირად განცდებთან, სატუსალოს ცხოვრებასთან. კოლა ლომთათიძის შემოქმედების ძირითად საკითხად, მთავარ თემად,

1907 წლიდან მოყოლებული, ხდება მეფის თვითმპყრობელობის სატუსაღოს ცხოვრება, უფლებააყრილი რევოლუციონერის ცხოვრება. ჰოლა ლომთათიძემ ეს თემა საკუთარი ცხოვრების, ავტობიოგრაფიული მასალის ფონზე გაშალა. მაგრამ ჰოლას სიდიადე ისაა, რომ მან ეს პიროვნული განცდანი განაზოგადა, დამახასიათებელი საზოგადო დეტალებით შეავსო.

ჰოლა ლომთათიძე ერთგან მიმართავს მკითხველს, რომ ყველა მის მოთხრობას მარტოოდენ ავტობიოგრაფიული ხასიათის ნაწარმოებად ნუ მიიჩნევს. და მართლაც, შეცდომებიქნებოდა გვეთქვა, რომ ჰოლას მოთხრობები თავიდან ბოლომდე მხოლოდ და მხოლოდ ავტობიოგრაფიული თავგადასავალი იყო. მაგრამ აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ჰოლას შემოქმედებაში პირად განცდებს, საკუთარ თავგადასავალს, პირად ცხოვრებას უმნიშვნელოვანესი ადგილი ეთმობა. ჰოლა თავის ნაწარმოებებს ხშირად უკეთებს ეპიგრაფებს („ვისაც უგრძვნია და განუცდია“, და სხვა). ამგვარ ეპიგრაფებში გადმოცემულია მისი ნაწერების ნამდვილისული. ჰოლას ყოველი სტრიქონი, ყოველი ფრაზა, ყოველი ნაწარმოები დაწერილია ღრმა განცდითა და ცხოვრების დიდი ცოდნით. ყოველი ეს დეტალი თუ ამბავი თავად გადახდენია მას, ან მის მეგობარსა და ახლობელს, რისი უშუალო მოწმეც ის ყოფილა.

ჰოლას ნაწერებს ახასიათებს დიდი ბუნებრიობა და გულწრფელობა. აქ ყოველი ფრაზა ცხოვრებიდან აღებული საგნის ცოდნით არის გამთბარი, ყოველი განცდა და გრძნობა გულიდან ამოტანილია და მთელი არსით ავტორის სულიერ სამყაროსთან არის დაკავშირებული. მოგონილ, წიგნურ ცხოვრებას აქ ცვლის საკუთარი განცდების მართალი სურათები. ჩვენი მწერლის ნაწერებში იშვიათად შეხვდებით სიყალბეს, ნაძალადეობას, იგი წერს უშუალოდ, პირდაპირ მოუარიდებლად, დაუფარავად, მაშინაც კი, როცა ცდება...

ჰოლა ლომთათიძე ხშირად „იგონებს“ გმირებს. ამ გამოგონილ ლიტერატურულ სახელებში თავის საკუთარ განცდებსა და შეხედულებებს აქსოვს. ჯეირან ვარდოსანიძე, ილიკო-

ააშვილი, ხასანა იაშვილი, მცირიშვილი თუ სხვანი — თვითონ ჰოლას, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ეს აღამიანები ერთნაირად როდი მსჯელობენ და აზროვნებენ. ხსენებული გმირები მეტნაკლებად ან რევოლუციონერები არიან, თანმიმდევარი ერთგულნი თავიანთი საქმისა, ან სევდით შეპყრობილი, დამფრთხალი ინტელიგენტები. თვით ჰოლა იყო ასე თავისებურად გაორებული და ამიტომაც ასე სხვადასხვანაირად დახატა თავისი ავტობიოგრაფიული სხვადასხვა გმირების სახით.

ჰოლას ინტელიგენტ გმირებს შორის ყველაზე უფრო მკვეთრი და ნათელი სახე მაინც ჯეირან ვარდოსანიძეა („სახარხობელას წინაშე“).

„სახარხობელას წინაშე“, პირველ ყოვლისა, ყურადღებას იქცევს, როგორც ღრმა ფსიქოლოგიური ხასიათის მოთხრობა. დიდი ზიგზაგებით, მაგრამ საინტერესო პოეტური ტაქტით არის წარმოდგენილი ის ფსიქოლოგიური ბრძოლა, რომელიც სიკვდილის შიშით გამოწვეულ გრძობასა და მებრძოლის რწმენას შორის გამართულა.

ჯეირან ვარდოსანიძე იყო რევოლუციონერი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ დაუცხრომელი მებრძოლი. ვარდოსანიძეს გაასამართლებენ და ჩამოღრჩობას მიუსჯიან. გასამართლების დროს მას თავი უჭირავს როგორც ქედმოუხრელ მებრძოლს. ვარდოსანიძე აკრიტიკებს პროკურორისა და სასამართლოს მოქმედებას, ამხელს მათ ბოროტებას და ასე ამთავრებს თავის სიტყვას: „ჩიტა და ყვავილთ ისმინეს სიტყვა ქეშმარიტებისა, მაგრამ აბა ერთი მითხარი, ვის მოუვა აზრად ქეშმარიტება უქადაგოს ქვეწარმავალთ, გველთ და ბაყაყთ, მხეცთ...“ და როდესაც ვარდოსანიძე განაჩენის შემდეგ თავის „წინანდელ გალიაში შეიყვანეს“, იგი მწვავედ შეიპყრო სიკვდილის შიშმა. მასში იღვიძებს სიცოცხლის ძლიერი ინსტიქტი და სურს თავიდან აიცილინოს სიკვდილის ბრწყალელები, რაც უფრო ძლიერია მოახლოებული სიკვდილის შიში, მით უფრო დაუოკებელია სიცოცხლის გახანგრძლივების სურვილი. მას თვალწინ წარმოუდგება სახარხობელა და იწყებს მსჯელობას: „ყველაფერი გათავდება. იყო კაცი და ღღარ არის

კაცი და წავა კვლავ ცხოვრება თავის გზით; მომავალ ზამთარს კვლავ შეცვლის გაზაფხული. მორცხვი ია კდემამოსილი ღიმილით გაუცინებს გამაცოცხლებელ მზის სხივებს, გაყინულ გულში კვლავ შეატანს სითბო, კვლავ გაცოცხლებს სიყვარული და მხიარული სიმღერა შეყვარებულისა კვლავ გაისმის არემარეში... ვერ გავიღვიძებ მხოლოდ მე, დამახინჯებული სახით და სახარზობელას თოკით კისერში. მე, რომელსაც ერთი თვის შემდეგ ოცდახუთი წელი შემისრულდებოდა, რომელსაც არც მაციებს, არც მაცხელებს, არც წელი მტკივა, არც გული, რომელსაც მიყვარს და მწყურია სიცოცხლე". წარმოიდგენს რა იგი ამ სურათს, გრძნობს, რომ ახლა იგი განიარაღებულია, რომ მას არაფერი გააჩნია „თავის დასაცავად“. ჯეირან ვარდოსანიძემ იცის, რომ მხდალნი ვერ დაისაკუთრებენ ქვეყანას. „მაგრამ სიმხდალე იყო ვითომ?“ — კითხულობს იგი, როცა შეშინებული სიკვდილისაგან ტახტის ქვეშ იმალებოდა.

„მე მივხვდი. ის არ მოელოდა, რომ თუ ასე შემეშინდებოდა სიკვდილის. მე ხომ ერთიან კანკალი დავიწყე, გიჟივით ვიქტირებოდი გარშემო, პირუტყულმა შიშმა შემიპყრო და, როცა ძირს ვიღაცაების ფეხის ხმა მომესმა, გადავწყვიტე ჩემთან მოდიან-მეთქი და ლოგინის ქვეშ მინდოდა დავმალულიყავ... დიახ, დიახ, მე, ჯეირანს, მინდოდა ტახტის ქვეშ შეძრომა და ჯალათისაგან თავის გადაარჩენა. და თუ არ შევძვერი, ეს იმიტომ, რომ მივხვდი, დავრწმუნდი, უაზრო იყო, რომ არას გზით დამალვა არ შემეძლო. დიახ, მხოლოდ ამიტომ არ შევძვერი. თორემ მე, ჯეირან ვარდოსანიძეს კი არ შემრცხვენია იმის, კი არ მიფიქრია, რომ ეს არ შეშვენოდა მებრძოლს. არა, მე მივხვდი მხოლოდ, რომ ამით თავს ვერ გადავირჩენდი, და თავის გადაარჩენა კი მინდოდა, მინდოდა აუცილებლათ. რით, რით გადამერჩინა თავი?“ უაღრესად დაძაბული, ღრმა ფსიქოლოგიური განცდებით გვიხატავს მწერალი ჯეირან ვარდოსანიძეს. მასში თავგამოდებით იბრძვის ორი გრძნობა: გრძნობა რევოლუციონერისა, მტკიცე მებრძოლისა და სიცოცხლის „პირუტყვეულ ინსტინქტთან დაკავშირებული შიში სიკვდილისა“. ვარდოსანიძე.

გარკვევით ამბობს, რომ „ღღეს მე გარკვევით გავარჩიე ჩემ-
ში ორი ადამიანი, ორი სულიერი“, და აი ამ ორთა შეტაკე-
ბის გზით მიიმართება მთელი ეს დაძაბული ბრძოლა. ვარ-
დოსანიძეს უყვარს სიცოცხლე: „მე სიცოცხლე მინდა, მე
სიცოცხლეს ვთხოვლობდი, მე იმათ ვებრძოდი, ვინც სიცო-
ცხლეს არ გვანებებს და სამაგიეროდ სიკვდილი! რა სი-
სისულელეა!“ იგი ვერ ურიგდება იმ აზრს, რომ ეს „საათი-
ვით აწყობილი ორგანიზმი, უნდა სამუდამოდ შედგეს, შენო-
ბა უნდა დაინგრეს... და მერე? შიშია ეს?—კითხულობს ის.
„არ ვიცი, ვიცი მხოლოდ, რომ მას ვერასოდეს ვერ შეურიგ-
დება ჩემი გონება. ეს აზრი ისეთი ველურია, გაუგებარია,
შორიდან უბრალო რამ მეგონა სიკვდილი, მაგრამ, რამდენ-
ნადაც პირდაპირ უდგები მას, რამდენადაც უახლოვდები და
ვგრძნობ მის ცივ ქშენას, იმდენად ვრწმუნდები, რომ ის
ზედმიწვევით რთული რამ ყოფილა, უფრო რთული ვიდრე
თვით სიცოცხლე, მისი მრავალფეროვნებითა და სხვადასხვა-
ობით“. და შემდეგ ვარდოსანიძე მსჯელობს იმის შესახებ,
რომ იგი არ ემდურის ბედს, რომ მის გატაცებულ სიტყვებ-
ზე ბევრს ანთებია თვალები და გულში ბრძოლის ცეცხლი
აღვზნებია. იგი ბედნიერი იყო იმით, რომ იყო რგოლი იმ
მკიდრო ჯაქვისა, რომელსაც მუშათა პარტია ეწოდება, მუ-
შათა მებრძოლი არმია. მან იცოცხლა ისე, როგორც უნდო-
და და სწამდა სიცოცხლე. მიუხედავად ამისა. მისი აზრით,
„სიკვდილი, რომელიც ეხლა მას მიუსაჯეს ახირებული რამ
არის, ის სულ სხვა ყოფილა, სულ სხვა ხრიკი... მივედი თუ
არა იმის კარებთან, ნივადექი თუ არა მკერდით მას, სანამ
კარს გაეაღებდი დაფიქრდი, დაფიქრდი და გამოდგა, რომ
ის რაღაც მეტი ყოფილა იმაზე, რაც მეგონა... შიშია ეს?
რა ვიცი. შეიძლება შიშია, შეიძლება არ არის შიში... წუ-
ხელწინ ღამით კი, ოპ, წუხელწინ ღამით არა თუ მეშინოდა,
არამედ პირუტყვი ვიყავ, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით.
ისე ვკრთოდი, როგორც დასაკლავი ძროხა... მე, რომელიც
სასიკვდილო საქმეებზე წავსულვარ ისე, რომ წარბიც არ
შემიხრია, ბარიკადზე ვმდგარვარ, როცა მას ტყვიას უშენ-
დნენ, რომელსაც გვერდში მომიკლეს ამხანაგი და არ მიგრ-

ძენია შიში, აი, მე როცა დავრწმუნდი, რომ მართლა მომკლავდენ, როგორც დასაკლავი ძროხა ავკანკალდი... სიკვდილის წინაშე უკან დავიხიე და... რაღა ბევრი გაევაგრძელო, გავტყუდი“.

ამგვარად, ქოლა ლომთათიძე იმ განცდის ღრმა ფსიქოლოგიურ ახსნას იძლევა, რომელსაც სიკვდილი ჰქვია. ალბათ, ეს გარემოება ჰქონდა ავტორს მხედველობაში, როცა ამ ნაწარმოებს პირველად „სიკვდილის წინაშე“ შეარქვა (იხ. „ცისკარი“, 1908 წ.). ქოლა გვაძლევს რევოლუციონერის არა სქემას, არამედ რევოლუციონერს თავისი ადამიანური ვნებებითა და გატაცებით, ადამიანს, აღსავსეს სიცოცხლის სიყვარულის ძლიერი გრძნობებით. ვარდოსანიძე ადვილად ვერ ურიგდება სიკვდილის განაჩენს. ქოლას ვარდოსანიძე ადამიანია უპირველესად ყოვლისა, ადამიანი თავისი სუსტი და ძლიერი მხარეებით. მასში წინააღმდეგობამ სიკვდილისა და სიცოცხლის გრძნობის ბრძოლამ აშკარად იჩინა თავი. და იმდენად მკაცრია, გადაულახავი სიკვდილის განაჩენი, რომ სიკვდილის წინაშე უკან იხევს გამობრძმედილი რევოლუციონერიც. მაგრამ ეს ფსიქოლოგიური აფექტი დასძლია ვარდოსანიძის რევოლუციურმა რწმენამ. სიკვდილის შიშზე იმარჯვებს რევოლუციონერის იდეა, რწმენა. ჯერიან ვარდოსანიძე სიკვდილის შავ და რთულ მოვლენაზე გამარჯვების შემდეგ თვითონვე აკრიტიკებს გუშინდელ ვარდოსანიძეს.

ვარდოსანიძე კარგად გრძნობს, რომ ბურჟუაზიული საზოგადოება გაყოფილია ორ ნაწილად: ერთი მხრით, არიან მდიდრები, რომლებიც მშრომელების ხარჯზე ცხოვრობენ, მეორე მხრით, არიან ღარიბები, ყოველგვარ უფლებას მოკლებულნი. მდიდრებს ზურგს უმაგრებს მოტაცებული სიმდიდრე.

„ფულები გაქვთ თქვენ და ღმერთიც თქვენს მხარეზეა, იმიტომ რომ ფულები გაქვთ თქვენ. ბევრისაგან ბევრი მეცნიერი და სწავლული ამართლებს თქვენს არსებობას ქვეყანაზე, იმიტომ რომ ფულები გაქვთ თქვენ! მშვენიერსა და მდიდარ დარბაზებში, მაღალ ოთახებში სჩადინხართ თქვენ

დაბალ საქმეებს, რყენით ლამაზ მოსამსახურე გოგოებს, ისე, როგორც თქვენი ცოლები რყენიან ახალგაზრდა ბიჭებს... თქვენ ბევრი შეგნატრით, ბევრი გაქვით და გემხრობათ იმიტომ, რომ ფულები გაქვთ თქვენ. თქვენ ბედნიერი ხართ იმიტომ, რომ გაქურდეთ, გაძარცვეთ უბედურნი, თქვენ ტყავი გააძვრეთ მუშას, ამიტომ ფულები გაქვთ თქვენ, ამიტომ ბედნიერი ხართ. ამიტომ თქვენსკენ არის კანონი და სამართალი. მღვდელი და ეკლესია, ამიტომ ძლიერი ხართ თქვენ, დიახ! ბედნიერი ხართ თქვენ, მაგრამ ჩემს სახარჩობელას მე არ გავცვლი თქვენს ბედნიერებაზე“. ასე მსჯელობს ვარდოსანიძე. ის თავის იდეალს, თავის რწმენას, რომლისთვისაც იბრძოდა, წმიდათა წმიდად მიიჩნევს და მას ყოველგვარ სიმდიდრეზე და კაპიტალისტების მიერ მიტაცებულ, სხვის უბედურებაზე აგებულ ბედნიერებაზე მალლა აყენებს. იგი რწმენით, ალტაცებით შეჰყურებს ხალხის მომავალს, მას სწამს მხოლოდ ბრძოლის გზა.

„ასი ათასი ენა რომ მქონდეს, ასი ათასი ენით შეგძახებდით მე თქვენ: — სიკვდილი თქვენ, მკვლელებო, ბრძოლა თქვენ, ქურდებო და ავაზაკებო!...“ ვარდოსანიძეს სწამს, რომ დადგება დრო, მშრომელი ხალხი კვლავ შემოკრებება წითელი დროშის გარშემო და ამ ბრძოლაში მოიპოვებს თავისუფლებას, „ისევ თქვენ, ჩემო ძმებო და ამხანაგებო,“ — მიმართავს ის თავის მეგობრებს, „— მალლა, მალლა ასწიეთ დროშა ბრძოლისა და მედგრად, ამაყად შემოკრებით მის გარშემო. შემოკარით ზარს ბრძოლისაკენ მომწვევს და დასძახეთ ქვეყანას გაბედულად და უშიშრად. დასძახეთ, ბიჭებო, ყიჟინა და მიესიეთ მტერს“. ასეთი მებრძოლი სულისკვეთებით წარმოდგება ჩვენს წინ ვარდოსანიძე მოთხრობის ფინალში. იგი უშიშარი და გაუტეხელი მებრძოლის ნებისყოფით გვევლინება. ახლა იგი დასცინის სიკვდილს: „რათ ველირ მაშინებს შენი გულგრილი სახე, შენი ცივი ქშენა?... ვერა, ვერ დამძლევ, ბებერო სიკვდილო, ვერ დამძლევ!... ბურეჟაზიულმა შარლატანებმა შეგაბრალონ თქვენ სიკვდილით დასასჯელნი, იმათ ითხოვონ მოწყალება. მე კი მოვკვდები, როგორც შეშვენის სიკვდილი დამარცხებულ მებრძოლს...

ჩვენ არ დაგზოგავთ თქვენ, ამიტომაც არც თქვენგან ვთხოვლობთ დაზოგვას. მე მოვეკვდები როგორც დამარცხებული სოციალისტი“. ჯეირან ვარდოსანიძეს აქვს მტკიცე რწმენა იმისა, რომ „პროლეტარიატი კარგად იყოს და თავისუფლებას მოვიპოვებთ.“

ქოლას ხშირად ფილოსოფიურ განზოგადობამდე აჭყავდა ნაწარმოებში დასმული პრობლემა. ხშირად გვხვდება მის ნაწარმოებებში ფილოსოფიური სენტენციები, აფორიზმები და ფრაზები, განსაკუთრებით დამახასიათებელია ამ მხრით „სახრჩობელას წინაშე“. ქოლას ეს ნაწარმოები სიკვდილსიცოცხლის პრობლემის თავისებური ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური განზოგადობაა. მწერალი მთელი თავისი სირთულითა და წინააღმდეგობით ხატავს სიკვდილის განცდას, სიკვდილით გამოწვეულ შიშსა და სიცოცხლისადმი სიყვარულის გრძნობას ადამიანში. სიკვდილმისჯილი ვარდოსანიძე ასე მსჯელობს: „მიდის დრო, მიდის დრო, მიდის დრო!

ის ყლაპავს სიყვარულსა და სიძულვილს, სიხარულსა და ნწუხარებას, გულგრილი და გულქვა, ის ერთნაირად უცქერის ავსა და კარგს. დინჯად, გულდამშვიდებით კაფავს ყველაფერს და მიდის წინ, მიდის შეუჩერებლად, უხმო, უსიტყვო და უკვალო, ყრუ და მუნჯი, უგრძნობი და შეუბრალებელი“.

სატუსალოში უფრო გამახვილებულია თითქოს სიცოცხლისა და სიკვდილის საკითხი, ამას მწვავედ გრძნობს ტუსალი ჯეირანი, ამასვე მწარედ გრძნობს ტუსალი მცირიშვილი და დროზდოვი. სიცოცხლისა და სიკვდილის საკითხს პატიმარი ქოლა არა მარტო „სახრჩობელას წინაშე“ აყენებს, არამედ თითქმის ყველგან, ამავე კითხვას უბრუნდება ის „საპყრობილეში“:

„არ ვიცი რად, ღმერთმანი, არ ვიცი რად, მაგრამ ეს კია, რომ არსად ისე არ სწყურია ადამიანს სიცოცხლე, როგორც აქ, სატუსალოში, რაც მეტად გაციმბირებენ, რაც მეტად გადაბლებენ, დასცინიან შენს თავმოყვარეობას, შენს იმედებს, შენს სათაყვანოს, რაც უფრო მეტად ადამიანები, ადმინისტრაციის ტანსაცმელში, ააშკავებენ პირუტყვულ

მხარეებს, ადამიანში დამალულს, რაც უფრო მეტად რწმუნდები, რომ გარშემო გახვევია ჯალათები, ადამიანურ გრძნობებს მოკლებული პირები, რომელთაც ნება აქვთ, რაც უნდა ის გიყონ, არ ვიცი რად, მით უფრო გინდა იცოცხლო, უფრო გინდა იცოცხლო და იტანჯო...“ („საპყრობილეში“).

ჟოლა ლომთათიძემ ვარდოსანიძის სახით დაგვიხატა მებრძოლის, რევოლუციონერის შესანიშნავი ხასიათი. ვარდოსანიძე ტიპური სახეა რევოლუციონერისა, რომელიც ადამიანის ცხოველურ ინსტინქტზე, სიკვდილზე ასე ძლიერად გამარჯვებული გამოდის. მებრძოლი პუბლიცისტური სტილით, დღიურის ფორმით არის დაწერილი ლირიკული პროზის ეს საინტერესო ნიმუში. ეს იყო ჟოლა ლომთათიძის პირველი ნაწარმოები მეფის სატუსაღოს კედლებში. ჟოლას ჯერ კიდევ არ ჰქონდა მძაფრად განცდილი რეაქციის მძვინვარე სუსხის მთელი საშინელება. ჟოლას შემდეგ და შემდეგ ეს მებრძოლი რევოლუციური განწყობილება თანმიმდევრულად ვერ შერჩა. მართალია, თვითმპყრობელობის ციხის აუტანელმა რეჟიმმა ძლიერ შეარყია ჟოლას ფიზიკური ჯანმრთელობა და რევოლუციონერის სულიერი წონასწორობა, მაგრამ იგი საბოლოოდ ვერ გასტეხა მაინც.

მებრძოლი მწერლის სულიერი თვისებანია გამომქლავებული 1910 წელს დაწერილ „პირველ მაისშიაც“. რომანტიკული მომხიბვლელობით და მგზნებარე პათოსით დახატა მან საპირველმაისო დემონსტრაციის მოგონება.

სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიების საპირველმაისო სამზადისი, ხალხმრავალი დემონსტრაცია, პოლიციასთან შეტაკებანი და უთანასწორო ბრძოლაში დაცემულთა თავგადასავალი მოთხრობილია მწერლის მიერ დიდი მღელვარებითა და ოპტიმიზმით. მან უმღერა ძლიერი ჰინი ჩაუქრობელი რევოლუციის ალით ანთებული პროლეტარიატის საბრძოლო ნათლობას, მომხიბვლელი, ამღელვებელი მხატვრული ძალით გამოხატა პროლეტარიატის თავდადებისა და გმირობის ამბავი. დიდი ოპტიმისტური სულით არის გამოთბარი მთელი ეს მოთხრობა.

„მე წავალ მუშათა უბანში და ავიღებ ხელში წითელ

დროშას, ავაფრიალებ მას და დავიძახებ—ამ დროშის ქვეშ-
მეთქი დაწყდნენ გმირები, რომელთაც დაჩაგრული ქვეყნის-
თვის მომავალი ბედნიერების მილოცვა უნდოდათ, მაგრამ ჩვენ
მანც არ გვეშინია სიკვდილის და მზად ვართ იმის ქვეშ,
თუ საჭიროა, ისევ მოვკვდეთ-მეთქი.

— ხვალ პირველი მაისია, აგიაშვილი, სად არის ეხლა
ძველი დრო, როცა ვფიქრობდით პირველ მაისობაზე შეიძ-
ლება რევოლუციონერებმა აგვაფეთქონო? დამარცხდა რევო-
ლუცია, აწი ის წელს ვერ აიღებს...—ასე მითხრა ციხის
უფროსმა.

— არა, ბიძია, არა ვართ დამარცხებულნი ჩვენ. მოკა-
ლით ჩვენი რწმენა? მოკალით ჩვენი სიყვარული? მოკალით
ჩვენი თქვენდამი ზიზღი? მოკალით ჩვენი დიდი სურვილი?
ტყვია რომ გულში გვარტყით, ბაწარი რომ კისერში მოგვი-
ქირეთ, ამით მოკალით რომელიმე სურვილი ჩვენი, რომე-
ლიც თქვენ არ მოგწონდათ? მაშ, რათ ამბობთ, გავიმარჯვე-
თო? ვიცანით ჩვენი თავი დანაშაულათ, და პატიება გთხო-
ვეთ? თუ მოგვკალით და აღარ გეშინიათ ჩვენი, მაშ რათ
დაუკარგეთ საფლავებს სახელი, ბნელში რათ ამოთხარეთ
ორმო და მერმე გადაასწორეთ ის, რომ დილას არავის
ეცნო—აქ ვინმე დაუმარხავთო? და ერთი რამ კიდევ—როცა
საფლავებს ეძებენ, როცა საფლავებზე მიაქვთ ყვავილები,
როცა საფლავი უყვართ და იქ მიდიან სალოცავად, სატირ-
ლათ, შურისძიების წყურვილის გასაძლიერებლად, გეშინო-
დეთ თქვენ იმ საფლავის, ის არ არის საფლავი დამარცხებუ-
ლის. ხვალ პირველი მაისია და ამალამ მე არ შეძინება“. ასეთი
მებრძოლი ეპიზოდი ბევრგან გვხვდება ამ მოთხრობაში,
თუმცა ნაწარმოები მანც არ არის თავისუფალი მცდარი პო-
ლიტიკური მსჯელობისა და შედარებებისაგან. როგორც ჩანს,
ეს მცდარი პოლიტიკური შეხედულებანი მენშევიკურ ფრაქ-
ციაში მუშაობის დროს გამოიმუშავა ქოლამ. ამ გავლენებს
მწერალმა თავი ვერ დააღწია.

წერილბურჟუაზიული შეხედულებანი უფრო გაღრმავდა
ქოლას ციხეში ყოფნის დროს. ამის შედეგად ქოლას შემო-
ქმედებაში ჩნდება გულგატეხილი ინტელიგენტების, მოწუწუ-

ნე, სევდიანი, უნებისყოფო წვრილბურჯუაზიული რევოლუციონერების სახეები. ამგვარ სახეთა შორის, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს კოლია დროზდოვი („საპყრობილეში“). იგი გვევლინება, როგორც მოღლილი, მოქანცული, გულგატეხილი ინტელიგენტი. კოლია დროზდოვი სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი იყო. მას თითქოს სწამდა, როგორც თვითონ ამბობს, ჩვენი ხალხის მომავალი და იბრძოდა მასთან ერთად ამ მომავლისათვის. მაგრამ ახლა, აი ციხეში ამოყო თავი და კარგავს რწმენას, ყრის იარაღს, იწყებს წარსულის გადაფასებას. იგი ასე მსჯელობს: „მოგვცხეს, ძმავ, არ უნდა ლაპარაკი, გვძლიეს და გადადიან კიდეც მაღაყს ჩვენს კისერზე“. სრულიად გულგატეხილი, მიმართავს მცირიშვილს: „შვიდი წელი თუ აქ გავატარე, მერე ვისაც უნდა იმას ჰქონდეს თავისუფლება, დამილოცნია“. კოლია დროზდოვი უფრო შორს მიდის. მისი აზრით, იგი ახლა ყოველმხრივ უვნებელი ადამიანია და, რომ ერთბაშად გაათავისუფლონ ციხიდან, სადმე უღრან ტყეში წავიდოდა და საბოლოოდ ხელს აიღებდა რევოლუციაზე, ბრძოლაზე.

„— იცით, რას გეტყვით? ხანდახან მე დავფიქრდები იმაზე, თუ როგორ მოვიქცევი, მაგალითად, რომ უცებ გამიღონ კარები და მითხრან: ნიკოლაი დროზდოვი! შენ თავისუფალი ხარ, აიკარი გულა-ნაბადი და გასწი, გაჰქრი აქედანო. და შივიდვარ იმ დასკვნამდე, რომ ერთ წამსაც არ გავჩერდები ქალაქში, არც სოფელში, არც ერთ ნაცნობს არ ვინახულებ, არც დედაჩემს... წავალ, წავალ უღრან ტყეში, წავალ შორს, მოენახავ დაბურულ ალაგს, სადაც მხოლოდ ზეცა მოსჩანს. გამოვარჩევ უზარმაზარ ხეს და იმის ძირში მოვლობავ ქოხს და იქ დავბინავდები... ათასი წელი რომ გავძლო, ერთხელაც რა არის, ერთხელაც არ ამოვიღებ ხმას. ერთი ღერი სიტყვა არ წამომცდება, ვიქნები მუნჯი, ხოლო როცა ვარსკვლავებით მოქედილ ცას დავინახავ, ვარსკვლავებს გაუღიმებ... და დავუგდებ ყურს ტყის ღუმელს... ღმერთმანი, ხანდახან მგონია სწორედ აგრე მოვიქცევი... მე მესმის, თუ რათ გარბოდენ ეს კაცები უდაბნოში, მესმის მათი სულისკვეთება, რომლებიც შორდებოდნენ სოფელს, იმალებოდნენ გავარდნილ ტყეში და სდუმდნენ“.

მცირიშვილს საეჭვოდ მიაჩნია, რომ დროზდოვმა უღალატოს თავის რევოლუციურ წარსულს და ჰგონია, ეს ზემონათქვამი სიტყვები არ არის დროზდოვის მუდმივი აზრით. მაგრამ ეს სრულებით არ უმსუბუქებს მდგომარეობას კოლია დროზდოვს. ის შემდეგაც უმეორებს მცირიშვილს თავის მტკიცე გადაწყვეტილებას, ის წინათ სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის კარგი მუშაკი იყო, მაგრამ ახლა მხოლოდ კეთილი ადამიანია, რომელიც, თუ გაათავისუფლებენ, დაიმალება ტყეში, სადაც ადამიანის ხმას ვერ გაიგონებს.

კოლია დროზდოვი არ არის შემთხვევითი ტიპი ქოლა ლომთათიძის მრავალრიცხოვანი გმირების გალერეაში. მსგავს სულიერ განწყობილებას ავლენს ილიკო იაშვილიც („ჩემი დღიურის გმირი“). იგი გვევლინება უიდეო, მერყევი სულისკვეთების კაცად, რომელიც ყველაფრის გადაფასებას ახდენს და ამ ნიადაგზე ღრმა სევდა იპყრობს, „გაზაფხულია, არაფერი არ მომკვდარა, გარდა ქეთოსი და კიდევ მოკვდი მე და ორივე—მეცა და ქეთოც ვმარხივართ აქ, ამ გულში. მე ვტირი, მე თავი მტკივა, მე სული მიწუხს და მიშფოთავს. მე მიცვალებულები მყავს და ეს ცხედრები ასვენია ჩემს გულში და ერთი ცხედართაგანი ვარ თვითონ მე“. დაშინებულნი, დამფრთხალი, ნაღვლიანი ინტელიგენტის ნამდვილი აღსარებაა იაშვილის სიტყვები:

„იმღერეთ, ამხანაგებო! მე კი ავათ ვარ, მე თავი მტკივა და ეშმაკები მელანდებიან. და გული ჩემი ტირის, ტირის. რათ ტირის ის, ვინ მოკვდა? შეხ ხომ არ მომკვდარხარ, ჩემო კესანე? ან და შეიძლება მე მოკვდი და მე დავტირი ჩემს თავს? ან და შეიძლება მე ვდგავარ დაჩოქილი ჩემი ცხედრით სავსე კუბოს წინაშე და ვიღვრები ცრემლად, დავტირი განსვენებულ ილიკო იაშვილს?

— ძმაო ილიკო, ძმაო ილიკო, ძმაო ილიკო!

ვინ მოკვდა, ამხანაგო, ძამია, რა მოგივიდა?

... მეშინია, მეშინია... ოი, რა მეშინია! *

ქოლა ლომთათიძე ინტელიგენტს ახასიათებს როგორც სუსტ. მერყევი ადამიანს. იგი არ მალავს მუშის უპირატესობას და აშკარად ასხვავებს მას ინტელიგენტისაგან.

* ჭ. ლომთათიძეს, მოთხრობები, ტ. I. გვ. 226.

„ძვირფასო ამხანაგო მუშავი! ნუ გაგეცინება, ძამია, მე ვიცი, რომ სიკვდილის წინა დღეს შენ სასიკვდილოთ ემზადები და ასეთ ლაპარაკს არ დაიწყებ. მე ვიცი, რომ შენ სიცოცხლე გიყვარს, მაგრამ სიკვდილის შნოც იცი. მე ვიცი, რომ შენ ნერვები მაგარი გაქვს. შენი ტვინი არ არის დამძიმებული. მავნებელი ტვირთით, მაგრამ იცნობ თუ არა შენ ინტელიგენტს? მე ვიცი, რომ ისტორიამ იცოდა, რას შერებოდა, როცა შენ გბადებდა და გეუბნებოდა—შენ უნდა გამოიყვანო კაცობრიობა სირცხვილიდანო. ამიტომ შენ ნუ გაგეცინება. ჩვენ სუსტი კაცები ვართ, ამხანაგო, ჩვენ როცა ვკვდებით, წინა დღით ვტირით, ხვალ უნდა მოვკვდეთ! შენ კი ძლიერი ხარ, ღონიერი ხარ, გმირი ხარ შენ და, რადგანაც სულგრძელობა გმირთა ბუნებაა, ამიტომ იყავი სულგრძელი შენ, გოლიათო, და ნუ დაგეცინებ. თუ სიკვდილის წინ დღეს ცოტა წარბი ჩამოვიყაროთ და გამოვიტიროთ ჩვენი სიცოცხლის ბოლო. იყავ სულგრძელი და ნუ დაგეცინებ სიკვდილს...“ *

ეს განწყობილება ტიპიური წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციისათვის დამახასიათებელი განწყობილებაა. ინტელიგენციის ამგვარი დახასიათება არის თვით ქოლას დახასიათებაც. და სწორედ ესაა ქოლას სუსტი მხარეც.

ქოლა ლომთათიძის შემოქმედებაში ხშირად ვხვდებით წინააღმდეგობებს, მერყეობას. ერთი მხრით, ის მებრძოლ განწყობილებას გვიხატავს, მეორე მხრით კი, გვაძლევს ამის საწინააღმდეგო შეხედულებებსაც. ქოლა წერს:

„... ჯანდაბას ყველაფერი—ასე ვამბობ მე!

ყველა სანთლებს დავაქრობ ჩემს უკან და მხოლოდ წინ, მხოლოდ მომავლისკენ დავიწყებ ცქერას. მხოლოდ წინ! მხოლოდ წინ!

წინ—იქ თავისუფლებაა. გაშლილი მინდვრები ყვავილები—იქ სჯობია!

ჩემს უკან დავაქრობ ცეცხლს და დეე იყოს, რაც უნდა იყოს, დღეს სატუსალოში ვარ, ხვალ თავისუფალი ვიქნები...“

მაგრამ ქოლა არ არის თანმიმდევარი, და იქვე დასძენს: „წინ უნდა ვიციკირო და ჯერჯერობით კი ავიღებ ხელში

* ქ. ლომთათიძე, მოთხრობები, ტ. 1, გვ. 283.

სასულიერო შინაარსის წიგნებს და ვიკითხავ გულმოდგინედ... მაკურთხე, მამაო!* საწინააღმდეგო აზრთა ასეთი შეთავსება არაიშვიათია კოლას შემოქმედებაში.

მართალია, კოლას შემოქმედებაში ამ მოწუწუნე მერყევ რევოლუციანზე გულგატეხილ ინტელიგენტს დიდი ადგილი უქირავს, კოლა მას ერთგვარი სიყვარულითაც ხატავს, მაგრამ იგი როგორც მხატვარი და მოქალაქე დარწმუნებულია, რომ ეს ადამიანები რევოლუციის საქმეს საბოლოოდ ვერ უღალატებენ, მათს სისხლში ისევე ძლიერად ჩქეფს სიყვარული რევოლუციისადმი, პროლეტარიატისადმი, რომ როგორც არ უნდა იყოს მათი წუწუნი და მერყეობანი ისინი ვერ შეძლებენ ხელი აიღონ თავიანთ საყვარელ საქმეზე, რევოლუციის საქმეზე. ამიტომაც შენიშნავს კოლა თავის მოთხრობაში, „საპყრობილეში“ დროზდოვის შესახებ „მოკლე წერილი იყო და არაფერი ეწერა იმის შესახებ, წავა თუ არა ის უდაბურ ტყეში, გაექცევა თუ არა ადამიანებს“. კოლას თვითონ სწამს, რომ დროზდოვი ასე არ მოიქცევა. თვით ილიკო იაშვილიც („ჩემი დღიური“) კი, ეს უაღრესად გარეუბლი პიროვნება, ოცნებობს, თუ გარეთ გამოვედი, კვლავ ხალხს ავამხედრებ ჯალათების წინააღმდეგო.

* * *

კოლას უსაზღვროდ უყვარდა ადამიანი. მთელი თავისი ცხოვრება და შემოქმედება მან ადამიანის ღირსებისათვის ბრძოლას შეაღია, მაგრამ კოლას ასევე უსაზღვროდ სძულდა ადამიანის დამჩაგვრელი ყოველი ძალა. კოლამ იცის, რომ „სიყვარული და სიძულვილი—ეს ორი ნიჭი წერს ისტორიას“. კოლას უსაზღვროდ უყვარდა პროლეტარიატის საქმისათვის მებრძოლი ადამიანები, ასევე უსაზღვროდ სძულდა და ბოლომდე შეურიგებელი დარჩა თვითმპყრობელობის მიერ მოსყიდულ ქვეშევდომთა მიმართ.

კოლას ნაწერებში წარმოდგენილია მეფის საპყრობილეს მოხელეთა, პოლიციის წარმომადგენელთა რამდენიმე უარყოფითი პორტრეტი. კოლას სძულდა ეს ადამიანები. „წარ-

მოუდგენელია სიყვარული, თუ სიძულვილი არ შეგიძლია“, წერდა კოლა. პოლიციის მოხელეთა უარყოფითი სახეები ყველაზე უფრო დასრულებულად გამოყვანილია „საპრობილემში“. აქ არის „მეტისმეტად ბოროტი ზედამხედველი“ ზოსიმოვი, რომელსაც ზედმეტ სახელად „სპილენძის ბაბუა“ შეარქვეს იმის გამო, რომ, სანამ ზედამხედველი გახდებოდა, „ქალაქში ვილაცას სპილენძი მოჰპარა“. ნაქურდული სპილენძით ქუჩა-ქუჩა ჩამოატარეს და ზედ „სპილენძის ბაბუა“ მიაწერეს. ეს იმ დროს იყო, როდესაც ხალხი განაგებდა სამართლის საქმეს—1905 წელს. ახლა დრო შეიცვალა, თავისუფლებისათვის მებრძოლთაგან ბევრი ციხეში აღმოჩნდა და აი, აქ შეხვდნენ ისინი სპილენძის ბაბუას. ბოროტი ზოსიმოვის დაბეზლებით არა ერთი ტუსალი-რევოლუციონერი გაუსტუმრებია კარცერში. ტუსალებს სძულთ ბოროტი მოხუცი.

ანდა აიღეთ „ფარისეველი, გაიძვერა, უსინდისო ზედამხედველი სუკინი“. იგი დიდიდან საღამომდე აძაგებს ციხის უფროსს და მის თანაშემწეებს, რომ ამ გზით რამე დასტყუოს ტუსალებსა და დააბეზლოს ისინი. სუკინი საგანგებოდ აითვალისწინებს მცირიშვილს. ერთ დღეს ასეთ ხერხს მიმართა მცირიშვილმა: ბარათი დაწერა და სთხოვა სუკინს, მეთვრამეტე საკანში წაეღო. მეთვრამეტე საკანში კი, სუკინის აზრით, დიდი დამნაშავე ზის. სუკინი სიამოვნებით გამოართმევს ამ წერილს და გაარბენინებს ციხის უფროსთან. ციხის უფროსი ასევე აღფრთოვანებით წერილს გაუხსნელად წამოიღებს მცირიშვილთან. დარწმუნებულია, რომ დიდ დანაშაულში დაიჭირა. ციხის უფროსი ხმამაღლა კითხულობს მის გასაგონად: „რა სულელი მნახეთ, ბატონო ციხის უფროსო, რომ გეგონათ სუკინისთანა მხეცს ვენდობოდი. მე შეურაცხყოფილად მიმაჩნია ჩემი თავი. გთხოვთ შემდეგ არ იფიქროთ ასე“. ციხის უფროსი მოულოდნელობისაგან გაფითრდა. რამდენიმე დღის შემდეგ სამსახურიდან დაითხოვეს სუკინი და მცირიშვილმა თავიდან მოიშორა ეს მაბეზლარა ზედამხედველი. სუკინს როდი ჩამორჩება თავისი უსინდისო მოკმედებით ციხის უფროსის თანაშემწე ბედუინი, „ზედმიწევნით მხდალი და უსინდისო ვინმე“. „ის წამდაუწუმ

19. ს. კილაია

ცდილობს აენოს რაიმე ვინმეს, დასაჯოს, აწყენინოს. ის ნა-მდვილი აღა-მაჰმად-ხანია“. კოლა ლომთათიძე აღწერს სატუ-სალოს ველურ პირობებს, ააშკარავენს მთელ იმ არაადამიანურ დამოკიდებულებას, რომელსაც მეფის მოხელეები იჩენდნენ რევოლუციონერების მიმართ.

მეფის ჯალათები, მოსყიდული მოხელეები აბუჩად იგდებენ, ფეხქვეშ თელავენ ადამიანთა უფლებებს. ადამიანის შეურაცხმყოფელ, დამამცირებელ მოქმედებას ციხის მოხელეების მხრით კოლა ნილაბს ხდის და აშიშვლებს. ისინი ბოროტნი, გულღვარძლიანნი, უსინდისონი, ამავე დროს, მხდალი ადამიანები არიან. ივანე გარგანელი ციხეში გარდაიცვალა. „მეორე დღეს, საღამოს პირად, ორ დარაჯს მიჰქონდათ უბრალო კუბოში ჩასვენებული ივანე გარგანელის ცხედარი. როცა ჰიშკართან მიიტანეს, კუბო ძირს დადგეს, მეკარე ზედამხედველმა ახადა კუბოს თავი, რათა ერთხელ კიდევ დარწმუნებულიყო მკვდარი მიაქვთ თუ ცოცხალიო. ამოიღო რევოლვერი მან და შუბლზე მიაღო.

— შენ, გეიგონე... თქვი. ცოცხალი თუ ხარ... ამოიღე ხმა, სულ ერთია, თუ ცოცხალი ხარ, ჩაგაძაღლებ, გესვრი რევოლვერს და მაინც მოგკლავ, ამიტომ გიჯობს თქვა, ხარ თუ არა ცოცხალი...“ ამას ემატება საპყრობილის აუტანელი პირობები. აი ერთი დეტალი:

„წარმოუდგენელია ის მძიმე შთაბეჭდილება, რომელსაც ახდენს ხელებში ბორკილებ-შეყრილი ადამიანის დანახვა. რამდენი ტანჯვა, რამდენი დამცირება, რამდენი გაჭირვება უნდა სდევდეს ამას შედეგად! მათ შეუძლიათ პირთან მიიტანონ ხელები, შარვალი ჩაიცვან, დანარჩენი კი არაფერი არ შეუძლიათ. ვერც პერანგს გაიძრობენ. ვერც რამეს ჩაიცვამენ, ვერც ზურგს მოიფხანენ, როცა აქაური ბალღინჯო უკბენს მათ. მხოლოდ ჩხრეკის დროს რამდენიმე წუთს შეაძრობენ მათ ხელებზე ბორკილს და ისიც ორ კვირაში ერთხელ, როცა აბანოში მიდიან. და ეს ასე უნდა გაგრძელდეს შვიდი წელიწადი, ეგრეთწოდებული „кандальный срок“ მთელი შვიდი წელი უნდა ატარონ მათ ეს, დღითი და ღამით, განუწყვეტლად. აბა, წარმოიდგინეთ, როგორი იქნება მათი ძილი, მათი მოს-

ვენება, მათი ნერვები. წარმოიდგინეთ წუთები, როცა მათ მიეძინებათ, ძილში კი იგრძნობენ, რომ სული ეკმევათ, რომ გულალმა დაწოლილთ მოუნდებათ ნებივრად გაშალონ ხელები, ცალი ხელი თავქვეშ შემოიღონ, მეორე კი გამართონ, გაიწოდინონ, თავისუფლად გადატრიალდნენ... ამის მაგიერ კი რკინა ბოროტად კბენს მკლავში, გაჯავრებული ხმაურობს... წარმოიდგინეთ ეს! მოიხარეთ ქედი მათ წინაშე, ვინც აგრე იცავს თქვენს მყუდროებას და აგრე სჯის თქვენს მტრებს, დამნაშავეებს... ქედი მოიხარეთ მათ წინაშე!... ოსანნა მათ!“.

ქოლა ლომთათიძე უდიდესი სიყვარულით, თანაგრძნობით, პატივისცემითა და მოწიწებით აღწერს ტუსალის განცდებს.

* * *

ქოლა თავის მოთხრობებში მოსწრებულად იყენებს და შიგ უხვად ურთავს ლექსებს. ეს ლექსები მეტ შემთხვევაში ხალხურია ან ცნობილი პოეტების კალამს ეკუთვნის, ზოგი კი საკუთარი უნდა იყოს. ქოლა ლომთათიძეს რომ პოეტური გრძნობა ჰქონდა, რომ ლირიკული ამღერების ძლიერი ძალა ებადა, ამას მთელი მისი პროზა ადასტურებს. ამასვე ადასტურებს მისი პატარა ესკიზები, ე. წ. ლექსი პროზად („კვლავ ფიქრი, ფიქრი“, „ზღვა“). დაბოლოს, მოთხრობებში ჩართული ლექსები, ზოგი ქოლას კალამს რომ ეკუთვნის, ამ გარემოებაზე თვითონაც არა ერთხელ მიუთითებს ნწერალი. ასე მაგალითად: „საპყრობილეში“ იგი წერს: „უცებ მაგონდება ერთი ლექსის ნაწყვეტი,— დიდი, დიდი ხანია მას ეძინა ჩემს მახსოვრობაში. არ ვიცი, ჩემი დაწერილია ის ლექსი, თუ ვინმე ჩემსავით დიდებული პოეტის გამოთქმულია ის. მეცინება. მინდა მოვიშორო ის, ძალაუნებურად კი ვიმეორებ.“

ტყუილი უთქვამთ... რაც გზორდები, უფრო ახლოს ხარ,
და რაც დრო გადის, უფრო იპყრობ, ატყვევებ ჩემს გულს,
ტყუილი უთქვამთ თითქოს კლავდეს დრო და მანძილი
ერთხელ ანთებულ, ერთხელ შობილს გულში სიყვარულს...

მინდა მოვიშორო თავიდან ეს ლექსი, ნამდვილად კი მაგონდება, რომ ის ჩემი დაწერილია“.

მეტ შემთხვევაში ჰ. ლომთათიძის მოთხრობებში ჩართული ლექსები ეკუთვნის ცნობილ კლასიკოსებს აკაკის, ილიას, პუშკინს, ჰაინეს, ლერმონტოვს, ნეკრასოვს... რომელთა შესახებ იგი თვითონაც მიუთითებს, საერთოდ კი ჰოლა უხვად მიმართავს ლექსს, რითაც უფრო ნათლად ავლენს თავის განწყობილებას და დამოკიდებულებას მოთხრობაში გამონატული საგნისადმი.

ჰოლა ხატავდა ცხოვრებას თავისი წვრილმანით, ყოველდღიურობით, ხშირად უხვი ანეგდოტებით, იაფფასიანი ხუმრობით. ხან კიდევ მწარე სევდის მომგვრელი, ღრმად დამაფიქრებელი ტრაგიკული განცდებითა და ეპიზოდებით, მოგონებებითა და ამბებით ავსებდა მოთხრობას. ამგვარ განწყობილებაშიაც, ამგვარ სტილშიაც ნათლად ვლინდებოდა ჰოლა ლომთათიძისათვის დამახასიათებელი საპირისპირო განწყობილებათა რთული კომპლექსი.

ჰოლა უპირველესად ყოვლისა იყო პროფესიონალი რევოლუციონერი, პოლიტიკური მოღვაწე, და ამ მხრივ უანგარო რომანტიკოსი. იგი გულწრფელად წერს „მე მწერალი როდი ვარ... სხვა დროს და სხვა გარემოებაში შეიძლება ერთი სიტყვაც არ დამეწერა—ვერ შოვიცლიდი“. და მართლაც, ჰოლამ 1904-1907 წლებში, როდესაც იგი რევოლუციური პროლეტარიატის მღელვარე ცხოვრებაში იყო ჩაბმული, წერას თავი დაანება, მაგრამ იმდენად ძლიერი იყო ჰ. ლომთათიძის შინაგანი ამღერება, იმდენად ძლიერი იყო ეს სამწერლო მოწოდება, რომ იგი კვლავ უდიდესი გატაცებით ჰკიდებს კალამს ხელს, როდესაც სატუსალოში ამოჰყოფს თავს. სატუსალოში მთელი ძალით გამოვლინდა ეს შინაგანი მოწოდება მწერლისა. და იგიც ამ მოწოდების ხმაზე წერდა შევიდნაბიჯიან გალიაში, წერდა დილიდან-დილამდე, ქალაქში გადაჰქონდა ყველაფერი, რაც ახსოვდა და აგონდებოდა, რაც განეცადა და ეგრძნო. წერდა ყველაფერს, რაც კი კალმის ქვეშ მოჰყვებოდა. ციხეში იგი ცხოვრობდა თავისი ფიქრებით, ტკივილებით, ოცნებით, იმედებითა და სიზმრე-

ბით და თავის ცხოვრების მძიმე, სულიერ ტკივილებს დროს იგი იგონებდა თავისუფლებისათვის მებრძოლ მეგობრებს, პეტროპავლოვსკში, შლისელბურგში, ციმბირში ოცდახუთ წლობით რომ იტანჯებოდნენ. და მწერალი ურიგდებოდა თითქოს ბედს, კვლავ ემზადებოდა საბრძოლველად, კვლავ წერდა და ფიქრობდა ხალხის მომავალზე, თავისუფლებაზე. ხან სევდიანად ჰალუცინაციამდე დასული მწარე ფიქრებით და ოცნებით, ხან ხუმრობით, ვიღაც ალმასხანიძეს—ალბომის პოეტის ამბის მოყოლით, სახუმარო დეტალებითა და ანეგდოტებით ავსებდა ამბავს. და ასე ცხოვრობდა ის მთელი თავისი შინაგანი მრწამსით და მწერლური მოწოდებით.

და მაინც, უმთავრესად ქოლა გატაცებული იყო რევოლუციის საქმით, სოციალიზმის საქმით. ის უბადლო რომანტიკოსი იყო ამ საქმისა, რომანტიკოსი როგორც პრაქტიკოსი მებრძოლი, რომანტიკოსი, როგორც მწერალი. ქოლა ამიტომაც ალტაცებით წერდა ამ გატაცების შესახებ „კრებიდან კრებაზე დავრობდი და აურაცხელ ხალხს ვითანხმებდი—გაგვეშალა ქუჩაში ჩვენი დროშა, ჩვენი ძალა, ჩვენი გავლენა. გვეჩვენებია მტრისათვის, რომ არ ვხუმრობდით... და თვითონვე მაკვირვებდა მე თუ სად ვპოულობდი ამდენ ძალას, იმდენ ახალ სიტყვებს, სხვადასხვა კრებებზე იმდენ გატაცებას. მე კი ერთიან ჩაბმული ვიყავი მუშაობაში, დიდიდან საღამომდის დავრობდი ქალაქის ერთი კუთხიდან მეორეში, ვყლაპავდი თუთუნის ბოლს, საათობით ვიჯექი ნოტიო სარდაფებში, უხსნიდი ხალხს მის ისტორიულ დანიშნულებას, ვქმნიდი წრეებს, ჯგუფებს, ორგანიზაციებს—სად იყო მაშინ მოსვენება და ძილი?“

ქოლა ლომთათიძე ამ გატაცების შესახებ შემდეგ სატუსაღოში გამომწყვდეული წერდა ისეთივე გატაცებით და გულწრფელობით, როგორადაც მანამდე ემსახურებოდა ამ საქმეს.

„და ვზივარ ეხლა მაღალ; მაგარ კოშკში, ცალკე ოთახში და თავს მშვენივრად ვიგრძნობდი, რომ ეს წყეული ბალღინჯოები არ იყოს ასე უხვად.

და თან კიდევ ეს გაზაფხული გვეწვია, მერცხალმა რამ-

დენჯერზე შემომძახა, შემოიქცურტულა ჩემს ოთახში, პატივი დამიწყო. მტკვარი დათვრა და გიჟური ღრიალით მიაქანებს მღვრიე ტალღებს შორეულ კასპიისკენ, ისიც მეძახის ფართო მინდვრებისაკენ“. ჭოლა, სატუსალო კედლებში გამომწყდელი, მოკლებული იყო ყოველივე ამას. იგი იძულებული იყო „ყველა ამისათვის ყურადღება არ მიმექცია, საჭირო იყო რამეთი გამერთო აღრჩეული სული.

„ამიტომ დავიწყე წერა მე, დავწერე რაღაც ზღაპარი რამ სიყვარულზე აშენებული.

იყო თუ არა ყოველივე ეს“.

ჭოლა წერდა თავისი შინაგანი მოწოდებით, წერდა მძიმე სატუსალოს პირობებში. ჭოლას უყვარდა გაზაფხული, უყვარდა სიცოცხლე, არა ერთხელ აქვს ეს სიყვარული მას გადმოცემული თავის ნაწერებში.

„ეს ყველაფერი, ეს დიდი ხნის ამბავია, ეხლა გაზაფხულია, მშვენიერი, ბრჭყვიალა გაზაფხულის მზე ისევე უღიმის დედამიწას, როგორც დედის კალთაში ჩაგორებული გამძღარი, ჯანსაღი ბავშვი დედამისს. ეხლა გაზაფხულია და ყველაფერი ისეა მორთული, როგორც გაზაფხულს შეშვენის.

და ჩენი მტკვარი, ჩვეულებრივ ისეთი დინჯი და ჭკუადამჯდარი, როგორც ჩაფიქრებული ტეტია, ეხლა თითქოს დამთვრალი იყოს, ხმაურობს, ყვირის, მიქრის აქაფებული და მიაჩქარებს ამღვრეულ ზვირთებს შორეულ კასპიისკენ. მე კი ვზივარ სატუსალოში და ვწერ ამ სტრუქონებს, ვაღვიძებ მოგონებას მხოლოდ იმიტომ, რომ მსურს რაიმე საშუალებით გავშორდე ამ გაზაფხულს, არ გავიგონო იმის ძახილი, იმის ჯადოსნური სიმღერა... მე ხომ არ შემეძლია ამ ძახილს გამოვეხმაურო, ამ პატიუზე გავიდე და დავტკბე, გულში ჩავეკრა მრავალხმოვან, მრავალფეროვან, მრავალსახოვან მშობელ გაზაფხულს მშობელ ქვეყნისას... მე ტუსალი ვარ და გასაღები ჩემი ოთახისა სხვას უღვევს ჯიბეში... უცებ ნათლად წარმოვიდგინე თუ რა დიდი დანაკლისია, როცა არ შეგიძლია იხილო სავსებით დიდებული გუმბათი დიდი ტაძრისა, რომელშიაც ჩვენ ეცხოვრობთ. და ვიტანჯებით, თუ რა დანაკლისია, როცა არ შეგიძლია იხილო ვარსკვლავე-

ბით მოჰყვდილი ზეცა. მე კი რამდენი ხანია მოკლებული ვარ ამ სანახაობას“.

ქოლა-მხატვარი, მეფის სატუსალოს ჯურღმულში გამოკვტილი, მაინც ახერხებდა ჩვენი მშვენიერი ქვეყნის ბუნება გაეცოცხლებინა და აემეტყველებინა. ქოლას შემოქმედებაში დიდი ადგილი უჭირავს „ლიტერატურულ გამოგონებას“. იგი, როგორც ქეშმარიტი ხელოვანი, ბევრ რამეს „იგონებდა“ და ამ გამოგონებაში მქლავნდებოდა ქეშმარიტი მხატვარი. ამიტომ ქოლას შემოქმედებაში ყველაფერი როდია ავტობიოგრაფიული, მასში ბევრია ქეშმარიტი მხატვრის მიერ გამოგონილი და ამეტყველებული. ქოლა თვითონ შენიშნავს „იმიტომ, რომ მე არ ვიცი, ვინა ხარ შენ, საიდან ხარ, სად ხარ შენ, რომელიც გამოგიგონე მე სატუსალოში, რომელსაც დაგარქვე სახელად ხვარამზე და დავაჯერე ჩემი თავი, რომ კახეთიდან იყო თითქოს, იმ ქვეყნიდან, სადაც საუკეთესო ღვინო მოდის და ლამაზი ქალები, მგონია, იბადებიან, ვინ ხარ შენ ხვარამზე. ნაყოფი ჩემი ტუსალობის ოცნებისა. რომელიც შეგიყვარე მე და რომელსაც შეგაყვარე თავი და გაიძულე შემდეგ მიგეტოვებინე, რათა დამეცვა შენი თავმოყვარეობა და ადამიანური შეგნება.“

ვინა ხარ ხვარამზე? იცი შენ განა, როგორ მენატრები? იცი შენ განა, რომ ამ ნატვრას ჩემსას ვფარავდი მე ამ ქვეყნად და არ ვამხელდი.

მაგრამ ახლა მომაქვს და ამ ფერმკრთალ სტრიქონებში ვამქლავნებ მას“. ასე იგონებდა, ასე თხზავდა ქოლა ბევრ საინტერესო ეპიზოდს, ამბავს თავის შესანიშნავ ლირიკულ მოთხრობებში. ქოლა იყო ქეშმარიტი მხატვარი, დიდი შინაგანი ხილვისა და ლირიკული ამღერების მხატვარი. თვითონ ქოლა კი თავის თავზე არ იყო დიდი წარმოდგენისა, იგი სრულიად უპრეტენზიოდ კითხულობს „ამბობენ რამდენიმე მოთხრობა დაწერაო, მაგრამ ჯერ კიდევ კითხვაა, ღირს თუ არა მისი დაწერილი რამეთ, განა საქართველოში ყველა არ ეპოტინება მწერლობას?“. ასე თავმდაბლად წერდა ქ. ლომთათიძე, ეს ქეშმარიტად შესანიშნავი მხატვარი...

ქოლა იყო ნამდვილად ტენდენციური მწერალი. იგი რე-

ვოლუციონერი შწერლის ტენდენციურობით გვიხატავდა თავის საყვარელ გმირებს, თავის ახლობელ მეგობართა სულიერ ზრახვას, ფიქრსა და ოცნებას, ჭოლას უალრესად უყვარდა ეს თავისი იდეური მეგობრები, ასევე სწამდა მათი ბრძოლა პროლეტარიატის საქმისათვის. ჭოლა წერდა მათ შესახებ აღტაცებით, აღფრთოვანებული, აღიღებდა მათ, ქება-დიდებას ასხამდა. უმღეროდა მათს გმირულ სულსა და ოევოლუციურ აღტკინებას. „მიდიან! მიდიან, ტანჯული ადამიანები, რომ ისევ იტანჯონ, რომ ისევ გადიტანონ ბედის ჩარხის მათრახები, მიდიან და ასე მგონია, მიაქვთ თან ჩემი სიცოცხლის ნაწილი, ჩემი სულის, ჩემი გულის ნაგლეჯები. აბა რად დავეყონდი აგრე, რად ამტკივდა ასე გული. რად ამტკივდა სული?..“ ჭოლა ამ ადამიანების შესახებ წერდა დიდის გულწრფელობით, მაგრამ შთაგონებული ტენდენციით. იგი გუწრფელად შენიშნავდა, „მართალი ხარ შენ დიდებულ გოეტე, ჩვენ არ შეგვიძლია მიუდგომელი ვიყოთ“ და ჭოლაც გარკვეული მრწამსით და მიზანდასახულობით აკეთებდა ყველაფერ იმას, რაც მან შექმნა ჩვენს მწერლობაში. ჭოლას პაექრობა ხშირად მეუმცირესოების პოზიციებიდან მეუმრავლესობის წინააღმდეგ, რაც ასე მიკერძოებულად არის გამოხატული მის ნაწერებში, კიდევ უფრო ნათლად ამჟღავნებს მის ტენდენციურობას. ჭოლა გრძნობდა და ძლიერადაც გრძნობდა მეუმრავლესობის პოზიციების ძალასა და ღირსებასაც, გადმოცემდა ამას გულწრფელად, მაგრამ მაინც მეუმცირესობის, მენშევიკების პოზიციას იცავდა. ეს ჩანს არა მარტო „პირველ მაისში“, არამედ „ჩემს დღიურშიაც“ და სხვა მის ნაწერებშიაც. ამ მიკერძოებულმა ხშირად მცდარმა ტენდენციამ ჭოლას პოლიტიკურ პოზიციას უთუოდ ავნო. და მაინც ჭოლა ლომთათიძეს მთელი არსებით სძულდა თვითმპყრობელობა, ბურჟუაზიული საზოგადოება, საზოგადოება, რომელიც ბადებდა ავაზაკსა და ქურდს. უკეთესი საზოგადოებრივი სისტემისათვის მებრძოლს, ხალხის ინტერესების დამცველს არ შეიძლებოდა სხვანაირი პოზიცია დაეჭირა ძველი საზოგადოებრივი ურთიერთობის მიმართ. „იციოთ თუ არა, რათ მძულს ასე ღრმად და რათ ვებრძვი

არსებულ წესრიგს, არსებულ საზოგადოებას! — კითხულობს
ქოლა და იქვე განმარტავს: „არსებული საზოგადოება, მისი
წესრიგი ჰბადებს და სწვრთნის ქურდს... ქურდი! ქურდი!
რა საშინელი, რა დამამცირებელი სახელია ეს სახელი! ქურ-
დი — ეს ადამიანის საზიზღარი ჩირქია, ეს სიკვდილის განა-
ჩენია იმ საზოგადოებისათვის, რომელიც ქურდს ბადებს.
და მე მძაგს ეს საზოგადოება. მე ვებრძვი მას და ბოლომ-
დე ვებრძოლები — დიახ, ვიბრძოლებ ქურდების შემქმნელ სა-
ზოგადოებასთან, იმიტომ, რომ მე ადამიანი მიყვარს“ („თეთ-
რი ღამე“). ქოლას სძულს ასეთი საზოგადოება და თან სჯე-
რა: ვისაც სიციცხლე უყვარს, ის აუცილებლად მახვილს
აღმართავს ადამიანის დამამცირებელი საზოგადოებრივი
სისტემის წინააღმდეგ. ქოლა კარგად ხედავს, რომ საზოგა-
დოება ორადაა გაყოფილი. ერთი მხრით, არიან მდიდრები,
რომლებმაც წაართვეს მშრომლებს მათ მიერ შექმნილი
დოვლათი. ისინი უსინდისოდ ყვლეფენ და ჩაგრავენ ხალხს.
მეორე მხრით არიან პატიოსანი მშრომელები. ამ უსა-
მართლობის გასწორება მშვიდობიანი გზით არ შეიძლე-
ბა, ეს ღრმად სწამს ქოლას: „შეეცქერი ყველა ამას და მა-
გონდებიან ზოგიერთი ბრიყვები, რომლებიც მშვიდობიანი
საშუალებით ჰფიქრობენ მოსპონ დიდი დავა სიმდიდრე-
სიღარიბეს შორის. მართლა ეგრე ფიქრობთ, ყმაწვილებო!
აი, ესენი დათმობენ რამეს ნებაყოფლობით? თუ მაგარი
მუჯლუგუნი არ უთავაზე იმათ, მიხვდებიან განა ისინი, რომ
ცხოვრების სუფრაზე სხვათაც უნდათ ალაგი? დიდება შენს
სახელს, ღმერთო, რომ ასეთ ჭკუა-თხელ ხალხს აჩენ ქვეყ-
ნად — მშვიდობიანი გზით უნდათ მოსპონ ომი შრომასა და
შრომის პარაზიტებს შორის. შუშანიკა! შუშანიკა! ეპატიოს
თუ არა ასეთი ფიქრი ამ ხეპრე ხალხს? არა, შუშანიკა,
არ უნდა ეპატიოს! ანათემა იმათ, ანათემა!“

ქოლა ლომთაფიძე თვითმპყრობელობის ტახტის ბოლომ-
დე დაუნდობელი მტერია. მას შურისძიების გრძნობა ამო-
ძრავებს:

„რას ვიზამ, „ისინი“ რომ ხელში ჩამივარდნენ? არაფერს,
მხოლოდ ძალაში მოვიყვანდი, ერთი იოტის ოდენათ არ შე-

ვამსუბუქებდი იმ კანონებსა და ცირკულიარებს, რომლებიც იმათ ტუსაღების საწამებლად და დასამცილებლად შეუმუშავებიათ. მეტს არაფერს არ ვიზამდი“ („თეთრი ღამე“).

ქოლა ლომთათიძეს ბრძოლის განწყობილება ყოველთვის არ ახასიათებს. მწერალს ხშირად სულიერი დაცემულობის განცდა იპყრობს. ხშირად მისი გმირები მწარედ მოთქვამენ და ტირიან დაკარგულ თავისუფლებას, დაკარგულ დიდებას. „ჩვენ თავისუფალი ვიყავით, ჩვენ ბედნიერი ვიყავით, ჩვენ ფვრინაჟდით და ჩვენ დაგვატუსაღეს. რამდენიმე მავთული გაქიძეს უშხო, ჯორის თავიან ჯოხზე. გაგვიბეს მახე. გაუსვეს და გამოუსვეს ზედ და ჩვენ ახლა ტუსაღები ვართ, და ეხლა ჩვენ ვტირით... თავისუფლება! ზეცავ! თავისუფლება!“. და, ასე ამგვარად, ქოლა ხან გულგატეხილი და სევდიანი მსჯელობს, ხან კიდევ იმედით აღფრთოვანებული შეხარის მომავალს.

* * *

ქოლა ლომთათიძის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ეროვნულ საკითხს. ეს თემა მუდამ იყო ქართული ლიტერატურის მთავარი საკითხი. ქოლა ამ შემთხვევაში ერთი პირველთაგანი იყო, რომელიც არ გაჰყვა გატეკნილ გზას და ერთგვარი სიახლის შეტანა სცადა ხსენებულ პრობლემის გადაწყვეტის საქმეში. ქოლა ლომთათიძე ხშირად ამეღავენებს პატრიოტულ განწყობილებას თავის ნაწერებში, აფიქრებს ქართველთა ერთ ნაწილში ეროვნული თვითშეგნების დაკარგვა. იგი პირველი გამოეხმაურა შიო არაგვისპირელს საინტერესო მოთხრობის — „ჩემი სამშობლო ჩემი გულია“ გამო. მოთხრობაში „უბედური“ ქოლა ჰყვება არაგვისპირელის მოთხრობის შინაარსს და, ქართველი ქალის საქციელით აღფრთოვებული, წერს: „წარსული მე-19 საუკუნის განმავლობაში ქართველ ქალს შეიძლება ეძლია სიყვარული, იმიტომ, რომ შეაჩერებდა იმას მოყალივება ქმრის, შეიღების წინაშე. საზოგადო აზრის წინაშე, მაგრამ მოვალეობა სამშობლოს წინაშე, მოვალეობა საზო-

გადოებრივი მიმართულების წინაშე, განა ეს მოვალეობა იცოდა ქართველმა ქალმა? ეხლაც, ქეთო, ეხლაც ეს მოვალეობა აქვს მას შეგნებულნი? კოლას აფიქრებს ეს გარემოება და ეძებს სათანადო პასუხს. მან სპეციალურად ამ თემას უძღვნა მოთხრობა „უბის წიგნიდან“, რომელიც იწყება იმის აღწერით, რომ ქართველების მთელი ისტორია არის ბრძოლა თავდაცვისათვის, რომ ჩვენ თავს ვიცავდით მაკედონელის ლაშქრობისაგან. ვებრძოდით ოსმალოს, სპარსეთს, ლეკებს, ჩინგის ხანს, შაჰ-აბას, ალა-მაჰმად-ხანს, თემურ ლენგს. ურიცხვია ისტორიული მტერი. მაგრამ, მწერლის აზრით, ქართველი ხალხი ასევე თავს იცავდა შინაური მტრებისაგან. „მე ვიყავ ყმა თავადაზნაურისა და სამღვდელოებაც ჩემს დაპატრონებას ცდილობდა. ყველას უნდოდა ჩემი გახრა, ჩემი შექმა. მე მართმევდნენ ყველაფერს. ერთხელ ხუცებმა და ბერებმა „ვეფხის ტყაოსნის“ წართმევა მომინდომეს მე“. ამგვარად, კოლა ლომთათიძის აზრით, ქართველი ხალხის ისტორია არის ისტორია თავდაცვითი ბრძოლისა გარეშე და შინაურ მტრების წინააღმდეგ. მომავალი ეკუთვნის ამ ხალხს იმიტომ, რომ ის ბრძოლაში არ დადლილა და, რაც მთავარია, იმიტომ, რომ „ყველა ერში და ყველა ქვეყნის კუთხეში იზრდება და მძლავრდება იმათი რიცხვი, რომლებიც თავს იცავენ, და ისინი მომეშველებიან მე, როგორც მე იმით. რათ არ უნდა გავიმარჯვო. მე თავს ვიცავ,“ ამას ამბობს ქართველი. კოლას აზრით, ქართველი ხალხის ეროვნული გამარჯვების საქმე უკავშირდება დაჩაგრული ხალხის გამარჯვების საქმეს. მწერალი საკითხს ამ სიბრტყეზე სვამს და რამდენადმე ეროვნული საკითხის ინტერნაციონალურ, სოციალურ გადაწყვეტას გვძლევს. ქართველი ხალხის მეგობარია ყველა სხვი ხალხის დაჩაგრული ნაწილი. დაჩაგრულთა ერთიანობამ, ხალხებს შორის ძმურმა კავშირმა უნდა გამოკედლოს მომავალი თავისუფლების ბედი, ამ მხრივ კოლა ქართულ ლიტერატურაში გარკვეული სიახლის შემომტანია.

კოლა ლომთათიძე იყო პატრიოტი მწერალი, პატრიოტი რევოლუციონერი, რომელიც დაუნდობლად ებრძოდა ყველა

იმას, „ვისაც ქართული პატრიოტიზმი ღვინის კიქაში“ სწამდა და იმასაც, ვისაც კოსმოპოლიტობა მიაჩნდა თავის მოწოდებად. ქოლა გულწრფელად წერდა: „სამშობლო ქვეყანა... განა შეიძლება კი ჩემსავით უყვარდე ვინმეს, შენ და მხოლოდ შენ გეკუთვნის ჩემი სიცოცხლე! შენ და მარტო შენ შეადგენ ჩემს ღიზანს. შენ და მხოლოდ შენ მაკავშირებ ცხოვრებასთან...და შენ კი, შენ გიყვარვარ, ჩემო სამშობლო? არ შეიძლება, უნდა შეგაყვარო თავი, თავს მოვიკლავ და სხვა თუ არ გამოვიდა რა, სიკვდილით მაინც დავიმსახურებ შენს სიყვარულს“. როგორ გვაგონებს ეს სტრიქონები ი. ქაეკავაძის. ამ უდიდესი ქართველი პატრიოტის, ცნობილ სტრიქონებს. ქოლა ლომთათიძე—დიდი პატრიოტი თავს ესხმოდა ყოველივე იმას, რაც აფერხებდა მისი ქვეყნის წინსვლას თავისუფლებისაკენ, იგი თავს ესხმოდა ყოველგვარ ანტიპატრიოტულ მოვლენას:

„და მეც თუმცა დოქტრინა წამდაუწუმ ჩამძახოდა ყურში, რომ კაცი ყოველგან კაცია და მთელი ქვეყანა იგივე სამშობლოა, მეც შენზე დაშორებულს, უფრო მეტად მიყვარდა, უფრო მენატრებოდა, მაგრამ მაინც უბედური და ცხოვრებისაგან გარიყული მეგონა ჩემი არსებობა უცხოეთში. არის ხომ ისეთი მკენარე, რომელიც ხმება, თუ უცხო ქვეყანაში გადარგეს. ამის გამოც ადვილი წარმოსადგენია, თუ რარიგად აძგერდა გული, როდესაც შორიდან ჩვენს ნაპირებს მოვკარი თვალი“. ქოლა ლომთათიძე ამავე გარემოებას ხაზს უსვამს უფრო გვიანდელ ნაწარმოებში. სატუსალოში მყოფ ქოლას კვლავ თავისი ქვეყანა ედგა თვალწინ „გაზაფხული, ჩენი ქვეყნისთანა გაზაფხული იქნება სადმე ქვეყანაზე! ჰე, იცის თუ არა ჩვენმა ქვეყანამ, თუ რა ძლიერ მიყვარს, იცის თუ არა, გაიგებს თუ არა როდესმე, ეტყვის თუ არა ამის შესახებ ჩემი უდროო საფლავი, ჩემი სახრჩობელა?...“ ასეთი გულდამწვარი პატრიოტი იყო თავის ქვეყნისა ქოლა ლომთათიძე—ეს რევოლუციის ერთგული ჯარისკაცი რამდენად მცდარია ის აზრი, რომ თითქოს მარქსიზმის მედროშეებს ქართულ მწერლობაში პატრიოტული მწერლობის გზა უარეყოთ, მისი მოპირდაპირე პოზიცია

დაეჭიროთ, რომ ეს მცდარია ამას ადასტურებს ე. ნინოშვილის, ჯ. ლომთათიძის, ი. ვედოშვილის შემოქმედება. მწერლების ამ თაობამ განავეითარა და წინ წასწია ქართული მწერლობის პატრიოტული თემატიკა. ახალი შტრიხი შეიტანა ამ მოტივშიაც. პროლეტარული ინტერნაციონალიზმის შუქით ახლებურად გაანათა ქართული მწერლობის ეს ძირითადი თემა. კოლას სწამს, რომ მომავალი ხალხს ეკუთვნის. სამშობლოს სიყვარულითა და მისი მომავალით შთაგონებული კოლა წერს:

„მაღლობზე ვდგევარ მე, მზე მკოცნის და გულს მითბობს. დავცქერი ჩემს დანგრეულ და მშვენიერ ქვეყანას და გული ჩემი ბედნიერია... მე ვიცი, რომ ის ჩემი იქნება და შენი კიდევ, ჩემო ძმაო... ვიცი მე, რომ დავცქერი ჩემს სამშობლოს. მაგრამ შორს არის ის ჩემგან და შენგან კიდევ, ჩემო ძმაო. დავცქერი ჩემს სამშობლოს, გული ჩემი მძლავრად სცემს და იქითკენ მიწევს, სამშობლოსაკენ — წავიდეთ წინ და ვიკვლიოთ გზა, წავიდეთ და ვკაფოთ!... გული ჩემი ჩქარობს, გული ჩემი ხარობს, ჩემს გულს არ ეშინია და ბედნიერ შეყვარებულს, იმედით სავსეს, მას აღარ სურს დასვენება, ის მიდის...

მზე მხურვალედ გეკოცნის ჩვენ, ნიავეც გეკოცნის, ყვავილები გვიცინიან, წყარო გზას გვილოცავს, სამშობლოსაკენ მივდივართ მე და ჩემი გული, ბედნიერი ვართ ჩვენ!“

* * *

კოლა ლომთათიძე სტილის თვალსაზრისით არ არის მთლიანი მწერალი. იგი, ერთი, მხრით, მიჰყვებოდა რეალიზმის გზას, მეორე მხრით, მისი შემოქმედებისათვის დამახასიათებელი იყო რომანტიკულ-სიმბოლისტური მიმართულების სტილისტური ნიშნები. მთლიანობა ვერც აქ შეინარჩუნა კოლამ, მწერალი ხშირად ქება-დიდებით იხსენიებს სიმბოლისტების უარყოფითს აზრს სიტყვის მნიშვნელობის შესახებ. იგი წერს:

„— სუ! სუ! — მინდოდა მეთქვა მე, მაგრამ ვერ ვთქვი, მხოლოდ კოცნა დაუწყე, იმიტომ, რომ სიჩუმე იყო საჭირო, იმიტომ რომ სიტყვებით ვერაფერს გამოსთქვამ, იმიტომ რომ უადრესი სისულელეა, როცა ამბობენ, თითქოს სიტყვებით შეიძლებოდეს თავისი გულის ნაღების გამოხატვა“. მწერალი ფიქრობს: რომ შეიძლებოდეს სიტყვით გადმოსცე ის სიმათლე, რომ ადამიანის ჩამოღრჩობა უაზრობაა. მაშინ ბევრი ადამიანი დაძმობილდებოდა ამ ქვეყნად. მოგუსმინოთ მას:

„ახ, მეგობრებო, რომ შეიძლებოდეს თავისი ფიქრების სწორათ გადაცემა, რამდენი ადამიანი დაძმობილდებოდა ამ ქვეყნად!“ მაგრამ ეს ხომ თავისთავად სრული უარყოფაა კლასობრივი, სოციალური წინააღმდეგობისა, რომელზედაც აგებულია პრინციპიალურად სახრჩობელათა არსებობა, როგორ შეუძლია კლასობრივ წინააღმდეგობათა მოსპობა დუმის, რაგვარი ფილოსოფიური ახსნა არ უნდა მიეცეთ ამ ცნებას. ჭოლა ამ შემცდარ გაგებამდე მიიყვანა სიმბოლისტების თეორიამ, სიტყვის, როგორც გაგებინების საშუალების, უარყოფამ. დამახასიათებელი ის არის, რომ ჭოლას ამგვარი გაგება ჰქონდა აღრინდელ ნაწერებშიაც. 1903 წელს დაწერილ მოთხრობაში „კვლავ ფიქრი, ფიქრი“ იგი ასეთსავე უნდობლობას უცხადებს სიტყვას: „სიტყვებო, საცოდაო ჩემო სიტყვებო, არა, თქვენ არა ხართ ჩემთა ფიქრთა გამომხატველი, თქვენ პერობილნი ხართ მძლავრ ბორკილით ჩემსა ტუჩებში“. უფრო უკიდურესად აქვს განვითარებული ეს აზრი მოგვიანო პერიოდის ნაწარმოებებში. კერძოდ, ამ მხრივ უნდა აღინიშნოს მოთხრობა „დუმილი“, სადაც მწერლის აზრით ადამიანის ნამდვილი ნაფიქრისა და ნაგრძნობის გადმოცემა მხოლოდ დუმილით შეიძლება.

ჭოლას შემოქმედებაში ბუნება ნაწარმოების განწყობილებათა გამომხატველია. სევდიანია იგი, როგორც თვით ამბავი, რომელსაც მწერალი მოგვითხრობს. სევდიანია და რომანტიკული, როგორც თვით ავტორი. ჭოლას მიერ გაგება ბუნებისა რომანტიკულია მთელი თავისი არსით. ეს ავტორის პირველსავე მოთხრობაში გამოჩნდა. მოთხრობა „დავითის“

დასაწყისში აღწერილი ბუნება სავსებით შეეფერება დავითის ბედს. იგი ასეთი სურათით იწყება:

„შობის წინა ღამეა. თოვლით დაფენილ არე-მარეში სასტიკი ყინვა მძვინვარებს. სიცივისაგან შეკუმშული ჰაერის მოძრაობა შეჩერებულია. მკვდრულ და საიდუმლოებით სავსე, სევდის მომგვრელ სიჩუმეს არაფერი არ არღვევს. მოწმენდილ ცის სიღრმეში გადმოკიდული ვარსკვლავ-მთვარე ცივად, უთანაგრძობოდ გადმოსცქერის უიმედო ფიქრებში გახვეულ დედამიწას, თითქოს ეუბნებოდეს: „დახე, რა მეგობრობას გიწევ: როდესაც შენ მოწყენილი ხარ, არც მე ვარ კარგ გუნებაზეო!“ აბა ეხლაც სად არის ის მაისის მომაჯადოებელი ღამეების ნაზი და გულუხვი მთვარე, რომლის სხივებქვეშ, ვინ იცის, რას არ წამოიძახებს მეოცნებე პოეტი! ახლა ის თითქოს მიმქრალა, თითქოს დაკარგვია ბრწყინვალე სხივები და ფერმკრთალი, დიდი ხნის ნაციებ ავადმყოფივით თითქოს უნებურად აწვდის თავის გაყინულ სხივებს დედამიწას. ყოველმხრივ უიმედობა, სიტიტვლე, მოსაწყენი სურათები. ყოველმხრივ ერთი და იგივე სურათი და, ამასთანავე, მთვარე და ვარსკვლავები!.. ანდა, ვინ იცის, შეიძლება ის მთვარე და ის უთვალავი ვარსკვლავები სრულიადაც არ ფიქრობენ ჩვენი პაწაწინტელა პლანეტის ხათრისათვის თავის მშვენებას რამე ჩამოაკლონ, მაგრამ ასეთია ადამიანის ბუნება: როდესაც მას არაფერი აქვს სამხიარულო, როდესაც მას თავ-პირი ჩამოსტირის,—მაშინ ყველაფერი თავის სულიერი მდგომარეობის დაგვარად უჩანს, ეხატება... განა კი შესცდება ხალხის სიბრძნე? აკი იმანა სთქვა: „ხუცესს მაძლარს დიაკონიც მაძლარი ეგონაო“. იქნება ის ზეცის მნათობნი ახლაც ისეთივენი იყვნენ, როგორც მაისის ღამეში“. ასეთივე უფერული და ბნელია დავითის ცხოვრებაც.

ქოლა მწარედ განიცდის ადამიანის მძიმე ხვედრს მეფის თვითმპყრობელობის პირობებში და ამიტომ „ბუნების ზეიმი“ არ იტაცებს. პირიქით, ეს განწყობილება მწერალს „ბედით კმაყოფილთა“ განწყობილებად მიაჩნია. ივანე გულგრილადიხ გაგება ბუნებისა არ მოსწონს ქოლას. „გადაწმენდილი, ხში-

რი ვარსკვლავებით მოქედილი ცა ხალისიანად გადმოგვცქე-
როდა თავზე და რალაც ერთნაირ გრძნობას გვიღვიძებდა
გულში—გამოურკვეველ გრძნობას ბედის კმაყოფილებისას,
თუ რალაც ამგვარს. მე, როგორც თქვენ კარგად მოგეხსენე-
ბათ, მშვენიერო მანდილოსანო, და აგრეთვე თქვენც, პატივ-
ცემულო საზოგადოებაე, მაინცა და მაინც დიდი გრძნობე-
ბით არ დაეუსაჩუქრებივარ მალლიდან ღმერთს, ასე რომ
მოდმეთა ჩემთა ტირილი ძვირად თუ მოალწევს ჩემს ყურე-
ბამდე და თუ მოალწია, დიდხანს არ გავაჩერებ, ამიტომ,
უნდა ვიფიქროთ, რომ მშვენიერი ბუნება ჩემში უფრო ბედის
კმაყოფილების გრძნობას გამოიწვევდა, ვიდრე წინააღმდეგს“.

ქოლას შემოქმედებაში ბუნება ხშირად გრძნობებისა და
აზროვნების უნარით არის აღკუთრული. „წვიმა ნაღვლიანად
შემომსისინებს, არე-მარე შავ ბურუსს მოუცავს. ქარი სევდის
მომგვრელი ზუზუნით დაჰქრის ტიალ მინდორში, ხან გიჟუ-
რი ხარხარით დაეტაკება მინდვრის ბოლოში გადმოყუდებულ
ცხვირ-პირ დამტვრეულ კლდეს, ხან დაქრილ ადამიანის
კვნესით გაეკვრება მინდორსა და ტირის, და მე კი მგონია,
რომ სადღაც შორს, ჩემი გულის ერთ-ერთ კუნჭულში ვიღაც
უცნობი, მაგრამ ჩემი ძალიან ახლობელი, უხილავი, მაგრამ
მუდამ განუშორებელი ადამიანი მიმჯდარა და მწარედ, მწა-
რედ ქვითინებს-მეთქი“.

ქოლა ლომთათიძეს განსაკუთრებით უყვარს შემოდგო-
მის ბუნება. შემოდგომის ბუნებაში ის საკუთარი მდგომარე-
ობის ანალოგიას ხედავს. ფოთლების ცვენა გაძარცულ შე-
მოდგომის ბუნებაში აუხდენელ ოცნებას აგონებდა მას, „მა-
ინც რა სევდიანი წვიმა იცის შემოდგომამ. ჯერ შემოიხვევს
ნაცრისფერ ბურუსს, შემდეგ ატირდება, სისინებს, ქვითი-
ნებს, თითქოს სულიერი არსება იყოს. მე მიყვარს შემოდ-
გომის წვიმა, მისი ნაღვლიანი, მოწყენილი ხმა, მისი გულ-
ამოსკვნილი ქვითინი, ჩივილი. მე მიყვარს ამ დროს ტიალ
მინდორში ყოფნა, განმარტოვებული ხეტიალი, მიყვარს
ცქერა, თუ როგორ ათამაშებს ქარი მოწყვეტილ, გაყვით-
ლებულ ფურცელს... რა გზა-კვალ დაბნეული დაძრწის... მი-
ყვარს გატიტვლებული, გაძარცული უღრანი ტყის ცქერა-

მისი ხმა, როცა ის ქარს ებრძვის, მისი ოხვრა და ყრუ გამოძახილი“. ყველაფერი ეს უყვარს მწერალს იმიტომ, რომ ის სიცარიელეში ბუნებისა, ამ მარტოობაში საკუთარი მდგომარეობის ანალოგიას პოულობს. „გაიღვიძებს გულში უთვალავი ქრილობა, მაგონდება შეურაცხყოფა და დაცინვა, დატყუება და ლალატი და მიუხედავად ამ შავი და მწარე ფიქრების, მაინც გასურს დიდხანს, დიდხანს იყო ამ მდგომარეობაში, დიდხანს გრძნობდე ტკივილებს, მარტოობას და სულის ობლობას“.

ხშირად ქოლა ოცნებობს შეუერთდეს ბუნებას, გაითქვიფოს მასში. „შეეუერთდე მინდა ბუნებას, გავქარწყლდე, გავქრე შიგ, ნიავევით გავიფანტო“.

ქოლა ლომთათიძის შემოქმედებაში ასევე თავისებური, რომანტიკული ადგილი აქვს მიჩენილი სიყვარულის გრძნობას. ქოლა აღტაცებით წერს: „ეჰ, მეგობრებო, ძვირფასო მეგობრებო, სიცოცხლე მარტო იმიტომ უნდა გიყვარდეს, რომ სიყვარული არსებობს“, სიყვარულში ხედავთ დიდ, ამამაღლებელ ძალას, რომელიც ადამიანს ალაფრთოვანებს უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ქოლას სიყვარულის გაგებაში თავისებური რევოლუციური თვალსაზრისი შეაქვს. მწერლის აზრით, ქალს სილამაზით მოსავეს არა მარტო ფიზიკური სიტურფე, არამედ სულის სისპეტაკე, სულიერი სიმალე. ასეთი სიმალლე ახასიათებს მის რევოლუციონერ ქალებს. ქოლა ბევრგან იძლევა რევოლუციისათვის თავდადებულ-მებრძოლ ქალთა სახეებს. „სიცოცხლე სიყვარულის გარეშე სიცოცხლე არ არისო“, ამბობს ქოლა. განსაკუთრებით უყვართ ერთმანეთი რევოლუციონერ მიჯნურებს. მათ სიყვარულს ამაღლებს რევოლუციის საქმე. ქოლას ქალები— შუშანა, მანუშაკა, ხვარამზე მომადლებული არიან სიყვარულის დიდებით და ამ დიდებას მათ რევოლუციის კემზარიტი სამსახური ანიჭებთ. ქოლა ხაზგასმით აღნიშნავს ქალის მნიშვნელობასა და ძალას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. „მე დიდ ძალას ვაძლეე დედაკაცს საზოგადოებრივ ბრძოლაში, მას დიდი ძალა აქვს, მგონია, რადგან კაცობრიობის ნახევარს შეადგენს ის“. ამისდა მიუხედავად

20. ს. კილაია 305

ქოლა ლომთათიძეს სიყვარულის საკითხის გადაწყვეტა-შიაც ორჟოფი პოზიცია უჭირავს. იგი სიყვარულს ხატავს, როგორც უდიდეს ძალას — ადამიანის ამამაღლებელსა და გამა-კეთილშობილებელს. რევოლუციონერმა ვანომ იცის, თუ რა ძლიერი გრძნობაა სიყვარული „და როცა მე ძლიერ, ძლიერ ვიღლებოდი, ვიღლებოდი ისე, რომ სატუსალოში მყოფ ამხა-ნაგებს შეენატროდი — ნეტავ მათ, ისინი დასვენებული მაინც არიან-მეთქი, ამ დროს საკმაო იყო ხვარამზე მომგონე-ბოდა, მისი შავი თვალები შავგვრემან სახეზე, მისი ღიმილი, სიარული, სიმღერა და გიჟმაგი, სიცოცხლით სავსე კის-კასი, საკმაო იყო მომგონებოდა ის და სად იყო დაღლილობა — მავიწყდებოდა მახორკის სუნი, დაუმსახურებელი საყვედუ-რი, აუცილებელი ინტრიგები და კვლავ მიპყრობდა სურვი-ლი და წყურვილი სიცოცხლისა, ბრძოლის, თავდადების, გა-მარჯვების, სიკვდილის...“

ქოლას რევოლუციურ ქალებს, შეყვარებულ გოგონებსა და ქალიშვილებს დიდ კდემამოსილებას აძლევს მათი გა-ტაცება სოციალიზმის საქმით. ქოლას გმირი ქალები უმთავ-რესად რევოლუციონერი ქალები არიან. ამგვარ რევო-ლუციონერ ქალთა თავგადასავალს, მათ სასიყვარულო ამბავს გვიხატავს ქოლა დიდი სიყვარულით, ამიტომ ის თავისებურად ქმნის რომანტიკულად განწყობილ რევოლუცი-ონერ ქალთა სახეებს. თვითონ ქოლა ბევრჯან ქადაგებს სიყ-ვარულის თავისუფლებას. ეგოისტურ ზრახვებისაგან განთავი-სუფლებულ სიყვარულს, ქება-დიდებას ასხამს. თვით მისი იდეური ქალებიც ამგვარ პოზიციას იზიარებენ. ეს პოზიცია მან ყველაზე სრულად გამოხატა „უსათაუროში“ ხვარანზეს ხასიათში. აი როგორ გადმოგვცემს მწერალი ხვარამზეს და-დამოკიდებულებას სიყვარულთან, ცოლქმრობასთან:

„ძვირფასო ვანო! ყველა ეს დიდი ხანია მინდოდა მეთ-ქვა შენთვის, მეთქვა პირადად, მაგრამ ვერ შევიძელი. მაპა-ტიე, ჩემო ვანო! ბევრი ვებრძოლე თავს, მაგრამ ვერას გავ-ხდი. მხოლოდ ერთი რამ მსურს იცოდე შენ, ძვირფასო ჩემო, რომ ამ წერილს არა თუ შენთვის მხოლოდ მოაქვს წუხარება — მეც შენი ამხანაგი ვარ, ჩემო ვანო... მე ხომ

ისევ ისე მიყვარხარ და კვლავაც მეყვარები... მაგრამ ეს სიყვარული ჩემი შენდამი, ეს სიყვარული თხოულობს გამართლებასა და გამართლება მისი მე ვერ შევიძელი... მე ის მიწიერი მგონია და ეს ჩემი ეჭვი ვერ შევარყიე. და რადგანაც ეს ეჭვი ვერ შევარყიე, ეს სიყვარულიც უნდა უარიყვეს—ესე იგი, მე და შენ ერთმანეთს უნდა დავშორდეთ! ეს მე პირველად ვიგრძენი იმ დღეს, მოედანზე, როცა შენ ძალათი გამომართიე ხალხის ჯგუფიდან, მაშინვე ვიგრძენი მე ეს და საშინელი შიში განვიცადე. მაგრამ ხომ იცი—შიში ვერ იხსნის სიკვდილსა, რაც უნდა მომხდარიყო, დე მოხდეს... ჩვენ ერთმანეთს უნდა დავშორდეთ. ახ, რად, რად მოხდა ყველაფერი ეს.

შენ მომკიდე მკლავში ხელი, წამიყვანე... შეგეშინდა— შეიძლება მოჰკლანო ხვარამზე. იმიტომ, რომ მე შენი ცოლი, შენი ხვარამზე ვიყავი? რად შეგეშინდა, ვანო, შენ თვითონ ხომ საჯაროდ იღეჭი, შენ სიტყვას ამბობდი, შენ ხომ უთითებდი მტრებზე—მე კი მხოლოდ ვიდეჭი შენს გვერდით, ბედნიერი და ამაყი შენით!... შემდეგ, შენ სროლა დაიწყე— ხომ ადვილი იყო, შენ მოეკალი იმათ? მე საშინლად შემეშინდა ამის გამო, მაგრამ ფიქრადაც არ მომსვლია მოვსულიყავ, გარე გამეყვანე... მე ვსდუმდი. შემდეგ მე დამინახე საფრთხის წინაშე და არ გამიშვი... რა თქმა უნდა, იმას არ ვამბობ, ჩემი სიკვდილი საჭირო იყო-მეთქი, შეიძლება ის, რასაც მე ჩავდიოდი, არც იყო საჭირო... მაგრამ, ვანო... ჩემო ვანო, მარტო მე ხომ არ ჩავდიოდი იმას, რაც შენ არ დამანებე? რატომ მხოლოდ მე შემეშალე ხელი და არა ვინმე მუშათაგანს, რომელიც ისე, როგორც მე, იღვა სიკვდილის წინაშე? თვითონ შენ, შენ რად ისროლე, ვანო, როცა ეს ისე იყო აკრძალული? და იქ, სადაც შენ მიდიოდი სიკვდილზე. სადაც სხვები დაიხოცნენ კიდევ, იქ რად არ შემეძლო მომკვდარეყავი მე? რით განირჩევი შენ იმ აფიცრისაგან, რომელმაც ვერ გადაწყვიტა ესროლა ჩემთვის? არ მომკლა მე იმან იმიტომ, რომ მოვეწონე როგორც ქალი, ჩემი სილამაზე დაზოგა მან და არა ის იღვა, რომელსაც მე იმის წინააღმდეგ ვიცავდი... შენც მხოლოდ შენი ლამაზი ცოლი, შენი საყვარელი ქალი

გინდოდა. გადაგერჩინა... და რა გამომეტყველება გქონდა მაშინ შენ, ვერასოდეს მე იმ გამომეტყველებას ვერ დავივიწყებ, და ამის მოგონება, ჩვენ რომ კვლავ ერთად ვიცხოვროთ, ჩვენს მომავალ არსებობას მოწამლავს... შენ ხომ აგრეთვე ხოლმე გმირთა ცხოვრების აღწერა — რად არ ანებებდი შენს ცოლს „გმირობა“ ჩაედინა? რა უფლების ძალით არ ანებებ, ნება მიბოძე გკითხო? განა საბუთია შენი სიყვარული? მე რომ შენი ცოლი ვარ? შენ რომ უჩემოდ ყოფნა არ შეგიძლია? ეს ხომ, ვანო, ეს ხომ ღალატია საქმის, რომელსაც ჩვენ ორივენი ვემსახურებით? და განა სიყვარულს ღალატისაკენ უნდა მივყავდეთ? განა ის ტალახისაკენ უნდა გვწევდეს? ანდა შეიძლება მე არ ვარ შენი ტოლი და თანასწორი? თუ ეს ასეა, სიყვარული ჩვენ შორის საიდან შეიძლება?

დიდი ხახია ვიკრებ ძალას, რომ იმ გზას დავდგომოდი, რომელსაც დავადექი. მე სუსტი, გაუბედავი, ყოველსავე ტრადიციას მოკლებული ქართველი ქალი ვარ. მაგრამ ქართველმა ქალმაც უნდა სძლიოს დაბოლოს „ქართველი ქალი“, შედგეს მაგრად ფეხებზე, გაშალოს ფრთები და გაფრინდეს... უნდა გაფრინდეს... და თუ სიყვარული უშლის ამას ხელს, ძირს სიყვარული! თუ რამე უშლის ხელს, ძირს ყველა ეს!“

ასეთი განწყობილებითა და იდეური ასპექტით გვიხატავს კოლა ლომთათიძე რევოლუციონერი შეყვარებული ქალის ხვარამზეს ფიქრსა და გრძნობას. თითქოს ავტორიც ეთანხმება სიყვარულის ამგვარ გაგებას, ეგოისტური, ვიწრო პიროვნული ზრახვებისაგან განთავისუფლებული სიყვარულის ამგვარ გაგებას. ხვარამზეს წერილის შემდეგ კოლა წერს:

„გაუმარჯოს ხვარამზესა და ძირს ვანო ღულუნაშვილი, ცნობილი აგიტატორი! თქვენ გესმით თუ არა, ამხანაგებო იმიტომ კი არ ტოვებს იმას საკუთარი ცოლი, რომ სხვა ვინმე მასზე უკეთესი ნახა, სხვა ვინმე შეუყვარდა, არამედ იმიტომ, რომ მას ვანო ღულუნაშვილს ზნეობრივად დაბლად სთვლის ცოლი, უღირსადა და შეუფერებლად.

ურა, ხვარამზე! გაუმარჯოს მძლავრებს, გზა, გზა იმით! შენ კარგად თხრი, თხუნელავ.“

მაგრამ კოლას წარმოდგენით სიყვარული უფრო რთული

რამეა, ვინემ ეს ერთი შეხედვით გვეჩვენება. ოჯახი და კოლქმრობაც მისგან წარმომდგარი, ასევე რთულია. და აქ „თავისუფლების გამოცხადება“, ჩვეულებრივ თავისუფლების გაგებასთან გაიგივება ასე ადვილი როდია. ამიტომაც ამავე ნაწარმოებებში ვანო ლულუნაშვილი (იგივე ქოლა), ხვარამზეს სიყვარულის პრინციპს ალტაცებით ხედება, მაგრამ მთლიანად მაინც არ იზიარებს.

„მაგრამ, მიუხედავად ამისა, ნება მიბოძეთ ვალიარო საქვეყნოდ, რომ მე ვერც ეხლა, ამ წუთში, მივცემდი ნებას ხვარამზეს თავი შესწიროს იქ, სადაც მე შევწირავდი თავს.

ასეთია ჩემი სიყვარული მისდამი.

ღიახ! ამას ვაცხადებ საქვეყნოდ.

ასეთია ჩემი სიყვარული მისდამი.“

ქოლა ლომთათიძე კარგად გრძნობდა რევოლუციის სამსახურისათვის თავგანწირულ მებრძოლ ქალთა იდეურ სიმალესა და უპირატესობას. ამგვარ იდეურ ქალებს იგი ალტაცებით იხსენიებდა, დიდი სიყვარულით ხატავდა, მაგრამ ქოლა ოჯახის, სიყვარულის საკითხს უფრო რთულ საკითხად მიიჩნევდა, ვინემ ჩვეულებრივი ურა სოციალისტები. იგი რომანტიკოსის დიდი ალტაცებით წერდა „ეხ მეგობრებო, რა საკვირველი რამ არის სიყვარული, ღმერთი რჯული! არაფერი ამის მსგავსი ედისონს არ გამოუგონია და მერწმუნეთ ვერც გამოიგონებს“. სიყვარულის ამ ძლიერი გრძნობის მიმართ ქოლას არა ერთი აღფრთოვანებული და ამაღლებული სტრიქონი შეუქმნია. ის აქ უფრო ქართული მწერლობის ტრადიციის, რუსთაველის დიდი ტრადიციის მიმდევარი იყო. ერთგვარი ახალი კოლორიტი ამ ტრადიციაში რევოლუციონერ ქალთა სახეების გამოხატვით შექჷონდა. მაგრამ ეს კი არ არღვევდა ტრადიციას, არამედ ავითარებდა მას. სიყვარულს თან რომ სდევს ღალატი და ორპირობა, ეს არაგვისპირელის მსგავსად ქოლამაც იცის, მაგრამ მას სწამდა სიყვარულის ძალა. ჭ. ლომთათიძემ მომხიბლავი ხმით უმღერა ძლიერ სიყვარულს: „ძლიერია სიყვარული, ვითარცა სიკვდილი, დიდნი წყალნი ვერ დააქრობენ იმის ცეცხლს და დიდნი მდინარეები ვერ დაიკავებენ მას—ძლიერია სიყვარული, ვითარცა სიკვდილი.“

ქოლას მძიმე პირობებში უხდებოდა წერა. მის თხზულებათა საუკეთესო ნაწილი შექმნილია მეფის თვითმპყრობელობის სატუსალოს ბნელ ჯურღმულეებში. საკმარისია მოვიგონოთ, თვით ქოლას ნაწერების მიხედვით, მეფის საპყრობილის პირობები, რომ ნათელი გახდეს, თუ რა გმირული სული იყო საჭირო იმისათვის, რომ ამ ვითარებაში კაცს თვალსაჩინო და ღირსეული რამ შეექნა. ქემშარიტად რაინდული ნებისყოფა და სულის სიდიადე სჭირდებოდა მეფის საპყრობილეში მომწყვდეულ რევოლუციონერს, მით უფრო მწერალს.

ქოლას შემოქმედებას დიდი ზიანი მოუტანა ციხის პირობებთან დაკავშირებულმა ცხოვრებამ. ჯერ ერთი, ციხის პირობებში წერა მეტად ძნელი იყო, მეორეც, არაიშვიათად ქოლას ნაწერები, სატუსალოდან წვალებით გამოგზავნილი, გზაში იკარგებოდა. დიდი ნაწილი თხზულებებისა ჩხრეკასა და დევნაში იღუპებოდა. „მთელი ორი წელი ვიშრომე, — წერს ქოლა ჰაინრიხ ჰაინეს ლექსთა წინასიტყვაობაში: — ვთარგმნე ყველა ლირიკული ლექსები ჰაინესი, ყველა იმის პოემები. ყველა ამას ვასწორებდი, ვადარებდი დედანს და იმ ერთ მშვენიერ დღეს ჩემი ორი წლის ნაშრომი სხვა ხელნაწერებთან ერთად შეკრიბეს და ცეცხლის ალში გაწმინდეს, ფერფლად აქციეს“. მეორე ადგილას იგი წერს: „დღეს დავხიე, ლუკმა-ლუკმად ვაქციე ყველა მოთხრობები, შავად დაწერილი. ასე არ ღირდა დაბეჭდვა და გადათეთრებას ვინ მოესწრება? მთელი გროვა შედგა, ჩემი სიცოცხლე ისე მოეწყო, რომ ვერასოდეს ვერ გადავიკითხე ის, არა თუ ხელნაწერები, თვით ჩემი სიცოცხლეც.“

ქოლა ლომთათიძემ ამ მძიმე პირობებშიაც მოახერხა, საკმაოდ დიდი და მნიშვნელოვანი ლიტერატურული მემკვიდრეობა დაეტოვებინა ქართული მწერლობისათვის.

ქოლას ლირიკული პროზა საინტერესო, ორიგინალური და თავისებური მოვლენა იყო ქართულ მწერლობაში. აქ მეტია კამათი, დავა, განცდათა ლირიკული გადმოცემა, ვიდრე ამბავთა და შემთხვევათა მიუდგომელი თხრობა.

მხატვრული ფორმის მხრიავაც ქოლას პროზა მეტად საინტერესოა. მოთხრობათა უმრავლესობა, დღიურების ფორმით დაწერილი, თავისებური ლირიკული ნაწარმოებია. მოთხრობის ცენტრში „მეა“ დაყენებული. აქ რთული სიუჟეტის თანმიმდევრული განვითარება როდი გვაქვს. ესაა კრებული ყოველდღიური თუ ყოველწლიური განცდებისა, რაც ციხეში თუ სხვაგან ჰქონია მწერალს. აქ ჩვენ საქმე გვაქვს არა მოქმედებათა ჩვეულებრივ აღწერასთან, არამედ განცდათა ალგუნებულ გადმოცემასთან. სიუჟეტის გაშლა ამ მოთხრობებში თავისებურად შეცვლილია განცდათა გადმოცემით, და ეს გარემოება ხშირად ზედმეტად ტვირთავს მკითხველს. მიუხედავად ამისა, იმდენი გულწრფელობა და პირდაპირობაა ამ განცდათა გადმოცემაში, რომ ყოველი ნაწარმოები შეუწელებელი ინტერესით იკითხება.

* * *

ქოლა ერთ თავის მოთხრობაში წერს: „ეჰ, ძმებო, კეთილებო, მეგობრებო, ნუ დაგიშვიათ ცხვირები, არ არის სირცხვილი ცხოვრებით აღტაცება! არ არის სირცხვილი სიცილი და მხიარულება, არ არის სირცხვილი თამაში! რა ვუყოთ, რომ დღეს-დღეობით ცუდად გვაქვს მოწყობილი ცხოვრება, რომ ტანჯვაც მეფობს ამ ქვეყნად, ჩვენ ხომ ვებრძვით მას! ჩვენ ხომ არ ვზოგავთ სიცოცხლეს, ჩვენ ხომ უკან არ ვიხევთ... ციებითა და სენით გაქლენთილ ქაობში იზრდები მშვენიერი ყვავილი შრომანი და უფრო ბინძურ ალაგას კიდევ უფრო მშვენიერი და მიმტაცი ორხიდეია... ცხოვრება მშვენიერებაა და აღტაცებაა საჭირო იმის წინაშე“.

ქეშმარიტად უყვარდა სიცოცხლე ქოლას. აღტაცებით შეხაროდა ის ხალხის მომავალს, იბრძოდა ხალხის კეთილდღეობისათვის. მაგრამ მეფის ხელისუფლებამ, საპყრობილემ წაართვა მწერალს ნორმალური ცხოვრების უფლება: საპყრობილეს საკანში ჩაკეტა და ისე მოკვდა, ვერ ეღიროსა ცხოვრების მშვენიერებით აღტაცებას, განთავისუფლებული და გამარჯვებული ხალხის ბედნიერების ხილვას.

ვასილ ბარნოვი

ვასილ ბარნოვს მეოცე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. იგი სამწერლო ასპარეზზე გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებიდან გამოვიდა და მთელი მისი შემოქმედებითი მუშაობა პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობის ჩასახვისა და განვითარების მანძილზე გაიშალა. და მაინც ვასილ ბარნოვი ჩვენს ლიტერატურაში უფრო მეტად წარსულის თემებით გახდა ცნობილი, ვიდრე ახალი დროის მოტივებით. უფრო მეტიც: ვასილ ბარნოვს ამ მხრივ XIX საუკუნის ქართული მწერლობისაგანაც განსხვავებული პოზიცია ექირა. შეიძლება ითქვას, რომ ვასილ ბარნოვი სტილისა და ლიტერატურული ინტერესების მხრივ არსებითად XI—XII საუკუნის ქართული მწერლობის ტრადიციებიდან ამოდის. მის შემოქმედებაში მთელი სიძლიერით გადაიშალა ჩვენი ხალხის შორეული წარსული. უდიდესი სიყვარულით, მძაფრი რომანტიკული ფერებით გააცოცხლა მან საქართველოს ისტორიული წარსულის სურათები. მიუხედავად ამისა, მაინც არ იქნებოდა მართებული, რომ ვ. ბარნოვი მთლიანად წარსულში გადასახლებულად წარმოგვედგინა. ვ. ბარნოვი დიდი მხატვარი იყო. კემმარიტ მხატვარს კი არ შეუძლია პასუხი არ გასცეს თავისი ეპოქის, თავისი დროის საკითხებს. ვ. ბარნოვის შემოქმედებაში ეპოულობთ დაინტერესებას ეპოქის აქტუალური საკითხებითაც. უმთავრესად ეს შეეხება მოთხრობებს. ყოველივე ამის გამო ვ. ბარნოვის შემოქმედებაში ორი თემატიკური ხაზი გვაქვს: ერთი—მთავარი და ძირითადი— ისტორიული წარსულია. მეორე მხრით, ჩვენ გვაქვს თანამედროვეობის — XX საუკუნის კონკრეტული სურათების

ჯამოხატულებაც ბარნოვის შემოქმედებაში. ვ. ბარნოვი სამართლიანად შენიშნავს თავისი მოთხრობების პირველი კრებულის წინასიტყვაობაში: რომ „ბევრი ფერადი სურათები მაჩვენა აწმყომ, მაგრამ უფრო მეტი წარსულმაო“. აქ „უფრო მეტი“ ნათლად არკვევს ვ. ბარნოვის შემოქმედებითი თემების ბუნებას.

ვ. ბარნოვის დამოკიდებულება ისტორიული წარსულისადმი რომანტიკოსი მწერლის მანერას უფრო ამკლავნებს, ვიდრე რეალისტისას. მაგრამ აქაც ვ. ბარნოვი თანმიმდევარი არ არის. მის შემოქმედებაში უაღრესად რომანტიკული ხასიათის რომანებისა და მოთხრობების გვერდით გვხვდება ჩვენი ხალხის ცხოვრების ნათელი რეალისტური ფერებით დახატული სურათები. სტილის მიხედვითაც ვ. ბარნოვი არ ყოფილა თანმიმდევარი მხატვარი: რომანტიკული და რეალისტური ელემენტების ძლიერი ნაკადი თავისებურად ერთიანდებოდა ჩვენი მწერლის თხზულებებში. თუ, ერთი მხრით, ვ. ბარნოვის „მიმქრალი შარავანდედი“, „ტრფობა წამებული“ ანდა მოთხრობები „ტკბილი ღუღუკი“, „სადედოფლო სარტყელი“ ტიპიური რომანტიკული ხასიათის ნაწარმოებებია, მეორე მხრით, „არმაზის მსხვერვა“, „თამარ მრწემი“, „ამქრის მშვენება“, „ხურდა“ უაღრესად რეალისტური ნაწარმოებებია.

ვ. ბარნოვი ბრწყინვალე ოსტატია ისტორიული რომანისა და არა ნაკლები ოსტატია მოთხრობისა. მისი ისტორიული რომანები სატრფიალო, სამიჯნურო ხასიათისაა. ისტორიული რომანის ამგვარი დარგის არჩევას თავისი დასაბუთებაც აქვს ბარნოვის შემოქმედებაში.

შეიძლება ითქვას, რომ ვ. ბარნოვის მხატვრულ პრინციპს ყველგან სიყვარულის მოტივი განსაზღვრავს. ვ. ბარნოვთან სიყვარული განსაკუთრებული ფუნქციის მქონეა, ეს ღრმა ფილოსოფიურ-რელიგიური კონცეფციით დასაბუთებული გრძნობაა. მისი მსოფლმხედველური თავისებურებაც ამ გრძნობის ახსნას უკავშირდება. თვითონ ვ. ბარნოვმა სცადა ერთგვარად დაეღაგებინა თავისი წარმოდგენები და შეხედულებები მხატვრული ნაწარმოების შესახებ. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს მისი ლექციების კურსი ქართული სიტყვიერე-

ბის ისტორიისა. აქ ვ. ბარნოვი სვამს საკითხს: როგორ ნაწარმოებს უნდა ეწოდოს მხატვრულად ძლიერი? იქვე უბასუხებს: მხატვრულად ძლიერია ის ნაწარმოები, რომელსაც შეუძლია აღძრას მკითხველში განწყობილება და მისწრაფება „გარდუვალი ჭეშმარიტებისა, შეურყეველი კეთილისა და დაუჩრდილაფი სიმშვენიერისა“. ბოლოს და ბოლოს, ირკვევა, რომ ჭეშმარიტება, კეთილი და სიმშვენიერე სინონიმებია, მხატვრულ ნაწარმოებებში დამოკიდებული ელემენტების მნიშვნელობითაა მოცემული. ადამიანის გონება დაუცხრომლად მიილტვის ჭეშმარიტებისაკენ. გონების ძიებას — ნათელის, კეთილის, სამართლიანობის დამყარებისათვის, ადამიანის მისწრაფებას ხელს უნდა უწყობდეს მხატვრული ნაწარმოებები. „ადამიანის გული ეტრფის მშვენიერებას, დაუჩრდილავ მშვენიერებას, მხატვრული ნაწარმოების უპირველესი მოთხოვნილება არის აღძრას ადამიანში სიმშვენიერის გრძნობა“. მშვენიერის, კეთილისა და ჭეშმარიტის მცნებები, ვ. ბარნოვის აზრით, შეიძლება გამოიხატოს ერთ სიტყვაში: კეთილი. კაცობრიობის განვითარების ისტორია არის ბრძოლა კეთილსა და ბოროტს შორის. კაცობრიობის დასაბამი იყო გამარჯვება კეთილისა. აწმყო არის ბრძოლა ამ კეთილსა და ბოროტს შორის. კაცობრიობის ისტორიის ბოლო კეთილის გამარჯვება იქნება. მხატვრულმა ნაწარმოებებმა უნდა დააჩქარონ ადამიანის ლტოლვა ამ კეთილის საბოლოო გამარჯვებისაკენ.

ვ. ბარნოვის აზრით, კეთილის ქვეცნობიერი გამოხატვა არის სიყვარულის გრძნობა, რომელიც ისტორიულად უცვლელი კატეგორიაა. სიყვარული კეთილის სიმბოლოა. სიყვარული სინონიმია ჭეშმარიტების, ნათელის, მშვენიერებისა. კაცობრიობის განვითარების ისტორიისაც ეს ძალა წარმართავს და აქ ვ. ბარნოვი მისტიკურ-იდეალისტურ პოზიციას იცავს. მისი აზრით, ისტორიამ ავტომატურად მოქმედებს. გამორიცხავს რა საზოგადოების განვითარების ისტორიაში კლასთა ბრძოლის წარმმართველ ძალას, ბარნოვი ამის აღვილს, მის მაგივრობას სიყვარულის გრძნობას აკუთვნებს. მწერლის ცნობილ რომანებში უმთავრესი ყურადღება ექცევა

ადამიანთა სატრფიალო-სამიჯნურო თავგადასავალს. ამის მიხედვით საზოგადოებრივი ცხოვრების კანონების ახსნაც ერთგვარად ბიოლოგიურ სფეროში წყდება; სოციალური, საზოგადოებრივი საკითხების გადაწყვეტა და ახსნა—ბიოლოგიური ინსტინქტების საშუალებით—შეცდომა იყო. მიუხედავად ამ შეცდომებისა, ვ. ბარნოვი, როგორც დიდი და ჭეშმარიტი მხატვარი, ბევრ შემთხვევაში ახერხებს გამოხატოს წარსული საზოგადოებრივი ცხოვრების მართალი სურათი.

ვ. ბარნოვის ისტორიული რომანები და მოთხრობები პატრიოტულ გრძნობას აღძრავდნენ და მეფისდროინდელ რუსეთში წარმოდგენდნენ მებრძოლ მხატვრულ ნაწარმოებებს. ისინი მიმართული იყვნენ დამონების, ძალადობისა და ჩაგვრის წინააღმდეგ. ვ. ბარნოვის ნაწარმოების გმირები მეტწილად ცნობილი ისტორიული პირები არიან (მეფეები, თავადები, სამეფო კარის წარმომადგენლები), რომელთაც ქართველი ხალხის დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში მნიშვნელოვანი როლი შეუსრულებიათ. მართალია, ვ. ბარნოვი ყოველთვის არ არის აქ თანამიმდევარი: ეს რომანტიზებული და იდეალიზებული სახეები ხელს უშლიან მთელი სისწორით იქნას წარმოდგენილი ისტორიული ვითარება, მაგრამ მიუხედავად ამისა, ვ. ბარნოვის ამ რომანებს გარკვეული პატრიოტული, აღმზრდელი მნიშვნელობა ჰქონდა და ექნება.

* * *

ვ. ბარნოვი დაიბადა 1857 წელს სოფელ კოდაში, თბილისის მახლობლად. იგი წარმოშობით მესხი ყოფილა, მისი წინაპრები ქართლში გადმოსახლებულან მესხეთიდან, სამცხე-საათაბაგოდან, აქ, სოფელ კოდაში, მათ უწოდებდნენ ბარნაველებს. ბარნავე ყოფილა სახელი მესხეთის სოფლისა, სადაც მათი წინაპრები სახლობდნენ. შემდეგ, რუსულის გაფლენით „ბარნაველი“ „ბარნოვად“ გადაუკეთებიათ. მწერლის მამა ზაქარია ბარნაველი, რომელსაც სემინარიის კურსი ჰქონდა დამთავრებული, სოფლის მღვდელი იყო. დედა, მათი იაშვილი, ქიზიყელი ქალი ყოფილა, რომელსაც კარგად სცოდნია ქართული მწერლობა. ვ. ბარნოვს წერა-კითხვა დედამ

შეასწავლა. შემდეგ იგი, 7 თუ 8 წლისა, თბილისის სასულიერო სასწავლებელში მიუბარებიათ. სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ვასილი შეუყვანიათ თბილისის სასულიერო სემინარიაში, რომლის სრული კურსი მან დამთავრა 1877 წელს. სასულიერო სემინარიაში უკანასკნელ კურსზე მისი მასწავლებელი იყო ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე იაკობ გოგებაშვილი. სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებულ ვ. ბარნოვს განუზარხავს სწავლის გაგრძელება მოსკოვის სასულიერო აკადემიაში, მაგრამ დამთავრების წელს ეს ვერ მოუხერხებია. ვ. ბარნოვი 1877-78 წელს მასწავლებლობდა ამავე სასულიერო სემინარიაში. 1878 წლის ბოლოს იგი გაგზავნეს მოსკოვის სასულიერო აკადემიაში, რომლის ისტორიული განყოფილება დაასრულა 1882 წელს. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ბარნოვი ერთ ხანს მასწავლებლობდა ჯერ სენაკში, შემდეგ თბილისში, თელავში და, ბოლოს, კვლავ თბილისში. მთელი თავისი ცხოვრება მან მასწავლებლობაში გაატარა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ბარნოვი აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ და სამწერლო საქმიანობაში. იგი იყო თბილისის პედაგოგიური მუშაყვის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 5 წლისთავზე ვასილ ბარნოვი ამბობდა: „დიდმა რევოლუციამ ხალხის გულში შეიტანა დიდი გარდაქმნა და მისცა მას ახალი საფიქრებელი და ახალი გზა ცხოვრებისა, ახალი სახეები მომავლისა და ყველაფერი ეს ხალხისათვის დიდი საიმედოა. შეუძლებელია მხატვრისათვის შეუგრძნობელი დარჩეს ეს, რადგან მხატვრული სიტყვა ცხოვრებას ახასიათებს, მის სახეებს ჩამოსახავს. როგორ შეიძლება არ შეიგრძნოს მხატვარმა, მწერალმა, როგორი დიდი გარდატეხა შეიტანა ამ ისტორიულმა დიდმა ამბავმა ხალხის გულში, ხალხის ცხოვრებაში?... ეს არც იქნება! საქართველოს ლიტერატურა ყოველთვის სასოებით მოელოდა ამ დიდებულ ხანას, ის თვითონ იღწოდა ამ ხანის დამყარებისათვის“. ასე მოუწოდებდა პატ-

რიოტი მწერალი ქართველ საბჭოთა მწერლებს, რათა აქტიური მონაწილეობა მიეღოთ სოციალისტური კულტურის მშენებლობაში, და თვითონ, ღრმა მოხუცებულობის მიუხედავად, დაუცხრომლად იღწვოდა ქართული მწერლობის წარმატებისათვის. ვ. ბარნოვი გარდაიცვალა 1934 წელს. დასაფლავებულია მთაწმინდაზე.

ვ. ბარნოვის ცხოვრება ბავშვობიდანვე საინტერესოდ წარიმართა. როგორც ჩვენ უკვე ვთქვით, ის ბარნაველების ოჯახში დაიბადა, რომელთა წინაპრები, უმთავრესად სასულიერო პირნი იყვნენ. ვ. ბარნოვი 1920 წელს გამოცემული მოთხრობების კრებულში წერს: „ჩემი გვარის შესახებ ერთი წერილი მივიღე. თქვენ გვარს უცხო დაბოლოვებით აწერთო. ალბათ არ მოგეხსენებათ, რომ ჩვენი გვარი ბარნაველია; ჩვენი წინაპარი მღვდელი გადმოსულა სამცხიდან, სოფ. ბარნავიდან, როცა სამცხე ოსმალოს დაუქერია, ის ორბელიანთ კარის მღვდლად გაუშვსებიათ. მაშინდელ საბუთებში ის მოხსენებულია ბარნაველად, გაცნობებთ ამას, როგორც ამჟამად გვარის უფროსი წარმომადგენელი. სოფ. კოდა, სოლომონ იაკობის-ძე ბარნაველი“. ეს ცნობა საინტერესოა იმ მხრივ, რომ ის ხაზს უსვამს ვ. ბარნოვის ბიოგრაფიის ერთ საინტერესო მომენტს: მისი წინაპრები დაკავშირებული იყვნენ ეკლესიასთან, სარწმუნოებასთან. ამ სფეროს კარგი ცოდნა მან ასე გამოიყენა თავის ისტორიულ რომანებში. მეორე მხრით, ვ. ბარნოვმა თავისი ბავშვობის წლები გაატარა ერწოში, ხევსურულ სოფლებში, სადაც მამამისი — ზაქარია ბარნაველი მღვდლად იყო. აი აქ, სოფელ ლულევში, მერე ერწოში, ტოლაანთსოფელში მამის საეკლესიო ქადაგებაზე ბავშვის ცნობისმოყვარეობას უფრო იზიდავდა წარმართული ღმერთის კოპალე-იხსარის ქურუმებთან სადღესასწაულო კულტები. ვასილს მეგობრობა ჰქონია ხევსურთა დეკანოზ კურდღელასთან. ამრიგად, ბავშვობიდანვე დაინტერესებულია მომავალი მწერალი წარმართული აზროვნებით, შემდეგ მან დიდი გულისყურით შეისწავლა ქართული ხალხური და, საზოგადოდ, წარმართობის ისტორია, ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ვ. ბარნოვის შემოქმედე-

ბაში წარმართობის თემას დიდი ადგილი უჭირავს. ასევე გასაგებია „არმაზის მსხვერველაში“ ის ლოგიკური თანმიმდევრობა, რომელსაც იჩენს მწერალი ქრისტიანობისა და წარმართობის დაპირისპირებასა და ისტორიის გადმოცემაში.

ვ ბარნოვის პირველი კორესპონდენცია-წერილი, — „რამდენიმე სურათი ხევსურეთის ცხოვრებიდან“, რომელიც დაიბეჭდა 1878 წლის „დროებაში“, ამავე ფაქტზე მიუთითებს. უფრო ადრე მიღებული ცოდნა ხევსურეთის ცხოვრებისა მან ამ ნაწარმოებში კარგად გამოამჟღავნა. ამას მოჰყვა „დროებაში“ 1879 წელს დაბეჭდილი ლექსი „ქართველ ქალს“. ვ. ბარნოვის პირველი მოთხრობა „პირველი სკრიპკა“ დაიბეჭდა ამავე „დროებაში“ 1878 წელს. ეს იყო გადმოკეთებული მოთხრობა, ხოლო ავტორის პირველი ორიგინალური მოთხრობა „პატარა ლევანი“ ისტორიული ხასიათისაა, რომელშიაც ასახულია სამთავრო ტახტისათვის ქიშპობაში ტრაგიკულად დაღუპული ლევან დადიანის თავგადასავალი (დაიბეჭდა „კვალში“ 1893 წელს). ამას მოჰყვა მოთხრობები: „ქოჩორა ხე“ (1898 წ.) „ვაი შენს დამკარგავს“ (1900), „სოვდაგარი“ (1909), „ხურდა“ (1912), „ძველი ზეიმი“ (1919), „რკინის დევი“ (1923), „არქეოლოგიური ნაშთი“ (1923), „ხარატი“ (1926) და სხვა მრავალი.

ბარნოვის ისტორიული რომანებია: „ისნის ცისკარი“ (1901), „მიმქრალი შარავეანდელი“ (1913), „ტრფობა წამებული“ (1918), „გიორგი სააკაძე ან განგების რკალში“ (1923-25), „არმაზის მსხვერველა“ (1925), „დედოფალი ბიზანტიისა“ (1927), „ცოდვა სიკაბუკისა“ (1928), „თამარ მრწემი“ (1929) და სხვ.

* * *

ვ. ბარნოვის ისტორიულ რომანებს შორის, ჩვენი აზრით, ყველაზე უფრო სრულქმნილი, მხატვრულად და იდეურად გამორჩეული „მიმქრალი შარავეანდელია“. აქ ავტორის ძირითადი პოზიცია, იდეურ-მხატვრული შეხედულებანი და პოეტური წერის მანერა მთელი სისრულითაა გამოვლინებული.

„მიშქრალი შარავანდელი“ საქართველოს ისტორიის მეტად მწვავე პერიოდს ეხება. ესაა მე-16 საუკუნის სამთავროებად დაყოფილი საქართველო. ქართველი ხალხის არაერთგზის აოხრებისა და აკლების შედეგად დაშლილ და დანაწევრებულ საქართველოს ბედი რომანში გზადაგზაა გამოხატული, მაგრამ მწერალმა უპირატესად არა ამ ისტორიული რეალების გამოხატვა დაისახა მიზნად, არამედ თავისი ძირითადი მხატვრული პრინციპის დასაბუთება გაიხადა ნაწარმოების ამოსავალ პრინციპად. ამ რომანში ვ. ბარნოვის ძირითადი მხატვრული პრინციპი, როგორც ზემოთ ვთქვით, იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანების ცხოვრებას, მათს ბედსა და ასევე ისტორიას მართლაც სიყვარულის ყოვლისშემძლე ძალა წარმართავს. მწერლის აზრით, არ არსებობს უფრო ძლიერი ძალა, რომელიც სიყვარულის გრძნობას შეედრებოდეს. ადამიანს არ გააჩნია უფრო ძვირფასი განძი, უფრო დიდი სამკაული, ვიდრე ტრფიალება. სიყვარული მალა დგას ადამიანის ყველა გრძნობაზე. თანამდებობა, დიდება. განცხრომა, ფუფუნება, თუ სხვა რამ სიმდიდრე ადამიანისა წარმავალია. სიყვარული კი წარუშლელი გრძნობაა. ბარნოვი პირდაპირ წერს: „აკი გითხარით, ტრფიალება სხვა ნიქია-მეთქი, თავისებური, იშვიათი, განუმეორებელი. ნუ კი გარევთ ერთმანეთში სიყვარულსა და სხვა გრძნობებს, თუნდა ნათელ გრძნობებს!“ და ვინც წინ აღუდგება ადამიანის გულის წადილს, ვინც ხელყოფს სიყვარულის წმიდა გრძნობას, ან გაცვლის მას სხვა რამ საგანზე და განძზე, ვასილ ბარნოვის აზრით. განწირულია დასაღუპავად. ეს არის ამ რომანის ძირითადი აზრი. იგივე აზრი გამოხატა ვ. ბარნოვმა რომანის მთავარი გმირების — თინათინის, ნოშრევანისა, ლევანისა და ლეილ-ყიზის სატრფიალო-სამიჯნურო თავგადასავალის ფონზე.

მამია გურიელის, გურიის ამ მრისხანე მმართველის, ასულს გატაცებით უყვარდა გურიელის კარის თავადი, ცნობილი ვაჟკაცი ნოშრევანი. ასეთივე გულწრფელი, თავდამავიწყებელი გრძნობით უყვარდა ნოშრევანს თინათინი. მათი სიყვარული იყო უმწიკვლო და უანგარო. ასეთივე ბუნებრი-

ვი გატაცებით უყვართ ერთმანეთი ლევანს, კახეთის შთავარს და ლეილ-ყიზს კახთ ბატონის ერთ-ერთი სახანოს ქალიშვილს. ვ. ბარნოვის აზრით, კეთილმა აზრმა შთააგონა მიჯნურობის ნათელი გრძნობით ეს შეყვარებულები. დარღვევა ამგვარად შთაგონებული აზრისა ადამიანის ბუნების წინააღმდეგ გალაშქრება იქნებოდა და ვინც ამ გზას დაადგება, ის განწირულია დასაღუპავად. სწორედ ასევე ემართება, რომანის იმ გმირებსაც, რომლებიც წინ აღუდგნენ სიყვარულის კეთილ გრძნობას. ოთხეულის სიყვარულის გულწრფელ გრძნობაში ჩაერთა პოლიტიკური ანგარიში, პატივმოყვარეობის ძალა. მამია გურიელს თავისი ქალიშვილი სურს მიათხოვოს კახთა მეფეს, რათა თავისი სიძე საქართველოს მეფე იყოს და თვითონაც მეფის სიკეთის მონაწილე. გურიელმა იცის, რომ ლევანი კახეთის უბრალო მებატონეა, თვითონაც მხოლოდ უფროსი თავადია გურიაში. მას გადაუწყვეტია, თავისი ქალიშვილი დედოფალი გახდეს კახეთისა და შემდეგ, იქნებ, მთელი საქართველოსი. არც ლევანია ამის წინააღმდეგი. „მეფის იღუმალი ნატვრა იყო შემოეერთებინა კახეთისათვის სხვა კუთხეები საქართველოსი, როგორც უკვე შემოიერთა ფშავ-ხევსურეთი და გამხდარიყო მეფედ მთელი საქართველოსი“. „წამდა ლევანს, როგორც ყველა დაფიქრებულ ქართველსაც“, — უმატებს ავტორი, — „რომ საქართველოს მეფე უნდა იყოს ერთი, მხოლოდ საქართველო გაუყოფელდაუნაწილებელი“ ამ აზრით შთაგონებული ლევანი, მიუხედავად იმასა, რომ თავდავიწყებით შეტრფის ლეილ-ყიზს, თანახმაა შეირთოს ცოლად მამია გურიელის ასული და ამით დააჩქაროს საქართველოს გაერთიანების საქმე. ასეთია ის პოლიტიკური მოსაზრებანი, რომლებიც ამოძრავებენ მამია გურიელსა და ლევანს.

თინათინი წინააღმდეგობის ფოკუსშია მოქცეული. მას, ერთი მხრით, სიყვარულის ნაზი გრძნობა უკარნახებს — ბოლომდე ერთგული იყოს თავისი მიჯნურისა, მეორე მხრით, თავმოყვარეობის, პატივმოყვარეობის გონიერება უკარნახებს — დედოფლობის გულისთქმას გაჰყვეს და ლევანის ცოლი გახდეს. ვ. ბარნოვის იშვიათი ოსტატობით, ფსიქოლო-

გიური დამაჯერებლობით აქვს მოცემული ამ ორი გრძნობის ბრძოლა.

თინათინის გარეგნობას ასე აღწერს მწერალი: „ფერმაკთალი ქალი იყო, თეთრი, კრელთვალა. თავსაფარი უკან გადასწოდა და ქოჩორი გადმოჰმლოდა. ხშირი თმა არკი უხუქუქდებოდა, წყობრად ელაგა. ნელი მოძრაობა ჰქონდა ქალს, მინაზებული“. ასეთია ამ ქალის გარეგნული რომანტიკული სახე. მეორე მხრივ, თინათინს დიდი შინაგანი სულიერი წინააღმდეგობა ახასიათებს. როცა მას მიმართავენ: „დედოფლობა მოგელის კახეთისა, მთელი საქართველოსი“, იგი უპასუხებს: „ვიცი, ბატონო, რომ დედოფლობა მომელის, მაგრამ არ მიმიწევს გული იქითკენ, ვერ დამიმორჩილებია ჩემი თავი, ვერ დანიყოლებია; მიკვნესის გული, თითქოს რაიმე უბედურება მომელისო იქ.“ შემდეგ თანდათანობით იბზარება ქალის გული, თითქოს ორად არის გაპოხილი მთელი მისი არსება.

მოხიბლული გული მას ჩასჩურჩულებდა, რომ მხოლოდ ნოშრევანი იყო მისი ბედი. ამას უკარნახებდა გული, გარნა ისე კი არა, როგორც გარკვეულ რამე სიტყვას, არამედ როგორც სიტკბოებას სანეტაროს და უძღვევს: ისე იყო მისი გული ეხლა გახარებული, ისე უცინოდა მას გრძნობათა იგი შესაკრებელი, ისე იყო ამ წუთს იგი სავსე ნოშრევანით, რომ იგი სხვა ვინმე ვაჟკაცს ველარ დაიტევდა, ველარ შეითვისებდა. ველარც შეიტკობდა. ნოშრევანის გარეშე ქალწულის სული ველარავის შეუერთდებოდა განუყრელად, მისი ტანი ვინმე სხვის ხვევნას ველარ აიტანდა, ველარც დახვდებოდა სიამით. მეორე მხრით, თინათინს გონება უკარნახებს, გაჰყვეს დიდების გზას, და მწერალიც ასე მოხერხებულად გვიხატავს ამ წინააღმდეგობის სურათს: „მაგრამ განვლო ხანმა და განიღვიძა გულისგან ძლეულმა გონებამ, შეიკრიბა ძალა ძლიერი, გააღვიძა ქალის თვითმოყვარეობა და გესლიანის ღიმილით გადახედა ქალწულის ფაქიზ გულისთქმას. მოაგონა გონებამ თინათინს, რომ იგი იყო ქალი მამია გურიელი-სა, შვილი იმ გორიზი ადამიანისა, რომლის მოუსვენარ თავში ცეცხლივით ტრიალებდა სურვილი განდიდებისა. თინათინის

სულიც ხომ აღსავეს იყო დიდებისადმი მისწრაფებით. აღტყინებული ოცნება მოელვარე სახით უხატავდა მას მომავალ ცხოვრებას, თვალწარმტაც ფერადებით შეუხამებდა მას. ამ ოცნებობას ბალღობიდანვე შესჩვეოდა ქალი, შესთვისებოდა. მისი აწინდელი გულისთქმა კი სრულებით არ შეჭფეროდა ცხოვრების ამგვარ წარმოდგენას: ნოშრევანი ვერას დროს ვერ შეუქნნიდა თავის სატრფოს ღირსეულ მომავალს.

ტკბილია ნოშრევან, შეუდარებელი, კარგი, გარნა მხოლოდ თავადია უბრალო, ჩვენივე კარის თავადი, მამიჩემის შინა ყმა და ნების ამსრულებელი. უბრალო თავადადვე დარჩება იგი მარად და ყველგან: თუნდ აქ, გურიაში, თუნდ იმერეთის მეფის კარს, თუნდ ათაბაგთან. მეც მხოლოდ თავადის ცოლი შევიქმნები, სხვა ათასი თავადის ცოლების სწორი. ბატონიშვილი ვარ და უნდა კი ვემორჩილებოდე ყველა მეფის თუ მთავრის მეუღლეს, ბოლოში უნდა ვიჯდე პატივმოკლებული. იქნება ესეც მოხდეს, რომ დადიანის ქალს თამარს თავს ვუკრავდე და ადგილს ვუთმობდე. რატომ?! გათხოვდება იგი იმერეთის მემკვიდრეზედ, ან კახეთის მეფე ლევანზე და შეიქმნება დედოფალი დიდებული. შეიძლება თვით ჩემმა ძმამაც შეირთოს იგი და დედოფალი შეიქმნას ჩემი, თუ ნოშრევანის მეუღლე შევიქენი, — სთქვა ქალმა და წარმოიდგინა რა დამცირების სურათი, შეაყრჟოლა.

შეიძლება სიღარიბეც კი მხვდეს წილად ნოშრევანის ხელში, — განაგრძო ქალმა ფიქრი, — რა შეიძლების პატრონია ნოშრევანი? ცოტა ყმა, პატარა მამული! მართალია, ვაჟკაცია მხნე, შეუძლიან ხმლით მოიპოვოს დიდებაც და ქონებაც, მაგრამ ბევრი-ბევრი სარდალი შეიქმნას რომელიმე მეფის კარს. მე რომ თითონ ვიყო მემკვიდრე, თითონ მე რომ მომელოდეს ოდესმე დედოფლობა, მაშინ სხვა იქნებოდა, მაშინ სრულებით საჭირო აღარ იქნებოდა, მაშინ სრულებით საჭირო აღარ იქნებოდა ამისთანა ფიქრები..“

თვითონ გრძნობს თინათინი, რომ მისი არსება ორად არის გაყოფილი. ძალიან ხშირად კიდევ მიმართავს ყოველად ძლიერ უკვალს, რომ მას მისცეს ძალა, უარყოს ყოველივე შარავანდელი დიდებისა და თავი შესწიროს სიყვარულს,

წმინდა სიყვარულს, გაუფანტოს გულიდან აჩრდილი ბოროტისა. მაგრამ როდი ახერხებს ამას: მიჰყვება დიდებისა და პატივმოყვარეობის გზას. მწერალი ერთგვარ ახსნას აძლევს თინათინის ამ ავადმყოფურ პატივმოყვარეობას: „ძლიერი პატივმოყვარეობა ბოლოს დასძლევდა მას, დაანგრევდა მისგან ხილულ ტაძარს განსასვენებელს, დაამსხვრევდა მაშინ გაბრწყინვალებული მის სალოცავ კერპს და მასთან მის გულსაც, თინათინის საბრალო გულს. მამიას ქალი იყო და დიდებისადმი ძლიერი მისწრაფება საშოდან დედისა დაჰყოლოდა მის სულსო“, — უმატებს რემარკის სახით მწერალი. მეფუფური აღზრდით განმტკიცებული პატივმოყვარეობა სძლევს სათნო სიყვარულს და თინათინი ანგარიშით გაჰყვება ცოლად ლევანს.

თინათინზე უფრო მალა დგას ამ მხრივ ლეილ-ყიზი. მისი სიყვარული თავისუფალია ყოველგვარი ნივთიერი ანგარებისაგან. დიდი უშუალობით აქვს დახატული მწერალს ლეილ-ყიზის რომანტიკული ბუნება: „ბუნების შვილი იყო გულუბრყვილო, მის კალთაზე ლალად აღზრდილი და ვერ შეიგნებდა ბუნების საწინააღმდეგო მოქმედებას, როცა იგი ბუნება სიხარულისაკენ იწვევდა კაცს; ვერ გაიგებდა, რომ შესაძლო იყო ნებით უარყოფა ტრფობისა, თავის ხელით ჩაშლა ამ საოცნებო გრძნობისა, თავისივე ჩაშალება ნათელი ყოფისა“.

უფრო ბუნებრივი და ძლიერია სიყვარულის გრძნობა უბრალო ხალხში. არავითარი ანგარება, განდიდებისა და პატივმოყვარეობის გრძნობა არ უდევს სიყვარულს საფუძვლად ამ „დაბალ წრეში“. ამის სანიმუშო მაგალითია მამია გურიელის შინაყმების—კოწიას და მარიკას—სამიჯნურო თავგადასავალი: თუ სიყვარულის ნამდვილმა გრძნობამ ფესვი ვერ გაიდგა ნოშრევანსა და თინათინს შორის, სამაგიეროდ, ამ გრძნობამ სრული გაღრმავება ჰპოვა „მდაბიოთა“ წრეში. ლევანისა და თინათინის ცოლქმრობა ცივი და უგულო აღმოჩნდა, მდაბიოთა ცოლქმრობა კი თბილი, ნეტარებით აღსავსე.

ბარნოვი მალა აყენებს გულწრფელ ტრფობას, პატივმოყვარეობისაგან, ნივთიერი სიმდიდრის მისწრაფებისაგან

ვანთავისუფლებულ სიყვარულს. მწერალი ადამიანის უდიდეს შეცდომად თვლის სიყვარულის მოწოდების ღალატს. სწორედ ამიტომ ხაზგასმით აღნიშნავს ვ. ბარნოვი თინათინის დამარცხების მიზეზს, რომ იგი გამოწვეულია მოქმედებით გულის კარნახის წინააღმდეგ. მწერალი კარგად შენიშნავს: „თუ გულს არ კითხე, მარტო თვალთ დაკვრით ვერ გაარჩევ... გულმა კი უტყუვრად იცის მათი გარჩევა, იგი მაშინვე გრძნობს ციურ ძალთაგან ნაგებ სიყვარულს, ცოდვათაგან გაწმენდილს“. თინათინმა სწორედ ციურ ძალთაგან ნაგებ სიყვარულს არ მიუგდო ყური და გაჰყვა ცივი გონების კარნახს, ამიტომ მისი არსება ჯერ გაიბზარა, შემდეგ კი ცხოვრება ტრაგედიად ექცა: იძულებულია დატოვოს ქმარი და მონაზვნად შედგეს. მწერალმა სიკვდილის წინ შეახვედრა შეყვარებულები—თინათინი და ნოშრევანი, თინათინი მონაზვნის, ნოშრევანი ბერის ტანისამოსში. ფინალის ტრაგიკულ ამბავში მთელი სიძლიერით აჩვენა ვ. ბარნოვმა, თუ რა შეუძლია გულწრფელი სიყვარულის ღალატს. თინათინმა დათრგუნა ეს გრძნობა და ახლა სასიკვდილო სარეცელზე მიკრული ინანიებს თავის შეცოდებას, მაგრამ გვიანდაა. ავტორმა ან რომანში მთელი სიძლიერით დაასაბუთა თავისი ძირითადი დებულება, რომ სიყვარული უძლიერესი გრძნობაა და მისი უარყოფა არ შეუძლია არაფრითა არ სხვა ძალას. ბარნოვი შემდეგ არაერთხელ უბრუნდება ამ საკითხს და სიყვარულს ყველგან ყოვლისშემძლე ძალად აღიარებს. კატეგორიულად წერს ვ. ბარნოვი: „სიყვარული ყველაზე მაღლა დგას, მისი უარყოფა არ შეიძლება არაფრით, თვით ღვთაებასაც არ შეუძლია მისი შეცვლა“.

„მიმქრალი შარავანდედი“ საინტერესოა იმ მხრივაც, რომ აქ მთელი სისრულით გამოვლინდა ვ. ბარნოვის პატრიოტიზმი. მიუხედავად წარსულისადმი ერთგვარი რომანტიკული დამოკიდებულებისა და იმ უსაზღვრო იდეალიზაციისა, რომელსაც მწერალი ეწევა საქართველოს წარსული სურათების დახატვის დროს, ვ. ბარნოვი, როგორც მხატვრული სიტყვის ოსტატი, ბრწყინვალედ ახერხებს მოგვცეს საქართველოს, ამ დიდი ისტორიული წარსულის მქონე ქვეყნის, პატ-

რიოტთა უკვდავი, მართალი სახეები. ასეთ პატრიოტთა შორის რომანში პირველ ყოვლისა უნდა დავასახელოთ ნოშრევანი. ნოშრევანი ვაჟკაცურად, საკუთარი თავის განწირვის ფასით ახერხებს იხსნას ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი თბილისი დამპყრობთაგან. ჩვენ წინ წარმოდგება პატრიოტი ქართველის მომხიბლავი სახე. ვ. ბარნოვი არა ერთხელ უსვამს ხაზს ერთიანი საქართველოს აუცილებლობას. იგი ამ მხრივ კახეთის მეფის ლევანის მისწრაფებასაც პატრიოტულ დასაბუთებას უძებნის. გავიხსენოთ ავტორისეული სიტყვები: „წამდა ლევანს, როგორც ყველა დაფიქრებულ ქართველსაც, რომ საქართველოს მეფე უნდა იყოს ერთი, ხოლო საქართველო გაუყოფელ-დაუნაწილებელი“.

სულ უბრალო შტრიხით იძლევა ვ. ბარნოვი გორგასალისა და სხვა შეურყეველ და გაუტეხელ ბუმბერაზ ქართველთა პატრიოტულ სახეს.

მოვუსმინოთ ავტორს: „უკეთეს ადგილს ველარ იპოვინდნენ აქ: გორგასლანის მომსწრე ციხე-გოდოლი, ეს შეურყეველ-გაუტეხელი კარი მთელის ხეობისა, ღირსი იყო ამ პატივისა. საჭიროც იყო დაელოცნა მეფე-დედოფალი ციხის დედას, ამ ურყეველი ბურჯის ანგელოსს, რომ კეთილად წარმართოდათ მათ გზა ცხოვრებისა. იგი ციხის დედა კიდევ უამბობდა ახალგაზრდა მეფე-დედოფალს ძველის-ძველ ამბებს საგმიროს, მოაჩვენებდა იმ ბუმბერაზთა სახეებს, რომელთა ოდესმე ასახელეს იგი ციხე, რომელთა დასდეს თავი სამშობლოსათვის და ზვარაკად შეეწირნენ მის წმიდა კერას“.

ვასილ ბარნოვს „მიმქრალ შარავანდედში“ საინტერესოდ აქვს დახატული ქართველი ხალხის ბრძოლა თურქ და ირანელ დამპყრობთა წინააღმდეგ. იგი საქართველოს დაუძინებელი მტრების—სპარსეთისა და თურქეთის დაპყრობითს პოლიტიკას უპირისპირებს ქართველთა ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის და ამ ბრძოლაში რუსეთთან კავშირის გზას. ვ. ბარნოვი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სპარსეთის შაჰი თამაზი მუქარით, ცბიერებით ცდილობდა მოეგო ქართველთა გული, მან იცოდა რომ საქართველოს „ჩრდილოეთისაკენ იზიდავდა ანდამატი ძლიერი“, რომ საქართველოს „თვალნი

მიეპყრათ მათ მყინვართა მეფის საბრძანებლისაკენ და იქიდან ელოდნენ ხსნას ქვეყნისას. ეს არ მოსწონდა თამაზს, ხედავდა, რომ თუ იგი ბუმბერაზი ჩრდილოელი გადმოაბიჯებდა კავკასიონს შეარყევდა სპარსეთსაც, მთელ მაჰმადიანობასაც. ამისთვის ისწრაფოდა ყვინი შკვიდრად ჩამდგარიყო საქართველოში და თავისი ხელით დაეკეტნა დარიალი“. მწერალი აჩვენებს ქართველთა მისწრაფებას, კავშირი დაემყარებინათ დიდ რუს ხალხთან. ქართველი ხალხი ხმალამოღებული იბრძოდა საქართველოს განთავისუფლებისათვის. ხალხი ხედავდა, რომ თბილისი მტერს ეჭირა, რომ ქართველი სირცხვილეული იყო ამით და სურდა გაედევნა მტერი. ხალხმა მიაღწია თავის წადილს და გულწრფელად უხაროდა. ლაშქარი ისე დაბრუნდა შინ, როგორც ქორწილიდან. ასე ხატავს მწერალი ხალხის ბრძოლას დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის.

კახეთის მეფემ ლევანმა იცის, რომ თურქეთისა და სპარსეთის მონობისაგან საბოლოოდ თავის დაღწევა ძლიერი მოკავშირის დახმარებით შეიძლება. ამიტომ გულწრფელად ეუბნება ის ცოლს: „ჩვენი ერთგული რუსეთი გამომადგება ამ დიდი განზრახვისათვის, განვიზრახე მას მივაყრდნო ზურგი და ისე გადავდგა ნაბიჯი საბოლოო“.

ვ. ბარნოვს კარგად აქვს შენიშნული, თუ გვიანი შუასაუკუნეების ყოველი ჭკვიანი და შორსმჭვრეტელი ქართველი მეფე როგორ ისწრაფოდა ერთმორწმუნე დიდ რუსეთთან კავშირის დასამყარებლად, შეჰყურებდა რუსეთს, როგორც ძლიერ მოკავშირეს, როგორც მეგობარს.

* * *

ვ. ბარნოვის ისტორიულ რომანებს შორის გამოირჩევა აგრეთვე „ისნის ცისკარი“. იგი კონკრეტულ ისტორიულ თემაზეა აგებული. აქ იგივე ისტორიული ამბავია გამოყენებული, რაც ნ. ბარათაშვილის პოემაში „ბედი ქართლისა“. მწერალს მოხერხებულად აქვს აღწერილი 1795 წელს კრწანისის ველზე უთანასწორო ბრძოლაში ერეკლე მეფის დამარცხება. ესაა რომანის თემა. ვ. ბარნოვი აქაც ისტორიულ ამბებს იყენებს,

როგორც ფონს, წარმართავი ძალა კი კვლავ სამიჯნურო ისტორიაა.

რომანის მთავარი მოქმედი გმირია საამ გოსტაშაბიშვილი. იგი ძლიერი ფეოდალია და ერეკლე მეფის ერთგული. მეფის დავალებით ის შეუდგება ჯარის შეკრებას და საომარ სამზადისს. ამ მიზნით საამი თბილისს ესტუმრა, რომ ყოფილ ყმას, ხელოსან იოთამ ბურჯელს, ხმლები დაამზადებინოს. აქ ის იოთამის ქალიშვილს, ულამაზეს თინანოს, გაეცნობა. ამ ქალს საიათნოვამ ისნის ცისკარი უწოდა. მოხიბლულმა საამმა ხელოსნის ქალიშვილი საცოლედ დანიშნა. საამის საომრიდ გამზადებულ ჯარს არც მიუღია ომში მონაწილეობა, ისე დამარცხდა მეფე ერეკლე ომში ღალატით. თბილისი მტრების ხელშია. იოთამის ულამაზესი ქალი თინანო, ვაქარ მილუას დაბეზღებით, სპარსეთის ჯარის სარდალს სელიმ ხანს დაუტყვევებია. სელიმ ხანს იგი მოსწონებია და გადაუწყვეტია, თან წაიყვანოს სპარსეთში. ყოველივე ამას გაიგებს თბილისში მალულად შემოპარული საამი. იგი თავისი მცირე რაზმით თავმომწონე სელიმ ხანის ჯარს დახვდება და იხსნის თავის მიჯნურს. ყვინს სინანულით აღმოხდება: „ეს მარცხი წაგებულ ომს უდრისო“. საამის საგმირო შემართებას სიყვარულის კეთილი გრძობა ანიჭებს უძლეველ ძალას. აქაც ვ. ბარნოვმა ბრწყინვალედ გამოიყენა ისტორიული ამბავი თავისი ძირითადი დებულების დასამტკიცებლად.

ვ. ბარნოვის შემოქმედებაში სიყვარულს არსებითი მნიშვნელობის ფუნქცია მინიჭებული აქვს არა მარტო მაშინ, როცა მწერალი ეხება საერო ცხოვრებას, არამედ მაშინაც, როცა ის აღწერს სამონასტრო ცხოვრების წარმომადგენელთა თავგადასავალს. აქაც, ამ ასკეტური ყოფის ადამიანებშიაც, ვ. ბარნოვი მოხერხებულად შიფრავს სიყვარულის საიდუმლო ძალას, მის სიმშვენიერესა და ყოვლისშემძლეობას.

ვ. ბარნოვი საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებას და ბრძოლას წარმართობის წინააღმდეგ აგვიწერს რომანში „არმაზის მსხვერვა“. თემატიკურად ეს რომანი ახლოს დგას რომანთან „ტრფობა წამებული“, იმ განსხვავებით, რომ „არმაზის მსხვერვაში“ ნაჩვენებია ბრძოლა სხვადასხვა სარწმუნოებას შორის, რასაც ადგილი ჰქონდა საქართველოში.

„ტრფობა წამებულში“ კი ნაჩვენებია წინააღმდეგობა და ქიშობა სამოქალაქო და საეკლესიო ცხოვრების მესვეურთა შორის.

„არმაზის მსხვერველაში“ აღწერილია მირიან მეფის დროინდელი საქართველოს მდგომარეობა. ვ. ბარნოვი გვიჩვენებს საქართველოს მეფის ტრაგიკულ მდგომარეობას, მეფისა, რომელიც აღმოსავლეთით—სპარს და დასავლეთით—ბიზანტიელ დამპყრობელთა პოლიტიკის წინააღმდეგობათა ფოკუსში მოქცეული. საქართველო ბრძოლის ობიექტი გამხდარა დასავლეთის კეისრისა და აღმოსავლეთის შაჰს შორის. ამ სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ ბრძოლაში ვ. ბარნოვი ურთავს სარწმუნოების მომენტს, როგორც მოხერხებულ იარაღს ქვეყნის დასამონებლად. აღმოსავლეთის მბრძანებელს, სპარსეთის შაჰს, სურს საქართველოში გაავრცელოს მაზდეანური სარწმუნოება, ბიზანტიელებს კი პოლიტიკის იარაღად ქრისტიანული სარწმუნოება გამოუყენებიათ. ორივე შემთხვევაში სარწმუნოებას დაპყრობითი პოლიტიკა უდევს საფუძვლად. ასეთია, ვ. ბარნოვის რწმენით, საქართველოში ამ სარწმუნოებათა გავრცელების ისტორია. ორივე შემთხვევაში სარწმუნოება ჩაგვრის, მონობის იარაღია. მესამე მხრით, ქართველებს აქვთ უძველესი სარწმუნოება — წარმართობა. წარმართობა ვ. ბარნოვს უფრო ბუნებრივ, უფრო მართებულ, უფრო მისაღებ სარწმუნოებად. აქვს წარმოდგენილი. წარმართობა მწერლის განსაკუთრებული სიმპათიით სარგებლობს.

ბიზანტიის კეისარს ომი გამოუტხადებია სპარსეთისათვის. სპარსეთი ემზადება მტრის დასახვედრად, ეძებს მოკავშირეს. შაჰი შაბური უსტარს უგზავნის მეფე მირიანს და თან აურაცხელ საჩუქრებს. მირიანი პატივისცემით მიიღებს შაჰის წარმომადგენლებს და დახმარებას ჰპირდება შაჰს. თავის მხრივ რომის კეისარი საქართველოს მიმხრობას ცდილობს და ქრისტიანობის გავრცელების მიზნით წმინდა ნინოს გზავნის საქართველოში. საქართველოში ნინო გამოცხადდება როგორც სასწაულმოქმედი, ავადმყოფთა მკურნალი და ქრისტესთვის წამებული. ის თავის ერთ-ერთ პირველ მოწაფედ მირიანის ქალიშვილს ხვარამზეს გაიხდის. ასეთია ვითარება, რომელიც

წინ უსწრებს სპარსეთისა და ბიზანტიის ომს. ამ ომში სპარსეთი მარცხდება. საქართველო იძულებულია, მხარი დაუჭიროს გამარჯვებულს. წმინდა ნინო შეეცდება ეს მომენტი გამოიყენოს ქრისტიანული სარწმუნოებისთვისაც. ის თავისი მოწაფეების მეოხებით სახალხო დღესასწაულის დღეს ამსხვრევს არმაზს. ამ ბრძოლას ბევრი ადამიანი ეწირება, მათ შორის რომანის მთავარი გმირი ამზაილი, რომელმაც სახელი გაითქვა, როგორც უებრო მეომარმა, და რომლითაც მან ხვარამზეს სიყვარულიც დაიმსახურა. სასიკვდილოდ დაქრილ ამზაილს ზედ დააკლავს თავს მისი მიჯნური ხვარამზე. ასეთია რომანის ტრაგიკული ფინალი. აქ ხაზგასმულია როგორ გადალახა მიჯნურობამ სარწმუნოებრივი მიჯნები. ქრისტიანი ხვარამზე სარწმუნოებაზე მალა სიყვარულს აყენებს.

სარწმუნოებრივი ბრძოლის აღწერის დროსაც ვ. ბარნოვი მოხერხებულად ურთავს რომანტიკულ-სამიჯნურო თავგადასავალს. ამ მხრივ ფრიად საინტერესოდ არის რომანში წარმოდგენილი მირიან მეფის ასულის—ხვარამზესა და ახალგაზრდა რაინდის ამზაილის სამიჯნურო თავგადასავალი. ამზაილი ამ რომანში გამოყვანილია როგორც საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, მეფის ღირსებისათვის თავდადებული რაინდი და უანგარო მიჯნური.

ვ. ბარნოვის პოზიცია ქრისტიანობის მიმართ ამ რომანში უარყოფითია. მწერალი შენიშნავს: „ეს ადგილი შეეხებოდა სახელმწიფო დიდ საკითხებს და იმ ახალსჯულს, რომელი უყენებელ მეწყერივით მოდიოდა დასავლეთიდან, დაეომებინა იგი მოძღვრება რომაელთ კეისარს, გაეხადნა თანამებრძოლად, გაემძღვარებინა აღმოსავლეთისაკენ მის დასაპყრობად. ძველისძველი იყო დასავლეთისათვის ეს ჰაზრი.“

დაიპყარ მცირე აზია. ეუფლე პონტს, დაიმონე საქართველო. შეჰზღუდავ აქედან და დასძლევ ირანს! შეიქმნები დიდის ქვეყნის ბატონ-პატრონი, გექმნება წყარო უშრეტელი კეთილდღეობის. შენის სკიპტრის ძლიერება დაჰხრის შენ წინაშე ოქროს ინდოეთს!“

ვ. ბარნოვის აზრით, ქრისტიანულ სარწმუნოებას, ამ ახალსჯულს, ფეხდაფეხ მოსდევდა ფხიანი ხმალი, რომელსაც წინ რომაული დროშა მიუძღოდა. რომაულ დროშაზე კი ეწერა:

„ჯვართ დაიპყარ ქვეყნიერება“. „ასე მოიძლოლა ახალი ღმერთი ახალმა რომმა“. ასეთივე პოლიტიკური სარჩული ჰქონდა საქართველოში სპარსეთიდან შემოსულ სარწმუნოებას—მაზდეიანობს. ასეთ ვითარებაში ვ. ბარნოვს ქართული წარმართული სარწმუნოება უფრო მისაღებად მიაჩნდა.

ამ რომანში ვ. ბარნოვი მირიან მეფეს ხატავს როგორც ძლიერ მეფეს, რომელსაც ანგარიშს უწევენ მეზობელი სახელმწიფოები—როგორც სპარსეთი, ისე ბიზანტია. მაგრამ სარწმუნოებრივ ბრძოლაში ის იმარჯვებს, ვინც ძლიერია. ასეთი ძლიერი ამ პერიოდში ბიზანტია ჩანს. ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში და მისი გამარჯვებაც ბიზანტიის პოლიტიკური გამარჯვებაც იყო. ეს გარემოება თითქოს ხელს არ უშლის ვ. ბარნოვს, რომ შემდეგ რომანში „ტრფობა წამებული“ საქართველოსთვის ქრისტიანული სარწმუნოება მუსულმანურ სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლაში ეროვნულ იარაღად გამოაცხადოს.

* * *

როგორც აღინიშნა, ვასილ ბარნოვის ისტორიულ რომანებში, თითქმის ყველგან, მთავარ მოქმედ გმირებად გამოყვანილი არიან ისტორიულად ცნობილი პიროვნებანი. ამ ისტორიულად ცნობილ პირთა მოქმედებას, მათ ღვაწლს მწერალი დიდების შარავანდედით მოსავეს. უმეტეს შემთხვევაში ისინი სამშობლოსათვის თავდადებული პატრიოტების როლში არიან წარმოდგენილი. ისიც აღინიშნა, რომ ამ შარავანდედით მოსილ გმირთა მოქმედებას, მათს ნებისყოფას, მათს საქმეს ყველგან განსაზღვრავს სიყვარულის ძალა. ეს გმირები უებარი გონების მქონენი, შეუდარებელი ვაჟკაცნი, ახოვანნი და ლამაზნი სწორედ იმით არიან, რომ მათი მოქმედების დაუშრეტელი წყარო სიყვარულია. თუ ეს ძალა წაერთვა მათ, მაშინ ისინი კარგავენ გონებრივ სიმხნევესაც, ვაჟკაცობასაც და ყოველივე ამას ვნება მოაქვს საზოგადოებისათვის, სამშობლოსათვის. ამგვარად წარმოადგინა ვ. ბარნოვმა სიყვარულის საყოველთაო მნიშვნელობა ცნობილ რომანში— „ტრფობა წამებული“. აქ ოსტატურად უპირისპირდება ერთ-

მანეთს მეცხრე საუკუნის საქართველოს ორი ბუმბერაზი, საერო ცხოვრების მესვეური მეფე აშოტ კუროპალატი და საეკლესიო ცხოვრების მეთაური გრიგოლ ხანძთელი. ამ დაპირისპირებას მეტწილად საფუძვლად სამიჯნურო თავგადასავალი უდევს.

აშოტ კუროპალატი ამ რომანში დახატულია როგორც შეუდარებელი ვაჟკაცი, სახელოვანი მეომარი, პატრიოტი, გონიერი და წინდახედული სარდალი. ავტორმა იგი ჩვეულებრივი, ბუნებრივი ადამიანური თვისებებით დაგვიხატა. ადამიანურ თვისებათა ეს ნაკლი თუ ღირსება, ვ. ბარნოვის აზრით, ყველაზე კარგად გრძნობათა სფეროში მქლავნდება. აშოტ კუროპალატის ცოლი გურანდუხტი უფრო სახელმწიფო საქმეებით დაინტერესებული ადამიანი იყო, ვიდრე სატრფო, გულისა სწორი. „მეუღლის ოთახიდან რომ გამოდიოდა, თითქოს საბჭოს დარბაზიდან გამოვიდაო და არა მეუღლის სადგომ ბინიდან. სწყუროდა აშოტს სულით დაესვენა გულისა სწორთან, თუნდ ერთს წამით. ამოოდ ჰსურდა, ჰყვანდა მას მეუღლე, დიასახლისი, დედა მის შვილთა, დედოფალი რჩეული და ჰყვანდა სატრფო გულისა სწორი? ამოოდ ეძებდა სიბ ქვაზე ნაზ ყვავილს ტურფა გაზაფხულისა“, — ამბობს მწერალი. ამ მდგომარეობაში გრძნობით სავსე აშოტი თავისი ერთგული ჯარისკაცის, ბრძოლის ველზე დაქრილის ქვრივს — სასახლის კარზე მყოფ შუქიას გაუმიჯნურდება. მთელი ეს სამიჯნურო თავგადასავალი ფარულად მიმდინარეობს, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მიჯნურთა ამბავი გახმაურდება. შეურაცხყოფილი დედოფლის მხარდაჭერით პირველმა გრიგოლ ხანძთელმა აღმართა ამ მიჯნურობის წინააღმდეგ ასკეტის ხელი და, ქრისტეს სარწმუნოების წესისამებრ, მოითხოვა მეფისაგან, უარი ეთქვა შუქიას სიყვარულზე და ქრისტიანობის წესი ცოლქმრობისა მტკიცედ დაეცვა. გრიგოლ ხანძთელი ასეთ საბუთს უყენებს მეფეს: მეფე თავად უნდა იყოსო მაგალითის მიმცემი, უნდა დაიცვას „მცნება რჯულისა“. აშოტი იძულებულია დათმოს თავისი სატრფო, მაგრამ ეს დათმობა საბედისწერო გახდება: აშოტმა დაკარგა გონიერება, უმტყუნა სიმხნევემ და ვაჟკაცობამ. ეს ის დროა,

როდესაც სამშობლო საშიშროების წინაშე დგას, მას აღმო-
სავლეთის ურდოები შემოესიენ, სწორედ ახლაა საჭირო მე-
ფის გონიერება და ვაჟკაცობა, მაგრამ გაოგნებული აშოტ
კუროპალატი გონს ვერ მოდის. ხალხმა იცის, რომ შუქიაა ამის
მიზეზი. შესთხოვენ გრიგოლ ხანძთელს, დაუბრუნდეს მეფეს
თავისი მიჯნური, მაგრამ ქრისტიანობის დამცველი გრიგოლ
ხანძთელი თავგამოდებით იცავს თავის უფლებას. ამას მოსდევს
აშოტის დამარცხება ბრძოლის ველზე. საზოგადოდ, ვ. ბარ-
ნოვის აზრით, ადამიანები გაორებული არიან — საქმიანო-
ბით, შოვალეობით და შინაგანი ინტიმური სულიერი სამყა-
როთი: „ადამიანის არსება ორად არის გაყოფილი, ორ
სხვადასხვა პიროვნებად. ერთად ცხოვრობენ განუყოფლად
ის ორნი, მაგრამ თავთავიანთი სარბიელი აქვთ ცხოვრებისა“
(„ტრფობა წამებული“). პიროვნული კონფლიქტიც ამის მი-
ხედვით ისახება და ვითარდება. ასეა ეს „ტრფობა წამებულ-
ში“, ასევეა „მიმქრალ შარავანდედში“.

„ტრფობა წამებულიდან“ ჩანს, რა დიდი საზოგადოებრივი
მნიშვნელობის ფუნქცია აქვს დაკისრებული გრძნობას „შენ არ
იცი, რომ შენს ხელშია ჩემი გულიც და ჩემი ბედიც: მთელი
საქართველოს მომავალი სიკეთეც“, ასე მიმართავს შუქიას
აშოტი. ვასილ ბარნოვს ოსტატურად აქვს გამოყენებული
სიყვარული ასკეტიზმის, ხორციელ გრძნობათა უარყოფ-
ფელთა წინააღმდეგ. რომან „ტრფობა წამებულში“ ერთ-
ნაწილად უპირისპირდება ხორციელი, ადამიანური, ბუნე-
ბრივი გრძნობა და ეს ასკეტური, სულიერი სიყვარულის საე-
კლესიო მოძღვრება. ვ. ბარნოვის აზრით, ულამაზესი გრძნო-
ბა ამქვეყნად არის გრძნობა სიყვარულისა. მწერალი არ
თანუგრძნობს ასკეტ გრიგოლს, რომელიც ხელოვნურად
კლავს სიყვარულის გულწრფელ გრძნობას, ხელს კრავს თე-
ბრონეს ანთებულ მხურვალე სიყვარულს ვაჟკაცისადმი, ახო-
ვანი გრიგოლისადმი. ვ. ბარნოვი არ ღალატობს ისტო-
რიულ ფაქტებს: გრიგოლ ხანძთელი, რომელსაც დაუგ-
მია ხორციელი სიყვარულის, ეს ნამდვილი და ბუნებრივი
გრძნობა, არ არის თავისთავად დიდბუნებოვანებას მოკლებუ-
ლი პიროვნება. მაგრამ მკითხველი ადვილად შეამჩნევს, რომ

მას აკლია ის სრულყოფილება, რაც აშოტ კუროპალატს და შუქიას აქვთ. ასკეტი გრიგოლის შთაგონებით ადამიანური სურვილების დაგმობამ, ხორციელი გრძნობის დათრგუნვამ გრიგოლისადმი ეროტიკული გრძნობით აღტაცებული ქალი თებრონია აქცია კაცთმოძულე, მრისხანე, შურისმაძიებელ ბოროტ ადამიანად, რაც მან შუქიას წამებაში გამოიჩინა.

„ტრფობა წამებული“ შთაგონებულია ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი შესანიშნავი ძეგლის—„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებით“. მათ შორის პირდაპირი ლიტერატურული პარალელები არსებობს. უფრო მეტიც: ბარნოვის რომანი ბევრ შემთხვევაში პასაჟების მიხედვით მისდევს ამ ძეგლს, მიუხედავად ამისა, „ტრფობა წამებული“ სრულიად დამოუკიდებელი, ორიგინალური ნაწარმოებია. ვ. ბარნოვს აქვს თავისი პრინციპი, თავისი მიზანსწრაფვა, თავისი ლიტერატურული კონცეფცია. ეს ორიგინალური კონცეფცია მწერლისა ეყრდნობა არა სარწმუნოებრივ ასკეტიზმს, არამედ „სასწაულებზე სახიერებას“ ბუნებრივი გრძნობისა, სიყვარულისა, რომელიც ბარნოვს კეთილის, თვით ღვთაების სახიერებად მიაჩნდა. თვით სიყვარული აქ გამითიურებულია. ეროტიკული ვნებანი, ადამიანური სიყვარულის გრძნობით დაჯილდოებული უყვარს მწერალს. საკუთარი პოზიციების ბრწყინვალე დაცვა მოგვცა მან ამ რომანშიც.

ვასილ ბარნოვი მრავალი ისტორიული რომანის ავტორია. გარდა ჩვენ მიერ ზემოთ გარჩეული რომანებისა, უნდა მოვიხსენიოთ „ხაზართა სასძლო“, რომელშიც ნაჩვენებია ქართველთა ბრძოლა არაბებისა და ხაზარების წინააღმდეგ. „განგების რკალში“ სადაც ავტორს გიორგი სააკაძის ტრაგიკული თავგადასავალი აქვს აღწერილი და „ცოდვა სიკბაბუკისა,“ სადაც მოცემულია დავით აღმაშენებლის გმირული ბრძოლა თურქ დამპყრობთა წინააღმდეგ. აქვე უნდა მოვიხსენიოთ ისტორიული რომანი „პირიმზე“, სადაც აღწერილია თამარის მამის გიორგის მეფობის უკანასკნელი წლები და თამარის გამეფების პირველი წლები. „თამარ მრწემში“ დასურათებულია XIII საუკუნის საქართველოს მდგომარეობა.

მონღოლთა შემოსევის შემდეგ დასუსტებულ საქართველოს

დანაწილებულ სამთავროებს შორის ატეხილი შუღლი, სამეფის-კარო ინტრიგა შესანიშნავად არის ამ ნაწარმოებში მხატვრულად განსახიერებული. ლაშა გიორგის შემდეგ დროებით გამეფდა მისი და რუსუდანი. ლაშას კანონიერი მემკვიდრე დავითი ჯერ კიდევ მცირეწლოვანი იყო და ამიტომ სახელმწიფოს მართვა ლაშას დას რუსუდანს დაეკისრა. რუსუდანს ჰყავს შვილი, რომელსაც აგრეთვე დავითი ჰქვია. ის განიზრახავს, გაამეფოს საკუთარი შვილი და კანონიერი მეფის ძე დავითი ჩამოიცილოს. რუსუდანი ტახტის პრეტენდენტს, დავითს, დააბეზღებს სულთანის წინაშე, რომელსაც ცოლად რუსუდანის ქალიშვილი თამარი ჰყავს. რუსუდანი ატყობინებს სულთანს, თითქოს თამარსა და დავითს შორის რომანული ურთიერთობა არსებობდეს. სულთანი დასჯის უდანაშაულო დავითს. ბარნოვი ოსტატურად აღწერს იმ ჯოჯოხეთურ სასჯელს, რომელიც დავითს გადახდა და რაც ეგზომ დამახასიათებელია თურქ და სპარს დამპყრობთათვის. სიკვდილმისჯილ, ციხეში გამომწყვდეულ დავით ლაშას ძეს მხსნელად მოევლინება გიორგი რუსის რაზმისაგან შემთხვევით დარჩენილი მოხუცებული რუსი კაცი, იგი გადაარჩენს ტახტის კანონიერ მემკვიდრეს. ხალხი იგებს ამ ბოროტმოქმედებას, შესთხოვენ სულთანს, გაათავისუფლოს უდანაშაულო ადამიანი. განთავისუფლებული დავითი საქართველოში ბრუნდება. ახლა ტახტს ორი პრეტენდენტი ჰყავს. აღმოსავლეთ საქართველოში გამეფდება დავით ულუ, დასავლეთში — დავით ნარინი.

იწერალი ამ ნაწარმოებში ისტორიული რეალიზების დიდი ცოდნით დამაჯერებლად ხატავს იმდროინდელ საქართველოს სურათს: სამთავროებად დაყოფილ საქართველოს, ამ სამთავროებს შორის წინააღმდეგობასა და კინკლაობას, ძმათა სისხლისმღვრელ ომებს. ამ მხრივ ნაწარმოები განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს.

ეს რომანი მწერლის მოღვაწეობის საბჭოთა პერიოდს განეკუთნება. აქაც და სხვა ნაწარმოებშიაც, რომლებიც ჩვენს დროს არის გამოქვეყნებული, ავტორი ავლენს საბჭოთა მწერლის პოზიციას ისტორიული მასალისადმი დამოკიდებულებაში.

ჩვენს ლიტერატურაში ვ. ბარნოვი წარმოდგენილია უმთავრესად. როგორც ისტორიული რომანების ავტორი და თითქმის ნაკლები ყურადღება ექცევა მისი მოთხრობების შესწავლას, ნამდვილად კი ვ. ბარნოვის შემოქმედების გათვალისწინება მთლიანობაში შეუძლებელი იქნებოდა, თუ ყურადღების გარეშე დაეტოვებდით მის მოთხრობებს.

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, თითქოს ვ. ბარნოვს მხოლოდ გარდასული დრო იზიდავდეს და მის თავგამოდებულ იდეალიზაციას ეწეოდეს; თითქოს ვ. ბარნოვი წარსულის ყოველ ნივთს იდეალიზებულად ხატავს. ასეთი განსაზღვრა ვ. ბარნოვის შემოქმედებისა, კერძოდ მოთხრობებისა, საქმის ნამდვილ შინაარსს არ გამოხატავს. ეს შეხედულება ერთგვარ გაუგებრობაზეა აგებული. ამ გაუგებრობის სათავეა ბარნოვის საინტერესო მოთხრობა „არქეოლოგიური ნაშთი“.

ამ მოთხრობაში ვ. ბარნოვი მართლაცდა დიდი თანაგრძნობით ხატავს იმ ადამიანს, რომელსაც განსაკუთრებული სიყვარული აქვს წარსულისადმი. მართალია, იგი ამ გმირს დიდი სიმპათიით ეპყრობა, მაგრამ მაინც როდი თანაუგრძნობს მას მთლიანად. ნაწარმოების მთავარი გმირია არქეოლოგიური ნაშთების მოტრფიალე პეტრე. იგი ამბობს:

„— მიყვარს ბაზარში სიარული, თვალიერება. ჩემი გასართობი ეს არის. ახალ ბაზარში, არა, ევროპიდან გადმორგულ მაღაზიებში. იქ არაფითარი საქმე არა მაქვს. ძველ ქუჩებში, ძველ ღუქნებში. შეხვდები იქ ხარახურაში ნივთს უწინდელს თუ ნივთის ნატეხს. თვითელი ძველი ნაშთი გაიმბობს თავის თავგადასავალს.

გიაიმბობს?!“

— გეტყვის წარსულს: რამდენი თაობა გამოუვლია, რამდენჯერ დაჰხმარებია ადამიანს ძველ სიცოცხლეში, ბოლოს მოაქლებულ-მივიწყებული გამოსულა ბაზარში ნაწინვე ავეჯთან ერთად, რომ გაყიდულიყო ფარად თუ მარჩილად.

და ეს თვალსაჩინო ნივთი უბრალო ღუქანში...

— დაქანგებულ რკინეულობით სავსე მაგიდაზედ ფარდულ ქვე...“

მეორეგან პეტრე თავის ოცდაათი წლის ცხოვრებას, რომელიც მან არქეოლოგიური ნივთების მოგროვებას შესწირა, ისე აწეული ტონით ყვება: „უსათუოდ უნდა გავიმრავლო არქეოლოგიური ნაშთები, ავწერო, დავალაგო ისე, რომ თვითეული ჯგუფი ახასიათებდეს თავის ხანას, ეს ნაშთები აღადგენენ ძველისძველ წარსულს ჩვენის ერისას, გვიამბობდნენ მის ისტორიას... და საზოგადოდ საქართველო მთლიანი არქეოლოგიური მუზეუმი გახლავთ...“

ვ. ბარნოვი დიდი თანაგრძნობით ეკიდება ამ ძველის მოტრფიალე პეტრეს, და არც შეიძლება სხვანაირად, რამდენადაც თვითონ ვ. ბარნოვი იყო წარსულის დიდი მოტრფიალე. მაგრამ უნდა შევნიშნათ, რომ ამ მოთხრობაში ვ. ბარნოვი არ იზიარებს პეტრეს პოზიციას. მწერალი პეტრეს ინტერესებს ცალმხრივ გატაცებად მიიჩნევს.

„—არ შომწონდა პატივცემულთ საუბარი, მეტად ცალმხრივი: მათთვის რომ დაგეჯერებინათ, ამ ქვეყანაში ყოველი კარგი მხოლოდ ძველისძველი ზოინახებოდა, უკვე გარდასული. რათაო? ბევრი იყო იმედიანი ახალი ნერგი. ნორჩი, ხასხასი; ღირსი მეტი ყურადღებისა“. აქ ნათელია ვ. ბარნოვის პოზიცია. ავტორისეულ რემარკაში გარდასულისადმი ცალმხრივი გატაცება უარყოფილია. შემდეგ თვით ნაწარმოების („არქეოლოგიური ნაშთი“) კომპოზიციური განვითარებაც ავტორისეულ რემარკას მიჰყვება. არქეოლოგიური ნაშთებით გატაცებული პეტრე ცხოვრებაში ხელმოცარული კაცია. მას ოდესღაც თურმე სატრფო ჰყავდა. ახლა იგი მონაზვნის როლში შეხვდება უკანასკნელად თავის ძველ მიჯნურს, პეტრეს. იგი სინანულით იგონებს და თავს დამნაშავედ თვლის ამ რომანის ჩაშლისა გამო. მწერალი მოთხრობის ფინალში კიდევაც ათქმევიანებს ნაწარმოების გმირს ერთგვარ აუგს თავისი პროფესიისადმი. თუმცა აქვე შენიშნავს ბარნოვი: „ისევე მოიბრუნებს მეგობარი გულს ძველმანებისაკენო“. ამგვარად, ვ. ბარნოვს წარსულის ნაქუქში ჩაკეტილი ადამიანი სრულფასოვან პიროვნებად არ მიაჩნია.

თუ კრიტიკულად დავაკვირდებით, ვასილ ბარნოვის მოთხრობებში თემატიკურად ორ მოტივს შევამჩნევთ: ერთია წარსულის ამსახველი სურათები, მეორე კი—თანამედროვეობის მწვავე, სოციალური საკითხები.

განვიხილოთ ამ თვალსაზრისით ბარნოვის მოთხრობები.

გარდასულ დროთა იდეალიზებული სურათია მოცემული ვ. ბარნოვის მოთხრობაში—„გასკენილი სიმი“. მისი მთავარი გმირია ვილაც მათხოვარა მუსიკოსი, რომელიც თარზე უკრავს ძველისძველ სევდიან სიმღერებს. ეს სევდიანი ხმა იზიდავს ახალგაზრდა დათიკოს (ამ მოთხრობის მეორე გმირს), ის, ამ სევდიანი ხმით მოჯადოებული, შენიშნავს, რომ თარს სიმი გაწყვეტილი აქვს, გასკენილი სიმი კი უფრო სევდიანად და საცოდავად ჟღერს. გადაწყვეტს, უყიდოს სიმი ამ მუსიკოსს და კიდევ შეასრულებს თავის განზრახვას, მაგრამ, როცა დააქტერდება მემუსიკეს, იგი მისი ძველი მეგობარი აღმოჩნდება. შემდეგ ისინი ხშირად იკრიბებიან ერთად, იგონებენ წარსულ დროს და გულს სევდიანი სიმღერებით იოხებენ. ასეთია ამ მოთხრობაში გადმოცემული ამბავი.

ძველი თქმები, ძველი ზმები, საარშიყო ლექსები, ძველებური ამბები აგონებენ ამ მოთხრობის გმირებს გარდასულ დროს. გარდასული სურათები ცოცხლდებიან მათს გონებაში. „ახ დრონი, დრონი, წარსულის დრონი“, რომელსაც მემუსიკე სვიმონი სევდიანად ამღერებს თარზე, უღვიძებენ მათ ძველ სახეებს, იძვრიან, ცოცხლდებიან, თვალწინ მეორედებიან უწინდელი ამბები. უფრო კი სევდიანს მოგვითხრობენ, გვიმღერებენ, გვეუბნებიან“. ამიტომ არ არის შემთხვევითი, რომ ამ ნაწარმოების მთავარი გმირი, დათიკო, წარსულის სურათებით ცოცხლობს. იგი თბილისის ძველი უბნებისა და ვიწრო ქუჩების ხშირი სტუმარია. „ამისთანა მდგომარეობაში მე ისინი ვიწრო ქუჩები მირჩევენია, ქუჩაბანდები, ძველ ნანგრევებზედ შიგადაშიგ დაშენებული ახალი ქოხები; თუნდ ხარფუხის ქუჩა-ბილიკნი, სადაც სხვის ეზო თავის ზესვლაში თავს წასდგომია სხვა სახლის ბანსა, სარდაფი დასწორებია სართულს მეორეს. არ გინდა ისანში, აღარც ხარფუხში, თუნდ ჩულურეთში? მაშ ანჩხატისკენ, ან გარეთუბნის ვიწრო ქუჩებში, თუნდ მთაწმინდაზედ, ოლონდ სულ ზევით, განაპირებში...“

ნალარ-ნალეწი სავალი ძნელი, მიყრილ-მოყრილი ბუნაგ-ბინები, კაცთა საჯგუფო რამ ყორეები... ყველა თაობას სო-რო მიუდგამს წინაპართ სადგომისათვის, ყუდე რომ მიუშე-ნებია წარსულთ ბუნაგზედ. იქ ყველა შუკა თუ ქუჩაბანდი საესეა ხალხით, კაცთ ნალექის სიმრავლით უამრავით; გარდა-სულ ხალხითაც აღსავსეა ძველის-ძველითა. ვის არ შეხვდები! ოლონდ კი თვალნი გესხეს ხედვად სხვებისა, ხილვადაც აჩრ-დილთა; ყურნი გქონდეს ხმათა სასმენლად, შორეულ სიტყვა-თაც სულ უწინდელთა. რამდენ გარდასრულს მოსწყენია ბნელ აკლდამაში ყოფნა განმარტოვებული და გამოსულა თავის სახლისა თუ ქუჩა-უბნის დასახედავად...

— ვერა მხედავენ იგინი: თვალნი სივრცისაკენ აქვთ მი-ქცეულნი.

— მისთვის ხარ მარტო კაცთაგან სავსე არემარეში; მის-თვის დუმილად გესახება ხმათა სიმრავლე. და თუ მოგსურდეს, მოუწოდე მათ, გაეხმაურე. შედგებიან, მოგხედავენ, აგჩქამდე-ბიან.

— მეტყვიან რასმე?! ახალს, ძველებურს...

— არ დაჰვიწყებიათ საუბარი. კიდევ გიმღერებენ. ოლონდ კი თავისად გიცნან შენ, უცხო სახით მოვლინებულო, მათ-თვის მთლად უცხო მოხაზულობით*.

ასეთი სიყვარულით გამოხატა ვ. ბარნოვმა გარდასული ცხოვრების სურათები მოთხრობების ერთ ჯგუფში. ასევე უმღერა მოთხრობებშიც სიყვარულის ძლიერ ჰიმნს, ვითარ-ცაა უზენაეს არსს*.

სიყვარულში თვით უზენაესი არსია, ბარნოვის აზრით, გა-მოხატული, სიყვარული სიცოცხლის საფუძველია, იგი გან-ხორციელება იმპერსონალური სიმშვენისა, სიტკბოებისა. ადამიანი დაუცხრომლად მიისწრაფვის ამ მიზნის მიხალწე-ვად, ყოველგვარ დაბრკოლებას ებრძვის. ეს გრძნობა ხში-რად ქვეცნობიერია, ხშირად კი გამჟღავნებული და საცნაური. „ტკბილ დუდუკში“ სიყვარული სწორედ ქვეცნობიერ გრძნო-ბას წარმოადგენს. ადამიანების ერთი სქესი მეორეს შესტრფის,

* გ. ჭიჭიძე, ვასილ ბარნოვი.

შესტრფის ხშირად შეუცნობლად, უნახავად, ისინი ერთმანეთი-საგან დამოუკიდებლად გრძნობენ, განიცდიან და, როგორც არ უნდა იყოს შემზღუდველი გარემო, შემაფერხებელი ელემენტი, ისინი ბოლოს და ბოლოს ერთმანეთს იპოვნიან, მართალია, ხშირად დაგვიანებით, მაგრამ მაინც ამ შეხვედრაში გამომჟღავნდება ადამიანის სულის მსგავსება, რაც ხშირად გამოხატულია ძველ ნივთში, საგანში, ხმაში. ასე ხდება ეს „ტკბილ დუდუკშია““. სიმღერები, სევდიანი ხმა და კილო ჩააგონებს მიხას, რომ არსებობს ვიღაც, ვისაც იგი უთუოდ შეხვდება, და ასეც ხდება ეს მოთხრობაში, მიხა პირველსავე შეხვედრის დროს უცხო ქალის წინ აცხადებს, რომ ეს მისთვის დანიშნული ქალია, ქალი უფრო გვიან გაიგებს ამ ღრმად დაფარულ გრძნობის აზრს და ასე იღუმალ ბედის გადაწყვეტილებაში მზადდება შემდეგ ის ტრაგედია, რომელსაც აღწერს მწერალი ამ ნაწარმოებში.

გარდასული ცხოვრების იდეალიზაციაა მოცემული მოთხრობაში „სადედოფლო სარტყელი“. აქ წარსული ანტიკვებულური და გაცოცხლებულია ძველისძველი ნივთის — დედოფლის სარტყელის თავგადასავალის თხრობის ფონზე. დედოფლის სარტყელი, რომელიც ახლა გასაყიდად ძვეს სადღაც დუქანში, ამ მოთხრობის გმირს, სოფელ ბიჭს გოგიას, თურმე მისი ყოფილი ბატონის ქალიშვილისათვის, დედოფლისთვის შემოურტყამს გათხოვების ცერემონიალის დროს. გასაკვირი ის არის, რომ გოგია აღტაცებული იგონებს ამ „ლამაზ და ბედნიერ დღეს“, ის გოგია, რომელსაც მთელი თავისი ჯანი და შრომა „ტვირთბივე უღლის ქვეშ გაუტარებია“.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ვასილ ბარნოვის ეს ყველაზე უფრო სევდიანი მოთხრობები, სადაც წარსულის აშკარა იდეალიზაციაა მოცემული, დაწერილია მენშევიკების უღლეური ბატონობის დღეებში. ამ ძველი ნივთების აღწერას ავტორის ასეთი რემარკა მოსდევს: „იცი შენ, რა ღვარმაც გამოიტანა ეს მძიმედ დაცული სიმდიდრე სალაროებიდან და დუქანში გამოორიყა“ ასეთი ძალა მოიპოვა მკადმა ველარაფერი გაუმაგრდა მას. ცხრაკლიტული რკინის კარებები ჩალეწა მისმა ძლიერებამ. წამოაცარიელა ურყეველი საუნჯეები“. ასეთ დროს

ვ. ბარნოვი უფრო მწვავედ განიცდიდა ამ გარდასულ სურათს, რადგან მისთვის მომავლის ძალები, მეოცე საუკუნის ცხოვრების ურყევი ბურჯი—მუშათა კლასი და მისი მეთაური—ბოლშევიკური პარტია, გზა რევოლუციისა სავსებით ნათელი და გასაგები არ იყო. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ვ. ბარნოვს ყურადღების გარეშე მთლიანად როდი დარჩა რევოლუციის ამბები. ამ მხრივ საინტერესოა მოთხრობა „ფარჩის ახალუხი“.

„ფარჩის ახალუხის“ თემა 1905 წლის რევოლუციის ხანას შეეხება. ამ მოთხრობის მთავარი გმირი გიორგი მწერალმა რევოლუციონერის როლში გამოიყვანა. მართალია, ვ. ბარნოვმა მდგომარეობის სწორი შეფასება აქ სავსებით ნათლად ვერ მოგვცა, მაგრამ მთავარი ისაა, რომ რევოლუციამ გაულტრმავე მას სოციალური, კლასობრივი გრძნობები და ამ მოთხრობაში ყველაზე ნათლად, გარკვევით გამოვლინდა კლასობრივი ცხოვრების მძაფრი სურათები.

მოთხრობის შესავალში მწერალი აღწერს იმ სოციალურ უთანასწორობას, რომელსაც ადგილი აქვს ცხოვრებაში. ერთი მხრით, აქ წარმოდგენილია მდიდარი ვაჭარი გულცივაძე—გულქვა, ზვიადი, უღმობელი და გაუმაძღარი ადამიანი, რომლის შესახებ მწერალი ამბობს: „მიისწრაფოდნენ იგინი ცხოვრების შარაზე და ჰქელამდნენ გზაზე სუსტთა და უძლურთ. ბეჩავთა გმინვა საამო ღიღინად მოესმოდა მათ და სიხარულს აღვივებდა მათ გულში. ჩაგრულთა კენესა ნიშანი იყო ზვიადთა აღორძინებისა, რადგან მათი კეთილდღეობა დამყარებული იყო ბეჩავთა უბედურებაზე, მათი ბედნიერების ყვაველი ირწყობა ტვირთმძიმეთა ცრემლით და იფურჩქნებოდა“. გულცივაძეების აღვირაბსნილობის, გამდიდრების მსხვერპლი გახდა დაბეჩავებული მეზობელი ქვრივის სალომეს ოჯახი, რომელსაც იხსნის გიორგი. ამ სოციალურ მძაფრ კონტრასტს აქ მოსდევს 1905 წლის რევოლუციის სურათის აღწერა. დაიწყო მოძრაობა. ხალხის მღელვარებამ გაიყოლია მუშა გიორგიც. „გიორგიმ მხურვალე მონაწილეობა მიიღო ერთობაში, რომლის დროშაზე ძმობა ეწერა. იმედინად იყო გიორგი, წამდა, რომ უკეთესი დრო დადგებოდა და მის მშრო-

მელ მარჯვენას ღირსეულად დააფასებდნენ“. მაგრამ მოძრაობა არ გამართლდა და რეაქციამ „მისი ოჯახიც დააქცია“. გიორგი შორეულ ციმბირში გადაასახლეს, მაგრამ ნიჭიერი კალატოზი გადაურჩება ციმბირის სუსხს და თავის სამშობლოში ბრუნდება.

სოციალური ხასიათისაა ვასილ ბარნოვის მეორე მოთხრობაც — „ხურდა“. იგი ბატონყმობის გადავარდნის პირველი წლების სურათს გვიხატავს. ბატონყმობა უკვე მოსპობილი იყო, თუმცა ძველი მებატონეების კეთილშობილებას ფერი ჯერ კიდევ არ გახუნებოდა, „პეწი არ შეშლოდა“. მათ ჯერ კიდევ „მალლა ექირათ თავი და ზევიდან დასცქეროდენ ნაყინევ გლეხებს“, ასევე იქცეოდა ამ მოთხრობის მთავარი გმირი ვახტანგ ბატონი. „იგი ჯერ აბრუს არ იტებდა, თავისას არ იშლიდა და უწინდებურად სიამოვნების ტბაზე დასცურავდა უდარდლობის თუ უზრუნველობის ნავით. გრძნობდა კი, კიდევ ხედავდა, რომ ფეხქვეშ ნიადაგი გამოსცლოდა და უფსკრულისაკენ მიექანებოდა“.

სამაგიეროდ, მდაბიო ხალხს თავისუფლება მინიჭებოდა, ხელ-ფეხი გახსნოდა, წელში გამართულიყო და უკვე იბრძოდა განთავისუფლებულიყო მონობისაგან. მშრომელ ხალხს ნაანდერძევი შრომის უნარი და მხნეობა წაემძღვარებინა წინ. ვ. ბარნოვი კარგად არჩევს იმ ახალ ურთიერთობას, რომელიც ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ შეიქმნა: ზოგი ყოფილი ყმა დაწინაურდა; ამ დაწინაურებული გლეხისა და დაკნინებული ყოფილი ბატონის ურთიერთობა კარგადაა გამოხატული ამ მოთხრობაში. ვახტანგის შვილი ლევანი მესამე კლასიდან გამოორიცხეს, მაგრამ მან ეს არაფრად ჩააგდო, ჩაიცვა წითელი ჩოხა-ახალუხი, აისხა იარალი, დაიხურა ფაფახი, მოახტა მერანს და გაუტია, დაქროლავდა ხან აღმა, ხან დაღმა. სულ სხვა გზას გაჰყვა ბატონიშვილის ყოფილი ყმის ნოდარ ნაირაძის შვილი ილიკო. მან სწავლაში მუყაითობა გამოიჩინა. საუკეთესო შეგირდად ითვლებოდა და აი, მწერალმა ილიკოსა და ლევანს შორის არსებულ გამძაფრებულ კონფლიქტში აჩვენა ბატონყმობის შემდეგდროინდელი სოფლის ცხოვრება. ლევანს თავი იმით მოაქვს, რომ

ბატონიშვილია. „ტეტია ლევანს“ არაფრად აგდებს. ილიკო მას მიმართავს: „დღეს აღარავის აქვს უფლება გლეხკაცს მონა დაუძახოს და ტეტია“, ეს მაშინ, როცა ლევანმა დააყვედრა: „შე ტეტიავე, დიგავიწყდა, რომ გუშინ მონა იყავ ჩვენი?“ მაგრამ ცხოვრებამ თავისი გაიტანა. ბატონიშვილებს უმძიმდათ საძირკველშერყეული ოჯახის რჩენა, „საქმის უკადრისობა, უთაობა, თავისუფალ დროს ჩახშობა ბანქოში და ყოველგვარ ქეიფში...“ აი ესაა ბოლო ბატონიშვილებისა და მათ რიცხვში ლევანისა. სამაგიეროდ, შრომამ, და გარჯამ გამარჯვება არგუნა ილიკოს. მოთხრობის ფინალში მწერალი გვიხატავს განწირულ ლევანისა და გამარჯვებულ ილიკოს შეხვედრის მეტად საინტერესო სურათს.

ბარნოვის მოთხრობათა ერთი ჯგუფი შეეხება ძველი თბილისის ყოფითს სურათებს. ამ მხრივ ყველაზე საინტერესოა პატარა მოთხრობა „ამქრის ჩვენება“, სადაც ავტორი გვისურათებს ამქრის ოჯახის მორალურ სიწმინდეს, რაინდულ ადათებს და ყოველივე ამას უპირისპირებს ჩარჩულ ევროპულ მორალს და ადათს. ამქართა რაინდული მორალის ტიპური გამომხატველია ამ მოთხრობაში პაატა. მაგრამ მწერალი ხედავს, რომ ამქრის ოჯახიც გაბზარულა. პაატას ქალიშვილი ანიკო ახალ მოდებს აპყოლია. მან კინალამ იმსხვერპლა ოჯახის პატიოსნება და ნამუსი, მაგრამ გადაარჩინა პაატას ერთგულმა შეგირდმა, ანიკოს მოტრფიალე ხელოსანმა ვანომ.

ვასილ ბარნოვს წრფელი გულით უყვარდა ეს ხელმართალი და გულმართალი ქალაქელი ხელოსნები: ამქრები, ოსტატები და შეგირდები. ეს ზნეობით მაღალი, დარდიმანდი ვაჟკაცები შრომისმოყვარული ადამიანებია. მათი შრომა უანგაროა, მათი სიყვარული უზადო. აქ ანგარიშს ადგილი არსად არა აქვს. ასეთი უანგარო სიყვარულით უყვარს ხელოსან ვანოს ანიკო („ამქრის მშვენება“), ასევე უანგაროდ უყვარს ხარატ ილოს ანა („ხარატი“). ამ უანგარო შრომისმოყვარე ადამიანებს დაუპირისპირა ვასილ ბარნოვმა ვაქრუჯანული ამორალიზმი და ანგარიშიანობა ახლად გაჩენილი კაპიტალისტებისა. ვაქრებს ფულის უნდათ იყი-

დონ ისეთი წრფელი გრძნობა, როგორც სიყვარულია, ღარიბ თებერაზე დანიშნული ეონა ფულის ძალით იმსხვერპლა ვაჟარმა („თებერას დანიშნული“). ფულით უნდა შეისყიდოს ლამაზი, ხელოსნის ქალიშვილის თინანოს გული ვაჟარ მილუასაც („ისნის ცისკარი“). ვ. ბარნოვს ჭირივით სძულდა ეს ვაჟარუკანა, გულღვარძლიანი ადამიანები. მწერალმა ვაჟართა კლასის მტაცებლური და ბოროტი ხასიათი გამოსახა უაღრესად მძაფრ სოციალურ მთხრობაში, რომელსაც „გველების ზეიმი“ ჰქვია. ვაჟარი პეტრე მწერალმა უხამიან გველს შეადარა და ამით ხაზი გაუსვა კაპიტალიზმის მტაცებლურ ბუნებას. ვ. ბარნოვს მოქალაქეთა შორის ყველაზე უფრო ხელოსანთა წრე უყვარდა და ამავე ძალით სძაგდა ახალი დროის მტაცებლები, ვაჟრები.

XX საუკუნის ქართულ პროზაში ვ. ბარნოვი გამოირჩევა თავისი დამოუკიდებელი, ორიგინალური პოეტური სტილით. ამ მხრივ იგი უაღრესად ორიგინალური მწერალია, ეს ორიგინალობა პირველად ყოვლისა უნდა ვეძიოთ ვ. ბარნოვის რიტმულ პროზაში.

ვასილ ბარნოვს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ჩვენს ლიტერატურაში, როგორც რიტმული პროზის ოსტატს. ბარნოვის პროზა ხშირად გართიმულ ლექსს უახლოვდება.

აი, რიტმული პროზის ერთი მაგალითი „არმაზის მსხვერვიდან“:

„ვერ შევინახა, მაინც ხომ დაგპრეს.

— არ გაახარებს მებრძოლ ვაჟკაცს, გამოვიდეს დიდ ომიდან მთლად უვნებელი.

არ ხერხდებოდა გაბმული სიტყვა, ნაწყვეტს იტყოდნენ. რა საჭირო იყო?! უსიტყვოდაც უმღეროდნენ ერთუროს ქალ-ვაჟნი...

— მისთვის ჩააქრო მზის ანთება თვის პირის ქარით.

— სინანული!

— შესაწირავი!

— უარყოფა უცხო სჯულისა!

— განიღვენონ ქვეყნიდან ქრისტეს ქადაგნი!

— მეფე ბატონი!

— სად არის მეფე?

— თუ დაემართა უბედობა მას ულრან ტყეში?

კაცნი აფრინეს. თვით გაბრძანდა დედოფალი შესაგებებლად. მოსდევდა ხალხი, მანდილოსნობა. ხვარამზე თრთოდა გაფითრებული.“

აღსანიშნავია ვასილ ბარნოვის ენისა და სტილის თავისებურება. განსაკუთრებით მდიდარია ლექსიკა. ოღონდ მის ენაში გვხვდება არქაული სიტყვიერი ინვენტარი, რაც უთუოდ ამძიმებს მწერლის მხატვრულ ქმნილებებს. არქაულია და რამდენადმე ხელოვნური მწერლის სინტაქსი, თანამედროვე სალიტერატურო ენისათვის შეუფერებელი კონსტრუქციები, რომლებიც, ლექსიკასთან ერთად, ბარნოვის მხატვრულ მეტყველებას თავისებურ ადგილს განუკუთვნებენ ახალი სალიტერატურო ქართულის ისტორიაში.

ანასტასია ერისთავ-ხოშტარია

ანასტასია ერისთავ-ხოშტარია ქართულ ლიტერატურაში არსებითად აკაკი წერეთელმა შემოიყვანა. აკაკის წარდგინებითა და რეკომენდაციით დაიბეჭდა 1893 წელს „კვალში“ მისი პირველი ორიგინალური მოთხრობა — „ბატონებმა არ დაიწუნეს“.

ანასტასია ერისთავ-ხოშტარია ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის დიდი ლიტერატურული სკოლის ტრადიციებზე აღიზარდა. კლასიკური პროზა არის მისი შემოქმედების სათავე. ანასტასია ერისთავ-ხოშტარიამ თავისებურად განავითარა კლასიკური ქართული პროზა და ასე მოგვევლინა როგორც დამოუკიდებელი და ორიგინალური მხატვარი.

ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას შემოქმედება ღრმა სოციალური ცვლილებებისა და დიდი გარდატეხების ეპოქაში მომზადდა და გაიშალა. ეს არის ოთხმოცდაათიან-ცხრაასიანი წლების ღირსშესანიშნავი ხანა. ცხოვრების ასპარეზზე გამოსულმა პროლეტარიატმა რევოლუციური მარქსიზმის დროშა აღმართა და მომავალი ბრძოლისათვის მზადება დაიწყო.

ანასტასია ერისთავ-ხოშტარია ბედნიერი მწერალია, რომელიც პროლეტარიატის ბრძოლის ნათლობას დაესწრო, მის დევგმირულ საბრძოლო გზას გამოჰყვა და გამარჯვებული საბჭოთა ქვეყნის ბედნიერებასაც შეესწრო. იგი მთელი ამ ისტორიული ბრძოლის დროს გვერდში ედგა თავის ხალხს და თავისი შესანიშნავი სოციალური მოთხრობებითა და რომანებით უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლის კეთილშობილურ გრძნობებს აღვივებდა. ანასტასია ერისთავ-ხოშტარია თავის საუკეთესო ნაწარმოებებში ამხელდა თავად-აზნაურთა მტაცებლურ სოციალურ ბუნებას, ამტკიცებდა მათი დაკნინებისა და დაღუპვის ისტორიულ აუცილებლობას. მწე-

რალი მხატვრულ სახეებში გამოსახავდა 90-იანი წლების გამ-
დაფრებულ სოციალურ ყოფას, მჩაგვრელი ძალების—თავად-
აზნაურობისა და თვითმპყრობელობის—წინააღმდეგ გლეხკა-
ცობის ბრძოლას, მზის სინათლეზე გამოჰქონდა რევოლუცი-
ამდელი სოფლის მანკიერებანი, უვიცობის, ძველი ადათ-ჩვე-
ვების, უმეცრებისა და ჩამორჩენილობის შემფერხებელი და
დამლუპველი გავლენა მშრომელი ხალხის ცხოვრებაზე.
კრიტიკული რეალიზმის მხატვრული პოზიციებიდან აკრიტი-
კებდა ანასტასია ყოველივე დრომოქმულსა და გარდასულს.
და მაინც ან. ერისთავ-ხოშტარიამ ვერ დაინახა ის მთავარი
ძალა—რევოლუციური მუშათა კლასი, რომელსაც უნდა გა-
დაეწყვიტა ხალხის მომავლისათვის ბრძოლის ბედი.

* * *

ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას ცხოვრებისა და მოღვა-
წეობის ქრონოლოგია მოკლედ ასე შეიძლება წარმოვიდგი-
ნოთ: დაიბადა იგი 1868 წ. 3 თებერვალს (ძველი სტილით)
ქალაქ გორში. მამამისი, გიორგი დიმიტრის ძე ერისთავი,
ჩვენს ისტორიაში ცნობილია „რუსეთუმეს“ სახელით. დედა—
ელისაბედ ზაალის ასული დავითიშვილი ბაგრატიონთა შთა-
მომავალი იყო. პატარა ანასტასია მშობლებს აღსაზრდელად
მიუბარებიათ დედის მშობლებისათვის სოფ. ფცაში, ზემო
ქართლში, ანასტასია ერისთავი ბავშვობიდანვე სოფლის
ხალხში ტრიალებდა. აქ გაცენო იგი საფუძვლიანად გლეხების
ცხოვრებას და შემდეგ თვალთ ნახული და ბავშვის მიერ
განცდილი შთაბეჭდილებანი მან მხატვრულ სიტყვაში გა-
აცოცხლა. 1881 წელს ანასტასია ერისთავი ამავე წელს გორში
დაარსებულ ქალთა პროგიცნაზიაში მიუბარებიათ. აქ ანა-
სტასიას მასწავლებელი იყო ჯერ რევოლუციონერ-ხალხოსანი
მიხეილ ყიფიანი, ხოლო მისი გადასახლების შემდეგ—ცნობი-
ლი მწერალი ნიკო ლომოური. ანასტასია ერისთავის აზროვ-
ნება გორში ჩამოყალიბდა. გორი ამ დროს ხალხოსნური
მოძრაობის ცენტრი იყო. ქართველი საზოგადო მოღვაწე-
ების და მწერლების ეს ჯგუფი, მიუხედავად მისი ნაკლისა და
შეცდომებისა, მიზნად ისახავდა „ხალხში გასვლის“ გზით

დახმარებოდა გლეხობას, რომელიც ამ პერიოდში ყველაზე მრავალრიცხოვანი დაჩაგრული კლასი იყო, ხელი შეეწყო მისი მდგომარეობის გაუმჯობესებისა, მისი გათვითცნობიერებისა და განათლების საქმისათვის. ეს იყო ამ ჯგუფის ოცნების საგანი, ანასტასია ერისთავი 1885 წელს ამთავრებს გორის პროგიმნაზიას და კვლავ უბრუნდება სოფელ ფცას.

„სასწავლებლიდან დაბრუნების შემდეგ,—წერს ანასტასია ერისთავი,—მე უფრო ნათლად დაეინახე რა უმეცრობაში და გაქირვებაში იმყოფებოდა სოფელი და განვიზრახე, რაც შევისწავლე, გადამეცა ადგილობრივი ახალგაზრდობისათვის“. აქ მან შეაგროვა სოფლის ბავშვები და მათთვის სკოლა გახსნა, იგი დიდი სიყვარულითა და მონდომებით ასწავლიდა არა მარტო ბავშვებს, არამედ გლეხებსაც, განსაკუთრებით კი დაბეჩავებულ და უუფლებო გლეხ ქალებს. ანასტასია ერისთავი სოფლის ხალხის ნამდვილი მზრუნველი და მასწავლებელი იყო.

1893 წელს სოფ. ფცას ესტუმრა დიდი პოეტი აკაკი წერეთელი, აქ გაიცნო და „აღმოაჩინა“ ეს მომავალი მწერალი აკაკი წერეთელმა. ახალგაზრდა ქალმა საყოველთაოდ სახელმძღვანელო მწერალს მოკრძალებითა და რიდით წაუკითხა თავისი ორიგინალური მოთხრობა „ბატონებმა არ დაიწუნეს“. აკაკის მოეწონა ახალგაზრდა მწერლის ნაწარმოები, თვითონვე წამოიღო ეს მოთხრობა და დააბეჭვდინა ქურონალ „კვალში“. 1897 წელს ანასტასია ერისთავი ცოლად გაჰყვა პოეტ დუტუ მეგრელს (დემიტრი თომას ძე ხოშტარიას). დუტუ მეგრელთან ერთად იგი იძულებული იყო საქართველოს გარეთ—ხან ყარსში, ხან ნახჩევანში, ხან ერევანში—ეცხოვრა; მხოლოდ 1910 წლის შემდეგ შეძლო დამკვიდრებულიყო ისევ ქ. გორში.

1913 წელს ანასტასია ერისთავმა თავის ინიციატივით დააარსა გორის ქართველ ქალთა საზოგადოება—„მანდილოსანი“. მან თვითონ წარმოადგინა ამ საზოგადოების წესდების პროექტი, სადაც მიზანი ამ საზოგადოებისა ასეა განსაზღვრული: „მანდილოსანის“ მიზანია—დაეხმაროს გაქირვებულ ქალთა, როგორც ზნეობრივად, აგრეთვე ნივთიერად.

„ნანდილოსანის“ მოქმედება—მოაწყოს სათანადო ნებართვი-სამებრ გამანათლებელი ხასიათის დაწესებულებანი: სკოლე-პი, საბავშვო ბაღები, კურსები, წიგნთსაცავები, სამკითხვე-ლოები, წიგნების გამოცემა და სხვ., გამართოს მოქმედ კა-ნონების დადგენილი წესისამებრ ლექციები, რეფერატები; საზოგადო კითხვები, შეძლებისდაგვარად აძლიოს ფულით წემწეობა, გახსნას სხვადასხვა სახელოსნოები“. ამ საზოგა-დობამ თავის დროზე დიდი როლი ითამაშა გორის ქართ-ველ ქალთა ცხოვრებაში.

ანასტასია ერისთავ-ხოშტარია გარდაიცვალა 1951 წელს.

ანასტასიას პირველ სამწერლო ცდა იყო რუსულიდან გად-ნოთარგმნილი ლეგენდა „ბესო“, რომელიც დაიბეჭდა 1885 წელს ჟურნალ „ნობათში“. ამ თარგმნელობითს ნაბიჯს მალე მოჰყვა მწერლის ორიგინალური ნაწერები: „პატარა ნუცას სათხოვარი“, „ბატონებმა არ დაიწუნეს“, „ლაზარემ გადა-აქარბა“ და სხვ. 1896 წლიდან ჟურნალ „მომამბეში“ დაიწყო ბეჭდვა ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას ცნობილი რომანისა— „მოლიპულ გზაზე“. ამ რომანმა დიდი ინტერესი გამოიწვია ბკითხველთა შორის. იგი ერთბაშად გახდა ლიტერატურის მოყვარეთა მსჯელობის საგანი. აკაკი წერეთელმა 1898 წელს თავის ჟურნალში—„აკაკის კრებული“ სპეციალური წერილი უძღვნა ამ რომანს.

* * *

ანასტასია ერისთავის ნაწერების მთავარი თემა რევო-ლუციამდელი სოფლის ცხოვრებაა. ძველი სოფელი თავისი სოციალური სიბეჩავითა და სიღუბეჭირით, ჩამორჩენილობითა და გაუნათლებლობით ასახა მწერალმა თავის შესანიშნავ მო-თხრობებსა და რომანებში. მის ნაწარმოებთა ცენტრში ყველ-გან გლეხკაცობა დგას. ან. ერისთავმა უფლებო, უმიწაწყლო ემამულეებისა და მეფის რუსეთის მოხელეების მიერ აბუჩად ავდებული, დაბეჩავებული გლეხკაცის ცხოვრება უდიდესი თანაგრძნობით, სიმპათიითა და სიყვარულით დახატა. სოფ-ლის ხალხის ამ დიდ სოციალურ უბედურებას ზედ ემატებო-და ხალხის ჩამორჩენილობა, უმეცრება, ცრუმორწმუნეობის

საშინელ წყვდიადში ცხოვრობენ და იღუპებიან ანასტასია ერისთავის პერსონაჟები. ამ სოციალური და სულიერი ყოფის ნიადაგზე შექმნილი ცხოვრების ტრაგედია არის ანასტასია ერისთავის შემოქმედების მთავარი თემატა და ატმოსფეროც. და აქ ანასტასია ერისთავი ცხოვრების ისეთ ცოდნას იჩენს, ისეთი ოსტატობით, მრავალფეროვანი პოეტური საღებავებით ხატავს სურათს, რომ ეს სურათები ახლაც ინარჩუნებენ დიდ ემოციურობასა და მხატვრულ ეფექტს.

ერთი შეხედვით, თემატიკურად ანასტასია ერისთავი არ იყო ახალი მოვლენა ჩვენს მწერლობაში. მისი პროზის ძირითადი მოტივები ქართველი ხალხოსნების—ნიკო ლომოურის, სოფრომ მგალობლიშვილის და, განსაკუთრებით, ეკატერინე გაბაშვილის ნაცნობ და საკმაოდ გადამღერებულ ხმას გვაგონებდა. მაგრამ ჩვენმა მწერალმა მთელი ეს მოტივები ისე ახლებურად და ორიგინალურად ააწყო, რომ მისი ნაწერები სრულიად განსხვავებულ ადგილს იჭერენ ჩვენს ლიტერატურაში.

* * *

ანასტასია ერისთავის სოციალური ხასიათის მოთხრობებს შორის, პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს მოთხრობები „მიწა“ და „კამისია“. აქ ავტორი ამყლავნებს გლეხის სოციალური ყოფისა და ფსიქიკის შესანიშნავ ცოდნას, იჩენს ღრმა დაკვირვებისა და მასალის მხატვრულად შეგროვების ნიჭს. ჩვენს წარმოდგენაში ცოცხლდება ნათელი სურათი „ერთი ნაჭერი“ მიწისთვის მებრძოლ, უუფლებო, დაბეჩავენულ გლეხთა ცხოვრებისა. აქ ავტორი არა მარტო აღწერს სურათს, არამედ ეძებს და აღმოაჩენს იმ მიზეზებს, რომლებიც გლეხის სიბეჩავესა და ღუხპირ მდგომარეობას ბადებენ. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა მოთხრობა „მიწა“. სახელგამის ერთ-ერთ გამოცემაში ანასტასია ერისთავ-ხოჭტარიას მოთხრობების კრებულს ამ მოთხრობის სახელი— „მიწა“ უწოდეს. და მართლაც, ჩვენი მწერლის მოთხრობების საერთო სულსა და განწყობილებას ეს ნაწარმოები ზედმიწევნით გამოხატავს. მოთხრობის აზრით, მიწა არა მარ-

ტო უბრალო აგრარული საკითხია გლეხისათვის, არამედ იგი გლეხის სიცოცხლის და სიხარულის, მისი სევდისა და მწუხარების სათავეა. გლეხი მთელი თავისი არსებით მიწასთანაა დაკავშირებული. ის ცოცხლობს მიწით და მიწისათვის ბრძოლაში კვდება.

ახალგაზრდა გლეხ ნინიკას გატაცებით უყვარდა თავისივე სოფლის ლამაზი გოგონა მაგდანა, მაგრამ უმიწაწყლო ნინიკას არ გაატანეს ქალი. მაგდანა სიღარიბის მიზეზით გაწვილებული სიყვარულის მსხვერპლი ხდება. ამის შემდეგ ბედთან შერიგებული ნინიკა მიწის სიყვარულით ცოლად ირთავს დიდი მიწის პატრონს—გონჯ ნენეს. გლეხის თვალში ნენეს მთელ სიმახინჯეს მიწის სიყვარული და ინტერესი ფარავდა. და როდესაც ნინიკა უკვე ეკლესიაში იდგა პატარძლის გვერდით, მაშინაც კი „ნინიკა ოცნებით სხვაგან მიფრინავდა, ნენეს სახე თვალწინ ეკარგებოდა. მაგიერად გადადიოდა ვენახში და აძგერებულის გულით ყურს უგდებდა მხიარულ ოროველას, რომელიც გაისმოდა ნენეს ნაფუძვრებში. ეს ოროველა განსხვავდებოდა უზრუნველმყოფ კმაყოფილებით, ეს ოროველა ეკუთვნოდა მარტო საკუთრად ამის მარჯვენას და მოზიარე არაჟინ უხდებოდა“. ავტორის აზრით, გლეხში მიწის სიყვარული ყოველ გრძობაზე ძალა დგას. მიწის ხელში ჩაგდებით აღგზნებულ ნინიკას თვალში ნენეს სიმახინჯეც სხვანაირად ჩანს. „ნინიკას თვალწინ წარმოუდგა ნენე. მისი სახე აღარა სჩანდა ისეთი გონჯი, არამედ სანდომიანი ელფერი დაცემოდა, და ამის წინანდელ სატრფოსაც კი ჩაგრავედა“. მიწის მოტრფიალე, მისთვის თავგანწირული გლეხი ნინიკა თავს შეაკლავს მეზობელ გლეხს, რომელმაც ნინიკას ახლად შეძენილი მიწის მიჯნა „გადმოლახა და მცირედი ნაწილი მიითვისა“. მომაკვდავი ნინიკა თავის ძმებს ასეთ რჩევას უტოვებს ანდერძად: „მიწისთვის იზრუნეთ! მიწაა თქვენი ხსნა, მიწას შეალიეთ თქვენი დღენი! მარტო ის შეგყრით სიკეთეს, თორემ მონება-მორჩილება განუშორებლად კისერზედ გედგმებათ“.

ფსიქოლოგიურად მეტად საინტერესოა მოთხრობის ფინალი. მწერალი მომაკვდავ გლეხს, ნინიკას, შეახვედრებს კერ-

ძო მესაკუთრული ინსტინქტით გაბოროტებულ გლეხს, მის მკვლელ დათიკოს. თავის საქციელით აღშფოთებული გლეხი ვედრებით მიმართავს ნინიკას: „მაპატიე!.. ღმერთია მოწამე, შენი ცუდი არასდროს არ მდომებია!.. მარტო ჩემმა სიღარიბემ, სიხარბემ, რომ მეტი ლუკმა წამეგლიჯა ჩემის ბედისაგან, შემამთხვია ეს საშინელი უბედურება... არმად გადამიქცია ღმერთმა ეს წანაგლეჯი და უფრო მეტად დაამშია ჩემი საწყალი ცოლ-შვილი... შენ მიდიხარ, ნინიკა, მეც მალე მოგეწევი, შემინდე მე ცოდვილს და შენც ჩემის მხრივ უფალმა ყველაფერი შეგინდოს და სასუფეველში დაგიმკვიდროს ბინა, იქ სადაც მართლები არიან და მოგასვენოს...—დაუმატა დათიკამ და მომაკვდავს ჯამით მიწა დააფრქვია გულზე, ხალხმა მძიმედ ამოიოხრა და დარწმუნდა, რომ მიწა თავის ძალას გამოიჩინდა, ნინიკას შეებას აგრძნობინებდა...“ ასე სწამს გლეხს მიწის ძალა და სასწაული.

არანაკლებ საინტერესოა მეორე მოთხრობა „კამისია“. აქ ბატონყმობის გაუქმების შემდეგდროინდელი სოფლის სურათებია მოცემული. მართალია, ბატონყმობა გაუქმებულია, მაგრამ გლეხები კვლავ შენამულეებზე არიან დამოკიდებული. ამ მოთხრობის თემა ქვეამულეებსა და გლეხებს შორის ატეხილი დავაა. აქ, ერთი მხრით, მოცემულია გაღარიბებული თავადიშვილი სიმონი, რომელმაც, მართალია, ერთხელ მიჰყიდა გლეხებს მიწა, მაგრამ ახლა კვლავ მოითხოვს მიწების გამიჯვნის საბაბით სასყიდელს: „ჰო და ეხლა მე რომ შარშანწინ მიწები მოგყიდეთ, ეხლა ის მიწები ჩემს ნებაზეა, მინდა თქვენს სახელზე დაგკორდნი, მინდა სულ წაგართმევთ, ხომ გაიგონეთ“. გაღარიბებული თავადიშვილი ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რომ გლეხს წაგლიჯოს ცხოვრების სახსარი. ავტორი აქვე გვიხატავს მეფის რუსეთის მექრთამე მოხელეს ივან პეტროვიჩის სახით. მწერალი ფარდას ხდის თავადიშვილებისა და მოხელეების თავგასულობას, აღვირახსნილ თარეშს სოფლად და მათ მძარცველურ ბუნებას. მძარცველთა მთელი ეს ბრბო გლეხის ოფლის მონაპოვრით ცხოვრობს.

და მაინც, მწერლის გაგებით, გლეხთა ტრაგიკული ცხოვ-

რების მიზეზი არა მარტო ეს სოციალური უსამართლობაა, არამედ ის „ჩამორჩენილობა“, „ცრუმორწმუნოება, დახვედბული ტრადიცია და ჩვეულებანი“, რომელთა ჯადოსნურ რკალშია მოქცეული გაუნათლებელი და უვიცი სოფლის ხალხი. ამ ფონზე აჩვენებს ანასტასია ერისთავი ქალთა უუფლებობას და ამ ნიადაგზე წარმოშობილ ტრაგიზმს.

ცრუმორწმუნეობისა და მავნე ტრადიციის მსხვერპლი გამხდარა ირინე („ლაზარემ გადააქარბა“). ირინეს თავდავიწყებით უყვარდა ზურია, მაგრამ იგი ვერ მისთხოვდა იმ კაცს, ვინც მას გულწრფელად უყვარდა, იმ მიზეზით, რომ ზურია ირინეს მამის ნათლული იყო. ირინეს სხვაზე გაათხოვებენ. ანგარიშზე აგებული ოჯახი ცივი აღმოჩნდა. იმდენად უცხოა ირინესათვის ოჯახური ბედნიერება, რომ ის საკუთარ შვილსაც ვერ შეიყვარებს, ირინეს ჭირივით ეჯავრება ქმარი. „და თუ ცხოვრობდა მასთან, მარტო იმისათვის, რომ მეზობლებისა და ხალხისაგან ყბად აღებული არ გამხდარიყო, მის ზნეობისათვის ჩრდილი არ მიეყენებიათ“. ყოველივე ეს ძალით თავზე მოხვეული შეუღლების შედეგი იყო. ირინეს ტრაგედია ავტორს იშვიათი ოსტატობით აქვს გადმოცემული. მშობლების გადაწყვეტილებას მღუღარე ცრემლებით შეხვდა ირინე: „ვაი ჩემს ბედსა! ვაი ჩემს თავსა!.. შენი ჭირიმე, ზური, რა პირით უნდა შემოგხედო მოღალატემ? ვინლა დაგაჯერებს, რომ არასდროს ჩემს გულში არავინ დაიქერს შენს ადგილს? ვინლა დაგაჯერებს, რომ ძალდატანებით მათხოვებენ, რომ მე შენი მოღალატე არა ვარ?“ შვილის სიკვდილით გაბოროტებული ირინე გადასწყვეტს—თავი დაიხრჩოს. ამ დროს გამოჩნდება ზურია, დაიხსნის სატროფოს. დაფარული გრძნობა კვლავ იფეთქებს. შეყვარებულები კვლავ უბრუნდებიან ერთმანეთს. მთელი ეს რომანი ფარულიდ მიმდინარეობს კანონიერი ქმრის ოჯახში. მაგრამ ბედნიერება ხანმოკლე აღმოჩნდა. სოფლად დაიჭირა გვალვა, რის წინააღმდეგაც ლაზარობა გაიძარტად ფეხშიშველი ქალები და ახალგაზრდები, ხატებით ხელში, მდინარეში დაჩოქილები ევედრებიან ღმერთს—წვიმა მოიყვანოს. წვიმის ნაცვლად სეტყვა და მეხი წამოვა. ტყეში ხის მოსაქრველად წასულ ზურიას მეხი იმსხვერპლებს. ირინე

კუიდან შეიშლება. ასეთია ამ საინტერესო მოთხრობის ქარგა. მწერალმა გაკიცხა და დაგმო სოფლის ჩამორჩენილობა, დრომოკმეული ტრადიცია, რომლის მსხვერპლიც სამი ოჯახი გამხდარა. ასეთივე მძაფრი ტრაგიზმით დახატა მწერალმა სოფლის ცხოვრება მის პირველსავე მოთხრობაში „ბატონებმა არ დაიწუნეს“. აქ ნუშოსა და სოსანას ტრაგედიაში ნათლად მოჩანს ძველი სოფლის სიღარიბე, ჩამორჩენილობა და გაუნათლებლობა. უმეცრების, ტრადიციის, სიღარიბის მსხვერპლია ირინეცა და ნუშოც, ზურიაცა და სოსანაც.

ანასტასია ერისთავი მკაცრად ამხილებდა გლეხკაცობის ცხოვრების შემფერხებელ ყოველ მოვლენას. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს მოთხრობა „ეკლესიის გარშემო“, სადაც მხილებულია ეკლესიის ბნელი მხარე და ხალხის ყველფის არაადამიანური ხერხები. სამღვდელოების რეაქციული მოქმედება აქ გამოხატულია პირუთენელად და სიმართლით. ძველი სოფელი, გლეხკაცის ბედი, მისი გაუნათლებლობა და ჩამორჩენილობა, მის მომავალზე ზრუნვა,—აი საკითხების ის წრე, რომელიც აინტერესებდა მწერალ ქალს. ერისთავ-ხოშტარია არა მარტო უბრალო მაყურებლის თვალთ აღწერდა ამ სინამდვილეს, არამედ ღრმად განიცდიდა დაჩაგრულთა ბედს: თანაუგრძობდა მათ და იბრძოდა ხალხის უკეთესი მერმისისათვის.

* * *

ტიპიური რომანის პრობლემა ქართული კლასიკური და თანამედროვე პროზის მწვავე პრობლემაა. თუ ეპიკურმა ქანრმა ამ დარგში გარკვეული ადგილი მოიპოვა, ამაში დამსახურება ანასტასია ერისთავ-ხოშტარიასაც მიუძღვის. ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას სახელი მჭიდროდ არის დაკავშირებული ქართული რომანის საკითხთან, მას ნიჭიერი მწერლის სახელი, უპირველეს ყოვლისა, რომანებმა მოუპოვეს.

ან. ერისთავ-ხოშტარიას რომანი „მოლიპულ გზაზე“ გამოქვეყნებისთანავე გახდა ფართო მსჯელობის საგანი. მის ირგვლივ სხვადასხვა აზრი გამოითქვა. ფართო მკითხველმა

საზოგადოებრიობამ დიდი ინტერესი გამოიჩინა ამ რომანის მიმართ.

„მოლიპულ გზაზე“ მრავალმხრივ საყურადღებო მოვლენაა ჩვენს ლიტერატურაში. უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს რომანის მრავალფეროვანი ტიპაჟი. პერსონაჟთა ცენტრში დგას ოქრო. იგი ფეოდალიზმსა და კაპიტალიზმს შორის გადასწყვეტ ბრძოლაში შექმნილი ზედმეტი ადამიანის ტიპიური სახეა. ოქრო მაღალი ფეოდალური წრიდან გამოსული ინტელიგენტია, რომელმაც საუნივერსიტეტო განათლება მიიღო, შემდეგ საზღვარგარეთაც იმგზავრა. ცხოვრების სიბრძნეს იგი წიგნით გაეცნო, განათლებამ ლიბერალურ ინტელიგენტად აქცია. ოქრო ცდილობს თავისი ცოდნითა და გამოცდილებით დაეხმაროს სოფელს, დაიცვას ხალხის ინტერესი, ხელი შეუწყოს გლეხობის გათვითცნობიერებისა და განათლების საქმეს. მაგრამ მთელი მისი სწრაფვა ამ მიმართულებით უნიადაგოა. გლეხობა მას არ ენდობა და მის „პროპაგანდისტულ გასვლას სოფლად“ გლეხის პრაქტიკული გონება და გამოცდილება ექვეით ხედება. ამ ნიადაგზე მელანდებდა ფეოდალური კლასის უნებჩასოფო ინტელიგენტი ოქროსა და გლეხობას შორის არსებული კლასობრივი უნდობლობა. ოქრო ხალხოსნების მიერ მრავალგზის გამოყვანილი მონანიე აზნაურის როლში გვევლინება. მწერალი ამ გმირს გვიხატავს მეოცნებე, ფრაზიორ, მოდუნებულ და უპერსპექტივო ინტელიგენტად. ოქროს არც ნებისყოფა, არც რწმენა, არც პრაქტიკული აღლო და უნარი აქვს ცხოვრებასათვის საკმარისი. იგი არათუ მებრძოლისათვის საჭირო გამოცდას ვერ იქერს, არამედ მის გარშემო შექმნილ სიტუაციებშიც ვერ ერკვევა, გულუბრყვილოდ ენდობა თავის დას მაკინეს და სრულ უნიათობას იჩენს.

ავტორი ერთგვარ რომანტიკულ ფერებში გვიხატავს ოქროს, რომლის ტრაგიკული ბედი მკითხველის თანაგრძნობას იწვევს. მწერალი არ ღალატობს სინამდვილეს. ამიტომ ოქრო ცხოვრებაში დამარცხებული, ცხოვრებისათვის მოუმზადებელი გმირის როლშია წარმოდგენილი. ცხოვრების პრაქტიკული ცოდნითა და გამოცდილებით ოქროზე გაცილებით მაღლა დგას მისი ძმა ტიტოკო.

რომანში მეტად საინტერესოდ არიან ასახული ფეოდალური წრის წარმომადგენლები. მათ შორის, პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს მაკინე, რომელიც ფრიად ორიგინალური ტიპია ჩვენს მწერლობაში. თუ ოქროსპროტოტიპები, ლიტერატურაში მრავლად შეიძლება მოიძებნოს, მაკინეს ტიპი უწინაპროა. მაკინე მთელი თავისი ტრაგედიით განსახიერებდა ბრწყინვალე არისტოკრატის პატივმოყვარეობისა. ახლა იგი ნიადაგშერყეული და გაღარიბებული თავადიშვილის ტიპური ნაშიერია, რომელსაც ავადმყოფურად შემოუნახავს ძველი ქედმაღლობა.

სოფლის ქალები ასე მსჯელობენ მაკინეზე: „მეტად გოროზი და ამპარტავანია, გენაცვალე, რომ ელაპარაკები, დაცინვისგან სულ მანკვა-გრეხა მოსდის სახეში. ასე ჰგონია, აქ მე ვარ, იქ რუსთ ხელმწიფეს ცოლიო“. ნამდვილად კი „არაფერი აღარ აბადია, ეჰ ფართი-ფურთობა მარტო მოჩვენებაა“. ფეოდალურ პატივმოყვარეობას ნიადაგი გამოეცალა, მაკინე დაჟინებით ეძებს ახალ გზას; ჯერ აირჩევს მდიდარს, მაგრამ ფიზიკურად მახინჯ კმარს და ერთ ხანს კიდევ მიაღწევს თავის მიზანს. „აი მაკინემ გაიცნო იასონი, დაწინაურებული სამსახურში, შეძლებით, თუ დიდკაცობით, და სიამოვნებით დათანხმდა მის ცოლობაზე. ასევე კმაყოფილებით წაყვებოდა მაკინე იასონის გარემოებაში მყოფ ივანეს, პეტრეს და სხვას!“ ავტორის ამ სიტყვებში კარგად არის გადმოცემული მაკინეს ავადმყოფური მისწრაფება სიმდიდრისაკენ. მისი სულიერი ინტერესი ამაზე შორს არ მიდის. მალე გაქრება იასონ რომანიშვილის ქონება და მაკინეც ძმებს მიაშურებს. ოქრო მას უყვარს, უმთავრესად, როგორც შემოსავლის წყარო. მაკინე ცდილობს ხელიდან არ გაუშვას ოქროს ქონება, ამ მიზნით ძმებს შორის აღვივებს უთანხმოებას, ამავე მიზნით მოიწადინებს ჩაშალოს ოქროს ქორწინების საქმეც. იგი ასე უმხელს საკუთარ თავს თავის სულმდაბლობას: „არ მშორდება შიში! უნდა ვიცროო?.. თუნდა ავადმყოფობა, ექიმის გაზრახება, რათა ოქრო აქეთ წამომეყვანა! თუნდ ტიტიკოსთან უსიამოვნება, ვითომ მისგან მოწერილი წერილი, რომელიც ჩემი ხელით დავწერე? ყველა ეს მომდის რის გუ-

ლისათვის? მარტო მისთვის, რომ მოხერხებით დავიკირო ხელში ოქრო... მე მიინდა ის ჩემი იყოს, ჩემ გარდა მას არავინ არ შეეხოს, არავინ გაებატონოს“.

მაკინესათვის თავი და თავია ფული, რომელიც მისი საზღვარდაუდები ბატონკაცური სურვილების წყაროა. მაკინეს ამ თვისებებს და მორალს კარგად გამოხატავს ტიტციკოს სიტყვები: „მაკინე ხან რომ ცბიერი მელაა, ხან გაუმადლარი მგელია, მორიელსავით შხამიანი. ახლა, რომ ბატონყმობა ყოფილიყო, მერწმუნე მონების პირველი ხარისხის მოვაჭრე გამყიდველი იქნებოდა. დაუფიქრებლად, დაუნანებლად გაყიდიდა სამშობლოსაც პირადი, საკუთარი კეთილდღეობისათვის“. მეოცნებე ოქრო ვერ ამჩნევს მაკინეს ცბიერ მიზნებს, ბრმად ენდობა გარეგნულად მომხიბლავ ქალს. ამ გარემოებამ კიდევაც იმსხვერპლა ოქრო. ავტორი ბოლომდის აშიშვლებს მაკინეს მტაცებლურ ინსტინქტებსა და ამტრალურ სურვილებს. მაგრამ ბოლოს და ბოლოს მისი ადამიანური საწყისები იღვიძებენ. მაკინე მოიხედავს განვლილი გზისაკენ, ანალიზს უკეთებს თავის მოქმედებას და, ღრმად შეძრწუნებული, ინახიებს ძმის წინაშე ჩადენილ ცოდვებს.

ანასტასია ერისთავ-ხოშტარია კარგად იცნობდა თავადაზნაურთა ცხოვრებას. ეს ცოდნა ამ რომანშიაც გამომჟღავნდა. ნაწარმოების ძირითადი საკითხი თავადაზნაურობისა და მისი ინტელიგენციის ცხოვრების ჩვენებაა. რომანის სოციალურ ფონს წარმოადგენს დეგრადაციის გზაზე დამდგარი თავადაზნაურობის მხატვრული ისტორია. ეპოქის ღრმა ცოდნით არის აღწერილი თავადაზნაურობის ტიპიური წარმომადგენლის როსტომ ზურაბიშვილის ოჯახის ნგრევა და კულაკი გლეხის, როსტომის ყოფილი მოურავის—გრიგოლას გამდიდრების ამბები.

ილია ჭავჭავაძის გაზეთმა „ივერიამ“ 1898 წელს სპეციალური ფელეტონები უძღვნა ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას რომანის—„მოლიპულ გზაზე“ გამოსვლას*. აქ ვკითხულობთ: „ასეთი დიდი მოთხრობა, თუ რომანი, თუ არ ვცდებ-

* ივერია, 1898 წ., №№ 43, 84, 85, 127, 129, 132, 162, 163.

პით, ქართულ ენაზე პირველი მაგალითია, ისიც ორიგინალური, ქართველის ავტორისა, ქართულის ცხოვრებიდან აღებული. „მოლიპულ გზაზე“ იკითხება დიდი ინტერესით, რაკი დაიწყეთ კითხვა, არ ძალგიძთ არ ჩახვიდეთ ბოლომდე, გულის კანკალით ელით, რა ბოლო ექნება ამ თქვენი გმირის ამბავს, რით დაბოლოვდება ამ თქვენი გმირის თავგადასავალი... წარსულ წელს ჩვენმა ლიტერატურამ ფრიად თვალსაჩინო მნიშვნელობის ნაწარმოები შეიძინა“. ფელეტონების ავტორი ასკვნიდა: „ასი წლის შემდეგ ქართველი ჩვენს გასაცნობად მიმართავს „კაცია ადამიანს“ და ცხოვრების სურათ-ხატად წარმოიდგენს მესამოცე წლების ქართველ თავადიშვილობას, წაიკითხავს „მოლიპულ გზაზე“ და ცხოვლად წარმოიდგენს ჩვენი 90 წლების კეთილშობილ წოდებათა ცხოვრებას“. ავტორი რომანის დიდ ღირსებად თვლის თავადაზნაურობის ცხოვრების ცოდნას და მის რეალისტურად გადმოცემას. ამის ნათელ მაგალითად მიაჩნია მას მაკინე, „ეს იაგო ჩვენი დროისა“. იგი წერს: „მაკინე განგებ მოგონილი ტიპი არ არის, იგი არის ღვიძლი შვილი ჩვენი თავადაზნაურობისა და მისი ცხოვრების ამ საუკუნეში. აბა მიიხედ-მოიხედეთ გარშემო და მაკინესებურ მანდილოსნებს ბლომად ნახავთ“. „ივერია“ ასევე აქებდა ავტორს, რომელმაც შექმნა სათნო და კეთილშობილი ქართველი ქალის პორტრეტი ქეთინოს სახით. ფელეტონების ავტორი მწერალს უწუნებდა ოქროს ტიპს: „დღისით სათლით რომ ეძებოთ, ვერ იპოვით ვერავის ოქროსთანა უგუნურს, ასეთი მარცხი ჩვენს ნიჭიერ ავტორს იმიტომ მოუვიდა, რომ თავის ძალღონისა, თავის განათლებისა და სწავლაზე აღმეტებულ საგანს მოექიდაო“.* შეიძლება ავტორის ეს უკანასკნელი დებულება არ გავიზიაროთ, მაგრამ საძარბოთლიანად იყო აღნიშნული, რომ „რომანში აღძრულ საკითხებს შეუძლია დიდი კამათი გამოიწვიოს“. ეს ასეც მოხდა.

აკაკი წერეთელმა, რომელმაც თავად გამოიყვანა სამწერლო ასპარეზზე ან. ერისთავ-ხოშტარია, მეტად მწარე სი-

* ივერია, 1898 წ., № 43.

ტყეებით გააკრიტიკა „მოლიპულ გზაზე“. აკაკი წერდა: „ბუნებითად ნიჭიერი და ჭკვიანი, მაგრამ გაუწრთენელი, უსწავლელი და უმეცარი კაცი—ჯაჭვით დაბმული. ლომია, რომელიც შორს ვერ წავა, ვერას მისწვდება, მაგრამ ახლო-მახლოს კი ფეხ-ალაგობ, მაინც კიდევ ძლიერია!—აგრეთვე ნიჭნაკლებ და ჭკუა მჩატე, მაგრამ ნასწავლი და განვითარებული კაცი—თავისუფლად მფრინავი კაქკაქია, რომელიც შორს დაფარფატობს, ყველგან ჩხავეის წარამარად: ხან ღროზე და ხან უღროვოდ წამოიძახებს ხოლმე ჩაგონებულს, მაგრამ შეთვისებულს კი, სხვის სიტყვებს“.

ამ ერთგვარი შესავლის შემდეგ მწერალი „გაკვრით“ იხილავს რომანს—„მოლიპულ გზაზე“. „ეს თხზულება, მართლაც რომ დიდი საბუთია მისი, რასაც ჩვენ ვამბობთ ლომკაქკაქების შესახებ. ამ დიდი რომანის ავტორმა ქ-ნ ტასო ერისთავის ქალმა თავდაპირველად ორი პატარა მოთხრობა დაგვიწერა: „ბატონებმა არ დაიწუნეს“ და „ლაზარემ გადააქარბა“. ორივე ეს გლეხების ცხოვრებიდან იყო ამოღებული და დამწერმაც, ახალგაზრდა მწერლის პირობაზე, რომ უნდოდა, უფრო მეტი ყურადღება დაიმსახურა მკითხველისაგან. და მართლაც დიდი ნიჭის პატრონობა ეტყობოდა და საიმედოც იყო მომავლისათვის. ამ თანაგრძნობამ წაათამამა ახალგაზრდა მწერალი და ცოტა არ იყოს აჩქარდა და უდროოდ შეეკიდა დიდ რამეს. გლეხების ცხოვრებას რომ აღარ დასჯერდა, მთელი ქართლის გამოხატვა მოინდომა „მოლიპულ გზაში“ და რომ აქა-იქ ფეხი არ ასხლეტოდა, განა შეიძლებოდა? ამისთანა დიდ ტვირთს, ნიქს გარდა, დიდი გამოცდილებაც ეჭირვება და თუ არა ხანში შესული და ბევრის მნახველი, უტყუარად ამწონ-გამზომი მწერალი, ახალგაზრდა ვერ მოახერხებს, გინდ უდიდესი ნიჭის პატრონიც იყოს. ეს მწერალიც დღევანდელი ქართლის მდგომარეობას, როგორც თავად-აზნაურობის, ისე გლეხებისას, ახალგაზრდობის, თუ ძველი თაობის შესახებ დიდის ხელოვნებით გვითვალისწინებს, მაგრამ, როდესაც წარსულში და მომავალში გადადის, აქ კი „საკაქკაქოზე“ გამოდის და სხვის სიტყვებს იმეორებს უსწორმასწოროდ“. აკაკი წერეთელი უმთავრესად ავტორს უწუნებ-

და ტენდენციურობას, „ბატონყმობაზე მსჯელობის დროს“. აკაკი წერდა: „ჯერ ერთი ის, რომ ის ძველი დრო სიმართლით ვერ წარმოუდგენია, ცილსა სწამებს!.. და მეორეც, ვისთვის რა საჭიროა, რაც აღარ არის და რასაც მნიშვნელობა აღარ აქვს იმაზე რისხვა-გოდება?.. მაგრამ ეს იშის ბრალია, რომ დღეს ბატონყმობაზე ჩმახვა ჩვენში მოდა არის საზოგადოდ და მოდას კი ისეთი გიპტონიზმური ძალა აქვს, რომ გონიერებასაც იმორჩილებს“. აკაკი წერეთელი უფრო შორს მიდის ამ მიმართულებით—იცავს „ცილისწამებისაგან ძველ დროს“, ისტორიულ ასპექტში იხილავს ბატონყმობის საკითხს, იგონებს სამოციანი წლების მწერლების ბრძოლას ბატონყმობის წინააღმდეგ და ასკვნის: „დღეს კი, როდესაც ბატონყმობა გადავარდნილია, იმაზე ლაპარაკი უბრალო წყლის დღეებაა. ეს არ ესმით ჩვენ კაქკაქებს და წოდებათა შორის შურსა და მტრობას აგდებენ უსამართლო მოსისინებით. აბა ამაზე არის ნათქვამი: „ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდებისო“. თავად-აზნაურობაზე დღეს იერიშის მიტანა, მხოლოდ იმიტომ, რომ ოდესმე, ერთ დროს მათი წინაპრები დიდკაცები იყვნენ, უსამართლობაა“.*

ამ საინტერესო სტატიაში ა. წერეთელმა ბევრი რამ მოსწრებულად შენიშნა ახალგაზრდა მწერალ ქალს, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ აკაკის მთავარი საყვედური—თავადაზნაურობის ცხოვრება თითქოს ტენდენციურად იყოს გაშუქებული ამ რომანში—გადამეტებულად გვეჩვენება. ამ რომანის ერთი მთავარი ღირსება, ჩვენი აზრით, ის არის, რომ ან. ერისთავმა სავსებით სწორად შენიშნა თავადაზნაურობის დაკნინება, ნიჭიერად აღწერა მათი ფუქსავატური ყოფა და ამ ფონზე წარმოადგინა დეგრადაციის გზაზე დამდგარი თავად-აზნაურთა ტიპიური ხასიათები, მთელი მათი მორალითა და სულიერი სამყაროთი. მწერალი მწარედ ამათრახებდა მადააშლილ თავადიშვილებს, რომელთაც ახალი ცხოვრებისათვის საჭირო არც უნარი ჰქონდათ და არც ეკონომიური შესაძლებლობა. ან. ერისთავ-

* აკაკის კრებული, № XII, გვ. 39—47, 1898 წ., აგვისტო.

ვი ბატონყმობის ღროსაც მისწვდა და მწვავედ გააშიშვლა მთელი ამ ინსტიტუტის საძაგლობა წარსულში. ასე, მაგალითად, „ბევრი ამბები შეეტყო ტიტისკოს,—წერს მწერალი,— პაველ სარდიონიშვილზე, ზაქარიას მამაზე. ახლაც თმა ასდის ხოლმე მაღლა, როდესაც მოიგონებს, პაველ ყოფილა მეტად გოროზი, გულქვა; ხვთისრისხვა კაცი, ის სარგებლობდა გარემოებით, რომელიც მისთვის დაემონა უწყალო ბატონყმობას. მთელი ეს კუთხე, სადაც კი ხმა ან ხელი მიუწვდებოდა, შიშსა და ძრწოლაში მოყავდა. მისი მეუღლე მაგდანი, მტრედით მშვიდი, დამონებოდა მტარვალ მეუღლეს, მორჩილებით ემსახურებოდა და როგორც კი დაინახავდა ვისმეზე განრისხებულ ქმარს, ის მაშინვე მიმართავდა თავის ერთადერთ ნუგეშს—ხატებს. დაემხობოდა მუხლებზე და ხელაპყრობილი შეღალადებდა, რათა მეუღლის განრისხებას მშვიდობით ჩაეფლო, რადგანაც იცოდა, მას შედეგად მოჰყვებოდა რომელიმე ყმის ან ათვალისწინებული პირის სიკვდილ-წამება... პაველ დაიბარებდა მცირედ დანაშაულისათვის უბედურს: იქვე ცაცხვებ ქვეშ გააწვენინებდა და მათრახით ააქრელებინებდა იქამდის, ვიდრე მსხვერპლი სუნთქვას შეწყვეტდა. მერე დასიებული-გალურჯებულს შეატანინებდა და ჩააგდებინებდა საღმე სიბნელეში, საიდანაც მალვით, მოხერხებით მოიპარავდნენ ან შეისყიდდნენ უბედურს ქირისუფლები, და თუ არავინ გააჩნდა, შიგვე ჩაკვდებოდა.“ ჩვენი აზრით, სწორედ ესა და ამგვარი სწორი დახასიათება რატომღაც ცალმხრივად მიაჩნდა აკაკი წერეთელს, როდესაც იგი უსაყვედურებდა რომანის ავტორს. მეორე მხრით, აკაკის საყვედური—„ნიჭიერი ავტორი აჩქარებულაო“, უთუოდ მართებულია.

პირველყოვლისა ეს ეტყობა რომანის კომპოზიციურ აღნაგობას და ენას. უნდა შევნიშნოთ, რომ რომანს ერთგვარი რელიგურობის იერიც დაჰკრავს. აქ პერსონაჟის ბედს ღვთაებრივი ძალა წყვეტს და განაგებს. ხშირად ამავე განგების ძალით არის ახსნილი მათი მოქმედება.

ამისდამიუხედავად, როგორც სამართლიანად შევნიშნა „ივერიამ“, ეს იყო ერთ-ერთი პირველი დიდი რომანი, რომელშიც მკაფიოდ იყო წარმოდგენილი 90-ანი წლების წო-

დებათა ცხოვრება. აქ, ერთი მხრით, მხილებულია ფეოდალთა მუქთახორობა, მფლანგველობა — ფეოდალებისა, რომლებიც ცხოვრების მიზანს ქეიფსა და ღროსტარებაში ხედავენ და ამ მიზნის მისაღწევად არავეითარ ბოროტებას არ ერიდებიან. ესენი არიან ქურდი იასონი—მაკინეს ქმარი თუ გადაგვარებული თავადები—როსტომი, არჩილი, შაქრო. ზოგი მათგანი მამულს აგირავენ, ზოგი ჩალის ფასად ყიდის და ამ გზით აღებულ ფულს ქეიფსა და ბანქოს თამაშში ფლანგავს. მეორე მხრით არიან შევიწროებული და გაძვალტყავებული გლეხები. მწერლის თანაგრძნობა ამ მშრომელი ხალხის მხარეზე იყო. იგი გულწრფელად წერდა რომანის წინასიტყვაობაში: „მეჯავრებოდა პირველი, როგორც თავგადასული ბატონი, მალონებდა მეორე, როგორც თავახსნილი მონა, რომელიც თავის ბედს ასე მოთმინებით ურიგდებოდა... მე თვით ვქმნიდი ჩემთვის სრულიად ახალ ქვეყანას, სადაც სათაყვანებელ ღვთაებად სრულიად თავისუფალი ადამიანის პატიოსანი შრომა იქნებოდა“. ამ ფონზე მწერალმა ამხილა მაღალი წოდების დაქინება და ბოროტება.

არანაკლებ საინტერესოა ან. ერისთავ-ხოშტარისა მეორე რომანი — „ბედის ტრიალი“. საინტერესოა ერთი ფაქტი. როდესაც „ზარია ვოსტოკას“ გამომცემლობამ „ბედის ტრიალის“ რუსული გამომცემა გამოაქვეყნა, მან რამდენიმე ხნის შემდეგ ლენინგრადიდან ორი ახალგაზრდა მკითხველის, წითელარმიელისა და ქარხნის მუშის, მადლობით აღსავსე წერილი მიიღო. ისინი წერდნენ: „მიიღეთ მხურვალე კომპლემენტური სალაპი მკითხველებისაგანო“ და დასძენდნენ: „დიდი ჰკუის დამრიგებელი შთაბეჭდილება დასტოვა ჩვენზე ამ წიგნმა. ამ რომანით შეიძლება ისწავლო, როგორ უნდა სიყვარული და ცხოვრება“. ბოლოს ისინი სთხოვდნენ რედაქციას: „გვინდა ვიცნობდეთ მწერალი ქალის ანასტასია ხოშტარისა ცხოვრებას, რომ მადლობა ვუთხრათ მის კარგი რომანის გამო.“ ეს სტრიქონები უპრინტეზიო მკითხველის გულწრფელი და მაღალი შეფასებაა. ქეშმარიტად, ყოველ დიდ მწერალს შეუძლია იამაყოს გულწრფელი საბჭოთა მკითხველების ამ სტრიქონებით.

„ბედის ტრიალის“ ძირითადი თემა წააგავს რომანში— „მოლიპულ გზაზე“ აღებულ თემას, მაგრამ ხასიათების გაშლითა და პერსონაჟის ბუნებით ესენი სრულიად განსხვავებული რომანებია. „ბედის ტრიალის“ ცენტრში დგას ციცი-ნოს ბედის საკითხი. ციცინო ცნობილი ფეოდალის პავლე პარპაშვილის შვილიშვილია. პავლე ხელგაშლილი თავადიშვილია. ხელგაშლილმა ცხოვრებამ ამ მდიდარ ფეოდალს ხელში გამოაცალა მთელი ქონება. თავადი პავლეს მალე მოკვდა. მას აუარებელი ვალი დარჩა. ამ ვალის ანგარიშში მას სახლ-კარი და მიწები აუწერეს. უბედურებაში ჩავარდნილი დიდდა ქეთევანიც მოკვდა. ფუფუნებაში აღზრდილი ციცი-ნო იძულებულია მისი მეზობელი გლეხის ქალის კატოს სახლ-ში გადავიდეს საცხოვრებლად და, აი, ამ დროს გადაეყრება იგი მდიდარ თავადიშვილს — გენოს. გენო აინთება ახალგაზრდა ციცინოს სილამაზითა და ცოლად ითხოვს მას. კვლავ შეიცვალა ციცინოს ბედი. ამიერიდან მას კნენა სიდონიას უწოდებენ. გენო თავადაზნაურობის ტიპიური წარმომადგენელია. ის ილია ჭავჭავაძის დათიკოს თავისებური პროტოტიპია. გენო უსულგულოდ ეპყრობა ციცინოს. მად-აშლილი თავადიშვილი გენო ავიწროებს გლეხკაცობას. გლე-ხობა ვერ ითმენს თავგასული ბატონიშვილისაგან აბუჩად აგდებას და მას ჰკლავენ. კნენა სიდონია კვლავ ბედისაგან გაწბილებული ციცინო გახდა.

ასეთია რომანის ძირითადი ქარგა.

ან. ერისთავი დაკვირვებული რეალისტი მწერლის თვალით აღწერს თავადაზნაურების დეგრადაციას, აჩვენებს ამ კლასის ისტორიულ ბედს, ეძებს და ფარდას ხდის იმ „საიდუმლოებას“, რომელმაც გამოიწვია დაკნინება და გადაგვარება ოდესღაც ბრწყინვალე „ყოვლისშემძლე არისტოკრატიისა“. რომანის „მოლიპულ გზაზე“ შემდეგ ყველაზე კარგად ამ სინამდვილის უტყუარი სურათი მოცემულია „ბედის ტრიალ-ში“. ამ მხრივ ძალზე საინტერესო სახეა თავადი პავლე პარ-პაშვილი. სულ რამდენიმე შტრიხით იძლევა მწერალი ამ უდარდელი და ხელგაშლილი ქარაფშუტა თავადის ტიპიურ დახასიათებას: „მამულის შემოსავალ-გასავალიც ხომ, რასაკ-

ვირეელია, მარტო პავლემ და მოურავმა იცოდნენ. პავლე ხანდახან მისცემდა ხოლმე ქეთევანს ფულს სხვადასხვა საქიროებისათვის, დანარჩენს კი, როგორც თვითონ ამბობდა, „პრიკაზში“ ეზიდებოდა. ქეთევანი მზად იყო, მოცემული სახარჯოც უკანვე დაებრუნებინა, ოღონდ პავლეს მამული გაეწმინდა ვალისაგან და პატარა ციცო მდიდარ საპატარძლოდ გამოეზარდა. მარტო დარისპან მოურავი უღვაშებში იცინოდა, როდესაც ქეთევანი დაიწყებდა ლაპარაკს მასზე, თუ ხვალ-ზეგ როგორ განთავისუფლდებოდნენ ვალებისაგან.

„— გაიგონე, დედაკაცო, ჩვენს ბატონს სულ წაუგია ბანქოში ის ასი თუმანი შალბაშის ფული და კიდევ ზედ ორმოცი თუმანიც ვალი დაუღვია, რომ არა ჰყოფნია ქეიფებში,— ეუბნებოდა დარისპანი თავის ცოლს. და ასე ყველანაირად იცოდაო, უმატებს მწერალი,— თუ რა ნიავს მიქონდა მისი შეძლება“. და აი ამას მოჰყვა ის მძიმე შედეგი, რომელსაც მწერალი ქეთევანის სიტყვებით გადმოგვცემს: „— ციცო, შვილო, მაშ გაგვცარცვეს? გაგვასაწყლეს? უბინაოდ დაგვტოვეს?— გულიდან ამოხდა სუსტი კენესა და გონება დაკარგული მიესვენა კედელს“. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მწერალი თავდაზნაურობის დალუპვას ერთგვარ ტრაგიკულ ფონზე გვიჩვენებს და ამაში მოჩანს ის თავისებური კილოც, რომელიც შეაქვს მწერალს თავის სტილში. ამაშია, ჩვენი აზრით, ის თავისებური თანაგრძნობის გამოჩენაც, რომელსაც მწერალი ხშირად მიმართავს ხოლმე. მაგრამ ეს ხელს არ უშლის მწერალს, ეს ადამიანები დახატოს, როგორც დრომოკმულნი, ჩამორჩენილნი და ზედმეტნი ახალი ვითარებისათვის. პავლე პარპაშვილი არა მარტო ხელგაშლილი თავადი-შვილია, არამედ ჩამორჩენილი და გონებაშეზღუდულიც; „ქალი სახლში უნდა იჯდეს და ქმარ-შვილს უყურებდეს... სწორედ ამისთვის არის გაჩენილი. ეს ინსტიტუტები სამეტიჩაროდ არის მოგონილი. იქ, თუ მკითხავ, სრულებით რყენიან და ამახინჯებენ ჩვენს შვილებს, სადღაა ქართველი ქალი? აბა მიიხედ-მოიხედე! არა, ციცოს კარზე ვერ გავიყვანო“. ამ სიტყვებში ლუარსაბ თათქარიძის ცნობილი დებულებაა გადმოცემული. რომანი საინტერესოა პერსონაჟების

ძლიერი ფსიქოლოგიური განცდების გადმოცემითა და ხასიათების მრავალფეროვნებით. აქ ყველაზე სიმპათიური და მიმზიდველი გმირია ციციხო. ციციხო მწვავედ გრძნობს თავის კლასის მანკიერებას. და გულისტკივილით შესჩივის ბედს: „რისთვის არ დავიბადე გლეხად? მუშად?..“ მეორე მხრით, მწერალმა ციციხო დახატა საინტერესო რომანტიკული ფერებით, მის წინაშე ქედს იხრის ისეთი გადაგვარებული ადამიანი, როგორც გენო იყო: „გენოს არც ერთი ქალის წინ არ უგრძნვია ასეთი მოწიწება, კრძალვა და თაყვანისცემა, როგორც იგრძნო ციციხოს მიმართ, თუმცა ყოფილან უფრო მშვენიერნიც. აქ რაღაც ბუნებრივი უმანკოება გამოსკვირდა ციციხოს ყოველ ნაკვთიდან და იმონებდა ყმაწვილ კაცს; გენოს დამონება და დამორჩილება კი საკვირველებად უნდა ჩათვლილიყო“.

ან. ერისთავმა ამ რომანში ციციხო დაგვიხატა როგორც გულწრფელი და, ამავე დროს, გულუბრყვილო ქალი, ის ბრმად ენდობა გენოს. მწერალი ახერხებს მთელი სისრულით დახატოს ამ გულუბრყვილო და სათნო ქალიშვილის ბედის ცვალებადობა.

ან. ერისთავისათვის დამახასიათებელი იყო გმირთა სულიერი სამყაროს სანტიმენტალური განწყობილების გამოხატვა. სანტიმენტალური ცრემლის მომგვრელი სტრიქონები, მელოდრამატული სცენები და პასაჟები უხვად გვხვდება ან. ერისთავის რომანებში, განსაკუთრებით დამახასიათებელია ამგვარი ფსიქოლოგია მისი გმირი ქალებისათვის. ასეთებია რომანტიკული განწყობილებებით დახატული ქეთო („მოლიბულ გზაზე“), გლეხთა წრიდან გამოსულნი, ბედით გაწბილებულნი ნუშო („ბატონებმა არ დაიწუნეს“) და ირინე („ლაზარემ გადაქარბა“) და სხვ. მელოდრამატული იერი აქვს ციციხოს სახესაც. ამისდამიუხედავად, ხაზი უნდა გაესვას, რომ ციციხო გლეხის ცხოვრების მშრომელთა ბედის დაკვირვებამ მეოცნებე ქალის სამყაროდან გამოიყვანა და მწვავედ აგრძნობინა იმ სულთამხუთავი სინამდვილის უკუღმართობა, რომლის მსხვერპლი იყო გლეხკაცობა. ციციხო გულუბრყვილოდ უმარტავს ქმარს: „მაშ რაღად გიკვირს,

გენო, რომ უკმაყოფილონი არიან? რაც უნდა იყვეს, წარსულმა შრომამ უქმად ჩაუარათ და ხელახლა იწყებენ ყველაფერს. დრო და შრომა დიდი განძია ადმიანისათვის“. მემამულე გენოსათვის ეს „მგლის თავზე სახარების კითხვაა“. იგი აბუჩად იგდებს და ყვლეფს გლეხობას. გლეხები მწარედ შესჩივიან ბედს, „იძახიან, ბატონყმობა გადავარდა, კაცი თავისუფალი გახდაო. კაცო, ეს საშველი კი არსად არის და! ეს კისერი კი ველარ დავალწიეთ მაგათ ულელს და!...“ გაბოროტებული გლეხკაცობა ძალას მიმართავს და ძირს დასცემს მემამულეს—გენოს. გლეხკაცობამ შური იძია ტირან მემამულეზე. მწერალს ეს სავესებით ბუნებრივად მიაჩნია: „ძალას—ძალა მოსდევს, ბრძოლას—ბრძოლა და უსამართლობის მაგიერის გადახდა“. კლასობრივი ბრძოლის ეს ლოგიკა სწორად შენიშნა ან. ერისთავმა და ამაში თავი იჩინა მისმა რეალიზმმა. მწერალმა სინამდვილით გამოხატა 90-იანი წლების ეს ახალი ვითარება, რომლის ფონზე გვიჩვენა ავტორმა თავისი საყვარელი გმირის, ციცი-ნოს, იდეური ზრდაც. ციცი-ნო—ეს გულუბრყვილო, რომანტიკულად განწყობილი ქალი—თანდათანობით თავისუფლდება ილუზიისაგან და რომანის ფინალში გვევლინება გარკვეული მიზანდასახულობით. ეს მიზანსწრაფვა გამოხატულია შემდეგს სიტყვებში: „ბრძოლა სიმართლისა და ზნეობისათვის, მისწრაფება თავისუფლებისაკენ“. ამ მიზნისაკენ ეძახდა ან. ერისთავი ხალხს, ამ აზრს შთააგონებდა მისი საუკეთესო ქმნილებანი მკითხველს და ესაა მწერლის დიდი დამსახურება. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ან. ერისთავის მეტროპოლიტი გმირები ვერ პოულობენ საზოგადოების იმ დასაყრდენ ძალას, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს ამ იდეალის ბედი.

ან. ერისთავმა საბჭოთა ხელისუფლების პირობებში სცა-და მოენახა და გაძოვსახა ის ძალა, რომელმაც ჩვენს ქვეყანას გამარჯვება მოუპოვა. ასეთი განწყობილებით შეუდგა იგი ახალ რომანის—„სალის“ წერას. სამწუხაროდ, ღრმა მოხუცებულობის გამო, ჩვენმა მწერალმა ვერ შეძლო ამ ნაწარმოების დამთავრება.

ნოე ჩხიკვაძე *

ნოე ჩხიკვაძე სოციალისტური რევოლუციის წინადროინდელ ქართულ პოეზიაში თავისებური და ორიგინალური მოვლენაა. ლიტერატურული მოტივების, თემების მხრით ნოე ჩხიკვაძეს ნაკლებად აქვს დამსახურებული ორიგინალური მწერლის სახელი. აქ იგი ირ. ვედოშვილის მიერ დამკვიდრებული დემოკრატიული სკოლის ნიჭიერი წარმომადგენელი იყო მხოლოდ. მაგრამ ნოე ჩხიკვაძემ იმდენი ორიგინალური და თავისებური ჟღერა მისცა ნაცნობ თემებს, იმდენი ექსპრესია და ლიტერატურული ინტერესი შეიტანა იმ მოტივებში, რომლებიც ვედოშვილის სკოლის პოეზიისათვის იყო დამახასიათებელი, რომ მან განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა. ნოე ჩხიკვაძემ ორიგინალური პოეტური სტილით, შესანიშნავი ლირიკული ხმით მოიპოვა ნიჭიერი პოეტის სახელი.

ნოე ჩხიკვაძე სამწერლო ასპარეზზე 1905 წლის რევოლუციის მღელვარე ეპოქაში გამოვიდა. იგი, როგორც პოეტი და როგორც მოქალაქე, მომწიფდა ამ რევოლუციის ქარიშ-

* ნოე ჩხიკვაძე დაიბადა სოფ. დიდ ჯიხაიშში, 1883 წელს, ლარიბი გლეხის ოჯახში. პირველდაწყებითი სწავლა-განათლება მიიღო ქალაქ ფოთში. 1905-07 წლებში ის მონაწილეობდა რევოლუციურ მოძრაობაში. 1906 წელს დააპატიმრეს რევოლუციაში მონაწილეობის გამო და ერთხანს იჯდა ჯერ ქუთაისის, შემდეგ კათურის ციხეში. 1912 წელს ნოე ჩხიკვაძე მიემგზავრება მოსკოვში და აქ შანავესკის სახელობის უნივერსიტეტში სწავლობს, მაგრამ უსახსრობის გამო იძულებული ხდება სწავლას მალე თავი დაანებოს. საქართველოში დაბრუნების შემდეგ ის ნაყოფიერ ლიტერატურულ მუშაობას ეწევა. გარდაიცვალა 1920 წელს. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ხლიან დღეებში. უფრო მეტიც, ნოე ჩხიკვაძე თვითონ იყო ერთი აქტიური მონაწილეთაგანი 1905 წლის რევოლუციისა. სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრი, მუშათა კლასის რევოლუციურ ცხოვრებასთან დაკავშირებული, იგი იბრძოდა თვითმპყრობელობის ტახტის წინააღმდეგ. ნოე ჩხიკვაძე, ისე, როგორც იროდიონ ევდოშვილი და ქოლა ლომთათიძე, 1905 წლის რევოლუციის ეპოქაში პროფესიონალური რევოლუციური მუშაობით იყო გატაცებული. მაგრამ ნოე ჩხიკვაძე მოღვაწეობდა არა მარტო რევოლუციის აღმავლობის ეპოქაში, არამედ რევოლუციის მომდევნო ეპოქაშიაც, რეაქციის სუსხიან ხანაში. და ისე, როგორც მისი სულიერი მეგობრები, იროდიონ ევდოშვილი და ქოლა ლომთათიძე, ისიც ვერ ასცდა წვრილბურჟუაზიული უპერსპექტივობის, მერყეობისა და უიდეობის გზას. სრულიად ხანმოკლე იყო ნოე ჩხიკვაძის სალიტერატურო მოღვაწეობა: 12-15-ოდე წლით განისაზღვრება იგი. მართალია, ამ ხანმოკლე პერიოდის ლიტერატურული მემკვიდრეობა არ არის დიდი, მაგრამ ლექსების ის ერთი მოზრდილი კრებული, რომელიც მან ჩვენს ლიტერატურას შესძინა, უთუოდ იმსახურებს ყურადღებას როგორც თვალსაჩინო ლიტერატურული მოვლენა.

ნოე ჩხიკვაძემ ერთ თავის ლექსში თავის თავს მუშათა კლასის, დაჩაგრული ხალხის მეგობარი უწოდა. „მე საყვირი ვარ საქართველოს დაქრილ გულისა და ფარ-ხმალი დაჩაგრულისა“. ეს იყო გულწრფელი განცხადება პოეტისა. და ამ საქმეს იგი მთელი თავისი პოეტური წიწამით, რამდენადაც შეეძლო, ემსახურებოდა.

მთავარი თემა ნოე ჩხიკვაძის პოეზიისა, ისე როგორც იროდიონ ევდოშვილის შემოქმედებისა, იყო მუშათა კლასის ცხოვრება, დაჩაგრულთა მძიმე ყოფა. ნოე ჩხიკვაძე არა მარტო აღწერდა მუშათა კლასის აუტანელ ყოფას, დაჩაგრულთა მძიმე ცხოვრებას, არამედ ხატავდა მუშათა კლასის წარმომადგენლების სახით ძლიერი ნებისყოფის ადამიანებს, რომელთაც გადაუწყვეტიათ თავისი მდგომარეობის გაუმჯობესება, თავისუფლებისათვის ბრძოლა.

მუშათა კლასის მდგომარეობა, მისი რწმენა და შეგნება ნოე ჩხიკვაძემ ყველაზე ტიპურად გამოხატა ლექსში—„მკედელი“. პოეტი ხატავს კაპიტალისტური ქალაქის ცხოვრების სურათს. იგი აღწერს „ტანჯვის შვილთა,“ „ღუბკირ ცხოვრებისაგან დაჩაგრულთა“ მდგომარეობას. მძიმეა ბნელ სარდაფებში მცხოვრებთა ყოფა. ისინი შრომაში, ტანჯვაში ასრულებენ უმზეო და უსინათლო სიცოცხლეს, ეს მძიმე ბედი მშრომელებისა ბადებს სევდას და უკმაყოფილებას, მაგრამ, პოეტის ღრმა რწმენით, ეს სევდა არ არის სევდა უსასოებისა, პირიქით, ამ სევდაში ისმის ცეცხლით ანთებული გმირული ხმა, მძიმე შრომაში იბადება უკეთესი ცხოვრებისათვის ბრძოლის აზრი. აქ ცხოვრების უარყოფისა და განდგომის გრძნობას ცელის შრომის სიყვარულით შთაგონებული რწმენა მომავლისა, „ვიხცა კვნესის, იმან იცის ყოფნის ვალი“,—ამბობს პოეტი. ეს ვალი მუშას, მკედელს უკეთესი ცხოვრებისათვის ბრძოლის იდეალში გამოუხატავს, მკედელი როცა შანთსა სკედს ცეცხლის აღში, მხოლოდ სიცოცხლის სახეს ხედავს და ოპტიმიზმით აღსავსე გრძნობით მღერის:

სიცოცხლეო, იჩუხჩუხე, კვლავ ადავსე
ყოფნის თასი წმინდა ოფლის ნაკადულით,
რომ შევხედო შენს სამკაულს სიყვარულით,
დავეწაფო ათრთოლებულ ცეცხლის ალებს
და შევერთო აზვირთებულ ძალთა-ძალებს!
იჩუხჩუხე!—აუჩქაროს გულმა ძგერა,
გამომელანდეს დაფარული ბედის წერა,
რომ დაირღვეს არსებობის სახე ძველი,
რომ გაირკვევს სიცოცხლისა განსაცდელი,
ცის სახელით, მიწის ბნელით დაფარული,
და შეიგნოს დაჩაგრულმა სიყვარული...

მუშამ იცის, რომ უკეთესი ცხოვრების შექმნა შრომის, ბრძოლის და მსხვერპლის გარეშე როდი მოხდება. მკედელმა იცის, რომ—„აწმყოსაგან მსხვერპლსა ითხოვს მომავალი.“ მან იცის, რომ ცხოვრებისაგან მიღებული ჭრილობის განკურნება, სევდისა და ნალველის მოცილება მხოლოდ ბრძოლის გზით არის შესაძლებელი. მუშათა კლასის უკმაყოფილებისა

და სევდის გრძნობა უნდა იქცეს პროტესტის, ბრძოლის გრძნობად:

ის ნადველი ბრძოლის ცეცხლად უნდა იქცეს,
ძველი ყოფნა ჩაიტანოს და დაიქცეს...

ნოე ჩხიკვაძის „მკედელი“ დიდი ოპტიმიზმით და მომავლის რწმენით გამსჭვალული ლექსია. პოეტს სწამს შრომის შეილთა მომავალი და ოპტიმიზმის გრძნობით შთაგონებული სიყვარულით ხატავს ტანჯვის შეილთა ცხოვრებას.

ნოე ჩხიკვაძე კარგად გრძნობდა, რომ კაპიტალისტური საზოგადოების პირობებში შრომა მონობის, ტანჯვის. ადამიანის დამცირების საშუალებად ქცეულა. მილიონები შრომობენ, ოფლსა ღირიან და მაინც შიმშილობენ და იტანჯებიან, მათი ნაშრომით კი ერთი მუჟა კაპიტალისტები განცხრომაში ატარებენ დროს. კაპიტალისტების ცხოვრების ეს უსამართლო წესი აღწერა ნოე ჩხიკვაძემ ლექსში „ტანჯვის ქალაქი.“ „ტანჯვის ქალაქი“ კაპიტალისტური ქალაქის ტიპური სახეა. იგი წარმოდგენილია ბურჟუაზიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი მთელი თავისი წინააღმდეგობით. ქალაქი იზრდება, მისი მდიდარი დარბაზები მშვენდებოდა, ხალხი კი, რომელიც აშენებს ამ ქალაქს და ქმნის ამ სიმდიდრეს, შმორიან სარდაფებში შიმშილისაგან იხოცება.

ქალაქი კი ადის მუდამ მაღლა, მაღლა,
სახლი სახლზე იზრდება და ემატება
და ხალხი კი უბინაოდ წყდება დაბლა,
სასიკვდილო სარეცელი ენატრება.

ერთი მხრით, ოფლის ზღვა და სიღარიბე, მეორე მხრით, სიმდიდრე და ნეტარება; ერთი მხრით, კენესის მუშა, შრომაში და ჯაფაში ლევს მძიმე ცხოვრების დღეს, მეორე მხრით, მღერის ბატონი. მხიარული და განცხრომაში მყოფი; ერთი მხრით, შიმშილი, მეორე მხრით—ფუფუნება; „ერთი მონა, მეორე კი შუბლმორკმული მეფე.“ ასეთია ის წინააღმდეგობა, რომელიც კაპიტალისტური ცხოვრების წესს ახასიათებს. ნოე ჩხიკვაძე არა მარტო აღწერს ამ უსამართლო

ცხოვრებას, არა მარტო გვიჩვენებს ჯურღმულეებში, სარდაფებში 'მცხოვრებ' მილიონთა მძიმე ცხოვრებას. არამედ ის აგრეთვე გამოთქვამს რწმენას, რომ ამ უთანასწორობისა და უსამართლობის მსხვერპლნი აღდგებიან ერთი მუქა მჩაგვრელების წინააღმდეგ და დაამხოვენ ბატონობის ტახტს. პოეტს სწამს, რომ ამოვა მზე, მზე თავისუფლებიას:

დაჰკრავს ჟამი: მეხს დაგაფრქვევს წარღვნის ქარი,
შენს ნანგრევზე ახალ ყოფის ხალხი მოვა,
აყვავდება გარუჯული მთა და ბარი,
და დიდების, სიყვარულის მზე ამოვა.

ნოე ჩიიკვაძე, რომელიც მუშათა კლასის ცხოვრებას აღწერს, მის მძიმე და აუტანელ ყოფას გვიხატავს, ხშირად იქვე გვაჩვენებს მომავლის იმ რწმენას, რომელიც ამ კლასს ასულდგმულებს. ნოე ჩიიკვაძეს სწამს, რომ „შიშნო-ტანჯვაში იბადება აზრი გრძნობისა“—და ეს ის ძალაა, რომელიც დაანგრევს კაპიტალისტური ცხოვრების უსამართლობას და ნოუპოვებს ხალხს ბედნიერებას. ამიტომ მოუწოდებს იგი მშრომელებს, დაჩაგრულებს უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ:

დაჰკარ, დაჰკარ, დაღეწე ტანჯვით ციხე-ბორკილი.
მკვდრეთით აღსდგეს მწუხარე, მონა წელში მოხრილი.
დაჰკარ, დაჰკარ სიკვდილსა, რომ სიცოცხლე იწამოს.
სიყვარული ნათელი მოეფინოს ზედამოს!
რომ დაშყარდეს სიძართლე, შრომის შვება-უფლება.
დაჰკარ, დაჰკარ, ნეტარი ვპოვოთ თავისუფლება.

ამგვარად, პოეტის აზრით. მშრომელთა განთავისუფლება მათივე საქმეა. მათ ბრძოლაზე, შეუპოვარ და მტკიცე ბრძოლაზე არის დამოკიდებული ხალხის მომავალი. თავისუფლების საქმე მსხვერპლს მოითხოვს, ეს მსხვერპლი უნდა გაიღოს მუშათა კლასმა. მუშათა კლასის მძიმე და აუტანელი ცხოვრების პირობები ამ შეგნებას აღვიძებს და ამკვიდრებს მშრომელ ხალხში. ნოე ჩიიკვაძე აღწერს არა მარტო დაჩა-

გრულ, დატანჯულ მუშას, არამედ მებრძოლს, უკეთესი მომავლის რწმენით შთაგონებულ მუშას.

ნოე ჩხიკვაძე კაპიტალისტური ცხოვრების პირობებში გვიხატავს ქალის მძიმე მდგომარეობას. ქალი ორმაგად დაჩაგრულია, ორმაგი მონობის მსხვერპლია. იგი, ერთი მხრით, მონაა ოჯახისა, მეორე მხრით, კაპიტალისტური ცხოვრების წესისა. ეს აზრი გამოხატა ნოე ჩხიკვაძემ ლექსში „მონა ქალი.“ პოეტის აზრით, ქალი საზოგადოების ნახევარ ნაწილს წარმოადგენს, და ძალიან ხშირად, როდესაც თავისუფლების საკითხი ისმება. ქალი გვაფიწყდება, მაშინ, როდესაც ქალი მშრომელთა ისეთი ნაწილია, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლაში, როგორც ძლიერი ძალა. ნოე ჩხიკვაძე აღწერს ქალს, როგორც დედას, მომავალ თაობათა აღმზრდელს, როგორც მშრომელს და დაჩაგრულს. მეორე მხრით, აღწერს ქალს, როგორც ტრფიალების საგანს და ერთგვარ რომანტიკულ სამოსელში ხვევს მას. და აქ ერთგვარად აქცენტი გადატანილია სიყვარულზე, ქალი დახატულია, როგორც ტრფიალების საგანი, მიუხედავად ამისა, ნოე ჩხიკვაძემ ამ ლექსში სწორად დაინახა რევოლუციის წინააღმდეგი დაჩაგრული ქალის მდგომარეობა.

ნოე ჩხიკვაძე იბრძოდა უსამართლობის წინააღმდეგ. მას სწამდა ხალხის მომავალი. იგი ხშირად პოეტური ფანტაზიით წარმოიდგენდა და აღწერდა ამ მომავალს, თავისუფლების მხარეს. ნოე ჩხიკვაძეს სწამს, რომ არის მხარე, სადაც ადამიანი თავის ნაშრომის ბატონ-პატრონია, „სადაც ძმობა, ერთობა მეფობს“, სადაც არ არის „ურიცხვი მონა და ერთი ბატონი“. დიახ, არის ასეთი მხარე. პოეტის წარმოდგენით, ეს ფანტასტიკური ილუზიის ნაყოფი როდია, არამედ ნამდვილად არსებობს ასეთი ქვეყანა. სად არის ეს ტურფა მხარე? კითხულობს პოეტი და იქვე უპასუხებს: „სადაც შენ იშვი და გაიზარდე, სადაც შენ ახლად გიდგია ფეხი“. მხოლოდ საჭიროა ეს ქვეყანა, ეს დედამიწა გადაკეთდეს, შეიცვალოს, რომ ეს თავისუფლების მხარე მოპოვებულ იქნეს:

მაგრამ წყვილიანი უნდა გაკაფო, უნდა დალევო მონის ბორკილი და დაიმკვიდრო იგი ქვეყანა, თავისუფლების შუქით მოსილი.

ამგვარად, ნოე ჩხიკვაძე, რომანტიკოსებისაგან განსხვავებით, ბედნიერებას, თავისუფლებას ხალხს ჰპირდება არა მეორე ქვეყანაში, არა იდეალურ სამყაროში, თავისუფლების მოპოვება შეიძლება მხოლოდ ამ მიწაზე. საჭიროა შეუპოვარი ბრძოლა უსამართლობის დასამხობად. არა ხუცებისა და ბატონების მიერ გამოგონილი სამოთხე, არამედ რეალური, მიწიერი სამოთხე, აი რა უნდა იყოს იდეალი მშრომელი ხალხისა. ეს აზრია გატარებული ლექსში, რომელსაც ჰქვია: „უცხო მხარე“ და ამაში ჩანს ნოე ჩხიკვაძის რეალიზმიცა და დემოკრატიზმიც. ეს საბრძოლო რევოლუციური განწყობილება მაინც ერთი მხარეა ნ. ჩხიკვაძის შემოქმედებისა.

მეორე მხრით, ნოე ჩხიკვაძის პოეზიაში ჩვენ ვვაქვს უიმედობის, მისტიკური განწყობილების გამოხატულება. სევდითა და უიმედობით შეპყრობილი პოეტი ხშირად კარგავს მუშათა კლასის გამარჯვების იმედს და ცხოვრებას გვიხატავს, როგორც მხოლოდ ბოროტების, სევდისა და უიმედობის წყაროს.

საზოგადოდ, ნოე ჩხიკვაძე, ისე როგორც დემოკრატიული მწერლების ერთი ჯგუფი, ხშირად თავს განმარტოებულად გრძნობდა. ეს სევდა, უსასოება უმთავრესად მარტობისაგან, უმეგობრობისაგან წარმოდგებოდა. ეს ერთგვარი რომანტიზმი არ უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი დემოკრატიული მწერლობისათვის, ხალხთან დაკავშირებული მწერლობისათვის, მაგრამ ამ მარტობაში, ხალხისაგან მოცალკეებაში, პიროვნულზე აქცენტის გადატანაში მოჩანს სწორედ ის წვრილბურჟუაზიული უიდეობა, რომელიც დამახასიათებელი იყო ამ ჯგუფისათვის.

ნოე ჩხიკვაძემ მწარედ განიცადა მარტობა სულისა. გულგატეხილი პოეტის მტერი ბავშვობიდან იყო შავი აჩრდილი, რომელიც მას მოსვენებას არ აძლევდა. ალქაჯივით მუდამ მისი ოთახის კართან ატუზული შავი აჩრდილი აშინებს პოეტს, რომ ეურჩოს და გადაუდგეს მის სურვილს და მოისურ-

ვოს თავისუფლება, ძეისევე ჩაქოლავს შავი აჩრდილი პოეტს. მარტო უძლურია ებრძოლოს შავებდით განაჩენს, მეგობარსა და თანამგრძნობს კი ვერ პოულობს პოეტი. შავი აჩრდილი სიმბოლოა ყრუ სოფლისა, რეაქციის მძვინვარე სუსხიანი ყოფისა („შავი აჩრდილი“).

ნოე ჩხიკვაძის სევდიანი განწყობილება გამოხატულია აგრეთვე ლექსში — „სევდის ჰანგი“. „სევდის ჰანგი“ გვაგონებს იროდიონ ევლოშვილის ლექსს — „მხოლოდ ნაღველია სამუდამო“. „სევდის ჰანგი“ ნოე ჩხიკვაძემ აზრისაა, რომ ამქვეყნად მუდმივია მარტოოდენ სევდა, უიმედობა, სიხარული კი მხოლოდ ერთხელ გვეწვევა და დაუყოვნებლივ გაქრება იგი. სევდა თანა გვდევს მუდამ და არ გვცილდება. პოეტის სევდა ცხოვრებისაგან გამოწვეული სევდაა. და აი გულმოკლული მგოსანი ასე მოთქვამს:

ვმღერი მარტო, კენესის ჩანგი,
დნება ცრემლი ამ არეში,
და ეს ცრემლი, სევდის ჰანგი
თან ჩამყვება სამარეში!

ასეთივე სევდიანი განწყობილება გამოხატულია ნოე ჩხიკვაძის სხვა ლექსებშიაც — „სევდის გალობა“, „ლოთი მგოსანი“, „გოდება“, „სიმღერა“ და სხვა. უსასოებით, სევდათ შეპყრობილი პოეტი მწარედ მოთქვამს ცხოვრების არარაობას, სიცოცხლის უმიზნობას, ტანჯვას არსებობისას, იგი წერს:

მე ვერ ვპოულობ ნეტარებას სინამდვილეში,
სინამდვილეში გული ჩემი სევდით მკვდარია,
ბედნიერება არ მინახავს სიყმაწვილეში,
ჩემი სიცოცხლე მხოლოდ ტანჯვა, გლოვა-ზარია.

ეს უიმედო განწყობილება, ეს სევდიანი მოტივები თანდათანობით უფრო ძლიერდებოდა ნოე ჩხიკვაძის პოეზიაში.

მენშევიკების ბატონობის პერიოდში უფრო მწვავედ იგრძნობოდა ეს სევდა და უსასოება. პოეტმა ეს თანდათანობითი დეკადანსი ნათლად გამოხატა ერთ თავის ლექსში, სადაც იგი წერს:

ბედნიერება, ნეტარება ჩვენ არ ვიცოდით,
 მხოლოდ გვეჭირა სინათლისკენ გზა სისწორისა,
 გულს გვიმზნევენბდა ხმა მედგარი ჩანგი ბრძოლისა
 და მხნე ლექსებით, მამაც რწმენით მარად ვიბრძოდით!
 დღეს კი დავუსტდი, ბედთან ბრძოლა არ შემიძლია,
 თითქოს მეტია, ამ ცრუ სოფლად რაც გამიძლია,
 ისე ვარ ახლა უნუჯეშო, სასოძიხდილი;
 ვატყობ: იღევა გულში სევდა, სულში ნალველი,—
 იმღერე რამე!.. აღსასრულის გამომსახველი,
 ჟანგიან ცელით მიკაჟუნებს კარზე სიკვდილი!

თუმცა ნოე ჩხიკვაძე საქართველოს მენშევიკური პარტიის წევრი იყო, მაგრამ იგი ვერ კმაყოფილდებოდა მენშევიკური „სამოთხით“ და მისი ყველაზე უფრო მწვავე პესიმიისტური ლექსები ამ პერიოდს ემთხვევა. ეს არ იყო შემთხვევითი მოვლენა. ნოე ჩხიკვაძე—რეალისტი მხატვარი, პოეტი, რომელიც სინამდვილეს ასახავდა თავისი სუბიექტური მიზანდასახულების მიუხედავად, მთელი სისრულით ამჟღავნებდა მენშევიკური ხელისუფლების დროინდელი სინამდვილის უსუსურობასა და უნიადაგობას; პოეტის სუბიექტურ განზრახვას რეალისტი პოეტის შიერ ასახული ობიექტური სინამდვილე ეწინააღმდეგებოდა. ძნელი წარმოსადგენია მენშევიკური ხელისუფლების უდღეურობის, მისი სულიერი და ეკონომიური სილატაკის უფრო სარკასტული გამოხატვა, ვიდრე ეს ნაჩვენებია ნოე ჩხიკვაძის ლექსებში „სიმღერა ხალათზე“, „სიძვირის ჟამს“. პოეტისათვის „ათჯერ გადაბრუნებული, ასჯერ დაგვირისტებული, ათას ირიბიანი და თვალეზიანი ხალათი“ სანატრელი გამხდარა. სხვები უარეს მდგომარეობაში არიან:

გაახილე თვალები:
 განა ცოტა დადიან
 ტიტლიკანა ქალები?
 ჩვენც თუმც კანი დაგვეწვა,
 გული ზომ არ დაგწვია?
 თანაც სჯობს თუ სიცხეში
 ფარლალალათ გაცვია.
 ჯერ კიდევ წუთისოფლის
 ადათს ბევრსა მიხვდებით,
 და უკეთაც ვიმღერებთ,
 როცა მთლად გავშიშვლდებით.

ასეთია, პოეტის წარმოდგენით, მენშევიკების „სამოთხე“. ამიტომ არ იყო შემთხვევითი, რომ ამ ყოფისგან გულმოკლული პოეტი უფრო ძლიერად ამელაგნებდა უიმედობისა და უკმაყოფილების განწყობილებას, ვიდრე მანამდე. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ნოე ჩხიკვაძემ მენშევიკურ ხელისუფლებას რამდენიმე დეკლარაციული ხასიათის ქების ლექსი უძღვნა („თავისუფლებას“, „დიდება“, „ლაშქრული“, და სხვა), რომელშიაც მისი ძცდარი პოლიტიკური კრედო გამოემტკიცა.

ნოე ჩხიკვაძის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პატრიოტულ მოტივს. ამ თემაზე მან რამდენიმე ლექსი დაწერა. მათ შორის უნდა აღინიშნოს ლექსები „კითხვა-პასუხი“ და „ჭანგი ლამისა“. პოეტის აზრით, დედა სამშობლოს სიყვარული ყველა გრძნობაზე მალლა დგას. ყოველთვის სამშობლოზე ფიქრობს პოეტი და მას იგონებს. იგი ხედავს, რომ მისი სამშობლო დაჩაგრულია. მონობაში და ხუნდებში მყოფი მამულის ხსნა, ნოე ჩხიკვაძის აზრით, შეუძლია მხოლოდ მშრომელ ხალხს; სამშობლოს მომავალი ხალხის მომავლს უკავშირდება. პოეტს სწამს, რომ ხალხი გადაადგებს მონობის უღელს და აღდგება დაცემული სამშობლო:

ო, სტიროდე, სტიროდე, სამშობლო მიწაე,
გოდებად იქცეს შენი ნალექი,
ცეცხლის ფრქვევითა შეირყე, ზეცავ,
რომ შიშით თრთოდეს არსი ყოველი.
გაისმას ირგვლივ აწ ხმა წყვევისა,
შურისძიება ყფდეს ხუნდებში.
დე, ყველამ იგრძნოს: ჭანგი ძღვეისა,
რარიგ, იზრდება ტანჯვის წუთებში..

პოეტის სამშობლო—ორ ზღვას შუა გადაჭიმული პატარა და ლამაზი მხარე—მუდამ მებრძოლი და მტრის თავზარის დამცემი—ახლა აოხრებულია. გულმოკლული პოეტი კითხულობს:

სად არს მხარე ტანჯული, ცრემლით გაბრწყინებული,
თავზე გვირგვინ-მოხდილი, ბედით დაობლებული,
წინად ბრძოლით მედგარი, უგბილ მტერთა ზარ-მცემი,
დღეს-კი ღონე-მიხდილი, უღვთოთ აოხრებული?
ტანჯვის ჯვარზე გაკრული ეს სამშობლოა ჩემი!

ამ სტრიქონებში აკაკი წერეთლისეული ძაღალი პატრიო-
ტული ხმა გვესმის.

ნოე ჩხიკვაძის პოეზიაში ხშირად შეხედებით ზოგადი ხა-
სიათის პრობლემასაც, როგორცაა ადამიანის დანიშნულება,
ცხოვრების რაობა, სიყვარული და სხვა. ამგვარ პრობლემებს
მეტწილად იგი სქემატურად არკვევს. მაგრამ ზოგჯერ აქაც
იჩენს იგი საკითხის ცოდნას და თავისებურ ორიგინალობა-
საც. ზოგჯერ სწორად არკვევს პოეტი ბოროტების, უსამარ-
თლობის საფუძველს. პოეტის აზრით, კაპიტალისტური ცხოვ-
რების წესმა ადამიანს წაართვა ნორმალური არსებობის სა-
შუალება. მან დაკარგა ადამიანის ნამდვილი სახე. ამიტომ
ებრძვის პოეტი ამ უვარგის ცხოვრებას, ბოროტების, ბუდეს
იგი სამართლიანად შენიშნავს:

ო ეს ცხოვრება უკუღმართი, უსწორ-მასწორი!
და დღევანდელი პირობების მრუდე სასწორი!
იგი წყაროა დაცემის და გარყვნილებისა,
იგი მეფეა კაცთა შორის ბოროტებისა!
თავისუფლების მზე დაჰკარგა ადამიანმა
და ფულის ტრფობით მხეცად იქცა სხივ-მადლიანი;
და სულით მწირი, გულით უნდო დაჯაბნებული,
თვის მე-ს წინაშე იბრძვის მარად ამხედრებული!
აი, აქ არის დასაბამი უგნურებისა,
აქ იჩრდილება აზრი მაღალ შემეცნებისა
და, სანამ სუფევს ყოფნა ესრედ ბოროტ-გზიანი,
მანამ არ ძალ-გვიძს ვპოვოთ ჩვენ ის ადამიანი!

(„დიღხანს ვეძებდი“)

ნოე ჩხიკვაძის შემოქმედებაში მეტად თავისებურად და
ორიგინალურად არის დახატული სიყვარულის ძალა და მნი-
შვნელობა. ეს თემა ახალი ძალით ეღერს მის ისეთ ლექსებ-
ში, როგორიც არის „სიყვარული“ და „ბულბული და ვარ-
დი“. ბულბული, ქალი და გმირი ერთგვარად არიან გატაცე-
ბული სიყვარულით, ბულბული—ვარდის, ქალი—ვაჟის, გმი-
რი—სამშობლოს სიყვარულით. ისე თავისებურად და ოსტა-
ტურად არის გამოხატული ქართული პოეზიის ეს ძველთა-
ძველი თემა ბულბულისა და ვარდის, ქალისა და ვაჟის სიყ-

ვარულისა, რომ ამ მხრივ ეს ლექსები საგანგებო ყურადღებას იმსახურებენ.

უნდნე აღინიშნოს, რომ, საზოგადოდ, ნოე ჩხიკვაძე უთუოდ საინტერესო მოვლენა იყო ჩვენს მწერლობაში, როგორც ლექსის ნაპღვილი ოსტატი. ნოე ჩხიკვაძის ისეთი შესანიშნავი ლირიკული ლექსები, როგორიც არის: „N—ს“, („ვინ მკითხულობას, ვინ დამეძებს, ვის ვუყვარვარ მე?“) „ბულბულს“, „სიმღერა ხალათზე“, „ამონაკენესი“, მუდამ დარჩებიან ქართულ ლიტერატურაში, როგორც ლირიკული ლექსების შესანიშნავი ნიმუშები. ნოე ჩხიკვაძე ახერხებს აქ სადად, მაგრამ ღრმად გამოხატოს ადამიანის ფსიქიკური სამყარო, მისი განცდები, სევდით თუ სიხარულით გამოწვეული.

ნოე ჩხიკვაძე მთელი თავისი პოეტური რწმენით ემსახურებოდა თავის ხალხს. იგი იყო ხალხისთვის, დაჩაგრულთა საქმისათვის მებრძოლი პოეტი. მართალია, იგი სავსებით სწორად არ იყო გარკვეული ხალხის ბრძოლის გზებში, იგი ცდებოდა ხშირად, ხოლო მაშინაც, როცა ცდებოდა, მას მაინც სწამდა ხალხი და მისი მომავალი. ნოე ჩხიკვაძეს ქემ-მარიტად შეეძლო ეთქვა:

ის, ვინც სამშობლოს მაცდურ გრძნობით ემსახურება,
არა სწამს ხალხი, მისი აწმყო და მომავალი.
არარად უჩანს დაჩაგრულის ტანჯვა-წვალება
და პირად შვება-სიამისკენ უპირავს თვალი,—
რა საჭიროა მის თვალთაგან ცრემლები სჩქეფდეს,
რომ თითქოს ამით მოიხადა მამულის ვალი.
იგი მონაა სიმდიდრისა და უნდა ჰყეფდეს,
როგორც ფინია კულ-ქიცინა და შესაბრალი!

ნოე ჩხიკვაძის პოეზიას, სიხარულს მეტყველებდა იგი თუ სევდას, ძირითადად დაჩაგრულ ხალხთა უკეთები მომავლისათვის ბრძოლის იდეა ასულდგმულებდა. ეს იდეა გამოხატული იყო შედარებით ამაღლებულად და მხატვრული თვალსაზრისით საინტერესოდ. ი. ევდოშვილის სკოლის პოეტებში ნოე ჩხიკვაძე გამოირჩეოდა მოვლენის გამოსახვის ორიგინალური ფორმით. მოწოდებითი, პათეთიკური ინტონაცია, რაც დამახასიათებელი იყო ამ სკოლის პოეტებისათვის, ნოე ჩხიკ-

ვადემ ერთგვარად დასძლია ადამიანის ცხოვრების, მისი შრომისა და ბრძოლის გამომხატველი სურათების მრავალფეროვანი პოეტური საღებავებითა და რომანტიკული საზოსელის ოსტატური გამოყენებით. ამ გარემოებამ მის ლირიკულ ლექსებს დღემდე შეუნარჩუნეს პოეტური ოსტატობის მაღალი ღირსებანი.

* * *

ნოე ჩხიკვაძე მთელი თავის ცხოვრებითა და საზოგადოებრივი მოღვაწეობით ერთგვარად ამთავრებს რევოლუციამდელი ქართული მწერლობის გზას. იგი 1920 წელს გარდაიცვალა. საქართველოში ეს იყო საბჭოთა ხელისუფლების წინა დღე. ამავე დროს ოციანი წლებიდან იწყება ახალი ფურცელი ჩვენი მწერლობისა — საბჭოთა მწერლობა.

ნოე ჩხიკვაძე თავისი უკეთესი ლექსებით, ფიქრებითა და ოცნებით ეკუთვნოდა უკეთეს დროს. ის ვერ შეესწრო ოქტომბრის რევოლუციის მიერ მოტანილ ამ უკეთეს დროს, თორემ თავისი სულიერი მეგობრების ა. აბაშელის, გ. ქუჩიშვილისა და სხვათა მსგავსად მოწინავე საბჭოთა პოეტების რიგებში აღმოჩნდებოდა.

ნოე ჩხიკვაძე დადგა მიჯნაზე რევოლუციამდელ და საბჭოთა მწერლობას შორის. ჩვენ ბუნებრივად მიგვაჩნია, მეოცე საუკუნის მწერლობის პირველი წიგნი — საბჭოთა რევოლუციამდელი მწერლობის განხილვა ამ საყურადღებო ლირიკოსით დავხუროთ.

ს ა რ ი ვ ი

წინასიტყვაობის მაგიერ	3
შესავალი	5
ეგნატე ნინოშვილი	53
იროდიონ ევდოშვილი	91
შიო არაგვისპირელი	130
დავით კლდიაშვილი	222
კოლა ლომთათიძე	263
ვასილ ბარნოვი	312
ანასტასია ერისთავ-ხოშტარია	345
ნოე ჩხიკვაძე	366

სერგი ჩიქლიანი
Грузинская литература XX века
часть I
(На грузинском языке)
Изд-во „Сабчота Мцрალი“

* *

Типография изд-ва „Сабчота Мцрალი“
19 Тбилиси 56
Плехановский, 181

* *

რედაქტორი შ. ძიძიგური

გამ-ბის რედაქტორი თ. კოპლატაძე
ტექრედაქტორი შ. დემეტრაძე
მხატვარი ი. ჯანაშვილი
პემგ. კორექტორი თ. იოსელიანი

* *

გადაეცა წარმოებას 7.VII, 1956 წ., ხელ-
მოწერილია დასაბეჭდად 5XI, 1956 წ.,
ანაწყოების ზომა 5,5×9, სასტამბო ფ.
23,75, საამონაბეჭდო ფორმა .18,52
სავეტო : ფ. 18,06 ჟალ. ზომა 84×108¹/₁₆
ტირაჟი 8000, შეკვ. № 862, უფ 05817

* *

გამ-ბა „საბჭოთა მწერალის“ სტამბა
თბილისი, პლენხანოვის, 181

